შოთა ძიძიგური

ქართული დიალექტოლოგიის მასალები

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1974

4Г+8ГФ1
499.962.1.0+398.2(47.922)
ძ 631

© გამომცემლობა „განათლება“, 1974.

7—1
199—74
М—602

წინასიტყვაობა

ამ წიგნში თავმოყრილია ჩვენ მიერ ოთხი ათეული წლის წინათ ფიქსირებული ზეპირსიტყვიერებითი ნიმუშები, ამსახველი ქართული ენის დიალექტური განშტოებებისა და ცხადლივ მანიშნებელი ჩვენი პოეტური ფოლკლორის ნრავალფეროვნება-ნაირგვარობისა.

მეორე ტომში დაიბეჭდება დანარჩენი მასალა და დაერთვება ვრცელი ტექსტოლოგიურ-დიალექტოლოგიური კომენტარები და ლექსიკონი (საცნობარო აპარატის ნაწილი — ინდექსების სახით — ამ პირველ ტომსაც ახლავს).

საველე შემკრებლობითს მუშაობას ჩვენ 1929 წლიდან ვეწევით. აქედან მოყოლებული ყოველწლიურად — უმთავრესად ზაფხულის თვეებში — ვიწერდით გაბმულ ტექსტებს საქართველოს დიალექტოლოგიურ რაიონებში, ვაგროვებდით სალექსიკონო მასალას, ვაკვირდებოდით გრამატიკულ მოვლენებს. ჩაწერილი ტექსტების რამდენიმე ნიმუში ადრეც გამოგვიქვეყნებია (იხ. „საუნჯე ხალხური შემოქმედებისა", №№ 1, 2, 3; 1935 წ., 1936 წ. და ჩვენი წიგნები: „ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ", 1956 წ., „Грузинские варианты нартского эпоса. Исследования, тексты", 1971 г.).

შეკრებილი მასალა დაედო საფუძვლად დროდადრო ჩვენ მიერ წაკითხულ მოხსენებებს და გრამატიკულ მიმოხილვებს, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოვაქვეყნეთ კიდევაც. ესენია: ა) მ ო ხ ს ე ნ ე ბ ე ბ ი, წაკითხული — „თბილისის საენათმეცნიერო საზოგადოების" საჯარო სხდომაზე 1929 წელს (სათაურით: „იმერული კილოს თავისებურებანი"), საკავშირო მეცნიერებათა აკადემიაში (ლენინგრადი) 1934 წელს (სათაურით: „მესხური კილოს ზოგიერთი თავისებურება"), თბილისის უნივერსიტეტში 1938 წელს („მესხურ-ჯავახური დიალექტი") და საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიაში 1944-1946 წ.წ. (სათაურით: „ზემო რაჭულის თავისებურებანი", „ქვემორაჭულის თავისებურებანი", „რაჭული კილოს მუსიკალური აქცენტუაცია"); ბ) დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი მ ი მ ო ხ ი ლ ვ ე ბ ი[1–14]

---

[1] «О плюральном вербальном объекте в грузинском» («Академия наук СССР Н. Марру». Москва-Ленинград, 1935);

[2] «Опыт классификации диалектов грузинского языка» (Тезисы диссертации. Ленинград, 1935).

3. „ქართული ენის მთარაჭული დიალექტის მთავარი თავისებურებანი" (ენიმკის მოამბე, II_1, 1937);

4. „ქართლში ჩატარებული სალექსიკონო მუშაობის ანგარიში" (ენიმკის მოამბე, II, 1937);

5. «К характеристике нижненемерского говора грузинского языка» («Памяти акад. Н. Марра», Москва-Ленинград, 1938);

6. „კონიუნქტივის კატეგორია რაჭულში უძველესი ქართულის მესამე პირის სუბიექტური

ამრიგად, თუ შეკრებილი ტექსტების დიალექტოლოგიური შესწავლა დღემდის ნაწილობრივ მაინც მოხერხდა, თვით ეს ტექსტები, — მრავალფეროვანი შედგენილობის მასალა, რამდენიმე მსხვილი დიალექტოლოგიური ერთეულის პროფილის ამსახველი, — სამწუხაროდ, აქამომდე არ გამოგვიცია სრული სახით, რათა ისინი მისაწვდომი ყოფილიყო საგნის სპეციალისტებისათვის.

ამ ტექსტების გამომზეევება საშურია იმ თვალსაზრისითაც, რომ უთუოდ არაერთი სიუჟეტის სტრუქტურა, ერთი მხრივ, და ენობრივი ფორმა, მეორე მხრივ, დღეისათვის ან სულ დავიწყებული და გამქრალია, ან არადა იმდენად ტრანსფორმირებული, რომ მათი თავდაპირველი სახეობის დადგენა გარკვეულ სიძნელეებს წარმოაჩენდა. ამ სწრაფი ცვლილებების თავდებია ჩვენი საბჭოური ცხოვრების განვითარების ტემპები, სულიერი კულტურის სფეროში დამკვიდრებული ახალი ფორმები და ახალი წარმოდგენები. იმასაც დავსძენ, რომ მასალის მომწოდებლები—ინფორმატორები უმეტესწილ ღრმა მოხუცები გახლდათ (იხ. თანდართული პასპორტიზაცია ტექსტებისა) და აქედან გასაგებია, რომ ბევრი გრამატიკულ-ლექსიკური ნორმა, შესაბამისად — სიუჟეტური კომპოზიცია, ამ ორმოციოდე წლის წინათ ფიქსირებული, ამჟამად არქაიზმად ანდა გადაშენებულად გამოიყურება.

ეს გარემოება, ვფიქრობ, არ იქნება ინტერესმოკლებული მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის.

როგორც დიალექტოლოგიურ ტექსტს შეჰფერის, მასალა ჩაწერილია ადეკვატურად, დაცულია მისი მომწოდებლის ენობრივი ნორმა, რაც ჩვენი მიზნებისათვის სავსებით კანონზომიერია და აუცილებელი. ცხადია, აქ გამორიცხულია სიუჟეტური გამართვისა და ენობრივი გაშალაშინების ხერხი, ფოლკლორისტის ჩანაწერებს რომ ახასიათებს ჩვეულებრივ. ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ დასაგმობია დიალექტოლოგიურ ტექსტში დიალექტური გრამატიკული მოვლენების უნიფიცირების ტენდენცია — გაასწორო და შეცვალო ესა თუ ის არატიპობრივი ფორმა, აქაოდა ტექსტში შიგადაშიგ დიალექტის ნორმიდან გადახვევასთან გვაქვს საქმეო! არ არსებობს მონოლითური და აბსოლუტურად ერთგვაროვანი დიალექტური ერთეული, განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში, როდესაც დიალექტი განიცდის არნახულ ცვლილებებს სოციალური, ეკონომიური და კულ-

---

სუფიქსის პრობლემასთან დაკავშირებით“ (ენიმკის მოამბე, V—VI, აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი. 1940);

7. „ლოგიკური სუბიექტის რიცხვის დიალექტური ვარიაციები ქართულში“ (სსრკ მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის მოამბე, № 2, 1940);

8. „მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი სხვა კილოებთან მიმართების თვალსაზრისით“ (ენიმკის მოამბე, X, 1941);

9. „ნართული ეპოსის ქართული ვარიანტები ოსურ-ქართულ ლექსიკურ ურთიერთობასთან დაკავშირებით“ (საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, X, 1944);

10. „ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში“ (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946);

11. „მახვილისა და ინტონაციის შესწავლისათვის ქართულ დიალექტებში“ (წიგნში: „ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან“, 1954);

12. „რაჭული დიალექტი“ (წიგნში: „ძიებანი. . .,“);

13. „ლეჩხუმური დიალექტი“ (წიგნში: „ძიებანი. . .“);

14. „იმერული დიალექტი“ (წიგნში: „ძიებანი. . .“).

ტურული გარდაქმნების შესაბამისად. სალიტერატურო ნორმები თანდათან გზას იკაფავენ ხალხურ მეტყველებაში, მომიჯნავე ენობრივ რაიონებთან მჭიდრო კონტაქტები და შინაგანი განვითარების გზით მიღებული სახეცვლილებანი იწვევენ გრამატიკისა და ლექსიკის დარგებში გარკვეულ სიჭრელესა და ნაირ-ნაირობას, ერთმანეთის გვერდით სალიტერატურო და დიალექტური ნორმების თანაარსებობას და, აბა, რაღა გამართლება უნდა ჰქონდეს დიალექტოლოგიური ტექსტის გაშალაშინებას ვითომდა ერთგვაროვანი მოვლენების შენარჩუნების მომიზეზებით!

ორიოდე სიტყვა წიგნში მოთავსებული მასალის შესახებ.

აქ ძირითადად წარმოდგენილია **მესხეთსა** და **რაჭაში** ჩაწერილი ტექსტები, ზოგიც—სხვაგან მოპოვებული მასალა.

1929 წელს ჩავიწერეთ **აჭარული** (უფრო ზედმიწევნით—ქობულეთური კილოკავის) ტექსტები ქობულეთსა და მის ახლომახლო სოფლებში. იმ დროს აჭარული დიალექტოლოგიური მასალები საერთოდ არ იყო ცნობილი. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ განსაკუთრებით აჭარული კილოს ქობულეთურმა სექტორმა ამ ხნის განმავლობაში ძირეული ცვლილებები განიცადა, ცხადი გახდება იმ დროს ჩაწერილი მასალის მნიშვნელობა ქართული დიალექტოლოგიისათვის. არც **ქვემოიმერული** ტექსტები არსებობდა, როდესაც ჩვენ შევკრიბეთ მასალა (1929 წ.) და, იმხანად სტუდენტს, პატივი გვქონდა საველე დიალექტოლოგიური მუშაობის შედეგები აწ განსვ. ვ ა რ ლ ა მ თ ო ფ უ რ ი ა ს წინადადებით გაგვეცნო ქართული ლინგვისტიკური მეცნიერების იმდროინდელი ცენტრის — „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ საჯარო სხდომისათვის 1929 წელსვე.

თერჯოლის რაიონში მასალა ჩაწერილია 1947 წელს. ამ კუთხის ენობრივი შესწავლის საფუძველზე ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ ქართულ დიალექტოლოგიაში გამოგვეყო „თერჯოლური კილოკავი“ და მივიღეთ დასკვნა: „ძირითადი ბუნება ამ რაიონის მეტყველებისა ზემოიმერულის ტიპისაა, მაგრამ მასში თვალსაჩინო დოზით წარმოდგენილია ქვემოიმერულისა და აგრეთვე ქვემორაჭულის ელემენტები. ამ შეზავების წყალობით ისეთი შთაბეჭდილება იბადება, რომ თერჯოლურ მეტყველებას განსაკუთრებული ადგილი უნდა ეჭიროს ქართულ კილოთა შორის, ასე, მაგალითად, საზანოს რომ გასცდებით ჭიათურის მიმართულებით, სხვაობა ადვილად შეიმჩნევა. შეიძლება დავიმოწმოთ ზოგიერთი ნიმუში. ზემოიმერულისათვის დამახასიათებელი არქაული წარმოება ხარისხისა უხნე, უმაღლე. . . აქ არ დასტურდება, — არც III კავშირებითია დაცული II თურმეობითის ადგილას, რაც ძირითადი ნორმაა რაჭულისათვის და გვხვდება ზემოიმერულშიც. სხვაობა ჩანს ლექსიკაშიც... ამ წრეს ქმნიან სოფლები: თერჯოლა, ჩხარი, სიქთარვა, ეწერი, ძევრი, სიმონეთი და სხვ“. (იხ. ჩვენი „ძიებანი“, გვ. 154).

ქართული ენის ერთ-ერთი მსხვილი დიალექტური ერთეულის — **რაჭულის** შესწავლა 1930 წელს დავიწყეთ ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ი ს რჩევითა და თაოსნობით. ვმუშაობდით ონის რაიონის უკიდურეს მთიან სოფლებში — გლოლა-ღებ-ჭიორაში, სადაც დავყავით სამი თვე და ჩავიწერეთ მრავალფეროვანი შედგენილობის დიალექტოლოგიური მასალა. აქ ადრე, 1916 წელს, მასალებს კრებდა თვით ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე. ქართული დიალექტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის მიერ შეკრებილი გაბმული რაჭული ტექსტები, მართალია, არ გამოქვეყნებულა,

მაგრამ, სამაგიეროდ, არაერთი ნიშანდობლივი მხარე მთიანი რაჭის მეტყველებისა სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი გახდა. S_3-O_3-თან დაკავშირებით მნიშვნელოვანი დასკვნებია მიღებული აკაკი შანიძის ნაშრომში პრეფიქსების შესახებ. აკაკი შანიძის რაჭული მასალებით უხვად სარგებლობდა ნიკო მარი და სათანადო ნიმუშებს იმოწმებდა თავის გამოკვლევებში. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ 1920 წელს აკაკი შანიძე ღებ-ღლოლის დიალექტს რაჭული კილოს კილოკავად მიიჩნევდა. რაც შეეხება რაჭულ ლექსიკას, ჯერ კიდევ 1912 წელს პეტერბურგში დაიბეჭდა ვუკოლ ბერიძის ლექსიკონი (ნიკო მარის რედაქციით): „Грузинский глоссарий. . .“

მთიან რაჭაში ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალების საფუძველზე იმთავითვე ნათელი შეიქნა, რომ გლოლა-ღებ-ჭიორის მეტყველება ცალკე ერთეულს წარმოადგენს და უნდა მოინათლოს საერთო სახელით — „მთარაჭულით“, თუმცა აღინიშნა შინაგანი სხვაობაც (ერთი მხრივ — „გლოლური“ და მეორე მხრივ— „ღებურ-ჭიორული“). გამოიყო სპეციფიკური ნიშნები. ძირითადი განმსაზღვრელი თვისება რაჭულის ამ კილოკავისა არქაიზმია, რითაც იგი უახლოვდება ე. წ. „მთის კილოებს“. საინტერესოა, რომ, საერთოდ, რაჭულის არქაულობაზე ადრინდელი უცხოელი მკვლევრებიც მიუთითებდნენ. აქ დავასახელებთ, მაგალითად, დიდ ავსტრიელ მეცნიერს ჰუგო შუხარდტს (იხ. მისი „Zur Geographie und Statistik der Kharthwelischen [Südkaukasischen] Sprachen“, 1897). მასალებმა გამოავლინეს ბევრი გრამატიკული მოვლენა, საინტერესო ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისითაც. მაგალითად, **ნ**, უძველესი სუფიქსი მესამე პირისა ქართულ ენაში, რეალურად მხოლოდ მთარაჭულშია სისტემებრ შემორჩენილი (იხ. მთარაჭულის დახასიათება: ენიმკის მოამბე, II_1, 1937. გვ. 81; „კონიუნქტივის კატეგორია რაჭულში უძველესი ქართულის S_3-ის პრობლემასთან დაკავშირებით“: ენიმკის მოამბე, V—VI, 1940). **ნ**, როგორც უძველესი ნიშანი S_3-ისა ქართველურ ენებში, დადგენილია არნოლდ ჩიქობავას მიერ ნაშრომში: „მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში“ (ენიმკის მოამბე, V—VI, 1940). აქ, სხვათაშორის, ნათქვამია: „ქართულ კილოებში ამ სუფიქსის დადასტურებაზეა ერთგვარად დამოკიდებული, თუ რა კვალიფიკაცია მიეცემა ამ წყაროს (დიალექტს), რომლიდანაც ძვ. სალიტერატურო ქართულმა S_3—ნ შეითვისა“, გვ. 42 (**ნ** სუფიქსი რომ მესამე პირის ნიშანია, ამის შესახებ არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავდა ჯერ კიდევ 1926 წ. რეცენზიაში ნიკო მარის „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკაზე“. იხ. „მიმომხილველი“, 1926 წ., გვ. 321).

ახალი დიალექტოლოგიური ჩანაწერები და დაკვირვებები ადასტურებენ, რომ ამჟამად მთარაჭულში აღარ გვხვდება ზოგი თავისებურება, აღნუსხული ჩვენ მიერ ამ ორმოცდიოდე წლის წინათ. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის ძველად ფიქსირებული მასალის ღირებულებას. ვარლამ თოფურია, რომელმაც დაკვირვებები აწარმოვა მთარაჭაში 1958 წელს, თავის ნაშრომში „მთარაჭულის დახასიათებისათვის“ (იხ. „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, II, 1961) მიუთითებს იმ ნიშნებზე, რომლებიც მთარაჭულ მეტყველებაში გადაშენებულია. ამასთანავე პატივცემული მეცნიერი ვარაუდობს, რომ დღეს მთარაჭული კილოკავის ფარგლებში მეტი სხვაობაა, ვიდრე ეს ჩვენ გვქონდა შემჩნეული 1930 წლის მასალების მიხედვით, და გვთავაზობს მთარაჭულის ორ კილოკავად დაყოფას: „რივნისთაურად“ (ეს იგივე ღებ-ჭიორის მეტ-

ველებაა) და „გლოლურად“. მთელი რიგი თავისებურებანი კი, უმთავრესად არქაიზმების რიგიდან, დღესაც დასტურდება მთარაჭულში. მაგალითად, დღესაც ცოცხალია S_3-ნ.

ჩვენი დაყოფით რაჭული კილო შეიცავს სამ კილოკავს: მთარაჭულს, ზემორაჭულს, ქვემორაჭულს.

გარდა მთარაჭულისა, წიგნში წარმოდგენილია ზემო რაჭასა და ქვემო რაჭაში 1944—1945 წლებში შეკრებილი მასალა.

ინტერესი რაჭული კილოსადმი გამოწვეულია სხვადასხვა თვალსაზრისით. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია რაჭის თავისებური გეოგრაფიული მდებარეობა. იგი მთიანი ადგილია და სიგრძეზეა გაჭიმული მდინარე რიონის გასწვრივ; ზოგი ადგილი მდინარის დაბლობშია გაშენებული, ზოგი კიდევ მთის კალთებზე მდებარეობს. ეს ხელს უწყობს დიალექტურ სიკრელეს და იმ შინაგან სხვაობათ, რომლებითაც გამოირჩევა რაჭული კილო ქართულ დიალექტოლოგიაში. გარდა ამისა, რაჭას თავისი პერიფერიებით შეხვედრის წერტილები აქვს სხვადასხვა კუთხესთან: უკიდურესი ქვემო არით იგი ემეზობლება და ურთიერთობა აქვს ზემო იმერეთთან, ქართლთან, ლეჩხუმთან, უკიდურესი ზემო არით — სვანეთთან და არაქართველურ მოდგმებთან — ოსებთან და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ტომებთან. ასე, მაგალითად, ქვემო რაჭის იმ მკვიდრთ, რომლებიც რიონის მარჯვენა მხარეზე ბინადრობენ, გაცილებით მეტი ურთიერთობა აქვთ ლეჩხუმლებთან, ვინემ მთარაჭველებთან; ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, მჭიდროდ არიან დაკავშირებული ზემოაღნიშნულ არაქართულად მოუბარ მოსახლეობასთან. ეს—ერთი მხრივ. მეორე მხრივ, ანგარიშგასაწევია რაჭველების გადაადგილებანი, საცხოვრისის გაფართოება ისტორიულ წარსულში ჩრდილოეთის მიმართულებით და ამის წყალობით ეთნიკური შერევა არარაჭულ მოდგმებთან, რის უტყუარობასაც ყრუდ გვანიშნებს ზოგიერთი ისტორიული ჩვენება. მესამე მხრივ, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ, როგორც ცნობილია, ისტორიულად საკმაოდ ძლიერი და ჩამოყალიბებული იყო რაჭის საერისთავოები, მყარი და მტკიცედ დადგენილი ტერიტორიული დამოუკიდებლობით, და ამ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ მომენტს გარკვეული მნიშვნელობა აქვს რაჭული მეტყველების შინასხვაობათა გასათვალისწინებლად და დიალექტური საზღვრების დასადგენად.

გარდა ამისა, საყურადღებოა ეთნოგრაფიული თავისებურებანი. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართული დიდი ოჯახი წარმოადგენს რამდენიმე ცოლ-ქმრის გაერთიანებას, და ეს ხდება ავნატურ ნიადაგზე, — ცხოვრობდნენ ერთ საერთო სახლში — დარბაზში. აგნატების რაოდენობა ოჯახში ხშირად 30—50 სულამდის აღწევდა, სულ წინათ 100-მდისაც ადიოდა. ასეთი არქაული ტიპი შემონახული ჰქონდა გადმონაშთის სახით მთიულეთს, ხევსა და ფშავს. ასე იყო მთარაჭაშიც. აქ დიდ ოჯახში ბაბუას ეკითხებოდა სასოფლო და სამეზობლო საქმეები, მას ემორჩილებოდნენ მამაკაცები (რ. ხ ა რ ა ძ ე). არსებობს საუფროსო სკამი, რომელსაც მთარაჭაში „საკარცხული“ ეწოდება, სვანეთში კიდევ „საკურცხალ“, მთიულეთში—„საუფროსო სკამი“, ხევში — „სამარტო შკამი“. ამასთანავე, რაჭული (განსაკუთრებით მთარაჭული) რელიგიური დღესასწაულები უფრო ჰგვანდნენ აღმოსავლეთ საქართველოს დღესასწაულებს, კერძოდ — ქართლურ ჩვეულებებს, ვიდრე დასავლეთ საქართველოსას („შიობა“, „ჩიტაფაფობა“, „გონჯაობა“ და სხვ.). ეს პარალელი

აყენებს რაჭულ-ქართლური ხალხური რწმენის ერთობის საკითხს, რომლის საბოლოოდ გადაჭრა ჯერ, რასაკვირველია, ნაადრევია და იგი მოითხოვს საგანგებო შესწავლას. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ათინიგენობის რიტუალი. რომელსაც ადასტურებდნენ მთიულეთ-ხევსურეთშიც (ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა).

ანთროპოლოგიური თვალსაზრისითაც რაჭა აღმოსავლეთ საქართველოს უკავშირდება. რაჭველის ანთროპოლოგიური ტიპი ლიტერატურაში ცნობილია როგორც შერეული ტიპი, აღმოსავლურ-დასავლური ნარეობისა (ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი).

ხალხური მუსიკის დარგშიც ანალოგიებს ნახულობენ რაჭულისა და აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერებს შორის (დიმ. ა რ ა ყ ი შ ვ ი ლ ი).

ცნობილია რაჭის გეოგრაფიულად დაყოფა ქვემო რაჭად, ზემო რაჭად და მთის რაჭად ანუ მთარაჭად. ქვემო და ზემო რაჭას შორის მიჯნად სდებენ ხიდიკარს, რომელთანაც ახლო მდებარეობს სოფელი წესი. მართლაც, ეს არის ნამდვილი ბუნებრივი საზღვარი. შედარებით გაშლილი და მდინარე რიონის დაბლობი ადგილები აქ თავდება და იწყება უფრო მთიანი ზოლი. ხიდიკარი წარმოადგენს ვიწრო ყელს, უშველებელი კლდეებით გარშემოზღუდულს. აქ ყოფილა ციხე. ამჟამადაც დარჩენილია მარჯვნივ და მარცხნივ ამოშენებული გამაგრებული ადგილები მრავალი სათოფურით და, როგორც გადმოგვცემენ, უნებართვოდ აქ გადასვლა არ შეიძლებოდა. ვახუშტი ამ ადგილის შესახებ ამბობს: „ხოლო კვალად კრიხულას შესართავსა და ამბროლაულ-ხიმშს ზეით მოვიწროვდების რიონი სამკრიდამ და ჩრდილოდამ კლდითა. მუნ ძეს ხიდი რიონზედ. ხიდის თავს, კლდის ძირში, არს, რიონის ჩრდილოთ კიდესა ზედა, ციხე, და უწოდებენ ხიდის-კარს... მას ზეით არს წესი, დაბა კარგი". ზემო რაჭა მოიცავს ხიდის-კარიდან (ანუ დღეევანდელი გამოთქმით—ხიდიკარიდან) მოყოლებული ლუხუნის ხეობასა და რიონის ზემო წელის ხეობას სოფელ უწერამდის (ჩათვლით). „ხოლო ბარულას-წყლის შესართავს ზეით მოერთვის რიონს ჩდილოდამ მდინარე ლუხუნი, გამომდინარე კაცკაისა,—ვახუშტისავე სიტყვით,—რაჭა-სვანეთს შორისისა, და მოდის სამკრეთად. ყოფილა ამ კეობაზედ შენობა დიდი, არამედ აწ მტერობისაგან სვანთა არღარა, და ოკერ არს. ამ ლუხუნის აღმოსავლით კიდის მაღალს კლდის გორასა ზედა და რიონის ჩრდილო არს ციხე მინდა, მაგარი და აუღებელი მტრისაგან, და ვის უპყრავ ციხე ესე, არს ერისთავი რაჭისა". ამ ცნობილი ციხის ნანგრევის ირგვლივ შემორჩენილია ლექსი: „მინდა-ციხე მინდია, ჩემი ცოდვით სავსეა, თავწითელი მინდლის ბიჭი კინწისწვერით ასვია".

უნდა ვიფიქროთ, ისტორიულად რაჭული მოსახლეობა თანდათანობით გაწეულა ჩრდილოეთის მიმართულებით. თუ რაჭული ეთნიკური ერთეულის ბინადრობის არედ ქვემო რაჭას დავსახავთ (ცნობილი ნიკორწმინდის სამფლობელოში), მაშინ ადრე საუკუნეებში ისინი უნდა გავრცელებულიყვნენ ზემო რაჭის არემარეში, რომელიც, სავარაუდებელია, სვანთა მიწა-წყალი იყო. ყოველ შემთხვევაში, მთარაჭის შესახებ გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ეს მხარე ოდესღაც სვანებს სჭერიათ. შემონახულია 1432 წლის ალექსანდრე მეფის სიგელი, საიდანაც ჩანს, რომ ჯერ კიდევ XV საუკუნეში ეს კუთხე სვანთა სამფლობელო ყოფილა. ამ სიგელში მოთხრობილია სვანთა მიერ რაჭის ერთ-ერთი ფეოდალის — ჯაფარიძის მოკვლის შესახებ, რასაც სვანებსა და ჯაფარიძეებს შორის გამოუწვევია დაუსრულებელი შფოთი და სისხლისღვრა.

ამ საბუთიდან ირკვევა, რომ სვანებს ჯაფარიძეებისათვის მიუციათ ქვემო-სვანეთიდან ლაშხეთი და მთელი დღევანდელი მთარაჭა. სიგელიდან ისიც ირკვევა, რომ რაჭის აზნაურშვილებს აქ ფეხი მაგრად მოუკიდებიათ (ხოხაგიძეს, არიშიძეს, გაგაშვილებს). ამ აზნაურშვილებს მისდევდნენ მათი ერთგული ყმებიც და, ამგვარად, მთიულეთში თანდათანობით იჭრებოდა რაჭული ელემენტი. ეს აპრელებული კუთხეც XV საუკუნეში საცილობელ საგნად გამხდარა რაჭასა და სვანეთს შორის. გარდა ამისა, ეცერს აქეთ, ე. წ. თავისუფალ სვანეთში ბატონობა არ იყო ამ დროს. მთიულეთში კი რაჭის ფეოდალებს მთელი ეს კუთხე ბატონყმობის უღელში შეუბამთ. ამ ადგილების შემომტკიცებისათვის, უნდა ვივარაუდოთ, თანდათანობით რაჭული მოსახლეობის ახალი ჯგუფები მიიწყდებოდა მთიულეთს. ეს მომძლავრება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა სვანთა მოსახლეობის აყრასა და გადასახლებას სვანეთში. ამას მოწმობს სიგელში მოხსენებული ნასახლარი სოფლები: ბრილი, თევარეშო (თევრეში), შოდა, ჩუეში, ბუბა და სხვა. ესენი დღეს ნანგრევებს წარმოადგენენ. რაჭველებს დაუკავებიათ სამი სოფელი: გლოლა—ღები—ჭიორა.

ჩაწერილია საგულისხმო მასალები გლოლის, ღებისა და ჭიორის დაარსების თაობაზე. ამ მასალიდან აქ აღვნიშნავთ შემდეგს: სრულიად გარკვევითაა მითითებული, რომ, მაგალითად, ღების ერთი ძირითადი, მრავალრიცხოვანი გვარი — გოგრიჭიანები სვანებია. გადმოცემა გვეუბნება, რომ ღებში დამკვიდრებულა 7 კომლი გლეხი—სვანნი—და გარაჭველებულან (აქვე ლაპარაკია დადეშქელიანისა და ჯაფარიძეების ურთიერთობაზე ყმა-გლეხებთან). ჯაფარიძეს, რაჭის ცნობილ აზნაურშვილს, გოგრიჭა გოგრიჭიანი უჩუქებია მთარაჭის აზნაურშვილ არიშიძისათვის და სხვ. ამ მხრივ საყურადღებოა ღებური შტო-გვარების სახელები, რომლებიც სვანურთან ურთიერთობაზე მიუთითებენ: სვანეენი, ლაშხეენი... (იხ. ს. მაკალათია, „მთის რაჭა“, 1930).

გარდა ამისა, გადმოცემები გვეუბნება, თითქოს გლოლის დაარსებაში მონაწილეობა მიეღოთ მოხევეებს თუ მთიულებს. წითელი ზოლივითაა გატარებული ყველა ამ გადმოცემაში გლოლელთა დამოკიდებულება მოხევეებთან. ჩვენი წინაპარნი მოხევეებიდან მოდიანო, — იმეორებენ გლოლის მოხუცები.

აი, ჩვენს რაჭულ მასალებში ასახულია ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობები თუ გადმოცემები, ფასეული ამ მხარის ისტორიული რეალიების შესასწავლად.

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია აგრეთვე **მესხური** დიალექტოგრაფიული მასალები.

1932 წ. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიამ მოაწყო ასპირანტთა კომპლექსური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. ექსპედიციის წევრები იყვნენ: გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი (აწ განსვ. აკადემიკოსი,—რომელიც იკვლევდა ქართველ ებრაელთა მეტყველებას), ს ე რ გ ი ჯ ი ქ ი ა (ამჟამად საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, — რომელიც იკვლევდა ქართველ მუსლიმანთა თურქულ მეტყველებას) და ამ სტრიქონების ავტორი, რომელიც იკვლევდა ქართველ კათოლიკეთა მეტყველებას. აქ დაბეჭდილი ტექსტები იმ-დროინდელია. იმავე წლის შემოდგომაზე საკავშირო მეცნიერებათა აკადემიისავე მივლინებით მესხეთში (უდესა და არალში) იმოგზაურა კ ა რ პ ე ზ დ ო ნ-დ უ ა მ და ჩაიწერა დიალექტოგრაფიული მასალები, რომლებიც დღის სინათლეზე გამოვიდა გვიან, 1967 წელს.

ჩვენ მიერ შეკრებილ მასალაზე დაფუძნებული გრამატიკული მიმოხილვა „მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი სხვა კილოებთან მიმართების თვალსაზრისით“ გამოქვეყნდა ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის მოამბის X ტომში 1941 წელს. მიღებულია დასკვნა: სამხრეთ საქართველოს მეტყველების სტრუქტურაში გაერთიანებულია აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს დიალექტების ელემენტები; მესხურში არის „სიმპტომატური ნაზავი, რომელშიც ერთიანდებიან ტიპობრივი ქართლური (და მით — საზოგადოდ აღმოსავლური კილოების) ფორმები და ტიპობრივი იმერხეულ-აჭარულ-გურული (და მით — საზოგადოდ დასავლური კილოების) ელემენტები; შეიძლება ითქვას, რომ მესხური რამდენადმე გარდამავალი ტიპის დიალექტს მოგვაგონებს“.

მთიულურ-გუდამაყრული ტექსტები, გამოქვეყნებული წინამდებარე კრებულში, ჩაწერილია ჩვენ მიერ 1934 წელს. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიამ 1934 წელს მთიულეთ-გუდამაყარში მოაწყო ასპირანტთა კომპლექსური ექსპედიცია, რომელშიც შედიოდნენ: ელენე ვირსალაძე (ფოლკლორისტი; ამჟამად პროფესორი), გრიგოლ ჩხიკვაძე (მუსიკისმცოდნე; ამჟამად პროფესორი) და ამ სტრიქონების ავტორი, რომელიც აგროვებდა დიალექტოლოგიურ მასალებს. აქედან ზოგიერთი ნიმუში დაიბეჭდა ჩვენს წიგნში „ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ“ (1956 წ.).

ე. წ. „მთის კილოების“ ერთ-ერთი წევრის—მთიულურის შესახებ მოგვეპოვება გრამატიკული მიმოხილვა, რომელიც ეკუთვნის არნოლდ ჩიქობავას: „მთიულურის თავისებურებანი“: ენიმკის მოამბე, II$_1$, 1937. გამოკვლევა დაფუძნებულია იმ მასალაზე, რომელიც მოპოვებულია 1922 წელს არაგვის ხეობაში (სამხედრო გზასთან), ზოგიც—ხანდოს ხევში (გამოკვლევას ერთვის ტექსტიც).

ფშაური მასალა ჩაწერილია 1956 წელს მაღაროსკარში.

ამ წიგნში დაბეჭდილი ტექსტები მრავალფეროვანი შედგენილობისაა, წარმოდგენილია: ზღაპრები, ლექსები, შელოცვები, ისტორიული გადმოცემები და სხვ. შეიძლება შიგადაშიგ შეგვხვდეს მწიგნობრული წარმოშობის ტექსტუალური ფრაგმენტებიც. ზოგიერთ ხალხურ პოეტურ ქმნილებაში შეზავებულია სხვადასხვა ფოლკლორული ერთეულებიდან შემოსული პასაჟებიც, მაგრამ დიალექტოლოგი ვალდებულია აღნუსხოს ის, რასაც მას აწვდის ინფორმატორი,— დიალექტოლოგიისათვის ამგვარ შენარევ მასალას დაბრკოლება არ ეღობება. ამა თუ იმ ტექსტის სტრუქტურული შედგენილობის რღვევა და სხვადასხვა სიუჟეტური შეზავებისა და დაფენებების ანალიზი კი ფოლკლორისტთა კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება.

შოთა ძიძიგური

მესხური

1. მებადურე

იყო და არა იყო რა. იყო ერთი მეთევზე კაცი, დადიოდა, მებადურე იყო. სამი გოგო ხყავდა, ერთი ცოლი. ხუთი სული იყვნენ. მუდამ განაჩენ დღეზე ხუთ თევზზე მეტს ვერ დაიჭერდა. მეტს ვეღარ დაიჭერდა. ამას პირველი ცოლი მოუკვდა. წავიდა, მეორე ქალი მოიყვანა. კიდო ხუთი არიან, დედინაცვალი ებნება:

— მენაო, გეუბნებიო, მოდი, ქალიშვილები გადაკარგეო, სამი თევზი დაგვრჩებაო!

ჭკუაში დაუჭდა. ისე უყვარს ეს ქალიშვილები, რო აცვია წუღები, გოგიები დეეხვეეიან მამასა, ევლებიან ზედა, ზოგი წინდასა ხდის, ემსახურებიან. გაუჭირვა ქალმა — დავჭკარგოთო!

— სად წაიყვანოო?

— ერთი ალვების ხე გვაქსო, მინდორში, ამომავალ ყანაშიო და იმის ძირისგან გათხარე ორმო, ათი საჟენი და იმაზე გადააბურე ხალი ჩემიო; წაიყვანე შვილებიო და ალვიხეს ასხია და ისინი კერკები—ყაზმები შიგ ჩაყარეო! როიცა მორჩებიო, ყელიანი საპოკები ჩაიცვი, ვაშლები ჩაიყარეო და, როცა გაგხდიან ფეხზეო, გეტყვიან: — მამაჯან, სად არი ეს ვაშლებიო? — უთხარი: — ამომავალ ალაგას არისო! — დილას წაიყვანე, გეეხარებათო! — წაიყვანა, გათხარეს, ჩავიდა, გადააბურა ხალიჩები, ყაზმები ჩაიყარა ქუდშიაცა და წამოვიდა სახლში. დეესივნენ გოგიები:

— სადა ხარ, მამაჯან, დაგვნატრულდი!

— შვილო, ამომავალ ყანაში ვაშლს ვკრიფემდი!

გახადეს ფეხზე, ვაშლები გამოცვინდა.

— წაგვიყვანეო, მამაჯანო!

— ჰო, გათენდესო. მე გავარხევ და ქთენ აკრიფეთო, წავიღამთ ხალიჩებ, დიეცემა ხალიჩაზეო!

წამოხტენ გოგიები, წავიდნენ.

ქალს უთხრა:

— შენ ამაღამ არ დაიძინამ!

ათ-ათი ქადა გამოუცხო და წავიდნენ დილაზედა. მივიდნენ ყანასთან და ხალიჩები გაშლილია.

— რომელი ბევრ ვაშლს მოკრიფამთო? — დეესივნენ.

დაცვინდა ხალიჩაზე ვაშლები და ჩავარდნენ.

— მამაჯან, ამოგვიყვა! — ჩაუყარა შიგ ვაშლები.

— მოიცა, შვილო, ეხლავე ამოგიყვანო!

წავიდა და მოშპა, გამოიქცა სახლში. გავიდა ერთი კვირა და ეს ვაშლი სჭამს, ვაშლი რო დეელია, აღარ აქვანან და:

— რა ვქნათო, რა ვჭამოთო?

— მე ქადა მაქ ჯიბეშიო, ათი ქადა.

და ოც დღეს იმყოფინეს, როცა შეჭამეს, დარჩნენ შიერი. ამათ თხრა დაუწყეს მიწის ძირში. თხარეს, თხარეს და:

— მოდი, ვინც პატარა ვართ, ის შეეჭამოთო! — პატარა გოგო ამბობს:

— ხვალ შემჭამეთო! — ამან იმოდენი თხარა, ერთი პური ნატეხი იპოვა.

— მეო ჩემი ვალი მოვიხადეო! — ადგა შუათანას ოჩერედი მოვიდა. ამანაც თხარა, ერთი ძვალი იპოვა. დანაყა და ჭამეს. დარჩა დიდი და.

— მეც უნდა ვთხაროო! — თხარა, ასე რო ძირს ხემწიფის ახორში ჩავარდა. მოხედა და:

— ეს სადა ვარო? — იქ ცხენი აბია, იქ ჯორები აბიან. გააღო კარები და ცეცხლი ანთია. ქაში დგას. ამოიტანა ქაში, დაედნენ, გაძღნენ, პატარას უთხრეს:

— შენი ვალია, პური ამოგვიტაო!

კვირა არი, გალაგებული არიან ეკლესიაში. მივიდა პატარა გოგომ, ქაში გარეცხა, შედგა, შეუკეთა ცეცხლს, დაგავა სახლი. ცხენებს ხურმა უყრიათ. ესეც ამოაცალა. დაიძინეს. დაწვენ და გამოვიდა წირვა, მოვიდა ხელმწიფე, სახლი დაგვილია. ხალაღებ უთხრა:

— ჰაზირიაო? მოდი, ერთი მოუროვინე კოვზი და ვჭამოთო! — მივიდა და შეხედა უმი ქაში!

— მე შევდგი ქაში, გავაკეთე და ახლა უმი! ის შეშა დაწვილა, კარი-კლიტე, გატეხილი არ არის! — ცხენებმა ყვირილი დაიწყეს.

— ცხენებისთუნ ხურმა არ დაგიყრიაო?

— კიო!

— სადღაა ხურმა? — მოსამსახურემ თქვა:

— აქ ვიღაც ეშმაკი გვყავსო.

ეძება, ეძება, ვერაფერი ვერ პოვნა, ერთი სინათლე ჩამოდის.

— აქედან ჩამოსულანო!

უბეგჩა, უბეგჩა ქაშს. პურ რომ მორჩნენ, წავიდა, ხერმულათ ხურმა დაუყარა ხალაღმა. გამობრუნდა, ერდოსთან უბეგჩამს, უბეგჩამს და არ ვინ არა ჩანს. ამ ერდოსთან ძის, ახლოს რო ნახოს, ამათაც პური მოშივდნენ. შუათანას უთხრეს:

— ახლა შენი სირა არის!

ადგა და ჩახტა. ცხენებ ხურმა უყრია. ხალაღმა სტაცა, დაიკერა.

— სიდან მოხველ, რა ქვეყნის ადამიანი ხარო?

უამბო ყველაფერი.

— მარტო განა კი მე არა ვარ, დაცოო.

— ჩამოიყვანეო! — ადგა, შეატყობინა. დიები ჩამოიყვანა ხემწიფესთან.

— ჩვენ ზედაქვეყნიდან ვართ ჩამოვარდნილიო! — უამბა ყველაფერი.

— ქთენ უნდა დაგვხრიტოო, რამეო ფოკუზობა გაქვან ქთვენაო.

— რა უნდა მქონდესო?

— მე იმოდენა ფლავს გავაკეთებ, რომ, რამდენი ჯარი გყავს, ჭამოს, არ დააკლდესო!

— აქ მომიწერე ხელი კონტრახტზეო! — შუათანას ეკითხება:

— შენ რა ხელობა გაქო?

— შენი ჩოთითთაო იმოდენა ხალიჩა მოვქსიო, რო შენი ჯარი ზედა დიეტიოსო.

— მოდი, მოაწერე ხელიო! — ახლა პატარა დარჩა.

— ერთ ვაჟიშვილ უნდა მივყვეო, ოქროქოჩრიანი ქალ-ვაჟი ვიშონაო!

— მოაწერე ხელიო! — წაიყვანეს, მიიყვანეს, გადასწერა ჯვარი.

დააწყებინა შუათანას ქსუვა. იმანაც ფლავიც დაიწყო. მთელ ჯარს და ნახევარზე არ ეყო. ტყუვილი გამოდგა.

— წაიყვანეთ ესენი და გარეკეთ და მთხოვანად იარონო! — ხალიჩა მოქსოვა და მესამე პრაცენტი დააკლდა. ამან იშოვნა ქალ-ვაჟი, ოქროქოჩრიანი. რა დროსაც დალოგინდა, ეკლესიაში წავიდნენ. ბებიაი (ძიძა) გვერდით უძის ქალს. დიებმა უთხრეს:

— აასრულაო?

— კიო. ოქროქოჩრიანი ქალ-ვაჟი ეყოლაო!

— ჩვენ რა ვქნათო? — შური ჩაუვარდა დიებს.

— ესეც ჩვენთან დაწვეს. ძაღლს ლეკვები გავუხვიოთ ხოჩიჩში და შევუგდოთ. მაგას დეეძინება და ხემწიფე ეკლესიაში იქნება და მოვახერხებთო! — ირბინეს და გააჩინეს ბღარტები, ლეკვები და გამოხსნა ოქროქოჩრიანი, მოუწვინა და შეჰკრეს იაშიკი, გააზიფთეს და წყალში ჩააგდეს, რო წყალი არ შეუვიდეს. მოვიდა ხელმწიფე, ისადილეს.

— ჩვენო ბებია, აპა, ჩვენი ახალი რძლისა ვნახოთ! — გახსნეს და რას ნახამენ? ძაღლის ლეკვები!

— ეს წაიყვანეთ, შვიდი დღის გასამყრელო რო არისო, გაახვიეთო ძაღლის ტყავში, ამოთხარეთ, ჩაფალეთ მიწაში, თავი ზევით ქონდეს. დაწერეთ, რომ გამველელ-გამომვლელმა ზედ აფურთხონო! — წაიყვანეს, გაახვიეს, გათხარეს. იარა ამ იაშიკმა, ერთი პატარა მდინარე გადის წისქვილისა, ზღვიდან გაჰყავან. ეს წყალი რო გადის, იქ გაიტანა ნაპირზე და წისქვილი რუში მოხვდა და: — იმ ღარში მიეციო ეს იაშიკი! — წყალი მოუწყდა მეწისქვილეს. ამოვიდა, ამოიტანა ჩანგლიანი კეტი, რომ გამოიტანოს. შეხედა — იაშიკი! ოქრო-ვერცხლია, აჯამ რა არის? გახსნა, ოქროქოჩრიანი სულ ამომავალი არიან.

— მოვაფუჟულამ ამას და შვილი არ მყავს და გავხდი! — გაზარდა, ერთი კარგი მწველელი თხა ყავდა. ცხრა თვე ამ თხას აწვია. გაასუქა ძრიელ. გახდენ ოთხი წლისა, რვა წლისას გავან. გახდა რვა წლისა, თექვსმეტი წლისას გავან. მოანათვლინა. კაი ქეიფი გასწია. დავთარშიგან ჩააწერინა თავრობას. ოცი წლის რო გახდა, ჯარშიგან გაიწვიეს.

— მამაჩემო, ამ ცხენსა რო დია ლურჯი კვიცი მოსდევსო, ის კვიცი მიყიდეო მეო, რო ორივე ერთად შევიზდებითო!

ცხენიც ახლა ოცი წლისაა, წაიყვანეს ჯარში და, რო უნდა ათამაშონ, მაღლიდანაც იმის ეზოა. დედა ამითი ტყავშია პირვანდელი. ახლა ამის დეიდები, საცა რომ აქ ჯარი თამაშობს, იქ ცხოვრობეი. დანახეს თუ არა, იცვნეს. მაშინვე გეექანეს და მეორე დას უთხრა:

— აქ მოსულანო ოქროს ქალ-ვაჟი. ახლა კი ჩვენ გამოვიდეთ ბაიანზე, გამოვაშკარდეთო! — მივარდნენ იქით-აქეთ, ერთი კუდიანი ბებერი იპოვეს.

— დედიჯან, ვიღუპებით, ოქროქოჩრიანი ქალ-ვაჟი ხო იცი, ეს და ეს საქ-

მე უყავით წინათა და ახლა ჩვენ გამოვაშკარდებით და დაგვხოცენ. უყავ; რამეო!

გაიქცა ოქროქოჩრიან ქალიშვილთან.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— რა მარტოთ ზიხარ! (მეწისქვილე და ცოლი ცოცხალი არ არიან). — ვაჟიშვილი საღამოს უნა მოვიდეს.

— რა ვქნა, დედიჯანო?

— ამომავალ ალაგსაო ერთი სარკეაო, ის სარკე რო მოგიტანოს შენ ძმა-მაო, საცა წავა, გაიყურები სარკეში და შეხედავ შენ ძმასა და გულს იხადილე-ფო! შენ მოიავანთყოფამ თავს. შენ გეეპუტე ძმასაო და, რა მოგვიდა, გეტყვი-სო და მერე უთხარიო! — მოვიდა ოქროქოჩრიანი ბიჭი. შევიდა და მოიხადა ქუდი.

— ჩემო დაო, წყალიო!

— ვერ გავძღრეულვარ, სადა ხარ, გამაცხელაო!

— რა გიშველოო?

— ამომავალ ალაგსაო ერთი სარკე ყოფილაო. წადი და ის სარკე მომიტა-ნეო და, საცა წახვალ, გამოვიხედებიო!

— შენ ხათრ არ გაგიტეხ!

მოისვენა იმ ღამეს, დილაზეგან ადგა, ჩავიდა ბოსელშიგან. ჩავიდა ახორ-ში, რას ჩავა? ცხენი მუხლითავამდე დაფლულა. ცხენი გულთმისანია, უქე გაი-გო. იმდენი ეპორწიალა, ცხენი ამოიყვანა. დაბანა ფეხები, დააკრა უნაგირი, ასვა, აკამა და ცხენმა ენა ამოიდგა ღმერთით.

— აი, ჩემო ბატონო, ეგ არ არი კარგი ნიშანი, მარა შენ ხათრიანი ვინმე ხარო. მაგ სარკესთან აბიან ასლანებიო, ორითანიო; ეგ სარკე არისო შიგ ოთახში-წადი შენ ბაზარშიო, იყიდე სამი ფუთი ცხვრი დუმა, გაყე შუაზეო, ჩასდობ ხურჯინშიო და, იქ რომ მივალთო, ერთი ფუთნახევარი ერთ ასლანს დაუტუეო, ფუთნახევარი მეორეს და შევალთო და გამოვიტაცებთაო!

წავიდა ხელათ, იყიდა სამი ფუთი, გაახვია, დააკრა ცხენს და ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, იპოვეს ზღვის პირას ოთახი. ასლანები აბიან კარებში. ჩაუტივა თოხლი ხორცი, დაბა ცხენი კარზეგანა და შეეიდა, ოთახში ტოვია სარკე. წამო-იღო და წამოვიდა. შეედა ცხენზე და სარკემ დაიწყო ყვირილი — მიშველეთო!

წამოცვივდნენ ასლანები. ცხენმა პირველადვე უთხრა:

— წამოიღამ სამართებელ, ხარტი სავარცხელსაო. სარკე რო ყვირილს ასტეხამსო, შენაო ხარტი გადაისროლეო უკანაო. ის უქე გახდება კლდეო და ჩვენ კიდე მანძილ ავიღამთო! — გადგა ყვირილზე სარკე. გაწყვიტეს ასლანებმა ჯინჯილები. რო მიაწიეს და გადაისროლა სავარცხელი და გაჩთა ტყე. რო-გორც იყო, კიდო მოაწიეს, კიდე დასწვდნენ. გადისროლა სამართებელი. გახ-და პირიანი ქვა. ფეხებ შვაზე იჭრიან. გამოვიდნენ და აიღო მანძილი. გადისრო-ლა ხარტი. ვეღარ გაიგნეს და დარჩნენ. მოიტანა სარკე.

— აი, მოგიტანეო, ჩემო დაოო.

მეორე დღეს გავიდა სათამაშოთ ბიჭი. დეიდებმა დაინახეს, გეიქანენ. ნანას უთხრეს:

— დიდი, მოსულა ჩვენი ძმისწული, უნდა უშველოთო!

ის ქალი კიდე დაფლულია, აფურთხებენ. ნანამ უთხრა:

— მე ახლა მივალ და იმნაირ ალაგ გავაგზანო ეგ ბიჭიო! — მივიდა ამ ქალთან.

— შვილო, ამომავალ ალაგსო ერთი ალვიხე არისო. ერთ სამთიდან ისხამს და მეორე სამთიდან კიდო (მორიგეობით). ი ალვიხე მოატანინეო, დარგამ აქაო, სულ მოისხამსო. ზღვისპირზე არიო! — მოვიდა ე ბიჭი საღამოზე.

— თქვიო თავი მტკივა და წამოუშალე ლაპარაკი! — მოვიდა ბიჭი, კიდო. გაპუტულია და:

— რას მეპუტებიო? რაც რომ მითხარ, ხომ აგისრულეო?

— ალვიხე ყოფილაო, ი ხე მომიტანეო, ჩემი ძმაო!

— კარგი, დაო, წავალო!

გათენდა დილაზე. ცხენი მუცლამდე დაფლულია. იწვალა, იწვალა და ამოიყვანა. გარეცხა, გაასუფთავა.

— რა მოგვივიდა, ცხენოო!

— ერთი დევი ორმოცთავიანიაო. მეორე არისო შვიდთავიანი. იმათ ბაღიო იმისთანა შემორტყმული აქვანან თავლებით, რო რა გითხრაო! იქ რო მივალთო, შენ მაგრა მამიჭირე ყულანიო. უკანაო კუნკუხოებზე დამცხეო, რომა მათრახსა ტყავი აჰყვესო. რო ავყირავდები მაღლა, ერთი არშინი რო მაღლა ავალ, ყანთში, ყურებშიგან ჩამცხეო. მაშინ თავს დავიღამ და დაბლა წავალო. ალვი ხე რომ მოვგლიჯამოო, ეცადე, მაგრა დამიჭირეო. იქიდანაც ისე მოიქეციო! — ადგა და მივიდნენ. ჩამოედა და მაღლა გაუქირა ყულანი. ერთი ისეთი დაარტყა კუნკუხებზე, რომ მათრახს ტყავი ახყვა. ავიდა და მერე დასხო ყურებშუა და დაედა დევები ბაღჩაში. ნაირა უნდა მოგლიჯოს და ცხენზე რო შეტვია ხე, ფოთლებმა წვიანი დაიწყეს. დევებ ეძინენ და გაიგეს. რას გააკეთებენ? დარჩნენ გალავანში. მოიტანა მოვიდა.

— ა, ჩემო დაო! — გაუთხარა ერმო და ჩარგო.

— ახლა ხო აგისრულე ნება?

გავიდა მეორე დღეს ჯარში. მოიხადა ოქროს ქოჩრიანი თმა, პრიალი გაუდის. კიდო დაინახეს.

— კიდე აქ გაჩენილაო! კიდე კუდიანი ბებერი ვნახოთო! — მოვიდნენ კუდიან ბებერთან. — კიდე მოსულაო!

— მე ერთი გზა კიდო მაქს. მაგათ უშველეთ — უშველეთ, თვარადა მორჩენილა! — მივიდა იქა და:

— მარტო იჯექი, კვდებოდი და აასრულა შენ ძმამ. ხომ გასწავლეო? მე ერთი კიდო გასწავლიო. წავიდეს და შენ უკნისამდე მლოცეთ. ამომავალ ალაგს არის ერთი გოგო და თითონ სადმე წავა და თქვენ ერთმანეთს ეარშიყებით, ელაპარაკებითო. იმათ სახლი-მახლი წამოხყვებაო! — მივიდნენ. საღამოზე მოვიდა ბიჭი.

— რა მოგვივიდა, ჩემო დაოო, რა გამიჭირვეო. ხომ მოგიტანე, რაც მითხარო?

— ერთი კიდო მაქო თხოვნაო. ტანჯვით უნდა მოვკვდე. ამომავალ ალაგ ერთი გოგოაო და ცოლად მოიყვანეო და ორივე წყვილად დავრჩებითო შინაო.

— დილაზედა წავალო! — გათენდა, ნახა: ცხენი ყურებამდინ ჩაფლულა. იწვალა აქეთ, იწვალა იქით და როგორც იყო, ამოიყვანა. აბანა.

— რა გითხრა შენმა დამაო?

— მაგანაც უნდა შემჭამოსო. მაგას ვიღაცა უბერამსო, ქალი ყოფილაო.

— ბოლო და უკანასკნელია, ჩვენ ეხლა ვერ გადაურჩებით იმ ქალ. ი ქალი არი გამქვავებელი. იმას ორითანა დევი უბიან კარებში. შევიპარებით როგორ-მეო. ეხლა სძინავანო. იქ რო შევალთო, დაჟდები სკამზე, თავი მოიხადეო. რო დაისვენამ: — ბარიშნა წყალი მომიტანეო! ის გეტყვისო, კრუშკა არა მაქსო, ზემოთ ტარელქები ჩამოვიღო და დაგისხამო. იამან და იამან არ დაიზრუ-ქოო. ის მაშინ ზეიდან წყალს დაგასხამს, გაქვავდებიო! — აჭამან, ასვან ცხენს და წავიდნენ. იპოვნეს ის. შეხედეს — დევებს სძინავან, აბიან. ბიჭი წინ გაუძღ-ვა ცხენ. შეიპარნენ, შევიდნენ. გაიღვიძეს დევებმა. შეასწრა, ამანაც შეეიდა სკამზე, მოიხადა თავი და:

— ბარიშნაო, წყალი მამიტანე კრუშკითა, ვსოო!

— კრუშკა არა მაქ, დაიზრუქე და ჯამებ ჩამოვიტანო!

— მე ვერ დავიზრუქები, წელი მტკივაო! — არ დახუვა ნებაზე, ნასწავლია.

— რადგან შენ ჩემზე ეშმაკი გამოხველიო! — შეახედა ოთახში და რატომ სამასი კაცი გაქვავებული არ არი?! — შენ ჩემი ხარ და მეც შენი ვარ!

— მეც ზათ ამისთვინ მოვსულვარო! — გააწყო ქალმა სადილი. სვეს, ჭამეს, ადგნენ, გამოვიდნენ. სირიანი ქალი იყო. დევები სკამზე ძიან. ეს ოთახები ადგა და წამოვიდა. მოვიდა, ოქროქოჩრიან სახლთან რო მოვიდა, დადგა ოთა-ხები. მივიდა იქა, მიიყვანა, წავიდნენ გარეთ, თამაშობს ბიჭი. დაინახეს, გაე-ქანენ, მოვიდნენ კუდიან ბებერთან.

— დიდი, გვიშველეო.

— ქთენ უნა მოისპოთ, ვერაფერს უზამთო! — ოქროქოჩრიანი ქალი მეტი მოვიდა სირზე, კუდიან ბებერზე. ამ სირით ვერაფერი გააკეთა ამ ბებერმა. ბებერი ქალი მოვიდა და:

— მე შენი თავის დაღუპვა მინდოდა, შენი დეიდები შვრებოდაო! — წავი-და დაიპირა, ჩამოიყვანა. ხემწიფემ ეს ამბავი გაიგო. — ეს საქმიები ხდება ჩემ საბრძანებელშიო? — დაუძახა ბიჭი.

— ვინ ხარო?

— არ ვიცი! — დედამისი დაუძახა.

ი ქალიც ამოაყვანინა, ეს ოქროქოჩრიანი ქალ-ვაჟი, რძალი, შვილი.

— რაშია ეს წვალება? ორი-სამი წელიწადია წვალობთ! — თავის რძალ უთხრა:

— სცნობო?

—ესენი ჩემი შვილები არიანო!

— შენაო, — ბიჭ უთხრა, — სცნობდი ამ დედაშენსაო?

— რადგანაც ათი წლისა გავხდიო, მე ეს დედაჩემი ძაღლი ტყავში გახვე-ული ვსცანი, მაგრამ შენი ნება არ იყო და ვერ გავბედეო! — ის თავის რძალი თავის შვილს აგვარა, დაუძახა ლალაი.

— ჩემ ბოსელში ჩადი, რომელიც კარგი ჯორები არი, ასვით-აჭამეთ და ამამიყვანეთ საჩქაროდაო! — ლალამ უთხრა:

— მოდი, აპატივეო!

— მაგას ვაპატივამ, შენ კისერს მოგკვეთამო; თუ ერევიო!

მოყარა ჯვრებს. დაიპირეს კუდიანი ბებერი, ეს ორი ქალი, სამითანა, მოაბა ჯორის კუდებზე და შეუძახა თავლას. ყურის ნიშანი მოუტანეს. დაიპირა ამ ბედნიერმა ხელმწიფემ და ხელმულათ ჯვარი გადასწერა. აბანოში შეიყვანა და ორმოცი დღე და ორმოცი ღამე ქორწილი ქნეს. . .

2. ხემწიფე არტავსა

იყო ერთი ხემწიფე, სახელათ არტავსა. ამას დიდი ჩხუბები მოუხდა. ამ ჩხუბების შემდეგ:

— მე ავდგები და ჩემ ხალხს წვეულობას უზამო!

დიდი წვეულობა გამართა.

— მოდი, ახლა, ცოლებსაც გაუწიო ეს წვეულობაო! — მოიწვია დიდ-რონების ცოლები და, რო ქეიფშიგან არი თითონაც, შეექცეოდა, უთხრა ცოლ-სა, ესთერი ერქვა:

— გამოდი და ითამაშე ამ ქალებშიო!

ამ ქალმა არ დაუჯერა.

— რომ არ დამიჯერე, ეს ქალები გავირდებიან და თავი ქმრებსაც არ დაუჯერებენ და ამ ჩემ დედოფლობიდან დავითხოვო! — დაითხოვა კიდევაც. გაამგზავნა თავი სასახლეშიგან მოსამსახურეები და:

— წადი, მოიარე საბრძანებელშიგან და ახალგაზრდა ქალები მოიყვანეთო, საცოლო უნდა ამოვარჩიოო!

შეასრულეს ბრძანება და, რაც რომ ახალგაზრდა ქალიშვილები იყო საბრ-ძანებელში, მოიყვანეს და ამ სისის ქალაქშიგან იყო ერთი ურია, სახელათ მურთქე. ამას ყავდა ობოლი გოგო—ძმისწული. ჩხუბების დროს გადმოხვეწილი იყო და იქ ცხოვრემდა.

— მოდი, ამ ობოლი გოგოს წავიყვან და სირაში ჩავაყენამო, იქნებ შეხვ-და დედოფლობაო. — მოვიდა ის დრო, ხემწიფემ აირჩია ცოლი, დაიწყო თავიდგან და, რომელიც მეეწონება, ის უნდა აირჩიოს ცოლათ. ჩაჰყვა და მივი-და იმამდისინ სირა. აირჩია ცოლათ ურიის ძმისწული. დაჟდა ეს გოგო დედოფ-ლად და ამას ყავდა ერთი მინისტერი, სახელად ამანი. ამ ამანმა გამოატანა ბრძა-ნება, რომა ხემწიფის შემდეგ ის იცნონ ხემწიფეთ, იმას ეთაყვანონ.

ეს ურია არ ემორჩილებოდა ხომე ამ ამანსა:

— მე მარტო ხემწიფეს ვიცნობ და შენ არ დაგემორჩილები! — ხემწიფემ არ იცოდა, რომ ეს ურია იყო. ამანი იყო ბოროტი კაცი.

— ეს ურიები ძალიან გლახა არიანო და სუყველანი დავახოცინოთო! — მეფეს ეუბნება. გამოიტანა ბრძანება, რომა, რაც ურიები არიან სისის ქალაქში და იმის საბრძანებელში, ყველანი უნა დახოცონ. ეს რომ მურთქემ შეიტყო, ადგა და თავის ძმისწულს მიმართა. დედოფალ უთხრა:

— ეგრეა საქმეო, ეცადე, არ დაახოცინოო!

— შენც იცოდე, თუ ხემწიფე არ გვიბრძანებს, ვერ მივალთ! — იმას მრა-ვალი ცოლები ჰყავდა. სინამ ხელმწიფე არ დაუძახემდა, ვერც ერთი ცოლი ვერ მივიდოდა. ბოლოს დასთანხმდა ეს დედოფალი:

— წადით ყველანი და, რაც ურუმი არიან, ალოცეო და მარცხა დაიჭირეთ სამ დღესაო! — მანამდისინ დედოფალმა გაიხადა თავისი სადედოფლო ტანისა-მოსი, ძაძა ჩაიცვა და ისეც ლოცულობდა. სამი დღე რო შესრულდა, დედო-ფალმა ჩაიცვა თავისი ტანისამოსი, წაიყვანა მოსამსახურენი და ხელმწიფესთან შევიდა დაუკითხავად. კარები რო შეაღო, მიეძინა და დაეცა ძირ, ხემწიფემ უთხრა:

— დედოფალო, მითხარიო, რაც გინდაო. წამოდგა, მაგრამ ხერმულ დაე-ცა ძირ. ბოლოს ხემწიფემ სკიპტრა გაუშვირა და წამოაყენა ფეხზე.

— ნუ გეშინია, ზოგადი სახელმწიფო შენ უნდა მოგცეო.

— შენი სახელმწიფო არ მინდაო, ხვალ შენ და შენი ამანიო სადილად ჩემთან მოდითო! — გათენდა მეორე დილა, მოვიდა სადილის დრო, წავიდნენ ამანი და ხემწიფე სადილის საჭმელათ. რო სჭამეს სადილი, ხემწიფემ უთხრა თავი ცოლსა:

— ითხოვე, მოგცე რაც სათხოვარი გაქსო!

— ხვალ კიდევ მოდით შენ და ამანი სადილად ჩემთანაო!

საღამოზეგან როცა მიდის ამანი სახლშიგან, ყველანი თაყვანს სცემენ. შეხვდა ეს მურთქე და თაყვანი არ მისცა. გაბრაზებული მივიდა სახლშიგან ამანი და უთხრა ცოლსა:

— ყველანი მაქებენ და ეს ოხერი ურია თაყვანს არ მცემს მეო!

— მაგაზე რა ბრაზობ, რა ერსიანობ, გააკეთებინე სახრჩობელა და ჩამოახრჩობინე ეგ ურიაო. — იმ წამსვე გააკეთებინა ძელი და დილაზე ადრე ადგა ამანი. მივიდა ხემწიფის კარებთანა და ბრძანება გამოიტანა — ურია უნა ჩამოახრჩობინოს. თურმე ამ საღამოზე ხემწიფეს სრულიერობით არ დასძინებია. ერთი დიდი ჟურნალი ჰქონია, თავის ავი-კარგი სუ შიგ ჩაწერილი ჰქონია და თელ ღამეს უკითხავ ეს წიგნი. ამ წიგნში წერებულა, რომა ერთხელ ორ საჭურის უნდა მეეკლა ხემწიფე და შეუთყოფინებია იმ ურიას, მურთქეს და მიურიდეო. ამანი რო მივიდა ბრძანების გამოსატანათა, კარები რომ დაურაკუნა, გამოვიდნენ მოსამსახურენი და უთხრეს ხემწიფეს:

— ამანი გიძახისო. — ხემწიფემ უთხრა:

— შემოვიდეს აქაო, — უნდა გამოიტანოს ბრძანება და იმის სამაგიეროთ ხემწიფემ დაჰკითხა წინდაწინ:

— ხემწიფისთვის რო კაცსა ამნაირი სიკეთე ექნას, რო სიკვდილიდან გადაარჩინოს ხემწიფე, როგორი საჩუქარი შეჰფერის ამასაო? — ამანს თავისი თავი ეგონა.

— მაგის სიკეთის მქნელსა ხემწიფის ტანისამოსი ჩააცვანო, იმ ცხენზე შეაჯდუნონ, რომელზედაც ხემწიფე ჯდება და დიდის დიდებითაო თელ ქალაქს შემოატარონო და იქ ხემწიფის შემდეგ ის იხსენებოდესო!

— ეს უყავიო ჩქარა მურთქესაო. — ამაზე გაბრაზიანდა თავის გულში. შესვას უნდა ჩქარა. შეასრულა ხემწიფის ბრძანება, უყო, რაც რომ დაავალა, მურთქესა. სდილზე კიდევ წავიდნენ, დაბარებულნი რომ იყვნენ მეფე და ამანი. სადილი რომ გაათავეს, მეფემ უთხრა დედოფალსა:

— ითხოვეო, რაც რომ შენი გულით გინდაო, უნდა მოგცე ზოგადი სახელმწიფოსაო!

— შენი სახელმწიფო არ მინდა მეო. ურიები რომ სამეტზე გაწყვიტოო, ესენიო გაათავისუფლეო. ბოროტმა ამანმა ჩაგასმინა შენაო. — გაჯავრებული ხემწიფე კარში გავიდა და ეს ამანი მივიდა და დედოფალს შემოეხვია, მანამ მეფე შემოსულა. — არ ჩამაბეზღოო! — მეფე რო შემობრუნდა, დაინახა, რომ ამანი დედოფალ ფეხებზე ეხოვა, მეფემ თქვა:

— დედოფალზე გული გაიბრუდა ალბათ და შეურაცხოფა მიაყენოსო, — იმწამ დაუძახა ჯალათები და: — ჩამოახრჩეთ ამანიო! — წაიყვანეს ეს ამანი და იმ ძელზე ჩამოახრჩობინეს, რომელ ძელიც მურთქეთვის თვითონვე გააკეთებინა.

8. ჩემი გადასავალი

როდისაც თერთმეტი წლისა ვიყავი, თერთმეტი წლის განმავლობაში ჩემმა მშობლებმა გამლახეს, მითხრეს რომა:

— შენ ეს საქმე დაგიშავებია, რომა... — საქონელს ვაძოვებდი, როცა გამლახეს. მაშინ ვთქვი, რომ თქვენთან აღარ დავდგები და სხვა პირს ვაქციე და წაველი სხვა ქვეყანაში. ამ დროს შემხვდა ერთი კაცი, ესე იგი იმან მითხრა:

— კაცო, შენ სად მიხვალ? — მე ვუთხარ:

— დედ-მამისაგან გაპუტული ვარ და მოჯამაგირედ დავდგე! — ამ დროს დამხვდა ხაზეინი, მითხრა:

— რა კაცი ხარ? — ავდეგ, დაუდეგ, ამ ხაზეიკამ ხარები გამატანა და მითხრა:

— წადი ამომავალ წისქვილში, დაფქი ქფილი და მოდი! — როგორც ხამი კაცი ვიყავი, წაველი. იაფუნჯა გამატანა. თან გამატანა ერთი ძაღლი და მითხრა:

— ეს ძაღლი, ეს იაფუნჯა, ეს ხარები მომიყვა წისქვილში! — ავდექ და როდესაც მოველ, არ დაეფქა იმას ქფილი!

— წადი ისევ უკანო, — და რომ მომყავდა, შევხედე, ძალიან ცხელოდა და იაფუნჯა ძაღლ გადავაფინე, ამ დროს შეხედეს სხვა ძაღლებმა და ეს ძაღლი გამიფუტეს და იაფუნჯა დაფრიწეს. მწყემსები მამეშველნენ. მამეშველნენ კაცები. ვიფიქრე: — ხაზეინს როგორ მოვეფერო? — ხაზეინმა მითხრა:

— ეს ამანათები რომ გამოგატანე, რა უყავო? — მეც ვუამბე.

— კარგი, ბატონო, ეგ მიპატივებიაო, აპა, შენ ქფილი დაგიქფქვა და, არდაგანს ვეტყვით (ახლა თათრის ალაგია), წაიღე და გაყიდეო! — როიცა გავყიდე, მაგან დამაბარა:

— რასაც დაგაბრი, იყიდე თვითეული: მიყიდე და წამოიღეი! — რომ გამოვბრუნდი, გზაში მიღმა რჩება არდაგანი და, ურუმების სოფელ ვეტყვით, და იქ დამიღამდა, ფახრელ სოფელშიდა. ამ დროს გამოვთქვი მე ჩემგან: — სად წავიდე ღამე? — დავჯექი იმ სოფელში. ძალიან ციოდა. ამ დროს ერთი ბუხარი იყო და ხელებ ვითფობდი. როდესაც დამთვლიმა, ჩავარდი ამ ბუხარში შით. წავხედე, იმ სოფელშიგანა იმ ოჯახში შეუყვარებია კაცსა ქალი და ერთად გულაობენ. კაი საქმელი... დეიწყო სიარული სახლშიგანა, მერული აიღო და მე დამალული ვარ, როგორც უცხო კაცი, და იმწამსვე თივაში ყველა ადგილი დაჯგვლიმა, არავინ იყვენონ! შიგ თვალებში უნდა შეერქო და, რომ არ დამაბრმავამ, და მაშინ შეშინდა და: — აქ ვინცხიები ყოფილანო! და გეიქცა გარეთ. იმას რაც რომ შემოტანული ქონდა, გამოუდექი ფეშინში. გაველი გარში, დაიმალნენ ხარიებთან. რაც იყო შამოტანული, დავუწყე ქამა. რა ვქნა ეხლა, ციცა. ისევ იმ სოფელში, ავდექი და, ერთი სტრაჟნიკი და შეყვარებული ყავდა, ქალი ისევ იმ სოფლისა. ყავდა ძმიები ქალსა, ყაინი, რომელიც რო სიძე იყო, ყაინების ეშინოდა. შეველი ამ დროს და ჩავარდი შიგ. დაწვა ცოლი და სტრაჟნიკი. ცოლმა წინდა დაიწყო, ქსოვა. მას მოპირებული ყავდა სხვა კაცები. ამ კაცმა რომ დეიძინა, გამეგიდა ამამ შუაშიგან ორი საათი და იმ ერდოდან დაურაკუნა: — ფეხზე ხარ, თუ არა? — წამეგიდა ერთი გორგალი. ის გორგალი მის კალთაში დიეცა. ამ ქალმა უცებ შეუყარა კლავი და განდალა ქმარს გადააცვა და: — გასწიეო! — და ეს ტვიტველა კაცი დაკაპორწიალეს სახლის ერდოზედა. შემეცოდავა მე ძლიერ, ეს კაცი უნდა დაახჩონ. მას ქონდა აყრილი იარაღი,

ბოძზე დაკიდული თოფი, ლიკერი, ხმალი, ყამა. გაეექანე, ეს სატევარი წამოვძარი მის ყაბიდანვე და გავკარი და მოვჭარი თავი. ჩემევარდა კაცი ძირა. მე დეეიმალე. მაშინ შამეშინა ძლიერ. ამ დროს, გამოვიდა თუ არა, თოკი მოუშვი კისრიდანა. ეს ქალი ძის ისევ თავის ლოგინში. ქმრის დახჩობა უნდოდა. ამ კაცმა გამოიფხიზლა და:

— რათ ვარ ტიტველა ამ სახლში შუაგულ? — მე შემეშინა და:

— იცი, შენ რა გადაგხდა თავზე-მეთქი?

— არ ვიცით!

— შენ ცოლს შენი დახჩობა უნდოდა და, თუ ტყვილს ვლაპარაკობ, აპა, კისერზე ნახე თოკი! — გაიკრა და ნამდვილი გამოვიდა.

— გამოდი შენ აქაო: ვინ ქნა ეს საქმეო? — მეც უთხარი.

— შენ ჩემთვისაო საშველად გამოუგზავნიხარ ღმერთსაო! აპა, შენ გამომყე, მე ბევრი ხანია ვიცი, ცოლი ამას შვრებოდა. მე ჩემი ყაინების მეშინოდა, არ მამკლან თავიანთი დის გამოთ. — ამ დროს: — გამიძეხ წინ და ჩემი ცოლი ძმიები, საცა სახლი აქ, იქ უნდა მივიდეთო! — ავდექ და წავყე სახლში. როდისაც მიველით, შავხედე, ცხრა ძმა არიან, დეიძახეს: — მობრძანდი, ეს რა კაცი მოიყვანე შენ?

— მე თქვენი დის გადანახდეული ვალი ამ კაცმა ილაპარაკოს, ეს მიტომ მომიყვანია.

— აპა, ამხანაგო, დაჯექ და გველაპარაკე, ჩვენი დის ამბავი თუ როგორ იქნა და როგორ მოხდა. — თავიანთ სიძეს არ ემოწმებოდენ.

— წინდას ქსოვდა და. . . ყველაფერი უამბე.

— იესე და იესე იყო საქმე, უამბე, ერთმა მეშოკი ასწია, მეორემ ხმალი და: — აპა, წავიდეთ იმ სიძის სახლში, ენიშთის სახლში.

ეს ქალი კიდევ წინდას ქსოვს. დეიჭირეს და ერთმა კლავში სტაცა და ხმალი გადურტყა და გადაჭრა თავი თავის დისა.

— ჩვენ ახლა შენი ახიდან უნდა გამოვიდეთო. — სახსარ-სახსარ დაჭრეს. სიძე მებნევა:

— დაჯე აქა ჩემთანა. ჩემი თავი ამ ყაინებს უნდა მოეკლენო. ახლა შენ გამოგზავნა ღმერთმა საშველათ, დღეს შენგანა ვარ ცოცხალი, რა მოგართვა შენ ჩემი გასამრჯელო?

ასწია და ხურჯინით ოქრო ფული მამცა.

— წადი და დედი რძესიებ ჰალალი იყოსო.

ერთი კაი ცხენი მაჩუქა.

4. ხემწიფის შვილები

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ხემწიფე, ყამდა სამი შვილი. ხემწიფე მოხუცობაში წავიდა. როდესაც სიკვდილ უნდა ესწრო, იმ დროს შვილები მოიწვია და უთხრა ნასიათი:

— შვილებო, აი, მე ვკვდები და თქვენც ჩემისთანები ხართო! როდესაც წახვალთ, სუყველა მხარეს წადითო და დასავლეთ მხარეს ნუ წახვალთო, რო ვინც მიდის, ვეღარ მოდისო!

ამ დროს უთხრა: — თუ ვინიცობა არი მოგიხდათ წასვლა იმ გზაზე, მე

ჩემი საათი მაქ და როდესაც წახვალთ, ეს ჩემი საათი თან წაიღეთო, რო გიშველით ყოველ გაჭირვებაში.

სული ამოხდა მამამის. თავის წესით მიწას მიაბარეს. გავიდა რამოდენიმე ხანი. უფროს ვაჟს მოუნდა ახოტაზე წასვლა. შეიყარა თოფ-იარაღი, ადგა და წავიდა. რომელი გზაც მამამისმა აუკრძალა, სწორეთ იმ გზაზე წავიდა. საათი კი შინ დაავიწყდა. გავიდა ერთ მთაზე, ნახა ჯეირანი. ამას მოკვლა დაუპირა. გაიქცა ჯეირანი. მიდის და მიჰდევს. უნდა მოკლას, — კიდო გაექცევა. მარა ისე ბევრი, რო ერთ ქალაქში შევიდა. თურმე ეს იყო ალი-ქალი. ტახტი ქონდა, შევიდა და დაჯდა თითონ. იყო მუნჯი, ვინც იმას ხმას ამოაღებინებდა, იმას უნდა მიყოლოდა. მერე მოვიდა იმ ქალაქში ეს ბიჭი, მოვიდა, ქალაქი კიდურას ბებერი ქალი ნახა, უთხრა:

— ალაგი გექნებაო (ეს ვაჟი ცხენით იყო), ცხენი დავაბა ამაღამ!

— ალაგი მაქ, მარა საჭმელ-სასმელი არა მაქ.

— ეგ ადვილია, დედო! — ჩამოიღო ერთი ჯაკვი ოქრო და მისცა.

ბებერი წავიდა და მოუტანა ცხენსა, შეჭკითხა ამ ბიჭმა ამ ქალაქის ამბავები. ბებერმა თითო-თითოდ უამბო.

5. ხემწიფის შვილი და დევი

იყო ერთი ხემწიფე, ჰყავდა ერთი ცოლი. ამ ახალგაზრდობაში შეეძინათ ერთი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. ეს ხემწიფე ძალიან ყოჩაღი კაცი იყო და ძალიან ეშინოდათ ხალხსაც და დევებსაც. რომელ ქალაქშიც ცხოვრობდა, ტყიანი იყო. ახლო ჰქონდათ ბინა დევებსაც. რომ შევიდა ხანში, არ შეეძლო მის ვაჟსა მართვა ხემწიფობისა. მაშინ მოვიდნენ დევები და გაანადგურეს, ესენი შეეფარნენ გამოქვაბულში. ამ დევების უფროსმა ბევრი ათვალიერა და ვერსათ მოკრა თვალი. ეს ქალი ხელში გავიტარიოთ ცოლათო! — ამ გამოქვაბულში ბიჭი დავაყაცდა და პირველად იარაღი გამოიგონა. გააკეთა ხე, გახვრიტა შუაგული, შიგ ჩასტვია ჩხარი. უკანიდანაც ერთი ხე გათალა და მიაწვებოდა და ჰკლავდა.

— რით გადავიკიდოო? — თავის დას კარგი თმები ჰქონდა და იმით. ამ დევმა რო დედ-მამა ვერ გაიტანა, მივიდა ერთ დღეს და შეიყვარეს ერთმანეთი. ეს ქალი ამ დევისაგან დაორსულდა. ქალი უფროსი იყო ვაჟზე და იგრძნო, გაგება ჰქონდა, დაორსულება. ძმას აუხსნა:

— დედაჩემა ვინცხა შეიყვარა! — იფიქრა ამ ბიჭმა:

— რა საშვალობა გამოვნახოო? — ვითომდა მოაჩვენა — სანადიროდ მივდივარო! — მიბრუნდა და რომელ სკამზეც დედამისი ზის, იქ შეძვრა და დაიმალა. და წავიდა საგულაოთ. ათვალიერამს ეს დევი და შემოვიდა. ამათ მოინდომეს დაწოლა. ამ დროს ქალი ეუბნევა:

— შენ დაწექიო და მე გარეთ გავალო!

გამოვიდა ვაჟმა და თავი მოსჭრა, და კიდევ ამოუვიდა. თავ მოსჭრის — ამოუდის, შვიდჯერ მოსჭრა და დაიღალა. გაიქცა დედამისი. ერთი ჩიტი შემოჟდა ფანჯარაშიგანა და — ნაცარ-ტუტა, ნაცარ-ტუტა გააკეთე და მოჭრილზე დაასხიო! — მართლაც, გააკეთა, მაშრაფა შეხვდა, დაასხა და მოჭრილზე დაასხა. წაიღო ამის ლეში და დაფლა. აღარ იციან, დედამისი სათკენ წავიდა. და დაბრუნდა სახლშიგან და დახვდა ბიჭი ძალიან გაერსიანებული.

— ძმაო ჩემო საყვარელო, რატო ხარ აგრე გაერსიანებული?

— დედა სათკენ გაიქცა, არ გინახავსო?

— რას გაიქცაო? დედა ჩვენგან რათ უნდა გაიქცესო, ორი შვილი ვყავართო?!

— შენ რომ მითხარი, დედაჩემი კაცისგან არის დაორსულებული, არ იყო კაცისგან, მდევისგან იყო! აი, დღეს რომ დავაპირე სანადიროზე, მე მოვაჩვენე ვითამდაო, დავბრუნდი და სკამქვეშ შევძვერი. ამ დროს შემოვიდა დევი, ავდექი და მოვეკალ დევი. მოვჭარ შვიდჯერ თავიო. ბოლოს ჩიტი შემოფდა ერდოზე და ნაცარ-ტუტა გამასწავლაო. მის შემდეგ აღარ უნახიან დედამისი. ერთხელაც კიდე წავიდა სანადიროდ. დახვდა გზაზე კურდღელი. ამ კურდღელს გამოეკიდა, ძალიან ბევრი ზდია, ვერ მოიგდო სამთში, რომ მოეკლა. ე კურდღელი გავარდა ტყიდანა. პური იყო მოსამკობი და პურში შევიდა. დაუწყო ამას ძებნა, ათვალიერამს, ძალიან დაქელა ე ყანა. ამ დროს მეველე ყორუთში წაადგა.

— ვინ ხარ აქ, რას დეეტარები და ამ პურს მიოხრამო?!

— შენ ვინ დაგაყენა ჩემ უფროსათ, რომ მაგეებს მელაპარაკებიო?! რა დროს პური, ან პური რაა, ეს მითხარიო! პური არ ვიცი, რა არი, მე არ მიჭამია პურიო! (გამოქვაბულში აკი გაიქცნენ).

— პური, კაცო, ამას მოვთიბამთ, წავიღამთ, ბზე ცალკე გამოვაო, პურს დავფქვამთო და მოვზილამთო და ვჭამთო. — ამას ჭკუაში არ დაუჯდა და ანახვა კიდევაც. გატეხეს პური და სჭამეს გემრიელათა. ადგა, ერთი პატარა ნატეხიც წაუღო თავის დას. აუტანა და: — ჩვენ რომ ნადირათ ვცხოვრამთ, აი, პურიც ყოფილა და ჩვენც წავიდეთ და ხალხში შევერიოთ, პური ვჭამოთო.

ამათ მოიწადინეს წასვლა, დაჰყვნენ დაბლა ამ ტყიდგან და შეხვდა ერთი გლეხი. შეხედეს — ტანი დაგლეჯილი აქვანან. ამითი ტანსაცმელი სულ არის ტყავებით, ამან ხელი აუღო, თათრებმა რომ იციან. არ იცოდა როგორ უნდა ეთქვა! იმანაც ხელი აუღო.

—რა კაცი ხარო? რას ამბობ, კაცო, ვინა ხარო? — ამას იმისი არ ესმის... ამის მოენე ნახა. გამოელაპარაკა და უამბო, რაც გადახდენოდა, ეს სცხოვრობს. გავიდა და ეს ამბავი გავრცელდა ქალაქში. თურმე ყოფილა ხემწიფის შვილი. ეს ადგილიც ყოფილა ამისი მამისა. გაიგეს, ვინც რომ მამამისის დროს მინისტრები ყოფილან. წამოვიდნენ და იპოვეს ეს ბიჭი.

— შენ ყოფილხარ ჩვენი ხემწიფის შვილი და გვსურს ისევ ხემწიფეთ დაგაჯდენოთ.

—ხემწიფობა რა არის, ან როგორ უნდა გავაკეთო?

—აი, შენ ჩაგაცვამთ კაი ტანსაცმელს, მიგიყვანთ, კაი სახლებს დაგიდგამთ, კაი შტოლს და მისცემთ ხალხს ბრძანებას.

— მე რა ბრძანება უნდა მივსცეო?

—აი, მე გეტყვიო, ხალხი ყველაფრათ უნდა დაკმაყოფილო, ჯარი გაიწვიო და ნელ-ნელა შეისწავლო! — მართლაც, შეისწავლა, და კაი ჩინებული ხემწიფე გახდა.

— შენ რომ ხემწიფე ხარო, ქალი უნდა ითხვიოთო!

— რათ მინდა მე ქალიო? არ ვიცი! — ყველაფერი აუხსნეს. დასთანხმდა. წავიდნენ და სხვა სახელმწიფოდან ერთი ქალი ითხვიეს... დაიწყო ამან ძალიან საუკეთესოდ მართვა-გამგეობა სოფელშიგან. სანამდისინ ეს მოსულიყო, იქამდი სხვა იყო ხემწიფეთ. ეს რო გადაყენებული იქნა, ამან ძალიან ინტერესი ჩაიდვა

გულში — როგორ თუ გადამაყენესო? ამას დაუმეგობრდა ძალიან. ამანაც მიიღო. პურს ერთად სჭამდნენ, რომ სამთში მოიგდო, ეს ახალი ხემწიფე მოჰკლა. ისოვ თავისი თავი გამოაცხადა ხემწიფეთ. რომლებმაც რომ მოიწადინეს პირველის გამეფება, იმათა სუ კბილები დააძრო.

6. აბესალომ და ეთერი

ერთი ძალიან ფუხარი იყო და შიეძინა კაცსა, არათუ ქალსა. როცა რომა დრო მოვიდა, ფერდიდან ამოუღეს დოხტურებმა. რათ უნდოდა, ძუძუ არ ჰქონდა და გადაისროლეს ნეხვზე, ნაკელზე. უპატრონეს სოფელმა და გაზარდეს. ბატებ აძოვებინებდნენ. ადგა და ამას სძინამს. ეს აბესალი წავიდა ქვეყნის დასავლელადა. ქალი უნდა ითხოვოს, ხემწიფის შვილმა. იარა და საცა გავიდა, აღარ შეხვდა იმნაირი ლამაზი ქალი, რო წაიყვანოს, გაიარა, რო ბატებს აძოს ეს გოგო და თვალი მოჰკრა. დაადგა თავს და გოგოს სძინავს და ნამეტრავად ლამაზია და მშვენიერი. რა უთხრას, როგორ გააღვიძოს. ემღერება:

აბესალომ და ეთერი,
ღმერთმა შეჰყარა ერთფერი.

გოგომ გამოიღვიძა.

ნიშან-ნიშანსად გეძებდი,
შენ გული-გულსად გეძინა,
დაგსხმოდა კუკული ოფლი,
ბროლისა მკერდიც გეჩინა.
ეგ ლამაზი გიშრის თმანი
გადაგეფინა შამბისკენა.

გოგომ გამოიღვიძა, შეხედა ხემწიფეს:

შენ დიდი ხარ, დიდებული,
მამით-პაპით ხარ ქებული,
მე ობოლი, ობლის შვილი,
ობლობით ვარ დაჩაგრული.
წახვიდე, არ წამიყვანო,
დაერჩები წყალწაღებული.

ახლა აბესალი ებნება:

ეთერო, შენსა მღალატსა,
ეთერო, შენსა მღალატსა,
შვიდი წლის ნავალსა გზასა,
შვიდი წლის ნავალსა გზასა
წყარონიც დაშრომოდესო,
წყარონიც დაშრომოდესო!
ეთერო, შენსა მღალატსა,
შვიდი წლის ნავალსა გზასა
საგძალი შემოსწყვეტოდეს.
ეთერო, შენსა მღალატსა,
ეთერო, შენსა მღალატსა,
ომში ყოფნიერსა კაცსა
ხმალ შუაზედ გადასტეხოს.

ეოგოს ებნება:

— კარგი, აბაო, დაყარე ბატიბუტიო, რაღათ გინდაო!

— უნდა ჩავაბარო ბატი, რომ არ მოვიდეს მარტი. წავალ სახშიო... — მამას უთხრა:

— შვიდი დღე და შვიდი წელიწადი ვეძებე და ძლივ ვიპოვე ლამაზიო! — ადგა წამოვიდა.

აბესალომ ადგა გზასა,
ეთერსა საქორწილოთა,
აბესალომ ქორწილი ქნა,
დაპატიჟა, რაიც იყო,
მურვალ თავში დააყდუნა.

ქნეს ქორწილი. რომელიც რა იყო მურვალი, იყო ვეზირი. რო შეხედა:

— რა გიეწყობა, უნა ჩამოვაცალოო. — ადგა, წამოხდა და გამოიქცა და დაუხვდება კუდიანი ქალი, ბებერი.

— მე ვიცი შენი დარდიო! მაგის წამალიც ვიციო. რასაც ითხოვ, მოქცეო. შენი სული მე მამეციო!

— კარქიო! — გაუკეთა ქახალდი.

— აპა, შენ წადიო, ეგ თვითონ გამოაგდამსო! — როცა დაწვნენ, ბებერმა ერთი კოდი ფეტვი გადააყარა. ეს ფეტვი გედეექცათ ტილად და ბუგრად. ამას შვიდი მჭრელი და შვიდი მკერავი თავს დააყენა, ვერ გაასუფთავა. გაუჭირდა ამასა, თავის დიებიც ყავდა. უთხრეს:

— რა მოიყვანე ჭუჭყიანი? გააგდეო! — ამას ძალიან ფიცი მიცემული აქვს და გააგდოს.

ქალი ვის უნდა ეთერი,
ოქროსა გვირგვინოსანი!

წაადგა მურვალი:

ქალი მე მინდა ეთერი,
ოქროსა გვირგვინოსანი!

აზესალმა მისცა ქალი, ჩააბარა. მივიდა ეშმაკმა და ხელათ გაასუფთავა. როგორც ადგა, წაიყვანა. ჩავარდა ავათ აბესალი. ნახევარი კაცი არ არის და უნდა ნახოს — კიდო ის მატლიანია? გავიდა, ნახა მურვალი და ებნება სიმღერით:

— მურვალ, მურვალ შენსა მზესა,
შენი ცოლი რა რიგია?
— ცადამწვარო, რას კითხულობ,
ცოლის ქება რა რიგია.
ყაპას ართავს და აბრეშვიმს,
წიგნი ხელათ აუღია,
დედამთილი თმასა უწნის,
მული პირის ფარეშია,
მამამთილი ერდოს არი,
ეეშაპების მულაპავია.
შვიდი მაზლი კარსა დგია,
ალმასითა შელესილი.

მიეშალა ფერდი, მოუგდო მურვალს გვერდი და წავიდა სახშიგან. რა ქნას ამან? ჩავარდა ჩიხოტკაში. ადგა და თავი დიებს უთხრა:

— აპა, თქვენ იცით, მომარჩინეთ!

ამათ გამოაცხვეს ლამაზი ხმიადი და წინ აუყუდეს. შეხედა:

—ლამაზი ხარ, ხმიადო, მარა ჩემი ეთერი კიდე მეტი ლამაზიაო! — ადგა და წავიდა დიდი და.

— ადე, შე ურჯულო, ჩემი ძმა ნახევი!

— წადი მანდედანაო! — მურვალი წავიდა ამ წასვლამდისა. ჩხუბი გაიმართა და მივიდა.

— მე მივდივარ ომშიგან. აგერ, ზარბაზნებ ისვრიან, მოდის მონატეხი ლომისასაო! ცხრა ძმანი იქვე არიანო.

შენ ჩემზე ლაპარაკობო?
გავიხდი ატლასობასა,
წამოვალ დარბაზობასა,
ისრე შევალ, ისრე გავალ.
როგორც ძმა და სიება.

ადგა და წავიდა. წავიდა ახლა მეორე გოგო. სამი და ჰყავდა.

— შე ოხერო, შე მუდრეკო, მოდი!

— გემეცალე აქედანაო! — ადგა და ერთი პატარა და ჰყავდა კოჭლი და ამას გული ეწვის.

ჰაადე, ეთერო, წამოდი,
ძმაი მყავს სულზე დანაო,
მარტი, აპრილი, მაისი
იქიდან მოვდივარ გზასაო.
ჰაადე, ეთერო, წამოდი,
ავიღამ ბარსა, ნიჩაბსა,
გაგიხეთქ მიწა-ქვიშასა,
წინ დაგიგამ მარმალილოს,
ფეხი არა კრა ქვიშასა.
ჩამოგიკიდამ სურათსა,
სასუნველსა ვარდისასა.

— რა პატიოსანი სიტყვა მითხრა და მწყალობდა კიდევაც წინად და წავყვებიო! ადე, წამოგყვები. სახლში კი არ შევალო. — მიდის. აბესალმა გაიგო.

— აგგერ ეთერი მოდის,
ცხენი უბოძეთ უნაგრიანი,
მორთული ოქროთი და ვერცხ-
ლითაო,
თვალის მარგალიტითაო.

ადგა, მივიდა ეთერმა. შედგა დარბაზსა თუ არა, შეხედა, ხემწიფის ხალხი ირევა. ჩაიხედა, მაშინვე წააქცია, თვალი ვეღარ გაუმართა აბესალმა. ახლა ეთერი ებნება:

აბესალომ ესიაო,
პირი გვერდზე გექციაო.
გადმობრუნდი, შემომხედე,
ავი არა მიქნიაო!

·იმანცა:

აბესალომ და ეთერი
ღმერთმა შეყარა ერთფერი.
აბესალომ, ჩემი დანაო
ჯიბეშიგან მიდევს თანაო,
ამოვიღებ და დავიცემ
მარცხენა ძუძუსთანაო!

.ამოიღო ალმასის დანა და სიმღერით ეუბნება:

მიდექ-მოდექით განაო,
საკმე მაქეს აბესალთანაო,
ამოვიღებ და დაეიკრამ
მარჯვენა ძუძუსთანაო.

წაიღეს და დაასაფლავეს წყვილად. ამოვიდა ვარდები. ამ ურჯულო მურვალმა გაიგო, იპოვნა, მივიდა, გასწია საფლავები და შუაში ჩაწვა. მოვიდა ეს ბებერი ქალი და:

— ჩემი სული მამეო! — და ამოცალა. ამოვიდა ჰეკალი და უნდა მიეხვევ-ნონ და ჰეკალი გააშორამს.

7. როსტომი

როსტომი მამას ერქვა ზალი. ამას ეყოლა შვილი — როსტომი. ერთ ხევში-ვან შეიარა ღელეში. შეიხედა, რო ამ კლდიდან სისხლი გადმოდის, წვეთ-წვეთი.

— მოდი, ერთი ავალ აქ! — ავიდა, რომა ერთი არაბია, ეძინება. დაუტოვია ხრმალი ყამა: რო დიეძინება, ამ ყამაზედან შუბლს დაკრამს და ერთი წვეთი ·სისხლი გადმოდის და გამიეღვიძება. რაკი არაბმა დაინახა ეს კაცი:

— მტრულად ხარ თუ ძმურად?

— ძმურად!

— აპა, კარგი, შენ გენაცვალე! მე მენდობიო, როგორც ძმაო. — დაიწყეს ·საუბარი.

— რატომ შენ შუბლს დასცემ მაგ ყამაზედან?

— უნდა გამოატარონო მზეო, ხემწიფის შვილიო სხვათა, არაბებმაო, და .არ დამეძინოსო, იმიტომ დავსხამ იმაზეო, არ გამომასწრონო.

—აბა, მაგ სატანჯველ ნუ ივლიო. დაიძინე შენაო!

— შენ ადი ამომავალ სერზე. დიდი ადგილი გათხარეო. იქ რო გათხრი, მზე რო გაწითლდებაო, უკე იმას მოყავს ქალიო. მეტი სიმშვენიერითო იმაზე დაიჭირე თვალიო და შემატყობინეო. ეს არაბი რას ებნევა, — ადგა და არაბს მოყავს ქალი, სხვა არაბს.

— ჩვენმა ძალამ არსად გადაგაგდოს, ჩაეფარე ამოთხრილშიო. — იმათ რო ·ჩხუბი დაიწყეს, ქვა და კლდენი ხარიდენ ერთმანეთსა. ადგა და მიეხმარა ეს ·როსტომი. არაბ კისერი მოკვეთესა.

— ამრაინი შავ არაბ ყავდეს ეს ქალი და მე არაო? — მივიდა და უჩუმ-·რად მოკლა ძილშიგან ეს არაბი. წამოიყვანა ქალი. როსტომი განთქმული კაცია ·ძალიან, თავმამწონო. ერთ ღამეს ერთათ იყვნენ და ქალმა აღარ მოიწონა ქმარი, ·რო:

— დედაკაცურად ქენი ეგ საქმე, პირდაპირ მოგეკლაო! — გაგულისდა ეს როსტომი და წავიდა ოსმალეთში. დაბარა თავის ქალსა:

— მე უეე მივდივარ. თუ ვაჟიშვილი გეყოლა, ჩემი ხმალი, ჩემი ცხენი და ქუდი, ფეხზე აბრეშუმის ბუზანგი, ეს ქონდესაო! თუ არაო და ქალიშვილი თუ არაო, წითელი ბაირაღი დაარჭეო! ვაჟიშვილი კი ამ ნიშნით ჩემთან გამოგზავნეო! — ადგა ეყოლა ამას ვაჟიშვილი. რო დაიბადა, აწონეს, ცხრა ფუთი იქნებოდა. მაშინ გაზარდა ეს ბავშვი. თორმეტი წლისა რომ გახდა, საცა გაივლიდა და ვეღარასფერი უძლომდა! გამოარდა ბიუმა, უთხრა:

— ეი, შე ბუშო, შენ რო კარგი იყო, ამომავალ ადგილას მამას მიეხმარებიო! — მივიდა დედამის უთხრა:

— აბა, ძუძუ მინდა!

— რა დროს შენი ძუძუა?

— არა, დედა, მაინც. ნატვრა მაქვსო! — როის მისცა, ძალიან გაამწარა, მოუჭირა კბილი.

— დედა, მამა მყავსო თუ არაო? — დედამის არ უნდა გააქციოს შვილი.

— არა გყავს, შვილო, მამა! — არ მეეშვა.

— აპა, წადი მამაშენთან, მაგრამ მალე დაბრუნე მამაშენი და მოიყვაო! — ადგა და გაატანა, როგორც თავი ქმარმა დაბარა შვილსა. შვილს ზურაბი ქვია. ადგა და წავიდა სტამბოლში. გზაშიგან შეუხვდება ერთი კუდიანი — შვილო, სირცხვილი არ არის, რო ქალურ ყაიდაზე დადიხარო? მოიხსენი, ჩააწყვე ცხენის ხურჯინშიო! — ეს ბიუი კი კითხულობს:

— სად არის მამაჩემი?! — ადგა გავიდა სტამბოლში. ძალიან მიღებული ყავს ხემწიფეს როსტომი. ეს ბიუი რო ყავახანაში შევიდა, რომელ ხალხსაც მოუჭირა ხელი, სულ წელები ანტვრია.

— დაუიდვა იციო?

— ვინ იქნება მე დამეუიდოსო! — ამბავი აიტანეს როსტომთან.

—აპა, ერთი კაცი მოსულა და დაეუიდეო!

— კაცო, ჩემი დამუიდავი კაცი ჯერ არ დაბადებულაო! დავეუიდებიო. — გამოვიდნენ მეიდანზე, დაანგვრიეს ხალხი, გამართეს ჭიდაობა. ასწია მამამისი და დაახეთქა ძირ:

— დღეს არა მცალოდა, ხვალ დეგეუიდებიო. — წავიდა, დანა აღვში გალესა და გამოვიდა ჭიდაობაზე მეორე დღესა. გაჭკრა ფერდშიგან და ბიუი დაადო ძირ.

— შენ, ბერო კაცო, რათ მამკალ,
ხმალი მავლევი ვაღამდი.
შენ მამაჩემსა როსტომსა
სად ემალი სადამდი?
ზღვაში შეხვალ, შემოგყვება,
ხმელეთ ვერსად ემალი.

როსტომა დაიყვირა: — ეს ჩემი შვილი ყოფილაო! — გაგიედა.

— აი, შე ყაკო, ყაკის შვილო,
აი შე ბოზო, ბოზის შვილო,
ჰანი როსტომის ნიშანი?

— ხურჯინს თავს ადგია და ნიშანი და იქა ნახეო!

— ჩემო თათაოზ ნეფეო,
შენთუნ შეეები დეესაო,
წამალი გამამიგზავნე,
ზურაბ მიკვდება ხელსაო!
წამალსაც გაუგზავნიან
გიჟი დიაკვნის ხელსაო,
წამოკრა ფეხი, დაღვარა,
აიმსვა მისი ცოდვითა.

ორმოცი წელიწადი შვილი კალთაში ეტვია და მოისვევა.

8. ხემწიფის გოგო

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხემწიფე. მოხუცდა და ამას შვილი არა ჰყავდა. მოხუცობის დროსა, თავის სიბერისა, ეყოლა შვილი. მაშიე პირბადე ქონდა ბოვშს და ძალიან მშვენიერი იყო, რო მეტი არ შეიძლებოდეს. უთხრა, რო:

— რომელსაც აწი დაყვება, მაგრაინი უკეთესი მშვენიერი იქნებაო, გაიზრდებაო! — მართლაც გაიზარდა, ძალიან მშვენიერი იყო, რო მეტი არ შეიძლებოდეს. ამან გასა ბრძანება თავი სახენწიფოში, რო:

— აბა, ვინც ხართ ყოჩაღი, მე ხენწიფეს არ უყურამ, მე მივცემ მისთანას, ვინც რომ ვაჟიკაცი იქნება! — სახელმწიფოში დარიგდა ტელეგრამა, ყველას მოუვიდა. ერთი ხენწიფე იყო, ამან სთქვა, რომა:

— ე, მეც გოგოები მყავს და რა ვქნა, ვინ გავაგზავნო? — დაეძენ, პურის ჭამაზე დასხდენ. ამოიოხრა მამამისმა. შვილებმა გაიკვირვეს:

— მამა, რატო ამოიოხრე, რა მოგვივიდა?

— აბა, არ უნდა ამოვიოხრო?! შვილებო, ეხლა ბებერი კაცი იყო ხენწიფე და შვილი ეყოლაო და ქვეყანაზე იმაზე ლამაზი არ დაჩარებაო. და თქვენ რო ერთი და ერთი ბიჭი იყოთ, აგგვრიო იმასთანაო!

— აპაო, ცხენი მიყიდეო, — დიდმა უთხრა, — და მე წავალო და მაინცა მარიფათობას ვაჩვენამო! — უყიდა ცხენი.

— მამეცი ხმალიო! — ჩააცვა კაცური ჩოხა-შარვალი. შეჯდა ცხენზეგან, ახსენა ღმერთი და შეედა და წავიდა. ამ მამამისმა სთქვა:

— წავიდე, მარა ვნახო, შევაშინამ თუ არაო? — თვითონ ერთი რაში ცხენი ჰყავდა. შემოახტა რაშზეგან, გადოუარა და წინ გადუხტა.

— გაჩერდი, შე მამაძაღლო! — შეჰყვირა. ცხენი ჰყავს, რო ცეცხლსა ყრის. ამ გოგომ იფიქრა, დაბრუნდა და გამოიქცა სახლისაკენ. მოვიდა სახშიგან და მამამაც მოასწრო სახში.

— შვილო, რა ჰქენი?

— არაფერი, მამა!

— შენ ვერ იზამო, შვილოო! — მეორემ უთხრა:

— მამა, მე მიყიდე და მე წავიდეო! — უყიდა მეორესაც უკეთესი უმფრო. იმასაც აგრე. წავიდა, კიდო გადაუხტა წინ.

—გაჩერდი, შე ბოზო მამაძაღლო, სად მიდიხარ? — ამასაც შეაშინა, მოკურცხლა და გამოიქცა უკან. მესამემ უთხრა, რო:

— მამა, მე მიყიდე ერთი ცხენი! კაი ცხენი იყოსო! — წავიდა, უნა უყიდოს ცხენი, მარა ვერსად უშოვნია, ამის საფერო არსად არი. გავიდა ზღვი პირას, ერთი კვიცი დაიჭირა. ამან წაავლო ხელი და წამოიყვანა.

— აჰა, შვილო, კვიცი. აბა, ამრაინ ადგილ დავაბათ ესა, ახორში, რო სინათლე არ უნდა იყოს! — მოუარა თვითანმე რამდენიმე თვეში, ჰექმათი რამე გახდა. გამოვიდა, ერთ ადგილ დარჩენილიყო, მზეს დიეცხო. კიდო დაბა, ექვსი თვე კიდო მოუარა. ნახა გოგომ, რო:

— აპა, მე უნა წავიდე!

— წადი, შვილო. ვნახო მეორეებივით იქნები თუ როგორ იქნები? — შეედგა ცხენზეგანა და განიავდა. მამამისიც შეედა ცხენზეგანა და გამეეკიდა ამას. მიიხედა უკან გოგომ, ვინიცაღა მოდის.

— ვნახოთ, რა სწადია, ერთი? — მოვიდა ამ გოგომ უფრო აულელავა. დეეწია, ამოიღო ხმალი.

— გაჩერდი, შე მამაძაღლო, ვინ ხარ, მიდიხარ გზაში? — როგორც რო ეს უთხრა გოგომა, ხმალი ამოიღო და გადასჭრა, უთხრა:

— შვილო, არ მამკლა, მამაშენი ვარო! — კარგი, შვილო, წადი და ღმერთმა ხელი მოგიმართოსო, ყოჩაღი ხარო! — მივიდა იმ სახენწიფოში. გაუმართია სამასი საკენი სიგრძე და სამასი საკენიც სიღრმავე, რომ ვისი ცხენიც გადავა აქ, ჩემი ქალიც იმას უნდა მივსცეო! ადგა და ეს გოგო გავიდა (კაცური ტანი აცვია). რაში იყო. რა დაუდგებოდა! სამასი საკენი კიდო იქით გადახტა. დაიჭირეს ეს კაცი.

— აბა, შენ სიძე ხარ, სიძე ხარ! — მაგრამ რა უყოს, რო ქალია? რა ქნას ამანა?

— მეც ქალი ვარ, ესეც ქალი! — იძახის. ადგნენ, ქორწილი უყვეს ამას. როიცა რო დაბოლავეს საქმე, ორმოცი დღე და ორმოცი ღამე გარდახში გადასცეს. შეეიდა, რა ქნას? აბა, უთხრა: — დაწექიო! (ამან ჩაიტვია, ბაწარს რო დაგრიხეენ). გახადა ტანი და ამას მისცა და მისცა, ამ გოგოს. იმოტოლი ცემა, რო თითქმის მოკლა ცემით. ურტყამს ზეიდან. მოვიდნენ, რო:

— რა ამბავია, რათა სცემ?

— არაფერი ამბავი არ არი!

— მამაშორეთ, ამის, ამის არაფერი მინდა!—თქვეს, რომა:—ამაღამ არაფერი და მეორე ღამეს ვნახოთ, რა იქნება! — მეორე ღამეს ყარაულები დააყენეს. კიდომ მაგფრივ რომ დააწყობინა, ცემა რო დაიწყო, შეეიდნენ და უთხრეს: — რათა სცემ, კაცო? — ხელმწიფეს უთხრეს: — რა უყოთ ახლა? ვინ ხართ იმრაინი კაცი, ვინ იქნებით, რომ ეგ იმრაინ ადგილს გავგზავნოთ, რომ ვეღარ მოვიდეს? — ამან გაიგო, კუდიან ბებერმა უთხრა:

— მე მაგას იმრაინ ადგილ გავგზავნი, რო ეგ ვერ მოვიდეს. მითომ შენ ავათა ხარ, — ხენწიფეს ეუბნება, — და წამალი მოატავინე მაგას, სადაც მივა და ვეღარ მოვა. უთხრა ხენწიფემ:

— სად უნდა წავიდეს?

— ჭინკების ბახჩაში. იქ წავა და ვეღარ მოვაო! მოგიტანოს იქიდან ვაშლი, რომელიც ქვია ჯანნათალმა. იქ რო შეეაო, არც შეუშვებენო და არც გამოუშვებენო! — დაიბარა ხენწიფემ:

— შვილო, მე ძალიან ავათა ვარ. ამომავალ ადგილს უნდა წახვიდე, ეს ჯანნათალმა უნდა მომიტანო!

— კეთილი, ბატონო! — ადგა, შევიდა სახშიგან. ჩავიდა ცხენთან.

— ცხენო, მე არაფერი არ ვიცი! ვნახოთ, რა ამბავი უნდა იქნას ქვეყანაზე-

— დიდი ძნელი საქმე არისო და ვერაფერს გვიზმობენო, მარა უნდა აიტანოო. იქ რო მივალთ ჩვენაო, პირველად დაგხვდება ჰეკალიო. მოწყვიტამ და შესვამ იმ ჰეკალსაო. იტყვიო: ეიფ, ეს რა კარგი ვარდის ბალახიაო, ასე გემრიელიო? დაილოცოს შენი გამზდელიო! მერეო შუაში ვეშაპიაო. ამოიღე ხმალიო და რაც რო გეძალებაო, დასცხეო და შუაში გადაწყვიტეო! გზას მოქცემსო. ნახევარი იქით დაგვრჩება და ნახევარი აქეთო! გავივლით იქაცაო. მესამეთ არისო სისხლი და შარავიო. ერთი სტექანი შარავს დალევო და იტყვიო: ეს უცეცხლო თაფლია, რა არისო. სისხლსაც დალევ და იტყვიო, რო რა არი, კახური ღვინოაო, ასე გემრიელი? მაშინაო ისაც გაგიშამსო. როიცა რო შევალთ ბაღშიგანო, კრიფე ვაშლი და ყარე ხურჯინშიო. მერე აქიდან წამოვლენ და დაგვედებიანო. უკან არ მოიხედო, თვარა გაქვავდებითო. მაგრათ დაჯექი, მე წამოვალო. როიცა რო გამოივლიო, აგრე უნდა მოიქცეო, რო გამოვასწრამთო. დაუძახამს სისხლი და შარავს დაუძახებენ ის ჭინკები: დაიჭით ჩვენი მტერიაო. შარავი და სისხლი იტყვისო: ამანაო კახური ღვინო და უცეცხლო თაფლი გაგვხადაო და სხვა რო გამოივლის, სუ ზედ გვაფურთხებენო, — როგორ დავიჭერ მაგისთანა კაცსაო? მაშინაო იტყვისო: ვეშაპი დაიჭირეო, რო ჩვენი მტერიაო, იტყვის, რო მეძინაო და შუაზე გადამჭრაო, აღარ შემატყობინა ჰეკალმა, ნახევარი იქით ვაგდივარ, ნახევარი აქეთაო. ეეღარ გავნძღრეულვარო. დაიჭით ჰეკალიო, ეტყვის მაშინ იქიდანაო. ჰეკალი ეტყვის, რომ მე შაქარ-ვაშლი, იავარდი გამხადაო და ამას როგორ დავიჭერო? რო გამოივლით ხოლმე, სუ ცხვირპირში მცემთო და ამანაო წადიო, მაშინ იტყვის, დაგწყევლამსო. თუ ბიჭი ხარ, გოგო გახდიო, თუ გოგო ხარ, ბიჭი გახდიო. მაშინ ბიჭიც გახდებიო. იარაღი გემეგებმებაო. — ამას ცხენი აკვალამს ჯერ. — ხო გაიგეო, ჩემო პატრონოო? თუ მოიქცევი ასეო, გავიმარჯვებთო. ასე ასწი მაგ საქმესაო, რომ წავიდეთო!

— ავსწევ, წავიდამ, თაღ ბიჭი გავხდე! — ადგნენ და წავიდნენ, გასწიეს ჭინკების ბახჩაში. როგორც ელაპარაკა ცხენი, ისე მოიქცა ბიჭი. შევიდა, რო დაკრიფა ხილი, გამოიქცა და წამოვიდა. იმრაინი ყვირილი შექმნეს ამ ჭინკების ხემწიფემ, რო ამათი წივილ-წრიპინი ცაში ადიოდა:

— დაიჭით ჰეკალიო!

— ვერ დავიჭერ, შაქარ-ვაშლი ვარ მე.

— დაიჭი სისხლი და შარაო! — ებნება კიდო.

— თაფლი და ღვინო ვარო.

— ვეშაპი დაიჭიო!

— გადაჭრილი ვარო, მეძინაო.

— წადი ჰიმსნის შვილო და გოგო ხარ, ბიჭი გახდიო და ბიჭი ხარ, გოგო გახდიო! — მართლაც არ იტყვი? გზა გაიარა, ამ უნაგირზე ტრაკატრუკი დაიწყო ამ ოხერმა.

— კაცო, ამ შარვალში ხო არ ამიმძიმდა, მართლა ხო არაფერი ქნა? — გაიკრა ხელი და თითქმის და თითქმის ერთი არშინი აქ. ამას ძალიან გეეხარა.

— ჰაა, ხარისა აღარ დამჭირდებაო, — ცემა აღარ უნდაო! ადგა, მივიდა, ხემწიფეს გეეწყინა, რა ქნას? ამან თქვა:

— იქ რო გადარჩა, აქ მაშ არაფერი დაუდგება წინ, აგვაოხრამსო. რა უნდა უთხრათო? — ეს გოგო ტირის, რო თავს იკლავს. დაღამდა, უთხრეს:

— აპა, შედი! — გოგოს ებნევიან. მაგრამ რა შევიდეს! სცემს. შეაგდეს ძალა-ძალით. ყარაულები უნა დაუყენოს, მაგრამ რას დაიხსნის? ვერაფერი უქნია შიშით, ხმა ვერ გაუცია! შევიდა თუ არა, ჩემი ხარ ბატონო, ეს ბიჭი გახდა აწი, არა? დამუწა მაშთავე ეს ქალი და ატლიკა. აღარც რეზინი დასჭირდა და აღარც არაფერი. ამათ კისკისი, სიცილი, ხოვნა-ყოცნა (მე უყურებდი) ზეცას ისმოდა. ხენწიფეს ამბავი შეუვიდა:

— კაცო, რაშია საქმე? — ესენი ისე დაიღალნენ, ისე მოხოულნი არიან, რომა ჩვიდმეტი კოკა წყალი რო ჩაასხა, ვეღარ გაჰყრი ერთმანეთსა. შვიდი დღე და შვიდი ღამე შიშით ვეღარავინ შევიდა და იმათ კიდევ სძინამთ. ისე მიკრული არიან, იტყვი — ფისი დაგისხიაო ამ ურჯულოებისთუნა. როიცა რო მორჩა, დაუძახა ხენწიფემ ბიჭი.

— შვილო, რაში იყო საქმე, რომა ვირამდი გაგზავნე, ტირილი იყო და ახლა კი შეჰყვარდით ერთმანეთსა.

— რაში უნდა იყოს საქმე? მე ვიყავი ქალი, ტარახჩი აღარ მქონდა და რა მექნა. მეცა ხარის ტარახჩი მქონდა და ვცემდიო. ახლა როიცა რო წავედი, ვიცოდიო, შავიძინეო. — მაშინ კიდო ხერმეოლეთ დაჰპატიჟა დიდი ქორწილი. მაშინ თუ ორმოცი დღე და ორმოცი ღამე უყო, ახლა ოთხმოცი დღე და ოთხმოცი ღამე ქორწილი უყო.

— ვინა ხარ შენაო? — გამოჰკითხეს.

— აპა, წავიდეთ ჩემ დედ-მამასთანაო! — მაშინ გამოგონილი არ იყო ავტომობილები და ფაეტონი იყო. ჩაჯდენ და წავიდნენ დრაგადრუგით, მივიდა მამასთან.

— მამაო, ააო! — და აჩვენა ტაბიკი. დაუჯერა მართლაც იმანაც. ერთი ორმოცი დღე და ორმოცი ღამე ქეიფია. ადგნენ და გამოისტუმრეს. მოვიდა ამ ქალის სახენწიფოშიგან და დიდი ნეფობა გასწია.

9. ანთანდილი

იყო ერთი ხენწიფე. ქალიშვილი ჰყავდა და ვაჟიშვილი არ ჰყავდა. თავისი ძმისწული იშვილა და, როიცა რო გაიზდენ გოგო და ესა, შეითვისეს და იმრაინი შემძლე კაცი იყო, რო მეტი არ შეიძლებოდეს. ამ კაცმა თქვა, რომა:

— ვინ იქნება იმრაინი გმირი, წავიდეს ქაჯეთის ხენწიფესთან და ხარჯი აიღოს, რა, ვეღარ ამიღია მე! — ძმისწულმა უთხრა, რომ:

— მე წავალ და ავიღამო! მაშინ მომეცით ჯარიო! — წაასხა ჯარი თავის სურსათითა და თავის კაკკით-მაკკით, ყველაფრით, დროგით. ავიდა, მოსთხვია:

— ხარჯი უნდა მამცეთ! — იმრაინები იყვნენ ისინი, რო ჰიმსნის მჭამლები იყვნენ. უთხრა:

— ხარჯ მოქცემთ შენა, რასაც რო გეტყვით, თუ აასრულებო. ორასი კაცისაო საჭმელიაო ქვაბითაო. ამას თუ გადმოდგამ და შესჭამ! — ამ კაცმა უთხრა:

— ეგ რა არისო? კიდო ერთი მაქტენი იყოსო! — გადმოდგა და შეჭანა. მაშინ ამათ ძალიან შიეშინდნენ: უთხრა:

— აბა, ჯარი უკან გააბრუთ და მოგცემთ ხარჯსაო! — შვიდი წელიწადი არ იეღო ხარჯი. ამან სუ უნა წაართვას. გამოვიდა იქიდან კაცი, რო:

— ჯარს ნუ გააბრუნამ, თორემ ძალიან ცუდ დღეს დაგაყენებენ ესენი. ჯარი დამალე! — ამას იმრაინი საქმე გაუკეთეს, ამ ბიჭსა, რო ჩხუბზე აუდგნენ.

— ჯარი გააბრუნეო! — იმათ ის არ იცოდნენ, ჯარი ხეკვდა ისოე უკან. მაშინ ჩხუბზეგან გადაუდგნენ და დიდი ომი გამართეს. ამ ბიჭსა ერთ ხმალზეგან ათასი კაცს აგდებინემდა თავსა, მაგრამ კიდო ცოცხლობდნენ.

— მაგაზეგან თაღ ნუ გაგვავერნავ შენ და ჩაგაბაროთ. — ამან მოკრიფა შვიდი წლის ხარჯი, დაბრუნდა და წამოვიდა. კიდო მისცა ტელეგრამა:

— რა საათსაც მოვიკითხამ, ხარჯი უნა ჩამაბაროთ! — მოვიდა გოგოსთანა. ამ გოგოსაც ქვია თინათინი. ამათ ერთმანეთი ისე უყვარან, რო მეტი არ შეიძლებოდეს. ამ ხენწიფემ თქვა, რომ:

— ამრაინი გმირი კაცი რო მყავს, მე არა მიშავს-რა. — ეს გოგო გაათხოვა სხვაგან. არ იცოდა, თუ იმას პირობა მიცემული ჰქონდა. როიცა რო მოვიდა სიძე, მაშინვე ამ ბიჭმა უთხრა:

— უნდა მოსპო ეგ საქმეო! — ყველას დაამხამს ძირს, მაგრამ ხათრით ვერაფერი გაურიგებია. როიცა რო მოვიდნენ, ეს ბიჭი გაბრაზიანდა. მივიდა და კისერი მოსპრა ამ კაცს.

— როგორ თუ ჩემი საყვარელი წაიყვანო? — ამ ხენწიფემ რომ გაიგო:

— კაცო რატო მოსპარი კისერი შენ? — იმას ვეღარაფერი უყვეს. ჯალათებს უთხრა:

— ეს გოგო იაშიკში უნა ჩააჯდუნოთ! — გაზივთეს იაშიკი და ზღვაში გადაისროლეს. ამ ბიჭმა ნახა, რომ ადგა და გაიქცა და წავიდა ეს ბიჭი. დადის წყლიპირობაზე, ეძებს, რო ოპოვნოს. ამ ბიჭსაც ქვია სახელათ ამირანი. ეძებს და თან სტირის ძალიან. ადგება, წავა, ერთ სახემწიფოში გავა. მეტი სიარულითა დადის ყადრა-ყუდრათ. ეს ბიჭი დავსტვიოთ. ერთ სახემწიფოში ახალათ აიყვანა ერთმა გოგომ. ნიშნობა აქვანან. ამ ხანს ამ ბიჭმა ამოვიდა. წყლისპირას დადის და სტირის. გააგზავნა ამ ხემწიფემ კაცი, რო — ვინ არი, რო ჩვენ შიშით აქ ვერავის გაუვლია და ეგ დადის? — როიცა რო ჩავიდნენ ხუთი-ექვსისანა, უთხრეს რო:

— ვინა ხარ შენ? — გიძახის ჩვენი ხემწიფე. ამან არც ხმალი გასცა, არც სასი. ამათ თითოთითო ყამჩი რო გადასცხო, ამათ ზოგს წელი მოსტეხა, ზოგს თავი გაუპო, ძირს დაყარა. ადგა, გაიარა და წავიდა. ხენწიფეს ამბავი მიუტანეს, რომა:

— ექვსივე მოკლა! — ამ ხემწიფემ ჯარი გამოჰკიდა უკანიდან. რო მოიხედა უკან და:

— ჯარი მომდევს, სუ ერთიან გავსწყვიტამო! — შეიპარა ამ ამირანსა. აუცქვიტა, გაიქცა, წავიდა. ამ ხემწიფემ ვეღარ დასწია თავისი ჯარი. მოვიდა. ანთანდილის საყვარელმა უთხრა რო:

— ვინ იქნება, რომ წავიდეს და გაიგოს იმისი ვინაობაო? — ანთანდილმა უთხრა, რო:

— მე წავალ, თუ ჩემი ხენწიფეც იზამსო! — მოჟათხვია ბძანება, მისცა. ადგა, შეეფა ცხენზე და გემეეკიდა. უკნიდან ამან იარა, ცოტა იარა, ბევრი იარა, ვერ იპოვნა. ეს ამირანი რო მიდის, სამი კაცი შეხვდებიან, ამ დროს ეტყვიან ეს კაცები:

— შენ, კაცო, ვინა ხარ? — ამათ არც ხმას გასცემს, არაფერი, მომტირალე ამირანი. ამათ თითო ყამას რო გადასცხებს, ზოგს თავს გაუტეხამს, ზოგს კლავ

მოსტეხამს და ერთი მოუკვდებიან... ამ ტირილზეგან ანთანდილი დახვდება წინ. ისიც ძალიან ღონიერი კაცია. მაშინ ეტყვის:

— რას გატირავან, რა ამბავია? — უთხრეს, რომა:

— იესე, იესე იყო ჩვენი საქმე. გადმოიარა ერთმა კაცმა და შეეკითხერ და გადმოგვცხოო.

— ვერ დაეწევი იმასაო?

— რა ვიცი, მიდის აგრეო და ჯანდაბას იყოს იმისი თავიო! — ანთანდილმა სთქვა, რომა:

— შორიახლო წავყვე და მივიდე. ვიპოვნიო ბოლოს! — წაყვა შორიახლო. როცა რო ერთი გამოქვაბულში შევიდა ისა, ეს დაიმალა. შევიდა, პური სჭამა. გამოვიდა კარში. შეედა ცხენზე და დაიწყო ტირილი. კიდო წავიდა. ამან სთქვა, რო:

— თუ ვიპოვე, თორემ ჩემზე სიცოცხლე ჰალალიაო. — წავიდა ის ანთანდილი. შევიდა იმ გამოქვაბულში. იმას ერთი გამზდელი ხყავდა ძიძათ. ამან მაშინვე გამოაჭენა, რო:

— რათ მობრუნდა ჩვენი ამირანი? — გამოვიდა, დაიწყო წრიპინი:

— ამირან, ამირან, ტერი მოვიდა! — ამირანმა გასწია, წავიდა. ვერც იმის ხმაურობა ვერ გაიგო. ანთანდილმა მიახურა პირზეგან პირი და აღარ დააკვირა. უთხრა:

— შენ დედა და მე შვილიო! მე მაგისთუნ მოველიო, ეგ რა კაციაო, გამაგებინე მეო. მაგის ვინაობა გამაგებინო. მაგას რა დარდი აქ, რო აგრე რო ტირისო?

— რა დარდი უნა ქონდეს, იესე, იესე... თავისი საყვარელი დაჰკარგა, თავისი მზეო და ტირისო.

— არ შეიძლება, რო გამაცნო ისა?

— რა ვიცი, როგორ გაგაცნო? რახანსაც გულში ამოუვლის თავის მზისა, იმხანშივე გულს წაუვა ამირანსა.

— უფრო სჯობია, რო თითონ გელაპარაკოვო.

— როდის უნდა გამაცნო?

— მუა, სამ თვემდი მუაო!

— კარქი, დაუცდი! — ამის ძებნაშიგან ორი წელიწადი გავიდა. ერთიც ვნახოთ, რო მოვიდა. ეს კაცი დამალა ერთ კინეულში.

— შენ, ამირან, დადიხარ, დადიხარ, აიხურხან დადიხარო, ვერ იპოვნე მზეო? მოდი, ერთი, ამხანიკი ვინმე გაიჩინეო, კარგი ამხანიკიო!

— რათ მინდა ამხანიკი, წინ ვერავინ დამიდგებაო! სად იქნება ჩემნაირი გმირი კაცი, რო ჩემთან ამხანაკობა გასწიოსო?

— არის იმრაინი გმირი კაციო, რო მოგიყვანოო, ხო ხმას არ გასცემო?

— ხელს მოუჭერ და თუ გამიძლო, იქნება გმირი.

— აპა, — დაუძახა ,— გამოდი, ანთანდილო! აპა, ჩამოართვეს ხელი ერთმანეთსა და უთხრეს, რო:

— ჩვენი ახალი შეხვედრა კეთილად იყოსო! რაც გულის დარდი გაქსო, ისაც აგისრულო! — აპა, გაიცნეს ამათ პატიოსნათ ერთმანეთი. დაიწყო ლაპარაკი ამირანმა და წყალიც მოატავინა, როიცა რო თავი მზეს ახსენემდა, სიყვარულით კვდებოდა, დაიწყო ამ ამირანმა ლაპარაკი.

— ჩემო მზე, — ახსენა თუ არა, გული წაუვიდა. ერთი საათი გასწია, ძლივ გამოაცოცხლა ანთანდილმა. გააგებინა ყველა ამბავები და უთხრა ანთანდილმა.

— სამი თვე სროკი მომეცი, მე გიპოვნი შენ მზესაო! ადგა და წავიდნენ. ერთმანეთ გადაჰკოცნეს.

— ალაა, ამანათ ეთთუხ სიზი, დუადა უნუთმა ბიზი. ჰალბათ საღ-საღ გენა ბულუშალიმ ბირბირიმუზი! — ადგა და წავიდა. ცოტა იარა, ბუვრი იარა ამ კაცმა, გავიდა სხვათა სახენწიფოში. იყიდა იმრაინი რამიები, ამან ვაჭრობა დაიწყო. ძალიან მშვენიერი კაცი იყო, რო მეტი არ შეიძლებოდეს. ერთმა ბეზირგანის ცოლმა ამ ბიჭზე თვალი დაიჭირა. ამან თქვა, რომა:

— ამასთან უნა გავატარო დროება! — ღამე დარჩა იმასთან.

— აპა, — უთხრა, — ილაპარაკე! მე მინდა შენი თავი ვალაპარაკო. ბეზირგანის ცოლო, მე რას დარდი მაქ, აი ეს უნა გავიგო აუცილებლათ და ვიპოვნო ამირანის მზეო! — ამან უთხრა, რომა:

— იცი, მე წუხელსაო ვნახეო? ამ ერთი დღის წინათაო! ფერიებს დაჰქონდნენ ერთი კუბოო. ამოიყვანდნენ გოგოსა და ისევ შიგ ჩააწვენდნენო და ზღვი პირად ერთი სახლია, იმაში ჰქონდნენო. ამათაო წავართვი მეო, ეს გოგოვო, მოვიყვანეო, სახში მყავდაო. სახში რო მყავდაო, გაიგებსო და ჩვენ სახემწიფომ წამართვაო. ამ გოგოსაო დააყენეს ორმოცი ხალაიღიო. მაინც არ დადგა იმათთანაო და ღამე გემოეპარაო! რომ ღამე ჩამოიარა, იტყვი, რომ ელექტრონი ანთიაო, იმრაინი სინათლე ქონდაო, სილამაზითაო. მოვიდაო და თვითონაც შალფი დამიტვიაო მეო. მერეო დაიჭირეს ქაჯეთის ხენმწიფემაო და იქნება ის გოგო იქაო!

— აპა, რით გავიგოთ, რო იქნებაო?

— მე მყავს იმრაინი ფერიები, რო წავლენ და ამბავს მოიტანებენო. — ამ ამბავის მოტანაში სამი თვე გასწია. ამ სამ თვემდე ამბავი მიუტანეს, რომ:

— ჩემი მოსვლა ტყვილია. იმრაინ ციხეში ვარ, რომ მე ვერ დამიხსნითო. თქვენაო, ზღვაშუა ვდგავარო! — მაშინ ყველა ამბავები გაიგო. ამ ძებნამა უქეა სამი თვე შეასრულა. ნიშნად შალფი წაუღო, რომელიც იყო ამირანის საჩუქარი. ადგა, მივიდა ამირანთან. ამირანს უთხრა, რო:

— ვიპოვე, მაგრამ გამოყვანა არი ძნელი! — ადგნენ ესენი; წამოვიდნენ სხვათა სახენწიფოში კიდე. იქაც დაჰპირდნენ, რო ძმიები გაყრილან და მოსდევან დასაჭერადა. სუ ჯარი გაუწყვეტიან მისი და ამ კაცებმა თქვეს, რო:

— რა ამბავია? — დაიჭირეს ეს კაცი.

— აპა, რა მოხდა, რაზე მორბიხარ?

— რა უნდა იყოს? ასე იყო ჩემი საქმე. ჩემი ძმამ მემერია და ჯარი გამიწყვიტა და ჩემ მოსაკლევათ მოდისო. იმრაინი ცხენიც ყავს იმას, რო ჰაერიდან ფრინამს. — უთხრა:

— დავბრუნდეთ, ვნახოთ! — დაბრუნდნენ და ააოხრეს იმის სახემწიფო. გახდნენ ეს სამი აფხანიკი. ეს ცხენი აჩუქა ამირანსა. მოვიდნენ ოთახში, ამირანის სადგომ სახში, რომელიც იყო მაღარა. დაიწყეს სმა-ჭამა. უთხრეს რო:

— მე რაც მოესულვარ აქა, ერთი აღლი კლიტე ადევს და არ გამიღია. ვნახოთ, რა იქნება?! გააღეს კლიტე, გახსნეს ერთი სუნდუკი, რომ ზედ აწერია, რომ: „ეს სუნდუკი არ გახსნას, ვირამ ქაჯეთის ხემწიფის ომი არ მოხდეს“. ამათ გახსნეს რო:

— ზათი იმათზეთ მივდივართ ჩვენ საომრათა! — რას გახსნიან, შიგ იარა-

ღი არი. ამოიღეს სამი ზილხისტანი და თან ხმლიები არი. მაგრამ სწორეთ ესენიც არიან გმირები. ახსენეს ღმერთი და წავიდნენ, ანთანდილმა უთხრა, რო:

— მოიცათ, კიდო აქ იყავითი თქვენ, ამირანი! მე წავალ ჩემ მზესთან, მოვიტანო ამბავი, რო სამი წელიწადი არი, წამოვალო. იმათ ჩემი აღარც კარქი იციან, აღარც გონჯი. ფიც გაძლემ, რომა ვირაჯ შენ მზეს არ ჩაგაბრი, მე ჩემი გზის პირი არ ვიხილოვო. მოვალ, ამბავს მიუტან, შენ ყველაფერ დარდებსა გავაგებინებ და ამოვალო! — ადგა და წავიდა. მივიდა თავის მზესთან ანთანდილი. ძალიან გაუკვირდენ, რო სამი წელიწადი წავიდა და ცოცხალი მოვიდა.

— აპა, — ხენწიფე ებნევა, — ქორწილი უნა ვქნათ, ახლა! — ანთანდილმა ვერ გაუბედა. უთხრა კარისკაცებს, რომ:

— მე კიდო უნდა წავიდე და მუალ მალე. ძალიან დიდი ფიცი მიმიცია, თუ მზეს არ ჩავაბრი, მე ვერ ვიზამ ქორწილსაო! — ხენწიფე ძალიან გაჯავრდა, რომ არ შეიძლება. ეს უჩუმრათ გიპარა. წავიდა ამირანთან. მივიდა ამირანთან და წამოვიდნენ საომრათა. დადგნენ სუნთელი ზღვისპირასა. ამათ დაიწყეს თათბირი. ამ ხენწიფემ უთხრა, რომა:

—თოკი რო გავაწვდინოთო, ამ ზღვაზეო გავალთო! — ამირანმა:

— ა, თოკი რო გასჭრანო და ხო დავიყუპებითო? — მეორემ ითათბირა, რომა:

— ჩვენ ასე ვქნათ, ცხენებზე შევაყდეთ და გავიდეთო ზღვაშიგან. მანაც უთხრა, რომ:

—ცხენები არ იქნებაო, — ტალღები დაახჩობენ ცხენებსაო. ამირანმა ითათბირა: გავიხადოთ ტანი, სულ ტიტველა გავალთ ამ ზღვაშიგანაო. ამ სამივეს თათბირშიგან კიდო ხენწიფის თათბირმა აჯობა.

— აბა, უცეფ გავიდეთ ადრე მამლიყივილსა. თავს დავესხათ ქაჯებსა. სამი კარი აქო. სამივემ თითო-თითო კარი უნდა დავიჭიროთოო. იმოტოლი ვეცადოთ, კარებშიგან შევიდეთო, ვირამ გაიგონ ჯარმა ერთიანო. — ადგნენ ამ თათბირზეგან, თოკზეგან გადარეს სუნთელმა, დაიძახეს:

— ჲალლაბალამ! — შეცვივდნენ სამივე შიგა. იმრაინი ჩხუბი გასწიეს, თითომ მოჰკლა ცხრაათასი. ამირანმა სამი იმდენი. იმრაინი სისხლი ადგა, რო ბევრი სისხლმა დაახჩო. ერთი დიდი წყალივით მოდიოდა. ანთანდილი და ხენწიფე შეხვდნენ ერთმანეთს. ამირანი იქ არ არი. ავიდნენ ციხის კარებთანა, შევიდნენ, რო ამირანი მზესთან გადახოვილი ძის. ამათ ერთმანეთის სიყვარულშიგან ამათ პირი დაარიგეს. როიცა რო მორჩნენ, გამოვიდნენ, ადგნენ, წამოვიდნენ. მორჩნენ სუყველაფერსა. წავიდნენ ანთანდილის სახემწიფოში. შიამოწმეს იქ, რომ ანთანდილს და ხენწიფეს მიეკლენ ცხრაათასი. ამირანს მიეკლა ოცდაჩვიდმეტი ათასი კაცი. დასწერეს ჯვარი ანთანდილსაც. იმათაც ორმოცი დღე და ორმოცი ღამე ქორწილი უყვეს. ახლა დარიგდნენ ყველა თავის სახენწიფოში. ამირანმა ჩავიდა, ბიძა მოჰკლა. დაყდა სახემწიფოთ. . . ერთი ცხენი, სამი კვიცი, მაგის მეტი აღარ ვიცი!

10. მაჰმუდი

იყო ერთი ხემწიფე და ამას ძალიან ძვირმარგალიტი ჰქონდა. სხვა სახემწიფოში გააგზავნა კაცები.

— წადი, დაგარეთ სახემწიფოებში, ვისაც ძვირფასი რამე აქ, წავართ-

ვათ! — წავიდნენ. დაჯარეს ყველა სახემწიფოები, ვერსად ვერ იშოვეს. მოვიდნენ გენჯის სახემწიფოში. ნახეს, რო თვალ-მარგალიტი იქფება.

— ჩვენ ხემწიფემ გამოგვაგზავნა, რო შენ ეგ თვალ-მარგალიტი უნდა მოგვეცე! — ამ სახემწიფოსაც ერთი ხემწიფე ჰყავდა, სახელათ ერქვა მაჰმუდ. იმას ხყავდა ქალი. შეატყობინეს. ჩაიცვა ვაჟური ტანისამოსი, გამოვიდა:

— სალამ!

— სალამ-ქალამი არ ვიცი მეო, რასა ქთხოვთ, უნა მოქვეცეო! — ამ გოგომ სამივეს წაავლო ხელები და ერთმანეთს დააჯახა. ზოგს ტვინი შეასხმევინა, ზოგს თვალი გამოვარდა, ზოგს წელი მოსწყდა. მოვიდნენ, ამბავი მოუტანეს, გააგზავნა ჯარი, რომ:

— წადით, ერთიანად თაჯი-თახთი დაანგრიეთ ერთიანათ, თავზე დააყარეთ და გამოიარეთ და წამოდით! — ეს რა იყო, — გაიხედა დილაზე ხემწიფემ, რო ჯარით ამოულა იქაურობა. ჩავიდა, უთხრა:

— შვილო, ესე საქმე არი და მივცეთ, თუ როგორ იტყვი?

— ბევრია, თუ ცოტა არი?

— ბევრია.

— ნუ გეშინია, ეხლაც მოვალ და პასუხ მივცემო! — დაიკიდა თორმეტ-ფუთიანი ხმალი, შეჟდა ცხენზე, გავიდა ჯარის წინ.

— რაგორ, მტრულათ ხარ, თუ ძმურათაო?

— რასაც ქთხოვთ, თუ მოგვეცით, ძმურად ვართ, თუ არადა მტრულათ ვართო.

— ვერ გაიგეთა, რომაო ვერ გაძლევთო? — ამოსცხო ყირათსა და უთხრა:

— ეცადეთ, აპაო, მაღალ კაცის კბილებში, დაბალ კაცის ჭლიკებში (უზუ ადამუნ დიშინდა, ყისა ადამ დუნ ყიჩინდა)! — დაუარა, ერთიანათ გასწყვიტა. თან მიაძახა, რო:

— თქვენ სახემწიფოს ერთი კაცი არა ჰყავსო, რო ამდენ ჯარ მაწყვეტინა-ბო! — გამოსცა ბრძანება თავის სახემწიფოში, რო: ვინც იქნება, მოვიდეს აქ გმირი კაცი. სამი ძმანი იყვნენ. პატარა ძმას მაჰმუდი ერქვა. დღეში ხუთ ფუთს სჭამდა, გამოვიდა, უთხრა:

— რა გნებავს, ბედნიერო ხემწიფე?

— იმრაინი კაცი ვინ რო იქნება, გმირი გენჯის სახემწიფოში წავა და ერთი კაცი ომობს, ამდენი ჯარი დამიწყვიტა, ვინც რო იმას მოჰკლავს და მუა, ჩემი დუნია გვეზალი იმას უნდა მივსცე და ნახევარი სახემწიფო. ამრაინ დაგოვორ გაგიკეთებ! — მაჰმუდმა თქვა, რომა:

— ეს ჩემი გმირობა რაღათ მინდა, თუ იქნება, წავალო, მე დემურჩობით კლიები დაწყვეტილი მაქო! — გაუკეთა დაგოვორი, ადგა და წავიდა. მივიდა იმ სახემწიფოში. მამამისმა ადგა დილაზე, გამოიხედა. ერთი პალატკა დგას. მაშინ წავიდა კიდო მაჰმუდთან, შიატყობინა.

— მამა, კიდო რა ამბავი?

— კიდო მოსულა.

— ბევრია თუ ცოტაო?

— ერთი პალატკა დგასო! — ამ გოგოს მაშივე წელი მოსწყდა. წამოვიდა, ჩაიცვა თავის ტანისამოსი. გავიდა ბიჭთან, რომელიც არის მაჰმუდ. სალამი მისცა, სალამი აიღო. უთხრა:

— ვინ ხართ თქვენ?

— მე ვარ მოსული, რომაო აქ უნა ვიომოო, თვითონ მე ვარო! — ამათ დაიწყეს ერთი დღე ცხენებით ომი. ვერც ერთმა იარა, ვერ ააღებინეს ერთმანეთს. საღამოზე უთხრა:

— აპა, დავისვენოთ! — დილით კიდო გავიდა.

— ცხენები ცოდვა არიანო და ახლა ხმლიებითა ერთმანეთზე! — მზი ამოსვლასა და მზი ჩასვლამდი კიდო იარა ვერ ააღებინეს. მესამე დილაზეგან გავიდა. უთხრა:

— კისერი მოვჭრათ ამ ხმლითაო! — დაიჭიდნენ. მზე ამოვიდა. მზი ჩასვლიხანათ წააქცია გოგო — მაჰმუდმა. როგორც ამ გოგომ გადიხსნა გული და ძუძუები გამოუჩთა ბრილიანტებივით, მაჰმუდს გული წაუვიდა. გოგო მოვიდა ზეიდან და კისერი უნა მოსჭრას ამ მაჰმუდსა, მაგრამ რაგორ გამოიმეტენდა?

— შენ ხარ ჩემი ცოლიო! — უთხრა მაჰმუდმა. ადგა და წამოიყვანა და წამოვიდნენ.

— შენ წამამყევი! — და ადგნენ. რო მოდიან, მაჰმუდმა იქ ერთი ლექსი უთხრა.

— დაიცა, მაჰმუდ, დაიცა! მე მყავს ნაცნობიო, მაინც დევემშვიდობეო, ისე წავიდეთო.

—თუკი შენ გული აღარ გაქ, არ მინდიხარო! ეს ჩემი ბრილიანტებით ძუძუების შენზე ჰალალაიო, ნუღა გასწევ მარაყსაო! — და ადგნენ, წამოვიდნენ. მოუყვანა ხემწიფეს:

— ტერი ხო არ მოვიყვანე სახსაღი?

— აპა, ეგ დაამწყვრიეთ!

— არა, მე ჩემი ხელით უნდა გავტანჯოო.

— ნება შენიაო, შვილოო! — ამათ ორი ძმა კიდო ჰყავდა, ამ მაჰმუდსა. შაიხედეს, რო რას შეიხედებენ? ჩვენმა მაჰმუდმა რო მოიყვანა, ქალია. ისრეთი მოხოვიან არდაანის ლაშალივით, ფოცხოვის წნელივით, რომა ათასა კოკა წყალი რო ჩაასხა, ვერ გაჰყრი მაინც. წავიდნენ ძმიები, ხემწიფეს შეატყობინეს, რომ:

— ჩვენმა მაჰმუდმა მოიყვანა ის ქალიო! — დაუძახა ხემწიფემ მაჰმუდი. უთხრა:

— შვილო, შენ, თუ ქალი იყო, რათ არ მითხარი? დაგნიშნემდიო! ახლა აღარ შეიძლებაო! ახლაო ორმოცი დღე თუ არ წახველიო სხვაგანაო, არ უნა მიეკარო ქალსაო, ვერ დაგაქორწინებო! — მაჰმუდმა სთქვა:

— ორმოც დღეშიგან წავალ, ავჯობას ვიზამ, ორმოც დღეს ვივლი. ორმოც დღეც რო დავბრუნდე, მოვალ ორმოც დღესაო! იმან უთხრა:

— შენ წახვალ და აღარ მოხვალ!

— ორმოცი დღე დამიცადეო!

— ორმოცი დღეს ხო არა, ორმოცი ერთ დღეს დაგიცდი დათუ არ მოხველი, წავალ, იცოდეო! — ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს, გასწია და წავიდა. ახლა მამამისი კითხულობს გენჯიდან რო:

— ვინც ჩემ გოგოს მიპოვნის და მამიყვანს, თავი წონა ოქროს მივცემ! — ადგა კუდიანი ბებერი, მივიდა და უთხრა:

— მომე ქახალდი, რო მოგიყვანო შენი გოგო!

— კეთილი! — ადგა, წამოვიდა მაჰმუდის ოთახში. ეგ გოგო არავის უღებს. ბებერმა მივიდა. უთხრა:

— შვილო, თქვენი სოფელი ვარ, რატო კარს არ მიღებ, გაგაცნო აქაური ვინაობა?

— კარქი! — გაუღო.

— შვილო, აქ რას შვრები შენ?

— დიდიჯან, იმნაირი ქმარი ვიშოვნე, ჩემზე უმეტესიაო.

— ეი, შვილო, ისა ეშმაკი იყო. ის რის კაცი იყო, დაგატყუაო.

— არაო.

— აპა, შვილო, რამტენ ხანში უნა მოვიდეს?

— ორმოც დღეში.

— ე, შვილო, ის არ მოვაო! — და ამას სირი უყო.

ადგა და წავიდა. მაჰმუდს ბექჩამს, არ მოვიდა. წავიდა ეს კუდიანი ბებერი. ამ კაცის წინ გახტა ერთი ირემი, აუძღვა წინ და ცხრა მთის იქით გადაჰკარქა. მაჰმუდს ფიქრში გაუარა, თითქმის ორმოცი დღე შეთავდა. დიეშურა, წამოვიდა უკან. რა დღესაც იგი წავიდა, იმ დღით მოვიდა წასულიცა, მოიდა რო წასულიყო. მაჰმუდმა იმ დღემ დაიძინა, ადგა ტირილით და წავიდა. ძმიებმა უთხრეს, რო:

— კაცო, აქ რაღაცა წერილი დასტოვა და ნახეო! — მაჰმუდმა წაიკითხა:

— აჰ, ღმერთო, შენი საქმე! — მაჰმუდის გამოჰკიდა უკნიდანა, ადგა, წავიდა, გასწია. აბა, ამან თქვა, რო:

— სად შევიდე? აბასთუმანში რო წავიდე და ვიკითხო, ქირდათ ამიგდებენო! — მოვიდა წყაროზეგან, თქვა, რო:

— ერთი მოვა აქ ბებერი, ვინც არი და გამოვკითხავ! — მოვიდა ერთი ბებერი ნანაჲ.

— ნანაჯან, სანა ყურბანულემ, შენ გენასცვალეო! აქ ქალი ხო არავინ გინახავსო? — დაუმალა.

— არავინ მინახავს მეო! — ეხვეწება:

— შენ გენასცვალე, სიკეთეს გადგიხდი მე, შენ გეცოდინება! — მაშინ უთხრა, რომა:

— წავიდა, ჩემთან იყო წუხელსა და წავიდაო!

— სითკენ წავიდა?

— წავიდა, ასე ამ მთებისკენ გადიარო, ასე — იმერეთისკენ წავიდაო! — ადგა წამოხტა, წყლიები დიდი იყო. გამოსწია ცხენით, გამეეკიდა უკნიდან. გამოექცა ამ აბასთუმნის თაზეგან. გაიხედა, რო რას გაიხედამს? თაზე მოდის. აქ ახლა ებნევა სიმღერითა:

ჰარდან ოღრადუნ
გულუნ ისტვინა,
დილიმ ტუთმაზ,
ნეჩა დემ ბირეგლან.

ამ ქალმა მოიხედა, რო ეს მოდის! ქალი ებნევა, რო:

— არ მოხვიდე ახლო ჩემთან. ბილმასზმისინ ტუზ აღნი ფიანდინი. ვალლა, არ მოხვიდე, თუ არაო, გიჩვენებ მარიფათსაო! ჯერ ჯეილი ხარო, დოსტი დუშმანი არ იციო. რა მადინ და გვეზ აშინ სილმასინ. სიტყვა რომ მომეციო, რატო არ დადექიო? ბახჩა არა ხარო, რო ვარდის ყადრი იცოდეო, გველი არა ხარო, რო ვარდის ყადრის იცოდეო, მე არ შემეშინდება შენგანაო!

— ეს რატო მითხარიო! — და გიექანა ხმლითა. ვეღარ გამოიმეტა, ყუა დასცხო და გადუტყდა ვადაში ხმალი. ამოიღო მაჰმუდმა ხმალი და თხლეშა ამ ბიჭსა და მაჰმუდა ძირ დასცა. როგორც სისხლი გამოუვიდა თუ არა, დაიწყო ტირილი ამ მაჰმუდმა.

— მე მაჰმუდი ვარ, ვერ გევიხარეო. ხორცი ხორცსა არ შეუერთდაო. საყვარელი მოკვდაო. მე რო ვიცი ჯაზიდან (ცუდიანი ბებერი არი ეს მკვდარი), რატომ გამოიმეტა ამ ოხერმა ხელმაო! — ამან თქვა:

— აქ ბევრი ტირილით არაფერი გაკეთდება! — ერთი არაბისტაღი იყო. მიიყვანა იქ წყაროსთან და დასტოვა ეს კაცი. დაბა ცხენიც იქვე. ნახოთ, ბეზირგანი მოდის იქიდან, დიდი ვაჭარია. ამას ძალიან შიეშინდა. იქ ვინცაღა ყაჩაღები არიან, ამოტოლი ვეშს სულ წამართმევენ. ამან კაცი გააგზავნა:

— ვინც რო იქიდან პასუხ მამიტანს, იმას ერთი აქლემ ვაჩუქამ, რაც უნდაო, რაც საპანეა ზედაო. — ერთი გიეი გამოვარდა:

— ზათი ასეც მკვდარი ვარ, ისეც მკვდარი ვარ, გამიკეთე ქახალდი და მე წავალ! — გაუკეთა ქახალდი და წავიდა.

— მე მოვალ. თუ დამიჭირეს, ქუდს გავიქნევ უკან, გაიქეცი, თქვენ თავს უშველეო, თუო დაგიქნიეო, მოდითო! — მოვიდა კაცი უჩუმრათ, რომა ერთი კაცი გამოშვანტულა. დაუქნია ხელი:

— მოდით! — მოვიდნენ. ნახეს, რომა რას ნახებენ? ერთი დიდი დევივით კაცი არი. ამათ დოხტური ხყავდნენ იქვე. ეს როგორც არი, მოაფოქოლეს წამლით. იმან თქვა:

— ზათი შვილი არა მყავსო, ერთ ცხენზე დავატვიოთ, ხმალი ერთ ცხენზე! — ადგნენ და წაიყვანეს. მიიყვანეს და ორი წელიწადი უწამლეს. შამოასაღეს. მაჰმუდს უთხრეს:

— აპა, გამოსაღდი, ჩემი გვილშანი უნდა მოქცე. ამ თაზეგანაო ჩემი ჭრილობა არისო! — არა ქონია. — დოხტურები მალე! ვერ გაიგეს და გოგომ უთხრა:

— ერთი შემიშვით, მაგის ამბავს მე გავიგებო. — შეევიდა, უთხრა, რო:

— რა დარდი გაქ, გვილშანჯან?

— ჩემი ამბავი არის — საყვარლისგან დაჭრილი ვარო და ის უნა ვიპოვოო!

— ჩემი საყვარელი არისო მაჰმუდ. — წავიდა.

— ისაო გათხოვილაო. — წაიყვანეს ერთ ბაღშიგან, წაიყვანეს გოგო. იქ ბუნთელს დუუმღერა. დააბოლოვა მასთან სიტყვა და დაწვნენ.

10^{11} ყურბანი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ნეფე და სამი ვაჟიშვილი ხყავდა. ერთი სასწავლებლად მისცა, ორიც თავის ოჯახობაში იყვნენ. ამან ოცდაათი მეტი იკითხა სასწავლებელში. სახელად ერქვა ყურბანი. რომ გავიდა ოცდაათი წელიწადი, სწავლული გამოვიდა. მამა მოუკვდა ოჯახობაში. არ აცნობეს. ეს ბიჭი იქ გაბეზრდა. თქვა: — მე აქ რა გავარიგო, — და წერილი დასწერა. მისცა თავის მასწავლებელს. წაიკითხა. გახსნა მასწავლებელმა. „მე მამა მამიკვდა და წავიდე ოჯახობაში“, — გაატყვილა.

— კარგიო, წადიო! — ადგა და წამოვიდა თავის ოჯახობაში. რომ მოდის,

ამას თავის ზაბოტი დაავიწყდა, მასწავლებელისაგან რო უნდა წამეეღო. დაიჭირეს, დაწყვრიეს. გავიდა ერთი კვირა. დასწერა თხოვნა და გადასცა ნაჩალნიკს.

— რაჲზა, რა საქმეა? — წაიყვანა დაპროსზე.

— საიდან მოხვალ, სად მიხვალ?

— მე ვსწავლობდი ამომავალ ქვეყანაში. შემისრულდა დრო და მივდივარ ჩემ ქვეყანაში.

— გავიგამთ, ვინ იყო შენი მასწავლებელი! — დაუკრეს ტელეგრამა: „ამომავალი კაცი მანდ იყო?“ უთხრეს: იყო!

— რა მიზანით წამოვიდა?

— მამა მოუკვდა! — წამოვიდა, გამოუშვეს. სამი წელიწადი იარა. მოვიდა თავის ოჯახობაში. რომ მოვიდა, სახლშიგან შეიხედა. დედამისი თავის ოთახშის ძის. დედამისმა ლანძღვა დაუწყო.

— გემეცალეო!

— შენი შვილი ვერ გიცნია?

— ჩემი შვილი ერთი არის მასწავლებლათ. ორიც არის — მუშაოხს! — დაითხია ოჯახიდან.

— მე ყურბანი, შენი შვილი, ვარო! — იცნო, შემეეხვია კისერში.

— ჩვენა ამომავალ ყანაში მუშა გვყავსო. — ერთი მოჯამაგირე ხყავდან. მოვიდა მოჯამაგირე.

— დიდი, ჰაზირია სადილიო?

— მზათ არიო.

— დედა, სანამ შენ ყაფში გადმოიღოო, მე წავალ ტოლ-ამხანაგებთანო და წავხყვები მაგ მოჯამაგირესაო! — გავიდა ტოლ-ამხანაგებში. არ მიიკარეს ეს ბიჭი ახლოს.

— მამა მყავ, დედა მყავ, რათ მეუბნებიო? — დაიღო თავი, ტირილით მოვიდა.

— ძუძუ მომაწოვეო!

— რა დროს შენი ძუძუაო?

— მამინდა ერთნაირათაო! — მივიდა ძუძუსთან და ჩაავლო კბილი.

— მე რასაც გეტყვი, თუ მიპასუხებ, გაგიშვამ, თუ არა და არაო! მამა მყავ თუ რა იქნაო?

— გყავს, სხვა ნეფემ დაიპატიჟა.

— არა, სწორეთ მითხრა, თუ მოკვდა?

— მოკვდა! — ვეღარ გაუძლო მოჭერასა. — გადაჰკიდა ცხენზე და წავიდნენ. იარეს, თუ ცოტა იარეს, მიახლოვდნენ ყანას. გამოიხედეს ძმიებმა.

— ნაჩალიკი მოდისო! — ერთიმეორეს შეეხიზნენ ერთმანეთში. ერთი ძმა გიექანა და:

— ეს ვინ არისო?

— ყურბანი არისო! — ხოვნა-კოცნა ერთმანეთში. ძმას უთხრეს:

— ქოლგაში დაჯექიო! — ისადილეს კარქა ლამაზადა.

— ჩაჰგვარეთ პატიოსნათ დედაჩემსაო! — მოვიდნენ და ორი გზა გასამყრელოა.

— ასე წავიდეთო, — მოჯამაგირემ.

— არაო! ასეო! — დააძალა და გაიტანა კიდეც. მოვიდნენ, ერთი წყარო იყო.

— შენა მიხყეო, აქ ერთი წყალი ვსვა, ვილოცოო! — ილოცა თათრულეფ- ერთი მშვენიერი ხე დაინახა.

— ერთი, ამ ქოლგაში მოვისვენოო. უსულეთ: სარეო, ყაიდით წადიო! — უთხრა პირველად მოჯამაგირეს. ძილი მოვიდა. დაიძინა. წავიდა ღრმა ძილში. ეს ბიჭი მივიდა სახლში, დაბა ცხენი ახორში. აღარ მოვიდა ეს ბიჭი. ეს ძმიები მოვიდნენ ყანიდან.

— ჰანი ჩვენი ძმაო? — ამომავალ ალაგზე ჩამოვიარეთ და წყაროსთან დავშორდით ერთმანეთსაო! — ცემეს ეს მოჯამაგირე. გავიდა ერთი დღე შუაში. ვნახოთ, ერთი კუდიანი ბებერი მოდის. იმან, ამდგარა შუაღამისა, აუღია უგუნები და მოდის წყლი მოსატანად. გამოიარა ამ გზაზედა. მოჯამაგირე კარზე დგას.

— რა ტირილი ხმა გამოდის თქვენ სახლიდანო?

— შვილი დაკარგაო!

— რას მამცემენ, რომ მე უპოვნო შვილიო? — დაუძახეს, შეიყვანეს.

— ითხუე, მოგეცეს ფულიო!

— ერთ ფუთ ოქროსაო.

— თახ გვიპოვნე შვილი და ოქრო ჰალალი იყოსო.

— ერთი ავტომობილი დამიჭირეთო! — შეუსრულეს ყველაფერი და წავიდნენ. მივიდნენ — სძინავს. მომკვდარა კაცი. რაც რომ სძინავს, მეორე დღეა. წამოიყვანეს და დაადგეს სახლში ცოცხალ-მკვდარი. მოუშხირეს ტირილი. გამოიარა ღამით კიდევ კუდიანმა და:

— რას ტირიანო?

— დაკარგული შვილი იპოვნეს და ახლა მკვდარია.

— მე გამოვასაღამ მაგ კაცსაო. დილაზე გაიღვიძამსო. — მისცეს ოქრო და, დილა რო გათენდა, ადგა კაცი.

— რა მოგივიდა, შვილო?

— მე იმნაირ დღეში ჩავარდიო, რომ მე ამომავალ ქაჯეთის ქვეყანაში ფევ- რუზათ-ხანუმის ეშხი ჩამივარდაო. უნდა წავიდე მასთანაო. — ჩაულაგეს რაც საჭირო იყო და შეედა თავის ცხენზე და გაიარა და წავიდა. დღე-ღამით იარა. გადავიდა, იკითხა-გამოიკითხა და გადავიდა ქაჯეთის ქვეყანაში. ვნახოთ, ერთი ბებერი ქალი თავალას მოდის, წყაროზე მოდის.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— მე ვარ ამომავალ ქვეყნის შვილი.

— რა საქმეზე მოსულხარო?

— ესა და ეს საქმეო.

— დამაყენეო!

— აპა, დედი, ერთი ჭაჭვი ოქრო და ნუ დამარჩენ გარეთ! — სვეს, ჭამეს.

— დედიჯან, აქაო ფევრუზათ-ხანუმი არისო და სამი დღე და სამი ღამე მაგასთან ვიწექი სიზმარში და მაგის სევდა ჩამივარდა! — თურმელათ ფევრუ- ზათ-ხანუმიც ეშხში ჩავარდნილა სიზმარში. რომ მოღამდა და ერთი სააშიყო ოთახი არის, ბებერ ქალი აქ დააყდუნებენ თავში — ორმოცი აშიღი და აშიღობენ. გამოაგზავნეს კაცი:

— წადი და ბებერი ქალი დაუძახე! — მოვიდა.

— გიპატიჟებენო!

— მეო ერთი სტუმარი მყავ და სტუმარ რა უყოო? — სტუმარიც წაიყვანა. რომ მოიყვანა, ქვეშა ბოლოში დარჩა.

— დედი, ზეით ამოიწიო! — აიყვანეს. გამართეს, ორმოცი აშიღი — მღეროდა. ამ ახალმოსულ სტუმარს ვათხრობინოთო!

— სტუმარო, მოალხინე ხალხიო!

— მეო ერთ რასმე ვიტყვიო! — ერთთან არის თამარი, ქურთი, კობალი უკირავს, სამი ოყა თავი აქვს, ისეც ხელში უკირავს. ეს ფეერუზათ-ხანუმისაგან არის გამოგზავნილი.

— ის რა არისო, ქვეყანაზე, ის რა ჩიტიაო, გაფრინდეს, წავიდესო! თუ ეს ამოხსენითო, ამ სამ საზის ფასსა მე დავდებო. საზი ხელში არა მაქო. ესაო, რა ჩიტიაო, რომა აქა იკიკჭიკოს, იბულბულოს, მერე წავიდეს — გაფრინდესო. ისაო რა არისო, რომა წყალში ჩავარდეს, არ დასველდესო? ესენი დაისწავლეთო და მერეო ამიხსენითო! რა არისო, რომა მიწის ქვეშა არც დალპეს, არ გაქანგდესო? მეოთხეთო: რა არისო, რომაო ხორცი ტანზეგან მოძრაობა არ ჰქონდესო? — იმათ იფიქრეს. ერთმა უთხრა:

— ეგა თევზიაო, რადგან წყალში ჩავა, არ დასველდებაო. მეორე: ეგ არის ხმალიო. ყურბანმა — არ არისო!

— ის რა არისო, რომაო, ოთხი ფეხი რომ არ ხყავდეს, ვერ ივლისო?

— ბაყაყიაო. — ვერ გამოიცნეს.

— ახლა მე აგიხსნა.

— თაღ აგვიხსენიო.

— აჰა, საზებიო ორმოციანემ დააწყვეთო!

ჩამოართვა ორმოციანეს და ერთ კუნჭულზე დათაკრა. ახლა უთხრა ქურთსა:

— შენ ყურადღება მათხუე, მე უცხო კაცი ვარ, მცემენ. — ის რა ჩიტიაო? — რა უთხრა, ის არის ფეერუზათ-ხანუმიო, ამ ქურთმა თქვა:

— რაზეც მე საქმეზე ვდგავარ, იმაზე მიდისო! — ხმა არ გასცა.

— რა არისო, მიწის ქვეშა არ დაჟანგამსო?—ის ოქრო არისო. მესამე, რომა წყალში ჩავარდებაო! — ის არის მზის სხივები, შუქიო! დაუდასტურეს.

— მეოთხეთ რომ გითხარიო, ხორცი ტანზე არ ითამაშამს, ეს არისო კვდარი. ოთხფეხი არ ქონდესო, ხედრები უცხენოთ ვერ ივლისო და იმაზე უთხრა: — უოთხფეხოთ ვერ ივლისო! — ბაწარი მოიტანეს, შეუკრეს, დაიჭირეს. ჯაზინანამ უთხრა:

— ამაღამ მე მაჩუქეთ ესაო და დილაზე შეუკარითო! ან თუ არა, რა არიო?

— გამიგამს ფეერუზათ-ხანუმიო! — იმ ღამეს აპატივეს. დილაზედ მიხყავან ზინდარში. ახლა თან ათვალიერამს. ფეერუზას ორმოცი გოგო ხყავს. ერთი კოკლი ხყავს. რომელიც რომ კოკლია, გამოუგზავნა:

— წადი და უმზიო წყალი მამიტანე, პირი უნდა დავიბანოო (მზე არ ამოსულა)! — უკნიდან კობალითა ჯგვლემს ქურთი. გამოგზავნილი გოგოც აავსო წყალი და ბიჭს შესცქერის. მზე დაავიწყდა. მოუვიდა ჯავრი ფეერუზას და გადიხედა: ორმოცი აშიღი, ერთი ქურთი, ერთი ვაშკაცი. . .

11. მებადურის შვილი

სოფელში იქნება ერთი მებადურე. მებადურეს ყავდა ვაჟიშვილი. იქნა, რომ მოხუცებული მოკვდა. ძალიან ღარიბი იყო. ადგა და თავის მამა გააპატიოსნა, ფული ისესხა და მიაბარა მიწას. დაასაფლავა. ამან წავიდა, აიღო და ბადით დაიწყო სროლა, თევზის დაჭერა. ამომავლებს აძლევდა ფულსა ფაიდით. იქნა, რო წავიდა ერთხელ, დილიდან საღამომდი ვერ დაიჭირა თევზი. მოვიდა, ერთი დიდი ლოდნარი იყო. იქ ესროლა ბადე. გამოიტანა ერთი ყური ყაფა. ამან თქვა:

— გადავაგდო, წავიღო, რა ვქნა? მოდი, ჩავტოვ ჩემ გოდორში და წავიღამ. მაინც იტყვიან, თევზი დამიჭერიაო! — შევიდა სახში, გადისროლა მართაკში. აღარც პური ფული ჰქონდა, დარდიანი დაწვა, დაიძინა. ადგა დილაზეგანა, შვენიერი საჭმელები დაუხვდა წინ.

— კაცო, ვინცხამ მამიტანა, მე კაი ვაჟიკაცი ვარ, ვინმემ გამწამლოს, მაინც კაი სული აქ ამ საჭმელსაო და მაინც და ვჭამთო!

ადგა, ჭამა ეს პური. წავიდა კიდო თევზის დასაჭერად. საცა ესროლა, მოხვდა თევზი. მოიტანა ფუთნახევარი თევზი. გაყიდა და მისცა ფაიდა და თვითონაც ბევრი დარჩა. ამ ფიქრობაშიგან როცა სახლობაში მივიდა, კიდო საჭმელები დაუხვდა წინ.

— მამაჩემა ვის უყო სიკეთე, რო ესრე ბედნიერად მამყოფამენ და პური მოაქვანან! — დაადგა და კიდო ჭამა ხუმრა. ადგა კიდო, წავიდა ბადის სასროლათ. კიდო დაიჭირა, თევზი მიიტანა. კიდო რო გაყიდა და ფაიდა მისცა. მივიდა სახშიგან.

— კაცო, რა შვენიერათ დაუგვია სახლი და შვენიერი საჭმელები კიდო იმ ჟაიდაზე. სიდან რა იქნა ეს საქმიები?! — დაიძინა ამან. ქვეშ-ქვეშ კი იუყიტება. — ვინ არი, ასეთ სიკეთეს მიშვება? — მაგრამ რას გამოჩნდება, არაფერი ჩამს! იფიქრა და ამ ფიქრობაშიგან თქვა, რაღაცა არი — ვიპოვნო! აიღო ბადე, გამოვიდა კარზე დილაზე. კარები ხელში დაიჭირა და თან იუყიტება.

— ვინ იქ არი, ერთი დავინახო? — გადმოვიდა გურიაყაფიდან ერთი ქალი, დაგავა სახლი-კარი ერთიან და გააკეთა საჭმელები. აკეთამს საჭმელებ. ამ კაცმა რო დაინახა და გული წაუვიდა და დიეცა იმისი სილამაზით. რო კარი გააღო ამ ქალმა:

— ვინა ხარო! — და ჭლიკებში შემიეხვია.

— ვინ ხარ შენ? ეშმაკი ხარ, ქალი ხარ, ანგელოზი, ქაჯი ხარ, ვინა ხარ?

— მე ადამიანი ვარ, მოდი სახშიგან და გეტყვიო, ნუკი შეიშალეო? გინდა დათ მიმიღე, გინდა ცოლათაო!

— მე და რათ მინდა, მარტოკანა ვარ, ჩემი ცოლი იქნები შენაო!

— კარქიო, ცოლი ვიქნებიო! შენ არც ბადეზე წახვიდე, რა გაჭირება გაქო? არაფერი არ გინდა, არსათ წახვიდეო.

— როგორ არ წავიდე, საჭმელ მიკეთამ, მაგრამ ფული ვინ მამცამს?

— ფული მე მოქცე, მე იმნაირი ვარ! — გამართეს ქეიფი, კონიაკი, ღვინო, რა არ იშოვნებოდა? დაადგნენ ლამაზ ქეიფსა. ღამე დაწვებოდნენ ერთათა და დილით დიემალებოდა ამ გურიაყაფაში. დაწვებოდნენ ერთათა, ადგებოდნენ ერთათა. ამ იმაშიგანა, ამ კაცმა ინადი გასწია, რომა დღისით ნუ იმალებიო! მეზობლებმაც გნახოსო!

— არ შეიძლებაო! — ელაპარაკება.

— კაი ჩაიცვი, კაი დაიხურე!

— ვიყო მე გურიყაფაშიაო. — ამ კაცმა დაიხურა, ჩაიცვა, კნიაზი-აღა გახდა. თელი ქვეყანა ამბობს:

— ეს ფუხარა კაცი იყო და რა ძრიელ იქიმება, ასე პატიოსნათ დადისო!— ამან კიდო ინადობა გასწია.

— თუ მე შენ დღისითაც არ დაგინახე, რაღა კაცი ვარ მე? — ადგა და დაუწვა ის გურიყაფა.

— არ დაგეწვა, თვარემა მე შენ არ დაგრჩები ხელსაო. ახლა წადი და დაიპირე ცხენიო! — ამან წავიდა, მეზობლის კაცები დაიპატიჟა. მაინც ქალი არ გამოდის გარეთ. ებნევიან:

— ამნაირი ღვინო, ყველაფერი! ვინა გყავს, ერთი გვაჩვენეო!

— კაცო, ვინ უნდა მყავდეა, სვით, ჭამეთ, იქეიფეთ და წადითო!

— არა, კაცო, ერთი დაუძა, ვინა გყავსო ასეთი საქმლიები ევროპიაში არ არიო, ოქრო თაბახებით მერეო.

— კარქეო! — დაუძახა თავისი ცოლი. გადირნიენ ერთიან ეს ხალხი!

— ეს ანგელოზია, მზიაო, რა არის ასეთი მშვენიერიო.

გავარდა ხმა, რომ მებადურის შვილსა ამრაინი ცოლი ჰყავს და ამრაინ საქმელ-სასმელ ამზადებს. . . ამ ხალხში გაშინაურდა ეს ქალი. წავიდა წყალზეგან. ამ ხემწიფის შვილმა დაინახა, თავისი ლალაებმა. ამ შვილმა რო დაინახა, გული წაუვიდა, რო წაიქცა, ამას სიზმარი ეგონა.

— ბედნიერო ხემწიფე, რა მოგივიდა, რაზეგან სწუხარ?

— არაფერი, სიზმარივით მემეჩვენაო.

— დაბრმავდი, ხემწიფეო? ისაო მებადური ცოლიაო. განა ვერ დაინახეო? სიზმარი გეჩვენებაო?

— არ შეიძლება, კაცო, იმას ვინ მისცა, ღარიბი კაცი, მშვენიერი ქალი?! ის მებადური ცოლი ჩვენ კარზე თუ გინდა, გამოიაროონო! — მისა ბძანება. მივიდა მელიცია.

— შენ ცოლით უნდა გამოიაროო ჩვენ კარზე, ბძანება არი ხემწიფიდან.

— რასაკურველიაო! — რომ არ გაიაროს, კისერ მოსჭრის.

— შენი აღარა ვარ მე, შენ არ უნა დაგეწვა ჩემთვინ გურიყაფაო! — ებნევა ქალი.

— ნუ გეშინიაო, ღმერთი პატიოსანიაო. — ჩაიცვეს, დაიხურეს და ჩააბეს ხელი, ჩანგალლამა ქნეს და წავიდნენ. რო შეხედა ხემწიფი შვილმა, კიდო წაიქცა. ააყენეს ეს ხემწიფე.

— ხო დაინახე, ბედნიერი ხემწიფე, ტყვილი რო გეგონაო, რო სიმართლე გამოდგაო? — ლალა უთხრა.

— იმნაირ ალაგას გავაგზავნოთ, ქალიც ჩვენ დაგვრჩესო. მე ძალით რათ წავართვა, იქნება, ხემწიფეები იტყვიან, ძალათ წაურთმევია ცოლიო! — ლალას უთხრა:

— იფიქრეთ თქვენ, რო იმრაინ ადგილას წავიდეს, რო ვეღარ მოვიდეს! — უთხრა ლალამ, რომა მოვატავინოთო ჯანათალლმა, დოხტურმა დაგვინიშნაო.

— ეგ რა კაი მოიგონე, იქ მიმსვლელი კაცი უკან ვეღარ მოდისო. — მერე დაუძახეს ეს კაცი. შეეკითხა ცოლი, რომ:

— რა არი, რას მიძახიან?

— აპა მე მიძახის?

— მე შენ არ დაგრჩებიო და მაინცაო, რასაც რო გეტყვისო, დოვლათი აიღეო და როგორც გეტყვიო, ისრე მოიქეციო! — მოვიდა ხემწიფესთან.

— მამაშენი კარგი კაცი იყო, რაზეაც რო დავასაქმავდითო, წავიდოდა და, შენც რო დაგაბაროთ, უნა დაგვიჯერო, მოგვიტანო ჯანათალლმაო, რო მოარჩენსო! — ეს არ იცის, რომ ქალი უნდა. მივიდა თავის ოთახშიგან დაღონებული, იმან არც ჯანათალლმა იცის, არც არაფერი.

— რას დაღონებულხარ, შენ ჩემო მეუღლეო?

— რაღაცა ეშმაკიაო, ჯანათალლმა არ გამიგონიაო.

— დიდ უარეს დღეში ჩავარდებიო, მე შენი კი არა ვარო. მაინც კიდო ნუ გეშინიაო. წადიო, უთხარიო, რომ მოგიტანამო. ბაგრამა ძალიან კი ძნელიაო.— რომ აბრუნდა სახშიგან კაცი, აიღო სროკი ორი დღე. უთხრა ამ ქალმა:

— რასაც რო გეტყვი, დაიჯერე, თვარამ კვდარი ხარ, იქ წამსვლელი არი და მომსვლელი არაო. საიდანაც მე რო წამამიყვანე ბადითაო, იქიდან გამოვა ერთი რაშიო, ცხენიო, და იმასაც ეტყვიო, რომ მოდი ჩემთანაო. შეედები იმაზეგანაო. თავალას გაკრებსო ცაშიო, ქვეიდან მიექეციო! ქვეით დაგაკრებს დედამიწაზეო, მარჯვნივ მიექეციო, ფერდზეო, მერეო მარცხნივ ფერდზე მიექეციო. შეძლებ ამასაო? მერეო ის დაიღლებაო და გეტყვისო: რა გსურს, აგისრულო, ჰიმსნის შვილოო? მაშინაო ის ყველაფერ აგისრულებსო. როიცა მიხვალ, იქ ბაღი არის ჭინკებისა. ერთი გველეშაპიო. ამოიღამ ხმალსაო, დაადებ და გადასჭრი შვაზედაო. მერე იქ არი ჰეკლებიო. მოსწყვიტამ, შესჭამო. ეეფ, რა კაი ბაღიაო, ეტყვიო! აქეთაც მობრუნდებიო, კიდო ჯინჭარ-მინჭარიაო, ხვეულებიო. იმასაც მოსწყვეტამ, შესჭამო. ისიც აქეო. გაივლი და მერე სამსე არი შარავი, ერთსამსე არისო სისხლიო. ერთ სტექან იმ შარავ დალევო, იტყვიო: ეს რა გემრიელი თაფლიაო? იმ სისხლსაც დალევო და იტყვიო: რა წითელი ღვინოაო? ასეო შევალთ შიგაო. ვირბენო და შენ კრიფე და ხურჯინში ყარეო, ვირამ გაიმსოს ორი თვალიო. მერე რო გაამსამო, ისინი გაიგნებენო, ჭინკებიო. იმრარ ყვირილს დაიწყებენ, არ შეგეშინდესო. მერე იტყვიან:

— დაიჭი შარავო! — ვეღარ დეგეწევიანო. მერე:

— დაიჭი ღვინოვო! — არ დაიჭერენო.

— ვერ დაიჭერთო. ამ კაცმა მეო ტკბილი ღვინო გამხადაო!

— ჰეკლებო, მამირჩეთ ეგ კაციო დამიჭირეთო!

— რა უნდა დავიჭიროთ ჩვენაო, ისე ტკბილი შაქარ-ვაშლები დაგვხადაო.

— დაიჭი, გველეშაპოო!

— წადი, შვილო, მორჩიო. რა უნდა დამიჭიროს, გადამჭრა, ნახევარი იქით ვგდივარ, ნახევარი აქითაო. — მოუტანა იმ უსვინდისო ხემწიფეს. ვეღარაფერი მანქნით ვერ მოკლა ეგ კაცი. რაც რო უთხრა, აუსრულა. ეს ხემწიფე დარდითა, ვარმითა ჭლექში ჩავარდა, დიეძინება.

— ქალო! — გამოაღვიძამს. ქალი ამ ფიქრობაშიგან არის. ეს მებადურის შვილი კარქა გულაომს. ვერაფერი დაუჭირა, რო ქალი წაართვას. ამ ფიქრში, ამ ვარამში არის ხემწიფე. ერთ ამოსავლეთზე ერთი კუდიანი ბებერია. იმან გაიგო იქ, საცა ჯანდაბაში ეგდო. გაიგო იმ ცოცხალძაღლმა. გადაალაბიჯა თავის ბოჭკაზე და მოვიდა ამ ხემწიფის კარზე. ამოჟდა. უბრძანა, ისე წამოვიდა, როგორც ჰაილოპრანი, იმ ყაიდაზე.

— ჰე, ბედნიერო ხემწიფე. — ეს ქალი ებნება. — მამაშენს კარქა ვიცნობდიო და მე სიკეთე გიყო შენაო.

— რა სიკეთე მიყო, რა ხელიდან გამოგივაო?

— რას მამცემ, მე ის მებადურის ცოლი შენ აგვარო.

— შენ წონა ოქრო მოქცემო.

— მთაში ერთი ძროხა არის, ხო იცი? უთხარ, რო იმი რძე მამიტანე, რო მე კარქა გავხდე! ამოტონა ძროხა არი, რომ ამ მთი ტოლა არი. აი, ბედნიერო ხემწიფე, ის ძროხა შესჭამს, ვერ მოიყვანს და მოვკვდებაო.

— წონანახევარი ოქრო მიეცით მაგასაო! — დაუძახა მებადურე შვილი. დაურაკუნა კარები.

— ვინა ხარ?

— ხემწიფე გიბრით! — ხემწიფე ებნევა. ისინი კიდო დაწვებიან ერთადა.

— წადი, ხემწიფეს რაღაცა სროკი აიღე, მოდი და, მე როგორც დაგაკვალამ, პასუხი ისე მიეციო!

— კეთილიო. — ძალიან ეშინია, ახალი ვაჟიკაცია, არ გავფუჭდეო. მარა რა ქნას? დიდი დარდი-ვარამშია.

— ბძანე, ბედნიერო ხემწიფე!

— აი, შვილო, მამაშენი რასაც დავაკვალებდი, ამისრულებდა და მამაშენი მოკვდა და შენ დამირჩიო. აი, შვილო, წახვიდე და ამომავალ მთაზეგან, შაბანებელზე, არი ერთი ძროხა იმი რძე მამიტანოო! თუ არ მამიტანე, კისერ მოგკვეთამო და ცოლი დამრჩება მეო.

— მამეცი დროება და წავალ, შევეკითხები ჩემ ოჯახობას და პასუხს მოგცემ! — მოვიდა ოჯახობაშიგან, გამწარებული ვაჟიკაცი. წამოწვა, ერთი ფეხები მიაჭირა იქეთა.

— რა გაგიჭირდა, ჩემო საყვარელო მეუღლე?

— ეჰ, იმრაინი რამე მითხრაო, რო მთელი ევროპის სალდათი რო ვე დაუჭერიაო! — ქალმა უთხრა, რომა:

— ისეც ვიცი, არ უნდა დაგრჩე შენ, კიდეც გიშველი და უარესიდან დაგიფაროს ღმერთმაო. წადი შენა და იმისგან აიღე ხუთი დღე დოვლათიო. უარი არ უთხრაო. ძროხას მოგიყვან, უთხარიო. მაგრამ ამრაინი ქაღალდი უნდა გავაკეთოთო, ნახევარ შენობა იყოს შენი, ნახევარი ჩემიო! — გაიკეთა ქახალდი. ხემწიფემ უთხრა:

— ზათი ვერ მოიყვან იმ ძროხას, ისეც მკვდარი ხარ და ჩემი სახლებიც მე დამრჩებაო. — აიღო ხუთი დღის ნება. მოვიდა ოჯახობაში.

— აიღე ნება?

— ავიღე.

— უთხარი, წადი, იმ ხემწიფესაო, რომა ასი ბოჭკა მამეციო, ორასი ფუთი ბამბაო, ორასი ფუთი მარილიო, ორასორმოცდაათიც ჯარისკაციო, ორასორმოცდაათიც პადვოდი და იმ მთაზეგან ერთი ტბა არი, ამამისხან მუშამაო. ის წყალს რო ამოასხებენო, ე ბამბაჲ ჩატუეო და აისვამს სუ წყალსაო და წყალი აღარ დარჩებაო. ეცადე შენაო, ეს ორასი ფუთი მარილიო ტბას გარშემაო შემოუწყვეო. და იქ ერთი ერმოაო და იქ დაიმალებიო, არ გამოჩნდეო. ეს ფური მოვაო წყლის სასმელადაო და წყალი არ დაუხვდებაო. გაერსიანებული იქნებაო და იმის ყვირილი თელ ქვეყანას შეჰყრისო. დადგება და ამ ორას ფუთ მარილ ისე გადაყლაპამსო. შეადგება წრიპინზე, ყვირილზე, გულ-მუცელ დასწვამსო. მაშინ იტყვის:

— ვინ ხარ, გამოდითო, რო ერთი წვეთი წყალი მასვითო, დავიხრაკეო.

ზეით ღმერთიო, ძირს დედამიწაო, არ გიღალატამო, გამოდიო! — მაშინ გამოდიო და აღარც გიღალატამს და აღარც გერჩოლებსო. დაადექი და ეს ბამბა ერთიან ამოწურეო. ეს ბოჭკები ჩაასხი ისოვაო. როიცა რო დალევს ძროხა წყალსაო, გეტყვისო:

— რა გაგეირვებია, აბა, მითხარიო? — მაშინ იტყვი:

—ამომავალ ხემწიფესთან უნდა წავიდეთო. — მაშინ წამოგყვებაო, მაგრამ ნუ შეგეშინება სულაო. ხემწიფეს ამბავს მიუტანებენ, ძროხა მოდისო. — მოწველა მაშინ. ორასორმოცდაათი ფუთი რძე მოწველა.

— სვი, ჭამე, შიგ იბანე, ბედნიერო ხემწიფე, მორჩე ეგება მაგ ჭლექებსაო. აი, ბედნიერო ხემწიფე, აწი ეს ძროხა შენ უნდა გამოკვებოო. მე ვეღარ წავიყვანო. — ახლა ეს უბრძანებს ხემწიფესა მითამ. ერთ დღეს ადიგნის რაიონის ალაფის ბზე ძლივ ეყო. ერთ დღეს ახალციხის რაიონისა შეჭამა. ერთ დღესაც წავიდა, ამ საქართველოსკენ ჩახყვა და სულ იმან შეჭამა.

— თახ, მოდი, ეს ძროხა, მოდი, წაიყვა, მამაშორე, — დაუძახეს ეს კაცი.

— წავიდე, შეეკითხო ჩემ ცოლ-შვილსაო. უთხრა რომა:

— ასე ამბობს, თქვენ მიიღეთ ძროხა, დაგვანებეთ თავიო. — ამ თავის ქაღალდის გაკეთებულობით ხემწიფეს გაუყვეს, რომელიც კარქი სარაები იყო. დადგა; ხემწიფე კიდო ჭლექში ჩადგა. ქალმა უთხრა:

— მოიყვა! — სამი დღესაც ამ ქალმა შეინახა. იმნაირი ბრძანება ქონდა. მერე უთხრა:

— მთაზე გაუშვიო. — ამ ძროხას ებნევა:

— დიდად მადლობთ, ამოდენი სიკეთე რო გვიქენიო! — ამოიღო ერთი სამი ბეწვი და:

— როცა რო გაგეირდება, იქ მე მომიკითხეო! — ძალიან მადლობელი გაუხდა. ბოლოს უთხრა ხემწიფემ ლალაებ:

— ეს რა დღეში ჩავარდით? კაცო, ქვეით ცხოვრობდა, ახლა ამ სარაებში ცხოვრობს. თვალით ვუყურამ, ვბრაზდებიო. — ამ დარდში განა რო არი ე ხემწიფე, ამ დასავლეთზე ერთი კუდიანი ბებერი კიდო არი. ერთი ქოთანი ჰქონდა. დაჟდა ზედა და წამოვიდა.

— ე ბედნიერი ხემწიფე, მაშინ კარქა ვიცნობდიო, ჩემი ძალიან მეგობარი იყოვო.

— ე, ბებერო, რა შველა გაქ შენ, რა გამოგვიგა ხელიდან?

— კაცო, რასაც მე გეტყვი, მამცამ?

— ჰაი-ჰაი, მოგცამ.

— ჩემი ორი წონა ოქრო მინდაო.

— კარქი, მოგეცი. ის იმრაინ ადგილ გადავქანჯოთო, რო ვერც იშოვნის, ვერც მოიყვანსო.

— იმას ეტყვიო, მებადურე შვილსაო, წადი იქაო, არ ვიცი, სადაო, მოიყვანისაო, არ ვიცი რაო, სახელათ ერქვას აკრაკაო, ლაპარაკობდეს და არ ჩამდესო. — ე ხემწიფე ძალიან სიხარული დაუდგა, სად მოიყვანსო?

— დაუძათ მებადური შვილი, ჩემი გახდა დვინია გვეზალი! — მოვიდა მებადური შვილი. უთხრა, რომ:

— აჰა, ერთი საქმე დაგიკვეთო, თუ არ აასრულამო. . .

— ბრძანება შენიო, ასრულება ჩემიო. — რა დღეში ჩავარდა?

— აი, რას გეტყვი, წადი იქა, არ ვიცი, სადა, მოიყვა ისა, არ ვიცი რა,

ხახელათ ერქვას არაკა, ლაპარაკობდეს და არ ჩამდეს. მამიყვან, მამიყვან, თვარა და შენი ცოლი მე დამრჩება!

— კარქი, მოგიყვანო, ჩემს ოჯახობას დიეკითხებიო!

დიეკითხა, მაგრამ ამ ქალმა ვეღარაფერი საშვალობა ვეღარ გამოუნახა. ეძება ქითაბებში, ეძება, ვერ იპოვა, რო საშვალობა მისცეს. თორმეტიდან დაიწყო დილის ექვს საათამდე, ეძება. ვერ იპოვნა. დაეღეს და დაიწყეს, ორივე ტირიან. ქალმა უთხრა:

— რიეთი წუთი დაგრჩაო?

— ამდენიო.

— წადიო და ერთი წლით დოვლათი აიღეო და თან იმას ეტყვიო, ჩემ ხახლშიგან არავინ შეიძლოს მარტო ჩემ მეტი შესვლა, თავს ყარაული დააყენოს, უზაპისკოთ იმის მეტი სახელი არ იქნება. ერთიც თოფი წაართვიო, ორასი პატრონაცაო! — ადგა და მოვიდა და უთხრა ხემწიფესა. ადგა, წამოვიდა, პროპუსკიც მისცა, სალდათი თავს აყენია ქალსა. შევიდნენ, დაიწყეს კიდო ტირილი. დეემშვიდობა კიდო.

— ასეც კვდარი ვარ, ისეც კვდარი ვარ, — ქალიც ებნევა.

— ასეც კვდარი ხარ, ისეც კვდარი ხარო. — წავიდა, თოფიც ქალს ჩააბარა:

— თუ იმნაირად ვინმე იქნა, მოკალიო. — ადგა, ცოტა იარა, ბევრი იარა, გვერდი იარა, სერი იარა, ამ სიარულშიგან გაუვიდა ექვსი თვე.

— მოდი, ამ ტყეში შევიდე, იქნება რამემ შემჭამოს? — შევიდა ტყეშიგან. ერთი დიდი სიხი ტყეა.

— ეს სად გადმოვარდი? — თან ფიქრობს: — ცოლს როგორ უღალატო? — ადგა და გაბრუნდა მარჯვნივ და წავიდა. ახსენა ღმერთი. ღმერთი მრავალ კაცისთვინ მოწყალეა! გაუყვა და ერთი კოშკია. კოშკში შევიდა და ყველა ოხრობის ბუმბული იქ არი. დათვი შიგ არი, მგელი შიგ არი. მიხვეტა და:

— აქ ვიქნებიო! — დაღამდა. საღამოს ხანი იქნება. ის იქიდან ყვირის: აქ მოდიხართ? — ის იქიდან. ამ კაცმა თქვა:

— ეს რა ამბავია? ტყემ, ღრემ ღრიალი დაიწყო! — ადგა და ოჯახშიგან ააჭედა და დადგა. ერთი რკინის ხიდი გაუხიდავა ოჯახშიგან. მაგრამ, არ იტყვი? დათვის ხემწიფე, მელიას ხემწიფე, ყველა იქ არიან, მარტო — ადამიანის გარდა! მოვიდნენ სუნთელი. ეს მელიას ხემწიფე კოჭლია და უკან მოვიდა.

— მელია, სადა ხარ, ჩვენ შიერი დავწყვდითო!

— რა არისო? მოიცადეთო! აქაო ჩვენ ოთახშიო ჰიმსნის შვილის სუნი მოდისო.

— მოედი, დიეგდე, სად არიო? გასულელდი, რა არიო?

— კაცო, მე სულელი არა ვარ.

— დიეგდეო! — დაუძახა დათვმა.

— რაკრაკ, პური მოიტა. — მოუტანა. არა ჩამს. აალაგა, წავიდა, — ეს რაკრაკა კია, მაგრამ — როგორ წავიყვანო? — დილაზე ადგნენ, კიდო: — რაკრაკ?

— ეს უჩინური რამე ეს არიო. — გალაგდენ და კიდო მელია ებნევა:

— აქ კაციაო.

— ადე, წადი, რას მისხრომო?

— ჭირი მომჭამეთო. — ადგნენ, წავიდნენ. ამ კაცმა ადგა.

— მოდი, მე დაუძახოო. ვაჲთუ დამიჴიროსო? — ამ ფიქრობაშია და ეარამშია.

— მოდი ვეტყვი: რაკრაკ! — ვერ გააგონა. — რაკრაკ!

— ბატონო.

— მოიტა სასმელ-საკმელიო, ვეკამოო.

— ამ საათშიო.

— ჯერ შენ მიირთვიო!

— შენ მოსულ გზას ვენაცვალე. მაგ ოხრების ხელში ვარო და ორმოცი წელიწადია ვემსახურები, არ უთქვიათ — მოდი, ჭამეო, შიერი ვკვდებიო.

— კარგი, შენ გენაცვალოს, წამომყვებიო?

— კიო.

— აპა, წავიდეთო. — იარა და: მოგდევო! — მოდის და:

— რაკრაკ.

— აქა ვარო. შენს უკნიდან მე მივდივარო.

— რაკრაკო, პური მამშივდა, შენ გენასვალეო! — სვეს, ჭამეს, მიდიან. გაეიდა ათი თვე. ორი თვე დარჩა. ამ ერთ თვეც კიდეც გზაში გავიდა. გახდა თერთმეტი თვე. იმოტონი შეიშალა ეს კაცი, გზა შეეშალა. ადგა და სხვა სახელმწიფოში გადიხვეწა. რო წავიდა სხვა სახელმწიფოში, მივიდა, ერთი კარებია აქ. სტაცეს ამ კაცს ხელი.

— ვინ ხარ შენ, პროპუსკი გაქ? — დაიჭირეს და მოუყვანეს ხემწიფეს. მოყვა და მთელი ამბავი მოუყვა და რაკრაკზე შეჩერდა.

— რაკრაკ!

— ბატონო!

— უთხარიო, რომ ორნი ვართო! — იმანაც უთხრა, ხემწიფე არ იჯერებდაო.

— მაშ, მოვატანიო სასმელ-საკმელი. მოიტა წიწილა ოქროს ტახტზეო, ღვინო კახურიო, კონიაკიო. ყველაფერი მზათ იყოსო! — მოუტანა და ხელმწიფის შტოლზეგან გაუწყო. ხემწიფემ თქვა:

— მე რათ არა მყავსო? მოდი, ეგ მე მომეცი და შენ იმრაინ შაშველ მოქცემ, იმ ხემწიფეს დედასა უტირამსო!

— რა უნდა მამცე, კაცო? — ამოიღო უბიდან, ერთი ყუთი აქ.

— ხო უყურამ ამ ყუთსაო? ეტყვიო: სულ ყოჩაღ-ლამაზი ხალხი ამოლაგდითო! — ამოლაგდენ: არაბისა — მარაბისა, ინგლისში რო არის. — დაამხობენ იმ სახემწიფოსაო! — დიეშვიდობა და გაეცალა. მოშივდა პური. ახდის ყუთს და ამათ ვერ მოუტანეს.

— ეს რა შევცდი? — ეს ხემწიფე სჭამს და არ უძახის რაკრაკს, რო — შენ შესჭამე!

— მოდი, დაურაკრამო! — ამას ეს ყუთიც დარჩა, ეს რაკრაკაც. წამოვიდა.

— რაკრაკ, პური მშივა. აპა, მოიტა!

— ამ საათში!

— მიირთვი ჯერ შენ და მერე მეო! — ჭამეს და კაი სადილობით მოვიდნენ. ამ ცოლმაც სიზმარი ნახა: ორი ჩიტი შეედება, რო ესვრის, ორივესაც მოჰკლამს. დილაზე რო ადგება, ცოლი იტყვის:

— მადლობა, ღმერთო! — ძალიან სიხარული დაუდგა. ერთიც ვნახოთ,

შუადამე იყო, აკაკუნემს. სალდათი. აეხიდა. პროპუსკი აჩვენა და შეუშვა.. გაა-ღო კარები. გადიეხვივნენ. ისე მიეხვივნენ, ოთხმოცდაათი კოკა წყალი რო და-ასხა, ვერ გააცილებ. გათენებამდინ ესენი ასე იყვნენ.

— კაცო, ერთი მიამბე!

— მოვიყვანეო! — ახადა ყუთი, ამოლაგდა კაცები.

— ჩალაგდით ისევო! უბით დამაქ ამოდენი კაცი. მოვიყვანე რაკრაკაცო.

— ვაჲ, ჩემი ძმა არი ისაო. როგორ იქნა, როგორ ეგ იპოვნეო? — ახლა ესენი მიეხვივნენ ერთმანეთსა და:

— წადი, გაგაბედნიეროს ღმერთმაო! ერთ გვირგვინზე დაგაბერონ ღმერთ-მაო. დედასა ვუტირამ ვინმესაო!

12. და და ძმა

ერთ დროებაშიგან იქნება ერთი სოფელი. ამ სოფელშიგან იქნებიან ერთი ცოლი-ქმარი. ქალ-ვაჟი ხყავდებიან. ერთი იქნება თექსმეტი წლისა, მეორე — შვიდისა, გოგო.

— აბა, ბიჭო, — ეტყვის,—მე საგძალი გამომიცხეთ, რო საავჯოთ წავიდე!

— კარგი, შვილო, — გამოუცხოს უდა პური, ამ შვიდი წლის გოგომ ამო-ჭამა, მარტომ. მოვიდნენ — ამოჭამულია.

— ვინ მოგვპარა, ვინ გვყავს ყაჩაღი? — ორჯელ, მესამეა, დაიჭირა თავი და ამას თოფი ქონდა. ესროლეს და მოკლას და! ამ მოკლაშიგან ისოვლ და-ფიქრდა უკან:

— ჩემ დედ-მამას ვეტყვი და ისე მოვკლამ. — ამ დედ-მამას ძალიან უყ-ვარდენ გოგო.

— მაგის სიკვდილი როგორ იქნებაო? თუ გინდა, შენ მოკვდიო! — ბიჭი უფრო გამოიმეტეს. ბიჭმა:

— წავალ და ნახამთ კეთილ დღესაო! — გამეემშვიდობა და წავიდა. გა-დიდგულდა ეს ბიჭი და გავიდა ერძახე პატარა მინდორშიგან. თქვა, რო:

— სად წავიდე, კაცო? — გაიხედა ერთ მთაშიგან, რომა ერთი ცხვარი სძოვს. ამ ცხვარს წაყვა, თქვა, რო:

— წავალ, მეცხვარეთ დავდგები. ამას პატრონი ეყოლება, ვინც არი. — ავიდა, ნახა. ერთი ცხვარი მეტი არა არის. არც პატრონი ჩამს. ეს წახყვა უკნი-დან ამ ცხვარს. შუადღემ რომ მოაწია, ადგა და ცხვარი წავიდა პატრონისკენ. მივიდა. ამან თქვა, რო:

— კაცო, ესენი ცხოვრობენ, მეც ვიცხოვრამ. — ნახა ბრმიებს ძუძუს აწოვს ცხვარი.

— მოდი, მეც ამით ვისაზრდავამ! — ე ცხვარი სამისა გახდა. ბრმიები ვერ უყურებენ — კიდე დაგვემატა, თუ არა? ამათ შიერი დარჩნენ. სამი რომ დარჩ-ნენ, ვეღარ გააძღო სამი სული. ვერ გაუბედიან ერთმანეთისათვის, რო შიერი ღარჩნენ. ერთმანეთს უთხრეს, რო:

— ქალო, მე შიერი დავრჩი და შენ რას ამბობ?

— მე თუკი ვძღები, ეს ვერ ძღება? ზაარ ვინძახ დაგვემატა, თორე, თუ აქნობამდი გვყოფნიდა, ახლა რა მოუვიდა ჩვენ ცხვარს?

— ჩვენ ხო შეგვიძლია, თუ ვინმე არი ჰიმსნის შვილი, მოვიორთქლოთო-

და მოვიტანთ ახლოვო. — რა დღესაც მეორე დღეს შუადღესა მივიდა ეს ბიჭი, ცხვარს დაზდევს, სითკენაც წავა. როიცა რო მოწვიონ ძუძუ და ეს ბიჭი გულში შიეკრა. ამ დროს:

— თქვენ დედ-მამა და მე შვილი!

— კარგი, შვილო, — ამას დაბარეს.

— აი, შვილო, რას გეტყვით. ჩვენ ამ მთაშიგან ამოსავლეთზე არ წაიყვანო, დასავლეთზე წაიყვანოო და მარჯვნე წაიყვა და გამოგვიკვებავსო.

— რაშია საქმე, რომ მე დამიშალეს?

ამ ხნობაშიგან გავიდა ერთი ორი წელიწადი და ძალიან ვაჟკაცი გახდა. საითკენაც რო დამიშალეს ამათ, იქითკენ უნდა წავასხა. შეხვდა ასლან-ყაფლანი ამათ. დასაყრელზე არიან.

— ოი, ადამიანის შვილო, ვინ მოგცა შენ ნება, რომ მოხველი ჩვენ თაში, აძოვო? თუ წყვილი გვეყოლა, შექჭამთ, თუ კენტი, ამასაც შენ გაჩუქებთ და კაი იქნება შენთუსაო! — ემათ დაიწყეს დალოგინება. ამათ ეყოლნენ წყვილი. ეს ბიჭი თუთონ ბებია იყო. როცა რო ერთი დაიბადა და დაინახა: მეორე წამოვიდა, ერთი ტოტში გაიქანა, დამალა. ნახეს, რო ცოლია. მაშინ:

— ჰიმსნის შვილო, წადი ბედზეგან მოგვივიდა და წადი, იარეო! — დააგვიანა ამ იმაშიგან. წამოიყვანა ეს ძაღლის ლეკვები. მოვიდა, რო გადაბქეტილიყვნენ დედ-მამა. ესენი დააწყო, ლამაზათ მოუარა. მეორეთ დაუშალა. ახლა იქითკენ წაასხა ცხვარი ამ ბიჭმა. გავიდა, ერთი დიდი ქურთია და თხუთმეტი ფუთი კობალი უჭირავს, სულ ლუსმები დაურტყია თავზე. დაინახა ეს ბიჭი. დაიწყო:

— სად მოსულხარ ჩვენ ადგილში და აძოვობ ცხვარსა?

— მეო ყურთ მაკლია და ახლო მოდიო! — მოიდა და ამ ბიჭმა შემოსცხო ამ ქურთს და სამოცდათხუთმეტი ფარჩათ გახადა. დარჩა იმოტოლი ცხვარი უპატრონოთ. მოურბინა ამ ბიჭმა და წამოასხა. ჩარჩა ეს ცხვარი ამ ბიჭსა. ორიათას სულამდი ხყავდენ. ამ ჩხუბში და ვარამში დიდი დაუგვიანდა. მოიყვანა სახშიგან — თავის დედმამისა.

— აბა, ჭამეთ, — ამათ ძალიან გაეხარდენ და:

— სიდან მოგვცა ღმერთმა ამრაინი შვილი? — ეს ძაღლები კარგად გამოზარდნენ, გახდნენ ასლანი ყაფლანი. იმრთენი ასწავლა ამ ძაღლებს, რომა ჩიტ არ აფრინებენ. ამ დროს ამ ბიჭმა:

— ჩემო დედ-მამა, ვერ გამიბედია თქვენთვისა, თქვენ რატომ ხართ აგრე ბრმანი? დაბადებიდან აგრე ხართ, თუ ახლა დეგემართნენ საქმე? — დაიწყეს ტირილი ამათა.

— ნუ გვეტყვი, შვილო. ჩვენი ამბავი რო გაცოდინოთ, შეიძლება შენ აქ აღარ დადგე.

— გვითხარი უსათუოდო. მე თუკი ცოცხალი ვარ, ისევ უნდა გაგასაღოთ თქვენაო! — გულის ტკივილით ეუბნებიან:

— ნუო!

— არა და ვეღარ გიწამამთ დედ-მამად და შეიძლება თქვენც მოგსპო!

— კარგი, შვილო, გეტყვით და აწი სულ ერთია, რო ცოცხალი აღარა ხარ შენცაო. ჩვენაო ძალიან დიდარი ვიყავითო. დიდი, აუარებელი ოქრო-ვერცხლი გვქონდაო და თვალ-მარგალიტიო. და ჩვენაო დევებმაო წაგვართვესო და სულ წაიღეს თვლიებიო!

— აპა, სითკენ არის, მითხარიო!

— სწორეთ აღმოსავლეთისკენ არიო. — ადგა ბიჭი და წაიყვანა ცხვარი იქ, ეს ასლან ყაფლანის შვილებიც. ცოტა იარა, ბევრი იარა, მივიდა, რო ერთი კოშკი ჩამს რაღაცა. ძაღლები დააბა ტყვში.

— ასლან ყაფლანო, მე ამ სახლებში უდა შევიდე. აი, თოკის წვერი თუ სისხლათ იქცა, მემეშველეთ, თუ არა და ნუ გეშინიანო! — შევიდა სახლებშიგან, ნახა დევები. ამათ წაუსვა ხელი და სულ დაწყვიტა დევები.

— მამე ჩემი დედა-მამის თვლიები, ოქრო-მარგალიტი მომეცით, უნდა წავიღოვო.

— რომ მოგცეთ, უფროსი გვყავს ჩვენაო ორმოცითავა დევი!

— აბა, მაჩვენეთ, სად არი? — იმნაირი კოშკი არის, რო არც კარი აქ, არაფერი აქ, ვერ შეუტყვია ვერსიდან. ამ დევებმა აიყვანეს ზეით, კოშკის წვერზე. ასწია, ჩაუძახა, გაამსო. ჩახტა შიგა. გააღო კარები. ერთი არაფერია, ორი არაფერია, სამი არაფერია, ოთხი არაფერია, ხუთი არაფერია. შიგ სამი დვინია გვეზალი ზის.

— ჰიმსნის შვილო, რამ მოგიყვანა აქ? მადლობა ღმერთ, რომა რამდენი ხანია ძლივ ვნახეთ ჰიმსნის სუნია, გავიგეთო, მოდი, როგორც მოსული ხარ, ისევ უკან გაბრუნდი და წადიო!

— რატო უნდა წავიდე? — უთხრა, — ჰარნათ არ იქნება ჩემი ვაშკაცობა ჩემზე, თუ ჩემი მტერი არ მოვკალიო.

— ჰიმსნის შვილო, იმრაინი ურჯულო არი, იმას შენ ვერ მოკლებ და ის შენ მოგკლებს და წადარე, წადი აქედან. — ამან არ დაუჯერა, ბიჭმა.

— აპა, მიჩვენეთ, რო ჩემი მტერი უნა მოვკლა, უეჭველია.

— ერთ ოთახს რო გააღებო, მეორე ოთახშიგან აქ რკინი კარებიო. ორმოცი დღე სძინამსო, ორმოცი დღეა ღვიძამსო. ამ ორმოც დღეში ოცდაცხრამეტი დღეა სძინამსო, ერთი დღე დარჩაო. აპა, შედი კარებში ისე, რომა რო სძინავს და ფშვინამს, კარებს გაღამს, დახურამს. როიცა რო შეხვალო, მართაკში კიდია ხმალიო. წადიო და ვნახო, ის ხმალი გამოგვიტა აქაო. ფრთხილად იყავიო. არ მოგკლას, არ დაგაჯახოსო. — ადგა და წავიდა ბიჭი. ძალიან ყოჩაღი იყო ბიჭი, როგორც გააღო კარები და უცებ შევარდა ბიჭი, რო სუნთქამს, ამ ბიჭს აქანამს და კოჭებამდი ეფლობა. ასწია ამის სუნთქმამ ბიჭი მაღლა და ხმალი ჩამოიღო. როისა ჩამოიღო, ორმოცდაათფუთიანი იყო ხმალი. ხმალი იყო ალმასისა. გამოიტანა ქალებთან.

— აპა, — ებნევა, — როგორც დევი ათამაშამს, ათამაშე ეგ ხმალი, დავინახოთ შენი ვაჟკაცობა! — რო ამ ბიჭმა ისე ათამაშა, იტყვი: ერთი ჩეთვერი რამე ათამაშებს. მაშინ ძალიან მოეწონენ გოგოებს, მაგრამ კიდე ეშინიან ამ დევისა — არ გააფუჭოს. ამათ ჰქონდნენ იმრაინი ღვინო, ასვეს ამ ბიჭს.

— აპა, წადი და ღმერთმა ხელი მოგიმართოს! — უდა გემეეღვიძოს და:

— შედი ძინარეზე, მოკალი!

— მე ხო დედაკაცი არა ვარ, რო ძინარეზე მოვკლა? — ადგა და ბიჭი შევიდა. წიხლი ჩასცხო ამ დევს.

— ადე, შე ყრალო, რა გძინამს, არ გეყოფა, რაც იძინე? — ვერ გააღვიძა. დაუწრიპინა კიდე და ჩასცხო.

— არ გესმის, შენი ტერი მოსულა, რატო არ დგები კარზეო?

— ააჰ! — ცოტა-ცოტა გაიღვიძა. დევმა მოისვა თვალებზე ხელი.

— ლუკმა მოსულხარ, შეგჭამ, კარგია!

— მოკვდეს ბიჭი ვაჟიკაცი! — რა საათშიაც წამოდგა, დაიტაკნენ ესენი. ამ ბიჭმა ხმალი გადისროლა აიქით. დევმა მოიქნია და კოჭებამდი დაფლა. ბიჭმა მოიქნია და ბარძაყებამდი დაფლა. დევმა მოიქნია და წელამდი დაფლა. ბიჭმა მოიქნია და ჰიპამდი დაფლა. დევმა მოიქნია და ძუძუებამდი დაფლა. ახლა ბიჭმა მოუქნია, დედა უტირა, სუ კისრამდი დაფლა ერთიან. ამოხტა ბიჭი, მოიტანა ალმასის ხმალი, შემოუქნია კისერზე, ოცდაცხრამეტი თავი სუ გააგდებინა. ერთი თავი დარჩა ზედ, მეტი არა.

— ჰიმსნის შვილო, ერთი კიდო დასცხეო! ერთხელ დავიბადე, არათუ ორჯერ! — დევს რო მეორეთ დასცხოს, რაც იყო, ორი იმდენი გახდება. ბიჭი ძალიან ჭკვიანია და ერთი მეტი არ დასცხო. ამ ჩხუბს მოუნდნენ დილიდან საღამომდი. ბიჭი ძალიან დაიღალა. გავიდა ამ ქალებთან ე ბიჭი.

— აპა, მოვკალი მტერი უეე! — ამათ კიდო არ სჯერამდნენ.

— იმათ კიდე ვერ მოკლემდი! — უჩვენა სისხლიანი ხმალი.

— ეს ისე გაისვრებოდა, ვერ მოკლემდიო! — ეჭვში არიან.

— აპა, წამამყევით, ნახეთო!

— არა, გვეშინიანო, — ანახა ამათ, მოღალულნი დაწვნენ და დაიძინეს.

— აპა, ჩვენ ვართ ხემწიფის შვილები და ძალით წამოგვიყვანა ჩვენ. ხო უყურამ, ერთმანეთზე სამივე ლამაზი! დადექ აქ და ვიცხოვროთ, ჩვენ ცოლები ვიქნებით შენი და შენ კი ქმარი (იმოტენა ოხერი კაცია, ერთი ჩვენთვინ მოეცა, არ აჯობებდა?!).

— კარგი, მაგრამ ეხლა ნებას კი ვერ მოქცემ. თქვენ გელოდებიან თვალი მარგალიტი და შეიძლება დედ-მამასთან გაგაყოლოთო!

— წადი, აპა, იქ თვალ-მარგალიტის წყალი გადმოდის. რეეთიც გინდა, წაიღე, ოქრო რეეთიც გინდა, შედი. ოთახში წაიღე (ეხლა ზოგი ოქრო მე მქონებოდეს და ამ სახლებს ლამაზათ მოვრთეედი). იქაც ოქროს წყალი გადმოდის და იბანე იქაც შენაო! — წავიდა ეს ბიჭი. როიცა რო ის დევი ერთთავა აჰკიდა და სამოცი ფუთი აჰკიდა! იმ წყალს რო ახადა, იმის ქვეშ იყო თვალი თავის ახალი დედ-მამასი. ამოიღო, მარცხენა მარჯვენაში ჩასტვია, მარჯვენა—მარცხენაში. იმ დვინია გვეზალებმა უთხრეს, რომ:

— აპა, ეს იქნება და ალმასის წყალი წაუსვი თვალებზეო. რო მიდიხარ, რა პირობას გვაძლევ ჩვენ?

— თქვენ იქნებით ჩემი ცოლები, ვირამდის წავიღე, მივალაგო ჩემი დედ-მამა. მაშინ მოალ და აქ ვიცხოვროთ ერთათ! — ამათ ძალიან გიეხარდათ. ადგა, გამოვიდა ბიჭი და წამოვიდა. რაც ოქრო-ვერცხლი იყო, წავიდა, წამოიღო. მივიდა, ჩაუჯდუნა თვალები, მარცხენა მარჯვენაში და ცოტა ელამი მოვიდნენ.

— ძალიან კარგია! — დიდი მადლობელი გაუხდნენ, რო ღმერთმა გამოგვიგზავნა შენაირი კეთილი შვილი!

— კარქი. ხო თქვენ დედ-მამა ხართ ჩემიო. ყველაფერი გავათავე, რაც რო ნაკლისი ქონდნენ, იმაზე მეტი მოვიტანე. მაგრამ ჩემი ძველი დედ-მამა მომაგონდნენ, წავალ და მოვალ ისევ თქვენთანაო! — დაიწყეს ტირილი.

— შენ უნდა წახვიდე და ჩვენ გაგვაფუჭონ?

— არა, არ დაგტოვ თქვენ.

— აბა, შენი გაჭირვება როგორ გავიგო?

— ქვაბით რძეს შედგამთ თქვენაო. თუ სისხლად იქცა რძეო, ეს ასლან ყაფლანი აუშვით, წამოვლენ და მომარჩენენო.

— ძალიან კეთილი, შვილო, — შეედა ამ დევზეგან და წავიდა. რო წამოვიდა თავით სოფელში ეს ბიჭი, გაიხედა, ორასი კვამლი იყო. კვამლი აღარსიდან აღარ ამოდის სოფლიდან. ამ ბიჭს შეეშინდა.

— მივიდე, თუ არ მივიდე ამაღამ ამ სოფელშიო? მაინც უნა მივიდე, სუ რო მოვკვდეო! — ადგა და წავიდა. რახან შევიდა სოფელში, ამ კუტი გოგო რო ვთქვით წეღან, ამას ორასი კვამლი სუ გაუთავებია, შეუჭამია. დაუკიდია თავისი დედ-მამის ძვლიები, ცოტ-ცოტა კვნიტამს და სწვამს ძვლიებსა. ამ ხანს ბიჭიც მივიდა და:

— ე, ძმაო, როგორ გიკითხო, როგორ ხარო?

— კარგად ვარ.

— მამეცი ცხენი და დავაბა ახორში. ძმაო, შენი ცხენს სამი ფეხი მეტი არ ქონდაო? — ერთი შეუჭამა, ჭლიკი.

— არ ქონდაო!

— შენ ცხენს ორი ფეხი მეტი არ ქონდაო?

— არ ქონდაო.

— როგორ მოხველიო?

— ერთ ფეხს წინ მიაყოლებდა და დავდიოდიო. — შევიდა, ამ ქაფირმა ერთ ფეხზე გაუშვა.

— ერთის მეტი არა ქონდაო?

— არაო. — ი ფეხიც შეუჭამა ამ ურჯულომ. ვერ გაძღა ეს უსამართლო გოგო.

— ძმაო, შენ ცხენსაო ფეხები არ ქონდაო?

— არ ქონდაო.

— როგორ მოხველიო?

— მუცელზე ხოხიალით წამოვიდაო. — მუცელიც შეუჭამა ამ ურჯულომ.

— ძმაო, როგორ მოხველიო?

— მარჯვენა ფერდის ხოხიალით მოვედიო. — იმ თელ სოფელშიგან ერთი მამალი დარჩენილიყო. მამალმა უთხრა:

— რას დგახარ, შენც უნდა მოგკლასო!

— შენ ცხენს მარჯვენა ფერდი არ ქონდაო?

— არაო, მარცხენა ფერდის ხოხიალით მოვდიოდიო.

გამთავისუფლა ცხენი. ორმოცდაათი ფუთი გამოვიდა, ერთ ჯერზე შეჭამა. ახლა ძმაზე მოიცალა ჭამა.

აბა, ვნახოთ, როგორ მოახერხებს ბიჭი. . .

— კარქი!

— აბა, შენ უნდა ერდოდან ჩემეეკიდო და ისე ვილაპარაკოთო! — ჩაკეტა მაგრად კარები. ადგა და ერთი გუდანაცარი ჩამოჰკიდა ამ ბიჭმა. გაექცა ამ ბიჭმა, თავს უნა უშველოს. ეს გუდა ქანაობს ამ სახშიგან.

— ე, ძმაო, ვეღარ მამირჩებიო! საცა წახვიდე, ჩემი ლუკმა ხარო. გაჩერდი და მელაპარაკე! — ბიჭი კი გარბის. გუდას ეხნევა:

— ნუ ქანაობო, კაცო, არ გესმისო? მელაპარაკეო!

— კარგიო! — რო ახტა, მიაფრინდა ამ გუდას, ჩამოახია და თვალებში შეიყარა ეს ნაცარი.

— მაშინ ხო მებნებოდი, ახლა იყურეო! — გამოისუფთავა თვალები, კარები — მივარდა, — რო კარები ჩაკეტილია. გამწარდა გოგო. აქედან ღრღნა,

ოქიდან ღრღნა ეს კარები და გააღო ეს კარები. ადგა, ამოვიდა ერდოზე. გაიხედა, რო თავი ძმა ასე გარბის, რო ბუზის ტოლა ძლივსა სჩამს.

— მე აწი გეწევი. შენ, ნუ გეშინიაო! — ბიჭი გარბის. გოგო გარბის. ამან ჭი დიეწია. რო დიეწიოს და ორი ხე იყო ალვიხისა. ავიდა ამ ხეზეგან ეს ბიჭი. დაუწყო კბილით ჭრა. გადასჭრა თუ არა, მეორეზე გადახტა. მეორეც უნა გადასჭრას. ამ თავი დედ-მამას არ დააბარა — რძე-რძე სისხლადო? ამოვიდა რძე და გადიქცა სისხლად. ასლან ყაფლანიც წამოვიდა. მიეშველნენ ასლან-ყაფლანი და სტაცეს ამ გოგოს ხელი. სისხლის მეტი არაფერი დარჩა ეს გოგო. ბიჭი ჩამოვიდა და ამათ ორსავეს თვალებში აკოცა. ხეც გადაბრუნდა. იმ მრავალ ჯოგ აძოვენ იქა.

— ეს რანაირი ძაღლებიაო, რო ეს კაცები მოარჩინეს ამ დარდსა? — წამოვიდნენ.

— ეს ჯოხი თუ გამოიცნო, ეს ჯოგი ვაჩუქოთ იმასა, თორემ ეს ძაღლები წავართვათ. — მოვიდნენ ამ ბიჭთან.

— მოდით, ასეთი დაგავორი გავაკეთოთ. ასეა გამოცნობაო.

— კარგიო! — ნაფოტზე დიეცა სისხლი.

— ძმა, ამწიე, მე გითხარიო. — ამ ბიჭმა რა იცის, რა ჯოხია?

— მოდი ავწევ, რაღას მიზამს სისხლი? — როისა რო ასწია:

— ძმაო, შინდი ჯოხიაო! — ჩააბარეს ჯოგები დაგავორის ძალაზე. წამოასხა ჯოგი. ამ ბიჭს მუცელი დიეწვა. გამოიღო და რას გამოიღამს? ნახევარი ფერდი შეუჭამია ამ სისხლ. ასწია და გადუგდო ძაღლებს და:

— ისაც შეაჭამო, რო მაგის აღარც სისხლი იყოსო! — შეედა ცხენზეგან ეს ბიჭი და წამოვიდა. ერთი თვე, ორი თვე ავანტყოფობა გამოიარა ჩემსეეფ. ადგა, მორჩა. მივიდა და ახლა:

— წავიდეთ იმი სახლში, — ქალებს რო მისცა პირობა. მივიდნენ იმ ოთახში. აიყვანა ის, სამივე ქალები. ორმოცი დღე, ორმოცი ღამე ხორწილი ქონდა. შე არ დამპატიჟეს იმ ურჯულომა. . .

13. კაი ვაჟიკაცი

ერთი ცოლ-ქმარნი იყვნენ. ამათ ერთი გოგო ჰყავდნენ, ერთი ბიჭი. გოგო ძალიან კუტი იყო. შვიდი წლისა იყო. ისოვ აკავანში იწვა და ბიჭი კაი ვაჟიკაცი იყო. თავი დედ-მამას უთხრა, რომა:

— მე გამამიცხეთ საგძალი, რომ საავჯოთ უნდა წავიდეთო. — რახანს რო მოზილეს ცომი, ადგა, კუტი გოგომ შეჭამა. მეორეთაც კიდო ისე. ბიჭმა უთხრა:

— დედ-მამავ, მე დავბეგჩავ იმას და, თუ ვინმე დავიჭირე, აწი მოვკლამ. — შევიდა დაბეგჩა, რომ რას დაბეგჩამს? თავი დამ შეჭამა. დაუნიშნა თოფი, რო ესროლოს. რას ნახამს? — შეებრალა და უთხრა:

— დედ-მამას შევატყობინამ. — მივიდა და შეატყობინა, უთხრა:

— ჩემო დედ-მამავ, ჩვენი და არის შემჭმელია. მე ის უნა მოვკლაო.

— როგორ შეიძლება, რო მოკლაო? შე რო მოკვდე ჯობია იმის მოკვლასო. — ადგა და წავიდა. გაიხედა თაზე, ნახვა, რო ერთი ცხვარი სძოვს. არავინ არ იყვნენ ამ ცხვრის მეტი იქა. წახყვა იმ ცხვარსა. ორ ბრმას აწოვდა ძუძუს და

იმით რჩენილობდენ. დადგა და ამანაც მოწოვა ძუძუ. როიცა რო მშიერი დარჩენ, თქვეს, რო:

— ვინცაღა დეგვემატა ჩვენ! — მაშინ შეისუნთქეს, ზალიან გმირები იყვ-ნენ და ეს მიიკრეს ბიჭი ახლოს. უთხრა:

— მე შვილი და თქვენ დედ-მამა.

— კარგი, შვილო, აპა გეტყვით, ამ ცხვარს საცა წაასხამ. არ წაიყვანოთ ამოსავლეთზე, არც დასავლეთზე, არც სამხრეთისკენ და მარჯვნისკინ წაიყვა-

— ამ ბიჭსა, რომელიც დაუშალეს, იქითკენ წაასხა. თანდათან ეს ბიჭი გმირი გახ-და. წაიყვანა, სადაც დაუშალეს, იქ ნახოთ, რო ასლან-ყაფლანი ჩამოუხტა წინა-

—ჰიმსნის შვილო, ჩვენ შიშით ვერავინ მოსულა აქა და შენ სიდან გამოხ-ველი? იეხლა ჩვენ უნდა დავლოგინდეთ! თუ ტყუპები გვეყოლა, აწი შეგეპამთ, თუ არაო და გადარჩებით. — მაშინ ბებიად დაუდგა ბიჭი. როიცა რო დაყარეს ლეკვები, ასწია და ერთი შარვლის ტოტშიგან ჩაიდო და ერთის მეტი არ უჩვენა.

— ჰიმსნის შვილო, ეხლა წყვილის დრო ჰქონდაო. შენ გადარჩიო და წა-დიო და ხელი მოგიმართოსო! — წამოიყვანა ეს ასლან-ყაფლანის შვილები. მეორე დღეს ასსა, კიდო მეორეთ რო დაუშალეს, ერთი ქურთი გადმოდგა. იმო-ტონი კომბალი უჭირავს, დაუძახა:

— ეი, კურო, აქ სად მოგირეკია? ჩვენ შიშით ჩიტი ვერ გაფრინებულა!

—ამ ბიჭმა უთხრა:

— მოდი ახლოს, არ მესმის! — ამ ქურთსაც უჭირავს ცხრაფუთიანი კომბა-ლი. ერთი რო შემოსცხო ამ ბიჭმა, ნაფრეწები ცაში წავიდა. იმოტოლ ცხვარს აძოვდა, სულ დარჩა ამ ბიჭსა. წამოიყვანა ეს ცხვარი. დიდი ერბო-ყველიც გა-აკეთა და აბასთუმანში გაყიდა. ბოლოს უთხრა თავი დედ-მამას:

— თქვენ რათა ხართ აგრე ბრმანი?

— ო, შვილო, მაგას ნუ იკითხავთ. — ჩააცივდა.

— ჩვენ ძალიან გმირები ვიყავით. როიცა რო დავბერდით, ჩვენ წაგვართ-ვეს დევ-გმირებმა ოქრო-ვერცხლიო.

— აპა, სითკენ არი, გვიჩვენე გზა! — უთხრა.

— ამოსავლეთზეა.

— მე წავალ იქითკენ, — ძაღლებიც თან წაიყვანა, იმ ასლან-ყაფლანის შვილი. ცოტა ვარა, ბევრი ვარა, მივიდა, დაინახა კოშკი. ძაღლებს უთხრა, რო:

— თქვენ აქ იქნებით. ააგერ, თოკის წვერი თუ სისხლათ იქცაო, მემეშვე-ლეთო, თუ არა და გამარჯვებული გამოვალო. — ე ბიჭი წავიდა. კოშკისკენ წა-ვიდა. ძაღლები უყურებენ წვერსა. შევიდა ეს ბიჭი, დაუწყო ამ დევებსა. რო-მელი დევის იყო ორმოცდაათი თავადები, ის კოშკია და არც კარი აქ, არც არა-ფერი. სიდან ავიდეს? დათაკრა ეს კვდარი დევი და ავიდა, ჩაიხედა, რო სამი დევ-ნია გვეზალი არი. იშვირა ბიჭმა პირი და ჩახტა.

— ჰიმსნის შვილო, როგორც მოხველი, ისი წადი, თორემ გაგაფუჭამსო.

— მე მაგას მოვსპებ, ნუ გეშინიათ!

— შედი მად, ნახოთ, შინჯევი ჯერა, ორმოცდაათფუთიანი ხმალი აქ, ზიფთ-შია ჩარჭული! — რკინი კარები ქონდა. დევი ძილითა რახრუხი გააქ კარებს. ეს ბიჭი რო შიგ შევიდა, რო ამოისუნთქა, კოჭლებამდი დაიფლა ბიჭი. ნახა, ეს ხმა-ლი წამოიწია ორი ვერშოკი. გამოვიდა, გოგოებს უთხრა:

— ორი ვერშოკი დაეძარიო!

შევიდა, მოსწია, ნახევარზე ამოიტანა. გამოიტანა ხმალი. ისე ათამაშენდა იმ ორმოცდაათფუთიანს, რო, როგორც ყმარწვილი.

— აბა, თავი მოკვეთეო!

— მე ხო დედაკაცი არა ვარ, შევიდე და ძინარეზე მოვკლავო. გაყალიძამო.

— ერთი მეტი არ დასცხო, თორო გადაიქცევა არწივათაო და შექჭამსო! — ადგა ამან და გაანადგურა. ქალნი დარჩნენ ამასა.

14. ნაცარქექია

ნაცარქექია იყო. იმრაინი ჯუდამი იყო, რომა, რა ვიცი? ქექამს ნაცარ. ე ქალი დადის და თხოულობს და არჩენს ამ კაცს. ებნევა:

— კაცო, შენ ღმერთს შეხედე, რამე გააკეთე, მოიტა! — ისესხა რაღაციები მეზობლურად ამ ქალმა და ქადა გამოაცხო.

— კაცო, ღმერთი ქადას ყრის, დაკრიფე, ჭამეო! — გამოვიდა ეს კაცი. ქალი შევიდა და დაუკეტა კარები.

— ქალო, კარები გამიღე.

— ანჯახ ჩემ თავს ვარჩენ, წადი, საცა გინდა, სა უნდა გარჩინო შენო?

— მაინც ერთი გუდანაცარი მომეციო და სხვა არაფერიო. — გაუმსო ნაცარი, გაუტენა და გაატანა. ადგა და წავიდა ეს ნაცარქექია. შეხვდებიან დევები. გზაშიგან რო მიდიან, ამ დევებსა (წყლი პირას მივიდნენ):

— აპა, ამიკიდეთ და გამიყვანეთ. — ძალიან რიხიანი კაცი კი არის.

— რომელიც ღონიერი დევი ხართო, იმან ამიკიდოსო! — შეახტა დევსა ზურგზე.

— რით დავამძიმო? — ზათი გირვანქა იყო თვითან. ერთი სადგისი ქონდა და ამოიღო და ზურგზე დააკირა. ამ დევმა გააგდო:

— ვაი, დედა, რა მძიმე იყო! ამას ვერ გავიტანო. — აპა, მეორემაც ისე ზურგზე დააკირა. ამასაც იმფარავად უყო ამანა. ბოლოს გაიტანეს. წავიდნენ სახლისკენა. ეხლა ესენი ამბობენ:

— გავშინჯოთ ჩვენი ღონეო, ვინ ღონიერი ვართ. — ამას სამოცი ნაჭარი ყველი ქონდა.

— აპა, ქვას მოვუჭიროთ ხელი! ვინც წყალ გავადენთ, ღონიერი ის იქნებია. — ეს ნაცარქექიამ ამოიღო ყველი, დაიჭირა ხელშიგან, მოუჭირა ამას, წვენი გაადინა.

— დედას გიტირამთ, თუ არ გაადინამთ ქვას. ხო ხედამ, მე გავადინე წვენი? — დევები სუ გადირიენ: რამოტოლა ღონეაო?! იმათ მოუჭირეს ქვა დადაფხვნეს, მაგრამ ქვიდან წვენი ვინ გაიგო? ამ დევებს შიშით ტუჩები უსკდებიან.

— რა ვქნათ ახლა ჩვენ? ეს კაი ბელა ვიპოვეთ და ვერსად გავინჯღრევეთ შიშითაო! — ადგნენ და წავიდნენ, ერთს სერზეგან ავიდნენ. ესენი რო წავიდნენ, ამან ამოიღო და სუ ნაცარი ფანტა. ამ დევებს გაუკვირდნენ.

— ჩვენ მივდივართ, ფუტი არ ადის და ამას უყურეო?! — უფრო შიეშინდნენ. ადგნენ და მიიყვანეს სახშიგან. ორმოცი დევი არიან და — იამან ხმა არ ამოიღოთო! — აპა დააყენეს ეს უმფროსათ. ეს დევები სანადიროთ გაგზავნა, მოატანია შველი, მელა, ბოლოს გაგზავნა ტყეში. იმ დევებმა იცოდენ, რო სირით ყველამ შეშა უნდა მოიტანოს. ამ დროს უთხრა, რომ:

— მოიტანეთ შეშა! — ახლა მოვიდა სირი ნაცარქექიაზე.

— აპა ერთი თოკი მიშოვნეთ დიდი! — ეს ნაცარქექია წავიდა და ტყეს ერთიანი თოკი შემოავლო. ამ შემოვლებაზე ძალიან დააგვიანა ამ ნაცარქექიამ.

— კაცო, რას შვრები შენ? ერთიან ტყე რათ გვინდა? თაღაო არც შენი წემოღებული გვინდა, არც არაო!

— აპა, ერთ ჯერზე მოვიტან, დავჰყრი და იყოს და იყოსო! — ტუჩები დაუსკდენ შიშით.

— წამოდიო, აღარ გვინდაო! — ამ ნაცარქექიას უფრო გიეხარდა. დაჟდენ პურის ჭამაზე. ამ დევებს არ წასცდათ? ეს ნაცარქექიაჲ მაღლა შეისროლეს. ამ დევებს ეგონა, ეწყინაო და სულ დაგვწყვიტამსო და გაიქცნენ. დაყარეს კარი, სახლი. ჩამოვიდა ნაცარქექიაჲ. ადგნენ და ერთ სამზე გადიხეტნეს სულ თლაო.

— ახლა მე წავალ და ჩემ ცოლ-შვილ აქ მოვიყვანო! — გუდაში თუ ნაცარი ქონდა, ახლა ოქრო ჩაყარა, მივიდა თავი ქალთან.

— აპა, კარი გამიღე! — შუაღამეა.

— არ გაგიღამ!

— ქალო, ოქრო მოვიტანე! — არა სჯერამს. ასწია და ერდოდან ჩაუძახა ოქრო. მაშინ გიეხარდა. გაუღო კარები...

15. ორმოცი და-ძმა

იყო ერთი ხემწიფე. ამ ხემწიფეს ორმოცი შვილი ხყავდა. ამ ორმოც შვილშიგანა უმფროსი, დიდი რომ იყო, მამამისმა უთხრა:

— თქვენ დასასახლებელი შემესწარით, და ორმოცი უნდა მოიყვანოთ ქალი. — ადგნენ და წავიდნენ. ცოტა იარეს, ბევრი იარეს მათ, მოვიდნენ ერთ დევებთან. დაისვენეს ბაღში. გამოვიდა დევი და:

— აქ ჩემი შიშით ჩიტი ვერ აფრინებულა და ესენი მოვიდნენ? — სუნთელ სძინავან და ერთი პატარა ბიჭი არის ყარაულათ. ეს დევები, რომელიც არ მოვიდა, მოკლა. ადგა და უფროს ძმიებსა:

— აი ძმიებო, ასეთი საქმე გავაკეთეევი. მოვიდა ჩვენზე მტერი და დავსუარიო! — ამ ბიჭსაც ვანიჩკა ქვია.

— შე ფარცატანავ, რა შეგიძლია, რო დევები მოკლაო? — მეორე ღამეს სხვაგან წავიდნენ. კიდო კითხულობენ:

— სად არის ორმოცი და? — ასწავლეს, რომ: — ამომავალ დევებთან მიხვალთ და იმათთან ორმოცი დანი არიან! — მივიდნენ თუ არა, იმათ ხყავდნენ დედა.

— მობრძანდით! — მიიღო ეს ბიჭები. კაი ღვინო ასვა, ყველაფერი. დაიწყო ამ ბიჭმა ომი. დევებმა არ მოუთმინეს. ამან დევები სულ დაწყვიტა და ძმიებმა არ იციან კიდევა. იმათ რო დედა ყავდენ, იმას ხელი აღარ მიხყო. დააღეს ოთახები, შევიდნენ, რას ნახამენ? ორმოცი დანი ძიან სუ დვინია გვეზალები. ამათ ადგა და სუ თითო-თითოდ დაურიგა. ეს პატარა რომელიც არის, უმეტესად ლამაზი იყო, თვითონ დარჩა. ეგ პატარა გოგო კაჟდევას შენახული ყავდა და აბრეშუმში ყავდა გახვეული. რო ადგა და წაიყვანა გოგოები, უთხრა დედას:

— აპა, მეც წამიყვანევით, ამათ მოვლა უნდა, ხამი გოგიებიაო! — პატარამ უთხრა:

— ნუ წავიყვანთ! — დიდმა უთხრა:

— მოახლეთ იყოს, ვერ ვარჩენთ, თუ რა? — ადგნენ და შემოიჯდუნეს უკნიდან თარქზე და მიდიან. გზა შეაშლევინა ამ ქალმა. ერთ უბირ ტყეშიგან შევიდნენ. ამ ქალმა უთხრა:

— აპა, შეაჩერეთ ცხენები! — ორმოცი ესენი იყვნენ, ორმოციც ქალიშვილები, ოთხმოცი სულა. ესენი სუნთელი ისხდნენ თითო ცხენზე. ამ ქალმა უთხრა:

— შეაჩერეთ ცხენებიო! — და:

— რა უნდაო? — რო ჩამოქდა, გაკიდა ტყეშიგანა და ერთი დაიყვირა. მოცვივდნენ დევები. დაიწყეს ომი. ვანიჩქა ეუბნება:

— მე მარტო დავიწყებ ომსა! — ორმოცი დევი სულ დასჭრა, აკაფა ამ ბიჭმა. ეს ქალი გაიქცა, იმრაინ ადგილ მიაყენა ისე იმრაინად, რო დიდი მთა არი. აპა, დაუძახა კიდო, რომელიც რო მთავარი დევია. ისაც საომრათ არი ხელმწიფესთან წასული. იქ ერთი დვინია გვეზალია და ვერ მოუყვანია. რო დაუყვირა ამ ქალმა, ამადანი მივიდა. გადუხტა წინ.

— ეი, ჰიმსნის შვილებო, ვინ ხართ თქვენ? რომ ჩემი შიშით ჩიტი ვერ ფრინდებაო! ვინა ხართ აგრე ყოჩაღიო? — დედამისმა უშვირა ვანიჩკაზე. ამათ უთხრა. დაიწყეს ომი. სჭრიან, ისევ ცოცხალია ეს დევი.

— ჰეჩ, კიდე მაინც გაგანადგურებ, — ეს პატარა აძლევს პასუხს.

—დევო, რა გინდა, თქვენ ვინ მოგცათ ნება, მოხველით აქაო? სუნთელი გამითავისუფლე ოცდაცხრამეტი ძმა! — და ოცდაცხრამეტიც გოგოა.

— ნება მიმიცია, წავიდნენო და შენთან მაქვს საქმეო. რომელიცაო ჩემი პატარაიაო, მაგასაც რო ადამიანის სული მოხვედრიაო, მაგას აღარ მივიღამო, ხოლო შენთან მაქვს საქმეო. — ადგნენ და წავიდნენ. დევმა უთხრა:

— აპა, წამამყე. იცი, მოიტა, პური ვჭამოთ. შენ ამომავალ ხენწიფესთან უნდა წახვიდე და მომიყვანო ის დვინია გვეზალი, თუ არ გამიყვანეო, იცოდე, კვდარი ხარ ისეც და ასეცაო! შენ არა თქვაო, რომაო მეო მოვკვდეო. რო წახვიდეო და ფიქრში გაიმრუდო გულიო, იმწამს იქა ვარ მეო! — აანთე ფურნეო! — კარქა გაახურა ფურნე, დევმა უთხრა:

— ამწიეო და შემატვიე ფურნეშიო! — შესტვია და დასწვა ეს დევი ერთიან. ასწია ნაცარი და გადმოყარა კარზე.

— ახლა ხო დაგწვი, უქე? — როცა რო წამოვიდეს და წინ დაუხვდა. ამ ბიჭს ძალიან უმუდი გადუწყდა.

ვეღარ მოურჩებიო.

— აპა, ასწი ხმალი, სულ დამჭარიო! — დასჭრა ეს დევი.

— ხო დავსჭარი, ახლა წავალ სახლშიო! — მაშინაც წინ გადუხტა.

— ხო ხედამ, ვერ მომკალი, მე კი მოგკლავ შენ. იქ ქალ რო წამოიყვან, თუ გული გაიბრუდე, იმწამ იქა ვარო.

— კარქი. აპა, პური გამამიცხე, — გამოუცხო პური, კაი სუფთა პური. ადგა და წავიდა ბიჭი. არ იცის, სითკენ არის ის ქალი, სითკენ არ არი. წყალი პირპირ მიდის, შეხვდება წყლი ქალებს. ამათ ქორწილი აქვანან. ამათ ამოიღეს, სულთელმა, და ტალახს ჭამენ, მიწით ცხოვრობენ. ეს ბიჭი ძალიან მიეწონენ. უთხრეს:

— რა გაჭირება გაქს?

— ჩემი გაჭირება ამომავალ დევისაგანო. უნდა ამომავალ ხემწიფის ქალიო!

— ვერ გიშველითო და აგერ ჩვენი გრანიციდან გადგიყვანთო და, თუ გაგიჭირდაო, აი, ნიშანიო და გვახსენამო და დავიბადებითო! — ადგა, წავიდა ერთი

კიდო წყლი პირ-პირ. ერთი ნახა, რომა წყლი გაღმიდან ერთი ჭიანჭველი მოდის და წყალია და ვერ გასულან. ამ ბიჭსა შეეცოდვა.

— ესეა, ესე ჩვენი საქმეო! — და იმ ბიჭმა ხიდი გაუდო ბოძითა და ამ ჭიანჭველებს დვინია გვეზალი მიეტაცნეს და წაართვეს ჩხუბით. დიდი მადლობა გადაუხადეს ამ ჭინჭველებმა.

— აპა, რა გაჭირვება გაქ? ითხვიეთ.

— ასე საქმეო!

— ეს რა ძნელი გვითხარი, ის არ მოკვდება და არაო! წადი და აგერ ჩვენი ფრთაო და ეგებ დაგჭირდესო. იქ რო მიდიხარ, იციო, ხუთი ვერსი სულ ალმასით არის დახურული. როგორ უნდა გადახვიდე, ფეხებ დაგიჭრისო. ღმერთი შეგეწიოსო, ღმერთიო! — ადგა დაღონებული ბიჭი და წავიდა. მივიდა, ხის ჩრდილი იყო და დაიძინა. ერთი დუდეყუში უძახიან და ამას შვილები ყავდა ზედ. ადგა და წავიდა ვეშაპი ზედა და შემჭამსო შვილები! ამათ წრიპინ-ყივილი შემიესმა ამ კაცს და გამოიღვიძა. და რას გამოიღვიძამს? ვეშაპი მიდის და წივიან. ამოიღო ხმალი. სულ დასჭრა ეს ვეშაპი და ჩამოყარა ძირს. იმოტოლი დასჭრა, იმისი ლეშით სამოცი საჯენი გააკეთა. მოვიდა ეს ჩიტი დუდეყუში. ნახა, რო შვილის ტერიაო .შვილებმა უთხრეს:

— სწორედ მაგან მოგვარჩინა! — ორმოცი წელიწადი გავიდა და შვილი ვერ გაზარდა. უკამდა მტერი და ძლივ დაინახა, რო ცოცხალი დარჩნენ. გაუხარდა ამ ჩიტსა, ჩამოვიდა და თავი კალთა გადააფარა ამ ბიჭსა, ვირაამდი გამოიღვიძნოს. რომ გამოიღვიძნა ბიჭმა, ძალიან მადლობა გადაუხადა.

— ორმოცი წელიწადია, შვილი არ დამრჩენია მტრისაგან. ითხვიე, შვილო, სათხოვარიო.

— ჩემი სათხოვარი ეს არის, რო ამომავალ დევისგან მომარჩინეო!

— ძალიან ძნელიაო! გინდაც რომ მოვკლა, ისიც ცოცხალი რჩება. ეგ უკვდავის ერთიაო. სხვა რა გაქ აღთქმა, აგისრულო?

— ამომავალ სახელმწიფოში გადამიყვანე და ქალი მოვიტაცოო.

— აგისრულამაო! აგერ ჩემი ფრთაო და არისო ხუთი ვერსიო, სულ სამართებელი დაგებული გზაო. ხუთი ვერსიც არიო კლდეო სულ მარილისაო. გადასვლაზე დაიჭრებოდი და მარილი ტანს დაგწვამდაო! ნუ გეშინიაო! იქ რო გადახვალ, ორ ნაძლევს გაგიკეთებენო. თუ აასრულე ი სიტყვაო, დაგანებებენ ქალსაო. თუ არა და ისეც კვდარი ხარო. აპა, შემჯექ ზედაო! — შეჯდა და გადაიყვანა იმ სახელმწიფოში. სწორეთ უთხრეს ამ ბიჭსა.

— შენა რისთულ მოსულხარ?

— მე მოვსულვარ თქვენი ქალიშვილის სათხოვრათ!

— კეთილი, თუ აასრულე ჩვენი ბძანება.

— კარგი, ავისრულამ, რასაც მეტყვით.

— ორმოცი ქვაბი საქმელი უნდა შეკამოო. თუ ერთი ლუკმა გაგიშვიაო, კისერ მოგჭრითო! ისაც ერთ ჯერზეო. — ქვაბში ჩადის ორმოცდაათი ფუთი. — ხარ ამ პირობაზე, განაო?

— მამეცით სროკიო და ვიფიქროო. — იფიქრა ამ ბიჭმა. — მე ვერ შევჭამ. მე რო ჩამოველ წყლი პირსა და ისენი რო დავუძახო, ხო შესჭამენ? — იმითი ნიშანი ქონდა. ახსენა თუ არა, იქვე დაიბადებიან. — აპა, შევჭამ, — მოუდგეს ეს ორმოცი ქვაბი.

— აპა, შეჭამეო. — ამაღამ გათენებამდი დაუძახა ეს წყლის ქალები. დაახ-

ვია და ყვირიან და შეჭამეს. ამ ბიჭმა ცარელა ქვაბები მოაქუჩა. ხელმწიფემ შემოგზავნა დილაზედ კარი კაცები.

— აპა, მოიტანეთ, შეჭამა, თუ არა?

— შეუჭამია! — გაშტერდა ეს ხემწიფე:

— რა ძრავლი კაციაო! ერთ კიდე გეტყვი! თუ ისეც გაარიგე, უქე მოგეცო! — წავიდა.

— მითხარი, სამასი ფუთი პური და სამასი ქერი უნდა გაარჩიოო! — ერთიან აური-დაურია. ეგ თუ გაარჩიეო, ისე რო წისქვილზე დაიფქვასო. თუ მიწა ურევია, კისერ მოგჭრიო!

— მამეცი ნება, სამი დღე კიდოო, ვიფიქროო! — იფიქრა ამ ბიჭმა სამი დღე. ადგა და მისცა პასუხი:

— კიდეე შემიძლია გავარჩიო ეგეცაო! — დაუყარეს ერთ სახლში პური და ქერი. აური-დაურიეს.

— აბა, გაარჩიე! — დაუძაღა.

— მეო ჭინჭველებს სიკეთე უყავი! — ჩამოჰკრა იმითი ფრთა. იქ დაიბადენ ხელათ.

— აპა, ე პური უნდა გაარჩიოთო! — დიესია იმოტოლი ჭინჭველი, თითო ჭინჭველს თითო მარცვალი არ შეხვდა. ცალსამთზე პური, ცალსამთზე ქერი. დილაზე ადგნენ. ხენწიფემ გამოგზავნა კარი კაცები. დააყენა თავის მჭრელები, ჯალათები. შევიდა, რას ნახავს?

— აპა, ჰალალი იყო შენზეგან! — ჩაბარა გოგო, — მაგრამ მარიფათიანი რო ყოფილხარ, კიდოც გეკუთვნებაო! — ორმოცი საპანე გაატანა. სულ ოქროვერცხლი და ორმოცი საპანეც პური გაატანა: — შორ იქნების შენი სახელმწიფო და სჭამო გზაშიო!

16. შაისმიელი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხემწიფე. ამ ხემწიფეს ყავდა ერთი ქალიშვილი, რომელიც ერქვა შაისმიელი. ამ ხემწიფემ ასწია და ხოჯას სხვა სახელმწიფოში მისცა სასწავლებლად ოცდახუთი წლით. ამა რო აკითხა, ოცდაოთხი წელი რო შესრულდა და ძალიან ნასწავლი გამოვიდა, გარეთ არ უშვებდა. მზე და მთვარე არ ენახა, ოთახში იყდა ოცდახუთი წელიწადი. მემრისათ ამ მოლას ხალაელები ხყავდა, იმათ უთხრა მოლამ:

— შაისმიელს კერძი შეუტანეთო! მე სხვაგან მივდივარ ბაზარში! — ამათ რო კერძი შეუტანეს, ამ ქალმა ჯამშიგან ჩაუტვია მსხვილი ძვალი. რო დაუდგა შტოლზეგან, ის ძვალი ხორცი გონია და რაც რძილები ქონდა, აართვა და ძვალი დარჩა. ჰიმრუღით სცემდა. უნდა გიეტეხა. რომ ვერ გატეხა, შუშაბანდიანი სახლი იყო, შვიდი ყათი (შვიდჯერ ჩაკეტილებული შუშა) ქონდა. ამას რომ ესროლა, ამ შუშასა, ეს შვიდივე ყათივე გასტეხა, გავიდა გარეთ. უცფათ მზის შუქი შემოვიდა ოთახში, შეხედა რო, რა არის! ეს ვინ კაცი გაჩთა? შაისმიელს ხმალი ეკიდა, ამოიღო და მზის სხივები რო ცემა დაუწყო, მზეს ვერაფერი შეასმინა. უმის მეტად დაიღალა, შაოფლში შევიდა. ისევ გადაბრუნდა დაბნდა. ამ დროს მოლამ მოვიდა. ნახამს — შაისმიელა დაბნედილა.

— რა მოგივიდა, შაისმიელ?

აღარც სიტყვა, აღარც არაფერი. მოიტანა წყალი მოლამ, ბაკებიდან გამოაფუ-ჟულა.

—მაგაში რაღაც ეგდო, ვერ დავრღენი, ვესროლე, ვესროლე, და ეს კაცი შემოსულა და ვერ გავაგდეო! — მზის სხივზე ეუბნება, — ას მძრავლი კაცი არ მინახავსო.

— რა, ქვეყანაზე მზე არ გინახია? მაიხედე ერთიო! — და გააღო კარები.

დაინახა შაისმელამ ქვეყანა, მზე, მასკვლავები და:

— მე აქ უნდა ვკვდებოდეო დატუსაღებულიო? გამიშვი და გამიშვიო!

— შვილო, მოიცადე ორი დღე და მერე გაგიშვამ! — დაჟდა მოლამ ოთახ-შიგანა და შტოლზეგან ერთი წერილი დაწერა და გაგზავნა სახემწიფოში. ესა და ეს საქმეაო. ჩაბარდა წერილი ხემწიფეს, წაიკითხა.

— შენი შვილი აღარ სწავლობს, აღარ დგებაო.

— გამოუშვი, მეო ლალას გამოვგზავნი და ხამი კაცია, არ დაიკარგოს გზა-დაგზაშუაო!

გაუგზავნა ლალაჲ და მოუტანა წერილი. ლალამ ფულიც წამოუღო.

ასწია და წამოიყვანა ლალამ შაისმელი. ბაზარში რო მოდის, გაიხედა, ავტო-მობილი თავლას მოდის, ფაიტონი თავდაღმა მოდის. გაშტერდა:

— სად იყო ამოტენა კაციო, რას მიშვებოდა მამაჩემიო!

— შაისმელ, ამ ხალხს დაინახემ და ი სწავლაო ვერ ნახემდიო!

გზაში ერთი ავჯი დაუხვდა. ორი ძაღლი ყავს, ორასი პატრონი. შაისმელმა რა დაინახა:

— რა არის, ლალა, ხარზე ხე გაუდვია?

— ეგ არიო თოფიო, ასე დაუჭერს და ჩიტი ან ყვავი გაირბენს, დაუმიზ-ნამს, მოჰკლავს და პატრონს ჩააბრიან ეს ძაღლები მოკლულსაო!

— უნდა მიყიდო ჩქარათაო?

— მამაშენთან მოგიყვან და გაგიწყამსო!

მიიყვანა მამამისის სახლში.

— მამა, რათ მკლემდი, რო დამატუსაღეო? მზე არ მენახაო!

— მეო ერთი თოფი უნდა მიყიდოო.

— რათ გინდაო? — წავიდა ლალაჲ დაუძახა.

— ეს რას თხოულომსო?

— მაგან საავჯო თოფი დაინახაო.

— ლალაო, წაიყვანე და ერთი კარგი თოფი გააკეთებინეო, ერთი კარჭი ხმალი გააკეთებინე. ხმალი უნდა იყოსო ბათმანიანი და ტარიც უნდა ესხას ოქ-როსიო! — წაიყვანა. მოიყვანა ოსტატთან.

— თოფი უნდა გააკეთო საავჯო, სამასი პატრონი და ოქროს ტარიო. რა უნდა გამომართვა?

— ან ათი თუმანი, ან თხუთმეტი თუმანი. წადი და სამი დღის მერე მოდი და წაიღე!

გავიდა სამი დღე. ეჩქარება შაისმელს. მივიდა. მისცა თხუთმეტი თუმანი.

— შაისმელო, გავაკეთე. აიღე, თუ დაატრიალე, წაიღეო, თუ არა და და-ტოვეო! — მოვიდა ოთახში.

— მამაჩემო, მომინახე კაი ცხენი, რო შევეკდეო.

— მარტო ვერ წახვალ შენაო!

ლალა დაუძახა ხემწიფემ.

— შენ წახყვები ამას სანადიროდაო, თუ ამას მახინჯი მოჰგვარე, ჩამოგახ-ჩომო. მე შენ გაბრ ჩემ შვილს და საღი უნდა ჩამბარო ჩემი შვილიო!

წაიყვანა, გავიდნენ ბაზარში. შაისმელ ამხანაგები გემიექანენ:

— სანადიროდ მივალთ, ჩვენც წამოვიდეთო!

სამითანა გახდნენ. იქიდან კიდე ათითანა გახდნენ.

მოდიან სანადიროთ, გასცილდან ათი ვერსი ქალაქს. მივიდნენ, ორი გზა, მიდის: ერთი ჩრდილოეთისკენ მიდის, მეორე — სამხრეთამდისინ.

— ჩვენაო ათი ერთს გზაზე წავიდეთ, შეგხვდება ერთი ირემი ან გარეული ბატკანი, ათი ერთთანას უნდა დეევდევნოთო და საცალკეოთ რო ვიყოთო, თი-თო-თითოდო. ქთენ მაგ ჩრდილოეთით წადით, მე სამხრეთის გზაზე წავალო. გა-მოვიძროთ ბეჟდები და ამ ქვი ქვეშ დავაწყოთო. მე მოვალ, ავიღამ და ამით ეი-პოვნით ერთმანეთსა. უნდა მოვუცადოთ მეორე ამხანაგის მოსვლამდიო! — ლა-ლამ უთხრა:

— მე შენთან უნდა წამოვიდეო.

— არაო!

— არა—კიო! მე პასუხისგებაში უნდა ვიყოო?

— წადი, მაგათ წახყევი, ვნახოთ, ვინ ბევრს ინადირამსო. — წავიდნენ ცხრა კაცი, გაუყვნენ, ქვი ქვეშ დააწყენ. ბევრი იარა, ცოტა იარა, შაისმიელი ჩა-ვარდა ერთ უდაბნო ტყეში, გზა არ ჩანს. ერთი მაღლა შეიხედამს, ჰაერ უყუ-რამს, ერთი ჭალა იყო და გავიდა, თივა არი ძუძუზე. შეხედა, ჯეირანი სძოვს, წველელი ირემი. მიამიტად სძოვს ეს ფური თავითვის.

— მე თოფი გავაზირო, კაი ლუკმა შემხვდაო! — ერთი რომ ესროლა ტყვია, გვერდიდან აუცილდა. ვერ მოარტყა. ერთი მოხვდა. ჯეირანმა დაფთხა. წავიდა. შევარდა. წავიდა დასავლეთისკენ. მიყვა უკნიდან. ხუთი ვერსი გაიარა. გავიდ-ნენ ტრიალი მინდორზე. ერთი კოშკი დგას, პრიალი გაუდის. ამ ჯეირანმა შევარ-და სახლში.

— ახლა კი დავიჭირეო, ვერ გემექცევაო!

მიახლოვდა ოთახს და თოფიც ხელში უჭირამს. კარი რო შეამტრვია, ერთი დედაშვილი არიან, ორივე ქალები.

— დედაო, ეს ჩვენი ჯეირანი ასე ცქვიტათ არი, დღეს ვინცხა მტერი გაუშ-თა, ასე ფიცხავ შემოვარდაო.

— გაიხედე გარეთ, შვილო!

გამოვიდა, წინდასა ქსოვს, ჩულქას, ბარიშნა. ძუძუები რო გარეთ აქ, ისევე გამოვიდა. შეხედა ამ შაისმიელმა და დეეცა, წაიქცა. შევარდა ბარიშნა:

— დედავ, ვინცხა კაცი მოსულა, დამინახა და ისევე წაიქცაო! — გამო-ვარდა, გიექანა დედა და აიღო კეტი, უნდა მოკლას.

— დედა, ნუ სცემ, მაგნაირი ვაკაცი ცოდვა არიო. გავიგოთ ვინ არიო?! — მოვიდნენ.

— ეს ჩემი სილამაზით დაიბნიდა, — და გადაუსვა ძუძუები სახეზე. და ააყენა ბიჭი.

— რას დეეტარებიო?

— მე სანადიროდ ვარო. გვილაეზარო უნდა შენაო. ჯეირანმა თავის ფეხით მომიყვანა კარზე. უნდა შენ აგიყვანოო!

— რას მეუბნება, დედა, ეს კაცი! — დაჯპატიჟეს, შეიყვანეს, კარგა ასა-დილეს.

— დედაჩემო, ეს შენი ქალიშვილი მე მომეცით!

— რა გონჯი ვაჟკაცი ხარ და შენ არ მოგცეო? კიო! — წამოვიდა მამამისთან, დიეკითხოს. დაბრუნდა. მაგრამ ფეხები უკან რჩებოდა. ჩაუვარდა სევდა. მივიდა, საცა ბეჭდები ქონდათ. ამხანაკები მოსულან, ზოგს დაუჭერია, ზოგს ციკანი, ზოგს ჩხიკვი, ზოგს რა. შაისმიელი მიადგა ცარელა. შერცხვა შაისმიელას.

— შაისმიელ, რა გადაგხდა?

იწვის კაცი შიგნიდან. მოვიდა სახლში, როგორც იყო. ცხენი გარეთ გააგდო და სკამზე გადაწვა. შევიდა ლალა ხელმწიფესთან. ლალა ეუბნება:

— დარდი გვყავს შაისმიელიო.

— რა დამართე ჩემ შვილსაო!

— არ ვიცი, ბედნიერო ხელმწიფეო!

— შენაო რატო გაუშვიო? — აწვალა ცოტა.

— რატო მარტოო? წადი დამიძახე შაისმიელი!

ამდგარა შაისმიელი, ფიქრში გაიტარა:

„მე პირადად ვერ დაველაპარაკები!“ — დაწერა შტოლზედან წერილი. აღვიძა შაისმიელი. დახედა—წერილია. ასწია, წერილი გახსნა, წაიკითხა.

„მე ვარ შაისმიელი, ხელმწიფის შვილი. თუ შენი ნება არი, ორი, სამი წლით ჩემი ნება უნდა იყოს. გულიეზარი შემხვდა, ვიდრე იმას არ მოვიყვან, არ იქნებაო“.

მუუტანა ხემწიფეს:

— ე რა უბედურებაში ჩავარდნილვარ, სად უნდა იპოვოსო?!

— შვილო, რა არი, რა მოგვიდაო?!

— მამაჩემო, ასეა ჩემი საქმე, ვიდრემდი იმას არ მოვიყვან, არ იქნებაო.

— შვილო, რომელი ქალიც გინდა, მოგგვარო აქა და ის რა არის? თვალი წაგსვლიაო? — დაუძახა ლალა.

— გამოსწი თავლახანიდან, რომელიც კაი ცხენია, შეჯექით, წაგყვები და წამოიყვანეთ ქალიო!

გამოსწია თითო ცხენი, ჩაიწყვეს სამზადისი და წავიდნენ. გასწიეს, მივიდნენ, მივიდნენ იმ ქალის ოჯახთან. სიძე მოვიდა. მიიღო ქალმა ძალიან. გაჟმართნეს ერთი კვირა ქეიფი, კამპანია, ლხინი. ადგენ და: — ახლა კი წავიდეთ, შაისმიელი, — ლალამ უთხრა.

— მე ახლა ვერ გირიგდები. რა დროს უნდა წამამყვე?

— ექვსი თვე მომაცადეო! — ქალმა უთხრა. — წაიყვანე მერე ჩემი შვილიო!

ორ კვირაში ერთხელ მოდის სადანიშნულოსთან, რომ გავიდა ერთი თვე, ერთი კუდიანი ბებერი იყოს, სითყვაზე, აბასთუმანში, ჯაზი ვეტყვით — ჯაზინანაჟ.

— მე რატო არაფრათ მაგდამთო. ახლა ხარსა უკუღმა შევაბამო!

ადგა და ეს კუდიანი ბებერი მივიდა დედა-შვილთან.

— რა ამბავი?

— გავიგე, რო შვილი გაგითხვიებია, სად აძლევ, კოჭლია, ცაცვია. იმას რას აძლევ შენო?

— რას ამბობ, თითონ ვაჟკაცი აქ იყო და მაგრაინი ვაჟკაცი ქვას წყალს ადენსო.

— არა, მაგას ერთი ძმა ყავს და მისთვინ უნდა.

— როგორ ვქნათო?

— მე გასწავლიო. შენ ადგები და ამ ქვეყნიდან გადიკარქები. ამით მორჩებიო! — ამან დაანგვრია სახლი, აჰკიდა ჯეირანს და წავიდა სხვა ქვეყანაში — კიტაიაში. შაისმიელი ელაპარაკება მამამის:

— როგორი მრევლი გყავს, რამდენი წელიწადია და სად გყავს შენი მრევლიო? სად შენობები აქვანან, არ იციო? შენ სახელმწიფოში ხალხი არი და შენ არ იცი, სადა გყავს ხალხი საზღვარი, საზღვარი სადა გაქო?

— ცოლიო ქმარს გაპუტია, შვილი დედას გაპუტია, გაქცეულა, საცაღა ცხოვრობს, მე რა ვიციო?

— კარქი, მამაო, ერთი არ მოხვალ, არ დაივლიო?

— მე მოხუცებული ვარ და გავაგზავნი მინისტრებ თორმეტიანებ და რა ვიციო?

— მამაჩემო, უნდა წავიდე და ხალაეღს უთხარი, რო ნამცხვარი გამომიცხოვო!

ჩაილაგა სუყველაფერი, გადაჰკიდა ცხენს და წავიდა. მოვიდა, კონაღებს გარშემო უვლის.

— მე მთვრალი ვარ, რაშია საქმე? ალაგი ეს არი, არავინ არ არი, ტკაველი ბალახი ამოსულა.

ეძება, არსად არ არი, მოვიდა დარდიანი სახლში, დეეცა ისევ სკამზე.

— ლალა, რათ შემოირტყა მაგ კაცმა ხელი შუბლზეო?

მივიდა, ხმა არ გასცა ლალას. ადგა თითონ ხემწიფე, შევიდა.

— რა მოგივიდა, შვილო?

— ჩემი გაქცეულა.

— მანდ რო ყრილან, ხეირიანი არ ყოფილან. აქ დაგასახლამ და კარგ ქალსაც მოგვრიო.

— უნდა ვიპოვნოო უსათუოდაო!

გაუმზადეს, დატვირთა ცხენს და მივიდა დანგრეულ კონაღებთან. ესაა გზა ასე, ეს — ასე. დაადგა და წავიდა. მიხვეა ერთი თვე. კიტაიას სახელმწიფოა და ერთ კოშკზეგან სახლები დაინახა. პრიალი გაუდის. მზეს მიუჭერია.

— თუ იქნება, ის სახლი იქნება გულჯეზარი. — მივიდა, შააღო კარი, შევიდა.

— მოხველ, შვილო?

— რატომ გეგექცეოდი, დედაჩემო?

— ვერ გაძლევო. შენ ბრმა გყოლია, იმას უნდა აჰგვაროო!

— მე ვარ, დედაჩემო, რა მაქვს ცაცვიო?

— კუდიანი ბებერმა თქვაო.

— მე უნდა წავიყვანო. — დაინებია, იმდენი ქნა. იქეიფეს. დარჩა ოთხი თვე. წამოვიდა თავის სახელმწიფოში, მოვიდა შაისმიელი.

— ვიპოვნე, მამა. ოთხი თვის მერე უნდა მოვიყვანო.

ამ ურჯულო კუდიანმა გაიგო, გაუდგა გზას და ოძდაოთხი საათზე მივიდა.

— არ მისცე, გითხარ, ნებაზე დაჰყოლიხარ! — კაცი იკვეხნის: — მე ჩემ ბრმა ქმას უცოლოთ გაუშვამ? ასე იკვეხის, კოჭლ უნდა მისცე?

— რათ მოვრჩე, დედიჯან?

— ისნაირ ქოყანაში წადიო! — კიდო დაანგრია და გაუდგა, წავიდა. კიტაია-
დან გაუდგა საფრანგეთში. ქალმა თქვა:

— ახლაც ხო ვეღარ მიპოვნისო?

შაისმიელმა მოიწადინა ნახვა. მოამზადებინა ყველაფერი, შეედა და წავიდა-
ბევრი იარა და მოვიდა. კიდო დანგრეულია.

— ვაი, ეს რა უბედურ დღეში ჩავარდი?

— მე ვინცხა ეშმაკი ჩამიყდა.

— რა ვქნა, კაცო? — ადგა და დარდიანი წამოვიდა უკან. მოვა მამის საბრ-
ძანებელში. დიეცა სკამზე.

— ლალა, რა მოუვიდაო, შვილო, რა მოგვიდაო? მე გითხარ შენ, ხელ არ
მოგვცემსო, არ დამიჯერეო!

— იმის დატოვა არ იქნებაო.

ადგა ჭურთი ჩააწყობინა და გიმეეწყო ტანში. წამოვიდა, მივიდა კიტაიაში.

— ამ შენობიდან გზა საითკენ მიდის, უნდა მივყვეო!

დაადგა, მივიდა. — აი, ამ გზიდან წასული იქნებაო!

დაადგა და თა-ბარი სუ სწორეთ მიდის. მიდის და სამი გასამყრელო გზა
არის. — საითკენ წავიდეო? — გადავიდა საფრანგეთში. — რომელ გზიდან
წავიდეო? — სვა-ჭამა და: — ღმერთო, მომიმართე ხელიო! — გაიხედა ერთი
ფიქალი არის აყუდრილი. რაღაცა სწერია: „ჩრდილოეთის გზა: წახვალ და ვერ
მოხვალ, დასავლეთის გზა: წახვალ და გვიან მოხვალ. სამხრეთის გზა: წახვალ
და მალე მოხვალ“. დარდში ჩავარდა. რომელისკენ წავიდეს. ჩდილოეთის გზაზე,
უნდაო. ანასინისათვე, რაც იქნესო. — ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ
ღელეში, ჩავარდა. მაღლა ღმერთის მეტი არაფერი არა ჩანს. იბღოტიალა, ავიდა
სერზე. დაბლა, ტვიტველა ბაღში, მინდორია. ერთი შენობა არი, — ვიპოვნეო!
ჩახოხდა, გზაუკვალოდ მიდის. გადავიდა ბაღში. გაიხედა — ცეცხლის ალავი
ადის. — აქ ვისადილოო და ისევ მოვიძებო! ცეცხლთან ბრინჯი ფლავი დგას,
ოორმეტი ფუთი წყალი ჩავა, ჭაქვით ჭამა დაუწყო. ერთი დავისვენო! ნახევარ
ჭამაში რო შევიდა, უკან მიიხედა, ასლანები აბიან ბაკებში, კარებშიგან მაღლა
აიხედა, რო ვინცხა არაბია, ხედავს, შავია..

— ე, ჰიმსნიშვილო, შენ ფეხით მოხველი და ჩავარდიო. ჭამე, ჭამე, შენზე
ჭარამი უნდა გახდესო, ნუ სჭამო, თორემ გარწყევინემო!

— მე ვჭამ და მერე მე ვიციო!

— ამოდი აქაო!

— შენ ჩამოდი აქაო!

— ამ სახლებ უყურამო, ოთხმოცდაცხრამეტი კაცი დამიკლაო და ეს შენო-
ბაები ამიშენებია, ოთხმოცდაცხრამეტი კაცის თავიდანო!

— ერთი კაცი უნდა მოვკლაო, ასი შევათავო და დამთავრდესო! შენც გაჩ-
თიო. — „წახვალ და ვერ მოხვალ“, ეს არის. გავძღე და, თუ გინდა, ცხენის თა-
ვიც მიაყოლეო!

გადიცვა საჭიდავე არაბმა. დაეტაკნენ. იჭიდავეს საღამომდი. დიდი ომი გა-
აკეთეს ცხენებმა ძიან. ხმლიები ერთმანეთზე ხვდება.

— ჩვენ პირუტყვებისგან რა გვინდა. ამაღამ დაგასვენებო და დილაზე ვიო-
მოთო.

— როგორც რო შენ ქეიფი მოგცემსო, ისეო.

— მე რომ შენ კისერი მოგჭრაო, შენ დიდი ხანია ყურბათობაზე წამოსულ-

ხარ და უძილობისაგან გატეხილი ხარო და მოისვენე და დილაზე მოგკვეთამო. ეხლა რომ მოღალული კისერი მოგკვეთო, ეს გამოვა დედაკაცობა!

ისადილეს კარქა, ყავა დალიეს. ერთი კარგი თოხლი ყავდა, მიირთვეს. დაწვნენ, მზე ამოვიდა და ისინ უკე ჰაზირ იყვნენ. გადაიცვეს მეომარი ტანი და ჩავიდნენ მეიდანზე. ცხენები პირით ფეხებით ერთმანეთს გლეჯენ არაბი და შაისმიელიც ხმლებით. იბრძოლეს, ვერაფერი ვერ უყვეს.

— არაბო, ჩვენ ამ პირუტყვებისაგან რა გვინდა. ჩვენ ერთმანეთს ვებრძვით, მაგრამ რას ვერჩითო? პირუტყვებმა ცალკე იბრძოლონ ან დავაბათ და მე და შენ ვიჯიდავოთო!

დაუჯერა არაბმა, დააბეს ცხენები. შეიყარნეს ესენი და რომ ორი საათი იჯიდნეს, ცხენებიც დაეტაკნენ. ცხენები ერთცამზე იბრძვიან, არაბი და იგი ერთცამზე. ბოლოს მზის ჩასასვლელზე შაისმიელის ცხენმა არაბის ცხენი წააქცია. შაისმიელმა დააბარა:

— ალლაჰ, ბირალალა, მამეცი შენ ძალა, მეც ეს წავაქციო!

წააქცია კიდევაც. პირველად გაწყობა ქონდა, რო შაისმიელმა რო არაბი წააქციოს, თავისივე ხმლით უნდა დაკლან. კანსტრახტიც გაკეთებული აქვან. შაისმიელ რო წაქცია, წაავლო და თრევით მიიტანა, საცა ხმლიები ეყარა. გადასწვდა და უნდა დაკლას.

— შაისმიელ, ეს რა წამაქციე, ჩემი ერთი ჭაჭვი სისხლი შენზე ჭალალი მიქნიაო. ოცი მინუტი მომაცადეო!

გულის ხსნა დაიწყო და ძუძუები გადმოყარა. დაინახა შაისმიელმა.

— ეს ქალი ყოფილაო! — და დეეცა. დაედა ზეიდან არაბი.

— ტყვილა ამნაირი ვაჟკაცი მოკვლა — ცოდვააო. მე აღთქმა ისე მქონდა, რომ მე იმას მივჰყვე, ვინც წამაქცევსო, ეს რო მე სახელი გამიტყდაო!

წაუსვა ძუძუები თვალებზე, გამოაფუქულა და წამოაყენა.

— უნდა დემეკლა შენი თავი, მაგრამ ესეთი აღთქმა მქონდაო.

— ძალიან უკეთესი. წავიდეთ შენ ქვეყანაში!

— ვერ წავალ, მე დაკარგე გულვიზარ და, ვიდრემდი იმას ვერ ვიპოვნამ, ვერ წაგიყვანამ შენაო!

ადგა და იქეიფეს, ერთი კვირა მეტი. მოვიდა ბიჭი ღონეზე. ძალიანაც გაძღა. წავიდა შაისმიელი. იარა, ბევრი თა-ბარი გადაიარა, სუ სწორეთ იარა. მოვიდა, მიახლოვდა ერთ ქვეყანას. ერთ კოშკზეგან კოჟორზე ერთი შენობა არი.

იარა და მივიდა შენობაზე, ათვალიერამს, ერდო, კარები არა აქვს, აკოშკა არა აქს. ვერ შევიდა ვერაფრით. შიგ არის ერთი ლამაზი ქალი. ამას ყოლია ცხრა ძმა და დევები წამოსულან ამ ცხრა ძმაზე საომრათ — ეს და დასტაცონ. თურმე ზეიდან აქს ჩასასვლელი კიბე. ამასაც ხათილები აქს და ამით უნდა ავიდნენ. შაისმიელს ეს ხათილები შეხვდა. იმრუღს მისცხებდა, შეარჭობდა და ავიდა მაღლა, ერთი იმისთანა ქალია, მზეს ებნევა: „შენ ჩადი, მე უნდა ამოვიდეო!“ და ქარგასაც ქარგამს. შაისმიელი უცფათ შეხტა.

— ნუ გეშინია, ბარიშნაო!

— მარტო ხარო? რათაო?

— ცხრა ძმა მყავს, ცხრავე საომრათ არიან წასული. შვიდი ძმანი არიან და ორმოცი თავიანი, და ჩემ ძმიებს ებრძვიან, უნდა მოკლანო.

— წამოდი, კარები მასწავლე და მასწავლე, შენი ძმიები სად წავიდნენო!—

გააღო თავის სეკრეტი:—ამ გზას დაადგებიო (ჩრთილოეთზე) და პირდაპირ მიხვალ იმათანაო!

იარა ამ ბიჭმა, იპოვნა ცხრა ძმა. შაისმიელმა თქვა:

— მე ამ შუაზე უნდა დავდგე, ბაირაღი ავუშვირო, შევაჩერო და გამარჯობას ვეტყვი ორივესაო! თუ დევებმა მითხრეს — გაგიმარჯოს, იმათ უნდა დევეხმარო, თუ ამათ — ამათაო. — შეაჩერა.

— გამარჯობა ქთენიო, — ხმა არ გასცეს. ცხრა ძმას უთხრა:

— გაგიმარჯოსო!

— აბა და ქთენი ვარო!

ეხლა შვიდი ძმა დარჩენილან.

— რამდენი ხანია იბრძვითაო?

— ოთხი თვე იქნებაო.

— ძმიებო, ქთენ მიწექით და ერთი საათის შემდეგ გაგაღვიძებთაო.

— ძმაო, შენნაირი ვაჟკაცი ბრალი ხარ, ჩვენ ცხრა ძმა ვიყავით, ვერაფერი გვიქნიაო!

— მე რომ გვიმანი არ მქონდეს, არ გეტყვითო! ქთენაო დაიძინეთო! — დაიწყო ამან ამოსავლეთიდან დასავლეთზე. გავიდა იმ ჯარში, დასავლეთში შევიდა, ჩრდილოეთში გავიდა, ჩრდილოეთში შევიდა, სამხრეთზე გავიდა. ესენი რო გაელიტა, დაიპირა სამი ტუსაღი. ერთს ყური ჩამოათალა, ერთს ენა ამოშეჭრა, ერთს ცხვირი ჩამოათალა. ადგა და უთხრა:

— წადით, ქთენ ხემწიფეს უთხარით: ეს იყო ზაქუსკა და სადილი გამომიგზანოსო! — ჯერ პირველად ცხვირმოჭრილი გააგზანა. მივიდა, ვერაფერი გააგონა უცხვირომ. ჯალათებს უთხრა მეფემ:

— ათხოჯში ჩააგდეთო! — მერე გააგზავნა ენამოჭრილი.

ესეც ეგრე. ახლა უყურო:

— შემოთვალა ასე, ასეო!

— ვინ იყოო!

— იყო ერთი შაისმიელიო.

— რა უნდა გაუგზავნოო, სადილი არ დარჩა, სუ გამიწყდაო! — შაისმიელი უბედურ დღეში ჩავარდა. წამოვიდა ნიაღვარი სისხლისა და ეს შვიდი კაცი ზღვას მიაქ.

— ცოცხალი გადავარჩინე და სირცხვილია, მეც ამათთანაო, — და შევარდა, გამოაგდამს ერთს, ასე ზღვიპირამდე გამოაგდო, ჩააცვა ტანისამოსი და ჩაიყენა შვიდმა ძმამ ეს შაისმიელი და მოყავან. სულ დიდი ძმამ უთხრა პატარას:

— უკან დადექი, რა უნდა გითხრაო! შენ უნდა გაიქცე წინდაწინა და ჩემს დას უთხრაო, რაც გუავს — უნდა დაკლაო! — დაიოთხა ამ ძმამ და იარა, მოვიდა, შეხედა, ზეიდან ერდოს მონგრეული აქ. გაბრაზდა.

— ამან საყვარელი შემოიყვანოს უნაო?

შევიდა, თმა ქონდა დიდი, დაიხვია მაჯაზე და დაატყაპუნა ძირ. კისერი უნა მოსჭრას დას.

— მომაცადე, ძმაო, რათი მკლამო. ერთი კაცი გამოვგზავნე და მოვიდა ქთენთანაო?

— კიო.

— სწორეთ ეს იყოო.

— კარგიო! აპა, ჩემო დაო, ცხვრიები გვყავს, ჯეირანიო. მე დავკლამ და გა-

ვიქცევი, ჩემ ძმას ვეტყვი, ჯავრი არ მოუვიდესო! — გაუტყავა, დაუტვია და გამოიქცა. მოუსწრო და დიდი ძმა დააყენა: ჩვენი სახლის ერდო მოუნგრევია ამას და ეგრეა, ჩვენ დას გამოუგზავნია. ჯავრი არ ჰოგვივიდესო, თორე ჩვენც დაგვხოცამსო.

ისევ მოვიდა, გააკეთა საჭმელები. ყველაფერი გააწყეს და ორმოცი დღე და ღამე იქეიფეს.

— შაისმიელ, ითხოვე, მეგეცესო! — ვერ გაუბედიან, რო და მისცენ.

— მე არაფერი მინდა ქთენი საჩუქარიო.

— მოდიო, ერთი სიტყვა გითხრათო! მოდიო, ჩვენი დაო დაგვილოცნიაო!

— მე ქვთენ სურვილით მამცემთ, კიო, მე მყამ ერთი არაბი ცოლათ, ერთი გულვიზარი და, თუ ის ვიპოვეო და გამიხდება სამი ცოლი, (თათრებში ეს წესი არი).

— კარქიო! — ამოიღო ოქროს ბეჭედი, ერთი ჭაჭვიც ოქრო.

— აბა, მე გამამიცხეთ, საწუთრო მინდაო, მე გვილდიზარი ვიპოვნოო!

— შენ იმას ვერ პოვამო, იმათო იმნაირი ჯეირანი ყავანო, ჰაერიდან მოყავან დედაშვილიო. ვერ იპოვნიო! — დეემშვიდობა. წავიდა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, გაიხედა, ერთი ტრიალი მინდორია, ერთი სარაჟ დგას, პრიალობს შუშაბანდი, ჭყვიალობს მზეზე ოქროსავით. მივიდა, რა დაახლოვდა, ჯეირანი სძოვს.

— ჰა, ვიპოვნეო! — ჯეირანმა აიღო და დაინახა ადამიანის შვილი და გაქანებული შეევარდა. დედა-შვილი გამოვარდნენ. შაისმიელი მოდის, არ ენიშნათ, მარა რა ქნან.

— ქთენაო, რო გაგწყვიტოთ, ვინ იტყვის, ბრალში ვარო? ვერ გადმირჩებითო!

— შაისმიელ, ვერ გაძლევ ქალსაო!

— კაცო, სხვისთუნ შენ თავს მიადებო, მე გეძებო! — წოულობა გააწყვეს.

— უნდა წავიყვანოო.

— რატომ გამოაქციეო?

— ბებერმა ნანამ მითხრაო, რომ ძმისთუნ უნდაო, — და უამბო ყველაფერი.

— კარქი, მე თუ გინდ, წამამყევიო.

დააყარა ჯეირანს ყველაფერი და შეედნენ და წამოვიდნენ. იარეს, ბევრი იარეს და ამ ქალთან მოვიდნენ, იქეიფეს, ორმოცი დღე. შეიეფდუნა ცხენზე და იარეს მესამე ქალთან. მოვიდნენ. შეხედა არაბმა — მთელი ჯალაბი მოდის. გამართეს დიდი წოულობა, ერთს თვეზე მეტი დარჩნენ: ადგნენ.

— წავიდეთ მამაჩემის სახემწიფოშიო.

აჰკიდეს და წამოვიდნენ. გახდნენ ექვსი სული. იარეს და გადაჰკიდეს და წამოვიდნენ. გახდნენ ექვსი სული. იარეს და გადმოვიდნენ თავის სახელმწიფოში. რო მოახლოვდა თავის ქვეყანას, არაბმა (როგორც ახლა ეს აბასთუმანი და არაზინდო სამი ვერსით დაშორებულია — სარაები აქ.):

— დავანებოთ და აქვე ვიცხოვროთო, ქვეყანაში ნუ შევალთო. ჩვენ ლამაზები ვართ, შენს მამას თვალები წაუვაო და ბოლოს რამე დაგმართებსო. — არ დაუჯერა შაისმიელმა.

— მე ერთი შვილი ვყავდე მამაჩემს და ეს დავმართოო? უნა მივიდეთო.

— ბოლოს ინანაო, იცოდეთო!

მივიდნენ. ქალაქში შევიდნენ, ჩაუვარდა ქალების სევდა მამამისს, თვალი დაიჭირა. არაბ არ მოიწონამს. ამასობაში ლალაჲ დაუძახა.

— ან შაისმიელი უნა მოკლაო, ქალ მე ამგვრიო, არა და შენ მოგკლამო! — წავიდა.

— ბედნიერო ხემწიფე, მე ერთი ჭკუა უნა გამოვიგონოო, შენ და შენმა შვილმა კარტი ითამაშეთო და ქთენ ისე გააწყვეთო, შენაო აჯობემ. იმან კარტი არ იცის. რომელიც მოუდგამთო, ეგრე გაწყვეეო. ხელები გაუკრათო თოკითაო!

დაეთანხმა ხემწიფე ლალას. მოატავინა კარტი. დაუძახა შაისმიელი.

— მოდი, ერთი, მე და შენაო, რამდენი წელიწადია პური არ გვიჭამია ერთად: მოდი ვსვათ—ვჭამოთ და მერე კარტი ვითამაშოთო!

კარტი მოატანინა. დაიწყეს თამაშობა. ითამაშეს. შაისმიელმა მოუგო.

— შვილო, გამიკარ ხელებიო!

— არ შემიძლია, მამაო! აი, შენ რო გეჯობნებიაო, კიო.

— არა, შვილო, თქმა — თქმა არისო!

კიდო ითამაშეს. კიდო შაისმიელმა მოუგო. მესამეთ რომ დაჟდნენ:

— შვილო, დამიხათრეო, გაჯობამო!

დაჟდნენ: უხათრა პატარაოდენი. აჯობა ხემწიფემ. ამ ხემწიფესაც შაია ერქვა. რო აჯობა:

— შვილო, გაგიკრა ხელებიო?

— კიო!

— ლალა, რომელიც ხოშორი თოკია, მოიტანეო!

მოუკრა მაჯები, გასწია, გაწყვიტა.

— შაისმიელ, ამოდენა თოკი გაწყვიტე, რა დაგიმაგრდებაო?!

— სამი ტოლი რომ დამახვიოთო, ანჯახ დამიმაგროსო!

სამჯელ თოკი გასწია, ტკაცანი გაადინა კიდო.

— რა მძრავლი ხარო? უნდა გავსინჯო შენი ღონეო!

— მე ანჯახ დამიმაგრდესო სხვილი ჯაჭვიო, რომელიცო შენ ამ ქალაქს დარბაზნები რო უწყვიაო და იმ დარბაზნებს რა ტოლი ჯენჯილი უბია, რო იმან დამიმაგრდესო! — წავიდა, ლალას უთხრა: — მოიტაო! — გააგზავნა ხუთი კაცი, მოიტანეს და ერთი ტოლად შემოახვიეს. გასწია და გაწყვიტა.

— შენ მატყვილიებო.

— რათ გინდა, მამაო?

— მე ერთ ხემწიფესთან ომი უნდა ავშალოო და მე იმიტომ გსინჯამ, რომ შენი იმედით წავიდეო.

— მე არაფერი დამიმაგრდებაო. სამი ცხენის ძუა რო დამახვიო, ანჯახ იმან დამიმაგროსო!

— ლალა, ვიპოვნე, ჩემი სამთი ვიშოვნეო! — წავიდა ლალა, რომელ ჯოროსაც დიდი ძუ ქონდა, მოატანინა, კარქა გაუჭირა ხელებში, ფრჩხილებიდან სისხლებ აფსემდა. ერთი გასწია, არ იქნა. მეორედ — არ იქნა.

— ჯალლათები დამიძახე ჩქარაო! — მოიყვანეს.

— დასცხეთო! — ეხვეწება მამამისს:

— გამიშვეო. ბახჩაშიო ხეხინარი რათ გინდაო, გულნიზარი და მეორე ქალი რათ გინდაო, თუ მე არ გეყოლებიო.

— შენი ბოლო და უკანასკნელიაო! — ჯალლათები დიესევიან.

— კიდე ვთქვაო. მამაჩემო, ბაღჩაში ხეხინარი სუ შენი იყოსო. მეორე ქალი შენი იყოსო და გულვეზარი არაო. ნუ მაბრმავებო!

— რას ამბობს, ძლივს ვიდე მაგის ფურსანგი! — ჯალლათები კიდე წიესეფიან. და:

— ერთი სითყვა კიდევო და მერე მომკალიო. ბაღჩაში ხეხინარი სუ შენი იყოსო, გულიზარი, გულფერი სუ შენი იყოსო. ნუ მიშვები, მამა, მტრის ენა არისო.

— არ შეიძლებაო! — წაასია ჯალლათები და ამოაცალეს თვალები.

— ამას წაიღამ და უდაბურ ტყეში ჩააგდამო, ნადირებმა შეჭამონო!

შეეცოდავა ჯალლათებს. ხმელეთშიგან აღარ დააგდეს და მჭაში ჩაგდეს. ამ არაბს ერთი ფინია ხყავდა. ეს ფინია არჩენდა ამას. წავიდოდა ეს ფინია და რასაც იპოვნიდა, ნატეხნუტეხი, იმ მჭაში ყრიდა. ქვეყანაზე არსად არ იყო წყალი, გარდა იმ მჭისა. მგზავრები იღებენ წყალსა იქიდან. ვედრა მოაქვანან. მივიდნენ და ვედრაზე თოკი მოაბეს და ჩაუშვეს და თავში მოხვდა შაისმიელს და დაიყვირა:

— ვინ ხარ შენ, ადამიანის შვილი ხარ, პირუტყვი ხარ?

— მე ადამიანის შვილი ვარ.

— აგერ, თოკი მოიბიო წელზეგან და ამოგიყვანთო!

ამოიყვანეს, დასვეს და დაუტიეს პატარა პური და წამოვიდნენ.

ფერიყზები მოვიდნენ და გალობენ.

— რომ ჩვენი ენა ესმოდესო, მორჩებაო.

შარცხენა თვალი მარჯვენაში უდვიაო. ფთიებ ჩაუყრით ჩვენ და ცოლებს იპოვნამსო!

ადგა, ესე, როგორც ილაპარაკეს, გასაღდა. თვალები ელამი დაურჩა. ბევრი იარა და მოვიდა სოფელში. დაღამებულია. ბებერი ქალი დაუხვდა.

— სტუმარ არ შეინახავთ?

— ერთი სახლი მაქ, ხუთი ქათამი მაქ და მექვსე მე ვარო! არაფერი მეშოვებაო! — ჩაიყო, ორი ოქრო უგდია.

— აპა და შეიწირე საჩუქრათაო.

— ჰალბათ მე შენ სიკეთეს გადგიხდიო!

დარჩეს ეს აქ. ამან ლალაჲ გაუგზავნა არაბს, ხემწიფემ, რომა ორმოცი დღე დარჩა მჭაში. გვილიზარიც, გვილფერი გამომიგზავნე ცოლათაო. არაბმა შეუთვალა — ვერაო! — ომი აუტყდათ ამ ორთა. რომ ატყდნენ ომზე და შაისმიელს ამბავი მოუვიდა ამისა.

— ომი რომ ასტყდება, გამოვშთებიო! — იყიდა შაისმიელმა პატარა საწვრილმანო. დადის კარიკარ და ხყიდის. იარა და მივიდა, ხემწიფის მოსამსახურემ დაუძახა.

— ამოდი აქაო! — აიტანა.

— შაისმიელს გავს, მაგრამ ელამია!

წამოვიდა, უკანვე მოვიდა. არაბის კარზე გაჲარა. დაუძახეს:

— მოიტანე აქაო!

— შაისმიელს გავს, — მაგრამ ვერ მიამსგავსეს, ვერ მიატანეს სულობით.

— ერთი პური მაჭამეთო, შიერი ვარ.

შეხედა, არაბის სახლია. თავი ხმალი, თოფი, ჯაფხანა მაღლა ჰკიდია.

— ვისია ესაო?

— ერთი ქმარი გვყავდაო და იმისიაო.

— ჩამოვიღოთ, ერთი, ვნახოთ, გავასუფთაოდო. ჩამოიღო, გადაატრიალა-გადმოატრიალა და:

— ეს მე მქონდესო!

— კიო, — დაიკიდა და დაწვრილმანობს თან. გაასაღა და მივიდა ბაზარში ძის. ომი გამოუცხადა ხემწიფემ არაბს:

— დღეს დაგიბოლოვებო!

— სარამ ცოცხალი ვარ, ვერ წაიყვანო!

ასტყდა დიდი ომი, შაისმიელმა თქვა:

— მე ახლა უნდა შუაზე დავდგე, რომელიც სალამ მიიღამ, უნდა მივემხრო! მივიდა, არაბმა სალამი მისცა. მოდგნენ ახლა. ისე გახადეს ეს ხემწიფე, რო სუ გაანადგურეს, დაიჭირეს ხემწიფე.

— ცნობ შენს შვილსაო?

— არ ვიციო!

— რა უყავიო? კარტი თამაშობაზე ჩაღუპეო?

— არ ვიციო!

— ჩქარა მითხარი, თორემ! — გემეეცნაურა შვილი. დაიჭირეს, ცხვირიც ჩამოსთალეს, ენაც მოსჭრეს, ყურიც მოსჭრეს და კისერიც. შაისმიელი ახლა მის ბედლათ დადგა და იმან იხემწიფა.

ორმოცი დღე და ორმოცი ღამე ქორწილი ქნა, სამივეზე ახტი ქნა.

ონნარ ორდა ჯაფადა,
ბიზ მურადა საფადა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

17. შ ა ი ს მ ა ი ლ ი

ერთი ხემწიფე იყო. მას ყავდა ერთი შვილი. პირველად უშვილო იყო. მერე ლალას გამოუცხადა, რომ:

— ლალა, შვილი არა მყავს და მარტო ცოლი და მე ვარო. ამოდენი ქონება ჩვენი ვის უნდა დარჩესო, ვინ უნდა წაიღოს? აბა შენ გამოაცხე ოცი დღის, რომ ჩვენ ორ სულს, მე და შენ, გვეყოს! — ლალამ გამოაცხო პური. შეედენ ცხენებზე, წავიდნენ ესნები თაში. გავიდა რამდენიმე დღე. თხუთმეტი-თექვსმეტი დღე გავიდა. ავიდა თაში, ტყეებში გაიარა. ოცი დღე რო შესრულდა, უთხრა, რო:

— ლალა, ჩვენ რამდენი დღის პური დაგვრჩა? — ლალამ უთხრა:

— ბედნიერო ხემწიფეე, ჩვენ დაგვრჩა ერთი დღის პურიო: — ამათ რო დათვალეს პური, ორი პური მეემატა. თქვეს:

— რაშია საქმე? — გაიხედეს, რაცხა რომ ერთი ვინცხა მოხუცი ამოდის.

— გამარჯობათ, ბედნიერო ხემწიფე! — ხოლო ხემწიფე ძველ ტანში იყო ძალიან:

— გაგიმარჯოსო! — უთხრა — შენ რა იცი, რომ მე ხემწიფე ვარ?

— რას ბრძანებ, ბედნიერო ხემწიფე, ის კი არა, მე ისიც ვიცი, რა დარდი გაქვსო. — ადგა ამან, გვარი-სახელი დაიწერა ხემწიფემ. წამოვიდა სახში.

— აბა, — ლალას უთხრა, — მამიყვანე ის კაცი, რომელიც იქ დაგვხვდა.
— წავიდა ლალამ, მოიყვანა ის კაცი და ამ კაცს უთხრა:

— აბა, მე არა მეშველება, რომ შვილი ვიშოვნო?

უთხრა იმან ხემწიფეს (ამოიღო ერთი ვაშლი. მისცა ეს ვაშლი):

— გასჭარით ნახევარზე. ნახევარი თქე შეჭამეთ, ნახევარი თქვენმა ცოლ-მაო და ნათალებიც ცხენს აჭამეთ, ქე რო ყესრაღი გყავთო. — ამათ შეასრულეს მისი დავალება. გავიდა ცხრა თვე, ცხრა საათი, ცხრა წამი... ეყოლათ ვაჟიშვილი. ადგა ეს ბავშვი, მისცეს ერთ მოლლას. უთხრეს, რო:

— ამ ბავშვს უნდა ასწავლო შენ წერა-კითხვა! — ამან ჩაიყვანა, იმისთანა უდაბნოში ჩააგდო, ერმო პირდაპირ! გახდა ბიჭი ხუთი-ექვსი წლისა. მოლლა ასწავლის ამას წერა-კითხვას, რაცხა ოხრობას. გავიდა რამოდენიმე ხანი, რბილი ხორცი შესდის, აქმევს ბიჭს. ბიჭი რო გახდა ათი წლისა, ცხენს აქმეს ის ნათლები. გავიდა წელიწადი. ცხენმაც იშოვნა, მოიგო რაღა. მოიგო აიღრი. ბიჭი გახდა თხუთმეტი წლისა, ცხენი გახდა ხუთი წლისა. ამ დროს მზე ამოვიდა და აკოშკას მიაჯიდა და მოლლამ რო საქმელი ჩაუტანა ბავშვს, მაშინ შეხვდა საქონლის ეს ტურო. ამან შეიგდო ეს ტურო პირში. კბილში აქეთ შეიგდო, ვერ დაღეჭა, იქეთ შეიგდო, ვერ დაღეჭა. ბიჭი წვალობს. ერთი საათი მაინც იწვალა. ადგა.

— რაშია საქმე? — და აკოშკაზე ესროლა ეს ძვალი, შუშაზე. შუშა გატყდა და მზე შემოვიდა შიგ.

— ეს ვინ დემეცა მზისთვის! — და სტაცავს ხელი და ვითამ მზე უნდა დაიჭიროს. ამ ხლაფორთში ეს ბიჭი უბედურათ დაიღალა. ამ დაღალში და ამ წვალებაში ჩამოვიდა მოლლა, ასწავლოს უნდა.

— ქვეყანაზე ხალხი ყოფილა, ადამიანი ყოფილა და მე აქ რათ უნდა ვიყოპადვალში? — და წააქცევს ეს სცემს მოლლას. მოლლამ იმდენი იხლაფორთა, რომ კარში გავარდა ხელმწიფესთან.

— ბედნიერო ხემწიფე, თქვენი შვილმა კინაღამ მომკლა მე. აღარ შემიძლია იმის სწავლება მე! — ხემწიფემ გასცა ბძანება:

— ამოიყვათ ჩემი შვილი და ჩემი შვილის წონა ოქროს მივცემთ იმ კაცს, რომელიც გოროდში ატარავს, თავისუფლად. გამოვიდა ერთითანა და:

— ბედნიერო ხემწიფეე; თქვენი შვილი ჩე წავიყვან და არავისთან არ წავჩხუბავ. — წავიდა ბიჭთან. ამხანაკთან დადის გოროდში აქეთ-იქით. ბიჭმა უთხრა.

— გიჟი ხომ არა ხარ, მე დამდევხარო? — ბიჭმა ის გააგდო, რომელიც რომ ხემწიფემ გაატანა საყარაულოთ, რო არავის წეეჩხუბოს. მოვიდა ხემწიფესთან თავის შვილი. შვილს ქვია შაისმეილი. ცხენს ქვია ყამართაი.

—მამა, მე უნდა წავიდე სანადიროთ. ცხრამეტი ოყა ხმალი აქს, თექვსმეტოყიანი შვილდისარი, თხუთმეტოყიანი გვირზი. ამას სუნთელი შეიკაზმა და გაუდგა გზას, ცხრამეტითანა თავის ხალაიღები და მეოცე თვითონ. გაუდგნენ მინდორს თაზე. ავიდნენ ერთი ტყეში წყაროსთან. უთხრა, რო:

— თქენ ცხრამეტითანავე მარჯვნივ მიბრუნდით, მე ერთითანა მარცხნივ. აქედან დავიფანტებით. საღამოს შევგროვდეთ და სახში ერთათ წავიდეთ. — წავიდნენ სუყველამ. რაცხა მოყავს, ზოგს ბატი, ზოგს მელა, ზოგს კურდღელი ცხრამეტთანას. თვითონ კი ცარიელა მოდის! ერთი დღე ასე, მეორე დღე კიდო ცარიელი მოვიდა, მესამე დღეს მამამისმა უთხრა, რო:

— შვილო, შენ ჩემ საბძანებელში ვერაფერს იპოვი; ტყუილია, ნუ იღალები, ნუ ოფლიანდებიო. — მესამე დღეს ახსენა ღმერთი, შეედა უამართაიზე, გაუდგა გზაზე სულთენი. წყაროზე რო ავიდნენ თავით ადგილას, სულთენი მარჯვნივ მოაბრუნა. ფვითონ მარცხნივ მიბრუნდა. რომ გავიდნენ პატარა მინდორზე, სუნთელი ერთად შეიყარნეს, ოციეები. ამ შეყრი დროს დაინახეს ერთი ჯეირანი. შაისმაილმა უთხრა:

— ისე უნდა მევეპაროთ მაგასაო, არც ერთ სამთი არ უნდა გაიპაროს. ვინც სამთიდანაც გაექცევა, იმას კისერ მოვჭრი. დაიწყეს ბიჭებმა კანკალი, მივიდნენ უსულ-უსულ, გარშემო შემოარტყეს ცეპი. ჯეირანმა აიღო თავი, რო რას დაინახავს?

— ვინცხა მოსულხართ ჩემ მოსაკვლელათაო! — აიღო თავი, გიექანა და ზედ შაისმიელის თავზე გადახტა. მეორეებმა თქვეს:

— მადლობ შენ, ღმერთო! ჩვენ სიკვდილიდან გადავრჩით! — ჯეირანი გაიქცა, შაისმიელი უკანიდან გამოუდგა. ერთი მთა გადაიარა, არაფერი, მეორე, მესამე და მეოთხე მთა გადაიარა, ერთი დუბე ადგილი იყო. დაინახა, რას ნახავს? ცხენი, ნახირი სავსეა და ჩადრები სუ სავსეა ერთიან. ამ დროს ეს ჯეირანი გიექანა, ჩადრში შეშპა. შიგნიდან გოგო გამოვიდა. გოგო რო გამოვიდა, ბიჭს გული წაუვიდა. მეორე ჩადრიდან ბებერი ნანა გამოვიდა.

— ვაი, გოგო, გოგო, თვალი დაგიდგეს შენა! შენთვის წაუვიდა შეისმიელს გული, ჩემთვის ხო არ წაუვიდაო? — გოგო გეექანა. შაისმიელს სახეზე ხელი გადაუსვა, ააყენა. შევიდნენ ჩადრში. გაცვალეს ბეი ბეჭდები დატოვეს. ამოიღო ბიჭმა და რამდენიმე ოქრო მისცა, უთხრა, რო:

— მე ზალუმ ფადიშასშვილი ვარ შაისმაილი. — გოგომაც უთხრა, რო:

— მე მქვია გვილიზარი. ადგა წამოდგა ბიჭი. ჩამოვიდა ბიჭი მამასთან კიდე ცარიელა.

— აბა, შვილოო, — მამამისმა უთხრა, — მე ხო შენ გითხარიო, ჩემ საბძანებელში შენ ვერ ინადირამო?

— ჰეე, მამაჩემო, მართალია, ვერ ვინადირამ, მარა ამამავალ თაზეო, ყურტაღ რო უძახიანო, იქ ორი ნახირი, ცხენი, ქჲარვანები დადიან იმ თაზეო. იქ ერთი გოგო დავნიშნე.

— აბა, — მამამისმა გამოუცხადა, — ხვალეე უნდა წახვიდეთ, იმ თიდან, მამა იქნება, ვინ იქნება ჩამამიყვანოთ! — ესნები რო წავიდნენ, წამოიყვანა ოთხივე ძმიები იმ გვილიზარისა. აბა, ჩამოვიდა. ხემწიფემ უთხრა, რო:

— მე, როგორც ხემწიფე, თქვე ჩემი მზახალი გავხდეთო!

— დიდი სიამოვნებით; ძალიან კარგი! — ბიჭებმა გოგოს ძმიებმა უთხრეს:

— ორმოცი დღე ნება მოგვეცი მჲავლათი, ორმოცი დღის მერმე ქორწილი ვქნათ. ერთი ბიჭი გავარდა შაისმაილის დედასთან სამახარობლოთ.

— ქალბატონ, ქალბატონ, შენი შაისმიელი დავასახლეთ. ვინცხა გვილიზარი ყოფილა, ის ავგვარეთ, ის აიყვანა. — ამან ერთი წყვილი წინდა მისცა საჩუქრათ და ოქრო. გამოვიდა, მეორემ დაინახა, ამან ამდენი აიღო.

— მე რო გვილიზარის დედას მიულოცო, რამოდელს ავიღამ? — დაჰკრა ფეხი, წავიდა თაზე ბიჭმა.

— ნახემ, ნახემ, — დაუყვირა, — სამახარობლო, სამახარობლო!

— რისა, ბიჭო?!

— აპა, შენი გვილდიზარი ფადიშას შვილს მივეცით და ორმოცი დღის მერე უნდა წავიყვანოთ!

— მოდი, ჩემთან და, — სარეცხი უდგია ქალსა და შალის ფეშთამალს რეცხამს. როგორც მივიდა ბიჭი, ერთი თუ ორი ამას სახეში!

— აი, შე ვირო, მამაძაღლო, თქე ვინ ხართ, რო თქე ჩემი შვილი გაათხვიეთ? — ამ ქალმა სინამდი შვილები ამოვიდნენ, სინამდი სველი ტანისამოსი ჩაალაგა ხვირჯინში. აჰკიდა ცხენებს ქჟარვანი, გაიმძღვარა, გასწია, წავიდა. ამოვიდნენ შვილები, აღარც ჩადრი, აღარც ნახირი. თქვეს, რო:

— სად უნდა წავსულიყავით? ირან-შაჰირში უნდა წავსულიყავით. — დაადგნენ ბიჭები, წავიდნენ. მიეწნიენ დედამის და ქჟარვანს. ესნები ჩავიდნენ იმ ბოროდში, დაიწყეს ცხოვრება. მივბრუნდეთ აქით ხემწიფესთან, შაისმაილი რო იყო. ორმოცი დღე შესრულდა. შეაჯდუნა ბიჭები ცხენზე.

— რძალი ჩამოიყვანეთ აქა! — ავიდნენ ბიჭები და აღარც ჩადრი, აღარც ნახირი, აღარც ქალი.

— აბა, იქ უმფროსი ხყავდნენ. ოთხმა ერთი გადავაჭენოთ, ოთხმა მეორე! —და ასე რო ცალ-ცალკე გაიგონ, რო რძალი აღარ არი. ამ დროს შაისმაილი გზაზე უყურამს. ნახა, მოაჭენავს.

— აი, ვახ ბენი, ვახ! — ჩამოვიდნენ ცარიელა.

— არავინ არ არი იქა, მარტო ქვებია! — შაისმაილი ჩავარდა ლოგინში დარდით. მამამისმა უთხრა:

— შვილო, რას დარდობ? თუკი ჩემ საბძანებელში ქმარსაც ყავდეს, წავართმევ, რაც იყოს, მოვიყვანო! — გასცა ბრძანება ხემწიფემ, რო:

— ოცდათხუთმეტი წლის ქვეით, თხუთმეტი წლის ზეით ქმართან არი, დანიშნული არი, გაუთხოვარია, სუნთელი უნდა მოჰგროვდნენ! — ზოგმა ახალი ჩაიცვა, ზოგმა ყადიფა. მოვიდნენ, გადაათვალიერა. თითო-თითოდ გადიან. ფიცრები გააკეთა ვიწროდ. სუნთელი ქალები მიდიან და ზეიდან შაისმაილი გადმომდგარა და უყურამს. რო გალაგდენ ხალხი, ერთი კოკლი გოგო დარჩა, სახელათ ქვია გვილდიზარი იმასაც:

— წადი აქედან, მე უნა მამიწონოს იმანაო!

— ეი, მამა, ჰეჩ ბირისი გვილდიზარა მენზამაზ! — და გადაბრუნდა, გული წაუვიდა. ჩავარდა ლოგინში, კიდევ თქვა, რო:

— ხალხმა თქვან, რა რო შაისმაილი ავათ ყოფილა!

— მერე რა, რო ავათ ყოფილა? თუკი ვაშიკაცია, წავიდეს, მოიყვანოს, იტყვიან. — შევიდა, ცხენი შეკაზმა, პური სამგზავროთ ჩაატვია და გაუდგა თავის საჩხუბარ ტანით. ავიდა იმ თაზე, სადაც იყო თავის დანიშნული. მიიხედა, აღარც ის, აღარც ჩადრი, თქვა, რო:

— აი, ვახ, ბენი, ვახ! სად არი გვილდიზარი?! — მიბრუნდა აქეთ, მიბრუნდა იქეთ, ვერაკინ ვერ დაინახა. ცხენი რო გადააგდო ამშარა კისერზე, ცხენმა მივიდა და სამი ოჯახის ქვა იყო მიყუდებული, ცხენმა დაჰკრა ფეხი და გადმოვარდა ქვა. გაიხედავს და რას დაინახავს ბიჭი? რაცხა პლატუკში გამოხვეული! გაჯხსნა ბიჭმა, წაიკითხა: „შაისმაილი შენ იყო, გვილდიზარი მე ვიყო. ორმოც დღემდი მოხველ, მოხველ არა და გავთხოვდენა, ხემწიფის შვილს მაძლევენ ირან-შაჰირში! — ბიჭმა იფიქრა, საითკენ არი გზა! შეჯდა ცხენზე. ცხენს გაუშვა ამშარა და:

— ღმერთო, სითკენაც ცხენი წავა, იქითკენ წავალ! — ცხენი გასწია, წავიდა, იარა, ცოტა იარა, ბევრი, მივიდა ერთ ციხესთან, თქვა, რო:

— ბიჭო, თუ იქნება ჩემი დანიშნული აქ, თუ არა და აქ იმისთანაც ვის შეინახებენ? — ამან აქედან მოუარა, კარები არა; იქედან მოუარა, კარები არა. ზევით შეიხედა, არასფერი აკოშკა არა სჩანს, სინათლე. მან დაიყვირა:

— ერთი, ორი ვინა ხარ, სადა ხარ? — მაგრამ ციხიდან პასუხს ვინ მისცემდა? არაფერი არ ეშველა. ამოიღო გვირზი და ესროლა ციხეს. ნახევარ ციხე დაანგრია. გააღო ერთი კარები, ორი კარები, სამი, მეოთხე კარები გააღო, რო რას ნახამს? ერთი ქალი ზის, ქარგას შვრება.

— ჰიმსნი ხარ. ჰიმსნის შვილიო, ღმერთს გაფიცამ!

— ღმერთს ვფიცულობ, ჰიმსნი ვარ, ჰიმსნის შვილიო! — შევიდა ბიჭი გოგოსთან. იმ ღამეს დარჩა იქ. გოგომ მიიტანა და რამოდელიმე ხელი ლოგინი ქონდა. ერთი ხელი დააგო, თავისთვისაც, ბიჭისთვისაც. ბიჭი დაწვა ლოგინში, აიღო ცხრამეტოყიანი ხმალი, შუაში ჩაიტია. დილაზე რო ადგა, უთხრა:

— გოგო, აქ რა გინდა შენ? ეს თა, ბარი ვინ, შენ აქ ვინ?

— აბა, მე მქვია გვილფერი. მე მყავდა შვიდი ძმა, რომ შვიდ სახემწიფოს ეომებოდნენ, მაგრამ მე მთხოულობდენ დევები. არ მიმცეს და დღეს ე ი თაზე ომობენ. შვიდში სამითანა მოკლეს, ოთხი ძმა ცოცხალი მყავს! — ამ ბიჭმა საჭმელი ჭამა. შეეყდა ცხენზე და წავიდა. მივიდა იმ ბიჭებთან, რომლებიც ომობდნენ, თქვა, რო:

— შვიდი დევი ერთსამსე ზის, ოთხი ძმა ერთსამსე. ძმებთან მივიდე, დევებმა თქვან, რო: შე ოხერო, ესეც გვერეოდენ, რაღას მოხველი? — დევებთან მიდგეს, ბიჭები ეტყვიან: ესეც ბევრი არიან, რაღა მანდ მიხველი? ადგა და შუაში გაიარა. თქვა, რო:

— სელამ ალეიქიმ! — დევებმა თქვეს, რო:

— უჰ, რა ლამაზი ლუკმა მოგვივიდა?! — ძმიებმა უთხრეს:

— ალეიქუმ სალამ! — ადგა და ეს მივიდა ძმიებთან. ძმიებს უთხრა:

— აბა, ვაი თქვენ ტყავს, თუ რომელიმე წამოდგებით და მე წამომყვებით საჩხუბრათ!

— ძმაო, ჩვენ შვიდი ძმა ვიყავით. ოთხზე ჩამოგვიყვანეს და შენ ცოდო ხარ. გაიარე, წადი აქედან!

— აპა, თუკი მოვკვდები, მე უნდა მოვკვდე, თქვენი საქმე არ არი! — ადგა, შეეყდა ცხენზე, დევები იქიდან წამოდგენ. შაისმაილი აქიდან წამოდგა საჩხუბრათ. სამითანა ცხენმა მოკლა, ოთხითანა ბიჭმა მოკლა. უკან რო დაბრუნდა. ძმიებმა დაიწყეს კანკალი.

— უეჭველად ჩვენც მოგვკლენ! — გიექანენ. ცხენი წაართვეს და უზანგები გახოცეს, სისხლიანი, ადგნენ, პატარა ძმას უთხრეს:

— წადი სახლში, დაამზადოს სუყველაფერი. კაცი მოგვყავს სტუმარი. პატარა ძმა წავიდა და რას ნახავს? ნახევარზე ციხე დანგროვილია.

— ოი, შე ვირო, მამაძაღლო! — დას უთხრა, — ჩვენ იქ შვიდნი ძმანი ვიყავით და ოთხ ძმაზე ჩამოვედით შენი გულისთვის და შენ აქ ბოზოფ?

— არა, ძმაო, ღმერთი-რჯული, ერთი ემნაირი, ემნაირი ბიჭი მოვიდა, თქვენთან გამოვგზავნე; არ ვიცი არასფერი.

— ჩემო დაო, თუ იმან ხმალი ჩვენკენ მოიღო, სუყველას დაგვხოცავს. —

ადგა, ძმიებთან წავიდა და ეს პატარა ძმა. თვალი უყო, როშ ნახევარი ციხე დანგრეულია და არაფერი არა თქვათ!

ძმიებმა ერთმანეთს უთხრეს:

— მოდი, იქნება ჩვენი და ამას მივცეთ ცოლათ? — შაისმიელმა ყური მოჰკრა.

— რას ამბობდითო?

— არაფერსაო! — დაუმალეს.

— არა, ან უნდა მითხრათ, ან... — პატარა ძმამ უთხრა:

— თუ იკადრამო, ჩვენი დაო შენთუს საცოლედ გვინდა მოსაცემადო.

— დიდი სიამოვნებითო, მხოლოდაო მე ვარ მგზავრი, შეიძლება წაველი და ველარ მოველი და თუ იქიდან გამოვიარე, ავიყვან, წავიყვან კიდეცაო! — ადგა, აბა, მოვიდნენ სახში. ძმიებმა ერთ ლოგინში დააწვინეს შაისმიელი და გვილფერი. დილაზე რო ადგა, გოგომ უთხრა:

— თქენ ამას მიმეცით, მაგრამ არ მამკარებია სულობით არასფერი! — ძმიებმა უთხრეს:

— შაისმელ, რაშია საქმე ?ჩვენი და არ მოგწონს?

— მამწონს, მაგრამაო მე მგზავრი ვარ, იქ მოვკვდე და თქვენი დის ცოდო ავიღო, არ მინდაო! — დილაზე რო ადგნენ, გამოვიდნენ ბალკონში გვილფერი და შაისმიელი. ადგა და ნიავი იყო და სოსნის ვარდი იყო ყვავილებში. ვარდები რო ქარიშხალმა გაათამაშა, ერთი ამოიოხრა შაისმიელმა.

— ჯანემ, სანა ყურბან ოლსუნ ნეიჩვინ ო ჩაქთენ შაისმაილ. გვილდიზარ ჯეირან იადიმა დვიშთი, ონ იჩვინ ოფჩაქთინ.

— სად არი შენი გვილდიზარი წასული? — შაისმაილმა უთხრა, რო:

— ორანშაიში მივდივარ და ოცდახუთი დღე გასულია, თხუთმეტი დღის ვადა აქ დარჩენილი. — გვილფერმა უთხრა, რო:

— სალამათ გზაზე წახვალ, შენი ცხენისა ერთი წლის სავალი გზა არი. ვედიან ბალმიან იოლს რომ იტყვიან, შენი ცხენისა თხუთმეტი დღის სავალი გზა არისო. მაგრამ წამსვლელი ვერ მიდის, წამომსვლელი ვერ მოდის! — შაისმაილი ჩაფიქრდა.

— თუკი მე წავალ ერთი წლის გზაზე, მივიდე, რო გვილდიზარი ქმართან არი და შვილი ჰყავს, რაღათ მინდა ეს სიცოცხლე? თხუთმეტი დღის გზის სავალზე წავალ, თუ მიველ ცოცხალი, ხომ მივალ. — ჩაიდგა ექვსი დღის პური, გაუყვა გზაზე. ექვსი დღის პური ოთხ დღეზე შეეპამა შაისმაილმა. მიახლოვდა, რას მიახლოვდა? რამოდელიც მოდის, იმდელი ბალახია! არ უვლია არავის! ხუთი დღე რო გახდა, ნახევარ გზაზე მივიდა. თქვა, რო:

— მე, მშიერი ცხენს გაუშვამ ამ ჭალაში. — თვითონ დაწვა და პირდაღმა დაიძინა. ზეიდან გადმოდგა არაბუზანგი [1]. გადმოვიდა, ჩადგა გზაში; გამველიც ხოცა, გამომვლელიც ხოცა, ლეშით ერთი თვალი სახლი გაიკეთა. ორმოცდაცხრამეტითანა ისარი ჰქონდა და ადამიანის თავები ქონდა ჩამოსმული და მეასე აკლდა და ან შაისმაილის თავი უნდა ჩემეეცვას, ან არაბუზანგისა. ამ დროს ზეიდან გადმოდგა არაბუზანგმა.

---

[1] არაბუზანგი იყო ერთი ბეგის შვილი. დანიშნეს ი გოგო, ღამე ქმარს რო შემეეხვია, კაცი მოკვდა შემოხვევის დროს. მაშინ ქალმა თქვა, რო: ჯარამი იყოს ჩემზე სიცოცხლე, თუ რო ვინაც მე კვლავ დამიჭერს, იმას მივყვეო!

— ჰეი, ვინ ხარ მანდ მოსულხარო? ჩემ შიშით მანდ ჩიტი ვერ ფრინავს, შენ ვინღა ხარო? — ადგა, ერთი კაცი გააგზანა.

— ჩახვალ იემ წამს, დაიჭერ და ამომგვრიო! — ჩავიდა.

— გიძახისო! — მივიდა და ცხვირი ახლიჩა თავალას. ავიდა უკანვე.

— რაშია საქმე? — ცხვირით ტუუპუნობს, ვერასფერი გააგებინა, მეორე გამოაგზავნა. მეორეს უთხრა:

— მოდი! — მიიყვანა, ენა ამოგლიჯა და გაუშვა სახში. ენას ალაღლაღებს, ვერ გააგონა, მესამეს უთხრა:

— აბა, ჩვენ რო დიდი სინი გვაქ, იმ სინით გამოიტა ბრინჯის ფლავი და ზედ დაასხი სისხლი. რო ჩაიტან, ნახე, დათვალეო, რამდენ ლუკმას შეეამსო და ნახე, სისხლს გადაწმინდავს თუ არაო? — რო ჩამოუტანა ბიჭმა, დაიდგა წინ. მეორე მოსამსახურე მუხლზე დაჯდუნა. კლავი აიწია, ერთი დაეჭეჭვა, მეორე, მესამე მეოთხე, — ნახევარი დარჩა. ამოიჯო, ბიჭს საჩუქარი მისცა და უთხრა:

— წადიო! — ავიდა ბიჭი. უთხრა:

— რა ქენიოო?

— სამი ჭაჭვი საჯათ შეეამაო, მეოთხე ნახევარი დარჩაო.

— შენაო შეგიშლიაო!

— მე კი არ შემიშლიაო, რო ჩახვალ და პირდაპირ დაუდგები, ვინ შეშლის, მერე გაიგებო! — არაბუზა შეედა ცხენზე და ქვეით წამოვიდა წრიპინ-გრიალით, ჩამოვიდა.

— შენ ვინ ხარ, აქ ვინ მოგიყვანა, ვინ მოგცა ნება?

— მე შაისმაილ მეტყვიანო, ირანში მივდივარო. გინდ ნებით გამიშვიო, თუ არა და ძალით წავიდენაო. — დახედა ამასა,

— რო ამას დავეჭიდო, მამკლემს. დაპატიჟა იმ ღამეს შტუმრათ სახში. საღამო რო გახდა, დაწოლის დრო, შაისმაილმა თქვა:

— ერთი თავლახანაში ჩავიდე მეო. — ჩავიდა, რომ რას ნახავს? ყამართაა, ტირის, ტირის უბედურათ.

— ყამართაა, რას ტირიხარ?

— როგორ არ უნდა ვიტირონაო? შენ ხარ კაციო, ეგ არის ქალი (სინამდვილეარ იცოდა ბიჭმა). დილაზე შენ და ეგ დაიჭიდნებითო, შენ მაგას წააქცევო, მეც მაგის ცხენს წავაქცევ, მაგრამ მაგას რო წააქცევ, ეგ გეტყვის: ერთი გული გამიჭარი, ტანისამოსი ტელხისა, ეს გული გამიგრილდესო და მერე მამკალიო! მაგრამ შენ რომ ჯიფეში პლატუკი გაქ, ძუძუებს რო განახამს, მაშივე უნდა დაეფარო გულზე. ეტყვი: უკაცრავათ, შენისთანები ბევრი მინახია და უნახავარო! — ადგა ამან, ავიდა სახში. იმ ღამეს დაიძინეს, დილაზე ადგნენ, ცხენები დაიჭიდნენ. შაისმაილის ყამართაიმ არაბუზანგის არაბი ცხენი საცხა გადისროლა. შაისმაილი და არაბუზანგი დაიჭიდნენ. იჩხუბეს ბევრი და არაბუზანგს შაისმაილმა ხელი ვერ მოავლო. ხელს მოჰკიდამს და უშპებოდა. ბოლოს, როგორცაღა ქნა, ფეხზე სტაცა და დააზღართუნა არაბუზანგი.

— შენ იცი, შაისმაილ, ერთი გული გამიჭარი ზელხისა, ერთი გავგრილდეს და მერე კიდო მომკალი! — როგორც გაუჭრა გული, ძუძუები დაინახა ბიჭმა. პლატუკი დაავიწყდა და გული წაუვიდა. გადაბრუნდა ბიჭი.

— მოგკლა, თუ ცოლათ უნდა ამიყვანონაო? — შაისმაილმა უთხრა:

— ნუ მამკლავო, ოღონდ ჩავიდეთ ირანში და ამოვიდეთო! — შეკაზმეს ორივემ ცხენები, ერთ ხურჯინში, ორივე თვალში, ოქრო ჩაყარეს. მეორე ცხენის

ხურჯინში ტანისამოსი ჩაალაგეს გვილიზარისთვის, არაბუზისთვის და გვილფე-
რისთვის. გაუყვნეს გზას. ოცდაცხრამეტი დღე გასდა. ირანში შევიდნენ. ამ-
დროს ერთი ბებერი ნანაჟ ნახეს.

— ნანაჯან, სახლი გაქ, გავჩერდეთ, თუ არა?

— არა, შვილო, არა!

— დედიჯან, ოქროს მოგეცემთ.

— მოდი, შვილო, მოდი, სახლიც მაქ, კარიც, ცხენებისთვინაც მაქ ადგი-
ლი. — ამ გოროდში დადგნენ.

— ამ გოროდში, დიდიჯან, რა ამბავია?

— ჰეე, შვილო, რა გაიგო?!

— რა არის, დიდი?

— ერთი ხემწიფის შვილი გვყავს. ერთი ლამაზი გოგოა გვილიზარი და ხვალ-
იმას ჯვარს სწერებენ.

— თუ შეიძლება, ნანა, წადი და ხვალ გაიგე და უთხარი, რო შაისმაილი
მოსულაო!

— კარგი, შვილო, წავალ. — ადგა, წავიდა ნანაჟ. ერცაღე გზა რო გაია-
რა, ისოვლ დაბრუნდა უკან და უთხრა:

— შვილო, ამ ტანით ხემწიფესთან რო მივიდე, რა იტყვიან? იტყვიან, მაი-
მუნი ხარაო! ხოლოთ გოგო ჰინას არ ღებულობს, რო ჯვარი დაიწეროს. — შაის-
მაილმა უთხრა არაბუზას:

— ამოიღე ერთი აბრეშუმის კაბა. — წავიდა. მივიდა ხემწიფესთან.

— თუ შეიძლება, ეს ჩემი ბადიშია. მე ჰინას ავაღებინებ და იქნება ჯვარი
დავსწეროთ! — ხემწიფემ უთხრა:

— თუკი მაგრე ვიზამო, შენ წონა ოქროს მოქცემთო! — ადგა, შევიდა გო-
გოსთან ნანაჟ.

— აქეთ წადით, იქით წადით, გოგოსთან უნდა მივიდე! — მოვიდა ახლო
კარებთან. კარები დაკეტილი იყო. მაშინ უჯახუნა კარები, არ გააღო! ბოლოს და
ბოლოს იმოდელა ქმნა, რო კლავი შიგნით შეიტანა, რომელ ოთახშიაც გვილდი-
ზარი იყო. გვილდიზარმა ბეჭედი დაინახა (ეს გამოატანა); თქვა:

— ეს შაისმაილი არის! — საჩქაროდ გააღო კარები და ნანაჟ შიგნით შე-
ითრია.

— ნანა, ან უნდა მოგკლა, ან უნდა დაგახჩო, ან მითხარ, ეგ ბეჭედი ვისია?

— შვილო, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, რათ მკლავ, რათ მახჩენ, ჩემთან
არის შაისმაილი და გამამაგზავნა, რო რას ამბობს? — დაფიქრდა გოგო. უთხ-
რა, რო:

— ხვალ ჩემ მამამთილს გამოუცხადებ, რომ ჰინი გამამიტანოს. იქიდან აბა-
ნოში წავალ, სეირან ბაღში მოვალ აბანოდან და მოვიდეს, მაშინ მამიტაცოს!
ნანამ უთხრა, რო:

— შვილო, ვნახე.

— ჰანი შენი ნიშანი, თუ ნახე? გამოიძრო გოგომ ხელიდან ბეჭედი, მისცა
ნანას. ბიჭის ბეჭედი გოგოს დარჩა, გოგოს ბეჭედი ბიჭთან წავიდა. მივიდა, ბიჭს
ელაპარაკა ნანაჟ სუყველაფერი. შაისმაილმა არაბს უთხრა:

— არაბ, აკამე ცხენებს, რო ღილაზე ომი გვექნება! — ღილაზე ხემწიფეს
გამოუცხადა ძალმა:

— აბა, ჰინა ამამიგზავნე! — ჰინა ამოუგზავნა. გასცა ბძანება თავი სახელმ-

წიფოში, რომ ძაღლიდან ფრინველამდი, რაც რო გყვანან, შინაურა ცხოველი, სამი კარი უნდა დაკეტილი იყოს, არავინ უნდა დაინახოს ჩემი რძალი! — გააყოლეს ხალაიღი და ათითანა წავიდნენ აბანოში. იქიდან წამოვიდნენ სეირამ ბაღში. ცხრათამ ხალაიღებმა თითოთითო ვარდი მოწყვიტეს ბაღიდან, გვილდიზარმა კი ორი. ვნახოთ, მოდის არაბი და შაისმაილის ცხენებს წყალი უნდა ასვან.

— იქვე ავაზანია, — შაისმაილმა მიაყვირა გოგიებს, — ერთი ვარდი მე მამეცითო! გოგიებმა თქვეს:

— ვინ მისცემს? რა უყოთ, რო პატარძალია? გვილდიზარმა მისცეს! — რო მისცა გვილდიზარმა და გაშვირა მკლავი, მაჯაზე სტაცა ხელი არაბმა და შემოისროლა ცხენის თარქზე. შაისმაილი შეჯდა ცხენზე და წავიდნენ. ცოტა იარეს თუ ბევრი იარეს, გავიდნენ ერთ თაზე. შაისმაილმა გაშალა ნაბადი, გოგო დაჯდა. ბიქმა მუხლზე თავი დაუტვია და დაიძინა. გაიხედეს და — დალალი დააყვირა ხემწიფემ გოროდში, რომ კვამლზე ორი კაცი! ომი მაქს! წამოვიდა კაცი, წამოვიდა — მინასიებ. არაბმა ვეღარ გამოიმეტა, ვერ გააღვიძა, შეჯდა არაბი ცხენზე, წავიდა საჩხუბრათ. მოსული ხალხი ხოცა, იმოდელი სისხლში ააყენა, რო... გვილდიზარმა თქვა:

— მე ისევ წამიყვანებენ და შაისმაილს აქ დაიჭერენ და დაჰკლებენ! — გოგომ ვეღარ გამოიმეტა, რომ გეეღვიძებინა და სიმღერით უთხრა და გულმა არ გაუძლო და თვალიდან ცრემლი გადმოსდინდა და ლოყაზე დეეცა. გამეეღვიძა და არსად ღრუბელი არ მოჩამს, მაგრამ გოგოს თვალები ამღვრეული აქ. ადგნენ, კლავში პადრუჩკა გაუყარეს და გაისეირნეს. გადაიხედა ღელეში რომ შაისმაილმა, რაცხა ლეშის სისხლი მიდის. არაბს დაუძახა, რო: — რაშია საქმე?

— რაში უნდა იყოს? ერთმა მელამ გამიექანა, დაუქნიე ხმალი, კუდი მოსწყვიტა და სისხლი მოსდისო!

— ცხენის ბეჭებზე სისხლიო?

— ტრედი მიფრინემდაო, ხმალი დაუქნიე, ფთაზე მოხვდა და იმისიაო!

— კარგი! — შემოაჟღუნა არაბმა თარქზე გვილდიზარი და წამოიყვანეს. მოვიდნენ იმ ადგილას, სადაც გვილდიფერი იპოვნიან. ის გოგოც წაიყვანა, გვილფერიცა, ცოლათ. გახდნენ სამი, სამი ქალი და ერთი კაცი, ხოლოთ ამ გვილდიზარმა და გვილფერიმ არ იცოდნენ, ეს არაბი ქალი იყო თუ კაცი. ამათ ზითევად ჰქონდნენ: გვილდიზარს — ერთი ბეჭედი, გვილფერს — ერთი ლეკვი, არაბსაც — ზანდუხ-ზანღარი. ადგა და გზაზე რო მიდიან ესნები, მაშინ გაბრუნდება არაბი, გვილდიზარს მიუჩქმიტავს, გამობრუნდება, გვილფერის მოუჩქმიტავს. ამ გოგიებს გვერდები დაუშავდა. გვილდიზარ, ეკითხება შაისმაილი:

— შაისმაილ, ეგ შავი შენი რა არის?

— შორიდან ჩემი ბიძაა. — გვილფერმა უთხრა:

— ეგ უშნო შენი რა არის?

— ეგ უშნო ჩემი ძმა არის! — შაისმაილმა უთხრა. გაუყვნენ გზას. ცოტა იარეს, ბევრი იარეს, ჩავიდნენ მამამისის გოროდში. მამამისი თუ იდგა გოროდის ქვეითა, შვილი დადგა ზეითა. მამამისმა თქვა, რო:

— ჩემ შვილ რძლიები მოუყვანია, სირცხვილი არ არი, არ ვნახო? — ერთ დღეს წამოსვლა მოინდომა დედამისმა. მაგრამ ეს ხემწიფე და ხემწიფის ცოლი ვერ იყვნენ ერთმანეთან კარქა. რომ ამოვიდა დედამისი რძლიებთან, ნახა, ადგა და წავიდა. ჩავიდა, უთხრა:

— ბედნიერო ხემწიფევ! ის რძლიები, ის შვილი, იმის შესაფერი კი არ არის ის რძლიები და შენი შესაფერიო, ისნები შენი შესაფერიაო. — ხემწიფემ თქვა:

— ერთი ავიდე, ვნახოო! წამოვიდა ხემწიფე, ამოვიდა ორმოცფეხიან მერდევანზე, შეუჯდენ რძლიებმა და ასწიეს და შტოლზე დაჯდუნეს. გადაათვალიერა რძლიები და თავისთავად თქვა:

— ჩემი შესაფერი ყოფილანო. ამისთანა ლამაზი არ მყავდესო?! — ადგა, წამოვიდა ეს კაცი, დაუძახა შვილი, დაიპატიჟა. ლალას უთხრა:

— ლალა, საშმლებ მოწამლავ და სუნთელ შაისმაილ მიუტანო!

— კარგი, ბედნიერო ხემწიფე, — ლალამ უთხრა.

შაისმაილს უთხრა გვილდიზარმა;

— შაისმაილ, ნუ წახვალ, მამაშენი შენი მტერიაო! აპა, თუ წახვალ, ეს ბეჭედი წაიღე, რასაც ჭამ, სვამ, გამოგადგებაო! ადგა, წაიღო. სვა-ჭამა საშმელი.

— ლალა, შენ ჩემი ბძანება არ შეასრულე! — ხემწიფემ უთხრა.

— ბედნიერო ხემწიფე, მოვსწამლეო!

— აბა, ამოიღე და შეჭამეო!

— ჩვენ ხო კატა გვყავს. ერთი ლუკმა გადავისროლოთო! — და როგორც დასუნა, ისევე გასკდა კატა.

— აბა, ზღუბლებში ამოსპარ ერმო, ჩაასხი წყალი! — ხალიჩა გადააფარა. ამ დროს გვილფერი ებნევა:

— მამაშენი შენი მტერია!

— გვილდიზარიც მაგრე მიძახა, რა მიყოო?

— აპა, თუკი წახვალ, ეს ლეკვი წაიყვანე და ეს სადაც გადახტება, შენც იქ გადახტი! — მაგრე ქნა. სახლამდე ის ლეკვი სუ სირბილით მიდიოდა. დასუნა ლუკმა. გადახტა. შაისმაილმაც იძ ერმოზე გადახტა. სვა, ჭამა და გამოიარა ისოვ ისე. უთხრა მესამეთა, რო:

— შაისმაილ, ნუ წახვალ, მამაშენი შენი მტერია! — უთხრა არაბმა.

— ჰო, გუშინც აგრე თქვესო, ტყუილიაო! — ადგა, წავიდა ეს. ჩავიდა, რო სადილია, და:

— შვილო, მე სხვა სახემწიფომ ომი გამომიცხადა და მინდა შენი ღონე გავსინჯო, რო ღონიერი ხარ, თუ არა და უნა გაეიგოო.

— აგერა გამსინჯეო! — მოვიდა და ჯენჯილი აიღო და მიაკოჭა ზურგზე. ერთი უბედური სვეტი იყო.

— ჯალლათ! — დაიძახა ხემწიფემ. ჯალათები მოვიდნენ, დაადგნენ სათირებით.

— რა გინდა, მამაო! — ბიჭი გაინძრა მხრიებში, ჯენჯილები გაწყვიტა და განთავისუფლდა.

— შვილო, გეხუმრებოდი! შვილო, შენი დამმაგრებელი ძალა სად არისო?

— მამაჩემო, იმისანა რამეს მეკითხები, რო შენ გონია ძნელი იყოსო. ყამართაის კუდიდან რო ერთი ბეწვი გამოაძროო და თითები ერთმანეთზე მამიკრა. დიდვრანი თითებიო, ვეღარც გავწყვიტამო.

— მოდი, ერთი გავშინჯოთ, შვილო! — ძუა მოატანინა. გაუკრეს თითები.

— ჯალლათ! — დაიძახა ხემწიფემ. მოვიდნენ ჯალლათები.

— ამათ წაიყვანთ, დაჰკლამთ, თვალებ ამოაცლით ამას და ამის სისხლიან პერანგს მამიტანთ!

—მამაჩემო, რა მერჩი? უჩემოთ შენ რძლიები რათ გინდა? აჰ, ჯალლათ,

მამაჩემო, თაღ გამანთავისუფლე და რძლიები შენი იყოსო! — ამოაცალა თვა-ლები მამამისმა. მარჯვენა თვალი მარცხენა უბეში ჩაუტვია და მარცხენა — მარჯ-ვენაში. გაატანა ჯალლათს. წავიდა ბიჭი, წაიყვანეს ხემწიფის მოსამსახურეებმა, თქვეს, რო:

— თვრამეტი-ცხრამეტი წლის კაცი გახდა, როგორ გამოვიმეტოთ? — გა-ხადეს პერანგი. წავიდნენ, მეცხვარიდან ერთი ცხვარი იყიდეს. დაკლეს ეს ცხვა-რი, სისხლში გასვარეს და ხემწიფეს მიუტანეს.

— გადააგდე ეგ პერანგიო და რძლიები წამამიყვანეთო! — ხუთითანა გა-აგზავნა. ავიდნენ არაბთან და თავი მოსჭრა.

— ბიჭები სად არიანო?

— ბიჭები პურს ჭამენო და თქენაო ის ნესვი და ყარფუზი ჩაუტანეთო! — ჩაუყარა ჯვალში და გაატანა.

— ბედნიერო ხემწიფე, ეს ნესვი და ყარფუზი ბიჭებმა გამამატანაო.

— მე ჩემი რძლიების გული ისეც ვიცოდიო! — აპა, კვამლზე კაცი! — და-უწყო ჩხუბი. ბიჭი რო წაიყვანეს, ერმოში ტყეში რა აცხოვრებდა? ერთი ლეკვი იყო, რომელიც გვილფერს ყავდა. წყაროსთან ჩამოხტა ქალარვანის ბეზირგიანი და პურს ჭამს. იმან ადგა და ლეკვს ერთი ლუკმა პური გადაუგდო. ამ ძაღლმა დაავლო, გაიქცა, სადაც ის ბიჭი იყო. მეორე ლუკმა კიდო გადაუგდო. კიდო იქით წავიდა.

— რაშია საქმე, ამ ძაღლ ან ცხვენია, ან რამე! — ადგა და ერთი პური გა-დაუგდო და თვითონაც უკან წახვა. მივიდა და ერთი ბიჭი ხელებგაბორკილი ერ-მოში გდია. ამოიყვანა ეს კაცი და ხელები გაუჭრა. დააყდუნა წყაროზე, მიართ-ვა პური, აჭამა. უთხრა, რო:

— ვინა ხარ შენ?

— მე შაისმაილს მეტყვიან, ფადიშას შვილს.

— შენ ვინ ხარო?

— მე ბეზირგიას მეტყვიანო! — წყაროსთან დააყდუნა. მაშინ ბიჭმა იცოდა, რამოდენიმე ფრინველების ენა. ტრედი ამბობს:

— ამან რო ჩემი ენა იცოდეს, ფთას ჩავუსვამ, ამოსერის თვალში და გამ-თელდება! — ამოიღო ჯეფეში რო ქონდა და გადაიტან-გადმოიტანა. ფთა რო ჩა-მოვარდა წყალში, დაიწკაპუნა. ბიჭმა მოისვა მარჯვენა თვალზე. მარჯვენა აა-ხილა.

— მაინც ერთი თვალი გამისაღდაო, მარცხენაცა!—და ცოტა შაში დარჩა. გამოუყვა გზაზე ეს ბიჭი. ჩამოვიდა ერთ სოფელში. ერთ მოხუცებულს ჯილღა უბია ყანაში.

— პაპაჯან, მიშველამ მე?

— შვილო, ორი ვაჟი მყავდა, ამ ხემწიფემ წაიყვანა და ეომება ვინცაღასო..

— თუკი მე მიშველამ, აპა, შენ წადი სახში, მე დავიჭერ ჯილღას, მოვნახამ და ჩამოვალო! — წავიდა ბებერი კაცი სახში. შაისმაილმა გამოუშვა ხარები, დაიჭირა არონაგ ხელში, გავიდა, მოხნა. ადგა, სახში წავიდა, პური ჭამეს. კარე-ბი დაარაკუნეს.

— „კვამლზე კაცი“, ხემწიფე კითხულობს! — შაისმაილმა უთხრა:

— მამა, მე წავალ!

— არა, შვილო, შენ ახალგაზრდა კაცი ხარ.

— არ შეიძლება. — ადგა და წავიდა. გაიარა ერთი ტყეში, მოგლიჯა დი-

დი ჭნავი. თან იქნევს ხესა, თან ისე მიდის. წავიდა კაცი. წავიდა კაცი, ხემწიფეს ეტყვის:

— ბედნიერო ხემწიფე, ერთი შაში ბიჭი მოდის, ხეს იქნევს.

— აპა, მამიყვანეთ! — მოიყვანეს შაისმაილი.

— შენ შეგიძლია, რო არაბუზანებს ეომო?

— როგორ არა, ბედნიერო ხელმწიფე. მე გამიგონია პაპაჩემისაგან, ერთი შვილი გყოლია, იმას რაც ყოლია ცხენი, ხმალი, თუ შენ თავათ მამცემო, ვიომამო, თუ არა და ერთი ფუთი ღვინო, ერთი ცხვარი და ერთი ჩადრი უნდა მამცენაო! — სუნთელი მისცა. თავის ცხენზე შეჯდა ბიჭი და წავიდა. გოგიებმა დაინახეს, რას ნახავს? უამართზე ვინცხა შემჯდარა, შაში ბიჭი.

— თუ მემერია ეს ბიჭიო! — არაბმა თქვა. დაღამდა ის დღე, მოიტანა და ჩადრი კიბესთან... შეეშინდენ:

— რა ყოჩაღი ბიჭი ყოფილაო? — შაისმაილმა როგორმე აცნო თავი. ერთმანეთი რო გაიცნეს, შაისმაილი შავიდა შიგნით.

— აპა, მე მამაჩემს ვერ გამოვიმეტამ. შენ გალესე ხმალი, დილაზე დავიჭიდნებითო. მე ხომ შენ წაგაქცევ. მამაჩემს ვალაპარაკამ და კისერი უნა მოგკვეთო შენაო! — გავიდნენ დილაზე, დაიჭიდნენ. შაისმაილმა არ წააქცია, ხემწიფე ებნევა:

— მოჰკვეთე, თავი, შვილო!

— არა, შენი რუჭკა-კალამი-შტოლი ჩამაიტანე! — ჩამაიტანა.

— ერთ მამას რო ერთი შვილი ყავდესო, იმას რო საშველი მოუწამლო, რა მოუხდებაო?

— ის ტყვიით უნა დაიხვრიტოსო.

— ერთი მამა რო შვილ ერმოს ამოუთხრის, რა უნდაო?

— ხმლით უნა დაკაფონო!

— ერთ მამას რო ერთი შვილის თვალები ამოაცალოს, რა უნდაო?

— ცხენის კუდზე მოაბენ! — და:

— წაიკითხე, ბედნიერო ხემწიფე, სუყველასფერიო! — ხემწიფემ წაიკითხა. შაისმაილმა არაბი აუშვა. გაუქნია ხმალი და ხემწიფეს თავი წააგდებინა. ავიდა შტოლზე შაისმაილი. გასცა ბძანება.

— ვისაც რა გიჭირვან ხელში, თქვენთვის მიჩუქებია, წადითო! — ხალხი წავიდა თავით სახლში.

— წადით, ის ბებერი კაცი მამიყვანეთ ამომავალ ადგილსაო!

— ვაამე, დედა, ჰალბათ დათვალა და მე ვაკლდიო! — შეეშინა. მოვიდა.

— აბანოში წაიყვანეთო!

— მე უნდა მაბანოს და ისე უნა მამკლას?!

— ტანი გამოუცვალეთ!

— ტანი უნა გამამიცვალოს და ისე მამკლას? — ხემწიფი შტოლზე დასვა, დაჯდუნა. გააგზანა დედამისი, დაეძახინა.

— აი, შენი ქმარი ეს არი! გინდა ეგ? არ გინდა — ცხენის კუდზე დაგახჩომო! დედა დათანხმდა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

18. ორი ძმა

ერთ დროებაშიგან ორნი ძმანი იყვნენ. ერთი ცოტა გიჟი იყო და ერთი ცოტა ჭკვიანი იყო ჩემსეეფ. ამათ ცოლები მოიყვანეს ორთავემ. ამ ძმას ეყოლა შვილი და ჭკვიანს არ ეყოლა. უთხრა, რომა:

— ძმაო, მე ცალკე უნდა გავიდე! — ამ ქალმა შეუჟდა ქმარსა:

— ცალკე გავიდეთ!

— ქალო, ამრაინი ტკბილი ძმობა გვაქ, რათ უნა გავიდეთ ცალკე? — ერთმანეთისთვის არ უწყენიან, რაც რომა დაბადებულან. ვერ გაუბედია ძმისთვი, რომ უთხრას.

— ძმაოჯან, მოდი, ცალკე გავიდეთ!

— კარქი, ძმავ. — იმ ღამეს გამოაცხობინა პური, ყველაფერი. ადგა დილაზეგან, ახსენა ღმერთი და წავიდა. უთხრა:

— ძმაო, სად მიხვალ?

— სად უნა წავიდე? მიწაც შენი იყოს, მამულიც შენი იყოს, მე უდა წავიდე. — ამ ძმას ძალიან ეწყინა, რო მეტი არ შეიძლებოდეს.

— რატომ ეს უთხარიო? — ამან თქვა, რო:

— ეჰ ვალლაჰ, ყარდაშ, — უთხრა. მიატვია, ადგნენ, ერთმანეთს ჩამოართვეს ხელი, წავიდა და დადგა ტყეში. ეს ავჯი გახდა, ეს კაცი. წავა, მოჰკლამს რამეს და ამითი სცხოვრომს ეს კაცი. ეს ქალი ამ სიბერის დროს ორსული გახდა. კაცი რო მოვიდა, ძალიან ტირის ეს ქალი, რომ ესე ორსულობა გაიგო სიბერისა. კაცი ებნება:

— რა მოგვიდა? ქალი ხარ, ვინმე შემეგეპრა?

— არაკაცი! — ტირის ეს ქალი, ტირის, რო მეტი არ შეიძლებოდეს. ეს კაცი იძახის:

— ჰალლა, ჰალლა, რა მოუვიდა ამ ჩემ ქალსა? — მამლიყივილამდი გასწია ამ ტირილში.

— ქალო, მითხარ, შენ რჯულს შეხედე, შენ ქათიბს შეხედე! — უთხრა, რო:

— კაცოჯან, ვაითუ მცემო და არ ვიცი მე! — ეს კაცი ებნევა:

— ჰალლა, ჰალლა, რათ უნდა ქცემო, ქალოჯან?

— ორსულათ ვარო!

— ჰალლაბა თურსუნ სანიო. მაგრაინი კეთილი დღე გიქნია და მეწყინებაო? — ძალიან გეეხარდა ამ კაცსა. დიდი მახარიჯი გააკეთა. ამათ ეყოლნენ ერთი ქალიშვილი. გიეზდნენ, ერთი წლისა გახდა ეს გოგო და ამათ ვერავინ უპოვნია ტყეშიგანა, რო ვინმე მიიყვანონ, მოანათლიონ. ციდამ ჩამოვიდა სამითანა ანგელოზი. ღვდელი, ერთი ნათლიაჯ — ჰაპაპაჯ. უთხრეს:

— რა დადიხარ, ბებერო კაცო?

— თქვენი ჭირიმე, სამითანა ხართო და მინათლეთო! — მიიყვანეს, ამ ბავშვსა დაარქვეს თინათინი. ღვდელმა უთხრა პაპასა:

— რა უნდა აჩუქო შენაო?

— რა და ვაჩუქო, ვერაფერი წამოვიღეო!

— არ შეიძლებაო, მე ამას ვაჩუქებო, რომაო, იცინოდეს და ია და ვარდი სცვივოდეს პირიდანაო.

— კარქია, ეჰვილლაო! — მეორემ უთხრა მოწამეს:

— შენ რაღა უნდა აჩუქო?

— მეც დამავიწყდა, ვერაფერი წამოვიღეო!

— არ შეიძლება, შვილოო!

— რო სტიროდეს, თვალ-მარგალიტ აპნევდესო! — ბატონს უთხრეს ახლა:

— ჩვენ კაცი შვილები არა ვართო.

— შენც აჩუქე რამეო, მეც დამავიწყდაო.

— ბატონო, არ შეიძლებაო, უნა აჩუქო! — ე ბატონი ამბობს:

— ჰეე, ეხლა მე მიბრძანებენ, ერთი შეხე?

— მიჩუქებია კრიანოსელიო, გადაიგდოს კისერზეო, ვირამდი არ მოიხსნასო, არ მოკვდესო და მოიხსნისო, მოკვდესო! — მონათლეს და სამზადისი უნდა გააკეთოს, რო პური მოშივდენ, ჭამონ. ამათ სამივეს ყანადები გემიებენ და გაფრინდენ. ე კაცი გამოვარდა. ეძეფს აქეთ, ეძეფს იქეთ, მაგრამ ვის დაინახავს, კაცო? ამ გოგოს, როგორც რო დალოცეს, წორეთ ისევეა. გაიცინამს და ია და ვარდი გადმოდის პირიდამ. ეს გოგო გახდა თოთხმეტი-თხუთმეტი წლისა. გათხოვების დროს მოუვიდა. ეს ქალი ებნევა ქმარსა:

— წავიდეთ, ამ უდაბნოში ვართ, გავიდეთ ამ აბასთუმანშიგან ნაირ გოროდშიო. — დაფიქრდა კაცი, რო არ იქნება ამრა�უდაბნოში ცხოვრება. ქალიც გასათხოვარი შეგვესწრო. ადგება ერთი ხემწიფის შვილი, საავჯოთ წამოვა თავის ნაზირითა და ვეზირითა. ივლიან, ცოტას ივლიან, ბევრს ივლიან, ძალიან აბდრიანი დღეც დახვდათ; ამათ დასველდნენ ძალიან. დაუღემდნენ ერთ ტყეში.

— აპა, მალე ცეცხლი გაანაღეთ!

— ბედნიერო ხელმწიფე, სადა, აღარც პიჩკა დაგვრჩა, სველია.

— ბძანება არის! — ამ კაცმა უთხრა, რო:

— ამ კატრის ხეზე ავალ წვეროშიო და გავიხედავ, გამოჩნდება, რაც არიო! ადგა, გაიხედა. ცოლ-ქმარი რო ცხოვრობენ ტყეში, იქიდან რაღაცა სინათლე მოჩამს. ჩამოხტა ძირს, უთხრა, რო:

— ეხლა წავალ და ცეცხლი მოვიტანო! — ადგა და წავიდა. მივიდა ოთახშიგან, დაჰკრა ჯოხი, გოგო გამოვიდა კარზე. რო შეხედა ამ გოგოსა, გული წაუვიდა, ისე ანათლებდა ბლენაში.

— მოდი, ეს ქალი წავიყვანო, ცეცხლი რაღათ მინდაო? — ეს გოგო ჭკვიანია.

— რა გინდა, მოითხოვიე! — რა მოითხოვიოს, ქალს უყურამს?!

— შენ გენაცვალეო, ცეცხლი მინდაო. — ამის ჭყირებაშიგან ორი საათი გავიდა. ამან ადგა და წავიდა. ეს ვირამდი მიიტანა, ცეცხლი ჰამინქი გაქრა.

— კაცო, რა ქენ ეს შენა, არც ცეცხლი მოიტანე?!

— ჰაერი ღრუბელიაო, წუმაო წურბელიაო! ეცემა და აქრამსო! — ამოიღო მათრახი, ჩემი ხარ ბატონო, გადასცხო ერთი-ორი, რო: მალე ცეცხლიო! გაიქცა თუ არა, ისოვ დაუძახა:

— აქ მოდიო!

— მეტი სირბინით ილაჯი აღარ შემრჩაო!

— აგერ, ეს ორი წყერი, წაიღე იმ ოთახში, სახლებში, შეწვი ლამაზათ და მამიტანეო!

— კარგიო! — ადგა, წაიღო ესენი. ისინი ტყეში დგანან. კატრი შეშები დაუყრიან, სუ გრიალი გაქ ცეცხლი.

— ესენი შევწვაო! — ესენი გააკეთეს, სწვამს და ამ წყერებს ვეღარ უყურამს ეს კაცი. მეტი სილამაზითა იმ ხორც აღარ ხედამს. ეს გოგო არის დვინია

გვეზალი. ამას რო უყურამს და ცალი სამთი სუ დაიწვა და ცალი სამთი ისოვ ჰუმია. აიტაცა და წამოვიდა. გასწია იმის შეწვამში შვიდი საათი. ამ გოგოს გიეცინა მაშინ. როგორც გიეცინა, თუ არა და პირიდან ია და ვარდი გადმოყარა. ამ კაცს გული წაუვიდა, ამბობს, რო:

— ეს როგორ ვქნა, რო ცოლათ ავიყვანო, ხემწიფეს არ შევატყობინო? — თავი ფიქრშიგან ამბობს. ადგა, მივიდა ხემწიფესთან ეს კაცი. ხემწიფემ ნახა, რო ცალი სამთი დაწვილია და ცალი სამთი ისევ ჰუმია.

— შენ მე ქირდათ მღებულობ? ცალი სამთი დაგიწვიაო, შე მამაძაღლო, ჯალლათი მოვიდეს, რო კისერი უდა მოგჭრა!

— ბედნიერო ხემწიფევ, თაღ ნუ მამკლავ, შენ ერთ რაღაცას პატრონ გაგხდიო!

— აი, შე მამაძაღლო, შენ რა შეგიძლია, რო მე რამის პატრონი გამხადო?

— შენ იცი, ბედნიერო ხემწიფე, მათქმევინე, თუ არ გაგხდი, რაც გინდა, თქვიო!

— აპა, მითხარი, რაში იყო საქმე?

— ბედნიერო ხემწიფე, ეს საცა მივიტანე, რო შემეწვაო, იმრაინი გოგო არის იქაო, რო დვინია გვეზალიაო! შენც რო დაინახო, ჭკუას შეხლიო იმის სილამაზეთიო. იმის ჭყერასაო დამეწვაო.

— აბა, წავიდეთო, თუ მართალი გამოხველიო, მიჩუქებიაო და საჩუქარი უნა მოქცეო. თუ ტყვილიაო და კისერი უნა მოგჭრაო, არ უნა გაცოცხლო სამი ნიმუტიო.

— კეთილიო! — ადგნენ და მივიდნენ იმ სახლში. დაკრეს კარებსა თუ არა, გამოვიდა ერთი გოგო. ხემწიფემ დაინახა თუ არა და გულის წასვლა ერთი ქნა, რო:

— მე ამრაინი გოგო არ მინახია თავი დღეში. — აქედან ასხეს წყალი, ეს ხენწიფე გამოაცოცხლეს. როგორც არი, ხენწიფეს უთხრა:

— ნახე, შენ ვერ გაუძელი ამი სილამაზესაო! — მაშინ უთხრა ამ დედამამას:

— თუ ღმერთიც გიერევა, ეს თქვენი შვილი მე უდა ავიყვანოო!

— რატომ დაგიწუნამთ, ხენწიფის შვილი ხართ და კარქი! მისცეს სიტყვა, ახსენეს ღმერთი. ამათ ბეები გასცვალეს, ნიშნობა ქნეს. გააწყეს დიდი სუფრა და დაპატიეეს, რაც კატრები იყო (კაცები იქ არ იყო). დარჩა ათი დღე იმასთან.

— მე წავალ ახლა, ამ ერთ წელიწადში მოვალ და წავიყვან შენ შვილს, ასე, შვიდი თვე გავიდეს, რაჰ! — მამამისისთუნ ვერ გაუბედია ამ შვილს ვერაფერი. უთხრას, კაცო, და შეიძლება, რომ კისერი მოსჭრას, შიშითა! ეს ჩავარდა ჭლექში. ამას დოხტური-დოხტურზე. დოხტურები დაღალეს ზეთ. ვერც ერთმა ვერ უშველეს. ერთი ფუხარა კაცი იყო. დიეკიდა ჩემსეეფ ცარიელა ჩანთა, დოხტურობას შვება ისაც.

— კაცო, მე მაჩვენეთ ეგ კაცი, ყველა დარდს გავიგებ! — შეიყვანეს, ნახეს, ამ კაცმა ნახა.

— ვერა დოხტური ვერ მოარჩენს ამასაო!

— რათაო?

— ამის დარდი სხვა არისო.

— თქვი, შვილოო!

— ბედნიერო ხემწიფე, ვაითუ კისერი მამჭრანო! ამასაო სევდა დაყრილი აქო სხვაზეო.

— აპა, თქვენ რა ნახეთ, რაშია საქმე, დარდში ვინ ჩამიგდო. რა ყაზა გადა-ახდევინებ, ახლავ მითხარით, თორემ ჯალლათს მოვიყვანო! — დაუჩოქეს ხემ-წიფეს, ემთხვინენ ფეხებზე. უთხრეს, რო:

— ბედნიერო ხემწიფე, ეგ არის დანიშნული, მაგან იმრაინი გოგო აიყვანა, რომა იცინოდეს — ია-ვარდი სცვივა პირიდანაო, იტიროს — თვალ-მარგალიტი სცვივა თვალიდანაო.

— შვილო, მოვიყვანოთ (ექვსი თვე გავიდა უქე), დრო და ჟამი გათავდაო! — ეს ბიჭი ჩიხოტკიდანაც მორჩა, აღარც დოხტური მოუნდა, აღარ არაფერი და ამ სოფლელსა გამამცნობსა დიდი ფული ხაზინა აჩუქა. მორჩა ეს კაცი. გააგზავ-ნა მოსაყვანად ქალისა. გააყოლა, ვინც რო აძლევდა. იმ ქალს ერთი შავი გოგო ჰყავდა ჩემსიეფ. ერთ სუნდუკაშიგან ჩატვია ეს გოგო. ააწევინა და:

— ფაიტონში ჩატვიეთო! — კაცებს უთხრა.

ავლა-დიდებით წავიდნენ. მივიდნენ იქა. ამ უსჯულო ქალის გულში რა იყო, რა იცი? გულბრუდი! წამოიყვანეს გოგო. ამას ქონდა წამლები. აპა, ცხელა, თით-ბათვი დღეა, მზეს ძაგაძუგი გაუდის და წყალი მოსწყურდა გოგოს.

— დიდიჯან, ერთი წყალი მასვი! — ამოიღო და დაალევინა ერთი ბოთლი წყალი. უფრო მოაწყურა.

— დიდიჯან, წყალი მასვი, ვიწვი, ვიწვი! — უფრო საჯავრელი წამალი ასვა. ეს გოგო შებნდა, უთხრა, რო:

— აპა, გაიჩერეთ აქ ფაიტონი! ხო იცით, ქალსა ფისი უნდა, მისი უნდა? წა-ვიდეთ კიდოო! — გადაიყვანა ტყეშიგანა, მოაძრო კრიანოსელი, მოკვდა ეს ქა-ლი, ხენწიფის სარძლო. თავი გოგოს გადააცვა. ამოიყვანა იაშიკიდან შავი გოგო. დაადუნა მაშინვე გოზლაზე. წავიდა. მიიყვანეს ხენწიფესთან. არ იცის, ამან დიდი ქორწილი ქნა. ხენწიფის ქორწილია, წადი-მოდი! როიცა რო ღამე გახდა, ვარდახში გადასცეს. შეხედა, რო რას შეხედავს? შავი ეშმაკ ჰგამს, ეშმაკს. ეს კა-ცი არ წიეკარა ამას.

— ეს არ არის, არ არის! — იძახის. რა ქნას? ახლა რცხვინობს. როგორ შე-იძლება? მოხუცი ქალი ჩადის ხენწიფესთან.

— ბედნიერო ხენწიფევ! — როიცა ის შავი გაიცინამს, ია-ვარდი ხელში უჭირამს და გადმოაგდამს. — ეგ არისო! — მოხუცი ებნევა.

— ოქრო ხო არა, ამან გინდა ოქრო გადმოყაროს, არ მინდა! — ესენი ესე დარჩნენ. ერთი კაცი ვირით წავა ტყეშიგან (ერთი ფინა ჰყავს ამ გოგოს და ისიც იქ არი, კვდართანა!). გაუშვამს ვირსა და შეშას ამზადამს. ეს ვირი ადგება, ივ-ლის, ივლის და ამ კვდარის თავს არ დაადგება? ადგება, წამოა ვირის საძებელათ ეს კაცი, აღარ არი ეს ვირი. დადის დაფოციანებული ეს კაცი. მივა, რომ ეს ფინა ჰყეფს. ამ გოგოს რო უტირია, ერთი დიდი კლდე თვალ-მარგალიტი გაუყ-რია. ეს კაცი იტყვის:

— მოდი, ამ ყოფასა ამ ქალს გაუკეთამ კუბოს და ესაც ერთი მადლია! — გაუკეთა კუბო და ერთი კატრი ძირზე მიტვია. ეს თვალ-მარგალიტი ჩაყარა ჯვლიებში, აჰკიდა ვირზე და წამოვიდა სახშიგან. გავიდა, ეს თვალ-მარგალიტი, დიდი ქონების პატრონი გახდა. ეს ხენწიფეს შვილმა თქვა:

— მე ამასთან არც დავწვებიო! — ადგა და კიდო საავჯოთ წამოვიდა ტყე-ში. ამ ხენწიფემ რო გავიდა ტყეშიგან, რაღაც ძაღლი ყეფა არის და გასწია

იქითკენ. მივა, მივა, რას ნახამს? რომა ფინა კუბოზეგან არის და ყეფს და ყეფს. რაც ხემწიფის შვილი დაინახა ამ ფინამა, ხმაურობა შეწყვიტა. მოვიდა, დაჰკვირდა კუბოს, ახადა კუბოს თავი, ნახა, რო კვდარია და ბოვში ძუძუსა სწოვს. დაბადებულა ბავშვი. ამან თქვა, რო:

— ეს რა საქმე უნდა იყოს, რომა ეს კვდარია და ბოვში ძუძუსა სწოვს. ძალიან მშვენიერი ბოვშიც არი. ასწია და წამოიყვანა ბოვში ამ ხემწიფის შვილმა. მოიყვანა სახში, ჩააბარა ქალს. უთხრა:

— ამ ბოვშს ყური უნა უგდო, ზალიან ასვა-აჭამო, თვარემ მოგკლამ.

— კარქი! — გახდა ორი წლისა ბოვში. ტირის, ტირის ბოვში, რომ მეტი არ შეიძლებოდეს. კაცი ებნევა:

— კაცო, რათ ატირამ ბოვშ, რა მოგვივიდა? აქნობამდი არ ტიროდა და ახლა ტირის! ნუ ატირამ, თორე დავახვრეტინებ შენ თავსაო! — კიდო არ ჩუმდება ეს ბოვში და კრიანოსელზე აფრინდება. გლიჯამს კრიანოსელს, უთხრა:

— გადმოიძერ ეგ კრიანოსელი და მიეც!

— რო გადმოვიძრო თავიდანაო, მოვკვდებიო.

— მოკვდებიო და ადგილი დიდიაო, დაგფლამთ, წადიო!

— კარგი! — გადაიძრო. დაიჭირა ხემწიფემ ბოვში და ეს ბოვში უშვებს ხელს და მიჰყამს. გაჩერდება — ტირის, მიჰყამს. თითი გაშვერილი აქს.

— ერთი ამ ბოვშის იმაზე წავიდე! რაშია საქმე? — კიდო უშვერს თითს და მივიდა იქნობამდი, მივიდა დედამისთანა, ჩამოაჯდუნა, დაჩუმდა. ხემწიფე ამბობს, რო:

— რა უნდა ქნას, რო ასეთი საქმეაო?

მიდის და კუბოს თავს ხდის ეს ბოვში მითომ. ამ ცდაშიგან ხემწიფე მივიდა, წეეშველა. ახლა ამ კრიანოსანს უნდა გადააცვას დედამის. გადააძრო და გადააცვა დედამის კისერზეგან. ეს ქალი წამოხტა ფეხზე. ამ ხემწიფემ შეხედა, რო:

— ჩემი ქალია! — მაგრამ რო ბრმა არის? (თვალები ამოუღო იმ ქალმა!).

— ქალო, რაშია საქმე, რო აგრე გამხდარხარ, ვინ გიყოო? — იმანაც ყველაფერი უამბო.

— შენ წამოხვალ და იტყვი, ვისა აქ თვლიები, მარგალიტს ვაჩუქებო, ადამიანის თვალზე გაჰყიდეო! — იძახის, ვისა აქ თვალი ადამიანისა, რომ მივსცე! — ეს ქალი გამოვიდა.

— მე მაქო; მე მოგყიდიო!

— რა მოგცე?

— ამდენი მამეცი! — ოცი კილო მისცა თითქმის. ჩაუჯდუნა. მარჯვენა იყო და მარცხენაში ჩაუჯდუნა. ახლა მეორე თვალზე უთხრა კაცმა. წავიდა, მეორე თვალიც იყიდა. ჩაუქდენ თვლიები. ნახა, პირველი ქალია. ამას ძალიან გიეხარდა. დაუდნენ ესენი და სწყვიტობენ სასჯელსა, ალაპარაკებენ ამ ქალსა. მოჰყვა

— იესე იყო, იესე, კრიანოსელი მამხსნა, აგერ ბოვში მეყოლა...

— აპა რა ეკუთვნის მაგას? შვიდი წლის დასვენილი ჯორი. იმის ძუაზე უნა მოაბათ და აჩლიჩინოთ, დედამისი და გოგოც! — დააჩლეჩინეს და ამან გამართა ქორწილობა და გადასცეს კიდო გარდახში. ციდან სამი ვაშლი ჩამოვარდა. ერთი მე, ერთი ოსიკოს, ერთი ჰექიათის მთქმელს.

19. სამი ძმა

აილართალი, ჩაილართალი,
ლეკებს მოუვათ ცივი ზამთარი,
ჩიტი გაფრინდა ცხრაფრთიანი,
ყველა ტყული და ღმერთი მართალი.

იყო და არა იყო რა, ყინულის კაბა შეეკერე თავზე გადასაცმელად. იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხემწიფე. ამ ხემწიფეს ხყავდა სამი შვილი. ეს სამი შვილი ამ ხემწიფემ, ერთი რომელიც რომ დიდი შვილი იყო, ის დააყენა სპეკულანტობაზე, — აჰმადა ერქვა, მეორეს — ალიაჲ, მესამეს უსენაჲ. როცა გახდა პატარა ოცი წლისა, დიდი — ოცდახუთი წლისა, მესამე — ოცდაათი წლისა, მამამისმა უთხრა, ხემწიფემა:

— შვილო, ქვეთენ დასახლება გინდათო! — დიდმა უთხრა, რომ:

— ჩვენაო ოთახები არ გვაქსო და სად გავიდეთ ცალკეო?

— გავაშენოთო და მოვიყვანოთ და მოვიყვანოთ ცოლები და გავცალკევდეთო! — ამის დროებაში წილი ჰყარეს, რომ რომელს უნდა შეხვედროდა, რომ იმდაგვარი ოთახები გეეკეთებია. ფიშაკი დიდ ძმას შეხვდა. ათიც მუშა დაუჭირეს. წავიდა და დაიწყო გათხრა ადგილისა, ათი ოსტატი ამუშავა და შავი მუშა დაბოლოვებამდე. ეს ოთახი სულ გააშენა, მთლიანად. რომ გარეკარიც ჩამოაფარა და ამ დროს ვინცხა გაჩნდა უჩინოთ და უთხრა: — სუ კარქია, მაგრამ ერთი რამე აკლიაო! — მიიხედ-მოიხედა, ვერ მოჰკიდა თვალი, არავინა შჩანს. მერე დაიღო კარები და ოთახს თვალიერება დაუწყო, რომ რა აკლია ოთახს, და ვერაფერი ვერ იპოვა ნაკლებობა. ჰკრა და დაანგრია სახლი. წამოვიდა, მამამის უთხრა: ესე იყოო! ადგნენ და გააგზანეს შუათანა ძმა, რომელიც იყო აჰმადა. ამას მისცეს თუთხმეტი მუშა. წავიდა ხერმოლ. გააშენა ორმოცდაათი ფროცენტი ზედმეტი. რომ გააშენა, კარებ რომ ჩამოაბა, კიდო იმან გამოჲარა უჩინოთ.

— ადამიანის შვილო, კარგია, მარე ერთი რამე აკლია შენს სახლსაო. —იმანაც ისრეთ ათვალიერა, ვერაფერი ვერ ჰპოვა ნაკრებულობა. იმანაც მიანგრია მთლიანად, წამოვიდა მერე, პატარა ძმის ოჩერედი იყო, იმან დაიჭირა ოცი კაცი. — ფიცხა არისო, აბა, იმან მითხრას ნაკრებულობა და დედას ვუტირამო. თუკი მებნება, სწორათ მითხრასო! — რომ მორჩა და კარებს კეტემდა, გამოიარა უჩინმა და: — კარგია, მაგრამ ერთი რამე აკლიაო. — მობრუნდა და დაიჭირა ეს, — რა კაცი ხარ, შენ? — ამან არ უთხრა სახელი.

— შენ გაკლია ერთი ბულბული ჩიტი, რომ იგალობს, ამ ოთახსაო. დააჟდუნე ამ ეზოში და იგალობებს ლამაზათაო. სხვა არაფერი გაკლიაო.

ადგა, გაუშვა, წავიდა. ეს კაცი და მივიდა შინ მამასთან. — გააშენე, შვილო, ოთახები?

— დიახ, მამაჩემო, გავაშენე.

— გაჩთა იგი, თუ ჩემ შვილებმა ტყვილი მითხრეს?

— კიო. — რა აქვს ნაკრებულობაო.

— ბულბული ჩიტი ყოფილა ჩვენი სახლის ნაკრებულობა და რომ დაჟდეს და იგალობოს ლამაზათაო.

— გასწავლა იმ ბულბული ჩიტი ალაგიო?

— დიახ, მასწავლა, უნდა წახვიდე ჩრდილოეთისაკენ, ბულბულის ალაგიქ არისო.

ეს ძალიან უყვარდა მამამის.

— შვილო, თუკი შენ არ მეყოლები და მარტოკა ბულბული რათ მინდაო!

— მამაჩემო, წავიდე, მოვიყვანო, ორი შვილი კიდევ გყავსო.

— არა, შვილო, მარტო შენ თუ არ მეყოლები, ის ორი შვილი ჩემთვის საჭირო არ არისო, რომ ჩემი საუკეთესო შვილი შენ ხარო. — ადგა და ჩაალაგა, რაც საჭირო იყო — პური, ფული. სამჯამო დღისა ხურჯინში ჩაალაგა და წავიდა, გაუდგა გზას. რომ გასცილდა ხუთმეტი ვერსი, ერთი სასადილო დაუხვდა, წინ წამოედა, სვა, ჭამა, ცხენიც გააძღო და გაუდგა გზას. რომ გაიარა ოცი ვერსი, ერთი ოთახი დაინახა. — ეს რა ოთახია, ამნაირ ალაგას თა-ბარში. მახინჯი კი არისო, საცდურიო. — მე რომ მოვსულვარ, ან უნდა ვიპოვნო, ან უნდა მოვკვდეო! — მივიდა ოთახში, შეაღო, ცხენი გარეთ დააბა და კარები გააღო და ხაფიდან ხმალიც ამოიღო. დაინახა ერთი ლამაზი ზეთუნახავი, ხუთმეტი წლისა. უთხრა ზეთუნახავმა:

— საიდან გაჩნი ადამიანის შვილი, უნდა შეიჭამო თავიო. აქ დევი არის შვიდთავიანი და შვიდი წელიწადი სძინავს და უსრულდება შვიდი წელიწადიო, ბრალი ხარ მაგნაირი ვაჟკაციო!

— მასწავლე, რომელ ოთახში წევს, მძინარე წავჭრა კისერი, არ მეშინია დევისაგან.

— თუ რომ ყოჩაღი ხარ, აჰა და სძინამსო.

შეიხედა ხუსეინამ და გამოშვანტულა დევი და რო სუნთქავს, კარებს აღებს, იმნაირი მძრავლია.

— ეს უნდა მოვკლაო. ღმერთო, ერთი შენ სახელზეო! — და როგორც დასცხო თუ არა, შვიდი თავი ერთბაშად გააგდებინა. წამოდგა მძინარე დევმა.

— ადამიანის შვილო, მე რომ მკვდარი ვარ, ჩემი ერთი ჯაჯვი სისხლი შენზე ჰალალი მიქნია შენთუს და ერთი კიდე დამცხეო!

— არა, დევო, მე დედაჩემისაგან ვარ ერთხელ დაბადებული, განა ორჯელაო! — და მეორეთ რომ დასცხო, დევი გაცოცხლდება და შესჭამს. მოვიდა მზეთუნახავი და:

— აჰა ოქროს ბეჭედი და შენ ჩემი ცოლი ხარ დღეიდანა.

— რადგან შენ გადამარჩინე მე, შენი ვარო და შენ ჩემი ხარო! — დაუტვია ერთი ოქროს ბეჭედი და უთხრა, რომ:

— მე მივალ ბულბულის ჩიტზე მოსაყვანათ.

— ვაიმენ და ვაიმენო. შენ რომ გასცილდები ჩემს ოთახს, მეტი დევები არიანო! ჩემი დიდი და არისო, ოცდახუთმეტი ვერსით, მიხვალ და ის დევი ფეხზე იქნება და შეგჭამსო!

— თუგინდ შემჭამოს, მენ უნდა მოვიყვანოო!

გემეეშვიდობა და გაუდგა და წავიდა. ამ ზეთუნახავს ერთი პატარა ფინაც ხყავდა. იარა თუ ცოტა იარა, მივიდა დიდი დის ოთახთან. საჩქაროდ ცხენის დაბმა ვერ მოასწრო, ამოიღო ხმალი და შევარდა ოთახში. შეაღო, დევი ინძრევა, რო ადგეს. იმოდენი ყოჩაღობა იხმარა, რო ის იყო თექვსმეტი თავიანი დევი და წაუჭრა ყველა თავი. დევმაც ისევ უთხრა:

— ერთიც კიდეც დამცხეო!

— ქვეყანაზე მე ერთჯერ დავბადებულვარ, განა ორჯერაო! — ქალს ეუნება:

— შენ ხარ ჩემი შუათანა ძმის ცოლი! — დაუტოვა ბეჭედი ოქროს.

— იქნება ჩემი დიდი ძმითუნ ვიშოვნოო. მე მივდივარ და გამოვიელი და წაგიყვანო!

— სად მიხვალ, მიამბეო შენი ამბავებიო.

უთხრა:

— ბულბული მინდაო.

— მოდი, თურ შენ თავზე სიცოცხლე გინდა, ნუ წახვალო. ჩემი დიდი უმფროსი და ოცდაათი ვერსით დაშორებული არი და დევი ორმოცთავიანი გაგაფუჭებსო; ბრალი ხარ მაგოდენი ვაქკაცი!

— აწ აღარ იქნებაო! გამეემშვიდობა და წავიდა.

თუ უნდა მისულიყო ოცდაათი ვერსი სამ წუთზე, ერთნახევარზე მივიდა, ისე ჩქარა გაუძახა ცხენი. რომ მივიდა, ამოიღო ხმალი, შევარდა შიგა. ამდგარა დევი ფეხზე. თვალებს ისრისამს.

— ეი, შენ, ადამიანის შვილო, შვიდ წელიწადს მძინამს, ლუკმა ხორცი არ შემიჭამამს, შენ ფეხით მოხველი ჩემთანაო! — როგორ დაასუნთქვა უსეინას, უკან რო დიეკახა ზარფით, კარები გამოამტვრია. უსეინა ნაცადი იყო და ხმალი ხელიდან არ გაუშვა. დაიწყეს ომი ა ოთახში. ძალიან დიდი ომი რომ გააკეთეს, დევი დაიღალა, რადგან მშიერი და მძინარე იყო. იმოდენი ეცადა, რო წასჭრა კისერი ამასაც. მერე მესამე ზეთუნახავმა უთხრა:

— ვინ ხარ, თა-ბარში დიეხეტებიო?!

— მე ვარ წამოველ ბულბული ჩიტისთუნ, ქვთენისთანა ხალხი ვეძებ, რო მე უნდა მასწავლონ იმისი გზა-კვალი, სად არიო.

— მე არ ვიცი და ნუ წახვალ, დაბრუნდი უკან, ბრალი ხარ მაგნაირი ვაჟკაციო.

— არა, ჩემო დაო, არ შემიძლია, სანამ ცოცხალი ვარო.

— აპა, შენ ოქროს ბეკედი, ჩემი დიდი ძმისთუნ ხარო, ქვთენ მოისვენეთ ამ ოთახში და მე გამოუვლელს არ ვიზამ და წაგიყვან ქთენ.

— გაივლი ამ ჩემ ოთახიდან ოც ვერსს და ორი გზა იქნება: ერთი დასავლეთზე მიდის, მეორე სამხრეთზე. ამ გზიებს შუა არის ერთი დიდი ბაღი. იმ ბაღში ცხოვრობს ერთი ბებერი ქალი. ი ქალიც ბაღის შუაზე ძის. მიხვალ იმასან და გადახვალ და იმანაც იცის ყველაფერი და გასწავლისო.

ადგა, გემეემშვიდობა და წამოვიდა. ბევრი იარა, ცოტა იარა და შეხვდა — ორი გზა მოდის, გაიხედა ბახჩაში, შევიდა. დეეტარება ბაღში და ქვაზე ძის ბებერი ქალი.

— მოდი ჩემთან შენაო!

— ვერ მოვალ, შვილო, არ შემიძლია. ვინცაღა ხარ, შენ მოდი ჩემთანაო! ადგა და მივიდა ბიჭი თვითონ.

— ჩამოდი ძირს, გიამბო ჩემი დარდები.

— ვერ ჩამოვალ, შვილო, არ შემიძლია.

ამოიღო და ერთი ჭაკვი ოქრო ქვას გარშემო მიუყარა. ჩამოხტა ბებერი და კრეფა დაუწყო. რომ აკრეფა, უთხრა:

— რა გნებავსო.

— დიდია, მეამბე შენი დარდებიო.

— მე წამოსული ვარ ბულბული ჩიტისთუნ, გთხოვ მასწავლო იმის ალაგი, სად არი, სად არა!

— გასწავლოო. ამ ჩრდილოეთ-დასავლეთ გზას დაადგებიო სწორე. ამ გზა-

ზე იარე, არსად არ გადუხვიო, სამი თვის სავალი გზა არიო და მიხვალ, იმის ქოყანაზე ოთახი არ არისო. არის გარეშემო შემორტყმული გალავანი. გალავანს ორი კარი ჩამობმული აქვს. როგორც იმ კარს გააღამ, ზღუბლ რო შენი ცხენი წინა ფეხს გადადგამსო, იმან და იმან მაღლა არ აიხედო, თვარემ მაღლა ატაკაში ძის ერთი ქალი, ძალიან ლამაზიო. შეხედამ თვარეო, შენ უქე გაქვავდებიო, მატყლსაც ართვამსო. გაუვლი და მარცხნი სანთიდან წადიო. ყუბაში ზის ბულბულის ჩიტი იმ რკინაზე და გალობს ლამაზათაო. შენ გაივლი და არ აიხედო მაღლა. იმას რომ გასცილდები, საჩქაროდ გამოაბრუნე ცხენიო. უკან რო გამოაბრუნამო, მაშინ ჩამოვა ბულბულის ჩიტი და მხარზე დაჯდებაო. სხვა არც დეელაპარაკო, ვიდრემდის გალავან-ზღუბლ არ გადმოსცილდებიო. როცა გადმოსცილდები, მაშინ სირი აღარ აქ იმ ქალსაო. — დეემშვიდობა, კიდო მისცა ფული, იარა და, ენით მალე ვიტყვით, სამი თვის სავალი გზა გაივლო. მივიდა, შეხედა, მართლაც დიდი მშვენიერი ოთახი, გარეშემო გალავნით, როგორც ასწავლა, ისე ადგა, გააღო კარები, როგორც ცხენმა გადაადგა ზღურბლზე ფეხები თავი დაჰკიდა, მაღლა, აღარ შეიცქირა. მოუარა მარცხნისანამთინ და მიადგა კედელს და რო გამობრუნდა, კიდო მაღლა არ იხედებს. დაადა მხარზე ბულბული ჩიტი, იპოვნა. გამოიარა და რომ გადმოსცილდა და კარები მიიხურა, ქალმა შეხედა, რო არ იქნა საქმე.

— ადამიანის შვილო, შემოიხედე მაღლაო! — არ იხედება.

— ვაი შენ მსწავლებელსაო, წავიდეს და საიქაო აღარ ჰქონდესო! — ადგა ამ ბიჭმა, ეწია გული ნებას, წამოვიდა სიხარულით: ბულბული ჩიტი გალობით მოდის. ბევრი იარა და მოვიდა ძმის ცოლთან. დარჩა ერთი ოცდაათი დღე იქ. სვამდენ, სჭამდნენ ქეიფით.

— ადე, ჩემო რძალო, წავიდეთო! — ადგნენ და რაც იყო ოქრო-ვერცხლი, ხელსატაცი რაც იყო, წამოიღო.

შეაყდუნა რძალი და წამოვიდნენ. ბევრი იარეს, ცოტა იარეს, მოვიდნენ შუათანა ძმის ცოლთან, ძალიან გეეხარდა ქალს — მომივიდა მაზლიო, — დაჯდნენ და ოცდაათი დღე, მეტიც იქეიფეს, გახდნენ სამი სული.

— აქიდან წავიდეთ ახლა, დროით მივიდეთ მამაჩემის ოთახში. — ადგნენ და წამოვიდნენ. რაც იყო ხელსატაცი შეძენილი დევისაგან, წამოიღეს. ეს ორი ქალიც შეაყდუნა და წამოვიდნენ. მოვიდნენ თავის სადანიშნულოსთან. შენ თქვი — ერთი წელიწადი დარჩა ქეიფში. რომ შეასრულეს წელიწადი და:

— წავიდეთ ჩვენ ქვეყანაში, რომ დავგვიანდითო.

წამოუდგნენ გზას ხემწიფესთან და წამოვიდნენ.

ხემწიფე ამბობს:

— შვილო, რომელიც კარგი შვილი მყავდა, დავკარგე. ქვთენ მინდებხართ, თუ ის ჩემი ყოჩაღი შვილი არ მეყოლებაო. წახვიდეთ უნდა მიპოვოთ, შვილი უნდა მომიყვანოთ!

ადგნენ და წამოვიდნენ ორი ძმანი ამის საძებნელად.

ბევრი იარეს, მოვიდნენ იმ სასადილოში. დავტიოთ ეს ორი ძმა. ისადილონ. მივიდეთ უსეინასთან. ეს მოდის ორს შეაყდუნამს რძლებს. ცოლი ფეხმძიმეთ დარჩა, თავის ცოლს ფეხით ვერ უვლია. ცოლს შეაყდუნამს და:

— ჩემ ძმიებს ამბავს მიუტანებენ და ხათრი დარჩებათო! — ხან ცქვიტა, ხან ნელა, იმ ღამესაც ის მოვიდა სასადილოში, სადაც ძმიები არიან. სუფთა წელიწადი და ორი თვე გავიდა ამის წასვლიდან სახლიდან.

— მე ამ სასადილოში შევიყვანო, არ გამოდგება!

თვითონ შემოვიდა სასადილოში, იყიდა თაკა, პური, ცეცხლი, გასწია და გადმოვიდა ქალებთან, ტყეში დაუნთო ცეცხლი. ამ ძმიებმა დაინახეს.

— ეს ჩვენი ძმა არისო.

გადმოვიდნენ, ნახეს დაღალული კაცი უსეინაი უძინო. დატვია მუხლზე თავი და დაიძინა.

— მე სანამ დავიძინო, ქთენ წადით, ააცვით და შესწვით და ჭამეთ. მერე მე გამოვიღვიძამო.

— ძალიან უკეთესიო. — ამან რომ დაიძინა, ძმიებმა გადმოიხედეს გვერდიდან. შეხედა სამი ქალი, ბულბული, ერთი ფინა მიხყავს მოდის.

— ეს რა ყოფილა!

და შეშურდათ ძალიან. ამათ ერთმანეთი დიეკითხენ:

— ჩვენ, ამან რო ეს ქალები და მიიყვანოს, ჩვენ სახლში არ შეგვიშვამს, თან კარგი ქალი თითონ დაუქერია და ჩვენთუს გლახები დაუტოვია. რა ვქნათ ჩვენ? — შუათანამ უთხრა:

— ჩვენ ეს უნდა მოვკლათ, ძმა, ან სხვა საშვალობა მოვნახოთო.

— ეს ბულბული, ქალები წავიყვანოთ და ყოჩაღი ჩვენ გამოვიდეთო. აი, ბულბული ჩვენ ვიპოვეთ და ქალებიც მოვიყვანეთ. — გაიტარეს ამათ ფიქრში და უნდა აასრულონ. ამ უსეინას ცოლს ეს ესმის.

— ადე, უსეინ, შენი ძმიები ამას აპირებენო.

— როგორ, ქალო, რას ამბობ, ჩემი ღვიძლი ძმიები, შეუძლებელიაო...

— კარქი, მე შენ გითხარი და შენ ისეც კედარი ხარ. — წავიდნენ ამ ძმიებმა სასადილოში. ერთი ციკანი იყიდეს, დაჭკლეს, სისხლი დაიჭირეს ვედრაში, მოვიდნენ უსეინასთან, ეს ძმა დაიჭირეს და თვალები ამოაცალეს. გახადეს პერანგი, მიხიეს-მოხიეს და ამ სისხლში ამოალბეს. წაიღეს და მარცხენა თვალი მარჯვენა ჯიბეში ჩაუტიეს შეშლით, მარჯვენა — მარცხენაში. ერთი კარქი პალტოც ეცვა უსეინას, წაიღეს და გაიტანეს სასადილოში და ერთი მუა იყო ამოშენებული ქვითკირით და იმაში ჩააგდეს.

— აქ ჩავაგდოთ, ტყეში ნადირი წაიღამსო.

— აქ დალპებაო.

შეედა თავი დიდი ძმა ცხენზე და გამოიშურნენ. ბულბული ძმა დაიჟდუნა, ჩაკმინდა ხმა ბულბულმა, ეწყინა. ბულბული თან ტირის, მივიდნენ მამამისთან.

— ა, მამაჩემო, მოველით.

— ჰანი ჩემი შვილიო?

— ტყეში ნადირ შეეჭამათ ის და სისხლიანი პერანგიო! — ბულბული სტირის და სტირის. ე რძალიც სტირის. არ ებნევა ე რძალი. ამ უსეინასთან თავის ცოლის ფინია დადგა, არ წამოხყვა ამათ.

— შვილო, არ დემენახოთ თვალით, ეს ბულბული რომ მოიყვანეთ, დასვით ახალ ოთახში!

ჩაიყვანეს, დასვეს, მორთეს, გალობის მაგივრათ ტირის, განა გალობს.

— შვილო, რათ არ გალობს ეს ბულბული.

— რა ვიცი, მამაჩემო!

— მე ერთი დალალი უნდა დავაძახო.

დააძახა დალალი, დაანგვრია სახელმწიფოში ხალხი:

— ეს ჩემი შვილი, ვინ იცის, სადაა ან ჩალბადარი, იქნება ამ ქვეყანაშიც

მოვიდაო. უნდა გავაძვრინოთ ბულბულის ქვემოთ თელი ხალხი და ხალღი გაივლის, ის ჩიტი იმ კაცზეგან დაჟდება, რომელიც იპოვის უსეინას.

რომ დაანგვრია ხალღი, ყველა იმ ხიდქვეშ გააძვრინა, არავითარი ხმა არ ამოიღო ბულბულმა.

— შვილი ჩემი არ მოკვდებოდა, ეს ბულბული, ეს სამი ქალი იმის მოყვანილია!

გავიდა ერთი კვირა, კიდო დალალი დააძახა.

დაანგვრია, გააძვრინა კიდო ხალღი, კიდო ხმას არ იღებს ბულბული. კიდო ტირის.

— ჩემი შვილები, ქთენ წადით და მიპოვნეთო. ჩემ მემრე ხელმწიფეთ ი ერთი შვილი იყო.

კიდო მესამეთ დააძახა დალალი.

გადავიდეთ ახლა უსეინასთან. ეს ფინა არ არის და წყარო გამოდის, ყველა ჩალბადარმა იქ უნდა დალიოს. ერთი ჩალბადარი მოვიდა. დიდი ჭვირთები მოაქვან.

— ესაო. რა კარქი ფინია არის, წავიყვანოთ!

ასწიეს და ერთი დილიში გადაუგდეს ამ ფინიას. წამოიტანა ამ ფინიამ და ჭაში გაარბენია. ესენიც გამოუდგნენ, ჩააგდო ჭაში. უსეინამაც იცის, თვალები არა აქვს, ჭამს, ეს ფინია არჩენს ამას, ემსახურება.

— ჩვენ დიდი სომინი გადაუგდით, დააგვიანამ შეუჭმას ფინია და დავიჭერთო.

ასწიეს, გადაუგდეს. წამოიტანა ეს სომინი და მჭაში ჩააგდო.

— ვინ არი მჭაში? — ჩაიძახეს.

— ჰიმსნის შვილი ხარ, თუ პირუტყვი ხარ?

— მე ვარ ჰიმსნის შვილი.

— რა გინდა მანდა?

— ვარ ამ უბედურ დღეში ჩავარდნილი!

მივიდნენ, ჭურთები შესხნეს, თოკი ჩაჭიდეს, არ ჩასწვდა, გადააბეს თოკი და ჩაჭიდეს, — მხრიებში მოიბიო, რო ამოგწიო, რომ ხერმული არ ჩავარდე უკანვეო!

მოიბა მხრიებში, ვერ გამოიყვანეს. დაუძახეს მესამე ამხანაკიც. ამოიყვანეს, როგორც იყო, უამბო ყველაფერი დარდები. ყველა ჰექიათი.

— ნუ გეშინია, გასაღდები მაინცაო!

ერთი სომინი და ორი ნაჭერი ყველი დაუტიეს.

— აქ იყავ და გამვლელ-გამოვლელი გაჭმევს პურსაო.

ერთი ხე დგას. ხის ძირზე ქოლგაში არის უსეინი. ორი ფერიყზი გამოვიდნენ და დაჟდენ ხეზე. ფერიყზი ებნევა:

— ამან რო ჩემი ენა იცოდეს, თვლიები ჯიფეში უდევსო, ამოიღამს და ჩაისვასო. წყალი რო არ არისო, დააფურთხამს თვალებზე და ისეო.

უსეინასაც საცაღა ესწავლა, იცოდა იმათი ენა.

— ჩვენც ორ ფრთას გამოვიძრამთ, ჩავაგდებთ, დაინახამს, გაისვას თვალებზე და გასაღდება, საფასაღი გახდება.

ჩაიდო, თვალები ამოიღო, დააფურთხა, ჩაისვა. პატარაოდენი დაინახა. ხელი მოუსვა, ფრთა წეხვდა.

— იქნება ეს წამალი იყოსო!

წაისვა თვალებზე ფრთიები, გასაღდა კაცი. ადგა ფეხზე, წავიდა.

ქალაქი გარეთ ერთი სოფელი იყო. ერთი გლეხი დაინახა მოხუცი, სამოცი-სამოცდაათი წლისა. უბეა და ყანას ხნამს, ხარი უბია.

— პაპაშა, მოხუცი კაცო, რა დროს შენი მუშაობა არისო?!

— რა ვქნა, უშვილო ვარო, ცოლი მოხუცი კიდეო.

— შენ დაისვენე, მე ვხნაო, — გამოართო არნა.

— შენ სახლში წადი, მე საღამომდე ვხნამ, წამოვალ მერეო. — სამოცი კოდის ყანა იყო და გაათავა. წეევლო ხელი მანჯვას არნაზე და ისიც მიაწვებოდა, უშველებოდა ხარებს, გაართვა, წამოვიდა.

— გავათავე ყანაო.

— რას ამბობო? მოდი, ქალო, ეს ჩვენ ვიშვილოთო! — ახორმაში შეეიდა და უთხრა ბიჭსა:

— მოდი, დამიდგები მოჯამაგირედ.

— კიო.

— რამდენი წლითაო.

— ორი თვითაო.

— შვილო, წლით გამირიგდიო. მეშვილებიო?

— აი, საქმეს შეეხედო და ორი კვირის შემდეგ გეტყვიო!

ეს აქ დარჩეს და გადვიდეთ მამამისთან.

მესამედ დაძახული აქ დალალი. მოაყარა სახლი. კიდო უნდა გააძვრინოს, ბულბულს ქვეშ... მაინც ხმა არ ამოიღო. ეს ბებრებიც ორივე წამოვიდნენ. ხემწიფემ თქვა:

— კიდე ვისმე სახლში ვინმე არიო?

— აღარავინო.

ერთმა კაცთაგანმა უთხრა:

— ბებერს ყავს მოჯამაგირე, ის არ მოსულაო.

— წადი, ის მოიყვანეო!

მოიყვანეს, გააძვრინეს და ხელმწიფემ შეხედა — თავი შვილი ემსგავსა.

მაგრამ ჩასმის დროს თვალები ელამი დარჩა. გაძვრა და ბულბულმა დაიწყო გალობა. დაკრეს ხალხმა ტაპი, გეეხარდათ, გაუკვირდათ ხალხსა, წაიყვანა მამამისმა სახლში.

— ვინ ხარო?

— მე ვარ უსეინა. შენ გამჩენი ხარო.

— აბა, შვილო. იმ დიდ ძმიებს შეეგზნათ — ჩვენ წაველით ხელიდან, როგორ მოგვიხდა საქმეო!

უამბა ყველაფერი. წავიდა დააძახინა შვილები, მოორები.

— რათ ქენით ეს საქმე?

წავიდა ხემწიფე, თავის ლალაია დაუძახა.

— ლალა, წადი, ჩვენი მოსამსახურები ნახე, ჩავიდნენ ბოსელში, თაელახანაში, რომელიც კარგი ჯორები — ანგლიელებ რო ყავანო, რომელი კარგი ფხიკიარი, დაუყარეთ ქერი. დაუყარეს ჯორს, გამოიყვანეს თავის სამშრით. ამ ჯორთითო-თითოდ მოაბეს ცოლები და ძმიები კუდძეგან და დაფრიწეს. ვაჟიშვილისა ერთმა ჯორმა ყური მოუტანა ნიშნად, მეტი ვერაფერი. დადგა ეს ხემწიფე მაშინ და ორმოცი დღე და ორმოცი ღამე ქორწილი ქნა უსეინაზე.

— შვილო, ჩემს მემრე ტახტი შენია და იოლათ წაიყვანე ხალხი.
ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.
ციდან სამი ვაშლი ჩამოვარდა, თითო-თითოდ დაგეირიგა.

20. ძღნაბი

ერთი ფუხარა ცოლ-ქმარი ყოფილა. სამოცი წლისა ყოფილა. იმას შვილი არა ჰყოლია სამოც წლამდი, მერე შესძენიან, სამოცდაერთ წელში. ამათ შესძენიან ძღნაბი. ეს ძღნაბი გამხდარა თორმეტის წლისა. წლიანობა წასვლია წინა. უთხრობი ძღნაბსა: — ტყეში უნდა წავიდეო საგულაოთა. — ეს ტყეში წასულა საგულაოთ. იქ ერთ ხელმწიფე იმ შხირ ტყეში ჩავარდნილა და ხელმწიფე იძახის:

— ვინმე იქნებაო, ტყეში გამიყვანოსო და გადამარჩინოს ამ ტანჯვასაო. იქ სწორედ ძალიან გამოჩენია ეს ძღნაბი. უთხრობია:

— მე შენ გამოგიყვან, მაგრამ შენი ქალიშვილი მომეცი მეო!

გაუყვანია განა ტყისპირებს. იქ ერთი მებატე ყოფილა, ბატებს აძოვდა. ხელმწიფეს ამ ძღნაბმა უთხრა:

— შენ რომ პირობა მომეცი, რით დავიჯეროო! — იმან უთხრა:

— სიტყვით დაიჯერეო! ქახალდი არა მაქო. — ძღნაბმა უთხრა:

— მუხის ფოთელი აგეო, ბატს გამოაძარი ფთაო და ნეკის თითი გაიჭარო და იმითი დამიწერეო, რო ეს ქალიშვილი მივეცი ძღნაბსაო.

— თუ არ მომცემ, ძალიანაც არ მედარდებაო. — ადგა იქიდან და დედამისი მიგზანა მოციქულათ. — ხელმწიფემ ქალი მომცა და აიყვანეო! მივიდა და გაარეზილეს:

— ქალს რასთვის მოგცემ ძღნაბისთვის.

— არ გითხარი, შენ ძღნაბი ხარ და ქალიშვილს არ მოგცემს? — ადგა ეს ძღნაბი, წავიდა. თავისი დაწერილი ნეკის სისხლით ქახალდი მისცა: — ამ პირობაზე ხარ, თუ არაო?

— მე გაძლევ მაგრა შვილები არ მოგდევანო!

სათითაოდ მომითვალე, რომელ ქალს მაძლევო: დიდს, შუათანას, თუ პატარასაო?

ხელმწიფემ უთხრა თავის შვილებ:

— შვილებო, ამ ძღნაბმა გადამარჩინა და მოდი, ერთითანა მიჰყევითო. — პირველ უთხრა:

— არ მივყვებიო. — მეორემაც: გინდაც რომ გაცვეთილიყავი, არ მივყვებიო (ძალიან გლახა ენით უთხრა); პატარას უთხრა:

— ბოლო შენა ხარ და შენც უნდა გამარეზილოო?

— მამაჩემო, შენ სიკვდილის გულისთვის თავი გადავდო და მივყვე ძღნაბსაო.

ადგნენ და იქორწილეს და პირველი ქალიშვილები გენერლებ მისცა. ეგ მესამე კი ძღნაბ მისცა. ქორწილს შვებიან და ამ ძღნაბ რომ დაინახებენ, ქირდად გდებულობენ. ეს ცოტა—ხანი რო გავიდა, დევმა შემოუთვალა: — ამომავალ ხელმწიფის ქალიშვილი უნდა შევჭამო. ხელმწიფემ გამართა დიდი ყრილობა, როგორც ომის ყაიდაზე, შეჰყარა. იმისი გენერლები წინ გაუძღოლა, რო თავი და-

ასხნევინოს. რო გავიდნენ იმაზე, გოგო უკან დააყენეს ჩხუბი რომ დაუწყეს, გოგო წინ წაუყენეს, რო შეჭამონ და გადარჩნენ ის ჯარი. ამ დროს რაშზე შეჯდა, შეიყარა იარაღი, თავისი სახმარი იარაღი და რო დაანლოვდა, მივიდა, გოგოს კალთაში ჩაიძინა. შეხედა, რო წამოვიდა დევი, გოგომ. გოგომ უთხრა:

— მოდი, შენ წადი და მე შევეწირებიო! შენ რას მპატრონობ, ჩემმა დედ-მამამ ვერ მიპატრონაო; შინ წადი შენაო! — ადგა ბიჭი, მოვიდა დევი, დაიწყეს ჩხუბი და კი აჯობა ბიჭმა, დაჩეხა. ეს რო დაბრუნდა უკან, გოგო ებნება:

— ნეტარელი იმ ქალსაო, რო შენ იმისი ქმარი ხარო. — ის კი არ იცის, რომ მისი ბალდუზია. ბიჭს ებნევა:

— შენ გადმარჩინე და რით გაგიცნოო?

გადმოიღო და ოქროს ბეჭედი მისცა ბიჭმა: — ჩემ სახსოვრად გქონდესო! ახლა დაბრუნდნენ, დიდი ქორწილი ქნეს, რომ ცოცხალი გადარჩა შვილი. მიიყვანეს და გენარლები სუფრის თავში დაჯდენ, თითქოს მათ გაიმარჯვეს. დაუძახეს ძღნაბი და პატარა გოგო. კარებში მიადგნენ. არ ეცნაურება, რომ მან გადაარჩინა. ახლა მეორე დევი წამოვიდა, მეორე ადის შესაჭმელად. ესენიც იმ იარაღით წავიდნენ, ჯარჯარბხანით წავიდნენ. ეს გოგო კიდო-პატარა ბალდუზიტირილი დაიწყო:

— ჩემი და დევმა უნდა შეჭამოს. ძღნაბმა უთხრა:

— ერთი კარი გამიღე და ზღუბლებში ამიყვანე და მერე ვიცი (იმას არ ებნევა, რომ მიდის ომში). — რო დაუწყეს, კიდე ისე ქნეს. მოვიდა ამ ბიჭმა, ჩაიძინა კალთაში გოგოსი და მერე უთხრა:

— დევი თუ წამოვიდა, გამაგებინეო! — მერე როიცა იმან წამოვიდა, გააგებინა, გააღვიძა.

— ადე, რომ მე შემჭამოს...

— რატო უნდა შეგჭამოს შენ? — ადგნენ და მივიდა დევი და დაუწყო ჩხუბი. დევსა აჯობა. ახლა დაბრუნდნენ საქორწილოთ. ბიჭმა ნიშანი წაართვა, როგორც რომ პირველად, რომ გამართლდეს. მივიდნენ, კაი ქორწილია და ამათ მასხრად აიგდეს სუფრაზე.

ჩვენმა ძღნაბმა ბალდუზები გადაარჩინა მითომაო, ეს გენარლები გადაარჩინესო.

მესამე და უნდა წაიყვანოს დევმა, ძღნაბის ცოლი. ადგა იქი და შემოვიდა ტირილით. ებნევა:

— შენ რა გატირანს, ქალო?

— როგორ რა მატირანს, დევმა უნდა შემჭამოსო.

— მე თუ ვარ, შენ დევი ვერ შეგჭამსო.

— შენ ძღნაბი ხარ და შენ რას გადამარჩენო? — მემრე წაიყვანეს გენარლებმა რო ჩააბარონ და ძღნაბიც მოიშორონ. მაგრამ რო მოიყვანეს შესაჭმელად, ეს უკე მიეწყო და კალთაში ჩაუდვა. ამ გოგომ თქვა:

— ამნაირი ქმარი აჯაბ შემხვდესო? — ადგნენ და ჩხუბი რო დაუწყეს, მარჯვენა კლავში დაიჭრა ბიჭი, დევი მოკლა; მარჯვენა კლავი გაიჭრა. ეს ასწია გოგომ და თავის აბრეშუმი ხელმანდილით შეუხვია ამ ვაჟას. ადგნენ და სახლში მოიყვანეს ნახევარ გულით.

— რატო არ შევაჭმეთო, რომ ჩვენ ორი ბაჯანაღები ხელს გვიშლისო. — რო მოვიდნენ სახლში. დრო შეუთავდა ბიჭსა ძღნაბობისა. ადგა და დიეძინა ბიჭ და

ტანი გადეეძრო, ძღნაბის ტანი და იმნაირი ვაშკაცი გამოვიდა. ქალმა მამამისი გაახარა:

— ეს ჩემი ქმარი ვაშკაცი და არა ძღნაბია! — მამამისი ჩავიდა.

— ენახო, მართალია, თუ ტყვილია? — ნახეს. კიდო ძღნაბია.

— შვილო, რატომ დამატყვილიე მეო? — ორჯერ კიდო ეგრე ქნა. ხოლოთ ტყავს მალე იცვამს. მესამეთ რო ნახა და გადააძრო ბიჭიდან ძღნაბის ტანი, მოჭყვლიპა გოგომ და ფეჩში შეაგდო. ახლა რო დაუძახა თავის სამშობლოს.

— მოდით და ნახეთ თქვენი ვაშკაციო.

— ჩვენაო ამან გადაგვარჩინა დევიდანაო. — მამამისი ებნევა:

— ნიშანი რა აქ, რო გადაგარჩინა ჩხუბიდანაო.

— ჩემი ნიშანი ის არის, რო აბრეშუმი ხემანდილითა მარჯვენა კლავში და— იკრა და შევუხვიევიო! — ახლა დიდი ქორწილი დაიწყო ხემწიფემ, რომ ასეთი ბიჭი ყოფილა და მე არ ვიციო. ამათ ტრაბახი დაიწყეს, გენარლები, — ჩვენ სამი დანი გადავარჩინეთ.

— ახლა მეო, — ეს ებნევა: — თქვენ ჩხუბშიგან ვინ იყო გადამრჩენი თქვენიო?

— ჩვენ ჩხუბშიო ვინც რომ გადგარჩინათ, ნიშანი მიეცი რამეო? — გოგუ- ებ ეუბნება ბიჭი.

— ჩვენაო კიო, მივეცით ოქროს ბეჭდებიო.

— მაშ ეს ოქრო ბეჭდები ვისიაო?

— ეს ბეჭდები ჩვენიაო.

— მაშ თქვენი ქმრიები რას ტრაბახობენ, რომ ჩვენ გადვარჩინეთ ჩვენი- ცოლი და ბალდუზიო? — ახლა ამათ რო დაუმტკიცა, ისენი ადგნენ სუფრიდან და წავიდნენ იმ სახელმწიფოდან და ის სახელმწიფო ჩააბარეს ძღნაბსა და ის- ფუხარა დედ-მამა აცხოვრეს იქა.

21. კოლას ამბავი

იყო და არა იყო რა. ერთი ხემწიფე იყო. ამ ხემწიფეს სამი შვილი ჰყავდა.. მამამისი რო მოხუცდა, უთხრა:

— აი, შვილო, იემ ხეს უყურამთ? ჩემ ვაჟიკაცობის დროს ტერი ვერაფერს მიშვრებოდა და როიცა რო დავბერდი, აღარ მიჭამია აქედან ვაშლიო. რომელი- იქნებით კაი შვილი, რომა დაბეგჩოთ? — დიდმა უთხრა:

— რას ამბობ, მტერი რას მიზამსო! — ავიდა, დაბეგჩა. ერთი ჟანგიანი თო- ფი ჩამოიკიდა. ნახოთ, რო მიდის დევი. პირიდან ცეცხლი გაჰქრის. ერთი ვაშ- ლი ჩამოაგდებინა და წავიდა. ბიჭი დაიმალა სახლში.

— შვილო, რა ამბავია? — არაეინაც მოსულა, შიშით ვინ მოვა? შიშით ქო- ნები ცვივა სუ. მეორე ღამეს მეორემ უთხრა:

— აპა, ჩემი სირა არი ამაღამ! — ერთი თოფი გადაიგდო, ერთი ჟანგიანი- ხმალი. გავიდა თუ არა, გახდა მამლიყივილობა. დაინახა, რო:

— დედაჯან, ეს რა მოდისო! — და შიშით გაიქცა, ისაც დაიმალა. გათენდა. - უთხრა:

— შვილო, რა ქენი შენ საქმე?

— არავინაც მოსულაო! — იმანაც დაუმალა. მივიდა მესამე სირაზე. გავიდა ეს ბიჭი. მამამის ქონდა ერთი ახორი. დიდი ამოჭრილი იყო, ფიქალი ეხურა. ამ ბიჭმა მოვიდა, ააყენა. ჩავიდა ამ ახორშიგან, ვინც რო უვლის ცხენებსა, მოჯამაგირეა, უთხრა:

— მალე ცხენი მომგვარე!

— შენ ვინ ხარ? მამაშენის მეტი ვერავის მივცემ ცხენს!

— მალე მომეცი, თორემ მამას და მუმას გასწავლი შენა! — არ მისცეს. ამათ დიდი ჩხუბი მოუვიდნენ. ეს კაცი ძალიან ღონიერი იყო, რომელიც მოჯამაგირე იყო. მაგრამ ხემწიფის შვილი უფრო ღონიერი იყო. წააქცია ეს კაცი და სუ ჭიაზე ცემა.

— ცხენი, შენი ცხენიო! ლამაზათ შეკაზმე, მოუპირე ყულანი! მალე ხმალი მამიტა, ამას რაც გამართულობა აქ! — მოუტანა ხმალი, მარა ორმოცდაათფუთიანია. ამ ბიჭმა აათამაშა ეს ხმალი. ძალიან გაუკვირდა მოჯამაგირესა, რო მამამისზე მეტიაო! დაიწყო ამ ცხენის თამაში, ახორშივე. იმოტოლი აათამაშა, რო მაღლა ამოფრინდა. ამოფრინდა და გავიდა. გამოვიდა და ასწავლის ამას უფრო უმეტესად თამაშსა. როგორს მივიდა ხი ძირსა, დაჯდა. ეს დევი მოდის, რო ცეცხლი გამოსდის პირიდან. რო სტკლეცა ამადანი ეს კმალი, ამ დევს ჭლიკი წაპერა.

— ვინცალა იყო, რა ღონიერი კაცი იყოო! — გაიქცა, წავიდა. შეჯდა ეს ბიჭი ცხენზეგან და გემეეკიდა. გემეეკიდა ამ სახლის ნაღვარზეგან მისდევს. ამან მოვიდა, რო ერთ ერმოს პირზე ჩამშვრალა შიგ. ადგა, ჩავიდა, რას ნახამს, რომა სამი დვინია გვეზალი ძის, ყაჯ და აბრეშუმს ართვებენ.

— ჰიმსნის შვილო, საიდგან მოხველი, აქედგან რაგორც მოხველი, ისე წადი! — ჩვენ ჩავცვივდით ამ უბედურობაში, ჰიმსნის შვილები. — შენ წადი, თვარე მოკლებენ! — უთხრა, რო:

— დედასა უტირამ, ვის მიყურამ მეო? — ჰალლა! — უთხრა რო:

— სად არიან?

—აქ შეხვალ და აქ არიან, ცხრა თავა დევნი არიან!—შევიდა თუ არა ამ დეევებშიგანა, ულეტა დაუწყო და რომელიც რო ჭლიკი წააპერა, იმან თქვა:

— ეგ არ დამანახოთო! — სუნთელ დაპერა კისრები. ამაშიგან დაიღალა ძალიან ბიჭი. გამოვიდა ამ გოგიებთან, დაჯდა უთხრა, რო:

— დავხოცე, სუნთელ ბოლო მოუღე! — გოგიები ებნებიან:

— ცხრათავიანს ვერაფერს უზამო!

— მოვისვენოო! — პური ჭამეს ამათა. ამ ურჯულო დევსა რო სძინამს, რო სტვენს, კარებს რახარუხი გააქ. გოგიები ეხვეწებიან:

— შედი და ძინარეზე მოკალი, თვარემ გაგაფუჭამს!

— მე ხო ქალი არა ვარ, რო შემეშინდესო? — ადგა და შევიდა. მოსცხო წიხლი ამ დევს.

— ადექი, შე ყრალო, წაპილწულო ქვეყანაზეო! რა გძინამს? — წამოხტა საცქვიტოთ ეს დევი.

— ჰუი, რა მშვენიერი ლუკმა მოხველო? აგჩეხამ-დაგჩეხამო!

— მე ვინ გონივარ, ამჩეხამ-დამჩეხამო? — და ამ ბიჭმა ისროლა ხმალი და დაიტაკნეს ესინი. ამათი ჭიდაობა კაცის თვალმა არ დაინახოს: ერთმანეთს როს შემოსცხებენ, კედლები სუ ინგრევიან. მუხლითავამდი იფლობიან, ამრაინ ჭიდა-

ობენ. ისე გახადეს სახლი, ასი ულელა კამეჩი ვერ მოხნავდაო! ძალიან ბიჭი იყო! ამოიდვა ქვეშ დევი და მოსჭრა კისერი. შევიდა კიდო გოგიებთან.

— რა ქენი, მორჩი?

— მოვრჩი! — დაიწყეს ლეში ყრა, სამა გოგომ, ერთი თითონ. სამი დღე ძლივ გაყარეს ლეში.

— აპა, ახლა თქვენ უნა მითხრათ, თქვენ ვინა ხართ?

— ჩვენა ვართ ხემწიფის შვილები. სამივე დიები ვართო ჩვენაო.

— კარქი, ჩვენც სამნი ძმანი ვართო ჩვენსაო! ცოლათ აგიყვანთ თქვენ! — მისცეს ბეჭდები. ადგა და მოვიდა სახში. ჩასწია თავლახანაში ცხენი, მოჯამაგირეს უთხრა, რო:

— დააბი! — ადგა, შევიდა, დაწვა და დაიძინა. ხემწიფემ გამოვიდა, ნახა, რო ვაშლი გადურჩენია.

— ყოჩაღ, შვილო! — ძალიან გაეხარა, — რო ეს კი გამევიდა ჩემრაინი! — რო ძინავს, ველარ აღვიძამს. ადგა, გამოიღვიძა ამ ბიჭმა. ელაპარაკა, რო:

— რაში იყო, შვილო, საქმე, გამაგებინე!

— ეი, ბაბა, რო გენახა ჩემი საქმე, გაგიკვირდებოდა. სუ მოვსპევი მტრიები ამომავალ ადგილას და სუ დავხოცევი. — შვილებს უთხრა, რო:

— მალადეცი გამოვიდა პატარაო, გულიანიო! — ამანაც ბეჭდები მოუტანა. მოიყვანეს ეს ბიჭი, ჩაჰკიდეს ბიჭი თოკით, უთხრა, რო:

— აპა, მე მოქცემთ იქიდან ქალებს და ასწით! — ამ ქალმა უთხრა:

— იცოდე, შენ გიღალატებენ შენი ძმიები. ჯერ შენ ადი და მერე მე.

— ძმა როგორ მიღალატებსო? — არ დაუჯერა. ასწიეს თუ არა, გასჭრეს და ისთოვ ჩავარდა ეგ ბიჭი ქვეშ. ქალმა უთხრა, რო:

— ორი ვერძი მოვა, ერთი თეთრი და ერთი შავი. ეცადეო, თუ თეთრზე შეჯექი, ზეით ამოგიტანს და, თუ შავზე, ქვეშკნელს წაგიღამსო! — ვნახოთ, რომ მოვიდა ვერძები.

მივა და თეთრზე უნდა შეეჯდეს და შავი ქვეშ უჯდება, გააგდამს თეთრ ვერძსა. არა იქნა, თავს ვერ მოუვიდა. ახსენა ღმერთი ამ ბიჭმა. შეეჯდა შავ ვერძზე. ადგა და წამოვიდა ქვედა ქვეყნებში. ჩამოვიდა და მივიდა ერთ ქვრივ დედაკაცთან. უთხრა, რო:

— დიდიჯან ხო სტუმრათ შემინახამ?

— რატო არა, შვილო? — გაჩერდენ ერცაღე, სიდაურობა იკითხა.

— ასეა ჩემი საქმე, დიდიჯან!

— აპა ერთი სმა წყალი მასვიო! — რა ქნას ამ ქალმა, წყალი არ აქვანან. სიდან მოუტანოს? გაარბევინა თასი, მოშარდა შიგა, მიუტანა და დალია, თან თბილი, თან ტუტე.

— ეს რა არი?

— აქ წყალი არა გვაქ, გვიკეტებენ, ვეშაპია!

— ერთი ვერ მაჩვენამთ?

— ჰეე, შენისთანა ბევრი მოუკლიაო! ხვალაო ხენწიფის შვილზეა მისული დროვო, რო თითო სმა წყალს თუ მოქვცემსო.

— ერთი შემატყობინე მეო, დედას უტირამო! — ეს ხემწიფის შვილი ოცი მიჰყავან ტირილით. აპა, ცოდო არ არი? ეს ბიჭიც მისდევს. წამოისხა ქურქი. მივიდა. მიიყვანეს გოგო. გამოვიდა თუ არა, ეს ქურქი ესროლა ამ ვეშაპს. ამო-

იღო ხმალი და სულ დაადილიმა ეს ვეშაპი ამ ბიჭმა. წყალი წამოვიდ,ა სისხლიანი.

— გაჩერდით, თქვე ოხრებო, დაწყდებაო! — ამ ქალმა ჩაყო ხელი ოძდახუთი ბეჭედი ბეჭზე დაასვა.

— ემას უნდა მივყვეო! — რო დაწნდა წყალი, გამოვიდა. დახედეს ამ ლეშსა, რომ აწონეს, ექვსი ათასი ფუთი გამოვიდა (რამოტოლა ყოფილა ეს ურჯულო?!). ადგა და წამოვიდა. გასცა ბრძანება ხემწიფემ, რომა:

— ჩემ სახემწიფოშიგან ვინც რო ხალხია, ყველა მოვიდნენ! — რო ეს გოგო უნდა მისცენ ბიჭსა. ეს გოგო უყურამს, აღარ არი ბიჭი, უთხრეს:

— ერთ ბებერ ქალთან არი!

— ერთი ბიჭი დაუძახეთო! — მოუყვანეს.

— ეგ არისო!

— ტყვილია, ეგ არ იქნებაო!

მაშინ გამოჩნდენ ზოგ-ზოგი ბიჭები.

— არა, ტანი ახადეთო! — და სისხლიანი ხელები ზურგზე ხუთივე ზედ არტყია.

— მოდი, შვილო, ითთხუე, საცხოვრებელი შენი იყოსო, ხენწიფეთ იყავი!

— არაფერი მინდა, ბედნიერო ხემწიფე, მე თვითონ ხემწიფე ვარ და ხემწიფობა რათ მინდა?

— აპა, რა გინდა, შვილო?

— მე ცოლიც მყავსო და თუ შეგიძლია, ზედა ქვეყანაში ამიყვანეო! ამას მოგთხოვ, სხვა არაფერსაო!

— ჰო, შვილო! — ჰაირაპლანი არ ქონდენ მაშინ და: — ვერ აგიყვანო, შვილო!

— ეგ არი ჩემი სათხოვარიო! — ადგა, წავიდა გაჯავრიანებული ეს ბიჭი. ერთ ალვი ხეზე სიშორით მივიდა და დაწვა. ერთიც ვნახოთ, ამ ხიდან რაღაც წრიპინი შემეესმა. გაიხედა, რო ამ ხეზეგან ეხოვა კიდო ათი ვეშაპი და ავიდეს და შვილები კიდო შეჭამოს. ამ ბიჭს მოუვიდა ჯავრი.

— ეს პილწი ქვეყანა ყოფილაო, ვეშაპებით სამსე ყოფილაო! — წამოხტა, გაბრაზებული, და დაუწყო ამას ჩეხა. დაჩეხა ერთიანად და დაანგრივა იქა.

— თქვენისთანები შემიჭამია და თქვენც აქ იყავითო! — ეს რო უთხრა, მოიღალა ძიელა ბიჭი და იმანაც იმ ძირზე დაიძინა. ვნახოთ, რომ საათის თორმეტი იყო, მოვიდა დედა. იმოტოლი ხანია და:

— ჩემ ხიძირზე ტერიაო!. — წამოვიდა და გიექანოს და შეჭამოს კაცი! ამ შვილებმა შეიხვეწნენო:

— რას შვები, დედა? მაგან გადაგვარჩინაო!

— აპა, კარქი, შვილებო! — და მივიდა იმათ, საჩქაროთ მოუტანა; ჩამოვიდა, გაშალა ფთა და დააქოლგავა ეს კაცი, რო ლამაზათ დაიძინოსო. რო დაიძინა კარქა ამანა, გამეეღვიძა. შეხედა და ვიღაც დადგომია თავსა.

— ეჰა, აპა, შვილო, ითხვეე! — ბიჭმა იქ ერთი სიმღერა უთხრა იმ არწივსა.

აშიყ დერ აჩტიოდუმ,
თოზ დუმან ბასტი ოლუმ,
ეველ შიშანი ქგან,
აზრაილ ქესტიოლუმ.

უთხრა, რო:

— ნუ გეშინია, რა გაგჭირვებია, რა გატირამს, ჩემო შვილოო?

— მიშველე რამე, შეგიძლია, ზედა ქვეყანაში ამიყვანო?

— ეგ რა ძნელი რამე მითხარი, მაგრამ იმედია, აგიყვანოო! ორმოცდაათი წელიწადია შვილი ვერ გავზარდეო და როცა რო გადმირჩინეო, ამ სიბერი დროსაო უნდა აგიყვანო შენაო! როგორც მე მიმწიე მურაზსაო და ისეც შენ მიგწევ მურაზსაო! თუ შეიძლებ ჩემ გაძღომასაო? მამიტან საუმელს იმოტოლსაო?

— მოგიტანო!

— მომიტანე ორასი ფუთი ღვინოო, ორასი ფუთი ხორციო, რვაასი ფუთი წყალიო! შეგიძლია, მოიტანამ? არ გეგონოს, წყალი უფრო ძვირია ჩვენშიო!

— ჰა�ი, წყალი ნუ გეშინია, ეხლა ჯეფობა არისო! — ბიჭმა უთხრა. წავიდა ხემწიფესთან ბიჭი, ჩვენი გმირი, თხოვა ხემწიფეს ეგენები, რაც დაბარა.

— ეგენი უნა მამიტანო!

— ამ საათში, შვილო! — გასცა ბძანება, რომ შეიკრიფოს ხორცი კვამლზე ორმოცდახუთი კილო. წავიდენ ეს ხალხი, ჩააბარეს. მოუტანეს, ჩააბარა ამ ბიჭსა. გაშალა ფრთიები ამ არწივმა, დააწყო, რაც იყო.

— „ღის“ ვიტყვი — ღვინო, „ხოს“ ვიტყვი—ხორცი; „წოს“ ვიტყვი — წყალი. როიცა რო დავიყვირამო, იყოს გაჩენილიო. ხო გებნეევიო: თითო ჯერზე თითო ფუთი უნდა მომცეო! ამ იმაშიგანა აიბზრიალა, როგორც აეროპლანები. აიყვანა თავშიგანა. დაიძახა „ხო“, ხორცი დიელია. ამოიღო ხმალი, მენჯიდან გამოიძრო ხორცი და მისცა.

— ეს ჰიმსნის შვილის ხორციაა! — ენა ქვეშ შეინახა. ამოიყვანა ზედა ქვეყანაში. — აჰა, ჩამოდი, ჩემო მეგობარო, ამხანაკო, გაჯარეო! — რო გაჯარა, აკოჭლდა.

— რათ კოჭლანხარო?

— არაფერიო.

— მოდი, მოდი აქაო! — გამააგდო ხორცი, მიაკრა ბაყვზე და ხელი გაჰკრა, წადიო, ადგა, მივიდა სახლისკენ. ეს მამამისი ებნება:

— ჩვენი შვილი რა უყავით, რომ წაიყვანეთ?

— ჩაველით და დევებმა შეეჯამესო! — ამ ქალზე თვალი უჭირავან, მარა ეს ქალი კვდება და არ ეშვება, კიდო ელის, რო ბიჭი მუა. მივიდა ბიჭი. აჩუქეს დიდი სამახარობლო, რო:

— შენი ვაჟიშვილი მოვიდა! — დიდი ქორწილი უყო ამ ბიჭსა და უთხრა:

— თქვენ იქნებით ამისი მოსამსახურე და ამაზე გადმიცია ფაშობაო! — მოვიდა ერთი კუდიანი ბებერი ხემწიფესთან.

— თუ გმირი არ იქნა, არ ეკუთვნის ხემწიფობა. დევებს ფიჩვი აქვანან და იმას თუ მოიტანს, ხენწიფობა კარქი იქნებაო! — ეს ბიჭი კიდო დადის, რა ქნას, ადგა და წავიდა კიდომ. ერთი ფიჩვი აქვანან. ე ფიჩვი მოჰპარა ამათა, წამოიღო. დევებმა გამიეკიდნენ, მარა ვეღარ დაიჭირეს. მეორეთ მოვიდა. კიდო უთხრა ამ დედაბერმა:

— იმას ერთი ქვაბი აქვანან, რაც რო შედგა თავი თავათაო, ბრინჯი ფლავი კეთდებაო!

— მაგრამ როგორ უნდა მოიტანოს?

როიცა რო ცხენზე ძის, ცხენმა ენა ამოიდგა.

— კაცო, შენ რო მიდიხარ იქა, ქვაბი აქვანან სახში, როგორ უნდ მოიქცეო, რო ი ქვაბი გამოიტანოო? აქედან უნდა დაკრიფო სამი-ოთხი ფუთი კენჭი. იმათ

შენ უნდა დაგიჭირონ და წყალი დუღსო და შენ უნა მოგხარშონო, შენაო ერდოდან მიხვალ და სუ ყრიო კენჭებს ოჯახიდანაო, ქვაბშიო. მაშინ ისინი იტყვიან, რო ძალიან შეგვაწუხაო ამაღამ რწყილებმაო და ამ ქვაბს გამოიტანებენ და გადმოიცხროლონ კარშიგანო და მაშინ უნდა წამოიღოო და ეცადოო! — ამან მივიდა, მართლაც აგრე მოიქცა. ტყეშიგან დაბა ცხენი. ავიდა ოჯახიდან და დაუწყო ყრა კენჭებისა. ებნევა, რო:

— ქალო, ამაღამ რა იყო, რწყილებმა არ მომასვენესო? ასწიეთ და გაიტანეთ ეგ ქვაბი, გადააგდეთ კარზეო, რო მე მამასვენოსო! — რაგორც გადმოსროლეს ქვაბი თუ არა, და ამ ბიჭმა წამოიტაცა, ჰაიდაბალა! წამოვიდა, ცხენზეგან შეჯდა და გამოსწია. ესაც მოიტანა, ან ხენწიფეს ძალიან გეეხარდა.

— ბედნიერო ბენწიფე, ხო უყურამ, რომელი დევიც არი, ეგ ბიჭი მოიყვანს, ის კაციც რო მოიყვანოსო! — კუდიანი ეუბნება. — გმირი თუ არ არისო, არ ეკუთვნისო, ის დევიც მოაყვავინეო! — ადგა, უთხრა ამ ბიჭსა:

— ისიც უნდა მოიყვანო, შვილო! — ე ბიჭი ჭკვიანი იყო. ჩაიცვა ქართული ტანი, სხვა ქისპატში შეევიდა. წავიდა ტეეშიგან და რახარუხ უყენამს, სუ ცხვირამს შეშებსა. ამ დევებმა გაიგეს. მივიდნენ:

— ვინა ხარ, აქ მოსულხარ?

— ამომავალ ხემწიფის შვილმა, რომელსაც ერქვა კოლაო, იმან დამანეელაო! — ეხლა ამ ხეს გავაკეთამ კუბოო; გავაკეთამ და ამაში ჩავტოვო და ასე უნა მივიყვანოო ხემწიფესთანაო!

— კაცო, მე იმას დავდევო და მოდი, მოგეხმარებიო

— კარქეო! — გააკეთეს კუბო, რამე და ამან უთხრა:

— ჩემო მეგობარო დევო, ის ძალიან ღონიერი კაცია და გეგექცევაო. ერთი ბეო ჩავედები შიგაო და ვნახო, როგორ იქნებაო, რო არ გასწიოსო!

— მე უფრო ღონიერი ვარო და მე ჩავწვები შიგა და მივწევ-მოვწევ, დავპრობაო! — დევი ჩაწვინა კუბოში, მისწივ-მოსწია, სუ დაანგრივა.

— ამოდი, დევო, რიგიან გავაწყოთო, თორემ ის კაცი ძალიან ღონიერია და გეგვექცევაო! — რვაევრშოკიანი ლურსმანები იყო. ახლა თუთხმეტი ვერშოკიანი დაუტარა.

— მე უნდა ჩავწვეო! — და ჩაწვა ეს ბიჭი. ვერაფერი ისა ქნა. ახლა დევი ჩაწვა. ვერაფერი ქნა.

— ვნახოთ, ახლა თავიც დავახუროო! — ჩაუდა თუ არა დევმა, დაჭედა ზეიდან.

— მისცხე, მისცხეო, მაგარიაო!

— შენი დედა ვატირეო, სწორედ მე ვარო კოლაო, მე ვარ ქვაბის წამღებიო! —ადგა და მოუტანა ხემწიფესა. ნახა, მართლაც დევი, იმრაინი დევი იყო, თელ ხახემწიფოებს ეშინოდენ. დაგმირდა ბიჭი, გახდა ხემწიფე და გამოუშვა ბძანება:

— ვინც ფუხარა კაცი ხართ, წაიღეთო! — კაი ადალათი ამუშავა.

22. ძველი ამბები

ძველათა, ნეფე ერეკლე დროს, ყოფილა ჟლეტა დიდი. ლეკთან ქონია ჩხუბი. მერე, როიცა რომ ნეფე ერეკლე მომკვდარა, შვილები უწყვეტია ლეკს. წამოსულა მერე საქართველოს შემტერება და აქნამდი მოსულა. ერთი მილიონი

დავრჩენილვართ. წინათ აჯარა ეცემოდა ქართველ სოფლებს და ანადგურემდა, იტაცებდა, სწვემდა. მემრე გადარჩა ცოტა ხნის შემდეგ, მერე ქართველი მოვიდა. კარს ახლა არ ვკეტამთ სოფელში, ხოლოდ წინათა ხალღი შეწუხებული იყო ჭირნახულით და ფართალითა. ჩვენ სოფელშიგანა ერთი ბრმა ქალი ყოფილა. — შვილი მყამდა და ორი რო წაიყვანეს, მერე დავრბამდიო...

გენერალი ყოფილა და იმ გენერალმა უთხრა ხალხსაო:

— ჩქარა მოშორდით აქედანაო: თუ მოვიდა ჯარი უკნიდანაო, კაი დღე თქვენ დაგადგებათო. ერთს არ გაგიშვანს ცოცხალსაო! — ისნებმა რო ე შიში გაიგნეს, გაცვინდეს ორმოებში და მაღაროებში. დაიმალესო, რო გაიგნეს, გამოიარა ჯარმა. ვიდრე ისნები გაიგენენ ი ჯარის ამბავს, ვიდრე ი გენერალმა სომხები გადმორეკა აზრუმიდანაო. აქაურ სომხებს აზრუმის წესწყობილება აქ. ნამდვილია ეს. სუ აზრუმიდან არიან გადმოსული. ჩვენ რო გამოველითო ტყიებიდანო, სომხებს დაკავებული ქონდათ მამულები და შევჩით ამ გლახა მიწა-წყალსო.

ხორწილი იყო საინტერესო ერთ სოფელში. იქ რომ მოიყვანეს პატარძალი და გაშალეს სუფრა, მაშინ იქ მეპურღვინიები სულ იყვნენ მთვრალი. მოიწვიეს სუფრაზე თამადა. მოლამ უთხრა:

— სირცხვილია, გარეთ დადიხართ, მუშაონთ და ქეიფონთ, დროებას ატარანთო. კმარაო და აქ სოფელში ნულარ შვრებითო! — მეპურღვინემ უთხრა:

— შენ დაჯექი წყნარად და პური ჭამეო! მამა-პაპის წესსაო არ დავთმენ არასდროსაო. ჩემი პაპა ყოფილა ქართველი და მეც უნდა ვიყო ქართველი; იმათ ცოდნებიათ თამადა და მეც უნდა მყავდეს თამადაო.

იყო ერთი ღვდელი და ყავდა ცოლი. ღვდელი მსახურობდა სამ სოფელში, წირვას აყენებდა. შეხვდა გელი გზაში და გაკვია და ღვდელმა შეჩერდა. და:

— ქირდად ამიგდო თუ მასხარათაო?

შეხედა, ბებერი გელი არის, ისეთი დაბერებულა, რომა კვილი ვეღარ დაუჭირავს.

— არსადა თქვაო! — ადგა იმ წომს ღვდელი და:

— რა სიკეთეს გადაგიხდიო, — გელი ეუბნება.

— ყოველ შაფათობით თითო ბატკანს მოგიყვან, ოღონდ ნუ იტყვიო!....

მოვიდა თათარი, საქართველოს აჯამს ეტყოდნენ.

მაგან თამარს უთხრა — ცოლათ უნდა მომყვეო. ის ისო თვითონ აჯამი და თამარი ქართველი. ამან უარი სთქვა:

— როგორც ეს თა არ ადგება, მე არ მოგყვებიო!

თამარმა ადგა და ტყეშიგან თავი ჩამოიხრჩო. აჯამი მოდგა და მთელი საქართველო გააფუჭა. ახურემდა თასსა და ქართველს ებნებოდა:

— თუ დაბრუნდები რჯულიდან და გახდები თათარი, ალარაფერს არ გერჩითო! — ხალხს შიეშინდა და სულ დაბრუნდა ერთბაშად, გათათრდა. დღეს ამ მესხების გვარი ქართულია. აქაურობას სულ ეკლესიებია დაარსებული..

ჩვენ ვეტყვით უდის თას, ესე იგი აჲლებზე განა არ ვიყავი მწყემსადა. იქ არი ერთი ძველი განადგურებული ფეგები. ძველათ, თამარ დედოფლის დროს, ყოფილა გოროდი ის ადგილი. რომ გამოვჲარე, ერთი ბებერი ქალი გამოსულიყო და ზის და კრუხ-ჭუჭულს აძოვს. ეს ჭუჭულები ისეთი გამოდიან, რო სუ ოქროს წყალში დაფერილი. მიველი, ვიმეცადინე, დამეჭირა ერთი. უცფათ გაფრინდნენ, უჩინარი გახდნენ. ამ დროს გამიეგზანა ამ საქართველოდან თამარის დროს შენობა გაკეთებაში, დღესაცა. ერთი კაცი მოვიდა. ოხვანას ვეტყვით და სახელად ქვია კაცსა ყარაჲ. მოვიდა და ფეგებში ძებნა დაიწყო.

— აქა, ფეგებშიგანა, თამარ დედოფლის დროს დევნულობა რომ გამართულა, დაუტოვია! — მიველით და ამოიტანა კარტა და ამ კარტას დაჰკვირდა. ამოვთხარეთ და დიდი ქვა ამოვიდა, შავი ქვა, როგორც ტყვია, იმფერი.

— აქაო, იცი, რა მარიფათი არიო! ამას თამარის დროსა პატრონი ყოლიათ!—წაიღო, წავიდა. ცეცხლთან დადვა და ის კალა მოღღვა და გადიყარა ქვა შუაზე და ამოვიდა ოქრო, რომელიც იყო მოკრილი თამარ დედოფლისა!

წინათ სოფელი იყო მესხეთიდან შემდგარი. ქართველნი იმერიდან გადმოვიდა და მერე დადგა სოფელი. ეს სოფელი რო იმოძრავა, ორასი კომლი შევდექით, ორასი კომლი იმ დროს. ბეგობა იყო. დიდი სარჯელში იყო ფუხარა კაცი. ახლა მივიღეთ თავისუფლობა, მიწა-წყალი მივიღეთ. ბატონები ახლა არა გვყვანან. ახლა ჩვენ ვმუშაობთ კოლექტიაში. გაერთიანებულია ორმოცდარვა კვამლი. კოლექტივის წარმოება მიგვყავს წინ. ვთესანთ ხორბალ, კარტოფილ, სიმინდს. ბევრსა ვთესანთ. კოლექტიაში ვართ გაერთიანებული ოთხასი სული. ერთად იოლათ მივდივართ, ძმურათ მივდივართ, ბრიგადელი ვართ. ერთიერთმანეთს ჯიბრში ვუდგევართ. საქმე მიგვყავს წინ.

ბეგობის დროს იმისთანა იყო, რომა ძალიან გვაწუხებდნენ. რომ მოვსთიბემდით, კაცებსა ყანაშიგან დაგვაყენებდნენ — მანამ არ მოვალ, არ წაიღოთ! რომელიც კაი ზვინი იყო, იმას წაჲღებდნენ. რაც დარჩებოდა ზვინსა, იმას გამოსავალი არ ქონდა და რომელიც გამოსავალი იყო — თვითონ წაიღებდნენ და ჩვენ შევსწუწუნებდით: — ვმუშაონთ და თქვენ მიგაქვანან!?

— ეს არ ვიცი, მე წავიღამ ჩემსასო და თქვენ კი თავი გიტეხიანო!

ამ არეულობის დროს ჩვენი სოფელი ძლიერ დიეცა. ჩვენი სოფელი გაანადგურეს თათრებმა. მემრე კი ავაგეთ, მარა დატანჯვით ავაგეთ. ნამეტრად შევსწუხდით. მაგათ თავისი ბეგი ყავდათ და იზურგეს და მოუდგნენ ერთმანეთსა და საცა ოსმალები მიუდგნენ — გვატყავებდნენ. ოც სულამდე დაგვიხოცეს, სწვავდნენ. ოთხმოცი წლის ბებერი იყო და ათი წლის ბალღი ყავდა და ესროლეს და მოუკლეს. იცხოვრამდა კაცი ეგრე? ახალციხეში გავიქეცით, როცა დაგვიწვეს, და ამოველით და ავაგეთ. მთლიან არ აგვიგია ჯერა. ჩვენ სოფელშიგან მოძრაობს ამბარი. როგორც ჩვენს შიგან არის, ესრე თათრებში. მთაშიგან ვიცით წასვლა. დიეპატრონებოდა ამ მთასა ბეგი, ერბოს წაგვართმევდა და სხვასა.

28. ლექსები

დაეინახე, მამეწონა
თვალეუეუნ თეთრი ქალიო,
ხელსა შიქნევს: — აქ ამოდი,
შინ არ არ ჩემი ქმარიო.
ციხის სანგრევად წასულა,
თან დასცემია ქვანიო,
სამახარაბლო ვაჩუქე
ასოცი თავი ცხვარიო!

— ადე, გოგო, ხეზე ადი,
ჩამოკრიფე ბროწეული,
ჩამოდი და გვერე მამიჯექ,
ქამხაც მომეე მოწეული.
— არცა შენი ქამხა მინდა,
არცა შენი მოწეული,
ისეე ქმარი მირჩევნია,
გვირგვინ ქვეშათ დაწერილი.

წიგნი არ მიმიწერია
ჯერ ამის მეტად რძლისათვის,
მოკითხვა არ შემითვლია
გულითა მეგობრისათვის.
ნეტავი, რძალო, იმ დღესა,
ჩემს მაზლ მოხყავდე ცხენითა,
ამბავი შენი მეკითხოს,
გებრძანოს ტკბილი ენითა.
შენ რო წიგნი მოგეწერა,
გარეთ ვიჯექ ვარდის ჩრდილსა,
დაგეწერა ბროლის თითსა,
მარგალიტის ბაგე ტკბილსა,
წავიკითხამ და ვაკოცამ,
ვაკოცამ და მოგსპამ ჭირსა.

ჩემს ფანჯრის ზევით მერცხალი
ბუდეს უკეთავს შეილებსა,
ნისკარტით მოაქეს ბუმბული,
ფეხებით ზიდავს ჩალასა.
მზით ამოსვლამდი-ჩასვლამდი
შრომობს, ირჯება ერთგულად
და მხიარულად, უწყვეტლივ
ჭიკჭიკობს თავისებურად.
რიერაჟებს, ფრთებსა შემოკრავს
კვალად დაიწყავს ნავარდსა,
აღეიძამს შუშას ჭიკჭიკით,
უქარეებს ნაღველს და დარდსა.

გელმა სთქვა: მთაზედ მეცხვარეს
შემეშალა ცხვარიო,
ტიკანს რო პირი დაავლეს,

თხამ დაიძახა „ეაიო“.
იმ ჩამოსახჩობ მურიას
ჩემკენ ეპირა თვალიო.
გადმოეშვეელა მეცხვარე,
ეპირა შინდის კავიო.
მაცადე, შვილო, მეცხვარეე,
მოგსვლოდეს ტკბილი ძილიო,
შინ გაგპაროდენ ძაღლები,
ღია დამიხედეს კარიო.
შევსულიყავ შენს ფარეხში,
მეწყვიტოს თხა და ცხვარიო.
გამოსულიყავ დილაზე,
გეგლიჯოს თმა და წვერიო.
თავს დაგჩხაოდენ კაკკაკნი,
გედოს სიკვდილის ფერიო.

ხვადი მიდის, შეკრუტუნამს,
შე პატარა ცუცუნია,
ვისზედა ხარ გაკუტული,
და ან ვინ რა გიწყენია.
კოტეს თვეზი მოიპარა,
შეშინდა და გადაპფიცა,
ურცხოდ ღმერთი დაიფიცა.
ის ტყუანი, მე მართალი,
ის გადარჩა, მე გამცოცხეს,
ამისთანა სამართალსა
დაუდგება ორივ თვალი.

გაღმა ალბუზის მთაზედა
ჯელ მზე არ გამოსულიყო,
გავხედო ციხის ბედანსა,
დვინდა გვეზალი გამოსულიყო,
აადე, წამომყე შინაო,
ან მამე ჩემი დანაო.

ქვა ავწიე, არ წამყვაო,
გოგოე, შენი სიყვარული
საცა წავალ, თან წამყვაო.

თეთრო გოგო, ჩემო მკელელო,
ჩემო კარის მეზობელო,
შენ რო ცეცხლი მომიკიდე,
რა ექნა, როგორ მოვინელო.

ლამაზმა გოგომ დამწყეელა
ხელშეღებილმა ინითა,
მობრუნდა, ისევ დამლოცა
იმ ბედნიერი პირითა.

შენ, ბერო კაცო, რათ მამკალი,
ხმალი დამეც ვადამდი,

შენ მამაჩემს როსტომსა
სად ემალი, სადამდი!
ზღვაში შეხვალ, შემოგყვება,
ხმელეთ ვერსათ დიემალი,
აი, შე ყაკო, ყაკის შვილო,
ჰანი როსტომის ნიშანი.

ჩემო თათაოზ ნეფეო,
შენთუნ შეეები დევსაო,
წამალი გამამიგზავნე,
ზურაბ მერჯება ხელსაო.
წამალსა გამოუგზავნის
გიჟი დიაკვნის ხელსაო,
წამოსდო ფეხი, დაღვარა,
აიმსო მისი ცოდვითა.
როსტომ ზურაბი მოუკვდა,
ყავარჯენ დიებრჯგეინოსა.

რაჭული

A. მთარაჰული

I. გლოლური

1. ვაჟაჲ და ლეკვაები

იყვნეს ხუცესი და მისი ქალი და ჰყავდეს ცხრა შვილი — ოთხი ბოში და ზუთი ვაჟაჲ. ე ხუცესაჲ ვერ არჩენდა ცოლ-შვილსა. თვითო ბარგ შეშას წაიღებდა და გაჰყიდევდა და ის იყო. ე ხუცესა წავიდა შეშაზედა და ნახა მსხვილი ვაშლი. მობრუნდა შინა და უთხრა ცოლ-შვილსა. — წავიდეთ და იქ დავისახლნეთო... ჩავიდეს, ჩაესახლნეს, იცხოვრეს და ერთსა დილაზე ჩამოერია დევი და ყველანი დასჭამა და და-ძმათა გადაასწრეს ჯაროვში. ე დევი შეჩერებოდა ამათა, მარე, რომ გასრულიყონ ჯარონში, ჩეეფლობოდა და ვაჟაჲ მოჰკვლევდა. ე დაძმანი წავიდეს და დაიდგა ვაჟამა კაჲ სახლები. ეს ვაჟა ყოველ დილაზე წავიდოდა და ჩამოიყვანდა თვითო ტახტსა და იმითი ქვეშ ცხოვრობდეს. ერთ დილაზედ ჩამოიარა და ნახა, კაცს მიჰყავდეს ცხრანი ლეკვანი გადასაყრელადა.

— დაიცადე, ნუ გადაჰყრი, ორს ლეკვას ამოვირჩევო! — მიაძახა. ამოირჩივნა ორნი ლეკვანი და ტახის ხორცი ქვე წაიღო სამაგიეროთა. მოიყვანა ე ლეკვანი და სუყველანი დაზარდნა. აწ ეს სამნივ წავლენ და ჩამოიყვანებენ თვითო ტახტსა და ცხოვრობდეს კარქა. ესენი რომ იყვნეს წასული ტყეშიდა, ე, ვაჟაჲ და ე ლეკვაები, — ე ვაჟამ ერთსა სალდათი დაარქვა, მეორეს მურაჲ... შემოვიდა დევი და უთხრა ქალსა:

— შეგირთვი ცოლადა, ოღონდ დამახოციეო. მოიგონე ავათმყოფობა და გაგზავნენო ცხრა მთას იქითო და ი ვაჟაო ბოთლებს დაამსებს და გადმოვალ და გაჩითებაო კდეო.

მოვიდა ე ვაჟაჲ და გაგზავნა ცხრა მთას იქით. დალია წყარო და მოემატა ღონე.

— მოდი, მაგრამ დალიონო, — და დაალევინა და იმასაც მეემატა ღონე... გაამსო ბოთლები აწ იმ ვაჟმა და წამოვიდა. ვაჟა რო გადმოვიდა, გაჩთა კდე და ე ძაღლები დარჩეს კლდის იქითა. ტირის ვაჟაჲ და უძახის, მარე ვეღარსითა გადმოვიდეს. წამოვიდა ვაჟაჲ სახლშიდა და მივიდა თუ არა, გადმოვიდა დევი და — გაშიშვლდიო! — შეუძახა... დადგა ბოთლები და ტინტრაქდება. რომ უპირობს დევი ვაჟას ცემასა, გაუტკვერია კდე ამ ძაღლებს და ქვეც იცვნეს ვაჟაჲ და ე დევი... გადუქნია ვაჟასა თავი მურამ — მეეცალეო! მეეცალა, იცნეს ე ძაღლები და გახლიჩეს დევი. შეჭამეს ე დევი. მერე დაადგა ფეხი ფეხზედა ამ ვაჟამა, დასა, გახლიჩა და მისცა ძაღლებსა. ე ვაჟაჲ და ლეკვაები დადგეს და კარქა ცხოვრობდეს.

იყო ერთი ხემწიფე. ყავდა ერთი ქალი. წინქვეით ვერცხლი იყო და წინ-ზეით ოქრო. ამ ქალსა მამა გარეთ არ ახვედიებდა — არ მომტაცონ არავინაო. ბაღი აქ ამ ხემწიფეს და დია ასხია. ამ ქალსა სამი ბიჭი ჰყავს. ხემწიფემ უთხრა ქალსა:

— რავა ვერ უნდა განახვიო ბაღიო? — აწ ამ ხემწიფეს ჰყავს სამოცი ჯარი და შეკაზმა თავისი ჯარი და ე ქალი ჩაისვეს შვაშიდა და გურგლივ ჯარი შემო-ერტყეს. შვა გზაზედ რომ ჩავიდეს ე ქალი და მოსტაცა რამაღაც. ტირიან ძრიელ. სამთა ვაჟთა თქვეს:

— დედაჩვენი როგორ უნდა გაერთონო, რომ ვერა ვნახოთო? — ამ ვაჟებმა წაიღეს პური, იარეს, იარეს, იარეს და მივიდეს ერთ კდეზედა... კოშკია ზედ ამართული. რომ მივიდეს, უთხრეს უფროს ძმასა:

— მოაბიო ე ჯაჭვიო, ააგდეო კარებსაო და შევიდეთო! — ააგდო და ვერ აუწია შუამდინ, უთხრეს აწ საშუალოსა:

— შენ ააგდეო მარჯვედაო... — ამანაც და თავისთავს ვერ აიცილა. ამ უნცროსმა წამოიმკლავა და:

— აწ, ღმერთო, შემაძლებიე, ამაწევიე კოშკზედაო! — გაუშვა და — იცოცხ-ლე შენაცა და მეცა — მოაბა ზედ კარებსა. ან გააღო ე კარები და შევიდა შიგა. ე ვაჟაჲ. იქა ჯდიან დედამისი და სამი სხვა ქალი. იმათა ჰყოლია ოთხი დევი — თორმეტ-თორმეტთავიანი. მთელი დევების უფროსნი ესენია... აწ ამ დევებსა ცხრა-ცხრა დღის ძინი უჩვევია. აწ რომ შევიდა ე ვაჟაჲ შიგნით, იმისთანე კრან-ტია, რასაც ინატრებ—გამოვა. ინატრა ამ ვაჟამ საჭმელი. რომ გაძღა გემრიელათა, გამოეღვიძა დევსა; აწ ე ვაჟაჲ შეაძვრინეს ტახტქვეშ. მიმოიხედა დევმა და: — ძორის სული იცემაო.

— ვაჟაჲა და თუ არ შესჭამო!...

— მომიყვანეო აქაო საჩქაროთაო!..

იცნეს ე დევი და ე ვაჟაჲ... ჯერ ამ დევმა მოიქნია და ჩასო კოჭამდიმ .მერე ვაჟამ მოიქნია და ჩასო მუხლამდინ. ახლა ისევ დევმა და ჩაატანა ბარკლებამ-დინ. მერე კიდე ვაჟამა და ჩასო წენამდე. აწ დევმა და — წენამდე. ბოლოს ვაჟამ დაანარცხა და — ყელამდი. მოჭრა თავები დევსა და დადგა კოჭამდინ სისხლის-ტბა. გამოეღვიძა მორე დევსა და ვაჟაჲ ტახტქვეშ შეძვრა.

— ძორის სული იცემაო! — დაიღრიალა ამ დევმა. გამოხტა ე ვაჟაჲ და-იწყეს ჭიდილი. იჭიდნეს და ისრე უქნა ამასაცა. კიდე აწ მესამეს გამოეღვიძა. აწ იცვნეს ეს ორნი. ოთხთავ ისრე უქნა. წენამდინ დადგა სისხლი.

ამ ვაჟამ უნცროსი ქალიშვილი მიზდა დაიჭირა ცოლადა. საშვალი — საშ-ვალს ერგო, უფროსი — უფროსსა.

ამ უნცროსსა ოქროს ტახტები ყავან და ოქროს წყალში ბანაობენ. ჩაასხა ესენი და თვითონ რომ ჩადიოდა ბაწარზედა, აწ ამ ძმებმა დაჰკრეს ბაწარს და ჩააგდეს; ულალატეს ვაჟას ძმებმა. წამოვიდეს ყველანი ხემწიფესთან.

— ასე და ასე იყოო და ვაჟაჲ სისხლში ჩაგვეხჩოო! — აწ გაუგნია სხვა-დევებსა:

— რაკი ჩვენი უმფროსები დახოცა, აწ არა გვიჭირსო! — და ყველას მოაქ-თითო მწიფელი და გაუდგეს ვაჟასა, და ჩამოვიდა ე ვაჟაჲ. რაც დევები იქნეს, ე ვაჟაჲ სუყველათა დახოცნეს. მისცეს სალხინო და საჭირო ჭიანდური.

— თუ რა გაგიჟირდენო, დაუკარ და შენთან დავიბადებითო!

ვაჟას ქალსა სხვა ხემწიფე უგწანის — ითხოვონ. ამ ხემწიფემ უთხრა სხვა-ხემწიფეს:

— ქალის ნებაა, თუ წამოგყვებაო.

— მომიტანეთ, ტრედები რო დაბანავენო და წამოგყვებიო. ე ვაჟაჲ ჭედელს მიაბარა. ე ხემწიფე ჭედელთან მივიდა უთხრა:

— გაგვიკეთეო, ტრედები რომ ოქროს წყალში ბანაობდენო! — ჭედელმაც უთხრა:

— ვერ გავაკეთებო! — ამ ვაჟას ეს ტრედები ქვეშ აქ.

— ნუ გეშინიაო, — უჩურჩულა, დილაჲთ ვაჟა სწმენდს ტრედებს, ვითამ გავაკეთებო. ამაში ხემწიფემ დია ფული მისცეს... წაიღეს ეს ტრედები და წამოჰყვა აწ ეს ქალი და შემოდგეს თუ არა ფეხი ხიდზედა, ე ვაჟა დახვდა წინ, დაუკრა საკვირო ჭიანდური და ექდენი დეევები მოვიდეს, რომ აღარ ეტევიან.

— გვიბრძანეო!

— წეედით, გეერიენით და ჭამეთ ჯარიო! — ჭამეს, ჭამეს და ზოგნი გადაყარნეს. ე ვაჟაჲ და ე ქალი დარჩეს და დაჰკოცნეს ერთმანეთი...

8. თედორეს გმირობა

ერთი გორგიეთი იყო თედორე. დვალეთ ცოლოურობა ხყავდა. ადგა და წავიდა ცოლოურს და იქ ცოლს ვაჟი გამოუჩითა და:

— ჩამოდიო და მნახეო! — შემოუთვალა. ადგა და, მუხს რომ შევიდა, ცხრანი ყაჩაღნი შეხვდა. დაიჭირეს ე თედორე.

— გამიშვითო!

— არ გაგიშვებთო!

— ხვალ გადმოვიარ ცოლითა და მაშინ წამიყვანეთო!... — ადგა და ჩავიდა ცოლოურს, გაუშვეს ყაჩაღთა. რო მივიდა, მოიკითხა ამბავი, დაემუსაიფეს სიდედრი, სიმამრი და ისი მერე უთხრა:

— ხვალეო ქვე უნდა წავიდეო უთუოდაო. — რო უნდა წამოვიდეს მეორე დღესა და:

— იჩუქე რამეო! — უთხრა სიმამრმა, — რაც გინდა წაიყვანეო!

— არაფერი მინდა რა, ლეკური-ღა მაჩუქეთო, მამაპაპეული რომ არიო. — აიღეს და მოსცეს ლეკური. წამოჰყვეს ცოლიძმები. სოფელს რო ამოსცდა, დაბრუნა ისინი. ნეფის წყალს ზეით რომ შემოაწია მთაზედა, ცოლს უთხრა:

— აკვანიც შენ უნდა აიკიდო და გუდაცაო... — დაიწყო ამ ქალმა ტირილი.

— ნუ ტირ, თორემ ხრმალს შემოგკრავო! — ჩამოვიდა მთაზედა და ღმერთს. შეეხვეწა:

— გამიმარჯვე, ღმერთო, შენი სიტყვა არ გამიტეხია ჯერაო! — ეს ცხრანი ყაჩაღნი დახვდეს.

— ადექით, გმირნო, გმირულეფო, ერთი მე წავალ სამარეს, ცხრანი თქვენ გაემგზავრენითო! — შეუძახა.

იშიშვლა ხრმალი და რვათა თავები დასჭრეს. მეცხრე ქვე დაიჭირა. დახადა, რაც ქონდა, რვათა თოფი და იარაღი და მეცხრეს აჰკიდა. სოფელს რომ ჩამოაწია — დაუძახა სოფლელთა:

— ეს ერთი ყაჩაღი ქვე მაპატიეთო! — ერთი კვირის მერმეთა უთხრა ამ ყაჩაღსა:

— წაიღე შენი იარაღი და ავეჯი და უთხარ თქვენი ამბავი თქვენებშიდო!

4. როსტომი

დაიბარა როსტომი ერთხელ ახაზ ქექაოზის ნეფემა. წავიდა და ცოლი ჰყვა ორკეცადა როსტომსა. დაუბარა ქალსა:

— ვიცი, ბიჭი გამომიშთება და ზურაბ დაარქვიო. შეჰკაზმე კარგადო და სამძღვრამდინ მოჰყევ და ასწავლე გზაო. წინა უკვანას ტახტარსა ვარდი უყვავის, ოქროს ბურთი შეაბიო ტახტარსაო!

გამოუშთა ვაჟა და ერთის წლისა რო გონია, სამი წლისა არის, ისე იზდება. დვთის ნაწილია პირდაპირ. შეჰკაზმა და შესვა ცხენზედა და ბურთი შეაბა, გაჰყვა მუხნარამდინ და — ამ გზას მიჰყევიო, დაუბარა...

მიდის და მიდის და ერთი კუდური შემოეყარა.

— ო, რა კაჲ ბიჭი ხარ, მარე ქალულათა ხარ შეკაზმულიო. — არ უგდო ყური ამ ზურაბმა... იარა, იარა და კიდე შემოხვდა.

ო, რა კაჲ ბიჭი ხარ, მარე ქალულათა ხარ შეკაზმულიო! — არც ახლა უგდო ყური. განაგრძო სვლა. ამ დროს საცღეიდან კიდე ამოტანტარდა ე კუდური და კიდო ისე წეენახშა!

ო, რა კაჲ ბიჭი ხარ, მარე ქალულათა ხარ შეკაზმულიო... — გამჯავრდა ზურაბი, აიცალა ე ბურთი და ჩაიდო ჯიბეში. გაიარა და მიაწია, მამამისი სადაცაა. მიაწია და კარავი ნახა და მოემშია და პური ითხოვა.

— რათ გინდა პურიო, მინდორსა ბევრი ზის ნადირი, მოკალ და ჭამეო... — წაიარა და მოკლა ნადირი და მიაწია ბინაზედა. დაანთო ცეცხლი, გაკრა ირემსა, გასტყავა და გაიკეთა ვახშამი. გამოიხედა მამამ და მის კარავში ვინმე არის.

— გამიგნეთ, ვინ არის ი თავხედიო! — ჩამოიხედა მოსამსახურემ და ჩამოუნახშა:

— თვალით ტანადო ჯომაყო, როსტომიანთა სახისაო! — გაბრუნდა მიუტანა ამბავი როსტომსა:

— გაკრავს და სტყავებს ნადირსაო! — აწ შემოუთვალა როსტომმა ამ ჭაბუკსა:

— აქ ამოეო, ახლოს მოდი, ვინცაღ ბრძანდებიო! — ზურაბმა კაცსა ხელი ამოჭკრა და ტვინი მიენარცხა. ელის, ელის როსტომი, მარე არა შევიდა, ვინცა გამოგზავნა. აწ მეორე გამოგზავნა და იმასაც ეგეთი ბედი ეწვია. ახლა მესამე და არც იმას დაადგა კაჲ სანახაობა. გაიგნო როსტომმა — მომიკლა ყმებიო, და ჩამოხედა. ვერ იცნო, რა თქმა უნდა. ჩამოუნახშა.

— რა მოხელე იყავ, ჩემს კარავში დგახარო?

— რა და დამაღამდა და დავდეგო! — შეჰპირდეს — დილას უნდა იჭიდნეს მამა-შვილნი, უნდა იომონ. როსტომი მოხუცებული არის. უთხრა დილაზედ ყმაწვილმა როსტომსა:

— ბერო კაცო, ნუ შევიბით,
გული რასმე მევეჯებაო,
დედიჩემის დაბარება
ყველა რასმე მენიშნებაო,

არა ქნა როსტომმა.

— დღეს შეეპირდით ერთმანეთისა ძგერასა,
გვერჩია გადაგვეწყვიტონ,
ერთი ველოდეთ შეელასაო....

ეს როსტომი აწე წასულა და დაუჭედია ალმასი და მუხლის თავებზე დაუკრავს... იჭიდნეს ახლა ამათა. ატყობს როსტომი — ერევა მოყმე. უქნია, დასცა როსტომი და ნებითაც წავიდა. ამოუქნია მუხლები და გახია შვაზე შვილი, ჰკრა მუცელში.

— შენ, ბერო კაცოო, რათ მომკალო,
ხრმალი რათ მოშე ვადამდინაო?
ი მამაჩემსა როსტომსა
მაგრამ წაუხვალ სადამდინაო?

ზღვას ჩახვალ — ზღვას ჩამოგყვება და ხმელეთზე არსა დაგტოვებს!

— ვაჲ მამაშენსა როსტომსა,
ბრალო ღედიშენისო,
წინა უკანას ტახტასა
ვარდნი რათ არ გიყვავანაო.
მუხნარს რათ არ ჩამოგყვაო?

— ეგენიო ყველა მიქნა, მაგრამ მაცთინა ეშმაკმაო...

ახაზ ქექაოზ მეფეს შეუთვალა:

— შევაკვდი შენგან დევსაო და წამალი უკვდავებისა გამომიგზავნე, ზურაბ მერჯება ხელსაო!... — გამოაბრუნა კაცი ნეფემა:

— მეო არა რა მაქო! — კიდე შეუთვალა:

— ნუ მაყოვნებო! — ახლაც არ გასცა პასუხი. მესამეთ რომ არ მოუსვენა და გამოუგზავნა ნეფემ დიაკვანის ხელით უკვდავებისა წამალი. დიაკვანს დაბარა:

— რომ დაგინახავს როსტომიო, ჩქარე კაცი არიო და დაგიძახებსო, ჩქარა-ჩქარა წამოეო! შენო წაიკარ ფეხი და დაეცი და წამალი უკვდავებისა დააქციეო! — წამოვიდა ე დიაკვანი და:

— გამოეჩქარეო, — დაუძახა როსტომმა, გულგაცხელებულმა.

— რას მოგულავობო? — წაიკრა ჩექმა ერთმანეთზედა ამ წყეულმა და ქვე დააქცია წამალი უკვდავებისა?! ამას რო მოავლო თვალი ფიცხელმა ლომა, მივარდა და დაჰკრა წიხლი და მიწაში გაარონია. ახლა ნეფესთან გაეშურა და შეუყვირა:

— წამალიო? ეს ეს შენ მოიქმედეო! — ნეფე შვილებს აგუნგრუებს მუხლებზედ და როსტომი ეცა და მოჰკიდა ხელი შვილებს და შეუნთხლია თავები.

— შვილის სიკვდილი თუ კარგია, აჰა, იგემეო! — წავიდა და აკითხვია კითხავსა. კითხავმა უთხრა:

— ორმო გააკეთეო და ჩაწე ორივ მამაშვილიო... — გააკეთა ორმო და ჩაწვა შიგა და საქმელს ღმერთი აძლევდა. შვილიც მიიწვინა და გვერცა ჰყავს. იმოდენა ულმაში შემოუვიდა როსტომსა, რომ დავიდან ფეხებამდინ წვდებო— და. გააკეთა ჭიანდური ბალნითა და უკრავს შიგა გულისაკლავადა. აწ ქვეყანა უმბობს:

— რომ როსტომი ამოვიდეს, ვინ ამოიყვანს, ვინ გაუბედავსო? — წამოდგა ერთი ბებერი ქალი-კუდური და:

— გადამხადეთო სიცოცხლით კარგიო და მე ამოვიყვანო! — მივიდა ე კუ— დური ქალი და:

— როსტომ, ამოე, წაიარა საურჯულოენმაო! — აღარ გასცა ხმა. გაიარა. კიდე და:

— ამოე, როსტომ, წაიარა საურჯულოენმა... — კიდე არ გასცა ხმა. კიდე: გაიარა და:

— ამოე, შე შვილის კალიაო! — ჩაუძახა. ესაა ვადაც უთავდება და შვი— ლიც ცოცხლდება. გაბრაზდა და ამოვიდა, გასწყრა, დაჰკრა და ცხრა მხარი დე— დამიწა გაარონია მიწაში. რაც შეხვდა, აღარ დაზოგა არაფერი, სუ ხოცდა იქა— ობასა.

ი ვადა რო შეესრულებიონ, ამოვიდოდა. ქვეყანამ სიმტერით უქნა:

— მის შვილს რომ ეცოცხლებიონ, ქვეყანას ამოგვაგდებსო!...

6. მონადირე ბიჭი

ცხოვრობდა ერთს უდაბნოს ტყეში ერთი ცოლ-ქმარი კაცი, სადაც იმ უდაბურს ტყეში ნადირის მეტი არაფერი არ იყო. როცა მოხუცდა ეს კაცი, მონადირე იყო, მოკვდა და ცოლი დასტოვა ორკეცი ეყოლა ვაჟი. ი ვაჟი რო წამოიზარდა, დედასა უთხრა:

— მამაჩემა რა ხელობა იცოდაო?

— მონადირე იყოო.

— კარგიო, აბა, მეც იმ ხელობას ვისწავლიო. — დაიწყო ნადირობა, ბევრ ხეცებსა ხოცდა. დედამ ასწავლა სამი გზა.

— ორ გზაზე იარე და ამა და ამ გზაზე არ იაროვო! — პირდაპირ იმ გზა— ზე წავიდა, საცა დასამარცხებელი იყო. გაიარა და ერთ ხეზე შემომჯდარიყო. იმისთანე მფრინველი, რომ წვერი მიწაზე დაუპირებია. ესროლა ისარი და მოჰკლა. ერთი ფრთე მოსჭრა და წამოიღო სახლში და აჩვენა დედას. დედამ უთხრა:

— სწორებ მაგისი მეშინოდა და ახლა იარეო! — წავიდა მეორეს დღეს და ვერაფერი მოჰკლა. გაშორდა მინდვრებს და დაიძინა ერთ ხის ქვეშ. რომ გა— მოეღვიძა, იმ ხის ქვეშ ყოფილიყო ერთი დიდი ტბა. შიგ მოფრენილიყვნენ ტრედები და იბანებოდენ. ტანისამოსი გაეხადა ტრედებს. წაადგა და ერთსა მოჰპარა ტანისამოსი და დაიმალა. როცა იბანავეს, სხვები გაფრინდეს და ერ— თი დარჩა, რომელიც უნცროსი იყო.

— გამომიჩინე ტანისამოსი, ვიღაცა ხარ, და ცოლად შეგერთვიო! — სამ— ჯელ უხსენა ღმერთი და გამოეჩინა. ისიც ახალგაზრდა იყო და შეირთო კიდე— ცა. ხოლო ასწავლა ბინა—ამა და ამ ადგილზე მოდიო. მოვიდა ამ ადგილას, სა—

დაც სამი მზეთუნახავი ცხოვრობდა. დადიოდეს ისინი სხვაგან და ამ ბიჭს ტოვებდეს სახში. რვა ოთახის კლიტეს უტოვებდეს და მეცხრესას არა. ამ ვაჟამ:

— ბარემ ეგ ერთიც დამიტოვეო.

— კარგი, ხოლოთ არ გააღოო! — რო წავიდეს, პირველად ის გაიღო. დაინახა, ისეთი დევი ება, რომე თვალით შეხედვა შეგზარდებოდა. დევმა უთხრა:

— დამალევიე ერთი ჩაფი წყალი და ერთ სიკვდილს გადაგარჩენო. მეორეც და მეორეს გადაგარჩენო! — მესამეც უთხრა და ისიც დაალევია. მერე უთხრა:

ერთი კრენჩხიც მომიტანეო. მოუტანა ისიც, დაჰკრა ჯაჭვებს და დასწყვიტა, გამოვიდა და დაჯდა სახში, სადაც მზეთუნახავები ცხოვრობდეს. როგორც მოვიდეს, ძალიან გაეჯავრა. იმ ღამესავ მის ცოლთან დაიწყო წოლა. ვაჟას ეჯავრებოდა, მარე ვერ უბედავდა. დევმა დაიწყო ნადირობა, როგორც სანადიროს წავიდა, დაჯდეს ისინი ხალიჩაზედა და გამოფრინდეს, როცა მოვიდა დევი, ერთი რაში ჰყავდა და უთხრა:

— რა იქნეს ისინიო?

— წავიდესო! — გამოეკიდა იმ რაშით და მოეწია და გამოაბრუნა.

— აი, ერთს სიკვდილს გადმირჩენიხარო! — ახლა მეორეს დღესაც კიდევ გამოეპარნენ ისინი. კიდო მოეწია და კიდო უთხრა.

— მეორედ სიკვდილს გადაგარჩინეო.

— მესამედ მომკლავსო—იფიქრა და ადგა და წამოვიდა სხვაგან, საცა იმას უნდა ეშოვნონ ერთი რაში, რომელი დაამარცხებდა იმ დევს... გამოიარა ერთს ადგილზე და თევზი გამოვარდნილა ზღვიდან და ხავხოობს, ველარ შედის შიგა.

—ხოლოთ ამ ზღვაში შემაგდე და ბედსა გწვეო!

— რა ბედს უნდა მწეონ თევზმაო! — და მაინც შეაგდო.... მობრუნდა თევზი, გამოიძრო ფრთე და მოსცა:

— საცა გაგიჭირდენ, ჩემი სახელი ახსენე და იქავ დავიბადები და გიშველიო! — ფრთე ჩაიდვა ჯიბეში ვაჟამ და წამოვიდა. გამოიარა ერთს ადგილზე და ობობას გასტანებია ეკალი და ბზუალობს.

— ხოლოთ მიშველეო და ბედსა გწეო! — გამოაცალა ე ეკალი. გამოაძრო ფრთე და მოსცა ამ ბიჭს: — საცა გაგიჭირდენ, ჩემი სახელი ახსენე და შენთან დავიბადებიო! — ჩაიდო ე ფრთე ჯიბეში და წამოვიდა ეს ვაჟა... გამოიარა და ერთი გელისთვის უსერია თოფი მონადირეს, გადამალვია, მარე ფეხი მოუტეხია. გელმა უთხრა:

— ეს შემიხვიე ხოლოთ და ბედსა გწეო! — შეუხვია და გამოიძრო ბანალი და უთხრა:

— როცა გაგიჭირდენ, ამოიღე და მახსენე და მაშინვე შენთან დავიბადებიო! — წამოვიდა და გამოვიდა ერთ დიდ მინდორზედა, საცა ერთი კარგი სახლები იყო, გალავანი ერტყა და იმ გალავანზე კაცის თავები იყო ჩამოცმული. ხოლოთ ერთი თავი აკლდა თავებს. დაიძახა და გამოვიდა დევი.

— რაში გექნება გასაყიდელი და მომყიდეო, — შეუძახა.

—ფულად არ ვყიდიო!—ვინც სამს დღეს შემინახავს, რამე სრულად ვინც მომგვრისო, ერთს რაშს იმას ამოვარჩევიებო; ვინც არა და მოვსჭრი თავსა და გალავანზე ჩამოვაცვამო.

— კარგიო, მე შეგინახავო, — უთხრა ამან. გამოუშვა ე რაშები და უთხრა ჩუმეთ დევმა:

— წადით და ზღვაში იბალახეთო! — ჭისკარს რომ გამოსცდეს, ბიჭმა თვალი ვეღარ შეაკრა რაშებსა. წამოვიდა, დაჯდა ზღვის პირზედა და ტირის და ტირის გულმხურვალედ... გამოვიდა ის თევზი, შველას რო დაპირდა და:

— რა გაგჭირვებია, მეგობაროო?

—ასეა საქმე და ასეო და, თუ ვერ მივგვარე რაშები, უთუოდ მომკლავსო.

— კარგი, წაე, შენ უთხარი საღამოზედა:

—მიითვალე შენი, რაშებიო! — წამოვიდა საღამოზედა და:

— მიითვალე შენი რაშებიო! — უთხრა, დაინახა, მოდიან რაშები, როგორც ცის წვიმა. გაითვალა დევმა და არაფერი არ აკლდა. ახლა მეორეს დღეს გამოუშვნა და უთხრა:

— წაეთ და სულ თვითეულად ტყეებს მოებნიენითო! — წამოვიდეს მალა და, როგორც დაბარება ჰქონდა, ისრე მოიქცენ, წამოვიდა ტყის პირზე და ტირის და ტირის ე ვაჟა. ამოიღო ბალანი და ახსენა მგელი.

— რა გაგჭირვებიაო, რო ასე გულხურვალობით ტირიო?

— ასეა საქმე და, თუ ვერ შევასრულე, თავს მომჭრისო!

— მაგაზე ნუ სწუხდებიო და წაე და უთხარ საღამოზე: — მიითვალე შენი რაშებიო, — უთხრა გელმა, — მე თვითეულად დავასევ მგლებსა და ერთს არ დავტოვებ ტყეშიდაო.

წამოვიდა საღამოზედ სახში და უთხრა დევს:

— მიითვალეო! — დაინახა — მართლა მოდიან რაშები. დაითვალა და არც ერთი არ დაჰკლებოდა.

ახლა, მესამეს დღეს გამოუშვა და:

— წაეთ და ცაში იბალახეთო... — წამოვიდა ე ბიჭი საძებნელად, მარე ვერსად ნახა... დაჯდა მინდორზედა და ტირის და ტირის.

ამოიღო ობობას ფრთე და ახსენა ობობა.

— რა გაგჭირვებია, აგრე რო ღვრი ცრემლსაო?—მიაძახა ობობამ.

— ასე იყო და ასეა, აწ მიშველეო!

— წადი და უთხარ — მიითვალეო; დავასევ ობობაებს და გამოვსდენიო.

მივიდა, უთხრა დევს და მართლა მოდიან, როგორც ცის წვიმა, არც ერთი არ აკლია და სრულია....

— წაე და ამოირჩიე, რომელიც გინდაო... შენს მეტს არ აუსრულებია ერთი დევის მეტსაო...

ჩავიდა ე ბიჭი ბოსელში და დაეძებს, რომელიც უკეთესია, მარე ვერ გამოარჩია. ხოლოთ მას დასდევს ერთი სამფეხი რაში.

— მე წამიყვანე, მე ვიცი შენი ამბავიო და აგისრულებ, რაც გინდაო!

— აი ეს სამფეხი რაში მომეც და გჯერდებიო! — უთხრა დევს ამ ვაჟამ...— ეწყინა დევს.

— აი ეგ არ ამოგერჩიოს და სხვა წაგეყვანოსო! — მაგრამ მაინც მოსცა. წამოიყვანა ეს რაში. ამ რაშს სწავლება არ დასჭირდა სახლისა, პირდაპირ მოაფრენდა. ნახნა ამ ქალებმა, ძალიან გაუხარდა. შემოაჯდეს ხალიჩაზედ და წამოვიდეს სუყველა. რომ მოვიდა დევი ტყიდან, რაშსა ჰკითხა:

— რა იქნესო?

— წავიდენ, ხოლოთ ნუ გაეეკიდებით, დაგვამარცხებსო. — მაინც არ დაი-

შალა და გამოუდგენ უკან. მოეწივნენ შუა გზაზე. გადმოფრინდა ვაქას რაში, ჯერ უმალ დევი მოჰკლა, მერე ამ რაშს რომ უპირებდა, შესძახა რაშმა:

— ნუ მომკლავ და დაგრჩენოდეო! — არ მოჰკლა და წამოიყვანეს ბიჭის სახლში... დედას ძაან გაეხარა. დედას უთხრა:

— წავიდეთ, იმ სახში ვიცხოვროთ, სადაც ეს ქალიშვილები ცხოვრობენო! — წავიდენ, მივიდენ და ცხოვრობდენ...

6. მაირ-ბათიყოელი

ერთი მონადირე იყო. ადგა და წავიდა სანადიროს. შეხვდა ნადირი, არჩვი და გამოუშალა ისარი და მოკლა. მოიგდო ფხარზედა და მოიტანა შინა და წვადი უნდა შეეწვეს. წვავს გულგახარებული... ამ დროს ადგა ეს არჩვი და წავიდა. ამ კაცმა დაიწყო კვირვობა: რანაირად წავიდაო?!

კვირვობს და კვირვობს... არჩვმა დაუძახა:

— რა გაკვირვებსო? გასაკვირვალიო მაირ-ბათიყოელის ამბავიო! — ამ კაცნა თქვა.

— თუ ეს არ გავიგეო, თავი არ მინდა ცოცხალიო! — ადგა და დაიწყო ძებილი. იარა, იარა, იარა და ერთი ხარი ჯოგი ნახა. მოვიდა და კითხა:

— ეს ჯოგი ვისი არისო?

— ესაო მაირ-ბათიყოელის არისო.

— სად არის მაირ-ბათიყოელიო?

— არ ვიცი, წეეო და ცხენის ჯოგი ყავან და ეცოდინებათო! — ადგა და წავიდა და მიაწია ძროხის ჯოგში.

— გამარჯობა თქვენიო!

— გაგიმარჯოსო!

— ვისია ეს საქონელიო?

— ვისია და მაირ-ბათიყოელის არისო.

— სად არის ეხლა მაირ-ბათიყოელიო?

— არ ვიციო.... — იარა, იარა და ერთ მებატეს მიადგა.

— გამარჯობა შენიო! — უთხრა ერთ ჯეღრიან კაცსა.

— გაგიმარჯოსო.

— ვისია ეს ბატიო?

— ვისია და მაირ-ბათიყოელისა არისო...

— სად არისო ისაო აწეო?

— ახლოსააო; წადი და ვირები უბიან კალოში და იქ ძისო... — ადგა და წავიდა და შეხედა, მაირ-ბათიყოელი ლეწავს.

— გამარჯობაო!

— გაგიმარჯოსო!...

— დაჯექიო! — უთხრა ამ კაცმა. რა ამბავია, რამ მოგიყვანაო? — ამან უთხრა:

— არჩვი მოვკალ და მე ვწევდიო, ადგა და ქვე გაიქცაო, გამოვიდა და მომაძახა: „ეს კი არ არისო გასაკვირველიო, გასაკვირველიაო მაირ-ბათიყოელის ამბავი არისო. ამიტომ მოვედიო“.

— დაჯექ და მოგიყვებიო! — დაჯდა და იწყო ყოელმა.

— მეო, მონადირე ვიყავიო; რამოდენი ნადირი დავხოცეო. ნადირთა ანგელოზმა მითხრა, შე თვითონ მოგართმეე ნადირსაო... ამის მერეო ყოველდღე მომდიოდა და მომდიოდა არჩვი და რასაც ინატრებდიო... ჩემ ქალს მოყვარე გაუჩენია მისდაო. არჩვი გაეგდო ერთ დღესაო... ეს რომ იყო და არ მოსულა ამის შემდეგაო. ამ დროს მოუსწარიო და წავადექი თავზედაო. დაუწყე ჩხუბი და, რასაც დაკრეედა, იმისთანა მათრახი ჰქონდა, გინდ ძაღლად, გინდ ქვად, გინდ კატად აქცევდა... ამ დროს ძაღლად აქცია ცოლმა ქმარი თურმე... ეს საყვარული არხეინად დარჩა სახლში... მამიდა ყავდა მაირ-ბათიყოელს და იქ მივიდა ძაღლად და პურს მაკმევსო! ლაქუცი დაუწყეს, მარე ვერ იცნო მამიდამ. აბა, რას იცნობდა? აკამა პური მამიდამ... ქმარმა დაიწყო წყრომა:

— იმ მეჯოგეებს ყავდენ ე ძაღლიო! — ადგა ძაღლი და წავიდა იმ ჯოგში, რადგან ეს ნახშობა გაიგონა... ძრიელ გეეხარდათ მეჯოგეებს და უმი ხორცი მიუტანეს; არა ჭამა. მოუხარშეს და ჭამა... ამ დროებაში გელი მუსრს აელებდა ცხვარს. ყოველ ღამე სტაცებს ბატკნებს. დაერია და სულ გასწყვიტა ამ ძაღლმა. ეფერაებიან მაგას ამის გამოთ... დიდი ხანი გაიარა და მოსწყინდა თავი ბოლოს.

— წავალ ჩემ ქალთანაო და იქნება დამკრანაო მათრახიო და კაცად მაქციონო!... ადგა და წავიდა... შინ რომ მივიდა, დაკრა ცოლმა და კატაც აქცია... ადგა და შევიდა სახლის თავში და უყურა, მათრახი, სადაცა დევს... რომ დაწვეს, ჩაიპარა კვებოში და აიღო ეს მათრახი, წეეხახუნა და შეუძახა:

— მაქციე კაცად, ღმერთო! — და გადაიქცა კაცად. წამოვიდა და მათრახი დახკრა ცოლსა და ჭაკ ვირად აქცია და მეორე მამალ ვირად აქცია... შეაბნა კალოში და ოცი წელიწადი არ გამოუშვია... აქცივნა ვირად და ალეწვინა... ის მონადირე გვერც უდგას; მერე ერთი ღორად აქცია, კაცი მგელად. გაჩკიდა ე გელი ამ ღორსა და შეაკამა. იმას ძაღლები დაახვევნა და შეაკამა. უთხრა ბოლოს მაირბათმა:

— ეს იყო ჩემი საქმე და ამას გეტყოდა ი არჩვიო, გასაკვირვალსაო!...

მელიას ხერხიანობა

მელია მორბიოდა და გაჰკიოდა:

— არიქა, ქვეყნიერება იქცევაო! — შემოხვდა დათვი და გამოჰყკა... შეხვდა მგელი.

—სად მირბითო? — გაიკვირვა მგელმა.

— ცა და ქვეყანა იქცევა და დავიმალოთო ეგებაო.

— მიაფხანაგეთო! — და გამოჰყვა ამათა ესეც.

შეხვდა ირემი

— სად მირბით, რა ამბავი არისო?

— როგორ თუ სად მივრბითო? შენაო არ გაგიგონია — ქვეყნიერება იქცევაო?!

— მეც მიაფხანაგეთო! — და გაჰყვა ირემიც.

შეხვდა ჯიხვი, არჩვი, ჯერანი, კურდღელი; გაუძღვა წინ მელა. ერთ გამოქვაბულ კლდეში შეიყვანა და დაიწყეს შიშქვეშ ცხოვრება.

— მოდი, ერთი სოფლობა ვქნათო! — თქვა მელამ. — მე ბატონი, დათვი

ბატონი, ირემი ბატონი, ჯიხვი ბატონი, მგელი ბატონი, არჩვი ბატონი, ჯერანი ბატონი, კურდღელი რას გვიკეთებსო? — გავიანგარიშოთ ჩვენაო. სტაცეს ხელი და ქვე არ შეჭამეს? ქონი ჭურში ჩაასხეს... სადილად თქვა კიდე:

— მე ბატონი, დათვი ბატონი, ირემი ბატონი, ჯიხვი ბატონი, გელი ბატონი, არჩვი ბატონი, ე ჯერანი რას გვიკეთებსო? გავიანგარიშოთო! — სტაცეს ამასაც ხელი და ესეც ქვე შეჭამეს. ქონი კიდე ჭურში ჩაასხეს.

მოჰყვეს ასე და დარჩეს მარტო დათვი და მელია. მოშივდა მელიას. რა უნდა ქნას? შევარდა გორაზე, გაიარ-გამოიარა და დაბრუნდა და:

— ქვე იპატიჟებიანო სანათლიათო და რავა ექნაო?

— წააეო და წამამიღე რამეო! — მელიას უნდა ჯერზე მივიდეს და შეაძლა ქონს კარგა... დაბრუნდა გამძღარი და:

— რა დაარქვეო? — ეკითხება დათვი.

— თავმოფხოჭვილაჲ დავარქვითო!

— რეთ არ წამამიღეო რამეო?

— არა გააშთაო და რას წამოვიღებდიო?

მეორე ღამესაც ისრ მოიქცა და წავიდა. რომ მივიდა:

— რა დაარქვეო? — ეკითხება დათვი.

— შუაგულაო დავარქვითო! — მესამე ღამესაც წავიდა ისრ.

— რა დაარქვითო?

— ბოლომოწმენდილაო! — გაიარა ხანმა და მელიას მოშივდა.

— მართლა, ჩვენ ხომ ჭურში ქონი გვაქსო, წავიდეთ და მოვხადოთო! წავიდეს. მელა ენახშება დათვს:

— თვალი უნდა დააჭყიტოო და აღარ წაგიხთებაო (ნაცრითა აქვს სამსე). — ხდის ჭურს და შეუბერა ნაცარს და თვალებში შეცვივდა დათვსა... დაუთვალოვდა დათვი. მელიამ წავიდა და დაიწყო ზარას ძებილი. მოიძია, რავაც იყო, და:

— მოჰყეე რაკუნსაო, — უთხრა... არაკუნებს, არაკუნებს და მიიყვანა ერთ გვირაბზე და გადააჩეხა და ჩაიმტვრია ე დათვი... ჩავიდა და დაუწყო ჭამა... ხორცით რო გაძღა, ვედრება დაიწყო:

— ღმერთო, ამატანე ქედზედაო და სანთელ-განატეხს შემოგწირაო... მოვიდა თავად და აიტანა ქედზე...

— არაფერსაც არ შემოგწირაო, — ღმერც უთხრა სიცილითა... დაგორდა და ჩავარდა. ღმერთი გაუწყრა. დაიჩოქა და: — მომიტევე და არ გაგატყუებ აწეო! — აიტანა კიდე... ერთი კვირა თავი ხრა იმას. მერე გაიხედა და მაკრები მოდიან, დედოფალი მოყავან, მელამ თქვა:

— სანთელ-განატეხს დავპირდიო და არ გავატყუებ ღმერთსაო! გაწვა ჯარში და სიკვდილი მოიგონა. გამოიარეს და ე მელა გდია. მაკრებმა დაინახეს და გაუხარდათ.

— დედოფალს შემოუკარითო! — აიღეს და შემოაკრეს... მელიამ გამოახილა თვალი და ნახა — დედოფალს ტახტზე ერთი ბოთლი ღვინო და განატეხი სანთელი ზე ედვა. ამ ხალიხულში ამ ღვედს შეაკრა კბილი და რაც იყო, ესენი ჯადმოვარდა. თავიზდაც მოიბრუნა და გასჭრა კბილით. ჩამოვიდა და:

—აა, უფალო, რომ დაგპირდიო, ე შენი სანთელი და შენი განატეხიო! — იმაში რვა ბეჭედი იყო აწე. ეს ბეჭდები ყველა კუდზე წამოიცვა და წამოვიდა. შეხვდეს მელებნი და ჰკითხეს:

— რა გაქო, საით მოგვიდაო?

—საით და თქვენსეფ ქალაჩუნა არა ვარო. იანვარშიდაო სამი ღამეო კუდი ჩავეე ყინულ-წყალშიდაო. ამოვსწი მესამე დღესა და ესეები ამოეეა კუდზედაო... დაინტერესდა ეს რვა მელა... მოვიდა იანვარი. დადგა ზამთარი და ყინვა... მივიდა ესე მელები და ყველამ კუდები ჩააწყო. მესამე დღეს ამოსწიეს და დასვეპილი კუდები ამოჰყვა... ტყავი ̇მიგ ჩარჩა... ესე გაატყუა ჩვენმა მელაბ ეს მელაებიც.

8. ორი ძმა

ორი ძმანი იყვნეს და დილაადთ ადრე ადგეს. ერთმა არჩვი მოიტანა, მეორემ არაყი ჩაფით დადგა კვებოს თავზედა. თქვეს: — ერთი სტუმარი შემოვიდოდეს, კარგი იქნებაო... მეორე თქვა: — თუ შემოვა, არაყი დია გვაქვს, ხორცი დია გვაქვს და პატივსა ვცემთო.

ადგა და მზახალი ერთი შევიდა და: — არა მპატიქებთო?

— გპატიქებთო, მობრძანდიო!...

დაჯდეს და, რომ დალიეს და კარქა დასთვრეს, წამოვიდა ერთი უმფროსი ძმა და მზახალმა შინ წამოიყვანა. რომ წამოვიდეს, აქანა დახვდეს ორი კაცი და ქვე დაბეგვეს: — ეგიო ქვე დაპაიჯეთო და ჩვენ არაო! — შევიდა მეორე კაცი ძმასთან და: — არიქაო, ორნივე გაბეგვესო. მოხვდა დიდი ნაპერი ხელში, მოეწია და დაჰკრა თავში და შიგ კარებში წაიქცა. ადგეს და წამოვიდეს და სანნი ძმანი იყვნეს და ერთი მამა. ადგეს და: — შევიდეთო და პაპაც და ყველა მოვკლათო, — ამ ოთხთა კაცთა თქვეს. მოემზადნეს ისინიცა და შევიდეს კალოზედა. გამოცვინდეს ისინი. ერთმა ლეკური დაკრა. დაერივნეს და ქვე დაჩეხნეს. დაჩეხილი სამი თვე იწვა. რომ მორჩა, აჩუქვეს ფარაები და გამოუშვეს...

9. ჩ ხ უ ბ ი

შეიქნა ჩხუბი და ბაბუა მოეკლა მეზობელსა და მდგარიყო და ის ქვე გადასაკარგულიყო ამაღლობას. მაშინ მოვიდა და სადა სახში იყო დაპატიქებულ, რავაც ნახა, ძმასთან მივიდა: — დამცირდა ჩვენი წუთი სოფელი, ჩვენი მამიმკვლელი მოვიდაო... — შეემზადეს. კალო იყო მაღლა, — შენ აქ გაჩერდიო და მე წისქვილებზე დავხვდებიო, სადაც იყო გამოსავალი... მიდის ისი კაცი და ჩამოიბიჯა ისრე და დახვდა და კეტი დაჰკრა. ამოიღო ხანჯარი — მამიჩემის მცხვარიც იქნებაო საიქიოსო. მეზობელი ხედევდეს ამასა... დაიძრა თელი სოფელი. დაენახშებია მეზობელს: — თავისი მამა ისისხლეს და თქვენ რა გინდაო? სულ წავიდეს ისინი ამ სიტყვაზე. ბაბუაჩემი ვახტანგიათა ჩავიდეს.

— რა ამბავია ესაო?

— რა და ამნაირათ იყო ჩვენი საქმეო, მამიკვლელი მოვკალითო და სისხლი ამოვიღეთ და გთხოვთ წყალობასაო.

—სად გირჩევნიანო მიხვიდეთო?

— თუ შენი წყალობა იქნება, დედულობა გვყავსო და იქო გიახლებითო...

— წადითო და პურს მოვაკრეფიებთო ხელოსანსაო... — მოუკრიფეს დი იყვნეს რამოდენი ხანი....

10. დათვი და მელია

დათვი და მელია დაძმობილდეს. წავიდეს და ერთი ბოძალი ნახეს. მელამ უთხრა დათვსა: — მოდი დავნიძლავდეთო, ვიხც ამ ბოძალ ხეში გაძვრენო, იმას უყიდონ ცხვარიო, რომელიც ვერ გაძვრენო... მელია გაცუნცულდა, დათვი დაჯ-მაჯურდა, მარე შიგ გაეხირა. მიდგა უკვანით და ცემა დაუწყო გახრილს.

— ე, ძმობილო მელია, ეგრე უნდა ძმობილსაო?

— მელია რაზე მქვია თუ დათუნა ვერ მოვატყუეო; ბევრჯერ მიქნია შე-ნისთანებზეო...

ამ დროს მხნავი მიდის და მიედარა, მარე მელა გაექცა. მივიდა და დათუნა ქვე გაანთავისუფლა ამ მხნავმა. გამოვიდა, ე კაცმა ხვნა დაიწყო. დათვი დაუწ-ვა კვალის თავზე და ენახშა მხნავსა:

— მალ დახნავ აქამდინაო, მალ დაგხრავო; გვიან დახნავო, გვიან დაგხრა-ვო... — ეს მხნავი საგონებელში ჩავარდა და ხნევს თანა. ამ დროს მელამ იცის ამათი საქმე. ყურობს ყორიფელსა...

— გამარჯობა, მხნავოო! — დაღონებულმა უთხრა.

— გაგიმარჯოსო! — დაღონებულმა უთხრა.

— მა კვალის თავზედაო რაგ გდია შავადაო? — დათვმა უჩურჩულა: — ჯირკვია უთხარიო!... — ჯირკვი არისო, მელაო, ჯირკვიო!

— აპა, თუ ჯირკვია, გადააგორეე ქვემოთო... — გადამაგორეეო — უჩურ-ჩულა. გადააგორა ამანაც.

— აბა მარხილზე შეადეო! — შემადეო. — უჩურჩულა. შეაგდო კიდევაც მარხილზე...

— საბლით გადაუკირეო და მზად გექნებაო საღამოზედაო!

— გადამიკირეო, გადამიკირეო, — უჩურჩულა დათვმა მხნავსა. გადა-უკირა იმანაც კარქა...

— აპა ნაჯახის ყუა მოუკაკუნეო!

— შემამიკაკუნე ნელა-ნელაო! — უკაკუნებს ისიც ნელა-ნელა.

— ვაკაცი არა ხარ, ვერ უპირებ აწეო? — მოაბრუნა და სთქეფა შიგ თავში და მოჰკლა ე სულძაღლი დათვი... ჩამოვიდა მელია და გამარჯობა მიუ-ლოცა...

ამდენი შეუძლია პატარა მელიას დიდი დათვის წინააღმდეგობა.

მხნავმა თვალების ფეთება დაიწყო. კეტს თვარიელება დაუწყო. მელას ტყავი მოეწონა... მელიამ შეატყო, კაცსათვის კაგ ვის უქნიაო, რომ შენ მე კარ-გი მიქნაო. და მელა ქედისკენ გაეშურა ცუნცულით და წავიდა.

11. აბესალი და ეთერი

იყვნეს ცოლ-ქმარნი. ეწერა ქალიშვილი. მოუკვდა იმას დედა და მისმა მამამ შეირთო დედისნაცვალი. იმასთანაც ქალიშვილი ეწერა. იმათ ჰყავდა ერთი

ნოთა ძროხა. ეს ქალიშვილი, ობოლი, სულ ძროხებს მწყემსობდა. ერთხელ დედისნაცვალმა წააღებია კალათით მატყლი და უთხრა: — ქვეც აძახეო, ჩაშოართიო, გაჩეჩეო და ყველაფრით მზად მომიტანეო!—კიდევ ერთი პატარა კვერი წააღებია.—შენც ბევრი ჭამეო, ამიერს და იმიერსაც ბევრი აჭამეო და შინაც ბევრი მოიტანეო! — ადგა ეს ქალიშვილი და ძროხასთან დაიწყო ტირილი. ძროხამ უთხრა: — რა გატირებსო? ქვეც აძახე, ქვეც ეს კვერი ჭამეო, ამიერ-იმიერს აჭამეო და შინაც ქვე მოიტანეო! — წავიდეს და წისქვილის თავზე შეუდგეს კეთებას. ქალიშვილს ჩაუვარდა თითისტარი წისქვილში. ჩავიდა წისქვილშიდა და იქ ბებია იყო და — მომეციო, უთხრა. ბებიამ უთხრა: — მოდი, თავზე დამხედეო და მერე წაიღეო!—მივიდა და დახედა თავზე და უთხრა: — რა ლამაზი თავი გაქო! — მერე უთხრა ამ ქალსა ბებიამ: — წადიო და წყლის პირზედაო დაჯექიო. შავმა წყალმა ჩამოიარონ, ერიდეო, თეთრმა წყალმა ჩამოიარონ, ერიდეო, ვარდისფერმა წყალმა რომ ჩამოიარონ, ჩაჰყავ თავიო! — წავიდა ქალა და დაჯდა წყლის პირას. შავმა წყალმა ჩამოიარა, ერიდა, თეთრმა წყალმა ჩამოიარა, ერიდა, ვარდისფერმა წყალმა ჩამოიარა და ჩაჰყო თავი შიგ და იმისთანა ბალანი ამოჰყვა, რომ მთლად ოქრო და ვერცხლსავით უბწყინავდა თავი. იმასა ჰქონდა დახეული თავშალი და თავშალში ამობწყინებდა ბალანი. მერმე წავიდა და იმ ძროხამ იმას აჭამა რძე,—ამავალსაც, ჩამავალსაც და კვერიც შინ მთელი წააღებია. მერე მივიდა და უნახა კარგი ბალანი დედისნაცვალმა. სულ ოქრო და ვერცხლსავით რომ უბწყინებდა და კიდევაც კვერიც და გაკეთებული, რაც დაიბარა. უთხრა ქმარსა: — ჩემს ქალიშვილს გავაგზავნიო და იქნებ გააკეთონო. — მერე მოსცა და დაიწყო ქალმა, რო წამოვიდა, ტირილი და ჩავიდა ძროხასთან. ე ძროხა ამ ქალს არ იკარებდა.

წავიდა აწე და ე კვერიც შეჭამა ამ ქალმა, მერე ართავდა წისქვილთან მატყლსა. მერე ჩაუვარდა თითისტარი. ჩავიდა და ბებიას უთხრა: — ბებია, თითისტარი ჩამომივარდა და მომეციო! — ჯერ თავზე დამხედეო, — დახედა და უთხრა: — მღიერით სამსე გაქს თავიო! — ბებიამ უთხრა ამაზედა: — წადიო. დაჯექიო წყლის პირას და თეთრმა წყალმა ჩამოიარონ, ერიდეო, ვარდის ფერმა წყალმა ჩამოიარონ, ერიდეო, შავმა წყალმა ჩამოიარონ, ჩაჰყე თავიო... წავიდა ე ბოშა... თეთრმა წყალმა ჩამოიარა, ერიდა, ვარდისფერმა წყალმა ჩამოიარა, ერიდა, შავმა წყალმა ჩამოიარა და ჩაჰყო თავი. წამოვიდა და კვერი შეჭამული მოიტანა, თავიც გაფუჭებული და გაუკეთებელი საქმე... მერმე ცოლმა უთხრა ქმარსა: — ულან ი ძროხა ეხმარება იმასო; დავკლათო აი ძროხაო... ქმარს არ უნდოდა დაკვლა, მარე ცოლმა გაბედინა და დაიწყეს დაკვლა. ჩავიდა ეთერი და დაიწყო ტირილი — რა გატირებსო? — უთხრა ძროხამ. — რა მატირებს და ქვე კვლენო! — ბრალი მეო, მკვლენო, თვარე შენ რა გიჭირსო?... აწე ძროხამ უთხრა: — როცა დამკლანო, ტყავი საცა შეინახონ, დაისწავლეო, ნუ დაედრებიო (დაესწრები). ნურც ხორცსა სჭამო, შეინახეო. რაც ძვლები იშოვნო ჩემი, ჩემს ტყავში გამოხვიეო...

მართლა მოჰპარა ტყავი. დაიწყეს ძებილი და იმათ ეგონა — ძაღლებმა მოიპარესო... წაიღო, ჩადვა ძვლები, გამოხვია. ერთხელ მიუტანეს ხორცი და ისიც გამოხვია...

მოვიდა ერთი დღიასწველი დღე და წავიდეს დედ-მამა ეკლესიაში და დაუტოვა დედამ ერთი კოდი მეადი და: — გაარჩიეო და ერთი ფილი კურცხლით გაამსეო! — დაჯდა ეს ქალიშვილი და დაიწყო ტირილი. მივიდა ის ბებერი ქა-

ლი და: — რა გატირებს, შვილოო? — უთხრა. იმან უთხრა: — რაო და ასე და ასეა საქმეო. — ბებერმა უთხრა: — მე მაქსო გარჩეული მჭადიო, ეგ მე მომეცი და მე იმას მოქცევმო. კურცხალი მარილანიანო და მარილი ნელთბილ წყალში ჩაყარე და დაახვედრნე იმასაო... ასეც ჰქნა. ჩაიხედა ეთერმა ტყავში და ნახა — დაკეტილი რაში იწვა და ერთი რწყვილი ვაეური ტანისამოსი იდვა და ოქრო და ვერცხლი. ეს ბერკლაები რაც ეცვა, გაიხადა და დასტოვა. ჩაიცვა კაჟ ტანისამოსი და შემოჯდა რაშზე. ცალ ხელში ნაცარი დაიჭირა და ცალში ოქრო და ვერცხლი. წავიდა და მივიდა დღესასტაულში; საცა დედა და მამა იმისი იდგეს, ნაცარი დააყარა და სხვანებს ოქრო და ვერცხლი გადააყარა — ზევითით. მერე გამოაჩქარა ამ ეთერმა. წამოვიდა სახლში. მოდის და რაში წყალს სმევდა და კალოში ჩაუვარდა. იქ ხელმწიფის მოჯამაგირეებს ქონდა ცხენების დასალევინებლად დაგუბული წყალი. კალოში წყალმა გააჩერა. მოჰყავან მოჯამაგირეებს ცხენები წყალზე დასალევნებლად. ცხენები არ მივიდეს წყალზე. ეშინოდა — რაღაცა ბრჭყვინებდა წყალში... წავიდეს მოჯამაგირეები და უთხრეს ხელმწიფესა: — ესრეა საქმეო. მეორე გამოაყოლა ხემწიფემ შვილი — აბესალი. წამოვიდა და გამოიტანეს კალოში. გამოიტანეს და დაიჭირა აბესალმა რკინის კეტი და კალოში და თქვა: — ვის კარზედაო ჩემი რკინის კეტი გატყდებაო, ჩემი საცოლოც იქ იქნებაო! — წამოვიდა და სველას კარზედ დაჰკრა, მარე არსად არ გატყდა, მესამე მოვიდა აწე ამათ კარზე და, რავარც დაჰკრა, იმ წუთში გადაიშალა. დაინახა იმ დედისნაცვალმა. კაცი მიხვთა. ამ თავისი გერს ხვირი (სანაკლო) გადააფარა ზეითით და თავისი შვილი დაახვედრა წინ აბესალს. უთხრა აბესალმა, ჩაიცვი კალოშიო. კალოშს იცვამს, მარე არ ედგმის. — დედა, არ მედგმის, ქუსლი აღარ მეტევა კალოშშიდაო. — დედამ უჩურჩულა, — ქუსლი ჩაითალე მალაო! — აბა ქუსლს როგორ ჩაითლიდა? ვეღარ ჩაითალა... დაჯდა ხვირზე, ამ დროს აბესალი ამ ხვირიდან რამაცაღ ჰკრა ნემსი და ატკინა. გადახადა და შეხედა, მარე რას შეხედა? მზეთუნახავივით ქალიშვილი დაინახა. — აპა, შენ ჩაიცვიო, — უთხრა... ჩაიცვა მართლაცა და კარგად არგო... ეხლა ქალიშვილს უთხრა: — ჩემი საქალო ყოფილხარ, წამოდი ჩემთანაო! — აღგა ე გერი და წაჰყვა აბესალს. დედ-მამა არ გაიყოლია, რადგანაც გლახათ ეკიდნეს. წავიდა, უთხრა აბესალს: — დამიცადე მაგ გზაზედაო! — აბესალი გაჩერდა. ჩაიცვა ჯერღა ტანისამოსი ქალიშვილმა და შემოაჯდა რაშზე და წამოვიდა, მოვიდა და აბესალს გაეხარდა — მაგისთანა ყოფილხარო! მერმე წავიდეს და შეიქნა ქორწილი. იმის მეზობელსა ჰყავდა მოჯამაგირე. ამის ხაზეინსა ბებია ჰყავდა, ერთი ბერი ქალი. ამ ბერი-ქალს უთხრა მოჯამაგირემ: — ბებია, შემრთავ ამისთანა ქალსაო? — სულ ადვილად, მაგას შეგრთავ, ხოლოთ თუ დაიპატიჟებთაო ჩვენსაო! — დაიპატიჟეს ეთერი და აბესალი; მეორე დღეს ამ ბერმა ქალმა კარების თავზედა შედგა ლახრი და ვაება. რომ შევიდეს აბესალი და ეთერი, აბესალს არ დეეყარა ეს ლახრი და ეთერს თავზე ქვე დეეყარა. იქეიფეს კარქა და წავიდეს თავის სახლში. ერთი კვირას შემდეგ გახდა ეთერი ავად. უვლის აბესალი, მარე დაეხვია ჭიანჭველა და აბესალს მიეწყინა ამ ქალის მოვლა. მერმე გამოიტანა ე ქალი გარედ და — ვის გინდა ქალი ეთერი, მზევით ამომავალიო! — დაიძახა. გამოვიდა ბებია, გაწმინდა ეს ქალი ხელათ, მოარჩინა, შეიყვანა თავის სახლში. მერმე აბესალი ავათ გახთა ქალის მჯავრითა. შეუთვალა ეთერსა: — რატომ არ მნახულობ, როცა ხედავ ჩემ გაჭირვებასაო? — გამოეპარა ეთერი და მივიდა აბესალიანა. აბესალი სიხარულით მორ-

ჩა. მაგრამ ეს ქალი ისევ გახდა ავათ... მოეწყინა კიდევ ამ ქალის მოვლა აბესალსა. გამოიტანა გარეთა და ისევ გადმოაგდო: — ვის გინდა ქალი ეთერი, მზევითა ამომავალიო? — მივიდა ბებია. ისევ გაწმინდა ეს ქალი. წაიყვანა სახში. ე აბესალი გახდა ავადა. აწე ამ ქალს შემოუთვალა, რომე: — რატო არ მნახულობო? — რა ვქნა, ცხრა მული გვერდში მიდგასო! დედამთილი თავქვეშიო და ვერსაით გამოვეპარეო! — მაგრამ, როდესაც იყო, გამოეპარა. მივიდა აბესალთანა და დახედა, აბესალი ვეღარ იცნო: — აბესალი კაცათ აღარ არის. დაჯდა და დასძახა: — აბესალო, ბესიაო, პირი კედლად გექციაო, აიხედე, შემომხედე, რა აუგი მიქნიაო? მოყვრისეულო ჯაყვაო, ჯიბას ძიდევხარ განაო, ამოგიღებ და დაგიცემ მარცხენა ძუძუს თავსაო!

მართლაც, ამოიღო და მოიკლა თავი ეთერმა... დაეკვდა აბესალსა ზეითით.... დაიხოცნეს ორნივე და ახლა მოჯამაგირეც მოკვდა ჯავრით... წაიყვანეს ესენი და სამნივე ერთად დამარხნეს. აბესალსა და ეთერზედა ვარდი ამოვიდა, მოჯამაგირეზედა — ეკალი.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა...

12. მ ე კ უ რ დ ღ ლ ე

იყო ერთი მეკურდღლე და დადიოდა კურდღლებში. მერმე გამოიარა ერთმა კაცმა და უთხრა: — შემიაფხანიკეო! — კარგიო, შეგიაფხანიკებო. — მეორე დღეს გამოიარა ხუცესმა, უთხრა: — შემიაფხანიკეთო! შეიაფხანიკეს. წავიდეს მეკურდღლეები და მეორე კაცი დასტოვეს შინ — ხუცესი. — კურდღელი მოგვიხარჩე და დაგვახვრენდეო! — ჩაადგა და მოხარჩა კურდღელი. ქვაბის გადმოღება როდესაც უნდა, ამოჰყო თავი მდევმა მიწიდან და უთხრა ხუცესსა: — მოიტანე ე ხორცი და წვენიო და პირში ჩამასხიო! — მიიტანა და ჩაასხა. დარჩა ცალიერი ხუცესი. ამ დროს შემოიტანეს იმათ არჩვი მოკლული. უთხრეს: — რათ არ დაგვახვრენდეო სადილიო? — ხუცესმა ვერაფერი უპასუხა, გაიბუტა და იყო...

მეორე დღეს წავიდეს ხუცესი და მეკურდღლე სანადიროს. მეცხვარე ქვე დასტოვეს: — კურდღელი მოგვიხარშე და დაგვახრენდეო! — ჩაადგა და მოხარშა. ამ დროს ამოჰყო თავი მდევმა და შეუბღვირა: — ჩამასხიო პირშიო!— მეცხვარეს შეეშინდა და ჩაასხა. მდევსა ხორცსა და წვენსა რომ ჩაასხმოდეს, თანდათან გრილდებოდა. მოვიდა და უთხრეს: — სადილი რათ არ დაგვახვრენდეო? — ვერაფერი უთხრა და გაიბუტა და იყო...

მესამე დღეს დარჩა თვითონ მეკურდღლე. როდესაც იყო, მოკლეს არჩვი. ჩაადგა მეკურდღლემ კურდღელი და, როდესაც იღებს ამ ქვაბსა, ამოჰყო მდევმა თავი. უთხრა: — ჩამასხი პირშიდაო!... — ცოტა ამოიწიეო და ჩაგასხამაო.— მთლად ამოდიო და ჩაგასხამო, — ბოლოს ეუბნება. — ამოვიდა და ჰკრა შვილ-დისარი და გააცივა... მოვიდეს და დაახვრენდა და ამათ უთხრეს: — ჩვენცა მაგისი გვეშინოდაო.

მეკურდღლემ უთხრა ამათა: — ჩაამბით ხრეშიდაო საბელიო და ჩამიშვით შიგაო... ჩავიდა და შით მზეთუნახავი იყო.

— ქალაო, უნდა შეგირთოო! — უთხრა. — მზეთუნახავი არა შვრებოდა, ეს კაცი კი არ ესმოდა.

— თეთრი და შავი და რუხი ცხვარი გამოივლიანო: თუ რუხს სტაცე ხელიო — შენი ვარო, თუ არა, არაო!...

გამოიარეს და ვერომელსა ვერა სტაცა. არ ებმის მაინც და არა. გაარღვია დედომიწა ამ მზეთუნახავმა და ჩავიდა ქვედა ქვეყანაში... ეგრე მოშივდა მეკურდღელსა, რომ რა ქნას, აღარ იცის, მივიდა ბებიასთან და: — მაჭამე პურიო, თორემ აღარა ვარ მეტიო!

დაიწყო პურის ცხობა ბებიამ და გადეებოტა ვარცლზე.

— რას შვრებიო, ბებიაო?

— რა ვქნათო აპაო, ვეშაპსა აქო დაგუბული წყალიო, თითო ჩაფ წყალშიდაო თითო შვილს თუ მიგვრიო, ქვე მოქცემსო, თუ არაო და არ მოქცემსო.

— აპა წამოვო და მასწავლე, ვეშაპი საცაღა არისო! — წავიდა და ასწავლა ვეშაპისკენ გზა... გაუშვა ამ კაცმა შვილდისარი, დაარტყა ვეშაპსა და მოკლა... წამოვიდა წყლები სუ მთლად. გაიგნო ხემწიფემ და: — ვინ არისო ის კაციო, რას ითხოვს საჩუქრადაო? — არაფერს არა გთხოვო, ხოლოთ ზედა ქვეყანაში ამიყვანეთო...

შემოსვეს არწივზე ე მეკურდღლე და: — საცა პირი გაიღო არწივმაო, თითო ლუკმა ჩაუდე პირშიდაო, ხვირჯინებში რო გიწყვიაო, — უთხრეს... მიდიან, მიდიან, და, რომ ააწიეს, ეს არის, და ცოტაღა უკლია, შემოაკლდა ხორცი. გამოითალა ბოლო ბარკალი და მისცა არწივსა! — სინამდვინ ავიდოდეს. რომ ავიდეს და გამოესალმენ ერთმანეთსა, ე კაცი მოიკოკლობდა და ისრ მიდიოდა. ნახა არწივმა, — რა გაკოკლებსო?

— ხორცი შემომაკლდა და გამოვითალეო და იმითა ვკოკლობო! — მოვიდა ე არწივი, გამოუსვა ფრთე და მოარჩინა ე კაცი... არწივი თავის სახში დაბრუნდა და ის კაცი ქვე წავიდა თავის სახში.

18. გულთმეცარა და ხვთისავარა

იყო ერთი მეფეული კაცი. ჰყავდა ორი ცოლი: ერთი შავი და მეორე თეთრი. ეს კაცი სულ ამ შავ ქალთანა წვებოდა. ამ თეთრმა უსაყვედურა: — იმასთან ქვე წვები და ჩემთან არაო! — მეფეულმა უთხრა:

— აი იმასო წავიყვან თავის სახთსაო და მერე შენთან დავწვებიო! — წაიყვანა და წაიღო საპალნეებითა ღვინო! ქალმა ენახშა: — ესო ჩვენი თავისახთის გზა არ არისო.

— ეს არისო, შენ უღან ქვე შეგეშალაო... — წავიდენ და რომ მივიდენ ერთგან, დაიღალა ქალი და უთხრა — მოვისვენოთო. — დაიდვა თავი მუხლზე და ქვე დაეძინა. ეს კაცი წამოდგა, მიიტანა ჭროხი ქვა და ის დაუდგა თავქვე. წამოვიდა ეს კაცი და ცხენები წამოიყვანა. გემოეღვიძა ამ ქალს და დაიწყო ტირილი... შემოიღობა წნული სახრეებით და დაშობა შვილი. დაარქვა ხვთისავარა. ერთს ღამესა სულ შემუეხვივნეს ნადირი ამ ქალსა, მარე ე ქალი არ შეეჭამეს...

ეს რომ გაიზარდა, ხვთისავარა, დაიწყო ნადირობა. მიდის და მიაგნო ერთს გზასა. გაჰყვა ამ გზასა და წავიდა. მივიდა მეფეულთანა. აიღო ხვთისავარამ და ხელში ქარივით მოხვთა. აიღო და გადააგდო — ქვე ხომ არ მამასხარაეფო, რაშა სეედო მა კინტუაებსაო (პატარა ნაჭრები). რახან შენ არ იცი, ასე ჰქენო:

ასი ფუთის სიმძიმე უნდა იყოსო და სიგრძეო ოცი არშინი... გაჭედა ძლივს, ვერ ერეოდა, ის კიდე ქვე ეშველებოდა... წამოიღო ღვთისავარამ და სულ არ ემძიმებოდა ხელში. დაიწყო ნადირობა და ნადირს მარდად ხოცდა და რჩებოდენ დედა და შვილი. უთხრა შვილმა:—დედაო, გლეხა სახშიდა ვდგავართო, დევებნი არიან აი იმ კაჟ სახლებშიდ და დავხოცო და იქ დავდგეთო. და ყველანი დახოცნა, მაგრამ ერთი კოჭლი დევი დარჩა. სახლის თავში დაემალა. როცა წამოვიდა ხვთისავარა სანადიროს, ჩამოვიდა კოჭლი დევი სახლის თავშიით. — თუ ქალათ შემერთვი, თორემ მოგკლამო. — კარგიო. — შეერთო ქალათ. იხმარა ე ქალი. ცოტა ხანს შემდეგ დაეწერა ვაჟიშვილი. იმას დაარქვეს გულთმეცარი. წავიდეს ეს ორნი ძმანი სანადიროს. ერთხელ დედას უთხრა: — შვილები რათ გეწერებაო? — მეო ხვთისაგან მიჩვევიაო... ერთ დღეს წავიდეს ორნივ ძმანი სანადიროს. ჩამოვიდა და უთხრა დევმა: — ხვთისავარი მოვკლათო და გულთმეცარა გვარჩენსო.

— არაო, — დედამა... მარა მერე დეეთანხმა. — რანაირათ მოვკლავო?

— სახლის თავში შეეიტან ქვებსაო. რომ შემოვა ხვთისავარა დავკრავო.— რავაც წავიდეს სანადიროს, გულთმეცარა მიხვთა. უთხრა ხვთისავარას: — წავიდეთ შინაო.

— ჯერ რა დროჟს შინ წასვლააო! — წამოვიდეს შინა, კარებში რომ მივიდეს, უთხრა ხვთისავარას: — გაჩერდიო. — მერე მოჰკიდა ხელი ხვთისავარას: — ვიბურსალოთო, ვიტრიალოთ და ისრე შევიდეთ შინაო!

შევიდეს ისრ შინა... ამ დევმა ვეღარ გაარჩივნა და ვეღარ დაარტყა... მერმე უთხრა ხვთისავარასა: — ერთსა რამას გეტყვიო, თუ დედაჩემს არ მოჰკლავო. — არა, არ მოვჰკლავო! — დევი არისო აქაო, კოჭლიო და ის დადის დედაჩვენთანაო... მიიწია ხვთისავარა დედასთან მოსაკლავად, მაგრამ გულთმეცარმა არ მიუშვა. შევიდეს სახლითავში, ეს დევი დაჩეხეს, ნაკუწ-ნაკუწ აქციეს და დააყარეს შარამი და სთქერდეს. — რადგან ესრე სიგლახე ჰქენო, ჩვენ მოგშორდებითო! — წავიდეს და დეეკითხეს ერთმანეთსა: — შვილდისრები გავუშვათო და საცა დაეცემა, ჩვენი საქალოც იქ იქნებაო! — ხვთისავარმა გაუშვა აღმოსავლეთისაკენ და დაეცა აღმოსავლეთის ხემწიფის კარსა. გულთმეცარმა გაუშვა დასავლეთისკენ და ისიც დასავლეთის კარსა დეესვა. ჩავიდეს და შეხვდა საქალო. შეირთეს ქალებათ. ხვთისავარმა წავიდა სანადიროს. ამ გულთმეცარმა იცის, რომ ხვთისავარა ცოლოურთისას იქნება. მივიდა გულთმეცარა და შევიდა იმათ სახლში. ამ ძმებს ერთმანეთში ვერ დაარჩევდი და იმათ ეგონა, თუ ხვთისავარაააო. ხვთისავარაჟს ცოლი და გულთმეცარა დააწვინეს ერთად, გულთმეცარამ იცის — ეს ქალის ხვთისავარაჟს ცოლია. და რომ ერთმანეთს არ მიკარებოდეს, ჩადვა შვა ლოგინში ხრმალი: — რომელიც გადავიწევითო, ის შევეკრებითო. გულთმეცარას ნეკი-ღა მიაწვა... ქალმა მამამის უთხრა დილაზედა: არა, ისიო მე არ მეკარებოდაო! — გულთმეცარამ აუშვა შვილდისარი და დაიძახა: — ღმერთო და ჩემო გამჩენო, რაჟთაც მივეკარე, იმაზედ დამეცემოდენ ე შვილდისარიო! — დაეცა ნეკზე და მოსდინდა სისხლი... გულთმეცარა წავიდა ცოლეურს. გაიგნო ხვთისავარამ, გულთმეცარი რომ ყოფილა. მოვიდეს ერთად და ცხოვრობდეს.

14. ბეჟანის ამბავი

არმოელთა ჭალა იყო ღორით სამსე. ფარანი ბატონი ჰყვა, მოყმეებს უთხრა: — ვინა ხარ მოწიფულიო, წახვიდე და ღორი გასწყვიტოო. წამოხტა ბეჟან ჯიშიანი თავიდან ნასიმბირალია. — მე ვარ მოწიფულიო. — წავიდა და მაგრა არის. გააყოლეს ბიძა გურგენ. — გურგენო, შენო თან გაჰყეო, საქმე იცი აქაურიო. — წავიდეს და გურგენმა უთხრა გზაშიდა: — დავისვენოთო! — ბიძიაო, არაო, ბიძიაო! ბატონისა ნაბძანებსა მაშუარი არ ეთქმებაო. დღეს რომ ღორებს არ შევება, უამისობა არ იქნებაო. გადახედეს ჭალას და სულ სამსეა ღორით იქაურობა. ამ ბეჟანს გული უხარობს. გურგენს გული უწუხდება... გურგენს შეუტევა ღორმა და გურგენს დაეცა თავმსხლაფი, ხეზე გაეკრება. ბეჟანს ტახმა შეუტევა, ჯაჭვის კალთა გააგლიჯა. ბეჟან ესროლა ისარი და ტახი იქავ წააქცია. — ბიძა, გურგენ, ქვე ჩამოდი, ღორის ანგარიში ქვე ჰქენ. ღორსა ქილი აართვიო, ასორმოცად შეთავდება. გურგენმა რომ იანგარიშა, ბეჟანს უთხრა:

— ბიძა ბეჟანო, ქალს რატო არ ითხოეო, თავი რო ქვე გექებებაო!

— კარგსა ვეძებ, ბიძაო, და ვერ შევხვდი და ცუდი არსად მეფეთებაო.

—მე ვიციო შენი საქალოო, ბალხეთ მანიჯა ქვიაო.

— მეცა მცოდნია, ბიძაო, ქალი, მარა —თავს არისო ავი საშოვიო, ბოლოს დროს ღალატოვანი...

— მე და ჩემი ძმა გივიო ბევრჯელა ვყოფილვართ და ლხინი გვინახავსო ბრავალიო! — გაატყუა რაღა. ადგა ბეჟან და წამოვიდა.... მივიდა მანიჯაძს წყაროზე და ავლის ხე დგას. მოსტეხს შტოსა და თავზე დაიყენებს გრილს. გადმოხედა მანიჯამ და ძიძას უთხრა: — ერთსა რასმე გეტყვიო: ჩვენს წყაროზედაო მოვიდა ვინმე ყმაწვილი და თავზე იყენებს გრილსაო. თუ ვინმე ერალერთია, ის ჩვენი დამარხველიო. თუ ვინმე სხვა არის, ის მამაჩემის მკვლელია, მტერიო! — მივიდა ძიძა წყაროზედა და შორით ელაპარაკება:

— ვინა ხარო?

— მე ესე ვარო, ბეჟანიო!

— მოდი ახლოს და ყველას გეტყვიო, რაც ქვე ვიცი, ჩვენებურათო.

— ახას თითის ნეკ-ბეჭედი, არ გიმტყუნო ქადებულიო! — ადგა ძიძა, წამოვიდა ცეკვითა და კუნტრუშითა. გადმოხედა მანიჯამა და: — ბეჩა ძიძაო, კაცრამ გიჩანს ფერიო, იმით მოხვალო ცეკვობითაო. შევიდა ძიძა და: — ვის მოველოდით, მოვიდაო, თუ მამის არ გეშინიაო...

— არ მეშინიაო, მოიყვანეო, დაიპატიჟეო! — წავიდა და მივიდა და: — გვეწვიეო!

— ვერ გენდობიო.

— ახას თითის ნეკ-ბეჭედი არ გიმტყუნო ქადებულიო: — ადგა, წახყვა, შევიდეს და გადეეხვიეს ძიძა და ბეჟანი. დაჯდეს. იმუსაიფეს. ცხრა და ცხრა ღამე სულ წვრილი ხმით იბღერეს სამნივ. გაუგნია არმოელთა და მივიდეს აწე და მტრები იყენეს წინათ. მოვიდეს, დაჯდეს, დაიწყეს სმა. იმღერეს და დათვრა ბეჟანი. არმოელნი ბევრნი იყენეს, გადაჭედეს ტყვიით. ჩაენახშეს: — ბეჟანო, გაიძარო! — გაიძრა და შეიცალა ტყვივა და სუ შეიგლიჯა. გამჯავრდა ბეჟანი: სუფრას წამოჰკრა ხელია, ოქროს თასები დატეხა, სასასმე მისი ფერია-

დაუგემრიელეს: — ბიძაებმა გაადეს, თუ შეუძლიაო, მართლა არ იყოო. დაუდეს კიდე სმად. უნდა დაიჭირონ. უთხრეს:

— ბეჟანო, რა უნდა იქნენო შენი გამძლეო?

— ჩემი გამძლეო არაფერი არ არისო, ჩემი შვილდისრის ბაწრის მეტიო. — წავიდეს და მანიჭას აქ იგი მიბარებული. უთხრეს: — ბეჟანმა გამომიგზავნეო შვილდიო! — მოსცა და წამოიღეს ეს მშვილდი, დაახვევნეს არმოელნი და ვერ მოდრიკეს, ვერ შეხსნეს... გაჭრეს მერე. (ბეჟანი არ იყო აქა). ოთხი იქით მოკლა, შვილდი გაიჭრა, ოთხი აქეთ; გაიშო, რომ გაჭრეს... მოიტანეს ეს ბაწარი და ჩუმეთ აქ შენახული. ღალატობა უნდათ და იმიტომ დაათვრეს ბეჟან და შეუჭირეს ბაწარი. — გაიძარო, ბეჟანო! — და ვეღარ გაიძრა. დაკაკვეს ამ ბაწრით. წამოცვინდეს და: გაიძარო, და ერთსა ხანჯალზე უკიდია ხელი — ყაფლანს. — ყაფლან, შენა ხარ მოთავე ჯარისაო. მე ერთი ბუზი მომკალო, ასი მომიკლავს შენისთანაო. ნეტა ხელნიო ხელთა მომცა, ფეხნი კალთას გამიხვიანო და არმოელნი ჩამირიანო. თუ ერთი გადავარჩინეო, არმოელნი დავრჩე ნარცხვენიო. დასწერეს წიგნი (დილას უნდა დაარჩონ ანძაზე) და გაგზავნეს ფირანთან.

ფირან წიგნი წაიკითხა, ითამაშა დანაზედა,
დილას უნდა ადრე ავდგე, იქ ჩავიდა ჭალაზედა,
რაცაღ არის, ის გავიგნო, ეადთუ იყონ ბეჟან გივიშვილი,
ეადთუ შევრცხვე გივისთანა.
ფირან ცხენი გაიხტუნა, ახა კვიცი გამართულა.
ეადთუ ბეჟანს ვერ შივუსწრო, ანძას იყოს გადაცმული.
(შივიდა).
ფირანს ხალხი წამოუდგა, რომ არ დაუდა, ეის აუდგეს,
ნუღარ მოჰკლავთ ბეჟან გმირსა,
მტერობის ხე გამხმარია, ნუღარ გაუნედლებთ ძირსა.
როსტომს უკვან ნუ დააგდებთ,
სირცხვილს თუ გინდა, ის გაჭმევს,
ჯავრს მოკცემს დაულევარს.
გაუჩინეთ სატანჯველი ბეჟანს, მიაბარეთ ორმოს ძირსა,
თავს მანიჭა დააყენეთ, აქვრეტიეთ ცალს თვლითა!

მოსთხარეს ორმო და ჩადვეს ბეჟანი შიგა და სარკმელი დაუტოვეს და მანიჭა დაუყენეს. წავიდეს, რაც ერანელნი (არმოელნი) იყვნეს. მოიტანეს დიდი ქვა და დაადვეს და მანიჭა თავს დაადგა და ჭვრეტს. უთხრა ახლა ბეჟანმა მანიჭას: — წადიო, ბეჩა, ბაზარზედაო; ბერი კაცი შეგხვდებაო და გაჩუქებს და რომ შემოგიძახონ, ნუ შეგეშინდებაო! — წამოვიდა და შეხვდა როსტომი — ბიძიამისი. კი არ გაემოეცხადა, რომ ესე ვარო, ვითამ მთხოელია: — ტუსაღს ვადგივარ და მიწყალობეო! — აიღო ბეჭედი და ლაფაშში გახვია და: — არ გახსნაო და, რავაც მიხვიდეო, მიეციო! — წამოვიდა და მისცა და გაიცინა ბეჟანმა. ე ქვა ზე ააგდო, იძოდენი გაიცინა; ჩაიხვნეშა და დაედვა ეს ქვა ისევ.— შითხარ, რაჲზა გაიცინეო?

— მცთარი ხარო, დიაცი და არ გეტყვიო.

— არ ვიტყვიო!

— მოვიდა ჩემი მაშველიო!....

გამოგზავნა მერე მეორეთ ბაზარზე. — წადიო და შემოგიყვირებს და არ შეგეშინდესო.

— კიდე მაჩუქე რამეო!

— წადიო და, რაც შეშა შემოვიდეს ბაზარზედაო, იყიდეო და მიიტანე ოქაო. დაანთე ცეცხლი და მეც მოვალო იმ დროსაო. — გამოგზავნა და იყიდა შეშა და წაიღო. როსტომა იყიდა შვიდი გმირები და ჩასვა ტომარაში, მოიდკა ბეჭზე და ურია მოდის. წამოინახშა:

— რაც ამ ვაჭარმა ქნანო, ნართის ქალაქმა ზღონო!

— რაჲ, რაჲო, — მოენახშა. — ენა გამოსწვადეო! — ამოჰკრა ენას, რომ არ ამიეცალა ენა, წავიდოდა და იტყოდა... წავიდა როსტომი აწე და მიაწია ცეცხლზედა. მიუშვნა აწე გმირები ქვაზე და უნდა მოაცალონ. ვერაფერი ვერ დააკლეს. „შვიდთავეს სწორა ასწიეს, ვაჲ დედაზურგის ძვალებო!“ დაიკალთა როსტომა: — ჩემო გამჩენო ღმერთო, თუ არ დავბერებულვარ, არმოელთა ციხის წვერზე მომავლებიეო, შუაზედაო მაინც მაკვრევიეო. — დაავლო ხელი ქვასა და წვერიც მოარონია და ერანელთა ჭალაშიდაც დაჰკრა... ბეჟანს უთხრა:

— ამოე ზეო!

— არაო!

— აბა, რაჲ გინდაო?

— თუ გურგენს მომაკვლევიებო, ამოვალო. ვაშლი რომაა, იგი მაკვრევიეო!

— კარგიო! — უთხრა, ამოვიდა ბეჟანი. წამოვიდეს. არმოელთა გაუგნია და გამიეკიდნეს. მარა მოსტყორცნეს ისარი და ცხენის ბარკალს მოახვედრეს. ვერ ამოიღო ეს ისარი ბეჟანმა. როსტომი დასწვდა და ერთი ხელით ამოწვადა. როსტომა მოსტყორცნა ისარი. დაეხვევნეს ერანელნი და ვერ ამოიღეს და ცხენს მოსჭრეს ბარკალი და მიატოვეს ცხენიანა. შეხვდა დევი ცხრათავიანი. ერთი კბილი აქვს იმოდენა, რომ ცხენოსანს დაჰფარავს.

— ვინა ხართო თქვენო? — დაუთვალოებულია დევი.

— ჩვენაო ერანელნიო.

— მაჩვენეთ თქვენი მკლავიო! — უშვერს ბეჟანი მკლავსა.

როსტომი ეჩურჩულება: — შე ბედითო, ხე მიუტანეო. — მიუტანა და დაფშვნა დევმა ესე...

— აბა, საგზალი მაჩვენეო! — პურს იღებს ბეჟანი.

— შე ბედითო, ქვა მიგვარეო! — მიუტანა როსტომის სიტყვაზე ქვა, ჭალის ჯოხი და გაფშვნა და გადაყარა ზედა.

— ყველიო! — ახლაც ქვა მიუტანა... დაფშვნა...

— დამცირებულხართო, არმოელნოო...

მახარობელი მივიდა მამათან: — ბეჟან მთელი მოდისო. მივიდეს და გადმოუგდო აწე ვაშლი, ბეჟანმა უთხრა:

— რავაც ჩემზე გაიარეო, ისრე შეგარგოსო! — გურგენს ქვე დასცდა და მოხვდა რკინის ბოძს და გაწყვიტა...

სთხოვეს მერე ერთი დიდი დევი, შეპირდეს თურმე ერთხელ — ასე გიზამო... აწე უნდა წავიდეს იმის საჭიდოდ...

— მამა, მომე შენი ცხენი, შენი ჯაჭვი ჩამაცვიო, შენი ლახტი ხელჩი მომე და ქუდი დამახურეო...

— ჩემი რათ გინდაო, შენი არა გაქო? მე ბეჟანს იმას ვერ შევყრიო, ბრიყვია, უცოდინარიო. ის დევი კი გამოცდილიო. — არ მიუშვა და წავიდა, მიადგა ბეჟან დევსა კარსა.

— დევო მყრალო და გონჯოო, გამოე გარეთო. მე და შენ შეეპირდით ძგერასაო. გვერჩია გადაგვეწყვიტონ, ერთი ველოდეთ შველასაო! — გამოვიდა დევი და:

— ხვალაო!

— არაო, აწო... — იპიდნეს. რკინის კალო აქვს დევსა. დაუფარა ფეხი. მოიქნია კიდევ ბეჟანმა და დაასვა წვივსაკონამდინ. მოიქნია დევმა და ცოტა ქვემოთ დაასვა. მოიქნია დევი. დასჭრა ცხრა თავი. შესჯდა ცხენსა და წამოვიდა. კიდე მივიდა გივისთან მახარობელი, — დღეს გივის ცხენმა ივარგა, ბეჟანი მოდისო მთელიო... — მისცა სამახარობლო იგი და დავსჭერიო თავებიო. ყურები ამოიღო და აჩვენა. გაეხარა გივის.

იყვნეს და ცხოვრობდეს.

15. ყოჩაღი ვაჟაკ

იყო ერთი ქალი და ჰყავდა ორი შვილი. იმათა ჰყავდა ორი ქათამი და ისინი აცხოვრებდეს იმათა... ერთხელა შეიყვარა ე ქვრივი ქალა სხეაგნებურმა კაცმა. ი კაცმა უთხრა იმ ქალსა:

— ე შვილებიო გაყარენო! მერე მე გითხოვო. ქათამი დამიკალ და ისე დამახვრედნეო და გითხოვო; არაფერი არ უნდა მოაკლო, ისრე უნდა შეინახოო! — აწ ამ ქალმა უნცროს კუჭი მისცა და უმფროს თავი. კაცმა იქირავა ერთი კაცი და უთხრა:

— ე შვილები წაიყვანენ შენ და ერთ უხვიან ტყეში მისტოვეო! — მოვიდა აწ კაცი ამ ქალთანა და: — აპა, ქათამი რა უქენო? — თავი და კუჭი აღარ დახვდა.... უთხრა: — აკლიაო ხომო? რაკი ეგრე ჰქენო, აღარ გითხოვო! — ამ უცროსმა, კუჭი რომ შეჭამა, მეცნიერია, მცნაური; უმფროსი კი ოქროს აჩენს, დილაჲთ რომ ადგება, საჲსთუმალში... ამ კაცმა წამოიყვანა და ველი იყო დიდი, ი ველს გამოსცდა. უხვიანი ტყე იყო მაგრა... იმას უნდა ეს ორნი ვაჟანი დეეკლნა და მათ სისხლში პლატოკი ამოეცურებინა... კურდღელი ნახა ამ კაცმა და იმათ ვეღარ გაუბედა დაკვლა. ხორცი იმათ აჭამა და სისხლში ამოაცურა პლატოკი და წამოიღო და მისცა იმ ქალსა. ეს ვაჟეები მისტოვნა მძინარნი ბნელ ტყეშიდა... გამეეღვიძნეს ღამით და ტიროდეს ძალიან. წამოვიდეს ორნივ და ჭისკარი იყო დიდი და იმ ჭისკრითა დილაჲთ ქვე იღებოდა და საღამოჲთ ღია იყო. ამ უნცროსმა შეასწრო და ზე არ ჩაიკეტა?... ე უფროსი გარეგნი დარჩა. წამოვიდა აწ ეს უნცროსი და მედუქნეებთან მივიდა... წაართვა ერთი ოთახი და მან პური და საჭმელი მოსცა. მერე უთხრა მედუქნესა: — აქ შეიერთდებიო აწეო?

— შეგიერთდებიო... — მერე ოქრო და ვერცხლი რომ აჩინა, გეეხარა ამ კაცსა. წამოვიდა მერე ე ვაჟაკ და ერთი ქალია მზეთუნახავი. იმასა ბანალი აქ გძელი, რომელიც მხრებამდინ აწვდება. ისია მისი საქალო... ვაჟმა გამოგზავნა ხარ-კამეჩი ოქრო-ვერცხლის წასაღებად. სანამდის ამ ოქრო და ვერცხლს დაადებდნენ მხრებამდინ ასწვდა და დარჩა მერე ქალი იმ ბიჭსა. ე ქალი არ გაუჩერდა ვაჟასა და მოვიდა ბაზარშიდ. ე ქალი ყვირის: — ვის გინდა ქალი მზეთუნახავიო? — ერთი კაცი გამოვიდა და მოჰკიდა ხელი ამ ქალსა.

— შენა ყოფილხარ ჩემი საქალოო, — უთხრა. ქალი არ ჰყავდა იმ კაცს და

ტიალათ იყო... ი ქალი რომ მიიყვანა, დეეწერა ერთი ვაჟა. ი ვაჟა აგზავნიდეს სამწყესურში. ერთ ღამეს გაერთო ორი ცხვარი და დედ-მამამ აღარ მიუშვა სახლში. იმ ღამეს ნაძვის წვერშიდა ყოფილიყო ი ვაჟაჲ. როცა იყო მოსძებნეს ამ დედ-მამამა ბიჭი, იკითხეს სოფელშიდა და ვერაფერი გაიგნეს... ი ბიჭი ჩასულიყო დუქანშიდა. დაინახეს და წაიყვანეს შინა და მოუყვა ე ბიჭი — როგორ დეეკარგნეს ცხვრები... მოორე დილას გამოეწია საძებრადა ტყეში, დაუწყო ძებილი ცხვრებსა. უცებ ნახა ი ცხვრებნი, ნაძვის ქვეშ მიწოლილიყვნეს. დედ-მამას ერთობ გეეხარა, რომ ცხვრებნი ნახეს და ბიჭიცა. ბიჭი, რომელსაც მზეთუნახავი გამეექცა. იჩხუბოდეს სამი დევი, ზღვის განაპირასა. ეს სამი დევი იჩხუბოდეს. ერთი რკინის კეტი იყო, წყალში რომ შემოსულიყო, იმ რკინის კეტს ვერაფერი წააქცევდა. ერთი ქუდი იყო: პურის ჭამაზედ რომ დაქდებოდა კაცი, ვერა ნახევდა იმ ვაჟასა და ხალიჩა იყო იმისთანა, რომ შემოქდებოდი, საცა გინდოდა, იქ აფრინდებოდა... ამა ვაჟამ წამოიღო ეს სამივე და მოვიდა მზეთუნახავთანა.

ე ქუდი დაიხურა, პურის ჭამად იყო მზეთუნახავი. რამდენ ნატეხს მოიტეხს, იმდენს ე ვაჟაჲ ჭამს, ართობს... კიდე მოიტანა ორი ნატეხი და ა ვაჟამ კიდე წაართვა. ე ქალი ნახშობს: — რა მემართებაო? სხუმის არა მქონია და ახლა რა მემართებაო?! — მივიდა ჩაფზედა წყლის დასალევად. ქუდს ხელი მოჰკიდა და ე ვაჟაჲ კი შიგა ნახა.

იმდენი სცემა, რომ მეტი არ შეიძლება რკინის ჯოხითა. ხალიჩაც წაართვა, ქუდიცა და რკინის კეტიცა... ე ვაჟა გამოუშვა ტირილითა... ერთხელ ამ ვაჟას მისძინებოდა კლდის ძირსა, ერთმა კაცმა ნახა და ძალიან შეეცოდა... — ვინ არის ამის პატრონიო, რომ არა ჰყურობსო? — წამოიყვანა ე ბიჭი და მიიყვანეს იმ მედუქნესთან, რომ: — რავა ღამითა სტოვებს ესრე ტიალათო! — ჩაამწყვდიეს ნაობახში. მერე ამ ვაჟას დარჩა მისი დუქანი და სუყველისფერი... ე ვაჟაჲ იქა სცხოვრობდა კარქა... გამოსწია ამ ვაჟმა და მოვიდა, ერთი მაღალი ციხე იყო. იქ იყო დათვი, მელია, არჩვი, ჯიხვი, ირემი, კურდღელი, სპილო და ლომი. სუყველაფერს იქ მოეყარა, გარეულ ცხოველებს, თავი... აქ ვაჟაჲ ძლიერ შეშინდა. ესროლა შვილდისარი და მოჰკლა კურდღელი. წამოიყვანა და შეწვა და შეჭამა. ე ბიჭი დილაზე გამოსწია და წამოვიდა, მივიდა ერთ დიდ მინდორზე. აგრე გაშლილი შტოლი დახვდა და სახლები იყო რკინის აგებული. შევიდა და იქა სცხოვრობდა კვაჭა (კოჭლი) დევი. ამან უთხრა:

— რა გინდაო შენაო აქაო?

— როგორ არ მინდაო აქანაო, ჩემი სახლი არისო, აღარსად მივალო მეო! — დიდხანს იჩხუბეს. ბოლოს დაიღალა კვაჭა დევი. ამ ვაჟამ წააქცია და მოკლა და ე სასახლეები დარჩა ამ ვაჟას...

16. რვა ძმაკაცი

რვა ძმაკაცი იყო. ამ რვაში ერთი ძალიან მეცარი იყო; სულ ყოლიფერი გაეგებოდა. უთხრა დანარჩენ ძმასა: — ერთი კაცის ქალები უნდა ვითხოვოთო: წავალ და მოვძებნიო, სადაც იქნებაო. — წავიდეს, იარეს, იარეს და მივიდეს ერთ მოსახლისას.

— არავისთვის გეგულება რვა რვისთვისო?

— როგორ არა, ჰყავსო და ის კაცი დევი არისო. — ავი სანდო კი არის, მარა იცის, რომ შეუვა... მივიდეს და დედაკაცი დახვდა სახში. ი დევი სანადიროს იყო წასული. მოვიდა და უთხრა ქალსა საღამოზედა:

— ადამიანის სული იცემაო.

— არისო, რვა კაცი მოვიდა და რვა ქალიშვილი გვყავსო, რვასავე ქვთხოვილობსო.

— კარგიო არ ვერჩიო! — გამოაჩინა და უცებ ნემსებათ გადაქცევენა და კედელში შეატანა. გამოიყვანა და ისევ ადამიანებად გადააქცია.

— გამარჯობა თქვენიო!

— გაგიმარჯოსო! — გაეხარა ამ დევსა. უნცროსმა უთხრა:

— მოგვცემო თუ არა?

— მოქცემო, — წაიყვანეს და თავ-თავის ოთახებში დააწვინეს რვავე ცოლებიანათ... აზრიანი რომ იყო, მეცარი, იმანა თქვა: — ამ ქალებს დავხადოთ ტანისამოსი და ჩვენ ჩავიცვათო. თვარემ გამოვა და დაგვკრის თავებსაო შუაღამის დროსაო! — ყველამ გაიხადეს და ი ქალების ტანისამოსი კაცებმა ჩაიცვეს. დაუარა შუაღამის დროსა ამ დევმა და შვილებს დასჭრა თავები. დილაზედ ძალიან ადრიანად ეს დევი სანადიროს წავიდა. დედაქალს დაუბარა — სადილი მომართვიო... ჩაყარა ქვაბში შვილების ხორცი და მიუტანა სიძეს. ქალულათ შეიკაზმა ეს სიძე. მიაძახა დევმა: — რავა გვიან მოგაქვსო ეს საქმელიო? — რა ვუყოთ, დამაგვიანდაო. — ამოყარა ფიალიდან ე ძუძუები და დაუწყო წინა. — ვაჲმე, დედა, რა ამბავია ესაო! — ძალიან გულდაწყვეტილი მივიდა თავის სახლშიდა ე დევი, დაბროგავს ე დევი აქეთ-იქეთა.

რომ ის მეცნიერი არ ყოფილიყოს, დახოცვა არ ასცდებოდა რვათავეე... გულდამძიმებულად ბორდოხობს საწყალი დევი, არაა მეტი კაცი. რომელიც მისი სიძეა, დაჰყარაულობს და ბორდოხობს გულგაცხარებული. ადგა, მორე სახელმწიფოში წამოვიდა. მივიდა და ხემწიფესთან ითხოვა: — მოჯამაგირედ დამიყენეო. — დაიყენა ხემწიფემა. ერთმა დღეს უთხრა ვეზირებმა: — შენ რომ კაცი დაიჭირე, ოქროს ქათამი ჰყავს დევსაო და შენ თუ იმას მოჰგვრიო!

— ვინ გითხრაო?

— ამა და ამა კაცმაო!

— შემიძლიაო, მოგგვრიო!

— აბაო წადიო! — წამოვიდა, ჩაჰგვარა, დიდათ გაეხარა ხემწიფესა. რამოდენიმე ნივთეულობა აქ და წვრილ-წვრილად უნდა გაიტანოს. იმასა ჰქონდა ხალიჩა მისთანა, რომე, რასა ინატრებ, შესრულებოდნეს. წამოვიდა და ისიც წაიღო. მიუტანა და დიდად გაეხარა...

17. მამა-შვილნი

იყვნეს ერთი მამა-შვილნი. მამამ უთხრა შვილსა:

— დედაკაცსაო ნუ დაენდობიო, ახლად მოკიდებულ ნათლიასაო ნუ ენდობიო, ნუ თვალებ ახალის წამოკიდებულისგან ფულსაო!—ჰოდა, დასცადა შვილმა და წავიდა სანადიროს. მოკლა არჩვი, მიიტანა ასე დაღამებულსა. დედაკაცს არაფერი უთხრა. მოვიდა დაღონებული. ეს ნადირი ბეღელში შეინახა.

— რა მოწყენილი ხარაო? — უთხრა დედაკაცმა.

— კაცი შემომაკვდაო, — გამოქცეულა ე დედაკაცი და:

— ჩემ მეუღლესაო კაცი შემოკვდომიაო! — ახლა იმას სხვისთვისა უთქვამს, იმას — იმისთვის...

მოიყარა თავრობამ თავი და:

— აბა, თუ მოჰკალო, — მერე დედაკაცს უთხრა ამ კაცმა:

— მართლა რომ მომეკლაო, ვის უნდა შევენახოო მეო? დაგცადე მამიჩემის ანდერძაო! აღარ გენდობი ქალსაო. მერე ფული ივალა და ახლა ისიც დაბცადა.

18. მათრახი

ერთი დაახლოვებული მეგობარი ჰყავდა ერთსა. უთხრა: — შენ თუ გამოგიშთა ბოშიო, მე მომცემ და თუ შენო, მეო! მძახლობა უნდა მოეხდინა. ერთსა ვაჟა გამოუშთა, მეორეს ქალა. ეს კაცი შორებულია, გამოუშთა ერთსა დათვის ბელა, მეორეს ვაჟა. ახლა უნდა წავიდეს, უნდა ითხოვოს ბელისთვის ქალი და ვაჟასთვისაც გასწიეს და ე დათვის ბელა მამას — სასიძოდ მიდის. ორი ქალი იმასა ჰყავს, რომელთანაც სათხოვრად მიდიან. ჩავიდეს, მიიღო დიდად.

— აი ერთი დათვის ბელას უნდა მიჰყვეო, მეორე ვაჟსაო. ერთმა იხუა. მეორემა თქვა: — მე მივჰყვები ბელასა. მოახდინეს ქორწილი. ადგეს, წამოიყვანეს შინ. მისცა ამ დათვმა. მოიყვანეს რძლებმა. ე დათვის ბელა რომელიცაა, ცალკენა აქ ბინა, რომ, ტყავს რომ გაიხდის, როგორც ოქრო და ვერცხლი, ისე გაღაღანდება. არ უნდათ — თვალი სხვამ შეჰკრას... რომა, იყო და არა იყო, მოხკრა თვალი ერთმა კუდურმა და გასცვინდა ეს ოქრო. ეს დედაკაცი უკვან გასტირდა. მისტირის და ერთ მინდორზედა ავლის ხე არის, ორ-სამ თვეზე გაივსო ეს ხე ოქრო-ვერცხლითა, შეისხა ოქროულობა... ეს ქალი გვერც უყურტვია.

— წადიო და მამაჩემს უთხარი, — თავის ქალს ეუბნება, ბელი, — შიმშილობა იქნება საქონლისა და ბევრ თივა დათიბეო. ერთს კაცსაო მათრახი აქ იმისთანე, თუ შენ თივას მისცემო, მერე ისიო მათრახს მოქცემსო და დამკარო და კაცად გადვიქცეიო. შეიქნა მართლა შიმშილობა და მოვიდა იმის კარზე:— თივა მომეციო და ფულს მოგართმევო, — ფული არ მინდა, რაც დაგისახელო, ის მომეციო, მომეციო მათრახი და თივას მე მოქცემო! — გამოართვა და წამოიღო და დაჰკრა ამ შვილს და კაცად გადაიქცა...

აწე ცხოვრობდეს კარქა.

10. ტარიელისა და ავთანდილის ამბავი

ავთანდილი და ტარიელი იყვნეს. იძმეს ერთმანეთი. ტარიელი უფრო ღონიერი იყო და ძრიელი ხმა ჰქონდა, ავთანდილი უფრო მეცარი. მაშინ იმათ ნესტარ-დარეჯანი წაართვეს ქაჯებმა და გაიტანეს თავის სამძღვარში და ხემწიფის ცოლად შერთეს...

აწ ეს ავთანდილ და ტარიელ ეძებენ გულგაცხარებული. უნდა მოიძიონ. გაიარეს ერთ ადგილას და წყარო გამოდის. ქალი არის აქა.

— ამა და ამ ადგილას ქაჯებმა ქალი გამოიღესო კოშკშიით, ნესტარ-დარეჯანი ჰქვიაო, ქაჯეთსა არისო. ცხენ აქთ და ვერაფერი შეუვათო, იმაში ჰყავთო...

აწე ზღვა არის გასავალი და როგორ უნდა გავიდეს? ერთი ლაფრიდონია და ცხენის ჯოგი ჰყავს. ავთანდილი გულთმეცარია და უთხრა ტარიელსა: — რომელსა ცხენსა მოვკიდო ხელი, შენ ის წამოიყვანეო. ლაფრიდონმა რომ გვნახენო, დაგვწყვეტსო. — მოჯამაგირეები ყავან ლაფრიდონს. დილაზედ გამოხედეს ჯოგსა და მიუტანეს ჩქარა ამბავი ლაფრიდონსა: — ლაფრიდონ, ორთა კაცთა მშვენიერთა ჯოგი მოგტაცესო. — აიღო პირსახოცი, მიატანა და მოკლა.

— ვინ შემოგკადრებსო? — ახლა მეორე მოვიდა.

— ლაფრიდონ, ორთა კაცთა მშვენიერთა ჯოგი მოგტაცესო! — აიღო საკარცხელი, მისტყორცნა და მოკლა:

— რავა გამიბედავდაო! — ამ დროს მესამე შეევარდა და: — ლაფრიდონ, ორთა კაცთა მშვენიერთა ჯოგი მოგტაცესო! — ეს რა ამბავი არისო? — და გაიხედა. წიფელს მოკიდებს ხელს და ვერც უწვდენს — მოკლას. დაუჩოქეს იქიდანა: — მოდიო, სამოყვროდ მოვსულვართო! — მივიდა და იძმეს.

—აბა, ლაფრიდონ, ქაჯეთს მივდივართ და ზღვას გავდივართ, მოგვეცი ცხენებიო. — რომელი კაჲ ცხენები ჰყავდა, დაამუნიანა, — ეგება არ წაიყვანოსო. — აწე ავთანდილი მიხვდა, გულთმეცარია, და მოჰკიდა და მუნიანი ცხენი წამოიყვანა. მესამეზე ლაფრიდონიც შემოსჯდა. რომ მივიდეს ზღვაზედა, ტარიელის ცხენი მუხლებამდინ მიდის, ავთანდილის -- ჭლიკებამდინ, ლაფრიდონის — ყურებამდინ. ლაფრიდონს უთხრეს: — დაბრუნდიო! — დააბრუნეს კიდევაც. თოკ-ბაწარი აქს ტარიელს და ავთანდილს. მეედელს გააჭედიეს რიგიანი პალო. უნდა დაესვას კოშკის მაღლა და ზე აცოცდებიან... გამოაღეს გახურვებული და გადახტა ტარიელი. დაუწვეს თოკები ქაჯებმა, მარე მაინც აასწრო. ახლა ავთანდილი კარებში დააყენა: — სანემ არ გაგიჭირდეს, არ მოხვიდეო, — როცა დაგიძახოო, მაშინ გამოშთიო... დაიწყო ბრძოლობა, კაფავს და კაფავს ამ ქაჯებსა. აწ ძირს ჩამოაწია. ერთმანეთს მცთარობით შეებეს ტარიელ და ავთანდილი.

— არიქა, ძმა ავთანდილო, შემხვდა ჩემი მკლავიო!

— მაშინ არ ვიყავ შენი ძმა, როცა კვერცხულებ გამხეთქდიო! რათ არ დამენახე, სანამ არ გაგიჭირდაო? — გაჩერდეს. ნესტარი წამოიყვანეს და ქვე არ დაფეხმძიმებულა? ხიდია და დახედეს და შეუტევეს ხმრლებით და ერთი წითელი ჯორი და მეორე გააგდო ნესტარმა, მოაბერწეს!

20. სომეხი კაცი

ერთი სომეხი იყო, ერთ კაცს მზეთუნახავი ჰყვა და ის უნდა შეერთვეს; უნდა ეთხოვოს ცოლადა... სამი ძმა კაცი არიან და იმათ ერთი უღელი ხარი ყავან. შეექნა გაყოფილობა. ერთი უფრო წასუნელო იყო. გაიყვანეს. ერთი უღელა სუნელს ერგო. წამოვიდა და ბაზარში გავყიდოო! მივიდა ჩეროში და მოუვიდა ძილი. აიღო და ერთი ძარი ძილს აჩუქა. დასტოვა, წამოვიდა, გამოიარა და ერთი ხარაბუა ნეხეს მიათრევს.

— რავა ფეხებით აგორებო?

—არა მყავს ხარიო. — აიღო და თავისი ერთი ხარი აჩუქა. მივიდა ერთი შამასახლისისა: — ხარები მყავდესო და გავაჩუქეო.

— ერთ კაცსა მზეთუნახავი ჰყავსო, იმას გააცინებს, ის იმას დარჩებაო!— ასწავლეს და მივიდა.

— ორი ხარი მყავდეს და ერთი ძილს ვაჩუქე და მეორე ხარაბუასაო. — გაიცინა ქალმა. შერთეს. შეუშთა ერთი სომეხი: — იმ ღამეს ნუ გასცემ ხმასა და ათას თუმანს გაჩუქებო! — დეეთანხმა.

— რა ქნა შენმა ქმარმა წუხელო. — დეეკითხეს დილაზედა.

— არაფერიო! — კიდევ ორასი თუმანი აიღო. გაუყუჩდა, არც მესამე ღამეს... წაართვა სომეხმა ქალი. ამ კაცმა დაინახა: — ამაღამ თუ რამეს მიშველი, ძილოო. — მოვიდა ძილი და ეს სომეხი დააძინა და ვერაფერი ქნა.

ქალს რო დილაზედ ჰკითხეს, თავი გააქნია იმაზედაც მეორე ღამესაც ასე იყო და წაართვა ისევ ქალი წასუნელომ.

21—24. ავთანდილი

ავთანდილ ქედნი მაღალნი სამხრამდინ გადიარა, ირემსა ფერდსა კრა ბოძალი ორბი ფრთიანი... შემოიკიდა ცხენზე, გამოიტანა მინდორზედ. ცეცხლი დაინთო ძრიალი. დაჟდა და დათალნა შამფურნი, წვადებს დაუწყო ტრიალი. გაიხედა მინდორზედა ლურჯამა. შეხტა ლურჯა, ნახა შორით კაცი მოარული. —რაზე შეფრთხვი, ლურჯა ცხენო? — ახლა ავთანდილმა დაინახა, სამი ძმაკაცი მოდის შორით. ავთანდილმა თქვა: — თუ არიან მეგობრებიო, ვერას მერჩიანო! —იმ სამა ძმამ გამოაჩინეს — ერთმა ცხენი, ერთმა აბჯარი, ერთმა კაცის მოსაკლავი. უნცროსმა ძმამ მუხლად გვასწრო, სადევეს უტაცა ხელი, უნცროსმა და უკეთესმა დაუშინა მათრახები, ძმასა მოუტეხეს მხარი. ახლა ავთანდილ დაუშინა. — ავთანდილ, გადითო მინდორთა, წვადნი იწვიანო ნებაო, გადითო, ირმის ტვინი დასცხეევითა ძმასაო, რაკი მხარი მოუტეხა... დანა დამრჩა და ნუ გამირთავთო. თუ აღარ მომცეთო, მეტყოდეთ გამარჯვებასაო...

25. ამირანი და დევის გატყუება

ერთი დევი იყო. ისი და ამირანი იყვნეს დაჯიბრებული ერთმანეთზე. დევი იყო ძალიან ძრიელი. კბილში შეინახავდა კაცსა.

— რა უფრო გამოგიცითიაო? — ამირანს უთხრა ამ დევმა.

— იანვარ ღამეშიდაო ჩავდგებოდი წყალშიდაო, დამაყრიდეს ხე-ტყესაო, ამოვიწევდი და ამოვიღებდიო. — ატყუებს... აწ დევმა უთხრა:

— მეც გამიკეთე ისრეო!

— ჩაჯექიო! — და ჩააყენა ამ იანვარ ღამეზედა. დაჯდა ხე-ტყეს.

— ეყოფაო! ამოიწიეო, — ამოიწია და ქვე ვერ ამოვიდა. დასჭრა ცხრა თავი და ჩაყარა წყალში. წამოვიდა ამირანი და, რო გათენდა, განზრახ მივიდა. ამოიღეს აწ ეს დევი დევებმა. შედვეს ურემზე და ცალ ფეხს მიწაზე მოათრევს. ქალმა უთხრა ამირანსა:

— შეიდეო ე ფეხიო! — ასწია ამირანმა და ვეღარ შეძლო... ასწია დედა-

ბერმა საძახი ტარითა და შედვა ზედა... ამ ქალმა უთხრა: — ამირან, ცოცხალ-სა სთხოვდი მუქარასო, კვდარს ვერ წაეტოლებიო, ბარკალი ვერ შეუდეო...

რო დამარხეს, გულმა მოუსვენა ამირანს... გაატყუა ძრიელ...

სამი შვილი ჰყავდა ხემწიფესა. უთხრა შვილებს: — რა უფრო ლამაზია, რა უფრო სწრაფია, რა უფრო მსუქანი არისო? — დაიბარა უფროსი შვილი და უთხრა: — რა უფრო ლამაზია?.

— დედაჩემი უფრო ლამაზიაო, ჩვენი ცხენი მსუქანიაო... — მეორე შვილი დაიბარა და: — რა უფრო ლამაზია? — ისრეე უთხრა:

— ვაჲმეო, ვერ ჩაწვდიო! — დაიბარა მესამე და — რა უფრო?...

— მსუქანი შემოდგომაო, ლამაზი ზაფხული და სწრაფი თვალიო! — მოუვიდა ჭკუაში მამას...

26. ამირანი

იყო ერთი ოქრომჭედელი კდეში. მის ახლოს იყო ერთი კოშკი. ი კოშკში იყო ერთი მზეთუნახავი. ი კაცს უნდოდა, რომ ეს ეთხუა. ი ქალს ჰყავდეს ყარაულები — ორი დევი. წავიდა ე კაცი და მოუკლა არჩვი და მოიჩვევნა ე დევები. შევიდა ი ქალთანა და ითხოვა... ი ქალი ორკეცათ იყო; დაეწერა იმასა შვილი. ი შვილსა ტანი ავლისა ჰქონდა და შუბლი მზისა. დაარქვეს — რომ გამოშთა— ამირანი. მერმე მოუხვდა დედა. მამამ გაუკეთა ამირანსა ოქროს აკავანი, წაიყვანა და დადგა იამნის წყაროზედა. იამანმა გაგზავნა მერწყეულნი. მივიდეს და ნახეს ი ოქროს აკავანი. დაალამდა იმათ — იმისი ყურებითა... მეორენიც გაგზავნა და იმისი ყურებით იმათაც დაალამდა. წავიდა თვითონ იამანი და მოიყვანა აკავანით ამირანი.

იამანსა ჰყავდა ორი შვილი — ბადრი და უსუპი. ამირანიც მესამე შეიქნა. ერთად იყვნეს ის სამი. ერთად დადიოდეს. უსუბის დაუნიშნა ქალი ბალხეთს ბაყაყაწის თამარი... ამ ამირანმა სთხუა:

— მომეც უსუბის ქალიო!

—ვერ მოქცემო! — გამჯავრდა ამირანი. გასწია და წავიდა ამირანმა. მოუხტა დევი ამ იამანსა. ცალი თვალი ამოჰკუტა და წაიღო. იამანი აწე წამოვიდა, გამოიარა და შეხვდა ეშმაკი; იქცა ვირად. შემოაჯდა და მოდის აწე იამანი. გამოიარა მერე და ამირან დაშთილა ვირი, დამჯდარიყვნეს წყლისა პირსა, ამირანი ხრმალსა ლესავს, ჩრდილავერი უწყობს პირსა. ბერი კაცი ჩაჩანაგი მოიმქსელავს შავსა ვირსა; წინ ამირან წაეგება, ცხენი მოსცა მშვენიერი, უნაგირი სოფლად ღირდა... მოიყვანა ვირი წყლისა პირსა და თავი მოუკვეცა.

— კიდევ ჩივი, ბერო კაცო, ჩემი ცხენი მეტად ღირდა! გადმარჩინე გასაჭირსა, მიიყვანდი წყლისა პირსა, თავს მოგჭამდა მხრისა ძირსა, შეიყვანდი შინა, დაგიჭამდა ცოლსა-შვილსა! — მერე გამოემცნო ამირანი იამანსა და ამ იამანმა უთხრა: — მხოლოდ თვალი მომიტანე და მომეცენ ბალხეთიო ბაღდადამდისიო! — მერე წავიდეს ბადრი, უსუფ და ამირანი. გასწიეს და მივიდეს ი დევის კარზედ და დევი არ იყო შინ, ქვე ეძინა. მერე წავიდეს და შედგა ამირანი ყავრის თავზე. შუბლი მზისა არა ჰქონდა? დააცქერდა და ჩაანათლა მზისა შუბლითა და ქალიშვილი დაინახა. აწე ქალი გავიდა და შედგა ყავრის თავზე.... ამირანმა უთხრა:

— მამაშენი მომაკვლიეო და ღმერთი მომეცენ თავდები. ცოლად შეგირთოო. — მერე უთხრა ქალმა:

— მოგცემ ნებასაო, თუ გაუბედავ მოკვლასაო. მისი ხრმალიო სამჯელ თუ ვერ ამოიღებო, მერმე მოქკლავსო... — წადგა და ამოსწია ერთხელ. ამოსწია და იჭყივლა ხრმალმა. წამოხტა დევი: — რა ამბავიაო?

— არაფერი, ცოცხის წვერი მომიხვდაო! — ქალმა უთხრა.

ამოსწია მეორეთ და კიდე იჭყივლა. წამოხტა.

— რა ამბავიაო?

— არაფერი, ცოცხის წვერი მომიხვდაო. — ამოსწია მესამეთ და კიდევ წამოხტა.

— რა ამბავია ჩემ თავზედაო?

— არაფერი, კაბის კალთა მომიხვდაო... — წადგა და გადაზომავს დასაკრავად ამ დევის თავებზედ და ვერ უბედავს. ესრე უქნევს...

— ჩემო თავო, რას გინდოდი ჩემი გვარის შესარცხვენად, ან გაცოცხლდი, ან გაკლდევდი, ან გადიქეც ალმასებათო. — გადუქნია და ცხრა თავი წააგდებია. აწ ამ ქალს უთხრა:

— რაცა გაქ ეში მოძებნეო! — მოძებნა და ი თვალიც ამოიღო კოლოფში... სამნივ არიან აწე: ბადრი, უსუფ, ამირან. წამოვიდეს და დიდი წყალი იყო გამოსავალი...

—მამაშენიო ამ ზღვაზედაო რათი გადიოდაო? — უთხრა ქალსა...

— ერთი ბეწვი ჰქონდაო, გააგდებდა, გაეგებოდა ხიდათა და გადიოდაო... — მოუტანა ის ბეწვი და გააგეს ხიდათ, აწე ბადრი და უსუბის უთხრა ამ ქალმა: — მე უმალ გავალო.

— სირცხვილიაო, შენ რო მაზლების უმალ გახვიდეო, — წეენახშა ამირანი. — ჩვენ სამნი გავალთო და მერე შენ გამოეო! — გავიდეს ე სამნი. გაჰკრეს ხიდსა და დარჩა ე ქალი აქით... აწი ამირანს ისრე შია. რომე ქვასა ტკეერს... გაიხედეს და ერთგან კვამლი ამოჩუა. წავიდეს ეს სამნი და ამირანმა უთხრა:— მე შევალო და მერე თქვენ შემოედითო! — შევიდა ამირან იმ სახში. ე ქალი აქ რო დასტოვა, იქ დახვდა. იცნო ამ ქალმა აწე ამირანი. მას რო პური მოუტანეს, შიგ მატლები მოსციოდეს, მას წყალი მოუტანეს, შიგ ბაყაყები სცვიოდეს... ამ ქალისა ე დევი ბიძა იყო... აწ უთხრა ამ ბიძასა: — ამან დამტყუაო, მამაჩემი მომაკვლიაო! — იცნეს ამირანი და ე დევი. და ე ქალი ამ ამირანისაკენ ერბოს აქცევს, რომ უფრო აუცურდეს ფეხი. ახტება ე ამირანი და ნაცრისკენ გადახტება.

„ამირან დევი შეიბნეს, მიწას გაჰქონდა გრიალი,
ამირანმა დევი დასცა, დაწყებინა ღრიალი“.

ჩამოსჩეხა ცალა მხარა დევსა და ე ქალი შემოაწყვიტა ბოძითა. აწ ამირანსა ჰგონია — ქვე მოკვდაო, მარე ცოცხალია... წამოვიდეს აწე სამთა ძმათა. გაიხედეს და ერთ კლდეზედა შემომდგარა რაღმე და არის — გველოშაპი. მოვიდეს იმასთან, გადაყლაპა ამირანი იმან, გაიქცა და წავიდა დედამისთანა გველოშაპი.

— არიქა, დედა, მუცელი მტკივაო...

— ამირანეთი ხომ არავინ გადაგიყლაპიაო, შვილოო?

— გაიწიე, თვითონ ამირანი არისო!

რომ გადაყლაპა ამირანი, უსიბმა მოსწყვიტა კუდი... დედამისმა უთხრა:— წადეო და მა ბოძზე შემოიქულიტეთო. წადგა და ვერ მოიცთინა კუდი. ვერსა-ით შემოიქულიტა. აწ ეს ბადრი და უსუბი ყარაულობენ აკოშკაში. უსუბიმ ჩასძახა:

ამირანეთის წესია ბოხშას ჩაგება ხრმლისაო.
ამოღება და გაგვრემა მაგ შაეი გველეშაპისაო!

დაიხედა აწე მზის შუბლი არა ჰქონოდა? გაჭრა და გამოვიდა.
აწ წამოვიდეს ეს სამნი ძმანი. ე თვალი მოაქ იამნიზდა.
მოუტანეს ე თვალი იამანსა და ჩაისვა იამანმა. უთხრა:
— წაე, შვილოო, და თქვენთვის მომეცენ ბალხეთი ბაღდადამდინო. — გა-მოსწიეს აწე ეს სამნი ძმანი და წამოვიდეს თამარის მოსაყვანადა... რომ მივი-დეს თამართანა, შუაღამისას არიან აწ ესენი და მოიტაცეს თამარი... რო წა-მოიყვანეს, მამამისმა გამოჰკიდა ჯარი. ესროლა ისარი და დახოცნა სუყველა-ნი ამირანმა. მეეწია აწ მამამისი, გადმოვიდა და იცნეს. უშენს ზეით და ცვივა კაჟი, არ ეტყობა თამარის მამასა. მერმე თამარმა უთხრა:

ზეით ნუ უშენ სპილოსა,
ქვეით დაკარი მბილოსა!...

დაჰკრა და ჩაიმუხლა მამამისმა,

გაჰხედეო ბოზსა თამარსაო,
კურო არჩია მამასაო...

წამოვიდეს აწე და იქორწილეს...

27. სამი სიტყვა

იყო ერთი ცოლ-ქმარა კაცი. საწყალნი რომ იყვნეს, ამ ქალმა უთხრა:— წეე სამეო და იჯამაგირე და მოიტანეო! — წამოვიდა ე კაცი, მოვიდა ერთი ჭკუიანი კაცი, სამი წელიწადი სამ თუმნათ დაუდგა. რომ გაუთავდა სამი წე-ლიწადი, უთხრა ამ კაცმა:

— სამი თუმანი გირჩევნია თუ სამი საზრიანი სიტყვაო? — იფიქრა, იფიქ-რა და უთხრა: — სამი სიტყვა მირჩევნიაო. — მერე უთხრა: — გულში ნა-დებს ქალს ნუ ეტყვიო; ვინც არა გთხოვონო, ნურაფერს მისცემო; რა მოიძიო, წაიღე შინაო! — ჰკვირობს ე კაცი.

— ამაში რავა გავრთე სამი თუმანიო. — გამოსწია, წამოვიდა და მოიძია უნასის (გველის) პერანგი. აიღო და წაიღო შინ. მის ეზოში რომ მიიტანა, ხელუკუღმა გადააგდო. მევიდა და დაეძინეს, ცოლქმართა... ქალს უმალ გამოე-ღვიძა და გამოვიდა გარეთ და იმისთანე ოქრო გაკეთებულიყო, იმისთანე, იმისთანე, რომ სუ თლათ დაბირკული ესხა... მერე შევიდა: — უიო, ბეჩაო, რა გაკეთებულა ჩვენს ეზოშიდაო?—მიახარა... უდროო დროს რომ გამოაღვიძა, ერ-თი ქეღერა შერეოდა თავში... მოგლეჯენ ერთ ოქროს, გაჰყიდიან და ცხოვრობენ და სჭამენ... უთხრა ამ ქალმა: — რანაირეფ იყო შენი საქმეო? — მოუყვა ყვე-ლას, ჭკვიერმა რომ უთხრა სამი სიტყვა... ერთი სომეხი იყო, და კაჲ მაღაზია ჰქონდა. ის მოყვარეთა ჰყავდა. უთხრა ი მოყვარეს ქმრის ნათქვამები. მერე უთხრა ქალის მოყვარემა ქმარსა: — დამენიძლავეო, რაითი გააშენე ე ოქროო,

გეტყვიო; თუ მოვიაზროო, შენი ქალიც მომე და შენი სახლკარობაც და ყველაო, თუ ვერა, ჩემ მაღაზიას მოქცემო! — დაენიძლავა ე კაცი და უთხრა:

— შენ იყავ ჭკუიერი კაცთანა, — და მოუყვა ყოლიფერს...

— მართალიაო... — მისცა სუყველა აწე და იმისთანა აქ ამ კაცსა, რომ ოქროს ჯაყვა. წამოვიდა და ისრივე ამ ჭკუიერ კაცთან მოვიდა. მოუყვა სუყველასა ამის გარემოებასა.

— ხომ გითხარ, გულში ნადებს ქალს ნუ ეტყვიო? — მერე მეზობლისას ლხინი იყო და ე ჭკუიერი იქ გაიწვიეს და ე საწყალი კაცი წაიყვანა. რომ შევიდეს და სუამენ ხორცსა, ერთი კაჲ ნასწავლი კაცია და მაღაზიაები აქ იმასა. ამოიღო ე ჯაყვა და გადაუდვა იმ ნასწავლსა. უთხრა: — ე ჩემი ჯაყვა შენ საით მოგვიდაო, განა მომპარეო! — აღარ მისცა ე ჯაყვა აწე იმასა. უჩივლა ამ კაცმა და ხვალ დასახვრეტათ მიჰყავან. შეაგდეს ნაობახში და ყარაულები ჰყავან. ეს ჭკუიანი კაცი ზეითაა და ქვეშით ის ამწყვდევია. აიყვანა ამ ჭკუიანმა კატა და ენახშება: — ციცუნა, ჩემო ციცუნაო! ხვალ რომ დაგვხვრეტენო, ესრე უთხარ, რომე მთაზედაო მამაჩემი ვისმე მოეკლაო, ეს ჯაყვა ყელშიით ამოუღეო! — აბა შენა ხარო ჩემი მამიმკველიო! მინაზღაურე მამაჩემი და დასახვრეტად მოგიწერ ხელსაო! — (იმის გასაგონად ამბობს). აწ გამოიყვანეს ეს კაცი დასახვრეტათ... უთხრა: — მამაჩემიო მთაზე ვისმე მოეკლაო, იმას ამოუღეო ყელშიით ე ჯაყვაო! — აპა შენა ხარო მამაჩემის მკველიო. მინაზღაურეო მამაჩემი და მერე მომკალიო! — მერე გამოუშვეს ეს კაცი. წამოვიდა ე კაცი და შევიდა ისრივ ჭკუიერ კაცთან, უთხრა ამ კაცმა: — წაე ახლა და დაენიძლავეო ი კაცსო, ქალი რომ წაგართვაო და უთხარიო: მზე საიდან ამოდის და საით ჩადისო და ის შებრუნებულად გეტყვისო, დაუკვირდი და მოუგებ და შენსას ყველაფერს დაიბრუნებო! — წამოვიდა და დაენიძლავა, უთხრა: — მზე საით ამოდის და საით ჩადისა! — აი იქით ამოდის და იქით ჩადისო! — დაუკვირდეს მზესა და აღმოსავლეთით ქვე ამოვიდა და დასავლეთით ქვე ჩავიდა... მოუგო სუყველა. წამოვიდა აწ, ეს ცოლ-შვილი შეიყვანა და ქალი მაგრათ დაბეგვა.

28. პატარა ვაჟაჲ

იყო ერთი ცოლ-ქმარი კაცი. ჰყავდა სამი ვაჟაჲ, ერთი პატარუკა ძრიელ, მამა ქვე მოუკვდა. ორნი ძმანი დიდნი არიან. რომ წამოიზარდა პატარა ვაჟაჲ, დედას უთხრა: — მამა მყავდა თუ არაო?

— გყავდა შვილო, მარე ქვე მოგიკვდაო...

— იარაღობა ჰქონდა რა მეო?

— არაფერიო!

— მითხარ, თვარე მოგსწყვეტო ძუძუს თავსაო!

— ეგერა ბოსელშიდ არისო ერთი ლურჯაიო; იმის ყურში აწყვია ყველა ავეჯები, რაცა ჰქონდაო. — ი ორნი ძმანი, უფროსნი, საჯამაგიროს წავიდეს. პატარუკას ურჩიეს — აწ წაიყვანოთო! ჩაიტანა ერთი საპონი პატარუკამ და გარეცხა. ათი წელიწადი იყო ნაგავში ი ცხენი. აუწია აწე ყურსა. ამოიღო სულ ავეჯები: აღვირი, უნაგერი, ცხენის სუყველა სამკაულობა. შეკაზმა და შემოსჯდა და მიეწია მის ძმებსა. სამი უცხუნა ი ძმებსა, კინაღამ დასწყვიტა. გასწიეს, წავიდეს და სამნივ მივიდეს ერთ ალაგზე. გაიხადა ი ტანისამოსი და, ყურში ჩააწყო და გლახაები ქვე ჩაიცვა...

29. როსტომი

როსტომი იყო სახში, სხვაგან იყო და მივიდა ვადით, აქაზ ქექოზის ნეფეს ახდა... ქალი ჰყვა ორკეცათ, დაუბარა: — ვიცი, ვაქი მექნებაო და ზურაბ დაარქვიო იმასაო! — დაარქვა ზურაბ და ერთი წლის რომ გონია, ხუთი წლისა არის, იმდენი იზრდება.

— ჩამოჰყეო, შეჰკაზმეო და გამომიგზავნეო! — ასე დაუბარა როსტომა... შეჰკაზმა და წინა-უკანას ვარდი უყვავა, ბურთები შეაბა ტახტებზე. ჩამოჰყვა მუხრანში და დაასწავლა დედამ გზა, — მიჰყეო! დახვდა ერთი კუდური, შამეეყარა და წეენახზა: — რა კაჲ ბიკი ხარ, რომ ქალულებ არ იყო შეკაზმულიო!... — არ უყურა, წაუარა და წავიდა. დახვდა კიდევე წინ კუდური. კიდე იმანაც ისინი უთხრა; აიცალა ე ბურთები და ჩაიყარა ჯიბეში. გაიარა და ქალი შემოხვდა: — დედაკაცო, პური გექნება და მისაგძრეო! — რათ გინდაო პურიო, ეგერ ნადირი მოჰკალო! — გაიარა და მოჰკლა ნადირი, შემოჭიდა და წავიდა. მივიდა ამ სოფელში და რა იცის, მამა სად არის? ერთი კარავი დგას და დადგა შიგა. თურმე როსტომი ამის გვერძე არის, — გამოიხედა ერთმა მოყმემა და: — კარავში ვინმე არისო! — უთხრა როსტომსა. მობრუნდა და: — ვინა ხარ? ამაზედაო ჩიტი ვერ ამოდისო...

— ახლოს მოდი და ყველას გეტყვიო, — შემოჰკრა და ტვინი შეანთხლევა კედელზე... აწ მეორე გამოგზავნა და მეორესაც ისე უქნა. როსტომა თქვა:

— გავიხედოო! — ვინა ხარო? — უთხრა როსტომა. — ამაზე ჩიტი ვერ აფრინდება და შენიო? — შეჰპირდეს ერთმანეთსა: — დილას მოდი და ხვალე უნდა შევიბნეთო მე და შენო... გამოგზავნა კიდე ქალი, უარა როსტომს და: — ვინა ხარ, შე როსტომიან სახისაო, ძვალსა ტყაურებ გაჰხეო... — არაფერი ყური უგდო. — დილას შევსწორდებითო... — ეს როსტომი წასულა მეჭედელთანა და ალმასები დაუჭედია და უთხრობია: — მუხლებზე მომაკარ მაგრადაო! — გამოვიდა დილას ზურაბი და უთხრა როსტომსა:

ბერო კაცო, შევიბით,
გული რასმე მესარჩლებაო,
დედიჩემის დაბარება
ყველა რასმე მენიშნებაო....

როსტომა შეუბღვირა:

— გუშინ შევპირდით დღეს ერთმანეთის ძგერასაო,
ერთი ველოდეთ შველასაო...

იჭიდნეს აწი. ამას ალმასები აქს დაკრული მუხლის თავზე. იჭიდნეს და ჯერ

— ვაჲ მამაშენსა როსტომსა, ბრალი ი დედიშენისა, წინა-უკვანას მუზარადისა ტახტანსა რათ არ შეგაბაო?

— ეგები ყველა მიქნაო, მარე მაცთინა ეშმაკმაო.

— ახამ ქექოზის ნეფეო,
შენგან შეეაკვდი დევთაო,
წამალი გამომიგზავნეო,
წამალი უკვდავებისა,
ზურაბ მერჯება ხელთაო.

შეუთვალა... ნეფემ არა გაუგზავნა. კიდევ შეუთვალა:

— ახამ ქექოზის ნეფეო, შენგან შეეაკვდი დევთაო...! — მოსცა ნეფემა ბრიყვ დიაკონს და დაუბარა: — ჩქარა, ჩქარაო, დაგიძახებსო და წააჩქარე, წაჲკარ ფეხი და დააქციეო. — წავიდა ე დიაკონი და წაიქცა და დააქცია წამალი უკვდავებისა... მივარდა როსტომ, დაჰკრა წიხლი და ჩანაჴა მიწაში... მივარდა მერე ნეფესთანა და: — რათ არ გამომიგზავნეო? — და ორი ყმარწვილი ეზის მუხლებზე და ეალერსება და მოჰკიდა გაბრაზებულმა როსტომა ხელი და უნთხლია და დაჲხოცეს ვაჟაები. აკითხვია აწე როსტომა: — რა იქნება წამალია. — ერთი სამარე გაიკეთეო, ჩაწეე შვილიანათო, — და ვადა დაუთქვეს, — —სამი წელიწადი იქნები და ამოხვალო... — იყო რამდენი ხანი. იმდენი მოუვიდა ულმაში, იმდენი, რომ მოიბა ფეხზე და დაუკრა ჭიანდური, თელი ხანი ჭიანდურს უკრეევდა... შეიტყო ქვეყანამ და ეს არის — გაცოცხლდება! შეიქნა პირობა: ე როსტომი და მისი შვილი ქვეყანას ამოაგდებს; ვინ ამოიყვანს, ვინაო, და წამოდგა ერთი ბებერი და — მე ამოვიყვანო... გაიარა ამ ბებერმა და ჩაუძახა: — როსტომო, ამოე ზეითაო. წაიარა საურჯულოენმაო. — არ გასცა ხმა... — როსტომ, ამოე, — კვლავ ჩაუძახა. კიდე არ გასცა ხმა... — ამოე, შე შვილის კალიაო! — წამოვარდა, დაჰკრა წიხლი და ცხრა მხარი მიწა გაარონია. წავიდა დალაქებში და მოიპარსა წვერ-ულმაში. აწე მიმარხა ე შვილი...

30. ტარიელი და ავთანდილი

თინაფთინის მოციქული კაცი ჩამოვიდა ზანგი. — აწ, ავთანდილ, ჯერ ნუ შოხვალ, ჯერ ვერა ვარ თქვენთვის მზათა. ხელს ეჭირა ოქროს ჩანგი და მას უკან შეამღერა: ავთანდილ სამძღვარს გადასცდა, კიდე წავიდა, სამხრამდინ გადიარა. ალმასი იყო ავთანდილ, გადინადირნა ავთანდილ, ითხოვა ქალი, მოიყვანეს და აწ ერთი ტარიელი ჰყვა ძმა ავთანდილსა. თამარი ერქვა დედოფალს. შემოუთვლია ტარიელსა:

ლამაზო ჩემო ქმარმაზო.
განჯეს თათრებსა ეყაეარო,
დღისით მიყრიან ბორკილსა,
ღამე სარჯელში ეყავარო...

გაიგონა ესე და უთხრა:

— ვაჲ, ძმანო, ვინც რომ იცოდეთ გაგდება თოკ-ბაწარისას ქაჯთა ციხისაო, მოვლება ბაწარისაო. აგრე მწამს იქა გარბენა, როგორც რომ ველზედაო! — ავთანდილ ეუბნება:

— ტარიელ, ქაჯეთს სიკვდილი რა მიჯნურობა გონია?

ტარიელმა უთხრა: — შეს ქალობაზეო, ბევრი ჯაფა გამივლიაო! — წამოდგა ავთანდილ და გაუშვა ბაწარი და გადააცვა ბაწარი ციხესა. აწე ტარიელ წავიდა ამ ბაწარზე. გამოყოფენ ქაჯები შესაწველს და გაუწვენ ბაწარსა, ტარიელი კიჟინობს:

უყურე ქაჯთა დუშაგთა,
მაღლა და მაღლა ყვირიან.
დასჭრიან თოკსა, ბაწარსა,
ძვალნი და ბილნი ცვივიან...

გადახთება და შეაწია წვერსა ტარიელმა, ყავარსა:

ყავარსა ავხდი ლომურებ,
შიგ ჩავარდები ქორულებ....

ახადა და ჩავიდა.

მივხტებ-მოვხტები დევურებ,
სისხლს გამოვიშვამ ღვარულებ.
ზედათა კართა მოადგა
ურჯულო სვანის ჯარიო,
ქვედასა კარსა გარდადგა
შავი სისხლისა ღვარიო.
შუბლო და მკლავო, გამაგრდი,
თვალო, ნუ შემიშინდები,
სისხლის ანატალახებზე
ფეხო, ნუ მომიცურდები....

წამოიყვანა ე თამარი, გასწყვიტა ხალხი და დაიბარა ავთანდილი! — გამოვიყვანეო! — შეხვდეს და მოჰყავს და გამოაწიეს ხიდზე. ფეხმძიმეთ არის ქალი. — შეუტევეთო და ქაჯებს გაჰყრისო. — გულთმეცარი იყო ავთანდილი, შემოუტევეს ქალს, მოვკლავთო. იკივლა ქალმა და გაჰყარა ქაჯები. ორი ქვე დახოცეს და ერთი წყალში შევარდა. მოიყვანეს სახლშიდა და ცხოვრობდეს ტკბილათა.

31. შეგირდი

ერთი შეგირდი იყო. კაცსა ჰყვა მობარებული. წავიდა და ჩუმეთ დაიწყო კედლის შენება, ციხისა, პატარასი. — აბა, გავაკეთებ თუ არაო? — ააგო ცხენთას ციხე. „ალამბრის და ტკვარზეადაო ერთი ლამიც არ მიკლიაო, ცხენთას ციხე ამიგიაო, ცხენთას მიხვიესო კვალიო, მოხვაში დამიჭირესო, დამიჭირეს და ხელნი დამკრეს — კარგი რათ აგიგიაო?!...“ ქორთა ჩვენთა მოტირალთა შეუბანს გვითხრეს ზარიო!... ხაზეინმა უბნა აწე: — ეკლესია ჩემზე უკეთ ააშენეო, — და იმისდა...

32. ღარიბი კაცი

იყო ერთი ღარიბი კაცი. დადის ქვეყნიერებაზე და გაიარა და ერთ მინდორზედა ნახა ერთი ქოხი. მივიდა და არავინ არსადაა, ცარიელია. აგერ საჩი-

ბე არის და ხაჭაპურები აწყვია. ამოიღო და ჩაწვა და ზეითი გულზე დაიწყო. დაღამდა და მოვიდა მელია, დათვი; პატარა ხანს ნახშობენ... — ერთი სახელმწიფო არისო, ძალიან წყლისაგან შეეიწროებული; არა აქვთ წყალიო. — დათვმა თქვა: — აი იმ მინდორზედა ერთი ხე არისო, იმ ხეს ვინც მოსჭრის, იმაში წყალი ამოვაო. — ამ კაცს ეყურება ყველაფერი. დაუგდო კარქა ყური... მელიამ თქვა: — ამ წისქვილშიდაო თაგვები გამოდიანო, ოქრო და ვერცხლი დაცვინდებაო და, ვისცა ილბალი აქო, აიღებსო, და გაკეთდებაო... ეს ესმის კაცსა... თქვეს ამათა: ქვე ქვშიაო! — მელას უთხრა, — ამოიღეო. — მივიდა და ხვიმირაში ამოიღო და მოიტანა. ივახშმეს. ე კაცი აქა წევს. გათენდა და დათვი და მელა გასწიეს. ე კაცი ამოციცქვინობს. გამოვიდა თაგვები. დახოცა და ოქრო ვერცხლი წამოიღო; გავიდა და ე ხე მოჭრა, როგორც გააგონეს. ამოვიდა წყალი, იარა, იარა და გავიდა სახელმწიფოში, რომელშიც წყუროდა: — აბა, წყალი აღმოვაჩინეო!

— აბა, ვინა ხარ ასეთიო? — დაასაჩუქრეს. წამოვიდეს და ე წყალი ქვე, აჩვენა. დიდად მიიღეს ეს კაცი...

— აბა, რა გირჩევნია, რომ მოქცეთო?

— არაფერიო, ღარიბი კაცი ვარ და სამჭინოეს მომცემთო, — და ნეფემ ნახევარი სანეფო აჩუქა.

33. ზარმაცი კაცი

იყო ერთი ზარმაცი კაცი — არაფერს მუშაობდა. დაბნა ყანები. უთხრა დედაკაცმა: — წადიო, ნახე შენი მოსავალი, გაიგე ამბავიო! წავიდა და შეწუხდა ძრიელ: — ახლა მოტანა უნდა, მომკა უნდა. — მოდის ღვდელი, ჯოხზე ზის, და დახვდა დედაკაცი. — ეს ჯოხი მათხოვეო, ე შენი ტანისამოსიცაო! — მოსცა. — წამოვიდა და მივიდა მამაკაცთანა: — ვინ ხარ შენო?

— მე გახლავარო!

— საღამომდისინ თუ გაგითავებია, თვარე სულთამხთელი ვაო!.. მუშაობს და მუშაობს ე კაცი. ქალი წამოვიდა, სადილი უნდა მოუმზადოს. ე კაცი გამალებული მუშაობს, — მოდი, სადილი ჭამეო!

— ვერა, ვერაო!

— ჭამეო!

— მე რომ არ გავათავო. საღამოზედ დავიკარგებიო!

გაეხარა დედაკაცს... კაცმა სიკვდილი მოიგონა, მოტანა უნდოდა სარჩოს... ღვდელს უთხრა ქალმა: — ეკლესიაში გაასვენეთო! — შუაღამის დრო რომ შეიქნა, წავიდა ე დედაკაცი და: — ძველი და ახალო მკვდარო, ადექითო! ზეცას ეკლესიას აშენებენ და ქვას გაზიდვიანთ! — წამოვარდა ე კაცი. ქალი გამოვარდა და დაწვა, კუბო შემოიგლიჯა და მოადგა კარზე:

— კარი გამიღეო!

— ვინა ხარ შენაო?

— შენი ქმარი ვარო.

— ჩემი ქმარი ქვე მოკვდა, ეკლესიაზე გავასვენეო. — გაუღო კარი!

— გაცოცხლდიო?

— ზეცას ეკლესიას აშენებენ და აქ ვიმუშავებ ჯობიაო...

34. სამი დევი

იყო სამი დევი. ჰყავდა თითო ქალი. ჰკითხა ამათ ქალებსა: — ჩვენო სანადიროს წავალთო და თქვენ დაგვიმზადეთ სადილიო. როცა იყო, იმავე დროს, და მოჰყავთ ტყის ღორი დევთა. მისი ცოლ-შვილი მიეგებნეს სიხარულით. ის ქალები შეეკითხნეს: — რა კარგი ტყის ღორი მოჰყავსო! — წამოვიდეს და მოხარშეს ი ტყის ღორი. ორი დღე და ღამე ისრ იყო. წამოვიდეს ისრივე ე დევები და წავიდეს სანადიროს. წავიდეს, თვითეულად დაიყენეს და წავიდეს. ერთსა მეეკლა კურდღელი, მეორეს კვერნა, მესამეს დათვი. წამოვიდეს და მოიყვანეს შინა. დათვი და კვერნა გასტყავეს. კვერნას ხორცი ქვეგადაჰყარეს და ტყავი ქვე გაჰყიდეს. როცა იყო, წამოვიდეს ე სამნი ძმანი ერთ უხვიან ტყეში. იმ ღამეს იქ დადგეს. წამოვიდეს დილაზედ და მათ ქალებთან მოვიდეს, — ვერაფერი მოვკალითო! როცა იყო ერთ ჩირგვში კურდღელი ამოხტა და უფროსმა თოფი მოაბჯენდა და ფეხები დაამტვრია. წამოიღო ეს კურდღელი და მოიტანა შინ. დასტყავა, ხორცი ქვე ჭამა და ტყავი ქვე შეინახა. უმფროსის ქალს ვაჟა დაეწერა. გეეხარა ძმებს ერთობ. წამოვიდეს ე ძმები და შვენიერი ლხინი გადაიხადეს, დაპაიჯნეს კაცები და ყველა მცნაურები. მოვიდნეს სახში და უთხრეს ძმებმა ქალებსა: — საწები გააკეთეთო, პური მოაცხვეთო და ყველაფერიო! — გამოსწიეს ამ დევებმა და მოადგეს ერთ დიდ სასახლეებსა. იქა სცხოვრობდეს სამნი ქალნი. დაუძახეს მათ ქალებსა და იქ მოიყვანეს და იქ დადგნენ... ე ქალები ტიალათ გაყარნეს. წამოვიდნენ ე ქალები და, რაც ვეში ჰქონდათ, წამოიღეს დღისით. როცა წასრული იყვნეს სამნი ძმანი. მოვიდა ერთი პატარა ბიჭი და:—თქვენი ქმრები ხომ არ გყავნო?—როგორ არაო?... ისინი სანადიროს წასულნი არიანო!..—თქვენ აქ იყვენით, მე წავალ, სანადიროს, იმათ დავხოც და მერმე თქვენ ჩემი იყვენითო! — როცა ე ბიჭი იმ დევებთან დაინახეს დევებმა, სული იკრეს და: — ძორის სული იცემაო! — მერე დაიყვირა ი ბიჭმა: — აგერა ვარო და მოდით, მეძგერეთო! — სამთავ თოფები წაართვა და დაიხოცნა. გამოსწია და უთხრა ცოლებსა: — დავხოცე და აწ იყვენით ჩემნიო! — ის ბიჭი იქ კარქა ცხოვრობდა. როცა იყო, ერთ ღამეს შეეჩვია თაგვებნი და ბევრი მარცვალი შეუჭამეს. როცა იყო, ამ ბიჭმა დაინახა ის თაგვები და გამოიქცა საჩქაროზედ და უთხრა ქალებსა: — აგერ გაგვიცივესო მარცვალიო! — წამოვიდეს ე ქალები და დაუხურეს და დაუჯაგვეს კარები თაგვებსა... წამოვიდნენ ე ქალები და უთხრეს იმ კაცსა; — პური გვშია და წაედით, ერთი ტყის ღორი მოჰკალ და მოგვიტანეო! — ადგა დილაადთ კაცი და წავიდა ტყისკენ. გაუდგა ტყის ღორის კვალსა და ნახა ტყის ღორი ერთ დაბურულ ტყეში. მივიდა და ესროლა შვილდისარი და თავში მოხდომოდა და მოეკლა. წასულიყო და ეშოვნა ხარ-მარხილი, დადგა და წამოიღო. როცა იყო მოვიდა და გამოხსნა ღორი, გასტყავა, ქონი ქვე შეინახა. მეორეს დღეს, როცა სანადიროს წავიდა, მოვიდა ერთი კოჭლი დევი, როცა ვაჟაჲ სანადიროს იყო. უთხრა ქალებსა: — მაგ სახლებშიდაო ვინ დაგაყენაო? — ე ქალები დაჩერდეს და უთხრა ამ კვაჭმა დევმა: — წაეთ, მოშორდით, აღარა გნახენო ამ სახლშიდაო! — როცა ვაჟაჲ მივიდა, უთხრეს ამ ქალებმა გარემოება. ეს ვაჟაჲ გეექანა და ეცა კვაჭის და მოკლა. წყალში გადააგდო კიდეც...

35. წიქარაჲ

იყვნეს ცოლ-ქმარნი. მათა ყავდა ერთი შვილი. აწ ამათა ყავს ერთი ხარი წიქარაჲ. ისე ეფერება ე ვაჟაჲ ამასა, როგორც თავისი სული. მოუკვდა დედა ვაჟას. მოიყვანა ამ კაცმა სხვა ქალი. ამ ქალსა არ უყვარს ე შვილი. ამ ქალმა უთხრა ამ კაცსა: — ე შვილიო ქვე მოვიშოროთო! — ნახშობენ და ე კაცი ადგა დილაზედ და ლესავს დანასა. ვაჟას ქვე ეყურება. ვაჟამ უთხრა:

— რათა ლესავ, მამა, დანებსაო?

— წიქარას დაკვლა მინდაო! — გაატყუა.

— წაე, ჩაიყვანე წიქარა წყალზე და ამოიყვანეო! — ჩავიდეს წყალზედა წიქარა და ვაჟაჲ და უთხრა ვაჟამ: — ქვე კვლენო!

— მე კი არ მკვლენო, შენა კვლენო! წამოიღე სავარცხელი, მარილის კვნიტიო და სამართებელიო! — წავიდა და წამოიღო ვაჟამ დაბარებული. შემოედა ე ვაჟაჲ და წავიდეს. ე კაცი შემომჟდარიყო და გაჰკიდებოდა უკვანა. წიქარამ უთხრა:

— მიჰხედე, ხო არავინ მოდისო?

— ბუზის ტოლა რაღაცა მოჩანსო!

— მიიხედეო! — მოიხედა და:

— მამაჩემი მოდისო, — გადააგდო სამართებელი და გაჩდა კდე. აწ ამ კაცმა რომ მოაწია ამ კდესა, ე ღორი ტკვერავს, ტკვერავს და ღარავს. გატკვირა და გავიდა.

— აბა მოიხედე, ხომ არავინ მოდისო?

— ბუზის ტოლა რამე მოჩანსო! — წავიდეს წინ-წინ!

— აპა, ახლა მოიხედეო!

— მამაჩემი მოდისო!... — გადააგდო სავარცხალი და გაჩდა იმისთანე ტყე, რომ ნეფსი ვერ გაეტევა... ღორი სტკვერს ამ ტყესა და გააწია მერე.

— აპა მოიხედეო!

— ბუზის ტოლაო! — წავიდეს კვლავა.

— აპა მოიხედეო!

— მამაჩემი მოდისო! — გადააგდო მარილის კვნიტი და გაჩთა უშველებელი ზღვა. აწე წიქარა და ვაჟაჲ წავიდეს. მისი მამა ჩაიხჩვა ზღვაში.

— აპა მოიხედეო!

— არავინ ჩანსო!... წავიდეს ეხლა ესენი და ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მივიდეს, კოშკზე ხე! შემოსვა წიქარამ ე ვაჟაჲ კოშკზე. წიქარამ მისცა სალხინო და საჭირო ჭიანდური... — თუ რა გაგიჭირდენო, დაუკარიო!.... ხემწიფემა ნახა ე ბიჭი კოშკზე. გაგზავნა კაცი: — ჩამოაგდეო ვაჟაო. ჭრის ე კაცი და ვერ ჩამოაგდო.

— მეო ვერ ჩამოვაგდებო და სხვანი გაგზანეო! — გაგზავნა თავისი ვეზირი თოფებითა. სრიან, სრიან თოფებსა და აცილებენ, გამოიარა ერთმა კაცმა და: — მე ჩამოვიყვანო! — ამ კაცმა წამოიყვანა თხა, გუდა და სადგისი. გამოიარა ამ ვაჟასთანა და ჩაჰკრავს სადგისსა თხასა და აჯღავლებს. ამ ვაჟას უთხრა: — შეს გაზდას, ჩამოე და მომეშველეო, დაკვლა მინდაო! — ა ვაჟამ უთხრა:

— ვერ ჩამოვალო!

— ჩამოე და მე შაგიყვანო! — ჩამოვიდა და ე ვაჟა ჩაისვა გუდაში. წაიყვანა და ჩასვა ე ვაჟაჲ ცხრაკლიტულში. აკოშკაზე დაჟდა ე ვაჟაჲ და გადმოია-

რა ყვავმა, უთხრა: — ყვაო, ყვაო, შესა მზესა, ჩემს კოშკზე დამრჩა ჭიანდური და გადმომიტანეო!

— ქვითა და ჭოლოკითა არა მზოგავო, შენ რას გაგიადვილებო? — გადმოიარა მერცხალმა.

— აი, აი, მერცხალო, გაზაფხულის მახარობელოო, ჭიანდური იმ კოშკიდან გადმომიტანეო! — წავიდა ე მერცხალი და გადმოუტანა, დაუკრა ამ ვაჟამ საჭირო ჭიანდური. მოვარდა წიქარა, ამტვრეეს აწი კარებსა. რვა გატეხა და მეცხრეზე რომ მიაწია, მოსტყდა რქა. აწა თაგვი გამოძვრა. — და თუ ლეშს მაკმეო, მოგბამო რქასა! — მოაბა რქა და გატეხა მეცხრეცა. წაიყვანა და ისრით იმ ხეზე შესვა... ე წიქარა წავიდა. საშუალ მთაზე საბალახოდ... აწ ამ ვაჟას გეეხარება, რომ ეს წიქარა ნახონ... დაუკრა სალხინო ჭიანდური და წიქარა არ მოვიდა. წავიდა ე ვაჟაჲ, ეძება და ნახა წიქარა კვდარი. მერე ტიროდა ე ვაჟაჲ, ტიროდა და მოსჭრა კისერი და ჩაუძვრა ეს ვაჟაჲ შიგნით...

30. წიქარაჲ

(ვარიანტი)

იყენეს ცოლ-ქმარნი. ჰყავდა ერთი შვილი. ე ვაჟაჲ დაობლდა და მარტო მამა ჰყავს. მისმა მამამ დედისნაცვალი შეირთო. ამ ვაჟას ისრე ებრძვის, ისრე, რომ ჰო! ერთხელ უთხრა მამამისსა: — დავკლათ ე ვაჟაიო! — ადგა დილაჲ და დაიწყო დანების ლესვა. ამ მისმა შვილმა უთხრა: — რაჲსდა ლესავო? — წიქარა დავკლა მინდაო და წაიყვანე წყალზედა და დაალევიეო! — ჩაიყვანა და ალევიებს და ტირის ე ვაჟაჲ. წიქარამ უთხრა: — რაჲსდა ტირიო? — წეე, მოიტანე სალესი ქვაო, ჭიქაო, სავარცხელი და შემაჯექიო! — იარა, იარა და ე მამამისი შეჯდა ღორზე და მოსდევს.

— აბა, მოიხედე, მამა ხომ არ მოდისო?

—ბუზუკელავით რამე მოჩანსო! — დაეწია ეს ესრეა და: — გადააგდეო სავარცხელი! და გაშთა იმისთანე ტყე, რო ჰო! სტკეერს ე ღორი, გავიდა, გაატანა...

— მოიხედე კიდეო! — აწე ჭიქიანი წყალი გადააგდო და გაჩდა ზღვა. რომ შევიდა, გავიდა, დაეწია ეს ასეა, და გადააგდო სალესი ქვა. გაჩდა ფიცარი. ვერ გასტკვირა...

გავიდეს ერთ მინდორში ვაჟაჲ და წიქარაჲ. ხნევდა ერთი კაცი გამალებით. თვით ხარები ჰყვეს ორთავეს. — ვაუიდნეთო და რომელმაც წააქციონო, იმისი იყვნენ ე ხარებიო!

ეჭიდნეს და წააქცია პატარა ვაჟას ხარმა. ორნივ არიან. წავიდეს და ერთ ხეზე შესვა და საძოვარზე წავიდეს ხარები.

—ერთგან მთას აქით არისო წყაროო და უნდა დავლიოთო! — იარეს ხარებმა და ისრე დასუქდეს, ისრე, რო ტყავში აღარ ეტევიან. წავიდეს და დაუკრა სალხინო სალამური და მოვიდეს ხარებნი და კიდე წავიდეს. სპრიან ე კაცები ფიცარსა, ხესა და უფროდაუფრო ფსპვილდება და მოვიდეს იმთენი ჯარი, იმთენი, რო ჰო! დასცხეს შვილდისრები და ვერ მოარტყეს ვაჟასა. დაუკრა საჭირო სალამური და მოცვინდეს ე ხარები და რომელსაც გაერკვა, სულ დას-

წყვიტნეს ერთის მეტი. ეს გადარჩენილი კაცი მივიდა და უთხრა: — მე ჩამოვიყვანო! — წამოიყვანა ერთი თხაუკა ამ კაცმა და ჯგელემს და სპყვირის ეს თხაუკა.

— რა რას შვრებიო?

— დაკვლა მინდა და ვერ დამიკლავსო!... ჩამოე და მიშველეო!

— რომ ჩამოვიდე, ვეღარ შემოვალო!

— მე გიშველიო... — ჩავიდა და ჩასვა გუდუნაში. იარა და შეაგდეს ცხრაკლიტულში. ე ვაჟაჲ ტირის, ტირის და გაიარა ჩიტუნამ და უთხრა: — შესა მზესა წადი და მინდვრად რომ ხეა, სალამური დამრჩა და მომიტანეო!

—შენ რომ მახეებს მიგებ და ქვებს მიშენო?!... — გაიარა არწივმა. იმასაც ისრე უთხრა.. არც იმან შეასრულა. მერმე ტრედი გადმოფრინდა და:

— შესა მზესა, მინდვრად ხეზე სალამური დამრჩა და მომიტაო! — წავიდა და მოუტანა აწე, დაუკრა ამ ვაჟამ და მოსცვინდეს ე ხარები. გატეხეს რვა კარი და მოსტეხეს რქა. შეტეხა მოორემ და წაიყვანეს და შესვეს იმ ხეზედა... დაუკრა სალხინო ერთსელი და არსაა. ჩავიდა ძირსა და უკრავს.. იარა, იარა და ნახა გამოხრული ხარები. შეძვრა ე ვაჟაჲ და მოკვდა ხარებშიდა....

37. კვიცი და ვაჟაჲ

იყო ცხრა ძმა და იმათა ჰყავდა დედაჲ. შვილებს ბუხარშიით არ გამოჰყავდა... წავიდეს სამუშაეს და დაივიწყეს ნებით ქლიბი. მოაბრუნეს უფროსი ძმა ქლიბიზდა და სახში შიშით ვერ შევიდა. შევიდა სახლისთავში, ახადა პოლი, ჩასწვდა ხელი, ამოიღო და წამოვიდა. ახლა ეს ძმები რომ მივიდეს სამუშაეს, გაუხდა ერთი ძმა ავად და უთხრნეს: — ძმა გვყავს ავად და რა უშველისო? — თქვენი უნცროსი ძმა დაკალითო და მისი გულ-ღვიძლი უშველისო! — შეაგდეს ერთი კვირე სახში და ასუქებდეს. რომ გამოიკვანეს მერე ისი, — მე გასწავლიო მაგის წამალსო და თუ არ უშველისო, მერე მე დამკალითო! გაიხედეთ ფარა ცხვარში, თეთრი კრავი ურევიოა, ის მოიყვანეთ და დაკალით და იმის გულ-ღვიძლი წასცხევით და თუ არა უშველის, დამკალითო, — წავიდეს მართლაც და დაკლეს და უშველა თავის ძმასა. გადარჩა მათი უნცროსი ძმა. ადგა და წამოვიდა იგი. იარა, იარა და მოადგა ერთ ცხენის ჯოგს. უთხრა ერთმა კვიცმა: — სა მიდიხარო?

— ასე და ასეა ჩემი საქმეო, — ბიჭმა უთხრა.

— მეც ეგრე ვარო, — კიდე უთხრა კვიცმა: — შემჯექი, აბა წავიდეთო...— შემოუდა და ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, რომ დაღამდა, ნახეს ერთი ფრთე და სულ იქაობას ანათებდა. ვაჟამ უთხრა: — ავიღოთ თუ არა ფრთეო?

— აიღებ, მოინანებ, არ აიღო მოინანო; — ისევ აიღო ბიჭმა ის ფრთე. წავიდეს და მოადგეს ერთ სახელმწიფოს. დადგეს ამ სანეფოში. შემოდვეს ღამით ფრთე ფანჯარაზე და სულ იქაობას ანათებდა. თქვეს:

— რა ამბავი არისო? — მერმე იმათ უთხრეს: — ფრთე მოგვეცით, თუ სინდისი გაქთო.

— რას მოგვცემთო?

—ნახევარ სახელმწიფოს მოგცემთო. — ჩავიდა და უთხრა კვიცს:

— ასე და ასე მეუბნებიანო! — კვიცმა უთხრა: — მიეცით!... — მემრე

კვიცმა უთხრა: — წამოიღე ე ქვებიო და მირტყიო და მოვლენ ცხენები და ჩაწველიანო და გაამსებენ იმ ქვაბსაო! — აადუღეს ის რძე. რომ აადუღეს, შეუბერა კვიცმა სული და გააცივა ისევ ის რძე. ჩაწვეს იმ ქვაბშიდა და ამოპყვა ოქროები ამათა. სანეფოს პატრონმაც გააცხელა რძე და ჩაწვეს ისინიცა და ამოიფუფქნეს, დარჩა სანეფო ბიჭსა და კვიცსა. შემოდა ბიჭი კვიცზე და წავიდა სხვა ქვეყანაში, იარეს, იარეს და მოადგეს იმ კდეს, ჩიტი ვერ შევიდოდა. უთხრა კვიცმა ვაჟას: — იმისთანე დამკარი სამჯელ, სამი საქალამნე ამვარდესო და შევალო ამ კლდეზედაო! — დაჰკრა მართლაც სამჯერ და ავარდა სამი საქალამნე და შევიდა კლდეზე. გავიდა და ერთი კარგი დიდი სახლი იყო და იმაში ერთი დევი ცხოვრობდა და ქალი ჰყავდა. იმ დევს ეძინა. მემრე უთხრა ქალმა: — თქვენ აქ რამ შემოგიყვანა, ჩიტი ვერ შემოდისო? — ი ვაჟამ უთხრა: — შემოვედით გაჭირვებითაო! — ეს ბიჭი ხრმალს იღებს, გაჭრიალდა ხრმალი ბუდეში; წამოიძახა მდევმა: — რა ამბავი არისო? — ქალმა უთხრა: — ცოცხის წვერი მომიხვდა, სახლსა ეფალეედიო! — გაატყუა. დაეძინა ისევ მდევს. კიდე ამოსწია ხრმალს ბიჭმა. მდევმა უთხრა: რა ამბავი არისო? — კაბა წავკარი სკამსაო და სხვა არაფერიო! — ამოიღო ბიჭმა ხრმალი და გადაუზმანა მდევს, დაჰკრა და ცხრა თავი მოაგდებია. ადგენ და წამოვიდენ ისინი. — სამი იმისთანე დამკარი, სამი საქალამნე ამოვარდესო! — შეეცოდა ვაჟას, რომ ვერ დაჰკრა. მერმე: — დამკარო მაგრაო, თორე კბილით დაგლეჯო! — დაჰკრა და კიდო ააგდო სამი საქალამნე. გადმოფრინდა ეს კვიცი და ბიჭი ზედ იჯდა. იარეს და მიაწიეს თავის სანეფოში და იქა ცხოვრობდეს.

88. მოჯამაგირე

იყო ერთი საწყალი კაცი და დადგა ხუცესთანა მოჯამაგირედ. წელიწადში ათ თუმანს აძლევდა. ხუცესმა უთხრა: — თუ გინდა ათ თუმანს მოგცემ და გინდ ერთ აზრიან სიტყვას გეტყვიო! — ისევ საწყალი ვარ და ისევ სიტყვას ვარჩევ, — და სიტყვა არჩია ფულსა. ღვდელმა უთხრა: — გულში ნადები სხვას არ უთხრაო!

ეს კაცი ისევ დადგა მეორე წელიწადს ამ ღვდელთანა. ძაშინაც უთხრა: — კიდევ გეტყვიო ერთ სიტყვასაო! — ისევ სიტყვა არჩია. წამოვიდა ე კაცი და ღორის ნაჩუჩქში მოიძია კუნწი და დარგო სახლის ძირას. ამ კაცმა თავის გუნებლივად დაარქვა „ხვლიკის ხე“. იმ ხემ მოისხა ოქროებსაციო რამე ხილი, არაფერ ხილს არ გავდა. აიღო ორი ცალი და ქვე წაიღო ბაზარში გასაყიდათა. ერთი კაცი აძლევდა სამოც თუმანსა. ეს საწყალი გაუხვიანდა და: — შენ ქვე მასხრობ და მე ქვე არ მემასხრებაო! — გაექცა. გაეკიდა. იმას ეგონა, მასხრობსო! ამ საწყალს ძალით დასთხლიშა ხილი და მისცა სამოცი თუმანი. ბაზარზე მეორე დღეს კალათით წაიღო გასაყიდად. იმ კაცს შეხვდა და ბევრ ფულს აძლევდა. — კიდე მასხარაობრ? — გამოართვა, როცა იყო, და წავიდა და კაჟ სახლი გამოჭიმა და ითხოვა ქალი. ერთი მდიდარი დაეხიბლა— „თუ მიგხვდე, რა ქვიან ამ ხესაო, რაც მინდა — ამოვარჩევო შენი სახლიდანო და თუ ვერაო, ჩემი მაღაზიიდან ამოირჩიეო! — არაფერმა კაცმა არ იცოდა, იმ ხეს რა ერქვა. — ვერ მიხვდებაო! — ამ საწყალი კაცის ქალი შეიყვარა ამ მდიდარმა, რომ დეეტყუენოს, რა ქვია. ე ქალი ეხვეწება ქმარსა: — რა

ქვიაო? — რათაც იქნა, დასტყუვნა: ხვლიკის ხე ქვიაო! — წამოვიდა და უთხრა დიდარს... მივიდა მდიდარი და უთხრა: — ხვლიკის ხეო! ნიძლავი შეასრულე მალაო! — ამ საწყალმა უთხრა: — სამი დღის ნება მომეც და მერმე წაიღეო! — წავიდა და ისევ ბუცესთან მივიდა: — ასეა ჩემი საქმეო! — ღვდელს მოწვეული ხალხი ჰყავდა რამოდენიმე. ღვდელმა უთხრა: — შენ ისადილე და მერმე მესაქმეო! — დაჯდა ამ დიდრებში და სადილობენ. ხორცი ჰქონდა დასაჭრელი და ვერსაით დაჭრეს. ამოიღო ჯაყვა ამ საწყალმა და სულ ზეით ანათებდა. დიდარი მიედევა: — ჩემი ჯაყვა არისო! — წავიდა და ბუცეს მიაშურა, ამ ღვდელმა უთხრა: — მე არ გითხარ, თუ არავინა გთხოვონ, არ გამოუჩინო, რაც ქონდესო! წა და ასე უთხარი — ეგ ჯაყვა, — მამაჩემი მოეკლა ვისმეს და — იმას ზე ესვა გულზედაო: — აბა, შენ ხარ ჩემი მამიმკვლელი და წამოდი, და უნდა გიჩიენლოო! — დიდარმა უთხრა: — ხოლოთ ნუ მიჩიენლებ და რამდენიმე ფულს მოგცემო! — დადგა უარზე ე კაცი, — შენ მოგიკლავსო! — შეარიგეს მერმე და ათასი თუმანი ფული და ჯაყვაც მისცა უკვან. რომ გამოისტუმრა ხალხი, ბერს უთხრა: — მიშველეო! — ღვდელმა დაიჭირა კატა და ამ კატას ეუბნება: — წადი შენაო და ის კიბეები მოაცალე ყველგან შენ სახლსაო და მიაგდი მაღლა კიბეო და შენი ქალი მიაკარ სახლის თავშეო. იმ პატარა კიბეს სამი რიკი გაუკეთეო! — კაცი უმალ გაიქცევა, ქალი რომ ტირიდესო. ერთ კიბეს რომ შესთვლი, რომ ავაო, კარი წიხლი და გადმოაგდეო და გამოაძრე ი სამი რიკი და გაუყარე წენში იმასაო და უთხარ, — აი შენი ნიძლევიო, სამი სიტყვა არ გეთქვანო, ის უნდა წაგეღოსაო. კატა გადააგდო. ეს კაცი წამოვიდა, მოვიდა სახში და იმ დროს მოაწია დიდარმა მელიციით, რომ წაეღოს ნაძლევი. ეს ქალი რომ დაინახა მტირალი მიკრული, ადგა და გაიქცა. უმალ ქალი ამოერჩია. რომ შეთვალა კიბეზე — ერთი, ორი, სამი, ამ კაცმა კრა და გაუყარა წენში: — ეს შენი ნიძლევიო. ერთი, ორი, სამი ქვე არ დათვალეო?...

39 — 40. როსტომის ამბავი

იყვნეს ცოლ-ქმარი და ამ როსტომს არ დაეწერა შვილი. წავიდა და ჰკითხა დოხტურსა. მოსცა ვაშლი დოხტურმა.

— გათალეო და ქალს შეაჭამე გულიო, ცილი შენაო! — და შეჭამა. დაორკეცდა ქალი. ე როსტომი წავიდა სოფელშიდა საჩხუბრად.

— თუ ქალი გეტყენო, შინ დაიტოვეო და, თუ ვაჟაა გეწერონო, გამომიგზავნეო! — დაეწერა ვაჟაა, უთხრა შვილსა: — გაუდეგ ამ გზასაო და მამაშენს შეეყრებიო! — გაიარა ვაჟამ და შემოხვდა ეშმაკი: — შენ ქალულეფ რომ არ იყო, რა კარგი იქნებაო?! — დაჰკრა ფეხი და დასუყლიტა. მეორეჯელ კიდე შეხვდა და მესამეჯელაც. წავიდა სოფელჩი და ეკითხა: — როსტომი სად არისო? — გაჯერახეს სოფელმა — ეს ორნიო მამაშვილნი არიანო და გავიძარაბოთო. გაჯერახეს ამ სოფელმა და გამოიტყუეს როსტომი და: — ე ვაჟაა გითხოვს საპილაოთო! — ეპიდნა და დასცა. როსტომა მუედელს შემოაკვრია ჩანგლები. იპიდნეს. და ამოჰკრა მოორეთ და გახეთქა შვილი. ვაჟამ ამოჯაბა: — ვაჟ, როსტომს ვერ წაუხვალო! — დაიწყო როსტომა ტირილი და დახოცნა ფარავანდი. ორი კაცი დასტოვნა და კითხავთან — რომელი მოარჩენთო? — წავიდეს და მისცა იმისთანე წამალი, ხუთ წელიწადს წყალშიდაო

ჩადგესო! ოთხი წელიწადი გაუხდა და ზურაბი ინძრევა. მოვიდა ერთი ბერი კაცუნა და: — არიქა, ამოეო! — ჩაუძახნა, ამოვიდა და ეს შეაფეთხა და ე ბერუკა და ბიჭი კიდენ მოკვდა.

ბებია იყო ერთი და ჰყავდა შვილიშვილი, ძუძუს აღეჭიებდა და ისწავლა პურის ჭამა. გაიზარდა ე ვაჟა. გავიდა გარეთ ე ვაჟა და ქალს კონკა უდგას ზურგზედა და მიდის. ამ ვაჟამ მოატანა ქვა და გაუტეხა.

— შენ რავა დაგწყიო, ერთი შვილი ყავხარო, შენი ქალი რომ სხვამ წაიყვანონო, შენ იმას უნდა გაუსწორდეო! — შევიდა ე ვაჟა და უთხრა: — ბებია, ძუძუ მაწოვეო! — მოუჭირა კბილი და უთხრა: — მე მამა მყოლიაო?

— გყოლიაო!

— დედა მყოლიაო?

— გყოლიაო!

— ქალი მყოლიაო?

— არა გყოლიაო! მოუჭირა ძუძუზედ მაგრად და:

— გყოლიაო!... — მოეცალა ამ ძუძუსა და წავიდა ე ვაჟა. ეძებს მის ქალსა, დაყვირის და ვერსადა ნახა. ვინცაღ იყო მისი ქალი, მამამის გეეკეთებია კუბო და გადეგდო. ბებიას ენახა ამ ვაჟას ტოლი ვაჟა, შესრულიყო ვაჟა და ბებია და უთქვამს: — შენ შვილიშვილსო ვეძმობო...

— სამ სიტყვას გეტყვიო, არ გადასცდე, თორემ მოგკლავსო.

— კარგიო, მითხარიო...

— რომ გითხრან, ვაჟაო, — წყალი მომიტანეო. არ უნდა მოუტანო! რომ გითხრან — ცხენი ჩაიყვანე წყალზედაო, არ უნდა ჩაიყვანოო, რომ გითხრან — ჭამე პურიო, არ უნდა ჭამოო! — მოვიდა ე ვაჟაჲ და ბებიამ უთხრა: — შენი ტოლი ვაჟაჲ მოვიდა და შეიძმეო!

— მანახვიე, რავარი არისო... — გამოიყვანა ბებიამ ი ვაჟაჲ და უთხრა ბებიას ვაჟამა: — წაე, წყალი მოიტანეო! — არ გაიღო ხმა, არც ქვე ჩაიყვანა, არცა პური ჭამა.

— შენო ჩემისთანე ყოფილხარ და შევძმოთო! — წავიდეს აწე და ეძებენ ამ ვაჟას ქალსა. იარეს, იარეს, ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მივიდეს ერთ ცხენის ჯოგში. ი ცხენის ჯოგსა უდგას ერთი დიდი კაცი. ამ კაცის შიშითა ჩიტას არ გადუფრენია. აწე ორნი ვაჟანი ჩავიდეს და ამ ცხენებს მოერტყნეს და გაყარნეს გზა-გზა... ერთი კაცი მივიდა დიდ კაცთანა ღა:—არიქა შენი ცხენები მიჰყავანო! — დაჰკრა წიხლი ამ კაცსა და გაჭყლიტა.

— რავა გატყუებო? ჩემი შიშითაო ჩიტას არ გადუფრენია და ცხენს ვინ მომტაცებსო? — კიდე ორნი შევიდეს და იმათაც ისრე უქნა. აწ მეოთხე შევიდა და: — ეს ჩემ თაზე გლახა ამბავიაო, — გაიხედა და აღარსალა მისი ცხენის ჯოგი.

— ისინი მართალს მეუბნებოდესო და რავა დავხოცეო? — წავიდა და მირბის გზა-გზა, ნახა მისი ცხენის ჯოგი. ამ ორმა კაცმაც ნახეს ეს კაცი. აწე ერთი ვაჟა კანაოში ჩადგა და მოორე მოორეზე. ე კაცი რომ მიდის, გეეჭანეს ე ორნი ვაჟანი და ეცნეს ფეხებში. გეეხარა ამ დიდკაცს, — რანაირა ვყვარებივარო? — მოაბრუნა ამ კაცმა ცხენები და წამოიყვანა. აწ ამ ორ ვაჟმა მისცა შეწუხვნილი ორი ცხენი. მერე მისცა ჩოთქი, — ჭოუსვით ზურგზე და იგრე დასუქდებიან, რომ ვერ დააკავებთო!

— შენ ჯავრი ნუ გექნებაო, თუ ვერ გავაკავებთო! ისევ მოქცემთ შეს ცხე-

ნებსა, — ვაჟაებმა გოდუსვეს და იგრე დასუქდეს, რომა მართლა რო ვერ აჩერებდეს. წავიდა ე ორი ვაჟანი ცხენებითა ბებიასთანა.

— გამოიხედე, რავარი ცხენები გვყავანო ჩვენო! — დაჰკოცნა ბებიამა შვილიშვილები, ესენი შეუშვნა ბოსელში და მოასვენა.

41. ასფურცელა

იყენეს ცოლ-ქმარნი. აწ ამ ცოლ-ქმართა არ ეწერა შვილი. ამ კაცმა თქვა: — წავალ, მკითხავს ვაკითხვიებ, ეგებ გვეწერონ შვილიო! — ჩავიდა, აკითხვია და თქვეს: — ვაშლს ერთი სხვილი ვაშლი აბია წვეროში და გასჭერიო და გული ქალს შეაჭამე და კანი შენ შესჭამეო. — მართლაც ისრე ქნა. ეწერა ვაჟაჲ. რავარც ეწერა, ამ ვაჟამ უთხრა: — კვერუნა მომიცხვეო. — მოუცხვეს და დაარქვეს ამ ვაჟასა ასფურცელა. გაიარა და მხნავი ქვე ხნავს. გამოვარდა კურდღელი და ე კაცი ქვე კლავს ამ კურდღელსა. ამ ასფურცელამ დაუძახა: — ჰა, ჰა, არ მოკლა, ჩემი კურდღელი არისო! — წავიდა ე ვაჟა და მივიდა მდევებთან. გამოეღვიძა ერთსა და: — მძორის სუნი იცემაო!

— უცხო სტუმარი გვყავს და, თუ არ შესჭამო, კარგი, იქნებაო! გავასუქებო და ხვალ დავკლავო. — შეიყვანეს შინა და აქმევენ პურსა. რომ მივიდა ვახშმობა, მდევმა თქვა: — ჩავალ და ღვინო ამოვიტანო! — ჩავიდა და ამოიღო ღვინო. ასფურცელას უთხრა: — ამოაშურეო ე ღვინოო!

—მაგ ხელა მდევი ხარო და ვერ ამოიტან შენაო?! — ამოიტანა დევმა და შევიდა და ალევიებს აწე ასფურცელას.

— ეგრე ჩქარა რავა სვამო? — ასფურცელას ენახშება.

— შენ რაიზდა სვამო ჩქარაო?

— ჩემი ღვინო არის, ქვე ესვამო! — ორნივე სმენ და ე ვაჟაჲ ჩავიდა და გამოსჭრა ამ ვაჟასა ყელი. ჩაადგა და ჭამს ხორცსა. გაუგონია ასფურცელას დედ-მამასა. ტირიან და ტირიან. მერმე ეწერა ამ ქალსა კიდე შვილი. გავიდა გარეთ და ქალმა უთხრა ვაჟასა: — შენი ძმა რომ დევმა შეჭამა, რავა დაანებეო თავიო? შევიდა და უთხრა ვაჟამა დედას: — დედიო, ძუძუ მაწოვეო! — აწუა და წავიდა აწე ე ვაჟა. მივიდა ისრევ ამ დევთანა, ვინცაღა ასფურცელა შეჭამე. — მძორის სუნი იცემაო! — მოვიდა ვახშმობა და აქმევენ და ალევიებენ ღვინოსა და დასთვრა ე დევი. დაწვეს ყველანი, ე ვაჟა ადგა და დასჭრა ორთავე ყელები... ამ ვაჟას რაც ცხოვრება ჰქონდა, წამოიღო, დედამ უთხრა:— ვინ მოგცა ე ვეშიო?

— ვინცაღ ჩემი ძმა შეჭამა. ისინი დავხოცენ და მომაქო!

— გენაცვალოს შენი დედა. კაჲ ვაჟა გამიჩთიო...

ტყის თავში იყო მოსახლეები — სამაროანი. სამოცი გლეხი კაცი ბუბაში იყო. შეუყარა სახლიშვილსა და სამაროანში დედულობა ჰყავდა.

— ბაბუა, ჯარი გიხტება, ფრთხილად იყვენითო!

— ბაბუა, ეგ რო არ გეთქვანო, რძესა მაინც ქვე მაჭმევდიო, ჩვენ მტერი რას დაგვაკლებსო? ათასხუთასი ლევანდი კაცი არისო...

წამოვიდა ეს სახლიშვილი. დააყონეს პატარა და მოუხტა ჯარი. ვერა დააკლეს მაინც. უთხრეს: — ერთი კატაო მაინც მოგვეციო! — მოქცემთო! — და მიუციათ. ამ კატას დაასხეს ნაფთი, მოუკიდეს ცეცხლი, შევარდა სახლებში

ე ცეცხლიანი. გაუშთა მოსახლეებს ცეცხლი, გადაცვივდეს ე ხალხი... ახლა ყიზლარში არიან ჩვენებურები... ამისთანე გაჭირვება და ტრობა გამოუვლია ჩვენ წინაპრებს, მაშა... ბევრი იშტორიაებია, მარე არ მახსოვს გლოლაგს გურგლივ.

42. იღბლიანი

იყო ერთი ზარმაცი კაცი. ცოლმა უთხრა: — წადი და შეშა მოიტანეო! — სუნელი ხო არა ხარ, არ ვიმუშავებო. — წავიდა ე დედაკაცი ტყეში, წაიყვანა ხარები; გაიარა ხარმა და ჩაუწყდა ფეხი. ჩაიხედა და ოქრო-ვერცხლი ყრია. წამოვიდა მამაკაცის წასაყვანადა.

— ოქრო-ვერცხლი მოვიიე, წამო, წამოვიღოთო!

— სუნელი ხო არა ხარო? თუ იღბალი მაქ, მიზდა მოვაო! — ადგა და ამ ქალმა მეზობელს უთხრა. წაიყვანა ე მეზობელი, მივიდეს და ანახვია, — ნახეთარი შენო, ნახეთარი მეო! — წადი და მე მოვიტანო. — წამოვიდა ე დედაკაცი. ამოიღო და წამოიღო ამ კაცმა, მოიტანა ეზოში. იმის კარზე რომ მიიტანა, გველბაყაყი გაუჩდა შიგ... იმ საწყალის ზარმაცის კარზე რომ მიიტანა, ისევე ოქროდ გადაიქცა. — ხომ გითხარ, — უთხრა ზარმაცმა, — თუ იღბალი მაქ, მისით მოვაო?!

43. ჩვენი იშტორიაები

ხემწიფემ რომ ამოიარა, იმოდენი ჯარი გამოჰყვა ქუთაისით, რომა, ვინ იცის?!... შვიდი მიუტანეს. მთაზე შეყვენ, პერევალს და საჩუქრები დაურიგა ხალხსა და ოქროები. გავისტუმრეთ, ნიკოლა და მისი შვილი ავათ იყო. ერთი კარქა კარავი გაუმართეთ და იქ უნდა ეჭამოს სადილი. არ მიირთვა და პერევალზე წავედით. შეშა დავჩეხეთ ოთხ გვერდათ და კარავი დაუგეთ შუაზე. სიმღერა და თამაში გავმართეთ ძაან სანახაობა... ფურგუნები ვადმოვიდეს ბევრი... თოვა დაიწყო დიდი. ადგეს და სახში მივიდეს. რომ დაეღვეს ვახშმად, იმისთანა ღაეღაჟი იყო, რომა... საჩუქარი დაგვიტუა, ყარაულებს... აიღეს ეს ფული და ქვე არ წაიღეს? დაგვტოვეს ცალიერი...

ერთ დღეს ჩვენებს და ოსებს მოსვლოდათ ჩხუბი. ისინი წამოვიდეს და უნდა ეეღოს საძღვარის ფული იმათაც. ჩვენნიც წავიღეს. ბლოველ კაცს ხვდებოდა ოსი ექვსი-შვიდი. ჩვენებურნი ეუბნებიან ერთმანეთსა: — ეიჩხუბოთო, არ აქვცთებაო. — შეგროვდეს. მოვიდა ერთი ოსი და სანრე დაჰკრა ქართველს მამასახლისს. იმასა იქ შვილი ჰყავდა აბელშიკი, ლეკურის ხმარა კარქა იცოდა. იძრო შვილმა მაშთავე ლეკური და შეუტევა და, როგორც ცხვარი, დაფრთხვენ ოსები. ბლოველებს კეცები ეჭირა და მისცხეს და ურტყეს აუარება ოსებს. მეჯოგეები — ცალკე იყვნეს და ყურობდეს. როცა ცოტა ბლოველები ამ ამბავს შვრებოდეს, სცემეს და გაყარნეს ეს ოესები. მეჯოგეებმა დაუკლეს საკლავები ამათ, ფულიც მისცეს და ისინი ქვე წავიდეს დაპეგვილი და ჩამოეიდეს სახში ჩვენნი, ზოგს წაართვეს ნაბდები და ქუდები.

ერთ დროზე ონიდან სტუმარი გვყავდა. ის სტუმარი და ერთი ჩვენი კაცი ადგეს და სამაყროდ წაყვეს. მოვიდეს სამაყროდან შინ. იმ ღამეს იმ სტუმარის ღართიც და ჩვენისაც მოგვპარეს ოვსებმა. ჩვენ შევწუხდით. სტუმრის ღართს. ოვსები მიდიან თურმე აქიდან. ოვსმა დოუძახა ოვს: — ის რა უქენიო, ისო! — ჩვენ ოვსზე ვიყავით შეხვეწილნი მოძებნაზე. მიხვდა იგი და ჩამოუდგა გზაზე. — ღართი რა უყავიო? — გამოტეხა და ღართიც ჩამოგვიტანა უკან ოვსმა.

ქვედელებისთვის დეეპარნეს ოვსებს ცხენები. საღამოზედ მირბოდეს ქვედელები — დაგვპარესო. დაღამებოდა კიდევაცა, ეზაში. ღურშევის ბოლოზე ქვეც მიაწიეს და შეხვდენ ერთმანეთს. შეეკნთ ჩხუბი ოვსებს და ქვედელებს... ეს ცხენები წაერთმიენეს ქურდებისთვის. დეეკრა ერთს ხანჯარი ცხენის პატრონისათვის და ჭრილობა მიეცა. ჩამოვიდენ ჩვენსა ქვედელები. ძალიან შეწუხებული იყო. ქალებს ეკითხება — „მტკივაო?“..

ორმოცდათორმეტი ვიყვენით ერთ ოჯახში წინათა. ოვსებიდან ცხენი მოვიძიეთ ჩვენი დაკარგული. ყანუკაში იყო გაშვებული. ვახშმობის დროს ესროლა ბაგრატა ბაღაშვილს თოფი უბრალოდ და მოხდომოდა ამ ცხენს. გამოქცეულიყო მაშთავე ცხენი და სახზე მოუშურება. კალოს კარები შეემტვრია და შესულიყო ეზოში. უფროსმა ჩვენმა ნახა, რომ დაამტვრია და კალოს კარები გადაფარდულია. ნახა, ცხენი გდია. ცხენი მომკვდარა. იმ ღამეს ჩვენის სახლის კაცებს ეთქვა ბაგრატზედა:

— რას ესროლე ე თოფი ამ ღამეშიო?

— კატამელს ვესროლე თოფიო! — კიდევაც გამოვიძიეთ და ვაპატიეთ...

მარიკელას თორმეტი ქათამი პყავდა. იმ ვაჭარმა არაფერი არ დაუტოვა ფული. მოვიდა საღამოზე მაზლი, — ქათმები დაეყიდეო.

— ანგარიშიო? — კაპიკიც არაფერი მოუცემიაო... გაყავრდა მაზლი.

— მითხარ, ვინ იყიდაო, ჩქარაო! — ქვე რა იცის? — მოვიდა ერთი მამასახლისისას, — შენმა ქმარმა გამომგზავნა საიქიოდანაო, ამდენი ფული წამომატანა და მოვა თვითონაო. — გაეხარა ამ დედაკაცს. წამოვიდა და ფული წამოიღო. ერთი კაცი ყანუკასა ხნავს. უთხრა — შედიო ამ მსხალზედაო და მე მოვხნავო. — მოვიდა მდევარი უკან.

— კაცი არ შეგხვომიაო?

— არაო!

— ერთი მსხალზე შევიდაო, თავქაჩლიანს ექებსო! — ჩამოდიო, მდევარი ენახშება. ვინცა ხნევდა, შეჯდა ამ ცხენზე მაზლმა და წამოვიდა, ე ცხენიც და ფულიც მასა აქს... მიბრუნდა უკან ე კაცი. — რა იქენო ღა: — ჩემ ძმას დაუტოვე, უფრო უმალ მოვაო!

ახალი დამდგარი მამასახლისობა ერის და: — სამ წელიწადს თუ დარჩა გამოუცვლელი, სოფლიდან ჯამაგირი უნდა ექნენ მასაო! — ეს ხალხმა იბუა,— ვერ მივცემთო! ნაჩალნიკმა დაიბარა, ჯიჯავაძე იყო ოწში, და: — შემოვიდეს! — მეცა იქანა ვიყავნ. ნაჩალნიკი შესწყრა მამასახლისებს. — თქვე ვირე-

ბოო! — მერე ვერავინ დაინახშა. იყო ერთი ჩვენებური — ბასილა, კაჟ მონახშე, ქვე დიდი მოსული, წარმოსადეგი ვაშკაცი. იმან უთხრა: — ჩვენ თუ ვირები ვართაო. მერე შენ ვირების ნაჩალნიკი ხარაო? — დაბრუნდა ნაჩალიკი და მოხერა კარები სადგონში; ცოტა ხანი რომ დააყოვნა, გამოვიდა. — რა ვქნა, ჩემო ბასილაო, ერთი მეცა შემეშალაო. ახლა, ჩემო ბასილაო, თუ მამასახლისათ არ გაყენებო, სუდიათ დადექიო! — ჯორზეით გადმოვჯდებიო და ვირზე შევჯდეო?!... — ჯაფარიძეს უძახოდეს, დიდარი გლეხი იყო, იმან გვითხრა ჩვენა: — ჩემო გლოველებო, ისრე წახვალთ, ღვინო არ გინდაო? — ბასილამ დაინახშა: — რათ არ გვინდა, თუ დაგვალეიებთო! — ჩავედით, დავჯედით და სიმღერა და თამაში გავაჩაღეთ... ავდექით და მეორეს დილას წამოვედით. ბერებმა თქვეს: — უღვინოთ როგორ ავაწევთ გლოლასაო? — ბიჭიამ თქვა: — ნათლიაჩვენი დაგვალიებსო. ჩვენებურთა თქვეს: — საკლავიო?.. გიორგაშვილმა თქვა, ჩვენმა: — საკლავს მე გიშოვნიო. ადგა და წავიდა ონში და ჩვენ ღარულს ხელზე დავჯედით. ჩამოხანახევარი ღვინო გაჩდა ოტკავითა. საკლავი გიორგაშვილმა მოარბენინა. ცხვარი მოეცა, ან ხუთ თუმნათ არ მოგცემენ...

კაი დროობა მქონდა. ჯაფა ძიელა მქონდა. მერე დავკაცდი და თავისუფლობაში ვიყავი.

გეჩის შვილი იყო, კაი კაცი იყო. ჯაფარიძეებს მიჰყვებოდა ონშიით და იმ თამდე სუ რტყმით გაიყვანდა. გლეხკაცს ერეოდეს ისინი და: — რათ ერევითო? — მერე წავიდა აქა და ბელაშვილმა და ბიძაშვილმა უღალატეს, — ეგებ მოვკლათო. მონდურავად არიან. ერთი სახლის შვილი ჰყვა გეჩის და: — შეგვარიგენო! — დადიოდა ორი კვირა და არ შეურიგდა, — გაუტანელნი კაცები არიანო! როცა იყო, გატეხა და წაიყვანა საპაიჯებლად. მერე უნდა სიკვდილი გეჩის შვილსა და, რომ მოაწია კარებშიდა, ესროლეს და თეძოში დაჰკრეს. მაშვალს ერქვა გორეცი; — წამო, დედა, მიშველე და მომკიდე ხელიო. წადგა და რომ მივიდა ახლოს, ხანჯარი ამოიღო, ქიარ გააყრია წენები? იხმარა გვერდი მაინც და აი წყალზე ჩავიდა. გამოეშურეს მოკეთეები და გამოიყვანეს. ბაკურაძენი ჰყავდეს სახლიკაცები. მოვიდეს, წაიყვანეს, ქვე მოარჩინეს ეს გეჩას შვილი. ვერ უჩდებოდეს შიშითა ბელაშვილები...

ჩვენებურნი იყენეს ხოტებსა... ჩავიდეს და ნაჩალიკმა დაიბარა; — წამოვიდეს და სორს ამვიდეს, გოცირეებს ღვინო ვსთხოვოთო, — არ დაგვალევინებსო. — ვსთხოვოთო!... — რას დავეძებთ. ვსთხოვოთო!..

ე გოცირიძე ქვე ჰყურობს. გაიქცა შინა. მოვიდა მთხოველი, გამოუტანა დოქუნა ღვინო. — არ მეყოფაო! — გეყოფაო. რომ გამოუტანა, გამოადევნა კაცი: — წადი და გლოელები მომგვარენო!... — დაათრო ძალიან და გამოუშვა სახში. თავრობა ვერ ურიგდებოდა, ვერც წერეთელი, ვერც დადიანი გლოლას. ბატონი არ იყო აქა. ღონიერი ხალხი იყო, უბატონო.

ეს ეკლესია რომ დადგეს, ბერმა უთხრა: — დამიტოვეთო აქაო მეო! — დასტოვეს მერე ბერი და ბიჭი დაუტოვეს და ეს მეორე პატარა ეკლესია მისი აგებულია... შეენთხვია მერე ბერი, ქალი შეირთო და დაეწერა ბიჭი. იმ ბიჭმაც

შეირთო ქალი, იმასაც დაეწერა. ბერიშვილად დარჩა ერთი, მეორეს — ბიჭამ-ვილი, მოსამსახურე რომ ჰყვა, იმას....

ტყისთავს ვეტყვით, ნახევარი იქ თურმე იყვნეს ჩვენნი. ნახევარი — ბუ-ბას. მიუსტეს ტყისთავს, ვინც იყვნეს თათარი და შვიდი ათასი ლეკანდი ლა ვერაფერი დააკლეს. გამობრუნდეს ე თათრები და წამოვიდეს და იფიქრეს: — ასეო რავა უნდა წავიდეთო? კატა მაინცა ვსთხოვოთო! — მობრუნდეს, სთხოვეს კატა. — კატასაო, თუ გინდაო, ოთხსა გაჩუქებო. — მოგვარეს და დაასხეს ნაფთი და შევარდა სახლითავში, მოედვა ცეცხლი და დაიწვა ტყისთავი.

მოხევეები რომ არიან, იქ ჩავიდეს. ჩვენებურნი იქ არიან. ბუბას საყტარი ააგეს. ადგეს მერმე ბუბიით და ქვე ჩამოვიდეს აქა, გლოვას.

ჩვენსა ოვსობა იყო ძნელი, ღამე კაცი გარეთ ვერ გამოდიოდა. თიბა-მკაზედ უნდა წასულიყვნეს აკავანითა. მკეს ე ქალები ერთბელა და გაუჩნდეს ოვსნი მტერნი, მიუხტეს და აკავანებით ქალები დაიტაცნეს... მოვიდა აწე სოფელჩი კაცი, — არიქა, ქალები წაიყვანეს ოვსებმაო: რა ფიქრობით, არ ვიციო... — ვისაც შეეძლო სოფელჩი, წავიდეს, გაუდგეს თხებსა... რას მიეწეოდეს?!.... დილას წასული ხალხი რას მიეწეოდეს? — ერთი იყო შალიკაჲ, სულტანიშვილი, და თურმე იყო იგი სანადიროს. მოვიდა და ჰკითხა დედას:

— ხალხი სად არისო?

— ნუო, ნუ მკითხავო!

— დედა, მითხარ, თორემ მოქლავო...

— აპა, გუშინ საღამოს ქალები დაიტაცნეს ოვსებმა და იქ წავიდესო.

შეუტევა: — რავა არ მითხარიო?!...

— ვერ გითხარ, რადგან დაშრომილი კაცი იყავო!...

აიღო კაჟიანი თოფი და გაიქცა. გუშინ წასულ ხალხს დაეწია, უთხრეს:— ვერ მიეწევიო!

— ჩემს სისხლსაო არ დავტოვებო.. — კარაგომს უძახიან, იქ დაუსვენებიათ დაღალულ ოვსებსა... ერთსა უთხრეს ოვსსა: — ყარაულად დადექიო...— ამა დროსა გადაიარა შალიკიმ და: — ყორანივით იყო და არ ვიციო, — მოახსენა. — ამ დროს ჩამოეწია და: — გაჩერდითო! — შეუყვირა. დაჩერდეს. — იარაღი დაყარეთო!... ეს ერთი კაცია, ისინი ცხრანი იყვნეს... ქალებს უთხრა შალიკიმ: — გვერდზე მოიჯარენითო! — დაუშინა და რვა მოჰკლა... ამათაც ესროლეს, მარე ვერ მოარტყეს... დაატინტრაქა დედითშობილად ის ერთი შალიკიმ. — მოხუნე ის იარაღები, გახადეო, — გახადა და: — აბა, აიკიდეო! — აიკიდა და ქალები გამოიძღვანა თანა. რასი ეშინოდა?... ხალხი სულ დაბრუნებულია და გლოვობენ... — შალიკი არ გაუშვამსო, — ამბობდა ხალხი... მივიდა შალიკი და რა გაიგნეს, ისე შენც ოცოცხლე, ცას ეწიეს სიხარულითა... შეიქნა ქეიფი და ლოცვა და დაპაიჯეს. დიდი მოვლენა იყო ერთობ... დაჯდეს შტოლზედა და ერთი მოხუცი იყო და ჩამოჟდა და დაუკრა ჭიანური... ამ ერთს ჰკითხრა შალიკიმ:

— წადი შენ უკვანაო და ამბავი უთხარ და ჩაიტანე დიგორსაო! ადგა და მისცა ქარჯინა და წავიდა... ჩავიდა დიგორს და: — რა ამბავიაო? — ჰკითხეს.

— ასეო, შალიკი კარაგომს ჩამოგვეწრაო და გამომგზავნა ამბიზდაო... —

სად არისო საქალოო? — ბიძიამ უთხრა: — მე ვიცი შენი საცოლოო! ერთი დივორს არის, ქალი მზე არისო ამომავალიო!... — ადგა შალიკი და ჩავიდა დივორს და წყაროს სიახლოვეს ჩქერნალია და დაჯდა. ჩაფი უდგია ერთს ქალს და მიდის... დაახვევა შალიკიმ, ამცნობა თავი... ქალმა უთხრა:

— ვინა ხარ შენო, რომეო ახველებო? სულტანიშვილი შალიკი არა ხარო! — აწ უნდა რომ იგი იქნეს...

— მეო შალიკი ვარაო.

— რაჲთ მარწმუნებო?

— ღმერთი მომეცენ თავდებიო, შალიკი ვიყოო... — დასტოვა ჩაფი და წამოიარა და წამოიძღვანა. ორი დღის სავალზედა ერთ დღეს გადმოვიდა... შეიქნა დიგორს ქალის ძებილი, მერე მოიაზრეს: — ნამდვილ შალიკი სულტანიშვილმა წაიყვანა ის ქალიო... მოვიდა ქორწილი და ლხინი. ოვსის ჩვეულება იყო: წელწადზე ქალი ოთახში იყო ჩაკეტილი: წამოიარა და ერთი წელიწადი რომ გაუხდა, მოვიდა თავისი სახლობა, თორმეტი კაცი. გამოუგზავნა ამ თორმეტმა კაცი შალიკის:

— მიგვიღენო! — შალიკიმ შეუთვალა: — თუ მტრულად მოხვალთო, ნუო და, თუ ძმურადო, მიმღები ვარო!

— როგორც ჩვენი შვილი და ძმაო. — რასლა უშველიდეს აბა?... მიეგება შალიკი. — იარაღი აღარ ქონდენო!... — აპაპა, არაო! — ერთი კვირე აქეიფა თორმეტი ცხენოსანი. მერმე ადგეს და წავიდეს: — მადლობა ღმერთს, ასეთი კაცი ვიშოვნეთო... დაიპატიჟეს შალიკი ცოლიანა; გამოისაჩუქრეს დიდი ამბით, შეკაზმული, ნაბდით, ყველაფრით, იარაღი, ცხენის სამკაულობა აჩუქვეს... ქალსაც აჩუქვეს... იყვნეს მოკეთენი. ჩვენ იმის ძეზედა ვართ სულტანიშვილები...

ჩვენა თათრებშიით ვართ მოსულნი, სულტანიშვილები. ესენი არიან ქრისტანნი, თურმე გლოლა. მოვიდა ის ჩვენი პაპა და:

— მისტუმრეთო!

— არაო, ჩვენ რჯულზედაო არ მოხვალო!

— მომეცენო ღმერთი თავდებიო, რჯულს მივიღებო! — არ ენდვეს.

— აპა რათი გარწმუნოო?

— წადი ეკლესიაზედაო, დროშა გააკეთეო, შემოუარეო და თქვიო:

— ამისჰა მადმა და ძალამ არ გიღალატოო! — ათქმიეს და მიიღო რწმუნება ამ ეკლესიისა... მერე ყოველ აღდგომას ღვდელი რომ წირვედა, უიმისოთ არ შეიძლებოდა... დღესამდი ჩვენზე უმალ არ იყო. რო გამოვიდოდით და რამდენი სავაჟო იყო სულტანიშვილისა, დროშას გავაკეთებდით და ზარსაცა აღდგომასა, დილაზედა ჩვენ იმ გორაზე უნდა შევსულიყავით და გვეძახნა: — „ქრისტე აღდგა, ქრისტიანენო“. მერე დაიძახებდა ერთი: — წირვაოო... — მოიყრევდა ხალხი და შემოუარღით ეკლესიასა. წირვა რომ გათავდებოდა, სოფელში მოვყვებოდით. გვაძლევდეს თითო პურს და თითო კვერცხს და ვიყვენით დღესამდის...

ერთი იყო, თოლლას უძახოდეს; ქალი ჰყავდა სათხოვი ოვსებში... გაგზავნა საქალიშვილოდ ეს ქალი ოვსებში. ავიდა ტკის თავს და დახვდეს ყაჩაღები. უთხრეს:

— იარაღი უნდა დაჰყარონო! უნდა მოგკლათო!

— გამიშვითო, წამოვიყვან ცოლსაო და დამიბვდითო, თუ გულს გერჩითო!... — წავიდა და ცოტა შეშინებული ჩავიდა ოვსებში.

— რავა შეშინებული ხარო?! — არა თქვა... ექვსი ცოლიმმა ჰყავს. დაედეს ვახშმად და უთხრა სიმაძრსა :— შენი ლეკური მათხოვეო, — და წესი არისო აწე — გამოისაჩუქრონ...

— კი, შვილო, წაიღეო! — აიღო და მორე დილას გამოეშერა. მოჰყვებიან ცოლიმმები და — არაო, — ამ მთას ძირში მივიდეს, ლაბარუნეს...

ექვსთავეს ქვე ძინავს.

— დევნო, ადექითო, მებრძოლეთ, რომ შემიპირიეთო! — გაიშმუშნეს აწე ამათა... გაუსვა ხელი და როგორც წყერები, ისე დააცალა თავები. ახვია ეს იარაღი და წამოიღო... ქალმა უთხრა:

— ვაჟი შენ ყოფილხარ, — და აკოცა... — გიშველიო, წაღებაზედაო! — ჩამოვიდეს, დახვდეს სოფლის ბოლოში ხალხი და ხალხსა ჰგონია, ცოლოურებმა აჩუქა... მერე უამბო და მოუწონეს...

გლოლა იმდენი იყო თურმე, რომ უანგარიშო ყოფელი იყო. ესი კვამლი ბუბას ცხოვრობდეს. აქ კიდევ ვინ იცის!.. მოვიდან იმდენი იყო კაცი, რომ ხელიდან ხელში აწვდიდეს ქვებსა და ააშენეს ე ძვირფასი ეკლესია. ორ ვერსზე იყო გაჭიმული რიგში... წამოიარეს და გაშთა ეამობა. ასოცი გადეესახლა ყაზიბეგზე, მოხეველები რომ არიან. ბევრი დაიხოცა. დარჩა სულ გლოლა, ასე, ათიოთხუთმეტი გლეხი, გამოერჩია, ისე გაწყვიტა... სხვა სულ გასწყვეტილიყვეს...

ერავლეთნი და ბუბეკთნი შეიჩუბნეს ჭიბის. დეიძახა ვიდაცამ: — ერავლეთნი დაბოცნეს ბუბეეთმაო. ადგა ეს ერაელეთი კაცი და წავიდა ჭალაზე. იქ იყო ბუბაეთი მწყენსი. თვითონ სახლიშვილი ყოფილიყო ერავლეთი. როგორც დეინახა ამ მწყემსმა, — ბაბუა, მოდი რძეს გაჭმევო! — მიეიდა ამ კაცმა და ამოიღო ლეკური, უთხრა: — აჭალასა, ბაბუა, ბაჭალასაო, ვისდა მოეკლავ შენზე უფრო საწყალასაო, თავსა მოგკრი ამ ჭალასაო! — შემოეტენია და მოსჭრა თავი...

ფეციას შეესწავლა ჯიხვები კარაგომის მთაზე და ბაბუასთვის უთქვამს, ამა და ამ ადგილას ჯიხვები ვიცი და არავის უთარაო და ონშიით რომ დავბრუნდები, ერთად წავიდეთო... რომ წავიდა ფუცია ონშიდა, პეტრემ უთხრა ესეა მონადირეებსა, შეატყობია ყველასა და მეორე დილაზედ წაეიდეს. იმ ღამეს ავიდეს სანადიროს ახლოს... იმ საღამოს, ამობრუნებულიყო ფეცია და ცოლმა უთხრა: — სააცალ წავიდა პეტრეო! მიჰხვდა და: — მოეეც ორი პუტიო. — ადგა და წავიდა. იმ ღამით იარა იარა და მიეიდა იმ სანადიროზედ. გაუარა გეკერდით, რადგან გეეპარნეს. როგორც გათენდა, იცოდა, სად იწვა ჯიხვები. დაჰკვდა სამი; დაჰხოცა კაჟიანი თოფითა. ესენი არიან დაწოლილები... თოფის ხმა რომ გაიგონეს, გაუკვირდათ: აწე ეი ოსიო, ავიდეს და ნახეს, რომ ფეცია არი, სამი ჯიხვი მოუკლავს. — ნაწილი ჩვენიაო! — არაო, რადგან გამატყუეთ და გამომეპარეთო.

ჩვენი პაპაები წავიდეს თიეაზე — მოსატანად. წაბყვა ძაღლი. ენახა დათვის კვალი იმათ. აჩვინეს ეს დათვის კვალი, მიჰყვა კვალს და დათვი ახლოს

ინვა ხერვებში (წაქცეულ ხეებში) და, რო ჰყეფს, ამ ძაღს გამოექანა და დაიჭირა. გამოგზავნა ერთი შვილი თოფზე და გართოდა კაჟი; მაშინ რაღა უნდა ექნეს იმას და გაჰხადა შვილს ჩოხა და დაიხვია მარცხენა ხელზე და ცალ ხელში ხანჯარი დაიჭირა, მივიდა პირდაპირ დათვთან და, როცა მოვიდა, შემოუტევა და დათვმა მაშვითავე და მისცა ამან ჩოხა დახვეული ხელით პირში და ხანჯრით მოხკლა დათვი.

ფეცია და პეტრე წავიდეს სანადიროს. შხელის ველზე გზავრია და დაეღოცნა ამათ: „შხელის ჯვარო, შენ ჩამოგვარონიე საღამოზედაო გასისხლიანებული და მოკუტულიო!“ ერთს სანადიროს ვეძახით ფიცარნალს და იქ ენახათ დათვი... ესროლა პეტრემ და დაუჭრია დათვი. წაქცეულიყო ეს დათვი და მოუგონებია სიკვდილი. ორივე წამოსულიყვნეს და ახლოს ვერ მიებედა. პეტრეს ეთქვა ფეციასთვის: — მიე, ქვა აიღე და მიატანეო! — მივიდა ახლოს და აიღო და მიატანა. წამოვარდა დათვი და ეცა და დაგორდენ გვერდში, მეწყერში... ხან ძირს მოექცევა დათვი, ხან ფეცია. პეტრე მიჰყვება მუჯირით (ცლდეში სახმარი ჯოხი) და ურტყამს, სანემ არ დაეტეხა დათვს. მერე ჩაკარდნილიყო ზვავში ფეცია და დათვი. დაედო შიგ ფეცია და ჰკლავს: შესრულიყო პეტრე და ორივე შეგვჭამოსო! შეიყოლია დათვი. მიიტანა და თვითონ ყურში მიატანა დულა, ვერ ხედავდა დათვი. ამ დროს ესროლა და ყურში მოხვდა და მოკლა. ეერე გამოიქცა, შინ წამოვიდა. ფეციასაც შეეშინდა. გამოჰკიდებოდა პეტრეს ფეცია — შენ მასწავლეო; — ვეღარ მოსწრებოდა. მართლაც, წამოვიდა დასისხლული და მოკუტული.

ერთი მოხუცი იყო და მოდის თვრალი აღდგომისა, მიდის ჩხელის. დავხვდით წყემსები. დავიჭირეთ ოფოფა და როგორც დაგვინახა, დაგვიძახა: — ოფოფაც დაიჭირე და ოქრობაცო! — მოვიდა ჩვენთან ეს კაცი. მე ვუთხარ: — ჩემო გიოლა, ერთი კვერცხი მომეც-მეთქი! — არ მომცა. მიდის და მივსდევ, ვთხოვ კვერცხსო. სამნი ვიყვენით. მობრუნდა ეს კაცი, ამოიღო ხანჯარი და გაიქცეს ეს ჩემი აფხანიკები. მითხრა მაშინ იმანა: — ხომ ხედავ, მირბიან ის კაცები, შენ რათ არ მირბიო?!

ჩვენებური ყოფილიყო ეღიდას, გოგოჩეთი, ერთი კაცი. მას ჩამოსვლოდეს ოვსები, როცა მტერობა ჰქონდა გლოელებს და ოვსებს. იმათ ქონოდა ალუდი და არაყი. ღორი დაეკლა იმათ ოვსებისთვის. დედაკაცმა მოიტანა ჭიანდური და დაამღერა: „გოგო ჩემო რეგვენოო, გეყურება თუ არაო, მე რომ ხრმალი მოგაბარე, მოიხმარე თუ არაო? აქით წადი ფარვითაო, იქით მოდი ბრავლითაო?“... ოვსებს იმათი წაყვანა უნდოდა, რო დაეტაცებინეს ქალები. მერე იმათ რომ დასთვრეს, დაცვინდეს ძირსა. ერთმა თქვა: — სოფელში მივაშურებო, თვარეო... წამოეღო რეკული და წამოვიდა სოფელში. ჩამოვიდა ერთ წყაროზედა. რო დალია ე წყარო, დაძლევდა ე კაცი, წამოვიდა და აქ ციხე იყო და იქ იყვნეს ხალხი. ოვსების ინტერესით უძახა და ვერ გააგონა. ურტყა კარებს ხელი; ამოიღო ხრმალი და წვერი შეუყო, იმ საზრითა, რომ იცნობენო. მერე იცვნეს, რომ გოგოჩეთია. წავიდა სოფელი იქა, შემოაყარეს მაჩაჩური სახლსა. ამ დროს თვისი ჯალაბი გამოიყვანა გარეთ. ოვსები შიგ დასტოვნა მძინარნი —

სახშიც, გამოიხურეს კარები, მიუკიდეს კრუგომ ოთხ-კუთხეზე ცეცხლი სახს და ოვსები შიგ სძინვან და გამოწვნეს. ზოისპნეს ისინი. ეს გლეხი ჩამოიკვანეს სოფელში და დასწყიეს ის სოფელი გლეხებმა, რომ ამათმა ბუდის კაცმა აქ აღარ იცხოვროსო.

ეღიდას იდგა ჩვენებური თურმე — გოგიჩიშვილი. მოვიდეს ოვსები, დაეცნეს და ორი კაკ ტახი ჰყავს, ერთი თეთრი, მეორე შავი. დაუკლეს თეთრი, დაჟდეს და არაყი დალიეს. წამოიარა ქალმა და კაცი ბოსელს წავიდა დასაწრლად. „გოგოჩეთო, რეგვენოო, გეყურება თუ არაო, თეთრუნა ქვე დამიკლეს და შავუნას გვიპირებენო". წაიარ-წამოიარს ე ქალი და ჩამოუგდო ერდოშია ლახტი. ადგა და წამოვიდა ღამით ე კაცი. დახვდა წყარო და ჩაუვარდა ენა და ვეღარ დაილაპარაკა. ჩამოვიდა და მცხოვრებლები იღვნეს და სასოფლო ციხე იყო და ვერ გააგონა და ლეკურის წვერი შეეყო კარებში და იცვნეს, გოგოჩური ლეკურის წვერიო, მოიაზრეს, უმალ მიუხტა ვიწმეო. წავიდა ეს სოფელი და შევიდეს და დახვდეს მძინარნი ოვსნი; გამორეკეს საქონელი ბოსელშიდ და ამ ოვსებს ქვე სძინავს. ქონება ყველაფერი გამოიტანეს და ი კაცები წვანან და დასწვეს.

იყვნეს დედა-შვილნი, წავიდეს სამკალში და ხუთი კონა რომ მოგვეს, გე· ერთო ძაღლი იმათა, გამოგზავნა ამ დედამა წყაროსედა შვილი. აამსო კატ-ლოკაჟთა წყარო და, რომ წამოვიდა ვაჟა, ნაბა დათვი და თავისი ძაღლი ეგონა. დათვმა უთხრა: — პატრონი არ გყავსო? — კი მყავსო, — უთხრა ვაჟამ. წამოიყვანა ვაჟა დედასთანა და ორნივე ჩაამწყვდია მის სოროშიდა. ე დათვი წავა და უზიდავს ვაშლსა და სხალსა და იმითი ჰკვებავს მათა. ერთხელ წავიდა ის დათვი შორო ადგილას და გამეეპარა ქალი. მოვიდა და ჰკითხა: — სად არის შენი დედაო? — რა ვიცი, ვერა ვნახეო! — ე დათვი წავიდა უბვიან ტყეში, და ე ბიჭი გამოპარულიყო. ერთხელ რომ მოვიდეს თავის სახლში, მშობელმა არ მიიკარნა ისინი. გამოყარნა და აღარ შეუშვნა სახში. როცა იყო, მოახლოვდა ზამთარი და პური არა ჰქონდათ, იმ ზამთარს ამოწყდეს შიმშილით და საქონელსაც აღარა ჰქონდა საკვები. წამოვიდა ე დათვი და დეებს იმათ ღღესა და მოვიდა და მოადგა და მკვდარნი დახღომოდეს ისინი...

შვიდოცი კვამლი კაცი იყო გლოლას. გაუჩდა ჟამი და ცხრა კაცი-ღა დარჩენილიყო. ზოგი კახეთს წასულიყვნეს, ზოგი ჩვენ შეებში და, სადაც წასულიყვნეს, გაჰყოლოდა ზნენი... გადმოსულიყო ერთი დიგორელი, ავანტაყოფი და არავის დაუყენებია, წასულიყო და წისქვილი იყო სოფლითავზე და იქ შესულიყო, საწყალ ღორებს და ძაღლებს ეჭამა... ამის გამო სუ ყველგან გაჩდა ჟამი და ქვე ამოწყვიტეს. კახეთს გადარჩენილი იყვნეს წინ წლებში, ქვე დადიოდეს ჩამომავლობა; იმათი ცხვრები მოჰყევდეს მანდა...

ქედზე ვიყვენით სანადიროს, სკორეზედა. ახალი ნაავდრევია. ეს ბასილა ატყაევებს ნადირსა. — წავალ და სხვას მოკლავ, — თქვა. აგერ მინდორია და დათვის ნაკვალევია. ლეშნარია ერთი და ზვავისაგან წადრეკილია წიფელი, და

აქ შეედექი და გადავსტი. ზედ იქ არ წვანან ორი დათვი?! გავედი და მივდივარ წიფელზე და წადრეკილია და გადმოვხტი და შიგ შუაგულ დათვებში ჩავარდი. წამოსცვივდეს — გული მომივიდა და გული მომეცა ხეთისგან! ერთს ვეტაკები — მოორე დამახტება. ნაჯახი აქვე მაქ. გავშალე ფხარი. ორნივ მხარდამხარ მიდგანან და მიღრენენ. აწ რა ვქნა? ვერც წასვლა მოვახერხე და, რომ შემეჯამონ, ვიყვირებ კია. გავკიელე რიხიანათ და ე ბასილა მარჯვე იყო და, რავაც გაიგონა, მოიკივლა, მოიაზრა! ამართულა დათვი და ბოგირდი ქნა და ვაიქცა, შეშინდა. ახლა გულმაგრა ვარ, რომ თანა მქონებოდეს, მოესცხებდი. მერე მეორემაც ისრე არა ქნა? პირი ჩემკენ უქირავ და ისე ქვე მიძვრება... რომ წავიდეს, მას უკვან ერთობ შემეშინა...

ჩვენებურები იყვნეს სამუშაოთ სამკალში. მოვიდეს ყაჩაღები და ქვე წაიყვანეს სამნი. გამოექცა ერთი და: — სამნი წაასხესო ცოლ-ქმარნიო და ერთი შვილიო! — ადგა და წავიდეს. — აბა, ვინ წამოხვალთო? — ჩავიდეს და კლდეში დაიმალნეს. აგერ, მოდიან ერთი ქალი და ერთი კაცი. ჩამოცვინდეს კდეში და დაიჭირნეს. შეიყვანეს ეს ქალი და ეს კაცი. ჩამოიყვანეს აქა და გაიგონეს იმათმა პატრონებმა. სამნი რომ წამოეყვანეს — ორნი მოსცნეს და ერთი ქვე დარჩა (გასცვალეს). კაჲ ქალიშვილი იყო, რო დარჩა. აწ იმაზედა ოსები გაღ ჯილაგდეს და ბერიშვილები მისი ნაყოვლი შვილები არიან ოსებში.

ორნი ძმანი იყვნეს და იყოფოდეს და მორეული ძმა უნცროს წილს არ უშვრება: — არა ხარ ჩემი ძმაო! — მერე უთხრა იმან: — წამოო და შემომფიცეო, ვართ თუ არა ძმაო! — შეჰფიცა და ქვე ჩამოაწია და რომელმაც დაიფიცა. სისხლად გასკდა. იმისი წილიც იმასა დარჩა და იმისაც. ორივ წილი იმას დარჩა...

ჩოჩაშვილი იყო, ცხრანი ძმანი. უღალატეს ბელაშვილმა და ბიძაშვილმა.— წავიდეთ, დავიხოცნეთო ეს ცხრანი და მათი ადგილ-მამული ჩვენ დაგვრჩებაო! — ზოგნი ქვე ხნევდეს ჯიბისს და ზოგნი ქვე წავიდეს — მოეკვლავო!

ერთი შინაცა ჩოჩეთი, ერთი შინ ბიძიეთი; იქ რომ თოფის გახდესო. ეს შინ რომ ბიძიეთია, მოკალითო! ერთი ჭალაზედა არის, მეორეს თხები ხყავან. უთხრა: — წამოდი და რძეს მოგიწველიო! — არ მინდაო რძე! — ადგა და შემოუქნია ლეკური და მოსკრა თავი. „აჭალასა, ბაჭალასა, თოფი დაჭკარ ამ ჭალასაო". გამოვიდეს ეს ჩოჩიანნი. ბიძიეთთან დაკოცნეს ეს მეოთხეც ქვე მოკლეს. ეს შინ რომელიცაა, ვერ მოკლეს. სახში შევიდა და დაიმალა. როისაც გამოვიდა ბიძიეთი ჯიბიდან — ისიც მოვკლათო! — გეექცა ჩაჩაეთი და ქვე წავიდა ტყეში. დაარიგეს: — წადიო და ნეფე თუ გიშველისო, თვარემ მოქკლენო შენცო!

— წაიჭირე ღვლერჭიო და ნეფესთან გაგორდიო და სანამ ღმერთი არ უხსენნოს, არ წამოდგეო! — ადგა და ღებს მიდიოდა ჩოჩაეთი. გამოგზანა ხუთი კაცი ნეფემ: — წადიო და ჩამოგვარენთო აქაო! — მივიდა ხუთი კაცი და რომელიც უფროსები იყო — ცხადიკი და გინგილი — ისმეს. კი არ გამოუტყდეს—შენ დასაპირავად მოვედიო!—უთხრეს: ლეკურს გიქებენო ორთავ ძმათა და მანახვეთეთ! — ანახვია.

სად იშოვნეთ ამისთანა კრმლებიო? — ოთხნი ეცნეს, ორნი ერთ კაცს და ორნი მორრეს. წაიყვანეს ნეფესთან. აადუღა კირი და თვალებში ჩაასხა ორთავ. ერთი იქაე მოკვდა, მოორე დაუთვალოვდა და დიგორს მოიარა კიდევ უთვალოდ, სამოწყალოდ დადიოდა. სხვათა უღალატეს და სოფელმა დაჯოცნეს...

ერისთავმა უთხრა გლოელებს: — წაიყვანეთ და ქორი გამიზარდეთო! — წამოიყვანეს ქორი და მოკლეს ქორი ყმებმა და, კეტი გაუყარეს, ფრთები გაუკრეს და წაიყვანეს ერისთავთან. მივიდეს და: — რა გიქნიათო? — ასე ვიცითო გაზდაო, გამოზდაო, გამართვაო!

მერე უთხრა პოვრებს თავადმა: — ესენი სუნელი ყოფილანო, სახედარი დაკალო და მისი ხორცი მოუხარშეთო და ზაკუსკათ მიართვითო! — დაჯდეს ყმები და ვირის ხორცი შეიტანეს თეფშითა. გლოელებმა თქვეს: — დაილოცე, ირემო, რა დიდი ყურები გქონიაო? — მოუტანეს წყლიანი ღვინო. გლოველები ამბობენ: — დაილოცე, ბოყვის წყალო, რაცაღა გვქონდა, გლოლას დაგვიფქეო, ჩამოვედით და თრობა დაგვიწყეო! — ასე დალიეს ეს ღვინო, არც ხორცი ჭამეს, მიხვდეს ყველაფერსა. ერისთავმა უთხრა: — დაკალითო კაჲ ძროხა, მოხარშეთო, კაჲ ღვინო მოუტანეთო! — არ დასთვრეთ, ჯეელებო, — უთხრეს უფროსებმა გლოველებში, დასთვრეს ბერები და: — აგაშენა, ერისთავოო! — ადგეს და ქვე წამოვიდეს. ერისთავმა თქვა: — მინდოდა ყმად დაგერჩინეთ, მიმიხვდით ჭკუასო და ვერ ვქენიო...

ოვსები მოვიდეს და ბიძიეთს საქონელი დაჰპარვეს. გაეკიდნეს ე ბიძიეთნი და მიეწიეს მთაზე. მისტყორცნეს თოფი და ერთი ძმა ქვე ოოკლეს, ქურდებისა... დაემტერეს ოვსები და ბიძიეთი აქ ვერ ჩერდებოდეს. არც მათ მოკეთეებს ზოგევდეს ოვსები. მერე, როცა იყო, შემოაწია თავრობის ძალამ. შერიგდეს ბიძიეთნი და ოვსები. სისხლის პურის ჭამა გადახთიეს და აჩუქეს კიდეც. მაინც არ მოშალეს ოვსებმა თავის საქმე. საქონელი ყავდეს ჩვენებურებს შვირალას. წაასხმიეს წყალზე საქონელი და ასწა�მოკეთემ ამ ოვსისა — ეს ამათი საქონელიაო და დაჩეხეს ხარი და ძროხა, დაჩეხნეს ერთიანათ. ვერვინ ვერ ჩავიდა შიშით, ბაბუაჩემის მეტი. ცხრა მარჩილი ფული გადაახთია და ორნი ღორნი მოიყვანეს.

მაგის ბაბუა თვალიკი იყო. წავიდა და ღებს ერთი კაჲ ქალი ჰყვანდა. მოსტაცა და ქვე წამოიყვანა. ჩამოვიდა მისი ქმარი და თხები დაჰპარნა თვალიკს. წაიყვანა ამ ღებურმა. ადგა, წავიდა თვალიკი — თხები წავართვაო! მივიდეს და საყტარია. ბაბალოვს უძახოდეს. შეევედრა: — მომცენო ბეკიკები ჩემიო! — ბაბალომ უთხრა: — მაცალე ცოტა და მოგცემო! — წავიდა და ბაბალომ ხანჯარი გაჲლესა. მოიხურა გლახა ღართუკაჲ. ჩამოვიდა თვალიკთან და: — რათა მთხოვ თხებსაო? ქალ წამართვითო, ხომო? — გემრიელად ენახშება. მიუახლოვდა და გამოუქნია ხანჯარი და წენები გადმოუვიდა. ადგა ბაბალო და ზე გადაიკარგა. მერე მოვიდა და ღებს მოკვდა.

გუტუშვილი იყო ივანე და მძლავრი იყო — ისეთი, ისეთი, რომა ხერხვა რომ შეხვდებოდა, ძირს მოაბემდა ქვასა და ზეიდან ისე ხერხავდა მარტო. ის

იყო ერთხელა ღებურებთან სანადიროს. იქ დაჭრეს დათვი. რო დაჭრეს ეს დათვი, გამოექანა მონადირეებს, სხვა ამხანაგები გაიქცეს. თითონ ივანე დახვდა ამ დათვსა და, როცა აემართა დათვი, ამ დროს ეცა წენში, მოუპირა და წააქცია. როცა წააქცია, ამხანაგებს ეხვეწებოდა: — მოდით, მიშველეთო! — ვერ მოვიდეს შიშით. ამოიღო თვითან ცალი ხელით დანა და მოკლა. ამაზედა არი ლექსი:

ივანე გუტუშვილსაო
დათვი შეება პირსაო,
მოიქნია და ძირს დაკრა
გააკერევია წენია.
ამხანაგებს ეხვეწება:
— მოდით, მოკიდეთ ხელია.
— ჩვენ მაგას ხელს ვერ მოკიდებთ
შიშმა მოგვწყვიტა წენია,
გამჯავრებულმა ივანემ
დანას გაისვა ხელია,
გამოუქნია დათვინას,
გააყრევია წელია.
კაჲ ბიკობა უქნია,
იმას დაურჩა ხელია.

44. ცხრანი ძმანი ვიყვენით

ცხრანი ძმანი ვიყვენით: ოვსნი, დვალნი — ბაღათარნი,
ვახტანგ. მეფეს დაჲ მოეტაცეთ, მაზე მოვიხმარეთ ქელი,
კარსაშიდა სიმაგრე გვაქ, ზედ გვიდგია გალავანი.
ეინც ჩაივლის, ბაეს ვახთიებთ, იქა ვზივართ ცხრანი ძმანი,

45. მაღლა მთას მოდგა

მაღლა მთას მოდგა უცხო მფრინველი, ორბი ფრთიანი,
ეღელეს ჩამოდგა დიდი ლაშქარი, დიდი ლაშქარი ოვსი და დვალი,
ომი შეიქნა ქალაქის კარსა, შემორეოდეს ქეედანი დვალნი.
ის ორი ძმანი ხატავეთანი.
ომი შეიქნა ცისკრისა ჟამსა, ცისკრისა ჟამსა გათენებასა,
ევლა ეელისა, ქნევა ხრმალისა, ძგერა შუბისა, შუბთა ნალეწი ზეცას ცვიოდა,
ხრმალი ორპირი სისხლში ცურეედა.
ბოცორ გაიქცა, გორსა გაიჭრა.
ვაცი გვეგონა, ვით რომ დედალი.
ბოცორ, ვერ წახვალ შინა მშვიდობით,
ცოლს ვერ მიუტან ლაშქრის ამბავსა. წითელ კაბასა,
ბოცორ ჰკითხვიან დვალნი დედალნი:
—ჩვენნი რა იქნეს? — უკან მოდიან,
გუშინ ომს იყვნეს,
დღეს კი მოვლიან.
თავი გოდრითა, ტანი ლაშქრითა,
წვრილი წელები ხელ-კალათითა;
ღვინომ რაჲ გვიქნა სადმელისამა,

ხორცმა რაკ გვიქნა ღურშოვისამ;
ანად კანაფო, გრძელო და წვრილო,
ქეეით ფერხებო ფესოანებო,
ზეითა თავო ყვავილოვანო...

46. ო, ლეე, ლევდა

ო, ლეე, ლევდა, ქართლის მანდორსა ვაკესა
მწყერებს უგებდი მახესა;
ჩამოგვეჩვეა ქალაი,
მოდის, მოგვიშლის მახესა.
გოგო, ნუ გვიშლი მახესა, თეარემ გაგიშობ ნარცხვენსა!
თამარო ეინეელილოანო, ბიჭები გიჩივიანო,
ალალეთს ქალი დაემარხე — იონეთს მარგლის ბოსტანსა.
ჯავახეთს ერთმა ბებერმა კარები დაგეიკეტაო,
შინიდგან გამოგვენახშა, თვალებიც დაუდგებაო.

47. ტატუკს რას უნდა ქებანი

ტატუკს რას უნდა ქებანი, ვაჟია ლამაზოვანი,
გამყრელიძესა აქებენ, რომელს იესე რქვიანო,
კლავი მასა აქ ძრიელი და ხრმალი ალმასოვანი...
ციხის სადგურას გავიდა, ლაშქარსა გაბდა ხმიანი,
აფხანიგ შემოუძახა: — ბიჭებო, ფრთხილად იყენინო, საქმეა ლალატოვანი!
ფიცხლად შემოუდეს ცხენებსა, გზანიც დაუხვდეს წყლიანი,
წითელი ფარი გადრიკეს, შუბი კრეს, ხრმალი გადრიკეს,
სილინგი გადგა ისრისა; წენთა არტყია სარტყელი,
ქარქაშს უგია ისარი, გათლილი ათასოანი...

48. ქვედრულა მოდიდებულა

ქვედრულა მოდიდებულა, მთლად მოაქვს მთა და ბარიო,
ლალაშვილს დაუქადია — მე მომდის ბეერი ქერიო!
შენი ქვედრულა მოგიკვდეს, თუ ვერ გიცვალო ფერიო!
მოსტაცა კალო-საბძელი,
საფიცხებელი მოსტაცა, სამოცი კოდი ქერიო.
სამი ქალი დაურჩეა, მეოთხე პატარძალიო;
მათი ფარდაგი ხალები კოხებსა დაუნტერევია,
საფიცხს მოსტაცა წისქვილი, უკვან გაჭიდა:
— წადი და ისი ფქვეია...
დიასახლისი მოტირის, ვაგმე რას მოვესწერია.
ახალი სული ვიყავი, საქმე ვერ მომიგონია,
ჩიქილით სახლი დავფალე, ცოცხიც ვერ მომიგონია,
თორნეში კაბა ჩავდეეი, შეშაც ვერ მომიგონია,
ცეცხლზე საცერი დავადე, ყეცი ვერ მომიგონია!

49. ზვიდუკა ისმაილამა

ზვიდუკა ისმაილამა ჩხუბი მოქმიდა ძნელია,
ბაკილაეთნი დაჩეხა, ფული აართვა ბევრია.
მიხამ მღვდელი დაგვიჩეხა, ოქრუას მოსპრა ხელია,
დიდმარხვა ჩამომავალი, პირველი ყველიერია.
საზიარებლად წამდგარი, ხალხი ელოდა ბევრია.
გლოლას კაცი გააგზავნეს — იქ არის მეტი ღვდელია.
გლოლიდან მღვდელი მოეიდა, იქ დახვდა კარგი მრელია.
მაქსინიკა დიაკონი დაუხვდა მასპინძელია,
ვახშამიც კარგი აკამა, ღვინოც ქვე დაალევია.
სკინტლიანმა მახარიკამ ლოგინი წაარბენია,
ლოგინიც კარგი დაუგო, შიგ ნაკეერჩხალი ჩაუგდო.
შუა ღამისა დროსა ბურბული გადგა სქელია,
გამწარებულმა ხუცესმა აკოშკას ჩაჰკრა ხელია,
აკოშკის კარი გააღო, კვამლი გაუშვა სქელია,
ანაფორაზე დასწოდა საბან-ბუმბული სქელია.
ღებს რომ საქმე დაგვემართა, სად არის გასამხელია?!

50. ავაჲ, ვაჲ, ვასა

ავაჲ ვაჲ ვასა, რა კაცი ენდონ სხვასა,
კოხტასა ამპარტავანსა, უწერელსა შავსა კაცსა.
წუხელის ლაშქრით მოვიდა შუა ღამისა ძალასა,
ავდექ, სანთელი აეანთე, ფიცხლად მივარდი ვარცლასა.
საკარცხული წამოუდგი, დაბძანდა ხვთისა ძალასა,
ფეხმოსახდელად მივარდი, ჯიღი ამავლო ამ ყბასა.
— შე წამხდარო და უკეთო, რათ არ გაივლი კარსაო!
ავდექ, კარი გავიარე, ამოვეფარე ქვასაო,
მოვიხედე და მომდევენ, მოიალებენ ხმალსაო.
— რას მომდევეთ, რა წამიღია, მე თქვენი არა მიმაქსა,
ნეკზე საცმელი ბეჭედი კონკაში ჩამიგდიაო!
კონკა და მისი ნატეხი გრილ წყაროს დამიგდიაო!

51. შვაუბნელმა წაიყვანა

შვაუბნელმა წაიყვანა შეკაზმული თრითინა,
შუაგზაზე რომ მივიდა, ხარმა ერთი ურქინა,
— ურქინელი რასა რქვია?
შინ რომ დედა არ დაუხვდა,
დაედა, ბევრი იტირა.
არცა ჰქონდა თოფის მეში, არცა თოფის ფინთილა,
თავზე თავსხლაფი დაეცა, კოფებამდინ ირბინა.

52. ელი მელი

ელი მელი, მე შენ გელი, შუბლი ბრტყელი ყავარჯენი,
მოვსწიე და წკაპი უქენ.
იმერლისა ქათამა ღობის ძირში ჩამკეტარა,
მისი ფრთე და სკურტუმალი ერისთავსა მივართვიო,

ერისთავმა ცხენი მომცა, ავახტუნე — დაეახტუნე,
კეცნაირის ბოლოსა ვირი ხნევდა ყანასა,
— ვირო, ეგ ყანა ვისია?
— ასლისაა მასლისაა, ჭურთათელი კაცისაა;
ჭურთათელმა კაციამა ძაღლი წამომისიანა,
არც მაღრინა, არც მიკბინა, ისე დამასისხლიანა.
კარებს მათრახა მომიხვთა, გამოვარდა პატარძალი,
არ მოვეშვი ბზიკივით, ეაჟი შეეკენ გვრიტივით,
მეძროხეებს მივაბარე — არ მომიკლათ შიშშილით.
დეკეულას წიხლი ეკრა, გაებერა ტიკივით,
ტიკი ტიკად მოეხმარა, საკროკინა საკრავათა...

53. მთას თივა დაგვითიბნია

მთას თივა დაგვითიბნია, გვიხდება უდარობითა,
კდეში ჯიხემა დაიქადა — სამგვარ ვიცვალე ბინაო,
ვერც რას დამაკლებს ზამთარი, ვერც რას მაისის წვიმაო.
შარაში მჭადის მარცვალსა რა აკრეფს, წიწილის მეტი,
მთას ჯიხვი ჯობს სანადიროდ, ბარად დათვიო მწარეა.
კლდემა გასძახა კლდესაო, მონადირეა ჩვენსაო,
თუ მოჰკლავს ჯიხვის ბოიკსა, თვარემ გადეაგდებ კდესაო,
სულტანიშვილი შალიკი არწივსა ჰგავდა მთისასა,
კართიგომს შემოგვეწია, ბურბულს გვაყრიდა თმისასა,
მისი ნასროლი ფინთიხი რისხვასა ჰგავდა ხვთისასა,
მარჯვნით იცვამს ქალამანსა, მარცხნით იყრის ქარავანსა...

54. მთაში რომ მტრედი ერია

მთაში რომ ერთი მტრედია, ის ჩვენი მოყვარულია,
მანემ ვერავინ წაგვართმევს, სანემდი ჩვენი დღენია,
მთასა სთოვს, ჯიხვი ფეხს აქნევს, ნადირნო, ფთხილად იყვენით.
არჩვნო, ჯიხვნო და ჯერანნო, ნადირში მშვენიერანნო.

55. ხუთნი ბუბასა

ხუთნი ბუბასა ვერას უზმენს, მტერთა ჩამოსავალია,
ხუთნი-ხუთნი ხურაზნიო, მოგვივიდეს სტუმარნიო,
ხუთი პური შეგვიკამეს, წაგვივიდეს სტუმარნიო...

56. ივანე ქვაციხისასა

ივანე ქვაციხისასა ჯიხვებიზდა რა უქნია,
მისნი შვილდნი და კაპარჭნი კლდეთადა ჩაუცხია.
ივანე რომ კდეს გადვარდა, ორ ბუნდს ვერ ჩაფრინდებოდეს,
მას რომ თავში ლოდი დაჰკრეს, ლომნიც ვერ დაუდგებოდეს,
მას რომ სისხლი სდინდა, ზედ ნავნი მოცურეედესო,
ყურშა დაკალო და გვერც მიძევსო,
ფრანგული დანა ზედ მიძევსო,
მითლიაო, არ მიკამიაო, არც სული წამიწყმედიაო.
გადეარდი თუ გადეარდები, შე ჯიხვო მაღლი კლდისასა,
თან ჩაპყეე, შაეო ყურშაო, შე შაეი პატრონისაო.

57. დიგორს ჩამოსხდეს ვეზირნი

დიგოს ჩამოსხდეს ვეზირნი, რჩეულნი ბადელიანნ!
მათ გამორჩევა შეექნა, ღები გვყავს საქოლნიანი,
ღები დაწვეს და დადაგეს, არსათ გაუშვეს ქვიანი,..
უკვანით სროლა შეექნა.
ცხიეანას ფეხი მოგვიტეხნეს.
აღარც გვარგებს სახნავშიდაო,
აღარც კალო-ლეწვაშიდაო.

58. ჯამათა

უბედური ჯამთაო, ღები მოგდევს ჯარათაო,
უკან თოფი მოგახვედრეს, სისხლი გაგდის ღვარათაო.
ეგ იმიტომ, ჯამთაო, გორის ბოლოს დაგვხვდებოდი,
წაგვართმევდი ჩოხა-ნაბადს, დაგვადევდი ვალთაო...

59. ხუთი ხურაზნი

ხუთი ხუთი ხურაზნი, მოგვივიდეს სტუმარნი,
ხუთი პური შეგვიკამეს, წაგვივიდეს სტუმარნი.
სახლში გაუტეხია, ნეტა რა წაუღია?
ერთი გუდა მაჩვისა, შიგა ფქვილი ღვარცლისა,
ერთი კოეზი კოკუკი, სამჯელ ტარდატეხილი,
ერთი ნეფსი მახათი, სამჯელ კურწმოტეხილი.

60. ზედა უწერით წამოველ

ზედა უწერით წამოველ ქვედა უწერის თავითა,
ლაშის ბოლოს რომ ამოვე, შავი რა ენახე შკალითა,
ასის ოდენი თხა-ცხვარი დაზავებია თავითა,
ერთი ერია უფროსი რქადაკაუული ვერძი,
— არიქა, მგელო, არიქა, ნუ ამიბღავლებ ცხვრებსაო,
შოესა არიან ხარები, აბრიალებენ რქებსაო.
წადი და ისი შეკამე, ის ამოგივსებს ფერდსაო.
— წავიდე, ისი შეეკამო, რაღა უამბო ღმერთსაო,
მისი პატრონი იკიდებს ცხელ ფინთიხიან თოფსაო,
მისი ნაწერიმც იქნები ჩემი გუნების დროსაო...

61. ღესქესა...

ღესქესა ფიცარნალშიდა გრილი წყარონი დიანო,
მაზე ნავალნი ვაჟანი სანთელივითა დნიანო.

62. სახლი დავდგი ვერხისაო

სახლი დავდგი ვერხისაო, შიგ ჩაკიბი ფერხისაო,
წმინდამ გიორგიმ დასწყევლა ეშმაკობის ფეხისაო.
ქვემოურნი მოდიანო, ქვედა შავრეშისაო,
თეთრი წვიმა მოვიდაო, მოასველა ველებიო.

დიდი ველი წაუღია, პატარაი ჩემიაო,
ხვაწაი მოუხეაწაეს ნახოწითა მისითაო,
ახურვებენ თორნესაო, მაშიდ გამოაცხობენო
ქადასა და ქაბაბსაო...

63. ნეტამცა ნატრა მანატრა

ნეტამცა ნატრა მანატრა, ნატრა მე ამისრულაო,
გურბინდით ეინმე მიჩვენა
ლამაზი სანადიროო,
ჩამოვყევ ნადირთა კვალსა
ნამდგარსა ჯერნებისასა,
ნეტამც ნადირთა თასმა მქნა
ჩავეხვეოდე ღვედურებ.
ჩემო ძველო ჩოხუველა,
ჩემო ნაფამფარაგეო,
ჩემო ტოლო ვაჟაებო,
ჩემო ნაამფხანაგებო.

64. დიგორს ჩამოსხდეს ვეზირნი

(ვარიანტი)

დიგორს ჩამოსხდეს ვეზირნი რჩეულნი ბადელოანნი,
მათ გამორჩევა შეექმნა, დაჯდეს და წიგნი დასწერეს
ადგილი პოეს მყარიო,
მივართვათ ქაჯთა დუშაგთა ესე პასუხი ჩვენიო,
აწი მოგვეცი რუსეთდან არჩიელისა ქალი ო.
თვარემ მოვალ და შეგებმი, თუ მამაჩემის შვილი ვარ,
ახა ნეტამცა ეჯობი, შენი სტუმრობა მაღირსო.

65. ზეით ქორი მოფრინავდა

ზეით ქორი მოფრინავდა, ქვეშ მელა მოსუნსულებდა,
ცხენიდგანი გადმოგიღებ, ხარაზულებ შეგბრი ტყავსა,
გადმობძანდა ციციონი, თან გადმოჰყვა დიდი ჯარი,
შენი ციციონ მოგიკვდეს, თუ ვერ გაჭამო ღორის ხორცი,
და წვენიც ვერ დაგახვრეტინო,
შენი ალალ-ფარშაები ისიც ვერ დაგატოვინო...

66. ქორი აფრინდა

ქორი აფრინდა ხევშითა, არაგვნი ჩაინადირნა,
ინადირებს და არა ჭამს, ქვე რათა — საკურეალია!
ჩამოვჰყევ გორის ნიავსა, არც რა დაგიმარცხოთ,
ნურცა ჩვენ მოგვეცემ ზნიანსა.....

67. ალბიეთნის ცხრანი ძმანი

ალბიეთნის ცხრანი ძმანი სანარეხის ძვალს დაურჩვია,
მათი ქალების ტირილმა გორმანში თოვლი გააქრო,
მამა მათიო პაჩიაო ვერ დასძებნისო გვარშიო,
მათი ლამაზი თოფები ვაჲ თუ მიჰქონდა სხვათაო,

წავალ, დავედები წყლის პირსა, ვიყურებ წყლისა ჩქრიალსა,
მაგრამ გლოელის ქალიო ჯოჯოხეთს შეგვეყარაო,
დაედა და იტირაო, ჩვენცა გვატირნაო,
ერთი ის იქნა ღვთიანიო.
ზემოთ თითო დვალნი გიკითხვენო, ქვემოთ თითო დარბაისელნიო,
კუბონი შეეკერეეიეთო ეშვითა და სატეხითაო.

68. ალალეთს ქალი დავმარხე

ალალეთს ქალი დავმარხეთ, დალალეთს მარგლის ბოსტანსა,
თუ ჩემი თვალნი თეალობენ, მკვდარი ვამგვანე ცოცხალსა,
კიტრი ვსთხოვე და არ მომცა, სხვას გამასწაელა ბოსტანსა,
გადავხტი, თავი მოვკვეთე, ათუ სჯობს მკვდარი ცოცხალსა...

69. ამირანი

მინდორ-მინდორ მოვდიოდით ამირან და ყმანი მისნი,
წინ ირემი აგვივარდა ოქროს რქა და ტანნი მისნი.
დღისით ვდიე, ღამე ვდექი, არ დავკარქე კვალი მისი,
აგვიხენა, შიგ ჩაგვყარნა ბალხეთს მინდორს ქვეყანისი.
ბალხეთს მინდორს კოშკი ვპოე ანაგებად არავისი,
სამჯელ გარშემო უარე, ვერ ვიპოვნე კარნი მისი.
სად ამირან წიხლი ჩაპკრა, ის თურ იყო კარი მისი.
ჩავაღე და შიგა ჩავედ ჩაბარჩი და ჩარჩი მისი,
მივიხედე, მოვიხედე არა იყო ჩემ გულ შიში,
კარს უკანა კვებო იყო, კვებოშიდა კუბო იყო,
კუბოშიდა კვდარი იყო, ჩვენ გვეგონა სამი დღისა,
ის თურ იყო სამი წლისა.
თითთა შუა წიგნი ჰქონდა, დაწერილი ქაღალდზედა:
„ვინც რომ იმას წაიკითხავს — ჩემი ფული ალალ მისი“....

70. ერთხელ წისქვილს წასვლასკენა

ერთხელ წისქვილს წასვლასკენა მძიმეთ მოვირთეო,
მოვირთე და მოვიკაზმე, მძიმეთ მოვირთეო.
წინ ბიჭი შემომეყარა, ბევრი ვიხუმრეო
ვიხუმრე და ვითამაშე, ბევრი ვიხუმრეო,
იარაღი მომეწონა, თოფი ავხსენიო,
ის რომ ჩემ ქმარს გადაეკიდე, გავაჩერქეზეო,
— მამაძაღლო ჩემო ქმარო, გაგაჩერქეზეო,
მაზლი ლაშქარს წამიეიდა, ლაშქარს გავგზავნეო,
დიდ მინდვრამდი რომ ჩავეეევი, გზა დაულოცეო,
თეთრი გომიჯის პურები ხურჯინს უკარეო;
ოლოზე ჩიტი შემოედა, ქორი უქროლეო,
ის ბატონთან წასულიყო საჩივარათაო.
წითელი ხარი მომტაცა დასაკლავათაო,
პატარძალი ჩვენ მოგვტაცეს საკოცნელათაო,
შარშან ქმარი მომკვდომოდა, წრეულს გავიგენო,
შევიკაზმე თეთრი ცხენი, შევჯე და წავეო,
სამთილო კარზე რო მივე: — კარი გამიღეო!
— შენ მამამთილს ეძინება, კარს ვერ გაგიღებო,
კარი კრინავს, ძაღლი ღრინავს, კარს ვერ გაგიღებო!

71. ლანდაგიშვილმა გიორგიმ

ლანდაგიშვილმა გიორგიმ იყიდა ნიშა ხარიო,
ღებელებს აუტყდებოდა — ვერას დაგვაკლებთო,
პრისტავები შემოდენა, იმას მისცა ქრთამებიო,
ქრთამი რომ არ გაუვიდა, იმას მოსტაცეს რძალიო.
ახლა სეხროს მიუბრუნდა — სუ შენი ბრალი არიო,
სეხრო რო ძმებს გამოეგო, მაშინ დაუდგა თვალიო.
ჭრელი ქოშა სამსე ქონდა, ზურგზე დაედვა ვალიო.

72. გელმა თქვა

გელმა თქვა: ერთობ დავმშიედი ხორცითა უხარშავითა,
კირტიშოს რომ გადავდექი, ვეძა დაელე ცხარია,
გადავდექ, გადავიხედე, დაგროვებული ცხვარია,
გასუქებული მთავითა, ერთი ერია უმფროსი,
რქადაკაული ვერძია.

73. მიხო, მიკვირს

მიხო, მიკვირს შეწყვეტილა მარჯვე შენი თოფის სროლა,
გაგიტყუა სითამამემ, მტერს დაუწყო მედგრად ბრძოლა,
წინ მირბოდი ოფლიანი, ტანში გქონდა თურმე ქრეოლა,
მიგვითითე, დაგვანახვე, ვისმა ტყვიამ დაგაღონა,
ყაბაღვათი ააშენე, გადასჭიმე ბაღი გრძელი,
ახალ-ახალი ხილები, არ ყოფილა ერთი ძველი,
უწინაცა გაგვეგონა მარჯვეთ შენი თოფის სროლა,
რომ შეგბმოდა დათვი დიდი, გაბერილა როგორც გორა,
მაგრამ შენმა სიმარჯვემა ცოცხალი მკვდრად დააგორვა,
მიხო, შეგთქეამ მუდარობით დუვიწყარ წუხარობით,
ტირს ცოლ-შვილი დუღარობით.

74. სოლომონ ბუტულაშვილი

სოლომონ ბუტულაშვილი კარჭა იპატიევს ცხენსა,
ღილასა და საღამოსა სულ იტროგით აქშევს ქერსა,
თბილი წყლითა და ერბოჟთ გავას გადესვამდა ხელსა,
დედ-მამა ენახშებოდა: — რისთვის იპატივებ ცხენსა?
— თქვე რა იცით, თქვე უგნურნო,
ეგებ ესე გამომადგენ ჩემი გაჭირვების დღესა.
სოლომონს წოგნი მიუვა — ჯარში უნდა წაბძანდესა,
სოლომონ სიხარულშია, თუნდ ქორწილში წავიდესა...
დედ-მამა შეწუხებულა — სოლომონ მოდისო დღესა,
წავიდა შენი სოლომონ, თუნდ სიხარულში დადისა,
ამ ქარავანში მივიდა, სამთა უტყუებს თოფები,
ორი სოლომონს მოხვდესა...
გადმოვარდა სოლომონი ცხენზეით და წყალსა უსხმენ გულზედა,
— ნუ გეშინის, სოლომონო, კიდევ ნახავ დედაშენსა,
— მე დედ-მამას ვეღარ ვნახავ, ოთხად დავინახავ მზესა,
ეფენიას ნუ გაუმხელთ, თვარე მუცელს წაიხდენსა.
(მოიყვანეს ურემი და ჩადეეს სოლომონი)
მარილი ჭარბათ აყარეს — სული არ აუდინდესა.

უფროსების რა გიკვირდეს, ყმაწვილები დაწუხდესა,
ამ ურმის წაწკაწუწკაში ქონი გასწუწკუნობსა,
სოლომანს დედა მოტირის, მოიგლეჯდა ძუძუ-მკერდსა,
— შენ რომ ჯარში მიხვიდოდი, რუხი ცხენი მოგჯდომოდა
ოთხად დავინახავ მზესა.
სოლომანს მამა მოტირის — მოიგლეჯდა ულაშ-წვერსა,
— შენ რომ ჯარში მიხვიდოდი, სიზმარს ენახავ საზარელსა,
ძაღლი მოგიკოცხეოდა ფეხსა.
ეფენია მოიყვანეს, სამი დღე და სამი ღამე
სულ გველივით აწივესა,
ამ ლექსის გამომგონებელს თეთრი ჩოხა ჩააცვესა,
ლაფშა ცხენი აჩუქეესა...

75. დალიე, ჩვენო ბატონო

ღალიე ჩვენო ბატონო, დალიე და დადგი თასი,
შენ ვინ მოგცა ჩვენი ფასი.
სპვა პიქითა, სხვა სასმითა,
ჩვენი მაიძელის მარანში ჭიქა დგას და ღვინო ჭეიეა,
დალიე და შეგვრგება
ჩვენ ჭურშია ღვინოო, სხვის ჭერშია ბადადოო.

76. დედამ კაბა შემიკერა

დედამ კაბა შემიკერა კაბა-კაბა შრიალიო,
ეე ღილები დამიკერა ჩაფურა და წკრიალიო,
ჩავიცვი და ჩავიკაზმე, გავერიე ჯარშიაო,
— მაზლო, შე გასახარელო, შემომხედე ტანშიაო.
— შენც ღმერთმა შეგარცხვინოს შენი კაბის არშიაო.
გავკარ ხელი, გავიხადე, ჩავდე ზანდუკაშიაო,
მოორე დილას დავხედე, ფერფლი მეცა თვალშიაო,
დავჯექ და ბევრი ვიტირე ოხერ დარბაზაშიაო.
მამამთილი მომედარა: — რა გატირებს, ხვაშიაო?
— როგორ-როგორ რა მატირებს, ფარჩის კაბა დამწვეიაო,
გაიარ-გამოიარა, ჯოხი მჩხეგვა თავშიაო.
ხელზე ნაცვამი ბეუედი კონკაში ჩამიგდიაო,
კონკა და კონკის ნატეხი გრილ წყალოს ჩამიგდიაო.
იქაც მიყრია ცრემლიო.
ნურცა მატირებ თხა-ცხვარსო, ნურც გოჯებიან ღორსაო,
შოვსა ხარები არიან, აპრიალებენ რქებსაო,
წადი, ისინი დაუამენ, ამოგვსებენ ფერდსაო...

77. დედამ კაბა შემიკერა

(ვარიანტი)

დედამ კაბა შემიკერა წელში გაჭირებულიო,
ჩემი ტოლები დათხოვდეს, მე დავრჩი გაქირვებულიო.
— დედა, რაზე გამათხოვე ასე პატარა ქალიო,
ვერ შევიძელ პატარძლობა, ვერ მოვიტანე წყალიო,
ქმარმა კარში გამომაგდო, მულმა ჩალა გვაკარიო,
ვენაცვალე მამამთილსა, იმან გაგვიღო კარიო..

78. ქვემოყოს ვაკესაო

ქვემოყოს ვაკესაო, ჩიტნი ზიან გუნდავითა,
გოგას ფეხნი დაესიედეს, ჰკიდავს გუდასავითა.
ბეთხოვეს რძალი ანათლებს ქვებიყვეს არემარესა;
ბეთხოვეს რძალი მზესა გავს, ჩორჩავს რძალი მთვარესა,
აზანის რძალი მოტირის, ქვა მე იმაჩი მდარესა...

79. ქალსა ვისმე ერქვა შუშანა

ქალსა ვისმე ერქვა შუშანა, ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედი,
ბეჭდის თვალსა ბოსტანა იყო, მალთა შუა ნაძვი ასრულა,
ნაძვის წვერსა ქორბუდე იყო, ბუდე იყო აბრეშუმისა,
კვერცხი იდვა იაგუნდისა, შვილი იჯდა სარსალუტისა,
ღმერთო, ჩემთვინ გაზარდე, გაზარდე და ყარჭა მიმყოფე;
სანადიროს ქვე წამომყვება, სანადიროს ქვე ვინადირებ,
სასადილოს ქვე ვისადილებ; ნასადილებს მოკლეს ირემი.
მლაშე ჩამოდიოდა, ჯოგი ირმისა,
სიძე-სიმამრი ტყეში წავიდეს სანადიროსა.
სიძემ მოკლა ირემი, სიმამრმა მოკლა სიძე,
— შენ რათ მოჰკალ ირემი, დამასწარიო?!

80. შელოცვა

დაგიფაროს ავისაგან, ავი თვალისაგან, ავი შემომხედავისაგან, შესა დამთვალავსა სამასი ნეფსი ასვია, სამასი გუდანაყარი აყრია, თვალში ნაცარი, გულში ლახვარი. თქვენ მტერს, თქვეს ავი თვალით შემომხედავს, დაგიფაროს ღმერთმა მავნებლობისაგან, ალისაგან, ჭეხისაგან, ელისაგან, შენი დამთვალყბავი მოიცინოს, მოიხჭინის ლახვარი, პირში ჭინჭარი. ქვაბში დულარე შენი ავდომელი მოიხარშოს, თუ შაბათს გაგიჩდა კვირის ძალით საშველი, სამგლეევი შემოგჩეევია თივის ბოლოზე, სათიბის ბოლოსა, ისე სჭამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა, გაუწყრა წმიდა გიორგი, გაიპარა დილასაო...

II. ლეგურ-ჟიორული

81. ალაუგანი

ალაუგანი იყო ერთი კაცი, ნამეტარი ავი კაცი იყო, დედა ყავდა და უთხრა: — შვილი მიბერდება უცოლოდ და ვერაკინ არის, ითხოვოსო? — რა ვიცი, მოხუცებულები შევიკრიბოთ და მოვახერხებთო. — მოვიდენ და დასხდენ. — ისაო გულფიცხი კაციაო და პატარუკა ბაღანაები მოვიყვანოთ და კოკაობის დროს ერთმა თქვას — მოხვდაო, მეორემ — არაო, დაცილდენო და, თუ არ მოხვედრიყოს, ალაუგანივით უცოლოდ დავრჩიო, თუ ვტყუოდეო. ამას ალაუგანი გაიგნებსო, იქ იქნებაო! — დაიწყეს კოკაობა და: — მოხვდაო, — არაო, — თუ ვტყუოდეო, ალაუგანივით უცოლოდ დავბერდეო. — გაწითლდა და ადგა და წავიდა ალაუგანი. წავიდა ერთ მინდორში. ერთი კოშკი იდგა. ზის

ქალი; ერთი კაი წისქვილი რომ იქნება, იმოდენა ძახზე წამოსხმული კვირისტავი და აბრუნებს. — გამარჯობაო, — გაგიმარჯოსო!

— სად მიდიხარო?

— ქალი მინდა თხოვაო!

— მობრუნდი და მე მყავს კაი ქალიშვილიო, — ე დევი-ქალი ეუბნება. შევიდენ სახში. ნაცარში ზის ქალი და თითო არშინი კბილები აქ.

— ეს არი ჩემი ქალიშვილიო.

— წავიყვანო, — ვეღარ ივარა. — რაც რომ ბედმა მარგუნაო...

წამოიყვანა, გახდა ქვეყანაზე: — ალაუგანს ქალი მოყავს, ალაუგანს ქალი მოყავს! — სულ იმას შეეგება ხალხი. ბუტბუტობენ — რავალიაო? — რამდენსაც მიეწევა მაყარს, ყლაპავს გენჯე. მოიყვანა სახშიდ და ქორწილი არის და გალავანია დიდი. დედოფალი ყლაპავს ბავშვებს. — ჯერ არ იყო ქვეყნიერების გამაციებელი და ახლა რა ქალი მოიყვანაო? — ძეობა მოუვიდა. რავაც დეეშობება შვილი, მოუბრუნდება და შეჭამს. დადამთილმა თქვა: — თუ ამას ძე არ შერჩა, ჩემი შვილი უძეოდ გადავაო.

— ჩემო რძალოო, ანგრე არ არის ჩვენსა ვალიო, როცა ძეობა მოგივიდესო, მაღლიდან დაშობეო და ძირს ნაბადსო დაგიფენ და მერმე შეჭამეო, თუ გინდაო. — როცა მოუვიდა ვადა, დაშობა ისე. ძირს დახვდა ძაღლის ლეკვი, მიუგდო ნაბადზე. შეჭამა და ესე ყმაწვილი სკორეზე შეიყვანა ბებიამ. ჩადვა სკორეს შუა და ყინული ჩაუდვა პირში. სანემდვისი ჩემ მორევას არ შეიძლებს. მანემდისი არ ჩავიყვან ბარად, თორემ შეჭამს დედაო. მიუჩინა ირემი თავისმა გამჩენმა. მოვა ირემი და აწოვებს ძუძუს და წავა. ამ ყმარწვილს თვე რომ გაუთავდება, წლისა გგონია, იმისთანე იზდება. ბებიამ შავაჲ დაარქვა. დააძალა ერთხელ ბებიამ, მეორეთ მოიქნია და ე ბებია და მეორედ სკორი პირზე გადააგდო. წამოიყვანა სახშიდ. ჩამოვიდა დედათან, დედამ ვერაფერი დააკლო, რადგანაც დასრულდა. ვეღარ მოვკავო, მარა ცხენმა არ დაანება.

— სანემდი იმ დედიშენის შარდში არ აწრთოო აილებიო, მანემდი ნუ მოკლავო! — მიუტანეს ტაშტი დედაკაცს და ცხრა ტაშტი დაადგეს ერთმანეთზე, შარდი თხოვეს თავისი. ისაქმა რვა ტაშტი და მეცხრეში გაჩერდა. წამოვიდა და მოვიდა მამათან შავაჲ.

— ესენია ჩემი ქონება, შვილო! — მიგვარა ქალი შავას და დაუშენს ამ ქალს და ებრძვის. რაზე ებრძვის, ქალმა არ იცის. მოვიდა ერთი მოხუცებული ქალი.

— ქმარი კარგი გყავს, მარე რატომ შეწუხდიო?

— რა ვიცი, რაზე მებრძვისო, ვერ გავიგენო.

— მე ვიციო, ჩემზე უფრო ძრიელი ვიხც არიო, მითხარიო? ერთი ზანტუკი არის და რატომ არ ჩაგახედვიებსო? — შევიდა და დაეჯდა მამათან. — რა მოგწყენია, შვილოო?

— არ გიყვარვარო?

— როგორ არაო?!

— აიგერ რო ზანტუკი არის, რატო არ ჩამახედვიეო?

— იმაში შენთვის სამჭინო არაფერი არიო, ცალი წუღა გდიაო. — არ მეეშვა, ჩაახედვინა. ერთი ცალი წუღა იყო.

— ამის სატოლო სად არისო? — მიტომ არ მინდოდა შენი ჩახედვაო! მაგისი ტოლი ქალს აცვია ფეხზეო. ცხრა ძმა ვიყვენით ჩვენო, რვა გაწყვიტა

და მეცხრე მე გადავრჩიო. ე წუღა იქიდან გამოვიტანე მეო. ეს ცხენიც იქიდგანა მყავს გამოყვანილიო... — აპა უნდა წავიდეთო! საცა შენ გიომებია, მეც უნდა ვიომო იქაო. — ჩამოვიდა და ცხენს დეეკითხა: — იქ წასვლა მწადია მეო! — თუ არ წამოხვალ, კარგია, მარე, თუ წამოხვალ, მე გამოვალ და შენ დარჩებიო.

— წავიდეთო და დავრჩეთ, თუ დავრჩებიო. აბა ვნახო, რა იქნებაო! — დაკრეს ხელი და წავიდენ. ცხენმა უთხრა:

— ბიჭობა შენი, ცხენობა ჩემი! — მიაწიეს სასახლეში. გალავანი აქ შემორტყმული სულ თუჯის.

— მოყვანა ჩემი არის და კარი გაღება შენიო. — შეძოუარა გურგლივ, კარები ვერ ნახა. — მაგ კარებ შენ ვერ მოიძებო. ერთი მითანე მათრახი დამკარი, თვალები გამოვბაზო და გადავფრინდეო! — დაკრა და გადახდა გალავანში ცხენი. გამოვიდა ქალი ბალკონზე.

— ხთის ტუმარო, რა გზით მოსულხარ, იმ გზით წადიო, ვინცაღა ხარო!

— მე ანგრე ადვილად ვერ წავალო, — უთხრა.

— გინდ ვიჩხუბოთ, გინდ ვიჭიდნეთო, — ცხენმა უთხრა:

— არ შეცთე, არ ეჭიდნოო, სროლა დაუწყეთო. იმასაც ჯაჭვი აქ, შენაც ჯაჭვი გაქ, ტყვია ვერ მოგეკარებათო. — ისროლეს და დაიღალნეს და ის ბალკონზე ავიდა, ეს აქ გაჩერდა.

— ადექი და იმას დეეყვინტალება და თმაში წაავლე ხელი. თმით თუ გაჩერებ, ისე არ შეგიძლიაო. ის გეტყვის და დაჟფიცავს და: — მიშვი ხელი, — ღმერთსაც გიხსენებს, ხატსაც, მარა არ ენდოო. როცა თავისი ცხენი დაიფიცოს, მაშინ ენდევიო. — მივიდა და ტაცა ხელი თმაში. მოახვია ბოძზე და გააჩერა.

— ამიშვი და არ გერჩოლო, ღმერთი თავდებათ მომეცესო.

— ვერ გენდობიო, თუ ცხენს არ დაჟფიცამო! — რომ მიჭირდა ძალიან და უთხრა: — ჩემი ცხენი მზემ, აღარ გერჩიო. — აუშვა ე დედაკაცი. ამოიღო წუღა და აჩვენა. ერთი თვითონ ფეხზე ქონდა ქალსა. იყვნენ რაოდენიმე ხანი და შეთვისდენ ცოლ-ქმარნი. — აბა, ცხენები მაინც წავკიდოთო. — გამოუშვა ბოსლიდან ცხენი, ამისი ცხენი იმ ცხენის და იყო. რავაც შეუტევა, წავიდა ბოსელში, წამოიყვანა ეს ქალი. მოვიდენ თავის ოჯახობაში. ეს ქალი მოიყვანა. ეს იყო ის შავაჟ.

82. ჯუჯები, თემირბიი, შიბიეი

სამი ძმები იყვნენ. ერთსა ჯუჯები ერქვა, მეორეს თემირბიი, მესამეს შიბიეი. ისინი იყვნეს თის კაცები. ხადაოჯუხა ერქვა საჩერქეზოს ბატონს. წამოვიდნენ ორი ძმები სანადიროს — ჯუჯები და თემირბიი. გავიდნენ მინდორში და დაინახეს, ერთი შავათ რაცაღა იყო, სულდგმული იყო. ესროლეს ორივემ ისრები, გაფრინდენ ორივე წორა და მივიდენ. დაუხვდათ გახავსული ქვა. ჯუჯამ თქვა:

— ი ფერგასაქრობი ხადაოჯუხას ხომ ამაზე მაგარი გვერდი არ ექნებაო? რასი გვეშინია იმისიო? — მეორემ უთხრა: — ნუ ლაპარაკობ მაგასაო! ყორნის ენა იცის იმანაო, გადმოივლის ყორანი და სიტყვას გადაუტანსო.

— შენ არა გქნა აგრე ფრთხალი და მომკლაო! — დაიწყეს ცილობა: —

არ შეიძლება, თუ არ წევედით ი ჩვენ ტერთანაო! — დაკრეს ხელი და წამოვიდნენ ორივე. გადმოიარა ყორანმა მართლა და წავიდა იმისი სასახლეში, ჩამოვიდა ეს ყორანი. ბატონი ჩერქეზი წამოწოლილი არი და კნეინაზე თავი უდევს. ე ყორანი დაგლუგობს რაღაცას. მივიდა, დაადვა ხელი და გაღვიძა ქმარი: — ადექი, შენი მეგობარი მოვიდა და რაღაცას დაგლუგობს, გაარჩიეო!— დაუგდო იმან ყური: — შენი ტერები მოდიან შენთანაო, ფრთხილად იყავიო... წამოდგა ბატონი და დაძახა კაცი სოფელში, შეუყარა სოფელს თავი: — ჩემი ტერები მოდიან და მზად დავხვდეთ-ყე ჩვენაო. იმათ რაც გულში აყვე, მე კარგად ვიცი. გაამზადეთ სადილი, დაკალით სუყოლფერიო! — მოემზადნენ ეს სოფელი, საცა არი, მოაწია ი ორმა ძმამ, გეეგება-ყე ის თავის ფეხით რაოდენიმე მანძილზე.

— მობრძანდით, ჩემო მეგობრებო, მადლობელი ვარ, რომ თავი დაიდაბლეთ და მესტუმრეთო. სადილი მიირთვით, მერე გაგეხარება-ყე, გაიარ-გამოიარეთ ადგილშიო, მერე მობრუნდით და კიდე პატივსა გცევ-ყეო! — სოფელს დარიგება მისცა ი ჩერქეზმა:—ი ორი ძმა რო ერთხელ წორა იქნენო, იარაღი არავინ გაანძრიოთო, თვარა ქვას ქვაზე დაგვადუღებენო! გაიყვენით შუა სოფელიო! ნახევარი ერცა გავყვეთ, ნახევარი მეორესაო... ერთი ერთ ადგილში წავიყვანოთ და მეორე მეორეში და რაღას გეიზმენო? — ჭამეს სადილი და წავიდენ. შეეიდენ და ორი ღელეა და ნახევარი ერთ ღელეზე წავიდენ და ნახევარი მეორეზე. ერთი ძმა ერთმა ჯინმა წაიყვანა, მეორე — მეორე ჯინმა. გადაავიწყდა ამ ძმეას ერთმანეთი. ერთ ღელეში ერთი მოკლეს, მეორე ღელეში — მეორე. გამობრუნდენ და მოვიდენ სახში. ერთ ძმას ხელზე ოქრო ბეჭედი ქონდა და ერთ სოფლად ისიცა ღირდა. აიღო ამ ჩერქეზბატონმა და ხელზე წამოისვა. გაწყვიტა-ყე ორი ძმები. წამოვიდა და თქვა: — რახან ეს ორი გაწყვიტე-ყე, სახში რომ მესამე ძმა არისო, იმასაც გავწყვეტო. — წამოვიდა, მარტვა ჩაჯდა აბჯარში და მივიდა იმათანა. მივიდა და დაიძახა სასახლეში. იმან იცნო შიგნიდან იმისი ხმა, შიბიჟიმ, გამოგზავნა პატარუკა ბიჭუნა და იმან თავისი იარაღში ჩაჟდა უცებ. ბიჭუნამ შეხედა და შებრუნდა: — ვინ არისო?

— რა ვიცი, პირზე რო შეხედო, შავი ნახშირივით არი და გურგლივ რკინით არი შემოსილიო. — გამოიძღვანა იმან თავისი იარაღი და გამოვიდა. — შენ ჩემი კარზე არა ხარ მოსასვლელიო და რამ მოგიყვანაო? — აიყარა იარაღი იმან და დაეწყო დედამიწაზე.

— მე შენთან სამტეროდ არ მოვსულვარ. თუ არ დამანანებ, ცხვარივით ვარ, მომკალო. — ამ შიბიჟიმ იფიქრა: ეს ქვეყნიერობის ბატონია და ერთი კაცი არ წამოიძღვანა, მაშ სამტეროდ არ მოსულაო. დავანებებ, რაღაცა უნდა ლაპარაკიო.

— მობძანდიო სახშიო! — შეიყვანა სახშიდ. — რა ვქნაო, — უთხრა ბატონმა. — შენი ძმები შიშით ვეღარსად წავედითო. გთხოვ, რომ შევრიგდეთო, შევფიცოთ ერთმანეთსო.

— რა ვქნა, ძმები არა მყავან სახლშიდაო, სანადიროს არიან წასულიო.

— შენ უფროსი ხარ და შენ სიტყვას არ გადააბიჯებენო. — დაიკმაყოფილა და: — ჩვენ რჯულზე შევფიცოთო, თათარუფის ციხეზე, შორეზე. — მიეიდენ ამ სალოცავთან, უთხრა: — შენ უფროსი ხარ და დაიფიცეო!

—არაო, მე კი, მარა გვაროვნობით შენ უფროსი ხარ და დაიფიცეო უმალაო. — შევიდა ჩერქეზი.

— ღმერთო, როგორც ი ორი ძმები მომაკვლევიეო, ისე ე მესამე ძმაცო და თითო ყურშავა ცხვარიო ყველთვის მოგართვა საწირავად წელიწადშიო! — გამოვიდა ეს ჩერქეზი. — ჩემა ძემ და ჯილაგმა ვერ გიღალატოსო, შენმა ძემ და ჯილაგმა ვერ მიღალატოსო, — ასე ვთქვიო. შევიდა შიბიეი. ამან გული წმიდით დაიფიცა... ჩემა ძემ... გამოვიდენ იქიდგან. — ახლა მობძანდი, ჩემ სასახლეში წამობრძანდიო. — წავიდენ და თათრებმა გავიდენ წყლი პირზე და დაისვენეს და დაიწყეს ლოცვა და მოისვენეს. ხნით ეს უმფროსი არის — შიბიეი, გვაროვნობით — ისი. მიეძინა შიბიეის და: — ცხენები არ დაგვეკარგნენო! — ნუ გეშინიაო! — დაიძინა თუ არა, მოუშვირა ისარი, ესროლა და კლავზე გადაკრა. წამოარდა, ტაცა ხელი და სისხლმა წატეხა. — შენაო გატეხო ფიცსო!— კაცო, კაჭკაჭი შემოგჯდომოდა და იმას ვესროლეო.. — გაანება თავი. გავიდენ მეორე წყლი პირზე. ილოცეს თავი რჯულზე და მიეძინა კიდე.

— ახლა რავა ვერ მოვკვლავო, — და ესროლა ფერდში და გახვრიტა. ერთი ფეხი გადაასწრო და ლეკურით მოაწრო და ფეხი მიაცალა.

— მე კი მომკალი, მარა ჩემ ძმებს სად წაუხვალო? — ბეჭედი აჩვენა და: — ისინი უმალ გევისტუმრე-ყეო.

— კარგიო, ღმერთსა ვთხოვ ფიცსა ღვთისასაო! შინ რომ ერთი კასრი წყალი (ბიჭუნაზე ეუბნება) რომ დარჩა, იმას ეეღოს სისხლიო. —გაიტუმრა-ყე ძმები ამ ჩერქეზმა... წამოიზარდა ე პატარა ბიჭუნა და დიდი ბიჭი შეიქნა. ყოჩაღი იყო. ცხენითა თამაშობს და მეზობელი ბიჭი გალახა. შევიდა სახში ე ბიჭი და: გამლახაო! — გამოარდა ე ქალი და დაუწყო: — ჩვენ შვილს ნუ კი ლახევდი, შენი მამა და ბიძანი რომ ჩერქეზმა მოკლა, ის აიღეო! — წამოვიდა, მივიდა ძიძათან. ძიძის ქმარი იყო კიდე ერთი. მივიდა და: — ერთი პუნტა ამოკვარეო, შენი ხელით მაჭამეო!

— კი, შვილოო... — დაკვარა პუნტა და რომ აჭმევს, ტაცა კბილები თითზე; — დედ-მამა მყავდენ თუ არაო და ბიძეებიო?

— კიო, დაიხოცნენო!

— რათიო? თუ მტერმა გაწყვიტა-ყეო?

— ჩემი ცოდვა იმასაო, ვინც გითხრაო... ასე იყო, ასეო და კბილები მიშვიო — მოუშვა. ამნაირად გაწყვიტა-ყეო, შემოქდა ცხენზე და წავიდა. გამეეკიდა ძიძის ქმარი: — მოგკლავენო!

— შენ დაბრუნდიო, ნუ მებღაუჭებიო! — შემოკრა და გადააგდებია თავი. მიაწია იმ სოფელში. ხალხი არიან იმდენი, რომ ტეეა აღარა აქ. სულ ბოლოში დაბა თავისი ცხენი. მივიდა და უთხრა-ყე: — ჩერქეზი ბატონი რომელი არიო?

— აი, ეგერა, მგლი ტყავი აცვია და ქვე კოქლობსო! — ასწავლეს. ხალხს ენახშება. იძრომა, იძრომა და — მიუსახწორდა კარქა გულში... ამოიღო ორი ფინთიხი და დაცა და გააგორა. ბეჭდიანი ნეკი მოსპრა და გამოაპო ე ხალხი და წამოვიდა...

— რა ქენიო? — უთხრა ძიძამ.

— მამაჩემი სისხლი ავიღეო. — ახლა იმან ქალი ითხოვა. ისინი რომ ქალს ირთავენ, ერთი ყმარწვილი თან დაყვება და მივიდა და მიიწვიეს.

—ამან არ მოკლა ჩვენი ბატონიო? — მოუარა ამ მეცხვარემ და დიდი მუჯირა დაკრა თავში. წამოდგა და ის თანამტანი ქვე ტირის.

— რა გატირებსო?

— სა წავიდა ი ძაღლიო?

—აგერ მიდისო! — გეეკიდა გორაზე და: — რახან შენი ბატონის სისხლს იღებდიო, რათ მაგრად არ მომკალო? არა გცოდნია აღებაო! — მოუქნია და მოწყვიტა კისერი... მოდვეს ხელი და ე ჯოგი სუ წამოიყვანა; დაურიგა-ყე. — ე ჩემი მამა-ბიძი სისხლი იყოსო...

83. აბაზალები და ჩერქეზები

აბაზალები იყვნეს და ჩერქეზებს დაადვეს ბეგარა — ერბო. აბაზალების ფალავანდები ჩერქეზს ეჭიდებოდა. — სანემდი აგი დამცემს, მანემდის უნდა იხადოთო! — ახდევიებდენ-ყე. ერთმა ჩერქეზმა ერთი რძალი მოიყვანა. ძროხასა წველის, კამბეჩი ძროხას, ი ქალი. ბერი კაცი რო დაინახა, შერცხვენდება ჩემიო და ცალკე ოთახში შევიდა მამამთილი. ჩუმათ გამოჩერებია და უყურებს. რო გაამსო ე კასრი, გაამჯავრა ამ კამბეჩმა, ქვე არ დაუქცია? მიიხედ-მოიხედა და ვერავინ დაინახა და ამოკრა ხელი კამბეჩს და ზე გადმოაგდო გალავნისკენ.

— უჰ, ვაჲმე, შვილო დაღუპულო! შვილმა რომ გაამჯაროს—მოკლავსო. —იარა, იარა და ამ სიტყვამ ყველას უთხრა და წავიდა ე სიტყვა და ჩერქეზების ბატონთან მიაღწია. ი ქალსა ყავდენ ორი ძმები. დაიბარა იმისი ძმები. — თქვენო იმითანე ღონიერი და გყოლიათ-ყე და ი ფალავანდს უნდა ვაჭიდოთო! — წავალთა და შეეეკითხვითო! — წამოვიდენ და შეეკითხეს: — შეგიძლია თუ არაო? — დამ უთხრა-ყე: — ორი კვირის ვადა მომეცით და მე თვითონ მივალ ბატონთან სანახშოთო. — მიცეს ორი კვირა ნება. ორი კვირით სუყოლიფრით გამეეწყო კაცურებ, შემოირტყა იარაღი და წავიდა. მივიდა ამ ჩერქეზ-ბატონთან. სალამი მიართვა. — რა გნებავსო? — უთხრა.

— ჩვენი საქმე რავაც არისო, ხომ იცი, შვილოო? აბაზელებისაგან ფალავანდი არისო ამ ჩვენ სამწყდოშიდო, ბეგარა გვმართებს და ვაძლევთო. თუ იმას ეჭიდებიო, გამარჯვება შენი იქნებაო გამარჯვება ჩვენიო.

— ძალიან კეთილიო! — მოვიდა აბაზელების ფალავანდი, გამოვიდა ისიც.

— აბა, შენ ხარ, ჩემთან რომ აპირებ ჭიდაობასო?

— რატო არაო? — ე გადაცმული ეუბნება.

— შენისთანე მარწყვებიო ვერ გამიძლებსო!

— ეგ ღმერთსა თხოვეო! — მაშინ ფალავანდების სამჯერ ხელი დაკერა იყო.

— შენ რადგან ტუმარი ხარო, სამჯერ უნდა დამტაცო ხელიო! — შემოუარა, დაკრა და არ გარყეულა ე ქალი. დგას ისევე.

— აპა, თუ უკაცრავად არ ვიყო, ახლა შენ გაჩერდებიო!

— შენ რო სამჯელ დამარტყიო, ჩვენს ტუმარსო ერთხელ მეტად არ დავარტყამთო, ორჯელ მოგიტევებო. — გაშალა ხელები ამ ქალმა, შემოკრა ღლიაქვეშ. მოორგნი ლაწალუწით გავიდა წიბოები... დაიბრუნა ხელში და გაუშვა მიწაში. შეეხსნა მას უკან აბაზალების ბეგარა ჩერქეზებს. იმან დაისხნა-ყე, ი ქალმა...

84. სვანები და ღებელები

სვანები რომ წამტერებიან ღებს — ძველებური ამბავია. აძრულან სვანები და მოსრულან მტერები ღებში, შუაღამის დროს, და გაუტეხია-ყე მაცხოვრის ეკლესია. წაუღია-ყე მაცხოვარი ჯვარი. გაუგნია საზოგადოს, რომ ეს სვანებმა ქნეს. სხვა არავინ იქმოდა. შეკრეფილან და წასულან რამოდენიმე, რომელიც ყოჩაღი ყოფილან, და ჩასულან სვანეთში და შიგაითათ უკითხავთ — ეს ჩვენიდგან რომ ჯვარი გადმოიტანეს, სად გაასვენესო? — უთქვამს ერთ დაერთგულებულს: — ამა და ამ ეკლესიაში დედახვთისა არისო, იმაში გაასვენესო! — შექნილა შუაღამე დრო, შესრულან და ერთი რომელიც გაბედული შესრულა სარკმელზე და დანარჩენი გარეთ ყოფილა. ნამალევეთ, თუ არ გაუგნეს, შესულა ერთი და, რომ შესულა, ალბათ ხთის ბრძანებით ე კაცი სამერცხლე კვებოში შეტეულა და შესულა. განათლებულა ჯვარი მაშინვე და გაღადღადებულა. მისულა, გამოცხადებია და მოუკიდებია და მოდგომია კვებოზე. ვეღარც გამოტეულა კაცი, ვეღარც ჯვარი. რომ შესულა შევიწროებაში, მოუწევია გათენებას. უთქვამს: — მაცხოვარო, იდრიკეო თავი და უშველე შენს თავს და ჩემ თავსაცაო! — განათლებულა ე ჯვარი და უშველია და უდრეკია და გამოსულან. დახდომია ე ხალხი. ე ჯვარი გამოურთმევია-ყე, დაუკრავ-ყე ფეხი, წამოსულან. უვლიათ და, რომ მოსულან, ხოლი თავს უძახით, გათენებულა; ღამე უვლიათ და ჩამოწეულან, შეყრილან და უთქვამთ ერთ აზრიანს: — მოდი, ერთი, დღესასწაული დავდვათო. — რა დაედვათო და უთქვამს: — დიდება ბძანეო, მაცხოვარი მოგაბძანეო! — ქნეს სუყველაკამ ერთი პირი და დაუწყო-ყე იმ აზრიანმა: — თქვით ე სიტყვებიო: „დიდება ბძანე მაცხოვარსა ჯვარცმისა, წმიდი გიორგის ზედ ქალაქისაო“. მას უკანი დაიდვა დღესასწაულად და წრეულ აღარ მოუვლია-ყე მარტვა...

ერთი კვირა მარხობდენ და, რომ გაუხდებოდა კვირე, მერე გოქვი ხუთშაფათს გაიხსნილებდა, მოიელიდენ და ჩაასხემდენ კუპრში და ფსონობდენ. დადებულობა იყო. გამოედევნენ მაშინ ამ მაცხოვარი გამოტაცებაზე და რომ ვერა დააკლეს-რა, წავიდენ და ამ უწერას ერთი ჯაფარიძე ყოფილა, ნეფეთა ყოლია-ყე, და იმისი ინტერესობა ქონია სვანებს. უთქვამს-ყე: რადგან ღებს ვერაფერი დავაკელითო, დავეცნეთ და ეგება ი ნეფე დავიჭიროთო. დაუკრავს-ყე ხელი და გამოუტყვილება-ყე გემრიელი ენით და შეჩენიათ და გამოუწვევითა-ყე და უტაცნია-ყე, გაუკრავს-ყე ხელი და ქვე მოუტაცნია-ყე გაკრული. ამოურონებია-ყე ნეფე და ე ჭიორლები რაღაცა გაუგნია-ყე ნეფე მოყავს-ყეო, ჯაფარიძეო, და სვანებს მომხრე ყოფილან ჭიორლები, სვანი მხარი დაუჭირავს-ყე. ჩაგებებიან ჩვენი ჯარი და აქანათგან რო გახვალ საყანოები აქ ჭიორლებს, ჩასულან ღებურები, სვანებს ჩამოუყვანიათ-ყე. ჭიორლებს მხარი უქნია-ყე სვანებიკე. შექნია-ყე დავიდარობა და ჩხუბი და ე ჭიორლები ღებურებს დაულახავს. წამოუყვანია-ყე სვანები და იქით-აქით და მოციქულობა შექნია-ყე და წაურთმევია-ყე ე ნეფე და ჭიორლები ქვე გაუშვიან-ყე გალახულები. სვანები შექნიან-ყე ანცი-ბანცი და შეწორებულან, როგორც იქნა, ჯაფარიძეები ჩვენი მხარე გამხდარან, რომელიც რომ ნეფე იყო, და ბევრი რამე გადუხდია-ყე სვანებითვინ და შერიგებულან და მაშინ დაუძახნია ღებურს: — ყიარიშობა ყელსაო, ღებურნი სცემდენ ყველასაო, ნეფე შეკრული მოყავდენ ციდი სიმაღლეზე მელასა.

85. ჯამათა

ჯამათა ერთ მაგარ ადგილას ტერობდა ღებს. გაჩერდებოდა იმ რეხში-ლდეში და ართმევდა-ყე—ჩოხა-ნაბადსაც, კარდლებსაც, ყოლიფერს... იარა ამ კაცობამ და თქვა ღებმა: — ჩვენი საქმე წამ'ადარია, თუ არა უწამლეთ რაო. შეიყარნენ, რაც ყოჩაღი კაცი ღებში არი, და წავიდენ. შემოერტყენ რეხს. გურგლივ. დაიჭირეს ჯამათა. სიხარულით წამოიყვანეს. მოიყვანეს კვდარ-ცოცხლად და ამ სოფლი ნაპირში, ვეძიპალაზე, მოიყვანეს და სიზმარივით მახსოვს: მივა და, ვისაც ავკაცობა ახსოვს, ჯოხს ურტყამს ვაჲ, ვაჲ, იძახის. მივიდა ერთი ყმარწვილი კაცი და თურმე ამ მარჯვენა ნეკზე ოქრო-ბეჭედი აქ და ის წაართვა. მივიდა და არ უშვებენ, ჩაკრაეს და ქვე მოკლავსო. ჩაკრა ყმარწვილმა მუჯირი და მოკლა. დაასაფლავეს იქავე...

86. ცხენის შვილი

ერთი ცხენი იყო და წელიწადში რამდენი დღე იყო, იმდენი კვიცს იგებდა. ჯერ ერთ გორაზე შევიდა და გაამსო ქვეყნიერება: გაამსო რაოდენიმე მინდვრები იმ ცხენმა. არ შეუბმევია ერთი მთხრობლად ნადირითვინ. შეთხოვა გამჩენს: — რადგანაც ამდენი უფლება მომეცოო, ერთი იმისთანე გამიჩინე ადამთაგან, არ შეაჭამოს ჩვენი თავი მგელსა და დამარხოს მიწაშიდო. გაუჩნდა თემურაზ ჯეიშერი, ადამიანი. მიდიან წყალზე წორა ე კაცი და ე ცხენი, ჩავიდენ წულიპირზე და დალიეს წყალი. თემურაზი ეუბნება:

— დედაჩემო, ცხენოო, ამ წყალში რომ ჩავიხედავო, მე სხვანაირი აგებულება მაქ და შენ სხვანაირიო.

—შენაო ადამიანი ხარო! რაც ამ ქვეყნიერობაზე უყურებ, ცხენი ჯოგრო—სუ შენი არიანო! წადიო, შედექი აი იმ გორაზე, მოიხედე ჩემკენო; თუ ზეზე დაგიხვდე მე და დამინახოო, გაბრუნდი და წადი, ი ცხენებში თუ წაქცეულიო—მობრუნდიო და მიწაში დამარხე, ნადირ ნუ შეაჭმევ ჩემ თავსაო! — გამოხედა გორიდან და დედა წაქცეული დაუხვდა. დედის ანდერძას არ დავკარგავო, და წავიდა ამ ცხენებში ე კაცი. გავიდა და გამოვიდა ერთი შავი კვიცი. მოვიდა და ხან თავზე გადაახტება, ხან უკანიდან ეთამაშება. მივიდა და მოკიდა ამ კვიცხელი. გაუკეთა წკნელი პირში, შეჯდა, წკნელის აბჟანდები გაიკეთა, დადის ამ ცხენებში. — ერთი გავივლი, ამ ქვეყნიერობაზე რა აძბავი არიო? — წავიდა და შეხვდენ სამი ხემწიფის შვილები სანადიროს. ჯერ ერთი შეხვდა — გამარჯობა, — გაგიმარჯოსო.

— საიდგან მოხვალო? — თემურაზს უთხრა.

— საითკენაც კუდი აქ ამ ცხენს, იქიდანო!

— საითკენ მიხვალო?

— საითკენაც თავი აქო ამ ცხენს, იქითო (ადგილების სახელი აბა რაიცის?!). მეორე ძმასაც ამისთანე პასუხი მისცა. წაუარა-ყე, ქვე წავიდა, მივიდენ და ჩამოსხდენ სამივე.

— დღეს ერთი მოვინახულე ამბავიო, — უთხრა-ყე უფროსმა, — ერთი კაცი მოდიოდა და წკნელის ამჟანდები ქონდაო.

— სად მიხვალო, ვკითხეო, და — საიცა თავი აქ, იქითო; — საიდგან მოხვალო, — საითკენაც კუდი აქო!

— კაცო, მეც ანგრე მითხრაო, — შეჩივლეს სამივემ ერთმანეთს.

—მააპა, საცინლად აუგდივართო. წავიდეთ გვეიდევნოთ და მოკვლათო.— გამეედევნენ ე ძმები უკან. ერთ ჩეროში ცხენი მიუშვა საპმელზე და თვითონ მოუსვენებია. მივიდენ მძინარზე. ერთმა თქვა: — მივიდეთ და მოვკლათო! მეორემ: — სირცხვილია, მძინარე კაცის სიკვდილი ცოდვა არიო, გავაღვიძოთ და ვეჩხუბოთო. — მივალ და გავაღვიძებ მეო! — უცებ წამოხტაო, თუ ისევ მიწვაო, მე იმისი ძმა გავხდებიო.

— შენ თუ ძმა გახდები, მეც მისი ძმა გავხდებიო.

— მეც ძმაო, — უთხრა-ყე მესამემ. — მივიდენ, გააღვიძეს. ერთი გეავლო-ყე თვალი და მიწვა ისევ. დაანებეს ძილი იმას. რომ გამოეღვიძა, უმფროსმა წყალი მიართვა, უნცროსმა ხელსახოცი მიართვა, სულ უნცროსმა სავარცხალი მიატანა.

— თქვენ სამი ძმაო და მე მეოთხე ვიქნებიო! — გამეეთხოვა და წავიდა ძმებიდან. ამ კვიცზე ქვე ზის. — მეო თემურაზ ჯეიშერი ვარო, — უთხრა — ყე, — ქვეყნიერობაზე უნასი უნდა მოვსპოო! — წამოვიდა და ერთ სანეფოში მივიდა და ცალგნი ქვე ტირიან, ცალგნი ქვე იმღერიან. მოვიდა და ერთ დედაკაცს უთხრა: — მომშივდა და საპმელი მშივაო.

— რა ვქნა, შვილო, გველოშაპს აქ წყალი დაპირულიო. არ გამოუშვებს გვიანამდისო...

— აი ის რა არი — ცალგნი ტირიან, ცალგნი იცინიანო?

— თითეულ ადამიანს ვაძლევთო გველოშაპსო. რაც გლეხები ვიყვენით, გაგვითავა და ახლა ხემწიფის შვილი უნდა ჩაგვარონო, მზეთუნახავიო. ის უნდა შეპამოსო და მერე გაუშვებს წყალსაო. ხელმწიფის პარტია ვინც არისო, ის ტირისო და სხვას უხარიანო.

— აპა, სადანა არის ეს ამბავიო? — დაანახა, ბადე არი. პირბადეთ შეუსუდრავ-ყე, დაკრა ხელი და ჩავიდა ი მზეთუნახავთან. უთხრა: — ეს რათ ჩამოგიფარებია, რა არისო?...

— გამშორდი, ნეტა მეც არა მპამდეს და შენც არ შეაპმიო თავიო. ამნაირათ არი ჩვენი სოფელი წესდებულებაო და ახლა ჩემი ჯერიაო.

— რა დროს ჩამოიცლისო?

— საათობით არიო.

— შენ ნუ გეშინია, იმას შხამს შევაპმევო, თვარა შენ კი არაო. — გაჩერდენ და საცა არის და მოდის წყეული.

— შენ არ შეგეშინოსო! — დაკრა მათრახი და დალეწა წყეული და წყალი აიღერა სისხლითა. მოპრა ერთი რამე ასო ი გველეშაპს.

— ჩააბი სარტყლით და სახში აჩვენე-ყეო, არ შეგეშინოსო. — ჩააბა და შეიტანა; არ უჯერებენ! — ვინ გაბედავდა იმის სიკვდილსო? გამოიხედეს და ღელე სავსეა სისხლითა და მძორით. — ვინა ქნა, ვიხა ქნაო? არ ვიცი, ერთი ყმარწვილი იყოო! — საითკე წავიდაო? — ამა და ამ უბანზე აუხვიაო. — მოძებნეს, მოიყვანეს ყმარწვილი. — შენ შეიქენი ჩვენი ტყვეთამხსნელი და სიძე უნდა შეიქნეო! უნდა მოგათხოო! — სამი ძმები მყავან ჩემ გარდაო; იმათზე უმალ ვერ ვითხოვო, უფროსები არიანო. — წამოიყვანა ერთი ძმა და და-

აწერა ქალზე ჯვარი. სამ ადგილზე მოქმიდა ამნაირი მაგალითები. სამივე ძმებს სამ სანეფოში ქალები უთხოვა. კაჲ დროება გაატარა იმათთან.

— კარგი ახლა, ჩემო რძლებო და ძმებო, — უთხრა-ყე, — მე ქვეყნიერება უნდა შემოვიარო, შვიდობით, უნდა წავიდეო.

— შენ კი მიდიხარ, მარა შენი გაჭირება რათი გავიგნოთო?

— მე როდესაც ცოცხალი აღარ ვიქნებიო, ამ ჩემი რაშის ნაფეხურებში სისხლი და ბალღამი ჩადგება. თუ მომყვებით კვალს და მომძებნით, კარგი იქნება, თვარე და მშვიდობითო, — უთხრა-ყე, გამეეთხოვა, წავიდა. ერთ თვეს იარა — პური არ უჭამია. გაწია ერთ სოფელში. ჯერ ერთ გლეხთან მივიდა, — არავინ არის ადამის რჯული არსად. მივიდა სასახლეში. ჭიშკარში აწყვია ერთი დედაკაცის ძოძუები და ქალი ოთახში წევს, ისე დიდია, მოვიდა და მოკიდა პირი. გაწია ამ ქალმა და უთხრა: — ნეტა არ მენახეო! ერთი დედაკაცი დავრჩი მეო, ჩვიდმეტი გველეშაპიაო და ჩამოელენ დღეს და ე სოფელი იმათგან მოისპობაო.

— ერთი საკმელი მაკამეო და იმათ სეირს მე განახვებო! — მივიდა და მოიტანა ფქვილი და ვარცლზე დაფსმას უპირებს ქალი.

— არ ქნა, არ ქნაო!...

— მაშ, რა ვქნაო? გველეშაპს აქ წყალიო.

— ერთი კოკა მომეციო, — დაიპირა და წავიდა. მოდიან და წყვეტს-ყენეფე იმათი უკვანაა და აიძრა. იმ სიმაღლეა, ქვედა ყბაზე ძლივას შეწვდა. დაკრა და მოკლა. მიდის ე წყალი, მოისვენა და, სანემდი არ შაწყდა სისხლიანი, წყალი არ აამსო. აამსო და შეუტანა. — აბა ახლაო!..

— გადუურჩი-ყეო? — გამოიხედა და ჰაერში მიდის თქეში და უბედურება, გეეხარა ერთობ. არის რაოდენიმე ხანი, დადის გარეშედ.

— აი გორაზე შევედი და ხალხი მიდის ბევრი აქიდგან და მომავალი არავინ არისო.

— წავალო მეო აპაო და შვიდობითო!

— მე უნდა გავიგნო, ძია, რა ამბავიაო. შენი გაჭირება რათი გავიგნოო?

— ცხენის ნაკვალევში სისხლი და ბალღამი ჩადგებაო. — წავიდა, ერთი წყალი არის ზღვასავით. შუაგულ ზღვაში ერთი კოშკი დგას და ი კოშკში ერთი მზეთუნახავია. რამდენი მოვა, იმდენსა ქვათ აქცევს. მივიდა და გამოიხედა და: — იმითანე მშვენიერი არაფერი მინახავსო, და თუ თეიმურაზი არ იყოს, ქვათ იქცესო! — არ იქცა. გამოღმით ეს არი. ამოიღო, ოქრო ბულთი აქ, თეიმურაზიმ, და ააგდო მაღლა, დაკრა ცხენს, გადახტა გალავანში, ისევ გადმოფრინდა და სანემ ბულთი დააწევდა, დაიპირა ჰაერში. გეეხარა ამას. გავიდა ამ წყალგაღმა. დაიწერა იმაზე ჯვარი. გამოიარა რაოდენიმე ხანმა.

— შენ რო პირველში მოხვედიო, ერთი ისე ითამაშეო, რომა მოვხუცდი აწო და ასო დამიმძიმდაო. გამახსენე ი ყოჩაღობაო, — ქალმა უთხრა.

— მე რომ მოვედიო, შენ ყმარწვილი იყავიო. იმისი პადრეთი გამიკეთეო და წამიგორდება გულიო. გაუკეთა სურათი. ეს შეჯდა ცხენზე და ისევე ქნა, როგორც პირველში. ეს სურათი რო ხელში ეჭირა, სად წავიდა, ვერ გაიგნო!

— ეს კარტიშკა რა იქნაო?

— არ ვიციო! — იარა ი სურათმა და ხემწიფის დვარეცში დეეცა, იმასა ყოლია ცხრა ვაჟიშვილი. ცხრავე იმას გაუწყვეტიან, ქვათ ნაქცევა. ერთი შვილი დარჩენია, ავარა, და ქაღალდი კარქა იცის და იმანა ნახა ე სურათი და:—

აი, მამა, ჩვენი ძმები რომ გაწყვიტა-ყეო, იმისაო. — შემოვიდენ სახში და ერთი მოხუცი ეშმაკი ობური შემოვიდა. უთხრა-ყე: — მე მოგგვრი-ყეო, თუ გაგეხარება-ყეო, — ხემწიფეს ეუნება.

— თუ მოიყვან, გაგაბედნიერებო!

— გამიკეთე მაგარ-მაგარი სასმელებიო და მომეცი სატეხი კიდეო. ჩამიკარი იაშიკშიო. — ჩაგვარეს და აიკიდა და წავიდა. თემურაზი მადლიანი კაცი იყო. ვისაც გაუჭირდებოდა, ეხმარებოდა. შემოდგომაზე ლოფართები ხომაა — ზოგი წითელი, ზოგი ყვითელი, წყალში შეყარა ამისთანეები ამ ქალმა. დაიწყო წვიღილი — მიშველეთო. გაიგონა თეიმურაზმა და: — აი ტანისამოსელი დამტაცა წყალმაო.

— მე გიშოვნიო. — გაიყვანა და იყო ერთი კვირე, მეტი, ნაკლები — ღმერთმა იცის... იმათა ყავს-ყე ძაღლუკა, ფინია, ცოლქმართა. შვილი არა ყავს ყე... ობურმა უთხრა ქალს:

— შენი ქმარსო სიცოცხლე რასი აქაო? — რა ვიციო! — აპაო, გამოკითხეო.

— შენი სული რაში გიდგიაო?

— ფინია ლეკვინასიო! აი, თუ მოკვდებაო, მეც მოვკვდებიო, — გაატყუა. გაიგნო ობურმა. მიხვდა ტყულს. მოდგება და ლეკვინას სამჯელ ბანს საპნით, რახანს სული აქაო! თემურაზმა იფიქრა: — ეს საცოდაობა არისო; ეს არ არის ჩემი სულიო. — ჩემი სული არისო — ჩემი მარჯვენა თვალის თავზეო კოლოფი მაქო. — გაიგნო ამ ქალმა. — მეო ძალიან სასმელების გაკეთება ვიციო. — აბა, შენ იცი, თუ გააკეთებო! — გახსნა იაშიკი, ამოიღო სასმელები მაგარ-მაგარი და აჩვინა. — აი ესე სასმელიო! — დალია და დათვრა, მეეკიდა. მივიდა და დაჰკრა სატეხი თვალში და ზე არ ამოუგდო ი კოლოფი?!... სახლი არი წმინდა რკინის, ამ ქალს მოკიდა ხელი და წვიღილით არ წაიყვანა?! — დარჩა თეიმურაზი, კვდარი და ცხენი. ჩადგა სისხლი ნაკვალევში. უთხრეს-ყე ქალებმა კაცებს: — წავიდეთ, მოვძებნოთ, მოვძებნოთ ძმაო! — დაკრეს და წამოვიდენ. იარეს და ერთი თვის სავალზე რომ მოვიდენ და დაბრუნდენ კაცები, — ჩვენც რა დაგვილხინდებაო?! — ქალებმა თქვეს: — საცაღა თეიმურაზი კვდარია, იქ უნდა მივიდეთო, იმან გვაცოცხლაო. — წამოვიდენ, იარეს და მოაწიეს იმ ძუძუიან ქალთან. მშიერები არიან. — სად მიხვალთო? — ძმა დაგვეკარგაო და გავიგნეთო. — ჩემი შვილი იყოო, გამოვაცხობ საგზალს და წავიდეთო!... დაიკალთავეს და წავიდენ. მივიდენ ამ სახში — კვალზე. აგერ, კვდარი გდია თეიმურაზი, ცხენს მოუარეს. — ჩვენაო დავსხდეთო, ოთხი კუთხე აქ ამ სახსო, და სანემდი გავძლებთ, ვიტიროთ და რომ ვერა, მოვკვდეთო! — ამ ტირილში იმდენი იტირეს, იმდენი, რომ კვდარს აუდგა ფეხი კურცხალმა. აატორტმანა, კოლოფი აიწია და თვალთან ფრიალობს. ჩაუდგა თვალი და დააცხვინკა თეიმურაზს და: — გვერდები მტკენიაო. ძმები რა იქნენაო? — ასე იყოო!

— იმათ არ ვუვარებივარო-ყეო! — ამ ქალებს კაჲ პატივი ცა-ყე, — იმ ქალს მე მოვიძებო! — დაკრა და წამოვიდა და მივიდა, დაიჭირა ი ქალი და თონეში ჩააგდო... ეს სანეფო სუ მოსპო, წამოიყვანა ქალი და დაბრუნდა. უთხრა-ყე ქალებს: — აპა, დებოო, რავა გირჩევნია-ყე, ისევე ქმრებთან წახვალთ თუ ჩემთანო? — ისევე ქმრებთანო! — მოყვა-ყე ძუძუიანამდე. ქალი იქ დატოვა, — მე მალე დავბრუნდებიო. ერთი თვის სავალიო არიო და ერთი თვის

საგზალი დაამზადეო! — გაუკეთა-ყე საჭმელი და გააცილა-ყე გრანიცას ისინი. მობრუნდა თავი ქალთან, ზეთუნახავთან, და ცხოვრება გაატარა.

87. სამი ძმა და სამი და

სამი ძმაკაცი იყვნენ. იმათა ყავდა სამი და. დაუდვა-ყე ანდერძი მამამ:

— ვინცა გთხოვოს-ყე, მიეცითო!.. — ეს ძმები სანადიროს არიან. დარჩა უნცროსი სახში. მოვიდა შუაღამისას, ერთი ღორმა დაიძახა კარზე: — შენი უფროსი და უნდა მომათხოვოო. — გამოგვარა და მიცა ამ ღამეში, აღარც ვინაობა კითხა და არც... მოვიდენ ძმები. — ვის მიეცი? — მე მამი ანდერძა არ გავტეხე და მივეცი, ვინცაღა იყო, რა ვიცი მეო? — დაიძახა კიდე მეორე ღამეს მიმინომ, გამოგვარა და მიცა მეორე და. მესამე ღამეს გეზელს ვეტყვით, ავი ფრინველია, იმას მისცა. ეს სამივე დები გაათხოვა-ყე იმან. დაუწყეს დავიდარობა ძმებმა — ვის მიეციო?

ერთ ღამეს ეწვია იმათ ერთი ტუმარი. სამფეხ ნიავქარზე ზის (ე. ი. ცხენზე), თვითონ ერთი მტკაველა არის, ასი მტკაველი წვერ-ულვაში აქ. შეიყვანეს სახში, პატივი ცეს. დაუგეს ლოგინი, ცხენი თავლაში დააბეს. წამოიხედა ამ უნცროსმა ძმამ და აფათურა ხელები და თავისი ქალი აღარსად ყავს. — კარში თუ გავიდა ფეხსალაგზეო... გამოჩხრიკა, დაანთო ცეცხლი. წახედა—ტუმარი აღარსად არი. საბანი გდია, წავიდა მთავლაში, ცხენი აღარსად არი. გააღვიძა ძმები:—ქალი მომტაცა ნამდვილად ი ტუმარმაო... გადიკიდა იარაღი და წავიდა ცხენით საძებრათ. გაიარა ერთ ადგილზე და ერთი თეთრი თხა დაუხვდა. აღარც იქით გაუშვა ამ თხამ, აღარც აქეთ. ესროლა თოფი და თოფიც გასკდა, ცხენიც მოკვდა. აიკიდა ეს იარაღი და მიდის, ერთი ციხე ნახა. მივიდა და, რომელიც უმალ გაათხუა, პირველში და, ის დაუხვდა, გეეხარა ერთობ. შეიწვია სახში. — სად დაგმალო შენო? ისეთი უბედური ქმარი მყავსო, რო.. — ისიც არის, მოდის და ცალ ბეჭზე დიდი წიფელი უდევს და ცალზე ნადირი. შევიდა და: — ადამის სული მეცემა საცაღა აქაო. — შენი შიშით ადამი რავა გაიცლის აქაო? — მაინც მითხარი ვინცაღა არისო! — შენი ცოლიძმები რო რომელიმე ნახო, რას უზამო?

— თუ უნცროსი იქნა, 3 სული მაქ და ერთსა ვაჩუქებო; თუ უმფროსები იქნენ — თავს მოვკრიო. — გამოიყვანა. რას შვრები, რა ამბავი არისო? — ერთი ტუმარი გვეწვია, ერთი ტკაველა კაცი და ასი ტკაველი წვერ-ულმაში ქონდა და სამფეხა ცხენზე იჯდაო. ქალი მომტაცა და არაფერი ვიცი, სად წავიდაო.

— წინა დღეს მიყავდა შენი ქალი იმასაო. — ჩვენ სამი ძმები ვართო, სამივე ქვისლები ვართო და შენი სიძეები ვართო. ქვეყნიერებაზე ჩვენი შიშით ვერა მიდის და იმას ჩქარი ცხენი ყავსო. ცოტა ბუზიოდნად დეევწიეთ და წყალივით წვერქვეშ უჯდა და შენი ცოლი თუ იყოო.. დაანებე თავიო და, საცა გირჩევნია, უკეთეს გითხოვთო.

— უსიკვდილოდ იმა თავს არ დავანებებო, თუ შემწეობას მომცემო, ერთი ცხენი და ერთი თოფი უნდა მაჩუქოო. გზაში მივდიოდი და დამიხვდა ერთი თეთრი თხაო. ვესროლე და თოფიც გასკდა და ცხენიც მოკვდაო.

— იმას ჩვენაც ბევრჯერ ვეჩხუბებითო, მარე ვერ დაუარეთო. — გამოგ-
ვარა, ცხენიც აჩუქა და თოფიც. — ჩემი ძმა არიო, შუა ალაგზე ნახავო და მო-
გეხმარებაო. — სანემდი მიაწვევდა, კიდე დაუხვდა თეთრი თხა. კიდე ისე მოხ-
და. არ ანებებს თეთრი თხა ი ქალთან წასვლას. მიაწია ამ მეორე სიძესთან. —
დაანებე თავიო! — არ შეიძლება, ერთი ცხენი და თოფი ძაჩუქეო! — აიღო და
აჩუქა. — წადი და სულ რო გრანიცას გაცდები, უნცროსი ძმა არი და ყოლი-
ფერ ამბავ გეტყვისო, — გაწია და წავიდა და კიდე დაუხვდა ი დაწყეული თხა.
თოფიც და ცხენიც დაიკარგა. მიაწია ი სიძესთან. გეეხარა და: — რას დაუსა-
ჯავხარო? — ასე არის ჩემი საქმეო! — დაანებე იმას თავიო! ჩვენ ფრთებიანი
ვართ და მაინც ვერ ვეწევეთ ი თეთრ თხასაო, ნუ ესვრიო. — აღარ უშვებს
ცხენს. კიდე მოუკლა ცხენი და უშალა — ნუ წახვალო, — არ შეიძლება უნდა
წავიდეო... დაკრა ხელი და წავიდა. ერთ ადგილზე გაიარა, გველი და ბაყაყი
და ხვლიკი იბრძვიან, ერთმანეთსა წყვეტენ. — გამარჯობა, — გაგიმარჯოსო, —
რაზე იბრძვით, რაზე წყვეტთო?—სამი ნიქვთი გვაქ გასაყოფი და ვერ გავიყაკით
ჩვენაო! — რა ნიქვთი გაყვეო? — ერთი მალული ქუდი, ჰაერის ქუდიო, მო-
ორე ქაღალდი იმითანა — გადიკითხავ და კვდარს გააცოცხლებსო! მესამე მათ-
რახი — საცა ინატრი, იქ წაგიღებსო! — აბა, მე გავყობო და თქვენ ჩეროში
შედით და დაგიძახებთ-ყეო და თითოეულებ გამოდითო! — დაუძახა გველს და
დაკრა და მოკლა, გადააგდო. დაკრა ხვლიკს და ისიც. ბაყაყიცა და ე ნიქვთები
ჩაიწყო, — და გაუდგა გზას. შეთხოვა ღმერც — საცა ჩემი ქალი არისო! —
მივიდა იქ და ერთი ტკაველა სანადიროს არი წასული და მარტვა ქალი დაუხვ-
და. შევიდა და მეესალმა: — რანაირად წამოგიყვანაო? — გვერც ვიწევეთ და
რაცაღა ბურთი ჩამიდვა პირშიო. — კითხე შენ მაგასაო; — აწ ცხენი რასი
ყავს მაგითანე ფრინველი, ან რანაირად არის მისი საქმეო? — უთხრა: — რა
ხარ მაგისანაო სულდგმულიო, ვერც ფრინველი მეგეწევაო... — რახან გიკი-
თხავს, მე გეტყვიო, ერთი კლდე არის და ყოველ ცისმარა დღეს გაიშლება ასეო.
ი კლდე შობავს ჭარმაგებსაო. ამასო ცხრა მგელი უდგია ძირსაო; რავარც გად-
მოაგდებს თუ არა, ის მგლები ჭამენ იმასაო. მეო წავედი და ვიყიდეო ცხვა-
რიო. როდესაც ჭარმაგს გადმოაგდესო, ცხვარი გადაუგდე მგლებს და ჭარმაგი
გავიხვიე კალთაშიო და ერთი ფეხი უჩთაო და მომეწია გელი და ერთი ფეხი
მიაჭამაო თითო კვიცსაო. — ეს სუყველა ეყურება, მალული ქუდი ახურავს ამ
კაცს და კვერ დაინახვენ... წავიდა ი კაცი და ი კაცმაც იყიდა ცხვარი; საცა რომ
კლდე ასწავლა, მივიდა და ასე მოიქცა. დასვა თუ არა დედამიწაზე, შეიქნა ერ-
თი წლის. გადუსვა ხელი და შეიქნა ორი წლის, დაადგა იარაღი და — სამი
წლის, შეუჭირა ლები და — ოთხი წლის. შეჯდა— ხუთი წლის. მობრუნდა
ცოლთან, — შემომიჯედიო! გაიგნო ი ტკაველამ და გამეეკიდა-ყე. ამ
კვიცმა დაუძახა ძმას: — შენ სამფეხი ხარ და მე ოთხფეხი და რავა მომეწე-
ვიო? — მოიყვანა სახში ქალი, გეეხარა-ყე ძმებს. ი ბიჭმა თქვა: — ი თეთრი
თხა რო მაწვალებდა, ერთი თუ ის არ გამოვცადე, არ შეიძლებაო! — წამოვი-
და ამ თხათან. მეექცა იმი სახლისაკენ. და გეექანება ე თხა და დაიხურავს მა-
ლულ ქუდს,—აღარსა არი. ასე შევიდა სახში, თხის სახში, დაჩერდა, კიდე
არაფერია! დედას უთხრა: — მე რომ ქმარი გამეხარებოდა და ერთ კაცს შეეხ-
ვდი და ქალი მოტაცა სხვამაო, სამჯერ თოფი გაუხეთქე და სამჯერ ცხენი მოუ-
კალიო და კიდე არ დაიშალაო. — გაიხედა და ქალია ე თხა, მზეთუნახავი. —
დღეს დავდევ და აქ შემომიძღვაო. მომშივდაო და ჭამს, მარა ქრება. — აქ რა

ამბავია, რანაირად ქრებაო? — მოიხედა და ქუდი შეკრა თვალი და ისევ დაიხურა.

— გამოჩდიო, — ქალათ შეგერთოო! — გამოშთა და შეერთო ქალათ. დედამ უთხრა: — შენაო, ჩვენაო ცხრა დღის ძილი გვიჩვევიაო, თუ მოგეწყინოსო, — კლიტე მიცა, — ეს თერთმეტი დუქანი არიო და რაც გინდა, სუყველაფერიო. ეს ერთი კლიტე, არამცდაარამც ის ოთახი არ გააღოო! — დაიძინეს და გააღო ყველა. — აი, ოთახში რაცაღა უნდა ვნახოო! — გააღო და შეიხედა. მითანე შავი კინი კაცი აბია — თვრამეტი ჯაჭვი აქ შემოხვეული, შეგეშინება. — თუ ადამიანი იყო, ცხრა წელიწადი ვარ დაბმულიო და არ დამინახავს ცი სინათლე და ცხრა ჯამი წყალი დამალევიეო! — დაალევია და გაფურთხა და ყველა დაგლიჯა ჯაჭვები. მოკლა ე ბიჭი. მოკრა ხელი და თხი ტანისამოსიანი ქალი წაიყვანა. მოიყვანა. ახლა გეეღვიძა სიდედრს. ამოიღო ეს ნიქვთები და საკითხავი რო იყო, გადიკითხა და გაცოცხლდა სიძე. — მე რომ გითხარიო, რაზე გააღეო? შენთან რომ დაწვა ჩემი შვილიო, მოტყდა იმას ძალაო, ჩემი შვილი რო გატყდაო! წავიდა კიდე იმათან. ინატრა მათრახით. მიაწია ერთ სოფელში და მწყემსი იმღერის. — რა გამღერებს? — ჩვენი ხემწიფის შვილი იყო ცხრა წელიწადს დაკარგული და ახლა ქალი მოიყვანა და ხვალო ქორწილი იქნებაო, ბაღი გაიშლებაო. მოვიდა იმათან და ე ქალი ცალკე დაუმწყვდევია. როდესაც რომ გააღეს კარები, მალული ქუდით შევიდა ცოლთან. მიუდგა გვერცა და მოიხადა, — ვინ ხარო? — შენ გამოკითხე, სული სადა აქსო და რა ჯანი აქო და რათი გაძლო ცხრა წელიწადსო უსმელ-უუმელადო? — შემოვიდა ე რკინი კაცი და: — მე კი მებრძვი, მარა რამ გაგაძლებია ცხრა წელიწადი უუმელ-უსმელიო? — ვერცა რას შენ დამაკლებ და ვერც ვინცა გკითხავსო. ერთი ირემი მყავსო და ცხრა მენავრე ყავანო. ერთი ნავარი (ლუკმა თივა) რო შეაკლდეს ერთ კაცს შეუამსო და ყუთი აქ და ი ყუთშიდა კვერცხი არიო და ი კვერცხი შიგნით სამი ბუზიო არიო. ერთშია სული, მეორეში ჯანი, მესამეში ზაფთიო. რას გიზამო? — წამოვიდა ე ბიჭი და ცხრა კაცი არიან და აქა წვდებაყე ბანალი. — გამარჯობა, — გაგიმარჯოსო. — ე ბალნები რა ამბავი არიო?— მუდმივ ვაძლევთ და არა გვცალიაო. — ესროლა და მოკლა ირემი, დაპარსა თავები. გააპო ეს ირემი და გამოაღო ყუთი. სული რომ იყო, შაუპირა პატარუკა ძაფუკა. გამეეკიდა ე ავანტყოფი კინი კაცი და გაუპირებს ე ბიჭი ამ ძაფუკას და სულ მოკლდება. მოკლა ბოლოს. მივიდა სახში და სამი დღე და ღამე იქორწილეს...

88. მ ე კ ა ლ მ ა ხ ე

მეკალმახე იყო ერთი და თევზებ იჭირევდა ზღვი პირზე. გაიარეს აქიდგან, ვაჭრები ზღვა გაღმა მიდიან. მეკალმახემ უთხრა: — მიაფხანაგეთო!

— რანაირად, ჩვენ ვაჭრები ვართ, შენ მეთევზეო. იღბალი ერთი იყოსო. მე აქ ვივაჭრებო, თქვენ იქო! — დაფიქრდა ერთი: — და ესე შეხდომა არიო, ამან იწარმოოს, ჩვენ იქ ვიწარმოოთ. ამოიღო და აჩვენა ფული. ესა მთავინ მიმაქ და მოგებას რასაც ღმერთი მომცემს, ნახევარი შენო. — დაკრეს და წავიდენ, ზღვაგაღმა. — ამ დროს გამოვიელითო. — ისიც იმ კალმახებს იჭირავს და ზოგს ყიდის. თევზიდგან იშოვნა ერთი ოქრო თავი. დალევს თუ არა იქიდ-

გან, გაიმსება ოქრო და ვერცხლით და ინაცვლებს ველზე. დააყენა რაოდენიმე კუპკაა ოქრო-ვერცხლი. დაახვია ნაბადი და შეინახა. საცა იყო, გამოიარეს იმათაც. უვაჭრია-ყე. გამოიტანეს პური და ღვინო და მიიწვიეს ეს აფხანაგი.— რაც რომ ჩვენ ვიშრომეთ, გიანგარიშებთო. — ამოიღეს, დათვალეს ფული. — ეს რომ გაჩვენეიო, ეს მოგება, და ნახევარი შენ, ნახევარი მეო. მივიდა ამან და გადახადა ოქრო-ვერცხლს; ოქრო თასიც მოიტანა. — ნახევარი მე, ნახევარი თქვენო და, თუ საწყენათ არ იქნება, ოქრო თასი დამიტოვეთო!

— ეგ ოქრო და ვერცხლიც შენ გქონდესო და თასიც შენ გქონდესო და ამასაც გინაწილებთო.—არა ქნა იმან. აიღო და ოქრო-ვერცხლიც და ფულიც მიცა, ოღონდაც თასი მეო.—წავიდენ. ეს ოქრო თასი წამოიღო ამ მეკალმახემ და საცა მივა, დალევს, გაივსება ოქრო-ვერცხლი და კრეფს, ქვე კი არ გადაყრის. იარა და ერთ მინდორში მივიდა და ერთი კოშკი არის, მაღალი ციხე, იმაშიდ არიან სამი მზეთუნახავები. ცხრა პირი ჯარი არტყია ციხეს გურგლივ; იმათი ყარაულები არიან... ხან დილას დაიწონებიან, ხან საღამოს ე ზეთუნახავები. ხემწიფე წონის-ყე. იმათ სიახლოვეს წყარო არის. მოვიდა და სადილი ჭამა ამ ბიჭმა მეკალმახემ. ისინი გადმოჩერებიან და გაავლებს ოქრო-ვერცხლს, ეინაცვლის ველზე. გამოუშვეს აბრეშუმის ბაწარი იმათ, დაუძახეს—ჩაიბი მხრებში და ამოდიო! — ასწიეს და თავიანთ თასიანებ ქვე აიყვანეს. — რაში გაყიდი მაგასაო? — არაფერში; ამაღამ რომელიც გამოვირჩიოთ, იმ სამ ღამესდა გაჩუქებთო. — ამოირჩია ერთი და ე თასიც იმას აჩუქა. გამოუშვეს და აბრეშუმი ბაწრით გადაფრინდა, წავიდა. შემძიმდა ე ქალი; ცოტა მეტი მოვიდა წონაზე. რა გამოიარა კაჲ ხანმა, დაიმალა ე მუცელი. ე ბიჭი ისე დაღარიბდა, სამ თუმნად დგას ერთ სომეხთან და წყალს უზიდავს ფეხშველა. ჩამოიყვანა თავისი ქალი და: — უნამუსობა შეგერქვა და წაიყვანეთ ტყეში და დაკალითო, ჩემგან დასაკარგვიაო, უთხრა ვეზირებს. წამოიყვანეს ვეზირებმა. ერთი პატარუკა ლეკვუნა გამოუყვა-ყე იმათ. უთხრა-ყე ი ვეზირებს: — რას გამორბით ჩემ დაკვლასო? გამაშიშვლეთ და ფინია დაკალით და ამოსვარეთ ტანისამოსი სისხლში და მიიტანეთო. მე გამიშვითო. — გაუშვეს ე ქალი. ე თასი ჯიბაში უდევს. გაცთა ამ ტყეს და ერთი წყემსი ნახა. ძველი ტანისამოსი აცვია.— თუ კაცი ხარ, ტანისამოსი მომეცი და ოქრო-ვერცხლს გაჩუქებო. ჩაიცვა, კაცურებ არის. შეიმარჯვა ამ ფულებით ხელი, შეიკაზმა კაცურებ, სუყოლაფრითა. დაკრა და მივიდა ერთ ბაზარში. მივიდა მედუქნესთან. მიუკაკუნა. — მობძანდიო! — თუ კაცი ხარ, ვაბშამი მაჭამეო. დაჯდა და სვამს ამ ღვინოს და ინაცვლის ადგილს. ყურობს მედუქნე. რიღმა მოაწია. — ტუმარო, აწ მოისვენე, ან წადიო, თორემ მე სხვის ვალით ვაჭრობ და თუ ახლა არ ვივაჭრე, დღისით ვიმალებიო! — შენ მისი მჯავრი ნუ გაქვს. მე გავისტუმრებ ამათაო! — გეეხარა ამ კაცს და შემოცვინდენ მევალეები და: — წაიღეთ ე ოქრო-ვერცხლიო! მოაშორა ე მევალეები სუ ამ კაცს. — ამეებში ალაგები შეიყიდეო და სახლები გავაკეთოთო! — შეიყიდა ამან და დაიწყო სახლები შენება. გააკეთა შვენიერი სასახლეები. მედუქნეს კაცი გონია ეს. ეს ვინცალამ თასი აჩუქა, მუშაობს; აუვლის და ჩაუვლის, მზეთუნახავი ქვე ცნობს. დაუძახა. — მოჯამაგირედ არ დადგებიო? — კიო! — მეო ას მანეთს მოგცემო, გადააგდე ე ჩაფიო! — გადაგდო და შევიდა ამათან. სომეხი მოდის დავიდარობით, — ჩაფი ქვე გაუტეხიაო... — ემსახურება ამ ქალს ე კაცი. გააკეთეს სახლები. — შენი ჭირიმე, ერთი ხემწიფე დავიპატიჟოთო, — მამისას ამბობს ე ქალი. — იმა პატიცემა უნ-

დაო... — დარდი ნუ გაქო... მოიწვია ხემწიფე და დასხდენ. მუსაიფობენ. მოიტანა ე თასი და ალევიებს და ინაცვლიან ოქრო-ვერცხლს. — ვინ ჩაუგდოო?— ფიქრობს მოჯამაგირე — მეკალმახე — თასზე ხემწიფემ უთხრა: — არ გაყიდიო? — შენ ხემწიფე ხარო და დილას გაჩუქებო. ქვე ცდის მამას. ვინ იფიქრებს?

გაიყვანეს, ჩააცვეს და დაწერეს ჯვარი. დაიწყეს ხელახლივ ქორწილი, ცხრა დღე და ღამე ქორწილი ქონდა-ყე.

80. როსტომი

ბეჟანი იყო გივიშვილი. თქვა, რომაო, მამას ეუბნებოდა: — ერთი ცხენი მათხოვე, რომა წავიდე და დევსა შევებაო! — არ უნდოდა რომ შებმოდეს და წასულიყვეს. ბეჟანი იტყოდა ტირილითაო, ვამე, არა მყავს ცხენიო, — მამაო, შენი ცხენითა დევსა შევებმიო. — შვილო, შენ რათ გინდა ჩემი ცხენიო, განა შენ არა გყავსო? — შენი ცხენი მიტომ მინდაო, ბევრთაგან გამოცდილიაო... მამა, მომეციო შენი ხრმალიო, წავალ და დევსა შევებმიო.

— ჩემი ხრმალი შენ რათ გინდა, გინა შენი არა გაქაო?

— შენი ხრმალი მიტომ მინდაო, წამწამს გააქრობს ერთსაო და გამოცდილიაო... მამაო, მომეცი შენი ჯაჭვიო, წავალ და დევსა შევებმიო.

— ჩემი ჯაჭვი მიტომ მინდაო, ჯაჭვი ქამანდარი არისაო და გამოცემულება აქაო.

— გაშალეო, შვილო, და აწ მოგიწაფავ ხელსაო. გათხოვებო იარაღებსაო და მოწყობილობასაო ჩემსაო. წასვლი დღესაო წინ დაგიხვდება ი შენ ბედნიერ დღესაო. ვილოცავ, შენს გამარჯვებას შევეხვეწები ღმერთსაო! — წავიდა, გაიტუმრა, მიცა თავისი იარაღობა. წაიკიდნენ დიდებულები. ლახტებს ურტყევდენ ერთმანეთსაო. დევსა რომ საკრავი მოხვდაო, მალე წაუვიდა ფერიო. დაცა ბეჟი, მოტეხა, შეაქნევია ღრიალი. იმას კაცი გაატანა. წადიო და გივის ახარეო, რომაო, დღესო გამარჯვება ჩვენიო და სამახარობლოს აიღეფო. — წავიდა, გივის ახარა. — დღესაო გივის ცხენმა იომაო, ზედ იჯდა ბეჟან მგელიო, გამარჯვება და სამახარებლო ჩვენიო. — სამახარებლო კი ნუ გიჭირსაო, თუ რომ ბეჟან მოდის მთელიო! — ახარა და დაამთავრა და მოვიდა მრთელი...

90. ბ ა თ რ ი ბ ე ბ ი

ერთი საწყალი კაცი იყო ჩემსავით. ქალი ყავდა ორკეცათ. წამოუარა ძეობა და უთხრა კაცს: — წადიო და ბებია მოიყვანეო! მოიყვანა ბებია. ი კაცი ყურობს. — ათი დაშობა. — ათი კი არა, ერთის შენახვი თავი არ მაქო, — და წავიდა ამ შუაღამისას. დილამდისინ ოცზე შესრულდენ ი ვაჟიშვილები. ზოვი სად გაზარდა და სუყველა დაიზარდენ, ოცივე.. უნცროსის მეტი ყველა საჯამაგიროს არიან. დედას უთხრა: — ძმები მყოლიანო მეო? — ოცი გყავანო. — წავიდა და სუყველას მოუყარა თავი, ი ძმებს. ზოგსა ფული მოაქს, ზოგს ხარი, ზოგს ძროხა, ზოგს ბატი. ერთი მდიდარი გლეხი შეიქნეს ისინი. სუყველა უცოლოები იყვნენ. ამ უნცროსმა უთხრა: — მამაჩემი სად არისო? — რა ვი-

ციო, ათი ვაჟიშვილი რომ დავშობე, წავიდა და ოცი თუ ხართ, არ იცისო, მოძულდა თავიო. — წავიდა ე უნცროსი ბათრიბეგი, — მე მოვძებნი, საცალა არისო! — გავიდა ერთ ადგილზე და ორი გასაყარი გზები არი ტყეში. გაუკეთებია რაღაცა ფაცხა და არი შიგა. გამვლელი და გამომვლელი ზოგი რას აძლევს და მიათრევს ცხოვრებას. მივიდა ხვირჯინებით ე ბათრიბეგი ი მამასთან. — მამობილო, ამაღამ უნდა მიტუმროო.

— რა ვქნა, მარა ერთი საწყალი ვარო. შე რო პატიცემა გეკადრება, როგორ გცეო? — არ მინდაო შენი პატიცემა, ყოლიფერი მრავალი მაქო! — დასხდენ და გაშალა ე ხვირჯინი. ჭამეს ვახშამი. — შენ რა გინდა ამ ტყეში მამობილოო? — რახან გიკითხავს, გეტყვიო. ერთი საწყალი კაცი ვიყავი მეო. ქალი მყავდა ძეობით ავათ; წავედი და ბებია მოვგვარეო. ათი ვაჟი დამეწერაო, დავკარი და წამოვედი და ქალი დარჩა-მოკვდა, არ ვიციო. ათსა კი არა, ერთსა ვერ გავზდიოდიო... შენაო მამა ხარ ჩემი და უნდა წამოხვიდეო, ათი კი არა, ოცი ვართაო და სუყველა დავიზარდენითო! — რას მატყუებო? შენითანე შვილის ღირსი სადა ვარო? — ნამდვილ ასეაო! — არ მიყვება კაცი. გაუკრა ხელები და ზე შეაჯდინა ამ ცხენზე. მოიყვანა და შეხედა სასახლეს — ოცს კაცს ბევრი ძალა აქ. ვერ იცნო ვერაფერი. შეიყვანეს და გაბაუეს და ჩააცვეს. კაცს დაამგვანეს. — მამაო, რა ვართ, ჩვენა ვართ ოცი კაცი, ისე ერთი კაცის დაბადებული უნდა შეგვრთოო, ერთის შვილებიო... დამიკერეთ რკინი ქალამნები და ერთი რკინი ჯოხი და, სანემდი არ გამიცვდება, ვივლიო — წამოვიდა და ჯერ ჩასავლეთისკენ წავიდა. ზოგსა ათი ყავს, ზოგსა ჩვიდმეტი, ანდა კიდე ცხრამეტი. ოციანი არ გაჩნდა. დაკრა და ამოსავლეთი მზიკენ წავიდა. უთხრეს: — ამოსავლეთში ერთსა ხემწიფესა ყავსო ოციო, მარა არ მოგცემსო, საწყალი კაცი ხარო.

— მე კი ავუჩენ-ყე შვილებს და გინდა მიცენ-ყე, გინდა არაო! — წავიდა და ეწვია ხემწიფეს. შევიდა და უთხრა: — ასე არისო. ოცი მყავსო. — გამოვიდენ ქალები და: — ესენი არიანო! — არ შეიძლება რომ მომცეო? ოცი მყავსო მეცაო. თუ შეძლებ ჩემ სამსახურს — მოგცემო. რაზედაც ეს მინდორი არიო, შემოარტყამ რკინი გალავანს და, რაც ნადირია, შერეკავ, დაგილოცო ე შვილებიო. წამოიღო ეს ანაწერი. დაუწერა და დაუბეჭდა ნეფემა — მაინც ვერ შეძლებს. მოვიდა სახში, — უთხრა-ყე: — კია, მარა მძიმე სამსახური მითხრაო. ჩაიხედე და გაიგებთო ამაშიო. — ჩაიხედა ბათრიბეგმა და: — ადვილი არიო. — მოიტანა ერთი ტომარა კაკალი და მოიკიდა ზურგზე.

— წადი და სად რომ დაგისახელოს, ე კაკალი აბნიე და გურგლივ იმ მინდორს შემოარტყიო, შემოაბნიეო. წამოიღო, ზურგზე კიდია, — რა იციანო?..— მოვიდა ი კაციო და ზურგზე კიდიაო! — აბა, სადანა გინდა რომ კარები იყოსო? — დაუსახელა იმანაც. წავიდა, ნეფემ თვითონ მოასვენა და სიცილი უტყდის ხალხს... დაკრა და წავიდა. შემოიარა გურგლივ ღამე. მივიდა და დეემხვა და დაწვა და დაიძინა. დილას გათენდა და ისეთი გალავანია და სუყველა ნადირი იმაში დახტის. დაინახა ნეფემ. — ნეფე ისა ყოფილაო. — იფიქრა. გამოვიდენ და ამ კაცს აღვიძებენ, — მოდი სახში, მობრძანდი სადილათაო, — მე არ შემიძლია, დაღალული ვარ, რა შრომა გავწიეო.. აწიეს და წამოიყვანეს სახში. — მოიმზადე ქალიშვილებიო. — ერთი თვი ვადა უნდა მომცეო, ტანფეხი უნდა შევკერეო. მიცა. მოვიდა სახშიდ. სუყოლიფერით არი მზად საქმე, ტანფეხი. — კარგიო, მამაო, და ყველა მოეწყობაო. — გაგზავნა ე ძმები, —

თვითონ არ წავიდა, — სახლი ისე არ დავტოვოთო და ქორწილი გვაქო! ჩემი ქალი თქვენ წამოიყვანეთო, უნცროსი ჩემი საკუთვნელიო, და უთხრა-უე: — თქვენო, აქიდან რომ გაივლით, არაფერს შეხვდებითო. იქიდგან რო გამოივლით ბაღებში და ვაშლებს არ წაწვადოთო! გამოივლით მითანე სიცივეში, ხელებ წაყინავს და ცეცხლს დაინახავთ და არ მიხვდეთო. იმას გამოცდებით და მითანე სიცხე იქნება, გორვას დაიწყებთო. ერთი წამოხურვილი სახლი არისო და არ მიუხვიოთ ჩდილშიო! — წავიდნენ ე ძმები. წამოიყვანეს-უე ე ქალები. გამოიარეს ი გასაცდელი, რაც რომ დაბარა-უე, — სიცხი მეტი. დადგა-უე სიცხე უბედური, — მიუხვიოთ აი ჩდილშიო.—არაო, ანდერძსა ნუ გავტეხთო. — არ შეიძლება, რა იქნება, გავგრილდეთო. — მიუხვიეს და შეკრიფეს შიგნი ცხენი და კაცი. აცადეს და გაჩთა გველეშაპი და მოიმწყვდია-უე შიგნით გალავანივით.. დაწყდა-უე წენები შიშით. უთხრა-უე გველეშაპმა: — ბათრიბეგს თუ მომგვრით, გაგიშვებო, თუ არა და ყველას გადაგყლაპაო. — წამოდგა ცოლი მისი.—მე მოგგვრიო და ამ ხალხის საცოდაობა ნუ დაგვედებაო!-- გამოუშვა ე ხალხი და მოდიან წენმოგლეჯილი, არა აქვთ სიბღერის თავი. გაიგნო ბიშმა და გეეგება-უე და რომ გითხარითო?! მე წავალო, თქვენი ჭირი წამიღია-უეო... მოვიდნენ და გადიხადენ ქორწილი ცოლს გამეეთხოვა და წავიდა ე უნცროსი. ცოლმა უთხრა: — კლავი წაიღე ჩემიო. — მოიჭრა და წავიდა. მივიდა ამ გველეშაპთან. — რაჟ გინდა ჩემი მოსვლაო. შემჭამო? ვერ გაგაძღებო. — სამჭინო არიო, არც შეგჭამო და არც არაფერიო. მოდი და დამაჯედი თავზე ყურებშუა და ჩამკიდე ხელიო. — ჩაკიდა ყურებში და ააყიყლავა და ცაში შეახედვია მაღლა. — გაიხედ-გამოიხედა, — რა ამბავი არისო? — გაიხედა და ცალგნი მზე დაინახა, ცალგნი მთვარე და ცალგნი მთვარესავით ანათებს რაცაღა არი. — ის არისო მზეთუნახავიო. აი ის უნდა მომგვარო ცოლად და წენზევით ვერცხლათ და წენქვეით ოქროთ გადვიქცევიო. — ერთი ხრმალი მომეცეო, ერთი კაჟ საჯდომი ოთხფეხიო. — შეჯდა და გადიკიდა და წავიდა. გაიარა ერთი ადგილზე და ერთი კაცი კურდღლებს გადაახტება და იჭირავს. — მიაფხანაკეთო! — მამაჩემი ორჯერ გადახტომაზე იჭირავდაო, კაციო. — გაიარა და მეორე ადგილზე ბურჭყულებს უგდებს-უე კაცი ყურს და ერთის მარტო არ მესმისო. — მამიჩემის წელზე რომ მიხვალ, გაიგნებო. მიაფხანაგეო! ერთი კაცი არი მაღლა გორზე, კვერცხი უდგია, ესვრის თოფს, ერთსა იქით დააცილებ, ერთსა აქით, მესამეზე შვაზე ფეთხს. შეგვიაფხანაგდი შენცო! — მამაჩემი ერთ სროლაზე ფეთხდაო. — მამაშენის ზომაზე რომ მიხვალ, მაშინ კიო.

გამოიარა და ერთი კაცი მოწრუპავს ზღვას და დააშრობს და ქვიძირებშა რჩება. — მამაჩემი ქვი ძირებშიც ქვე წრუპევდაო! — მამაშენის ზომაზე შენც ხსეო. — ერთი კაცი ხნავს. გახნავს, მობრუნდება და ულაპავს ბელტებს. -- გვიაფხანიკეთო! — დიაღაც კიო, მარა მამაჩემი სულ ულაპავდაო. — მამიშენის ზომაზე შენცაო... ერთი კაციაა და ხეს უკიდებს ცეცხლს. ღრუ ხეს ქალათა ხმარობს. წაიყვანა-უე ესენი, წავიდა, მივიდა ი ნეფეთან. — მობრძანდით, ტუმრებოო! — მიიწვია-უე. — რასთვინ მოსულხართო? — კითხა -უე. — ე ქალიშვილი უნდა მოგვცეო!—დიდი სიამოვნებითო. დილას წაიყვანეო! — ახლა შებრძანდითო. შეიყვანა და რკინი ოთახია გურგლივ დაუკლიტა-უე შიგნით.

— არიქა, ზღვი შრობელო, გვიშველე! — და გადმოასხამს პირიდან წყალს. — არიქა, ბელტი ულაპაიო! — და მიწა გაშთება ამ წყალში. გაათენეს ისე, გაგრილდენ. გადარჩა ე ხალხი. დილას უთხრა-უე: — გამოფალე-უე ოთა-

ტიო! — შიგნით ჩონგურს უკვრენ, ქვე თამაშობენ, — პირობას ვეღარ წაუვალო. — მოგვეცი ქალიო. — არაო! ერთი ქალი მყავს და, ვინც სირბილში აჯობებთ, მოგცემთო! — კურდღლის მჭერი ვის არ დაეწევა? ქალმა ორი ბოთლი წამოიღო — ერთი არაყი და ერთი წყალი. ის წყალსა სომს ქალი. დეეძინა ამ კაცს და მოუსვა ახლა ამ ქალმა, ის ქვე მიატოვა. ბურჭყულებს რომ ყურს უგდებს, წამოვარდა: — ქალი მიდისო, — გაიგნო. მოუსვა მეთოფემ ხელი და, ბოთლი რო გულზე დევს მძინარეს, მოხვდა და გაიწკრიალა და გაიღვიძა. — მოგვეცი ახლა ქალიო! — მოგცემ-ყეო, ჰაბუკები მყავან და ჰამაში თუ აჯობებთ, მოგცემთო. ბელტიყლაპია აქაა! ზღვიშრობელი ჩაფებით დალევს ღვინოს. დაიწყეს და წამოუსვა ბელტიყლაპიამ და სუ გაათავა და საცა მოხდიან ჭურებს, ესა სვამს... — ისევე დაულოცავ-ყე, გაუშვებაო! — დაულოცა-ყე და გამოუშვა-ყე და შვიდი ჯორკიდებული ოქრო მიცა-ყე ბზითვად. წამოვიდა და საცა ადგილზე აფხანაგები ყავდენ, თითო ჯორკიდებული დაუტოვა. წამოვიდა თვითონ. მოაწია და დაინახა ი გველეშაპმა. რავაც დაინახა, წენქვეით ვერცხლათ და წენზეით ოქროთ გადაიქცა და დაუთვალოვდა. ღთისგან ბძანება იყო. მოიყვანა და: — ჩაიბარე შენი ქალი ახლაო! — ზეთუნახავმა უთხრა: — მაგასთან ნუ დამტოვებ და წყალში ჩამაგდეო... — ისე რავა გავბრიყვდები, იმი ხელში ჩაგაგდოო?!... იმასა ქვე ცხვენიაო და ხელი მოკიდეო, — უთხრა გველეშაპს. ამოიღო კლავი ცოლისა და მიცა ხელში და ბაწრით მიაბა ხეზე... ესენი სახში წამოვიდენ.

მოიყვანა სახში და ქორწილი ცხრა დღე და ღამე ქორწილი ქონდა-ყე.

91. გოლიათი კაცი

ერთ კაცს ღვინო მიქონდა კამბეჩი ურმით. მიაწია ერთ ალაგას, ასავალში. იმას მიეწია ერთი ცხენოსანი. — გამარჯობა შენიო! — გაგიმარჯოსო. მარა რაღა გამარჯობა, ამ აღმართში კამბეჩები ვერ ადიან და მოსაკლები არ არიანო.— მე ავიტანო მაგ ტვირთსო და მარტო ერთი დამალევეიო, ნდობას არ მოვიკლავო. — შენ კაი კაცო, რაც შეიძლო, ის დალიეო! — წავიდა და შეკეცილი მათრახით შეწვადა ხელს, ისე გაათრია. — აბა დამალევეიო! — მიირთვი, რამდენი გერჩიოსო! — დეეყუდა და ისე უცებ გაცალა ი რუმბი და კიდე თხოვს, დამალევეიო. — რაღა დაგალევეიო, რაცაღა იყო, ქვე გაცალეო... ახლა მეორე ცხენოსანი მივიდა. — რასა ცილობო, რა ამბავი არისო? — ღვინო მწყურია და არ მალევიებსო. — რაცაღა იყო, ქვე გაცალა და რაღა დავალევიოო. ბატონთან ნადელი მიმქონდაო. — რაცაღა ყოფილა, ქვე დაგილევია, ამ კაცმა რაღა ქნასო? — ვერც შენა ყოფილხარ კაი მოსამართლეო! — ასწია ამ ცხენიან კაცს და ჩექმაში ჩაისო. ახლა ეს კამბეჩიც ასწია და მეორე ჩექმაში ჩაისო. ჩაიყვანა-ყე სახში. მივიდა სახშიდ და გადმოჯდა ცხენიდან. შევიდა და დედაკაცს უთხრა: — ფეხს გამხადეო! — გახადა ი დედაკაცმა. ცალკენ ცხენიანი კაცი გაგორდა, ცალკენ ურმიანი კაცები, — არ გაგიკვირდა ჩემი ღონე, რომ მოვიყვანე ჩექმითაო? — მეო მამაჩემთან შენი ღონე არ გამიკვირდებაო. — სიმამრის უთხრა. დაკრა და წავიდა, — საცაღაა ი შენი სიმამრი, უნდა მოვძებნოო.

გავიდა ერთ მინდორში და წყალი მიდის. ინაში დგას ერთი კაცი და ნიჩა-

ბი უკირავს და ნიჩბით რწყავს ყანუკაებს. ი ნიჩბით წყალმა ე ცხენოსანი კაცი წაიღო, გაიხედა და დავარჩვეო და გაიჩერა ნიჩაბი და: — დაშრება და გამოვაო. მივიდა და: გამარჯობაო! — უთხრა წყლის მრწყავს! — გაგიმარჯოს, შვილო! — საიდგან მოხვალო? — ისეა ჩემი საქმეო, — ისა ჩემი შვილი ყოფილაო, დაჯედი და შენი სიდედრი ამოვა და სადილს მომიტანსო, ვჭამოთ და სახში წახვალთ და ამეღამ გაგეხარება ჩვენი ნახვაო!—მოიხედეს და მოდის დედეული, გვრიჭა უკირავს ხელში და ერთი კამბეჩი მოუხარშავს და მოაქვს ქმრითვინ. — სიძეაო! სახში წაიყვანეო! — მოიხსნა გიდელი. — სამად გაჩეხე სამი კამბეჩიო. — მე მაგდენს ვერ შევჭამო. — აბა შენი ხელით მოკერიო! — აიღო, ერთი ასო იქნებოდა, და მოკრიდა. ე დანარჩომი ისე დაბიკეს ცოლმა და ქმარმა, ძვალი აღარ დატოვეს. — წაიყვანეო სახლშიო... გამოუძღვა, ცარიელი გიდელი ეკიდა და ცხენს ვეღარ მიდევს ე კაცი. აწია და ი გიდელში ჩასვა ი ცხენიანი. ერთი ტყეა გასავლელი და რომ მიაწია ტყეთან, — ესენი კეთილს არ დამართვენო, და შეეწვადინა და იქ შეიკავა ხეზე თავი. ვერ გაიგნო ქალმა და ელაპარაკება, აღარაა კაცი. — ნამდვილათ დავკარგეო და გამოტრიალდა იმ საათზე. შეხედა და სიძე დაინახა. — რა გინდოდაო?

—გარედ გადასვლა მინდოდაო და ვერ გითხარიო! — ჩაიჯდინა და წაიყვანა. ჩაიყვანა და იმას ერთი კაცი სხვა მოყვარე ყოლია.

— ეს სიძეაო! — ისინი ცალკენ ოთახში შევიდენ. ეს დარჩა. შემოჟდა ცხენზე და გამოიპარა. შორს გაიარა. გამოვიდენ და: — გადიეო და მიეწიეო,— ქალი ეუბნება. გავიდა და ერთი კაცი ცერცვსა თესავს და ორსა რომ ქვე გადაბნევს, მესამე პირში ჩაიყრის.

— დევი მომდევსო და დამალეო. მოდი და კალთაში ჩაიწვინა. ქვე არ თესავს, მიაყოლა ი ცხენიანი კაცი და არ გადაყლაპა!... მოვიდა ე კაცი. — ცხენიან ხომ არ გაუვლიაო? — არაო! გაბრუნდა უკან. — ი საწყალი კაცი ხომ არ გადაგიყლაპავსო? — ჩაიწვადა ხელი და კბილი ქონია ამოტეხილი და იქ ჩარჩენილა. ამოიყვანა და: — წადი, შვილოო. გამოიარა ერთი სამი საჟენი დამოდი, ვკითხავ — რამ მოტეხა იმდენზე კბილიო? — რა დაგადგა იმდენი ძალა, რომ მოგტყდაო? — თორმეტი კაცი ვიყვენით და საქურდალად წავედით ღამეო! გაავდარდა და ბნელი იყოო. ერთი ადამიანის თავის კვახი ვნახეთ და ამ ავდარში ამ თორმეტმა ამ კვახში შევიწვიმეთო. ერთი მეცხვარეს ცხვრები ყავანო და მგელები და წვინილიაო. სირბილში ფეხში მოვხვდითო და გაბრაზებით დაგვკრა ფეხი და მაშინ მოვიტეხეო. მოვიდა სახში ე კაცი, — რა ქენი, რა ამბები მოინახეო? — ასე იყო, ასეო,.. იმათან შენი ღონე რათ გამიკვირდებაო! მეცხვარე დედიჩემის ძმა არისო. ამითანე ღონიერი ბიძები მყავდაო და შენი რას გამიკვირდებაო?...

92. ჯაფარა

ერთი გელა იყო დედეშქელიანი, თავადი. წამოვიდა ის გელა და იქინა მონასტერი იყო და ჩავიდა ონშიდ. სოლომონ მეფე იყო და ჯაფარა ყავდა მიღებული და ტყვეები დატაცა. წამოიყვანა და, რომ ჩამოვიდა, ღებელებმა ტბა მისცეს გელას, რომ დეეტაცა-ყე, უთხრა-ყე გელამ — დევარი გამოგვეკიდებაო, ჩვენსა საგზალი მისცეს, უწერაშიც მისცესო. მივიდა გელა და: — ღებე-

ლები, „ყიარიშისა ყელასა, ღებურნი სცემდით ყველასაო, ნეფეს შეეკრა, თი-
თის სიმაღლე გელასა“. წამოვიდა ჯაფარამ და ონი ბოლოზე მდგარა. იშოვნა
ჯაფარამ სოლომონ მეფის სამართალი — შენი ერთგული ვარო და სვანმა დამ-
ტაცაო და მიშველეო, — და მოცა ასი კაცი და კვარტალი. მივიდნენ და ჩა-
მოიხმეს გელა. — რავა გინდაო? (გოგრიჭიანი ყმათა ყოლია გელას). — ჩემი
სისხლიო ერთი ჩექმა კოღოს ტვინი არისო! — გადაუწყვიტა — ექვსი გოგო
და ექვსი ვაჟი. გელას უთხრა: — უნდა მისცეო სისხლში და სამი ჯვარი —
თითო სოფლად ღირდესო, და მოსცა... — გოგრიჭი, გიორგი.. მოსცა სისხლ-
ში, — ღებელებო, ის არ გეგონოს-ყე რომ თქვენი იყოს აქაობაო... დეემტე-
რა-ყე ღებელებს და უწერლებს გელა. „ჯაფარა ჯაფარველია, ენა გამოყვა
გრძელია, შეჯორ გაღმა შეიქრა მთელი უწერის ყელია, ღებელი ყველა გაგ-
ლიჯა, არ გაყვა ნაბდი ძველია...“

93. თაზი

თაზი იყო ერთი და წავიდა სანადიროს. ბუზგორში დამდგარიყო ღამე და
აფხანიკი ყოლოდა — ზვიდიკი. დაუძახა დევმა დევს: — წამოდი, დიდყურაო,
ფაზი შევეკამოთაო. — შენ წადი, ცალყურაო! იმას უბრი გაქედილი თოფი აქ-
სო, ვერ წავალო! გულაღმა წევს თურმე თაზი, ნაბად ახურავს და თოფი ფე-
ხებიკე აქ ტუჩით. დევი მივიდა, დააქდა, ჩაიკუტა ზვიდიკი, შეშინდა და მიეკ-
რა: — გაჩერდი, ნუ გეშინიაო. აუღო თოფი ნაბადს ტუჩი და ბრეგა და მოხვ-
და გულში და მოეკიდა ჯაგარზე ცეცხლით და გააქციეა. — ერთი კიდე მესრო-
ლეო! — აღარ ესროლა, მეტი არ გინდაო... ამისთანე იყო თაზი, ამის ბაბუის
მამა. იგი ნამდვილია.

თურმე სანადიროს არის და მოყავს-ყე თაზი. — „სახლი დავდგი ვერხვი-
საო, შიგ ჩავიბი ფერხისაო; ერთი, ღმერთო, შენ გააწყვე ამ ჭინკების ფეხი-
საო“... — თაზი, ჩვენ არა ვართ ჭინკებიო, ჩვენ ნადირთა ანგელოზი ვართო.
მოიყვანეს არჩვი და დაუკლეს და ძაღლი ყავდა თაზის. აიღეს და ბეკი მისცეს
ნადირის. რომ შეეპამა, ძაღლს გადაუგდო, ნაგაზს და: — რა უქენიო, თაზიო, ბე-
ჭიო? — გამოაცალეს არყი და ბეჭის მაგიორათ ჩაუდვეს და გააცოცხლეს არჩ-
ვი. უნდა მეეყაროს-ყე ძვლები და ისევე გეეცოცხლებიოს-ყე.

— შენ ხშირად მოდიხარ და ნადირს ბევრსა კლავო; ასე ნუღარ იზამო. —
აბა რავაო? — როცა თოფმა დაიწყოს რქიანი შინაო, მაშინ წამოდიო! — ე
არჩვი ქვე გაცოცხლდა და უთხრეს: — თაზიმ მოგკლაო, როდისაც ეს შეგხვ-
დესო, ერიდეო! — აღარ მიდის სანადიროს თაზი და: — როცა გაგიწნდება,
მაშინ წავალო! გულში ფიქრობს. — მომეწყინაო, რო გაქანდება თოფი, — ად-
გება და წავა და მოკლავს. როცა იყო მიხედა ი არჩვი—ხი ბეკი რომ ქონდა და
მოკლა ერთხელ და გატყავა და ბეკი მამას მისცა, გამოხრა, — ხესავით ით-
ლებაო! — გეეცინა თაზის და მოუყვა. — ახლა სულ მოვსპობ, ვეღარ წავალ
სანადიროსო!

94. დიაკონი

დიაკონს ცოლი ყავს თავი სახლობაში. ვაჟი გამოუჩენია, შეიტყო და წა-
ვიდა. დაუხვდენ ყაჩაღები ცხრანი და დაიჭირეს. — არიქა, უთხრა-ყე, გამიშ-

ვით და ღმერთი მომცემს თავდებად, გამოვიარო. გაუშვეს, — აბა გაგვატყუებ, თუ არაო! ცოლიძმებს უთხრა. — ქალი უნდა წავიყვანო და ვაჟიცაო. წამოიყვანა და ერთ ხრმალიც წამოიღო და წამოვიდა. რომ მოაწია ი ადგილზე, აკავანა ქმარს მიაქ, — ახლა ე აკვანი შენ შეიდგი და გლახა ამბავი იქნებაო და არ შეგეშინოსო... — გამოდით, გზირნო, გამოდითაო, საომრად მოემზადენითაო, ერთი მე წავალ სამოთხეს, ცხრანი თქვენ დეემზადენითაო! — ვეღარ გამოვიდენ შიშით. — წადი, წადი. ბეჟან ხარ, ჩიხთი ფოლადი, ყველგან გასხია ეპილებიო, წახვალ და შინ დაიქადნი — ჭალას დავყარე ვირებიო! — შიშით ვეღარ გამოვიდენ.

95. საზრიანი სიტყვა

ცხრანი დევი ხარშავდენ ცხრა კამეჩს. მოვიდა ერთი ყმარწვილი და უთხრა-ყე: — გამარჯობაო! — გაგიმარჯოსო! — რა კარგი შესაწვავი მოვვემატაო! — ამ ყმარწვილებმა თქვა: — მოდი და ჩემი საზრით ვუშველი თავსო! უთხრა-ყე: — თქვენზე უფრო დიდებული ქვეყანაზე არ მინახავს და ერთი მოსახსენებელი სიტყვა მაქსო:

მამაჩემაო ერთი ბუღა გაზარდაო და სოფელს შეწირაო და იმოდენა გაიზარდა, შვიდ გორაზე კუდით იგერებდა ბუზებს. მერე ერთი მეცხვარეს ცხვრები ყავდენ და ავდარი იყო და შეჯგუფული ყავდენო და იმას ყავდა ერთი დაუკოდველი ვაცი და ქვე იცოხნიდაო. ის ბუღა გორაზე ჭამდაო, მოვიდა ერთი ქორი, დაახტა ბუღას და, საცა თხა იცოხნიდა, იგი რქებშუა ჩადვაო. გამოიხედა იმან და გადიდარა თუ არაო და გამოხრული ბეჟი ჩაუვარდა თვალშიო. გაბა წივილ-კივილიო, დეეხმარა სოფელი და ორმოცი უღელი ხარ-კამბეჩებით ძლივს ამოუღესო. წამოვიდეს და ი ბეჟი სანახავად მოიტანეს სოფელში. გამიწდა ი ბეჟი და სოფელი აშენდაო, შარშან ზამთარშიდაო მოვიდა ერთი მელაო და გამოკრა კბილი და ეს სოფელი სუ გაანადგურაო. გამეეკიდა და მოკლეს ე მელაო და მეორე გვერძე ვერ გადაატრიალეს და ქუდები გამოუვიდათ და ნახევარი ი ტყავი დარჩა, რომ ვეღარ გადააბრუნეს, იმ გვერძეო. ერთი დედაკაცი მოდიოდა და ძახავდა გერიჭს და მელიათან მივიდა და: — შეუტოვებია-ყე ე ტყავიო! — თქვაო და საძახი ტარით გადაატრიალაო. გაატყავა ცალი გვერდი და იმი შვილს გაუკეთა ქუდიო.

მოვედი ახლა: ის მელა უფრო დიდი იყო, ის ქალი უფრო ღონიერი, თუ ის ორბიო, რომ წაიღო ვაციო, — ამისა გასარჩევათ გამომგზავნეს სოფელმაო.

ამაზე დაცილდეს დევები: არაო ქალიო, არაო თხაო...

დაცილდეს და წავიდეს ერთ ღელეში და ჩაიხურხლეს და ე ყმარწვილი გადარჩა და გამოიქცა და ისინი კი შეყვენ ცილობას და დაამტვრიეს ერთმანეთი.

96. როსტომის ამბავი

პირველში რომ ცხენი არ იყო, ერთ კდეში ცხოვრობდა — სახელად ლომი ერქვა... წავიდა ის დევი და ნახა ის ცხოველი და ნახა ცხენი; გაუკვირდა. გამობრუნდა და როსტომი შეხვდა. — გამარჯობა, ადამთაგანაო! — გაგიმარჯო-

სო... — შენთან ერთი სიტყვა მაქო. — ბრძანეო! — ერთი ცხოველი ყავს კდეში ლომსო — კისერი გრძელი აქაო და თმა დედაკაცივითა აქო და კუდიო დედაკაცივით და გრვალი ფეხიო. — ნიშანდეულობას უთხრა. — როსტომა თქვა: — ის ცხენიაო, მარა არ იცისო. დევმა უთხრა: — მოვპაროთო! — მე გამოვიყვანო. — შევიდნენ, გამოიყვანეს ეს ცხენი და რკინი კეტი უპირავს დევს და მიდის, და უკან როსტომი მოყვება. როსტომა უთხრა: — მათხოვე კეტიო!— ცხენს არ მიუძღვის ე ცხენით, გაუშალა და დაკრა როსტომა დევს. — შე კაცო, აქ რა მასხარაობაა მინდორაშიო,—უთხრა დევმა. როსტომა თქვა:—ეს მასხარაობად ეჩვენა, — ცხენს ვერ წავართმევო! — გეშინია რასმეო? — არაფრის; როსტომს იტყვიან, იმისი შეკივილი კლდეს ანგრევსო, — აწ მე ვიციო და, — წაიყვანე და პატარა გადავუხვევ და მიგეწვევიო! — უორკვალა და წინ დაუხვდა კლდეში და გაკივლა და ქვე არ იხმო კლდემა და უშვა ამ ცხენს ხელი და მოკიდა როსტომა და წამოიყვანა. გამოვიდა ერთ მინდორზე. დაბალახა ესე ცხენი. თვითონაც მოისვენა, ღამეა! ადგა დილას და ცხენი აღარსა არის, მოუპარავს ვინცალას. აიკიდა ეს იარაღი და წამოვიდა და მიყვა კვალს. ერთ სანეფოში შევიდა. მივიდა ამ სანეფოში. მიდია კვალს და პირდაპირ ხემწიფესთან შევიდა. — როსტომი მობრძანდაო. — ესეო რა არიო? — იარაღის უთხრა, — რა ავეჯიაო? — ცხენი მყავდა და შე სანეფოში შემომიძღვა კვალიო.

— ამეღამ მოისვენე და ხვალ დილას მოვაო. — გაცა ბრძანება, დილას მოგვარეს ე ცხენი. მოიყვანა ერთმა კოჭლმა კაცმა, ცალი ფეხი აქ, ცალი თვალი, ნახევარი კაცი... მეორე ღამეს ისევ გააჩერა ხემწიფემ. ხემწიფემ უთხრა თავის ქალიშვილს: — ამაღამ შენ როსტომთან უნდა მოისვენო და იქნება იმისი ძე დაგვრჩა, კაი ჩამომავლობა აქო! — გაიყვანეს, ლოგინი დაუგეს და დაწვა. როსტომი უბნობს: — მოვხურო ოთახი, ვაჲ იფიქროს — რისტომს ეშინიაო. არ დავკეტო და ვაჲთუ მიღალატოსო? — ისევე იყოს დაკეტილიო! ღიათ დატოვა. დაწვა და მოვიდა ქალი; დაადგა და ვერ გააღვიძა. ადგია თავს და ფარნები უნთია და დაჩერები. გეღვიძა, საცა იყო. — რას შეებიო? — მამამ გამომგზავნა, მოვისვენოო. — მე თუ ვაჟი დამეწეროსო, — ერთი სამაჯური ქონდა, თელ სანეფოდ ღირდა, აჩუქა, — თვრამეტი წლის რომ შეიქნეს, გამოგზავნე ჩემთანაო! — სად გამოვგზავნოო? — ქავქავოზ ნეფის მოსამსახურე ვარ და იქაო ჯარები მყავსო და იქ გამოგზავნეო... დაიშობა ყმაწვილი. შეიქნა შვიდი-რვა წლის. — ზურაბი დაარქვი სახელადო, — დაუბარა...

რვა წლის დაიწყო თამაშობა ცხენით. ერთი თვის ტოლი გალახა და იმისი დედამ უთხრა: — ჩემ შვილს კი ნუ ლახავ, შე სხვისო ტრიკოო, ბუშოო! — წამოვიდა დედათან ტირილით, — ვისი შვილი ვარო! — როსტომი არისო, შორი არისო და ჯერ ვადა არ მოსულა წასვლისო... — უნდა წავიდეო. გზა არ იცის და კვალი. ხემწიფემ თქვა: — ვინა ხარ გაბედული, წაიყვანეო! — ვინცალამ ცხენი მოპარა. კოჭლმა — მე წავიყვანო! — წამოიყვანა ზურაბი და ი სკინტლიანი რომ არის, ის როსტომის მამა რომ იყო, იმისგან ქონდა მოთხრილი და ფეხიც. იმისი მჯავრი ჰირს და წავიყვან და მამას შვილს შევაკლავო! წამოიყვანა და ყარაულები არიან და: — ამბავს გავიგნებო! — მივიდა და უთხრა-ყე: — ერთი ძაღლია ვინმე და როსტომთან მიდის სალმრადაო. — არ გაუშვეს. — არ გვიშვებენო. — გზა მაწავლე და მე ვიციო, — უთხრა ზურაბ, — რკინი გარდა არაფერი გამიძლებსო. — ის ნიქვეთი ქვე შეაბა დედამ,— ამით გიცნობსო!... მივიდა ყარაულებთან და კოჭლი ფიქრობს: — თუ ამათ და-

აძალა-ყე, მამასაც დააძალებსო... მოვიდა, მარე რას გაუძლებდენ. გადაცთა, წა-ვიდა. ახლა მეორეგინაც გატეხა და გავიდა. მესამე მთას გადატეხა; ჩააწია, საცა. მამის ჯარი იდგა. ჩავიდა და კოკლი ენახშება: — მე გავიგენებ ამბავსაო, შენ და-მიცადეო, აი ჯარში ჩავალო. — ჩავიდა და მამამის წვანე კარავი აქ ცალკენ და-იქაა! უთხრენ: — არ გვიშვებენო და იმათი ჯარის უფროსი წვანე კარავში, არიო. — შე რასი გეშინიაო? — მოწვადა წვანე კარავი და თითონ დაიდგა. შევიდა. როსტომა კაცი გამოგზავნა: — ვინ არისო? — ცოლ-შვილი თუ არი-სო. ჯერ არ არის დროო... ვინ გაბედაო? — ჩადით და უთხარით: — ან თუ ხა-რო ალატარისაო, ან როსტომიან სახისაო. ი გეტყვის-ყე ვინაობასაო! — ის. ირმი ხორცსა ჭამს და ძვლებს გამოხრავს და ცქიფვივით გახლეჩს და გამოწოვს ტვინს და გადააგდებსო! ჩააძახეს ე სიტყვები ზურაბს! — ქვეცა ვარ ალატა-რისაო. ქვეც როსტომიან სახისაო, ძვალსა ტყაურებ გავხეო! — წამოვიდა. როსტომი თვითან. ჩამოვიდა და ღამე არის, ბნელე, და რაცაღა იყო, იმასა. ყავდა ანგაროზი — ზურაბს, რავაც დაინახა, იცნო როსტომი და კალთაზე მოუბრიალა ი ანგაროზი ლეკვივით, მარა ვერ მიხვდა; შემოკრა და ზე მოკლა. ი ანგაროზი. — ვინ მომიკლა ანგაროზი, ცალი თვალით მაჭვრეტალიო? თუ. რომ დილა გათენდება, შეიქნება გლოვა ზარიო!

გათენდა და შეიბნენ. აიყვანა მამა და დაცა. კიდე იქიდნეს. როსტომი. ენახშება: — ფალავანდი ფალავანდსა სამჯერ უნდა ეჭიდოსო, ერთხელ დამეი. და ამიშვი, აშვება ვალიაო, მეორედ სამღთოდ გამიშვი, ღმერც აპატიეო. მე-სამედ თუღა დამეიო, სული ტვერულებ გაუშვიო! — წავიდა და ჭედლებთან მივიდა და: — ალმასები დამიჭედეთო! — და ფართო ნიფხვებში არ ჩანდა. მი-ვიდენ ერთმანეთთან. უთხრა შვილმა: — ბერო კაცო, დამაყენე, გული არ შე-მოწმება სიკვდილზეო; დედიჩემის დაბარება ყველა რამე მენიშნებაო! — შენ. ყმარწვილი ხარ, ტუტუცი, რაღას იგრგოლავ ენასაო; გუშინ ერთმანეთს დავ-პირდით, დღეს ერთმანეთის ძგერასაო! — აღარ აცალა და დატაცა ხელი მამას და დაცა და კრა ძირიდან ალმასები და გაჩეხა. დაიკლა შვილი. უთხრა ზუ-რაბმა: — შენ, ბერო კაცო, რათ მომკალ, ხრმალი რათ შემე ვადამდინაო, შენ. მამაჩემსა როსტომსა ემალვი სადამდინაო? ზღვას ჩახვალ, ზღვას ჩამოგყვება, ცოცხალს არ გაგიშვებსო... — ვაჲ შეს მამასაო, დღე ღამეთ დაბნელებიაო, შვილი მომიკლავს ზურაბიო, რა ცოდეა გამდიდებიაო...

იმან ამოიყარა, ი კოკლმა, იმისი მჯავრი... ქავქაზ მეფეს შეუთვალა: — მიშველე წამალი, ზურაბ მერჯება ხელზედაო... გამოუგზავნა დიაკვანი ხელით. და: — გულფიცხელია და, ახლო რომ მიხვიდე, წაიბანდე ფეხები და ის რომ გაცოცხლდესო, ნეფეებს გადააგდებსო... წაიბანდა და დააქცია... მივიდა. დაკრა წიხლი და მოკლა. შევიდა ქავქავოზთან და შვილები უზის და ქვე ათა-მაშებს-ყე სტოლზე. — შვილის სიკვდილი მწარეაო, — და შეანარცხა და და-ყარა და ნეფე და დედოფალიც შეასრისა...

წამალს ეძებს და დახვდა გზაზე მეცნიერი, იესო ქრისტე ბერკაცათ და — ე რაღა მებანდებაო, — და აიღებს და წყალში გადააგდებს. ქრისტეს უნდა, წამალი შეთხოვოს. როცა იყო და: — ყოველთვინ ეს მხვდება და, მოდი, ვკით-ხავ ჩემ გაჭირვებასაო! ასეა, ასეო... — მოთხარე მიწა და კარავი გააკეთე. მკლავზე გეწვინოსო და იმდენი ბალანი მოგივა, ფეხებზე დაგაწვდებაო. მაშინ მოიხდი ცოდვას და მორჩებაო შვილიო... მოთხარა და ჩაწვა, რომ მოაწია. დრომ, — აწ გაცოცხლდება ესო, — აღარ მოუსვენეს... — გველეშაპებმა და.

მდევებმა წაიარესო... მიუჩოთ ერთი კაცი და ჩააცივდა და ბოლოს ჩასცახა: — შე შვილის კალიაო, რათ არ ამოხვალო, — და ამოვიდა და ამოკრა წიხლი და ჰაერში შეაგდო...

97. ნაცარქექია

კუტი არის ნაცარში და ვეღარ გამოყავს-ყე გარედ. დააცხვეს ხაჭაპურები და: — გამოდიო, ხაჭაპურებსა თოვსო... მოიტანეს გოდლით და ბუხარში ქვე შეყარეს, — ჩემი წილი აგერ შემოცვივაო... გამოიტყუეს გარედ; მოუხურეს კარები, — რახან აღარ მიშვებთო, ერთი გუდანაცარი მომეცითო, — უთხრა-ყე, — ნახევარი არშინი სადგისი, ერთი ჭყარტლი ყველიო... მიცეს, გადაიკიდა და წავიდა ერთი ტყი პირში. წყალია გასავალი და დევები მუშაობენ. ახლოს ვერ მიბედა-ყე. — რა კაჲ ვაშკაცები ხართ, რომ თავისი იარაო არ გინდათ-ყეო, — სარცხვენის უთხრა... — აქანა ანგელოზი გვიძახისო, და წავიდნენ... წყალგაღმა გავიდენ. წყლი პირიდან დაუძახა-ყე: — თქვე რო მიდიხართ, მე რატო არ გამიყვანეთ-ყეო... მოიბრუნეს და: — რაა, ბურკუველა რომ გვიძახისო? — არაო. ჩააგდეს. — რომელიც უფროსი ხარ, ის მოდიო! მოვიდა და ამოიღო ე ყველი და აი, ასე გაგსრესო, — და მოუჭირა. — ქვა ამოიღო ქვიდან და გასრისაო, მიუბრუნდა. — აბა გადახტენ-გადმოხტენ მაგ ტალახში და ტვერი თუ აადინოო ტალახსაო?! — გადახტა, მარა ტვერი რავა უდიოდა. — ახლა მე მიყურეო. — მოხსნა გუდა და დაკრა და შეშინდენ დევები. გამოვიდა, შეიჯდინა ბეჭზე და რას ემძიმებოდა? — მაგისთანე ღონიერი მჩატეო? — მე ნაწილიანი ვარ და ზეცას ვუპირავარო და რომ გამიშვაო... — აბა, დაუძახე-ყე, დაგიშვანაო. შეიძახა: — დამიშვითაო. ამოიღო სადგისი და დააჭირა. — ვა, ვა, მომკალი, აქწიონაო. — ამიყვანეთო, ამწიეთო... გაიყვანეს და მიიყვანეს სასახლეში. ერთი რაში ყავს-ყე იმათ, ცხრა ძმა არიან და ძლივს გამოიყვანა-ყე წყალზე, თამამია. ქერს ბევრს აკმევდენ. დაუბარეს: — ჩვენ მივდივართ და შენ ცხენს წყალი დაალევიეო და აკამეო. წყალზე რავა გინდა? გამოუშვა, წააძრო აღვირი, ე თამამი ცხენი! იხტომა, იხტომა და მივიდა ბაგაზე თავისით. ქერიც ჭამა. მოვიდენ დევები საღამოს. — რა ქენი, გაგიფუქეზია-ყე ცხენიო! — შეეჯექი და გავაქციეო... ე დევები ამბობენ: — ჩვენ ძლივს და ამან რათი გაბედა შეჯდომაო. მოვიშოროთ რათიმეო. ამ ცხრა ძმამ, ერთი მდირე აყვე ზეით,და ცხრა ძმას ძლივსს შეუდგია. ჩააცივდა-ყე: — ეს მომეციოთო შვილდისთვისო. — მაგას ნუო და, რასაც მოერევა ოქროს ე ცხენი, სახში მიგიტანთო! — დაუსაპანეს და გამოუძღვა ერთი დევი და ნაცარქექია მოდის სახში. ეს აუარება ოქრო შემოიტანა სახში. ამ დევს პატივი სცა და გაბრუნდა. როგორც რო გამოსცდა იმის სახს, ღდელი შემოხვდა. — გამარჯობაო, — გაგიმარჯოსო! — სად იყავიო? — ასეა, ასეო... ერთი ღონიერი გვეწვიაო, ცხრა ძმა დევი ვიყვენითაო. ცხრა ძმამ ძლივას შევდევით კოჟი მაღლაო, ისაო გვთხოვაო და ვერ მივეციოთ და ოქრო მივეციოთო. — ვინ არისო?— აი ისაო! — რამ გაგასუნელა, ის ნაცარქექია არისო. წამო, იმ ოქროს გამოვიტან და ნახევარი შენ, ნახევარი მეო. — ვერ გენდობაო. ღდლებმა უმალ აბრეშუმის სარტყლები იცოდენ. ისა აქ და: — რახან გეშინია, ამ სარტყელში ჩამკიდე ხელი და წამოდიო. მივიდა და დასძახა. გამოიხედეს. — გამოიხედოს

ნაცარქექიამაო! შევიდენ და უთხრეს. გამოვარდა და შეიძახა: — ღვდელო, მე ერთი დევი კი არ გაგატანე, ხუთი გითხარიო... ეს რომ გაიგონა, გაკრა ხელი დევმა და ზე შუა გაგლიჯა სარტყლით... შემოჯდა ამ რაშზე და შინამდინ... მივიდა სახში და: — რა ქენიო? — რავა რა ექენიო?! პატივი მცა და ღვდელი დამიხვდაო; დამაბრუნა, — უბრალო კაცი არისო... მივედით და ასე იყოო... თურმე ხუთი დევი უნდა მიეყვანოს და მე მოტყუებით მივყავდიო. მე კი ხუთი მქონდა პირობაო, გამოვკარ ხელი და ძლივა უშველე თავსაო, — ამ ძმებს ეუბნება-ყე...

98. ხემწიფის შვილის ამბავი

ერთი უშვილო ხემწიფე იყო. შვილი ეწერებოდა, მარა, რავაც თვალით დაინახავდა, მოუკვდებოდა იმ საათზე, გლახა თვალი ქონდა. ე ხემწიფეს დედამ იფიქრა: — თუ ჩემ შვილს შვილი არ შერჩაო, ხემწიფობა გადავა უშვილოდო. როცა დეეწერა ვაჟი, გაზარდა და არ დაანახვია მამას თვალით. შეუშვა სასწავლებელში. ახლა სასწავლებელში ერთი ვისიმე შვილი შეუყვარდა და დაიწერა იმაზე ჯვარი. იმ ბიჭს კიდე უკლდა შკოლას. დატოვა თავის სახლობაზედ ქალი. იმან დაკრა ხელი და წავიდა. რო გაიარა რაოდენიმე მანძილი, მამიდათან მივიდა გზაში, გასათევად... მამიდას გაუხარდა ძმისწულის ნახვა. — აპა. ჩემო მამიდაო, ცოლი მყავს და თვალი და ყური გექნეს ჩემი ქალიკენო... დაკრა და წავიდა შვიდი წლი ვადით. ხემწიფემ გაიგნო ესა... — შვილიცა მყავს, რძალიცა მყავსო, ვერცერთსა ვერ ვიცნობო, — იფიქრა, — შვიდი წლი ვადით არი შვილი წასრულიო, რძალს გამოვცდიო, სხვას ხომ არავის შეიყვარებსო? — პირადად ვერ გაბედა წასვლა იმან. გაგზავნა სოვდაგარი — ჩემი რძალს ეწვიე სტუმრათაო. — რაოდენიმე ფული თვითონ მიცა, — აბა, შეცთება თუ არაო ფული გულითვინაო? მივიდა და ეწვია ვაჭარი კაცი. დადგეს სტოლი და თავი თხოვა ამ ქალს. — შენ არ გეკადრებოდა, ხვთის ტუმარო, ესო. მე პატივცემა მივიღე, შენ უპატიოსნოთ გაისარჯეო... რამდენს მაძლევო, ჯერ ის დაადენია. ამოიღო კონა და რომ დაიდვა, მერე უთხრა ეს სიტყვები. დაუძახა მოჯამაგირეებს და დაამწყდევია.

მეორე დღეს მოვიდა სოვდაგარმა და მოუყვა — გაგზავნა მეორე სოვდაგარი და ზედმეტი ფული მიცა. მესამე... ვერ შეაცთინეს. გამოაგზანა ერთი სალდათი მერე. სალდათს მიცა ოქრო სავარცხალი და: — საჩუქრათ მიართვეო. თუ ვიცოცხლე, დღესაც თქვენი ვარ და ხვალაცაო, — შეუთვალა. მიუტანა სალდათმა ე სავარცხალი, — შენმა მამამთილმა გამოგიგზავნაო — საჩუქრათ თავგადასაგდებადო! — სალდათი დასაჩუქრა და გაუდგა გზას. ადგა დილას და დაიბანა თავი ქალმა. დაივარცხნა თმა. მარჯვნივ ოქრო გადაცვივდა, მარცხნივ ვერცხლი. რაოდენიმე ოქრო-ვერცხლი შეაგროვა. იმითანე სასახლეები ააგო, რომ თათარი, ურჯულო, რჯულიანი — ყველა იქა მუშაობს. დილას ადგება და მიდი-მოდის და მუშები მუშაობენ. იმითანე სასახლეები ააგო, რომ ოქრო ბოძებზე მოაწყო სასახლეები. ეს მამიდამ გაიგნო. დაისაპანა ოცი უღელი ხარი და ეწვია. მეესალმა: — აპა, ჩემო რძალო, ე ჩემი ძმისეული სავარცხალი უნდა მაჩუქოო. — ვერაო... სამოსი უღელი ხარი დაუსაპანა ოქრო-ვერცხლით და გააბრუნა. დააკლდა მამიდას გულს. არაფრათ ჩააგდო ოქრო-ვერცხლი..

საცა არის, გაუთავდა ვადა იმ ბიჭს. მოვიდა მამიდათან, — ღამე უნდა გაათიოს. მოიკითხა ამბავი. ცოლ-შვილის ამბავს რას მეტყვიო? — შვილი არა გყავს, მარა ცოლი კარგი გყავს, მარაო... — „მარა“ დაატანა სიტყვაში. — ეს მარა რა ღბედურებაა? — რა არის და გაკახდა შენი ქალიო. თათარი. რჯულიანი, ურჯულო — ყველა იმ ადგილზე არისო. აძლევენ ფულებს და გამდიდრდაო... შეედვა ცეცხლი ამ ბიჭს. იმდრომდინ აწვალა მამიდამ, რომ გათენდა, გარიჟდა წამოვიდა და შევარდა ბალკონზე, შემოკრა ხრმალი და წაიქცა ქალი. ე ბიჭი გადახტა, ქვე წავიდა, სა წავიდა ღმერთმა იცის. შეიქნა ზრიალი შუაში — ვინ ქნაო?... რას გაიგებენ? მოშორდა ი მუშაც და ი მოსამსახურეც იმ ადგილიდან. აღარავინ დარჩენილა ერთი მეკამბეჩეს გარდა. — მე ხომ არ მომიკლავსო? ღვდელს შევატყობინებ და დავმარხავო. წამოვიდა. ღვდელი დილაით საუზმესა ჭამს. — მამაო, ასეა და დავმარხოთო! ღვდელი საჩქაროზედ ტარანას ჭამს და მოკეცა და ჯიბეში ჩაიდვა. წამოყვა. მოვიდენ. იმას ამოქვითკრული აუზები აქ და ოქრო ღარები უგია. ღვდელს წყალი მოწყურდა. დეეყუდა და გამხმარი კალმახი გადმოვარდა და დაიწყო ქვათქუნი წყალში. — ამოვიღებ ამ წყალს და იქნებ ქალიც გაცოცხლდესო, — უსხურა და წამოდგა ქალი იმ საათზე. — მე ამიერიდგან უნდა დავიკარგო და გამიყვანე აქედგანო. მოკიდა ღვდელმა ხელი. ღვდელმა იფიქრა: — ამისთანე შვენიერი ქალი ქვე იკარგება, მოდი, თავსა ვთხოვო. — თხოვა თავი. — რას ამბობ, მამაო ღდელოო, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩემ გვერზე ჩემ ქმარზე მეტი იქნესო, და წყალში გადეეშვა ხიდიდგან. ერთ ადგილზე შვაზე რიყე აქ წყალს, იცურა და ი ბორჯზე შეცურდა. შემოიწურა ტანისამოსი. გაჩერდა წყალთა შუა. გაღმას ჭალაზე ერთი მეცხვარეა. დაინახა. და შემოუარდა და მივიდა ამ ქალთან. — ეშმაკი ხარ თუ ანგელოზიო? — არც ეშმაკი და არც ანგელოზიო. ქრისტიანი ქალი ვარ, შენ ძმა და მე დაო, ვითამ აღარ შემეხოსო. — კარგიო, — და გაიყვანა. მოწყვიტა-ყე ცხვრები. ამაღამ ჯვარს დავიწერო. ჩავიდენ იმ ღამეს სახში. შიატყო ქალმა— და-ძმობა არ გაიტანაო, და გაიქცა და გამეეპარა, წავიდა და დაათენდა ერთ უხვიან ტყეში. აკრიფა სხალი და კალთაში ჩაიწყო და ოლეში ჭამა დაიწყო, მზეც მოადგა იმ დროებაზე. ჭამს და ერთი მონადირე მიდის და ზურგზე ნადირი კიდია. დაინახა ეს ქალი — ეშმაკი ხარ, თუ ანგელოზიო? — ქრისტიანიო, შენ ძმა და მე დაო, — სამჯერ უთხრა. კარგიო, და წამოიყვანა სახში და ჯვარს დავიწერო. ცოლათ მოინდომა იმანაც. შეატყო ქალმა და გეეპარა იმ ღამეს და წავიდა და ერთი ბილიკი გზა მოიძია და სად მიდის, ღმერთმა იცის, ამ შუაგულ ტყეში ერთი ყმარწვილი ბიჭია წმინდურ მარტვა... ორი ცხენები ყავან. წაუარა გვერდში ამ ქალმა და: — სად მიხვალ, დაოო? — მე და-ძმობისაგან გაჯერებული ვარო. შენ ძმა და მე დაო, — სამჯერ... იმანაც სამჯერ მიუგო. წამოიყვანა და ფაცხაა უბრალო. უდაძმოთ არა ცემენ ხმას. — რავალი სახლი გიდგიაო? — რა ვქნა, ობოლი დავრჩიო, — დაიბარე ხურო-კალატოზი და მოუარე, რა სახლები გავაკეთოო... მოიყვანა მუშა, სახლი ააგო კიდე უკეთესი... დადიან და-ძმურათ. — ვერც შენ გაძლებ უქალოდ და ვერც მე უკაცოთო. — ქალს გითხოვო... — კიი!... უთხოვა, ჩაიცვა ყაზახის ტანისამოსი და მოგვარა ქალი. ახლა ქორწილი აყვე. — შენი წვეული ვინცაა, მოიწვიე, და მეც ჩემსასო. — კი, ბატონოო... წადი და ხემწიფეა აქა და აქ და დაპატიჟეო. მასპინძლობა ჩემი იყოსო! სამი სოვდაგრები არიან და ესენიც დამიპატიჟეო, — ისიცო მეკამბეჩეა, — ისიცო. მამიდა არის ამა და ამ ადგილზე ერთი კაციო. ქმრისთვის უთხ-

რა, მონადირეც, მეცხვარეცო... იმან რა იცის ესენი ვინ არის... მოიყვანეს ხემწიფე და დააჟდინეს, მოუჯდინეს თავისი და შვილიც მოუჯდინეს (ამ ქალს ყაზახის ტანისამოსი აცვია, ვერ ცნობენ), სოვდაგრები, მეკამბეჩე, სალდათი, მონადირე — სულ დაასხა-ყე. შეიქნა სმა. — შენისთანე ხემწიფე იყოო და ამისთანე მამიდა ყავდაო და ბიჭი სასწავლებელში და ხემწიფეს დღესაც არ უნახავს რძალიო. შესაცდენად ფული გაუგზავნაო, ვერ შეაცდინესო, სალდათის ხელით სავარცხალი გაუგზავნაო, სასახლეები ააგო ოქრო ბოძებზე შეპიმულიო.. მამიდამ ოცი უღელი ხარითა ძღვენი მოუტანა და სავარცხალი თხოვაო. არ მიცაო. შვილს შვიდი წელიწადი უკლდაო. რომ გამოიარა, ამისთანე ენები დაახვედრაო, მოვიდა ბიჭი და ქალი მოკლაო. მღვდელთან მივიდაო. რიბას ჭამდაო, უსხერეო. ღდელმა თავი თხოვაო. უარი უთხრა და წყალში გადავარდაო. მეცხვარე ცხვრებს უდგა-ყეო, არც იმან დაძმობა და ამითანე მონადირე ნახაო. არც იმან გაიტანა დაძმობაო. იმასაც გეეპარაო ერთი ყმარწვილი, ისო, და ფაცხას მეტი არა ქონდაო და ამისი დაძმობა იმან გაიტანაო. — მეო შენი რძალი ვარო, ე შენი შვილი და ღვდელი, მონადირე, სალდათი... შეადგინეს განჩინება. ყველა მართალი დარჩა, მამიდა ცხენი კუდზე მოაბეს და სუ დაგლიჯეს...

ცხრა დღე და ცხრა ღამე ქორწილი ქონდა-ყე. ცხრა ყანწი ღვინო მე დამალეეიეს...

ᲘᲘ. ᲑᲐᲘᲚᲣ-ᲑᲐᲗᲝᲧᲝ

ერთი მონადირე იყო. წაიყვანა თანამტანი და წავიდენ სანადიროს. შევიდენ და ერთ კლდეზე მოკლეს ჯიხვი და წამოიტანეს და დააბინავეს ტყეში. აფხანაგს უთხრა: — პატარას წავიძინებ და ე გულ-ღვიძლი შეწვიო! — დაუწყო, და ეს დანარჩობის ნადირის ხორცი ჩამოკიდეს. ეს მონადირე ქვე ძინავს და ეს ქვე წვავს. ქვე არ დეეძინა? — და აღარაა ხორცი. — რაღათი გავაღვიძოო? — გააღვიძა. — ვინ მოვიდა, ვინ წაიღოო? — წავიდენ და საცაღა ის მოკლეს, იქ მივიდენ და იმ ადგილზე წევს. — რა ამბავიაო? ამისთანე გასაკვირვალიო!... — გასაკვირვალიო მე კი არა, ბაილუ-ბათოყოს ამბავიაო. ის გეტყვის-ყე, მე კი არაო, — უთხრა-ყე. წამოვიდა ეს მონადირე. ხუთი წელიწადი იარა. ყოშებში საცა არის, მიაწია ალოს თავზე. მიაწვლეს: — ის არის ბათოყაო. — გამარჯობა! — გაგიმარჯოსო! — უთხრა ბათოყამ. — ვირები უბიან კალოში და: — რასთვინ მობძანდიო? — მოუყვა ამანაც...

— ამ კალოს მოვათავებო და ამაღამ სახში გეტყვი, რაც რომ თავზე გადამხდენიაო. — ვირები საკმელზე კი არ გაუშვა-ყე, ბოსელში შეყარა-ყე. ამ მისრულს გაუკვირდა, „რატომ არ აკამა-ყეო?!“ შევიდენ და პატივი ცა..

— მოგიყვებიო ჩემ გაკვირვებასაო. ხომ გამოიარე ჩემი საქონელი და ნახეო? დიდარი კაცი ვარო. კაჲ კაცი ვიყავიო და აგერ რომ ჯოხები შევაწყვეყე, ერთი ცოლი არის და მეორე ცოლი მოყვარეო.

არ დაუჯერა.

— ხვალ გაჩვენებო!

— მოვიდა ის მოყვარე და ქალთან წოლილიყო. მე მქონდა მითანე ნატვრი მათრახიო, მოვედი და ე ქალი და კაცი წორა წვანანო. მომაწრო და დამკრაო და გადამქცია ძაღლათო. რაღა ვქნაო. დაეწანწალობ და ქვე მეყურება,

რასა ლაპარაკობს ხალხიო. ერთ ადგილზე გამოჩნდა მგლის ხორიელა და მივე-
დიო. გეეხარა-ყე, რა კაი ძაღლი არისო და მიმბეს ურემზეო. დამისხეს ძაღ-
ლებთან საჭმელი. — არა ვჭამეო. ერთმა უთხრა-ყე:

— მორეცხეთ და მიაწოდეთო! — დეეხვიენენ-ყე მგლი ხორა, მარა რა
ვქნაო, დაბმული ვარო. — აუშვითო, თუ არ გაიპარვისო! გამოვეკიდე და ვი-
ცი, ყრონტით დამარჩობენო. ვიარე და თორმეტამდი დავარჩიე გელიო. გე-
ეხარა-ყე და მეფერებიანო; აფიფინებული ვყავარ-ყეო. ერთ დიდარს ეშმაკი
ამჯავრისო, ბუხრიდან ჩადისო. უთხრეს-ყე:

— თქვენ ამნაირი ძაღლი გულთმეცარიაო. დეეხარა-ყე, მარა მოგცესო.
წამიყვანეს და, საცა ი ქალი იყო, იქ კი არ შემიყვანეს-ყე, ცალკე დამაბესო.
როცა მოვიდა ი წყეული, გავიგენო. იმ ღამეს ვერაფერიო და შემიშვეს იმის
ოთახშიო. ჩამოვიდა ბუხრიდან და მოვკიდე პირიო. მითხრა: — ბათუყა, გამიშ-
ვიო. შენ ვიცი, კაცი ხარო. ერთ დღეს, სიკვდილის დღეზეო, დაგიხსნიო, რომ
კაცად გადიქცე, მოგიხერხებო. — დავ, უშვი პირიო... შემოვიდენ მეორე დი-
ლას და გეეხარა-ყე ძალიანო. ქალმა უთხრა-ყე, დაიკირა, მარა გაუშვაო... მე-
ფერებიანო, ყელზე ვეკნები შემიბენო. დავკარი ხელი და მივედი ჩემ ქალთა-
ნაო. დამიფერიესო, მიმიტყუესო, ეს ქვე შემხსნესო, ვეკნებიო. დამკრეს ეს
მათრახი და ქორათ მაქციესო. რაღა ვქნა, რა წყალში ჩავარდეო?.. დავწოწავ,
დავწოწავო. დარჩენილი ყოფილა, გაულეწავი დაკორმა იციან, შევძვერი და
ვკეკო მარცვლებსო. მოვიდა წასაღებად პატრონიო. ველარ დავიძერიო, დამი-
ჭირაო. პატარა ბაღვინა ყავსო და მიმცა, — გაგიხარდებაო. ამიყვანა და ეფათ-
ქუნობო. წამომიყვანეს სახლშიდაო, და გამოართვა ხელში ჩემი თავი ქალმა
და მითხრა: — ჰეო, ბათუყაო, ხომ გითხარი, სიკვდილის დღეზე დაგიხსნიო?
წადი და ამა და ამ ადგილზე კიდიაო ის მათრახიო. ჩადიო, ჩაძვერიო და წე-
ეხახუნე და „კაცათამც გადაყცეულვარო“, — ჩაუთქვანიეო. შეძვრა და წე-
ეხლახუნა, ჩაუთქვანია. ავიღე და გამჯავრებულმა ი ჩემი ცოლი ულაყ ვირად
გადავაქციე და მოყვარე ჭაკ ვირადაო და ასე ცოდვილობენო. ახლა ამათ ვა-
წვალებ-ყეო და აღარ ვაჭმევ-ყე და აღარ ვასმევ-ყეო, თუ არ დამიჯერებო,
დილას გაჩვენებ ყველასაო. გათენდა და გამოგვარა-ყე ეს ვირები გარეთ. დაკ-
რა მათრახი და ერთი კერეტნათ გადააქცია და მეორე ღორათ. — ახლა ხომ
დაიჯერებო?...

100. აღრჯევანი, ლომკაცი და არაკაცი

იყო და არა იყო რა უმაღლესი მადლი ღვთისაო, იმათ მერმე სამი ძისაო.
ერთსა ერქვა აღრჯევანი, მეორეს ლომკაცი, მესამეს არაკაცი. მამა ყავდა-ყე
იმათ. არა ეშველა, არ მოკვდა. კითხეს: — მამაჩვენო, რატო არ კვდებიო?—
მეო სანემდის გაუგონარს არ გავიგონებაო და მოუნახავს არა ვნახავო, არ მოვკვ-
დებიო. არაკაცმა უთხრა: — წავალ და ეგებაო მოვინახო უნახავიო. წავიდა და
წელიწადს იარა და ბევრი რამე ნახა, მოვიდა და უთხრა: — ნახე რამეო? —
კიო. ერთ სახში გავათიე და გამოვიდა კაცი და არც გამელაპარაკა, არც ხმა
გამცა, მიმაინძლა და გამიშვაო. — ეგ არაფერიო... წავიდა აღრჯევანი. მან ოცი
წელიწადი იარა. ბევრი ნახა, მარა, რომ გამობრუნდა, ერთი კოჭლი დევი ხნავს
და ბელტებს ქვე ჭამს. — შორს გამიარე, შორს, თვარე შეგჭამო... მივიდა და

მოახსენა... — ეგ მე მოვწყვიტე იმას ფეხიო! არაფრად ჩაუგდო. დევი რომ ნახა, გამოიარა და ჭედელს ცხენი უბია და გაახურებს რკინებს და აკმევს. მამამ ამაზე უთხრა, — ეგო ცხენი ჩემიაო; მერე რაიაო? — არათ ჩაუგდო. წამოვიდა ლომკაცი. პირდაპირ ცხენთან მივიდა. ე ცხენი უნდა მომცეო, მამიჩემის ცხენიაო... — მე ასე დამიბარა: ვინც რომ გაბედოს შეჯდომა, იმას მიეცეო. გაბედავო? — კიო! — გამოიყვანა და: — ვადა გამივიდაო. — შეხტა და ცა გააქსო, ქვეყანა, მარა ვერ გადააგდო ცხენმა. მიდის და ერთი თვის სავალს ერთი დღე მიდის. სად მიდის, ღმერთმა იცის!... გადიხედა ერთ ბაღში და ლამაზი ხე არის და ოქროს მაკრატელი კიდია. გადეეწვადინა და ჩაიდვა, — ნუ მიგაქ, გლახა კაცის არის და არ შეგრჩებაო! — არ დაიჯერა... გამოიარა კიდე და ერთი ოქრო ხელმანდილი ნახა. ჩაიდვა. — შენ თუ ეგენი შეგჩებაო, მე შენი ცხენი არ ვიქნებიო. — არ დაიშალა. იარეს და სამი წლის სავალზე ჩავიდენ. აქანა, ამ სახელმწიფოში, მივიდა და შეხედა ხალხსა და ყველაცა შავად შეკაზმული გამოდიან. — ეს სანეფო რა ქვეყანააო? — ესო ბაქარ ნეფის სამეფოა. — ე შავათაო რაზე არიანო? — ერთი თეთრი დევი არისო და სუყველ წელიწადს თუ ოც-ოცი წლის ყმარწვილები არ მიგვარეს, გააოხრებს აქაობასაო, ყველ წელიწადს რომ დაასუქებს-ყე და დაკამს-ყე, გლოვენ ესენი ყოველ წელსა. ბაქარ ნეფე აგერ არიო....

ადგა და ეტუმრა ბაქარს. სამი გოგო ყავან. აიღო და ერთსა მაკრატელი აჩუქა, მეორეს ოქრო ვაშლი, მესამეს ოქრო მანდილი. გეეხარა-ყე! დაუწყო ნეფემ ამ ჭკვიან ლომკაცს. გოგუებს უყვარს-ყე კიდო... ვეზირებმა დაიწყეს წუხილი! ჩვენ აღარას გვაგდებსო და მოუხერხოთ რამეო! რაც მოვიდა, ჩვენ პატიცემა დაგვეკარგაო...

წამოვიდენ და ერთ მეწისქვილეს კითხეს ველა. მაგას რომ საქონელი მოუტანია, თეთრი იმ დევის არისო, ხალხს რომ ჭამს-ყეო. გოგოებს ათქმევიეთო, კიდო მოიტანოს ვაშლიო! წამოვიდენ და უთხრეს ამ გოგოებს: — თეთრ დევს ვაშლები უსხია და მოგიტანს-ყე, უთხარითო! უთხრეს. შერცხვენდა და წავალ ისევეო, — იფიქრა. წამოვიდა და ცხენმა უთხრა, — ხომ გითხარი, გლახა კაცი არისო... ერთი გამოხრული კაცი ნახა. მარტო ძვლები აქ და ხორცი არა. — რა ამბავია შენ თავზეო? — მე ვინც მიცნო, ის მიცნობსო და შენ ვერაო. არ გეტყვიო!... ცხენი ენახშება: — ასე ნუ მიდიხარ, ერთი ჯაყვე ჩაიდევი, ერთი სუქანი ცხვარიო; ერთი დათვი ყავს, ეს ცხვარი დათვს მიეციო და მაშინ გადახტიო! მივიდა და: — თუ გამოგვეკიდებაო, ჯაყვა გადუგდე და კდეთ გადიქცევაო... მისცა ცხვარი დათვს. ახტა და გადახტა და ქვე მოგლიჯა. ხემწიფემ, ბალახმა, ქვამ და ყველამ დაიწყო, ყველამ, ყვირილი: — წაიღო ვაშლები! — და გაიღვიძა დევმა. შეხედა და გამეეკიდა და ეს ორასი ბიჭი დამწყვდეული ყავს, ქვე ასუქებს-ყე. გადააგდო ჯაყვა და გაშთა კდე. მეეწია მაინც. — გითხარიო, — ცხენი ეუბნება, და შეიბნენ.

აი იქით, აი აქეთ და კიღამე დაძალოს ლომკაცმა და გაუტყდა ხრმალი და: —ჰა, ღმერთო, მიშველეო! — და საცხადან ჩაუვარდა ხელში ხრმალი და მოკლა თეთრი დევი... ქვეყანამ დაიწყო ღრიალი: — მოკლა ლომკაცმა თეთრი დევიო! გაიგნო ყველამ. მოვიდა შენი ლომკაცი, ი ვაშლები მიუტანა-ყე... ი ვეზირებს ვინღა ჩაგიგდებს რამეთ?... ნეფემ თქვა: — ე სამი გოგო, სამი ძმები ხართ და გყავდა-ყე ცოლებადაო. — ძმებს ჩამოვიყვან და დავქორწილდებით აქანაო. — ისე გამოისტუმრა, რა არ მიცა? გამოიარა ამ გამოხრულ კაცთან

და: — ი თეთრმა დევმა გამოხრაო... მოვიდა სახში. — ეს მოვიტანე, შენი ცხენი, თეთრი დევი... — ოოო, ამას ველოდიო, მე რომ დევს ფეხი მოვჭერიო, ი თეთრი დევი მომდევდაო. ამას ველოდიო! — და მოკვდა მაშინვე.

100[11] ალავგანი

თვრამეტი ძმა იყვნენ. უმფროს ალავგანი ერქვა. თქვეს: — უნცროსებიდან მოვყვეთაო ქალის თხოვასაო, — და აღარ ერგებოდა უფროსა.

წავიდა ალავგანი და ერთი დევის ქალი, გახეთქილა მინდორი და, იმასა კერავს ჯამბარათი, რკინის პალოთი.

— აბა, მითხოვე, თვარე შეგჭამო! — გენჯე ერქვა სახელათ. მოიყვანა და დაორკეცდა... დედა ყავდა ალავგანს და უთხრა:

— რაცაღა დაშობოსო, თვარე შეჭამსო.

— როცა დაშობა, იმას ძაღლი მიუგდო და ეს ქვე გამოტაცეს. დაარქვეს შავაჲ. წაიყვანეს და მთაში სამი წელიწადი შეინახა და გაზარდა. შეიქნა მითანა, რომ გამძლე არაფერი იყო. ცხენი ყავდა, კაჲ ჭრელი ცხენი, და მამამისი ჭედელი იყო, ორიზმეგი იყო და იმასა ყავდენ ორი ვაჟი, ერთსა სოსურანი ერქვა, მეორეს სიბრიჩი. იმათთან წავიდა შავაჲ.

— გამოვცდით-ყეო. მივიდა ერთ მეჯოგეთან.

— ვისი არიან ე ჯოგიო?

— ორიზმას არიანო, — და სათანა ერქვა ორიზბეგის ცოლს.

— ორიზმა რავარი კაცი არისო? — მეჯოგეს კითხა.

— მისი მომრევი არავინო არიო. აი, ეგერ რომ ბუღა არიო, იმოდენი იყო, ასი სული საქონელი, იზრდებოდა იმის გვერდითაო. დაკრავს ცხენს და შეახტუნებსო... — წავიდა შავაჲ და ასწია ბუღასა და ზე გადააგდო, დაკრა ცხენსა და წინ წაღმა გადაახტუნა.

— შენ ღმერთი ყოფილხარაო. — წავიდა და მოვიდა ორიზბეგთან: — შენი შვილების მომრევი არავინ არიო ვინმეო?

— არავინ არიო!

— აპა, გამოვცადოთო.

— წადით და ამა და ამ ადგილიდან გამოაქეთ-ყე ცხენები, რომელი უმალ მოხვალო...

გამოაქენეს-ყე, დაკრა ცხენს მათრახი შავამ და აქ გაიგონეს ორმოც ვერსზე და გამოიჩარა იღლიაში შვილები და მოგვარა. ახლა აღარავინ გამოვიდა იმის მომრევი. ერთი დაუტ-შვენიერი იყო და არ უნახავს ორიზბეგი და ისე იფიცავს: — ჩემი ორიზბეგი დამირჩესო. — არ უნახავს.. შეიყარნენ სანადიროს.

— შენ ვინა ხარო? — ემცნობეს.

— მე შენ გიფიცავო! — მიუყვნენ შინაარს და ორიზბეგის ცოლი დაიჭადნა:

— ჩემი ცოლს ვერავინ შეაცდენს, გააბრიყვებსო...

— აპაო, მე თუ გავაბრიყვოო, — უთხრა დავიტ-შვენიერმა, — ჩემ ცხოვრებაზე ავიღებ ხელსო.

ადგა და წამოვიდა დავიტ და მივიდა სათანაითან. გამოიხედა მოსამსახურემ და:

— ჩვენი ორიზბეგი მოგვწონს, მარა ერთი მოვიდა, მისთანა არ მინახავსო. — შემოკრა და კბილები ჩაამტვრია:

— ჩემ ქმარზე უკეთესი ქვე ვინ იქნებაო? გადიო და ოთახი დაუცალეო. წადი და ცხვარი მოგვარეო. ტუმარს პატივი ეცითო. — კარში არ იხედავს, ისე ნახშობს. მოგვარა ცხვარი და:

— წავალ და მოვიყვან ბიუს და გააკეთებსო.

ამოიღო თვითონ ჯაყვა, გახსნა და გამოვიდა იქიდან ბიუი და იმან გააკეთა ყველა და შეკეცა ჯაყვა და შეინახა... მოუყვა ყველაფერს ქალბატონს.

— უნდა მომცე აი ჯაყვაო! სათანაიმ ე ჯაყვა ქთხოვაო.

— დაწვეს ამაღამ ჩემთან და მივცემო. — რა ქნას?

— კარგიო. — გამოვიდა, შეკაზმულა.

— ჯაყვა გამოგზავნოს და გამოვალო! ქალბატონმა შეკაზმა მოსამსახურე და ის მიუშვა. ბეჭედი დაარტყა უკანალზე ამ კაცმა. მივიდა და მოუყვა:

— შევაცდინე და ბეჭედიო დავარტყიო! — წამოვიდა ქმარი და:

— გადი, მომშორდიო.

აუხსნა ყველაფერს.

101. თათარ-შაუ

ერთი ყაჩაღი იყო; არა იყო რა მისი გამძლე — თათარ-შაუ. წავიდა და წაიყვანა ოცდაათი კაცი თანამტანად და ჩავიდენ ერთ ღელეში. უთხრეს: — გვიამბე რამეო! — მე რომ გიამბო, გეტყვი-ყე იმისთანას, რომ მომკვლავთო.— მოუყვა-ყე: — მივდიოდით საყაჩაღოდ და ერთი ყმარწვილი დავინახეთ დიდ მინდორში და უნდა დამეჭიროს და გაგვეყიდნოს. რომ მოვიდაო — რა გინდაყეო? — ვერ დამიჭირავთო, არ შეგიძლია-ყე. — თათარ-შაუს დევეძებო!— რაზე დეეძებო, — უთხარიო. სახელგანთქმული კაცია და თელი საცხოვრებელი უნდა მივცეო. — მე ვარო! ჩამიდვა თავი უბეში და: — შენ მამა და მე შვილიო.. დამეშვილაო; — მე წამოგყვებიო საყაჩაღოდო, — და ერთი ზღვი პირზე მიგიყვანაო. სახში მივედით და იმან ასი ცხენი მიშოვნაო... იმ ღამეს ვიფიქრე. — მოვკლავ ამ ბიჭსაო! რომ მივედი მოსაკლავად, — მამაო, რატომ მოდიხარო. — შემრცხვენდაო; დავბრუნდიო! კიდე და სამჯერო ასეო... დილაზე მუხაქვეშ მჯდარა და ჩამოძინებია. ნაწილიანი იქნებოდა რაღაცა. დავაზილე თოფიო და მოხვდა გულშიო და მტაცა თოფნაკრავმა და დამაყდა გულზეო. მოგვეხვიენ და: — რა მოგვიდა-ყეო? — მე მოვერევიო აგერო, მე შვილად მევექეციო და ამანაო თოფი მკრაო, მარა ძაღლი სისხლში დავისვრებიო... ეგერ ფართალია და შემსუდრეთო, მე ახლა მოვკვდები და ეს არ მომაკაროთო...

აგი ნამდვილია და თათარი თუ იზამდა ამას, წყეული... მერე როცა თათარ-შაუ მოკვდა, წყალი ამოვიდა საფლავში და არ მიიღო მიწამ. დღესაც კდეშია შედებული და სუნი უდის...

102. თვალიკი

თვალიკო, მთაში გაზდილო, დია გიცნობდით ბარადო.
ვიყვარდა რაჯას ჩამოსული, ცხენი გშვენოდა კარქადო.
არ გვითხრეს შენი ამბავი, თვალიკი გახდა ავათაო,
შეექენით კერძთა ტირილი — ნეტა რათია ავათაო?
ღებში ყოფილა ტუმრათა და იქა გამხდარა ავათაო!
მთაში გონი დაიკარქაო, ბარად მოეძებნოთ ქალაო,
ბაბალომ თვალიკი მოკლა, ღებურნი ყველა ტყეაო,
ვერ მოიხმარე ტამბაჩა, ვერცა ლეკური ყეაო.
ეს საქმე ასე არ დარჩებაო, სისხლი ქვაზე არ გაშრებაო.
აურზაურთა ღებურმა ჭიდროთ დაგვიგეს მახებიო,
ქვემოთით მახე მოგვიგეს, ზემოთით მოგვიჩხანესო,
ჭიორის ქალას ალყაჩა ვერ უკავებს-ყე თავსაო.
გაგვიშვით, ჩვენო ალყაჩა, ჩვენი მაცხოვრის მადრაო,
მაღალ ხიდამდი ჩაგვიშვი, ჩვენ ვაცნობებთ-ყე თავსაო,
მოიყვანეს-ყე ოთხი და დაკლეს-ყე გლოელებიო.
დედამ გაზარდა შვილები, შვილები კაი გვარზეო,
ზუთსა დაკიდა ხანჯლები, ბუზი ეგება წვერზეო,
ხუთსავ დაკიდა თოფები, ნაქები ყირიმ გვარზეო,
ხუთსავ ხრმლები დაკიდა, ნაქები ფრანგეულ გვარზეო,
ხუთსავ ცხენები მოგვარა, ნასუქი მაღლა მთაზეო.
— წადით, მომგვარეთ ი ქალი, განთქმული ქვეყანაზეო!
წავიდენ, ქალი მოყავს-ყე, კურსხალი მოდის თვალზეო,
წინ კაცი შეეყარა-ყე, ნაქები ფშაველ გვარზეო,
— ვაუნო, სად მიგყავთ ე ქალი, ცრემლი რომ მოდის
თვალზეო?
— წადი, მოგვშორდი, წეეთერ თავი გზაზეო.
— მე თქვენი ქალი მოგცე-ყე. წეერი ნუ შემჩეს ყბაზეო!
ზუთსავ წაკვეთა თავები, დაყარა შარაგზაზეო,
ქალი პატრონსა წაგვარა, ქვე კი ვერ მიყვა კარზეო,
— მე შენ კარზე ვერ მოგაყვები, მტერნი დამხვდება გზაზეო,
(მოვიდა სახში — ციხეკალაქში)
— ვაიმე, ციხე ქალაქო, გარ გალავანო ქვისაო,
ვადთუ მომიხვდენ ტერები, ციხე დაგიშვან ძირსაო.

103. ბატონყმობა რო გაიყარა

ბატონყმობა რო გაიყარა, უმალ რომ მამასახლისი და სუდია დააყენენ, გა-
შოუთქვამთ:

პირველი დაწყება იყო ამ თებერელი თვეშიო,
დიდი მიროის სუდია შემობრძანდა ჩვენშიო,
თავადებ ღმერთი გაუწყრა — გამორიცხვა ყმებშიო,
ხელში მიცა-ყე თოხები, ახორჩახრიკეთ ტყეშიო,
გაგვიჩინა ლესნიჩები, აღარ გვიშვებენ ტყეშიო,
სოფლის მამასახლისობა სპილოს მიცა ხელშიო,
სამი კაცი სუდიათ მიუყენა გვერდშიო,
სახარებაზე დაფიცა — არ მიმტყუნოთ თქვენშიო,
ასეთ სამართალსა საჯვენ, რომ რომ სოვეტებშიო,
მართალი ებრალებათ-ყე, მტყუანს ურტყამენ წვენშიო,
ე შაირი მე გამოვთქვი, ამ თებერელი თვეშიო,
ბრავის უსწაელებია, ნუ გამოვწყდე თქვენშიო...

104. ვარსილოვი

ვერჯის პრენისა ნუგეში ქუდმოხდილი გელიანო,
მოადგილეთ ვარსილოვი, კნიაზს გეძახებიანო,
სიბოვშით განათლებულხარ, მარა ძველი პლერტი გაცვიაო,
ვერ გიგუებს ვარსილოვი, რახან თავიკაციაო,
რაკაში მოხელეები გააკეთა რაკამაო,
ქუთაისში ნატრულობენ: — ნეტავ რაკა მაკამაო,
ყელი ჩამიგემრიელა, ხბოებსაც გვიკლეკდენაო. —
მეძმარია დარისპანი დაეაცილოთ ვახტანგსაო,
ვახტანგ ფულით აფალებს, შორით მიუგებს ფარმანდსაო.
ახლა მივდგეთ კლდიაშვილსა, ხმა შეუვდოთ სიკოსაო,
გამოართვა ლურჯი ცხენი, ის ოსებში იყოსაო,
რაკას ზომით ვერ მიუდგა ანგლია და ფრანციაო,
ვერ ვიგუეთ ვარსილოვი, რახან ავი კაციაო.

105. ქვედრულა მოდიდებულა

ქვედრულა მოდიდებულა, თან მოაქვს ტკვ და ველიო,
დედოშვილს დაუქადნია, — მე მომდის ბევრი ქერიო,
— შენი ქვედრულა მოგიკვდეს, თუ ვერ გიცვალო ფერიო,-
მოდიდებულა ქვედრულა, მოტაცა სამოცი კოდი ქერიო.
წისქვილი უკან გაკიდა — წადი და იქა ფქვეიო!
შე მუშუნო (წყაროა უწერაში), რას ბოეხუნობ,
რა შეგიყრია ჩაჩქანიო?...
მე შენისთანა რუები კაბი კალთით ამივსიაო,
ე რაკა და იმერეთი ნარიყალი ამივსიაო.
თბილის ქალაქს მოიკითხე, თავკაცი დამირჩვიაო.

106. საბუნეე თინიაო

საბუნეე თინიაო, ჩამოსხმული ღილიაო,
გადამხტარა ბაღშიდაო, ბალქვეშ დაუძინიაო,
თავ ტენტერა წადგომია, — ზეზე ადე, თინიაო!
რო გამხდარხარ, თინიაო, ვით მაისის რწყილიაო;
მობრუნდა და შემოხვდა: — სადაური ვირიაო?
დამდგომია, რას დამძახის, ზეზე ადე, თინიაო!
— შე საწყალო თინიაო, რატუმა ხარ ძვირიაო,
გადაბრუნდები, მოკვდები, შეგკამს მიწა გრილიაო..

107. ამოვიარე თვალზეო

ამოვიარე თვალზეო, გოგო შემჯდარა ქვაზეო,
თავი ვთხოვე და არ მომცა,
— შენ მგონი ჩემ ქმარს ვერ იცნობ,
ხელი რომ უდევს ხრმალზეო?
დღისი წავა, ნადირ მოკლავს, ღამე უწევარ კლაეზეო.
მე იმას ვერ უღალატებ, უძივარ ხალიჩაზეო.

108. წუხელი რამე სიზმარსა

'წუხელი რამე სიზმარსა ბაღში მეძინაო,
ლხინის ოხა ქვეშ მედო, ყურთნის საბანი მეხურაო,
წითელ ლაფშაზედ ზედ ვიჯედ, ლერჯი მარქაფათ მეკირაო,
ოქრო უნაგერი მედგაო, ვერცხლი მათრახი მეკირაო.
მომეკლა დოლა ირემი, საწკვერტზე შემომეკიდნაო...
— ბიჭო, რას ცრუი, რას ტყუიაო?...
'წუხელი რამე სიზმარი — საღორი კარსა გეძინაო,
.ქვეშ ჩალაჩულა გეგოო, ნაბდი ნაგლეჯი გეხურაო.
წითელ ტურაზე ზე იჯექ, მანჩი მარქაფათ გეკირაო;
:შე რომ პატარა ვიყავი, ვთამაშობდი ვერასაო,
დედამთილი მარიგებდა, — ეთამაშე ყველასაო;
'ხომ გითხარი, დედამთილო, ნუ გამგზავნი წისქვილსაო,
.ვაქკაცნი ჩამოიელიან, დამადებენ სირცხვილსაო.

109. შეიდურმა წაიყვანა

'შეიდურმა წაიყვანა მოკაზმული თრითინეო,
:შუა გზაზე რომ მივიდა, ქალმა უთხრა — ურქინეო,
ურქვინე ქვე რა საქმეა, ჩემ საიას ჩაეცვამო,
ქინქველა, ჩემო დობილო, ფარჩი კაბა მათხოვეო,
'შენმა დობამ, ჩემმა დობამ, გუშინ გოგომ წაიღოო,
დღეს დილას მომიტანაო, აქეცე და დაკეცეო,
'ჩაედ ზანდუკაშიდაო.
'ნაფთვიანი ჩაყოლოდა წყეულ ზანდუკაშიაო,
.დილას ადრე წამოვდექი, ფერფლი მეცა თვალშიაო;
დავჯედი, ბევრი ვიტირე იმ ჩემ დარბაზაშიაო,
'შემომეწრო დედამთილი — რაზე ტირი, ხვაშიაო!
— ნუ მიწყრები დედამთილო, ფარჩი კაბა დამწვიაო.
დეკანოზი პატარძალსა აკოცებს და უზამს თვალსაო,
:მოჯდებოდა დედამთილი, უკეთებდა თავსაფარსაო;
მამამთილი მეენახშა, — გოგო რას შვები მაგასაო?
— მამამთილო, რაზე მიწყრი, შენ მოგიტან, განა სხვასაო,
თუგინდ ვენახი იყიდე, გინდ მიუმატე გვარსაო!

110. გოგო, ე შენი სიკეთე

გოგო, ე შენი სიკეთე მაღლა მთაში მიაბბესა,
ასაფრენათ დეევპირე, მაგრამ ჯაკვით დამაბესა,
ჩამოვიარე ხიანი, დაეწწე წიფელაო,
გოგო, აქით მოიხედე, ჩემო ლოყაწითელაო!
დაეყარე ჭადი მარცვალი, რა აკრებს წიწილი მეტიო,
შესა ჩემსა სიყვარულსა რა გაყრის სიკვდილს მეტიო?
ღამე დანიავებული ქათამს აუკეკიაო,
'შენი სიტყვა და პასუხი შაე ძაღს დაუყეფიაო.
— შენ, გოგო, ქვე რას იმლები ასკილ-ეარდი-ვამლივითაო,
სუ რო გასკდე კვახივითაო, არ გაკოცებ ცოლივითაო...

111. ურავს და ლიხეთს შაირსა

·ურავს და ლიხეთს შაირსა ვინც რომ გამოსთქვამს, წესია;
·ილსე ლიპარიშვილო, რა მოგვიდა ესია,

ტყუილა ლაპარაკობით ეგ ენა მოგილესია,
არ იცოდი მუშაობა, რათ გეერიე თემშია,
გიჯობდა მჯდარიყო, კვერი გეჭეროდეს ხელშია.
დაბრუნდა უბედურმა ამ მარობისთვეშია,
რაც რომ ურავს ეაჟი იყო, კეტი ეჭირა ხელშია,
მათ ეგონა, მათი ფახით ლიხეთლები შეცვინდებიან ტყეშია,
შეიცადენ ლიხეთლებმა საღერიცვალო ბეკშია.
ონა ჩალადრე მოყავ-ყე, ეითა მსარდალი დაარქვეს,
რავარც რომ ჩხუბი შეიქნა, მაშინვე თავში დაარტყეს.
რეხვიაშვილო, რას მორბი, რა მაგრე მოჩქარები,
თუ ეაკაცობას იქადი, ძმასა რათ არ ეხმარები,
მარკოზა წამოგვეწია ნიფხავ-პერანგი გახდილიო,
დაიცადეთ, ლიხეთლებო, თუ რა დაგვადე ძრახვილიო!

112. მამაც ერეკლე ნეფესა

მამაც ერეკლე ნეფესა ხვთისგან დაყვა მკლავში ძალი,
ამ ქვეყანაზე ნაკურთხი წელზე შემოირტყა ხრმალი,
ტიტველა ოქრო ხანჯალსა ზედიზედ უზის თეალიო,
ხვთისგან დადგმულსა გვირგვინსა თავს უზის ოქრო ჯვარიო.
გადმოდენილან თათრები გადმოილაშქრენ ასტრახანსო,
გადმოიარეს მთანიო.
თორმეტი ათასი კაცი გურჯი ყავს მეომარიო,
თორმეტი ხანი თან ახლავს, სუფეელა მისი გვარიო.
ხანებ თან ახლავს ცოლები, აზად-ხან დედოფალიო,
გორაზე კარი გაწაფა, ლამაზი სანახავიო;
ზე სტარეჯობა გაფინა, დაბძანდა აზად-ხანიო,
იძახოდა თუშიყულეფ: — მომიტანეთ საქმელიო,
ნუზლი და ნუზლი საქმელად, თურეჯ-ფურეჯი ფლავიო,
გადმოიხედა დურბინდით, დაუძახა მეფე ერეკლეს;
— სად წახვალ ღორიკამია? — გეიცინა მეფე ერეკლემ:
— არაფერიო, მებოტნეს გიგავს ჯარიო,
არიქა, ქართლო-კახეთო, მამაცი ხარ და ძმანიო,
გვეეკცეთ ვერსად წაუვალთ, ცოლშეილამდინ მოგყვებიან,
ცხენი არა გვყავს ჩქარიო;
ისევ შევწიროთ ყოვლი წმინდასა, ავიღოთ ბრძენი ჯვარიო,
ამდენი საუფლისიო სუ შენი ქრისტიანიო,
ნუ დაანებებ ურჯულოს, ისევ შენ მოგვეხმარიო,
დიმიტრი ყაფლამიშვილსა შერჩა ხელი და მხარიო.
ათი თიბი გაიტანა, კაცი არ მოუხმარია,
ისე გაკაფეს თათრები, როგორც კომბოსტო მხალია,
ვისაც რომ ცხენი არა ყავს, აქლემი მოუყვანია.

118. ამბავს თუ მკითხავ

ამბავს თუ მკითხავ, მე გეტყვი, დასაქცევ ყირიმისასა,
ჩემს და ჭიშჩიყისასა.
ღვინო მთხოვა და ვასმევდი, ურჩევდი ბადაგისასა;
პური მთხოვა და მივართვი, ურჩევდი ქაბაბისასა,
ხორცი მთხოვა და მივართვი, ურჩევდი ბატკანისასა,
ცოლი მთხოვა და ვერ მივე, ჩემი ვარჩიე სხვისასა,
გამოყო ხელი, მოხვია, ეით რომ საკუთარ მისასა.

ქალმა დაიწყო ბურტყუნი — ვაჲმე უღონო ქმრისასა...
ეს რომ ქალისგან შევიტყუე, წაეიკარ ხელი ფრანგულსა,
ნაჩუქარს ცოლი ძმისასა;
ერთი მითანა შემოეკარ, წვერი უშინე ქვისასა,
მობრუნდა, ასეთ შემომწყრა — რისხვასა გავდა ღვთისასა.
იქით ის მოკვდა, აქით მე,
ქალმა შეაბა ურემი, წაეიდა სხვა კაცისასა.

114. ამ გორმა გამომათხოვა

ამ გორმა გამომათხოვა, იმ გორს შევირთი ქმარიო,
მამამა გამომამზითვა, ზესახერავი მაჩუქვა,
მუშას სადილი გაეგზავნე, ქმარსა დამიკლდა ეამიო,
შეუყვარდი ოქრომკედელსა, ბეკედს ჩამისვა ცვარიო,
გარდავეყვე. გარდამიყვანა, გარდასავალსა გორასა,
ქმარმა მომწია თვალიო;
ერთი მომძახა საჩქაროდ: — ქალო, მოგდივა ძმანიო,
დაჯდა და ხრმალი გალესა, ცამდი გაართვა ღარიო,
გამახედვია სარკმელში, მიჩვინა მთა და ბარიო,
ჯერ მომკრა ძუძუ კოკობი და მერე გიშრი თმანიო,
წაიღო, ზეცას დაკიდა, ატირა ქალი-ჯარიო,
მოდგა და ისე ამკაფა, როგორც კომბოსტო მხალიო.
ყველას ასე დაგემართება, ვინც მოიიეღო ქმარიო.

115. ციცუანი ქებას გეტყვი

ციცუანი ქებას გეტყვი, ყმარწვილია პირველ ყმისა,
რომ შეიქნა შვიდი წლისა, მოიკითხა ხელწიფემა,
დაიჯდინა მუხლი ძირსა.
ოცი წლისა რომ შეიქნა, ოსტატ გახდა ზარბაზნისა,
გაულოცა წინამძღვრობა, სულ გაღმართი შაკი ზღვისა,
ადგა ციცუან, მიბძანდა, ჯარსა მიეძღვის წინაო,
თოფი უკირავ ყირმიზის, ხრმალი ფრანგული რკინაო,
ლომივით უკან დაიკერს, ლომივით შეეძღვისაო.
შავ ზღვი პირზე რომ მივიდა, ჯარი დახვდა ერევნისა,
გაუგზავნა მოციქული: — აწ შემებთა და ან წადით,
ან დავთარი დამიწერეთ, წიგნი მომცეთ მამულისა.
— მამაიაღლო, რასა ნახშობ, აქ რუს მამული ვინ მიცა?
მოციქული გაულახეს, მოციქული გამობრუნდა,
მოორე დილა ვათენდა, ომი მოხდა პირველ ყმისა,
თოფი ქუხს და ტყვიეა წვიმსა, ზარბაზანი სხვილა გადის,
ზარბაზანსა და ყვიბორას ზეცას მიაქვს ნაცარ-მტვერი.
მესამე დღეს ჩამოცვივდა ქვეითი და ცხენოსანი,
ისე გაწყვიტა სომხები, სამოცი ხორა დაიდგა,
სულ ნამტვრევი შუბი ტრისა.
ახლა ბძანა ციცუანმა: — მინდა განჯი ციხეც ვნახო,
აქებენ და არ მინახავს, მინდა განჯი ციხე ვნახო,
განჯი ხანმა შემოთვალა: — აქო, მაქო, აქ რა გაქო?
განა კარი ღია გაქო? კარი დაკეტილი მაქო,
ტყვია-წამალი ბევრი მაქ, ხრმალი მოლესილი მაქო!
— შენი ციცუან მოგიკვდა, კარი ვერ გაგაღებიო,
ვერ გადმოგაგდო ტახტიდან, თავი ვერ დაგაკვრევიო,

ვერ გაკამო ღორი ხორცი, რჯული ვერ დაგაგდებიო...
განჯი ხანსა რომ თოფი კრეს, ხარიკით დაიყვირაო,
გამოიყვანა ლაშაზი, ხელზე დეედა ინაო,
აიღო და სომხებს მიცა: — წამომგყარეთ შინაო!

116. ბძანა ნეფე სოლომონმა

ბძანა ნეფე სოლომონმა: — ღმერთო, რომ გამაჩინეო,
ძალი მომე და უღური ტერთაგან გამივლინეო,
მიქებენ კვარაციხესა, ქვიღიეთ ჩაგიდინეო,
ჩემი სხეილი ზარბაზნები იმაში ჩაეყვირეო,
ქვრიეი ვახარე, ობოლი, ბრმას თვალი აუხილეო,
საცა ვნახე აეი კაცი, კედელში მივაკირეო,
სამი წლის ხმელი კალმახი ზღვას ჩავსვი, გავაფრინეო,
სამი წლის ხმელი მამალი ხეს შევსვი, ავაყვირეო.

117—118. წერეთელმა დაიბარა

წერეთელმა დაიბარა ოსმალა და თათრი ჯარი,
გამოკრა და წამოვიდა ჯანყელეან სერესქელი,
ხეუბანში რომ მიეიდა, იქ ეყარა ცეცხლის ალი,
ალი საყდარზე შემოვიდა, გურგლი შემოერტყა ჯარი.
იმ ღამეს სიზმარი ნახა, გზა ბევრი ქონდა საეალი,
კორტოხი გამოიარა, ღელე-ღელე და აეი გზაი,
ცხენი ტალახში ეფლობოდა, ფიჩხმა ახუკვია თეალი.
ყვირილაზე რომ დავიდა, თავზე დაიდგა კარავი.
აცდენი იყო, გვაცდენა, მოგვიტყუა სერესქელი,
სხვეაკ კი სოფელია, მთა არის გადასავალი.
დეესხენ, გაითარეშეს სულ ქალი და პატარძალი.
ორშაბათ დილა გათენდა, თოელმა მოუკირა კარი.
ჩამოუცვინდენ უშიშრად, ალაგ გაქონდა ძანძარი,
ვინც რომ მიაწრო, ცხენ შეჯდა, გაარბენია ყაფარი,
ზოგს დეეკარგა ლაგამი, ეკირა ცხენი ფაფარი,
ზეზე რომ ვეღარ დამაგრდა, ძირს მიწა გაითხარაო.

119. აირივნენ ჭიორლები

აირივნენ ჭიორლები, შეეცალა-ყე მხარიო,
მოკრიფეს თითო მანათი, თარხელას მიცეს კრთამიო,
თარხელამ კრთამი აიღო, გაუწყრა მაცხოვარიო,
ჩაგვიდეე წიხვარგას წილი, ჩაგვათიბიე ფარიო,
ქვეშოდგან მოდის ქალიო, თანდილაშვილის რძალიო,
— რაკა დამსხდარხართ ღებურნო, ბიჭობა ახლა არიო,
რაც ჭიორას ვამკაცია, ყველა წიხორგას არიო!
ეს რომ ღებურთა შეიტყვეს, ძიმეთ შეიძრეს თავეიო,
შემოვიდენ მაცხოვრის წინ, ერთი არჩევა არიო,
დასხდენ და წიგნი დაწერეს, ზედიზედ დასვეს ჯვარიო.
— ჩვენ რომ კაცი შემოგვაკლდეს, სულ ხომ ერთობა არიო,
გამოილაშქრენ ღებურნი, ვით რომ ამბული ზვარიო,
ველებზე რომ მოაწიეს, ერთი არჩევა არიო:
— დავყაროთ თოფ-იარაღი, ჩვენთვინ სირცხვილი არიო,
დავიკრათ არყი კეტები, მას დაულოკოთ თავეიო.

რომ შეეიდენ ნაომარზე; — დიცადეთ, ჭიორლებო, ბიკობა
ახლა არიო.
ბადუაშვილმა ვანიამ გამოარბინა გვერდაო,
ი უმალ გაქცევითვინა იმას მოუკვდა დედაო,
ჭიორლები აპირობენ სამსახურსა ხატისასა,
კვერნას კატებს დაუგებენ, ტყავ გაკიმავენ კატისასა,
ღებურთ კაცი გაუგზავნეს — რას გვიბრძანებთ ამისასა.
ღებელებმა შეუთვალეს: ძირში ხელი მოკრა მზარეულსა
მაგისასა.
უმფროსებმა მიცემდით-ყე მხარმაღალსა თაგვისასა,
თაგვი ავათ გამხდარიყო, ტანში იყო ლერწმითაო,
ეს რომ კატამ შეიტყო, თმა იგლიჯა წეწნითაო,
ადგა კატა წამოვიდა ასი მისი გემითაო,
თაგვისა კარსა ჩამოხტა ფურეზი კარაკითაო.

119.[11] სახლი არ მიყვარს მითანა

სახლი არ მიყვარს მითანა, კასლიკე მეწვეთიანი,
ქალი ძვირფასად ნაყიდი, ყვერბის თავს მეკვნესიანი.

120. წყალსა ნაფოტი მოქონდა

წყალსა ნაფოტი მოქონდა, ალვი ხის ჩამონათალი,
— დაჯექ ნაფოტო, მიამბე საყვარლის შამონათვალი,
— რა დავდე და რა გიამბო?
წყალში ქვასა მგორვალესა ხავსი არ მოეკიდება,
საყვარლის მოლოდინესა ძილი არ მოეკიდება.
საყვარელსა კარზე ძროხა მოპარესა,
რომ გაიგნო მისიაო, ისევ უკან მოგვარესა.

121. საყვარელო, შენ და მეო

საყვარელო, შენ და მეო, შენ დღე გიყვარს მე ღამეო,
ღამე ბნელი, და ვერ მოვალ, მოვალ გათენებასაო;
გათენებული მეგონა, მომაღორა თვარემაო.
— თვარეო თუთხმეტისაო, გამნათებელო ცისაო,
შენი ჭირიმე თვარეო, ღამაზ ქალს შემაყვარეო,
გათენებამდე მამყოფე, გათენდეს — გამაპარეო!

122. ზეცას ვიყავ

ზეცას ვიყავ, ზეცა ენახე, მარსკვლავებსა დავეძრახე,
თვარემ კაცი მომიგზავნა, თუ აქ იყავ, რათ არ მნახე,
— რა ვქნა, მოციქულსა ვერ ვენდევიო,
თუ გიყვარდე, მარტო მნახეო,
სიყვარული შომანახეო.

123. მამასა კითხა შვილმა

მამასა კითხა შვილმა: — მთა ჯობსაო თუ ბარიო?
— შე გლახა, არ გაგიგონია? — თივა მთისა ჯობს,
რეგვენო, ღვინო და პური ბარისაო...
მთას ვიყავ, გრილი წყარო ვსვი, ბარად მაპარსა
ვყვარობდი.

123.[11] ფაიყვანეს თამარ ქალი

ფაიყვანეს თამარ ქალი, შესვეს ცხენსა შეკაზმულსა,
ვაი ცხენის ფერასაო, რაც ცხენს თამარ შეჯდებაო.
თამარი მივა ჩერგეზსაო, მიარაწკუნებს ჩექმებსაო,
გასუქებულა თამარი, გამსილა თეარესავითა,
მიეფინ-მოეფინება მაისი ყანასავითა.

124. მე ქვემოთიდან გიახელ

მე ქვემოთიდან გიახელ, ქიმშიყი ბოლოდგანაო,
ქიმშიყმა კაცი მომწია, წინ ლეკი დაგიხვდესაო,
ნეტავი ლეკსა შემყარა, ვასესხო ცხელი ფინთიხი,
ლეკური კისერზედაო.
პატარა ნაბახვარშიო შიგ ჩამალულა ჯარიო,
მივედით, წამოგვაქციეს, ვით რომ ნადირმათ-ხანიო.
ბატონსაც ცხენი მოუკლეს, თავს უკრეს ზარბაზანიო,
ბატონი ქვეითად მორბის, ხელში უპირავს ხრმალიო,
დათუნამ ცხენი მიართვა ოთხ ფეხზე დაქედილიო.
ბატონი მაზე შებრძანდა, ქეეშ უქრის ნიავ-ქარიო,
ბატონმა ცხენი იკითხა, — ე ცხენი ვისი არიო?
— დათუნი ლოტაშვილისო, ე ცხენი მისი არიო.
— დათუნი, ქალაქს ჩამოდი, თუ გინდა ჩემი თავიო!
დათუნი ქალაქს ჩაბძანდა, შინ დაბვდა დედოფალიო.
— შენი ჭირიმე, დათუნი, შენ მომირჩინე ქმარიო?
სასახლეები აუგო, იქ მიცა დერეფანიო.
მამუკო ბატონიშვილი გამობძანდება ჯარითო,
შე პატარა დადიანო, გულფიცხო და მჯავრიანო!
რას იხეთქები მჯავრითა, ვერას წამართვამ ძალითა,
ვერც არა შენი მკლავითა.
ადექ და შენთვინ წაბრძანდი, შენი ურიცხვი ჯარითა.

125. გლოლას რომ ოსი მოსულა

გლოლას რომ ოსი მოსულა, ნავაყაველი გუაო,
მთას ჭირი გადმოყოლია, სოფლები დაყრუაო...
საწყალი აზანიშვილი შუაზე გაუპაია;
ეს ჩოჩხაშვილი ბასილა იმ თხილვანშიდა დგასაო,
ცოლ-შვილი ყველა გაუწყდა, ერთი ობოლა დარჩაო.
ნაყურში რომ შემოვიდა, გაიბალახებს ცხენსაო.
ქაოზიე ჩუმელაო ბეღელში მალავს ქერსაო.
ახალს რომ ვერ მოვასწრებო, რაღას ინახავს ძველსაო?
თამარიკიანთ ბაღათა ყმაწვილებს პარცავს თავსაო,
დღეიწორამდი მაცალოს, თითით მოეთხრი თეალსაო.
ზვიადეეთა ხუცესი გორაზე იდგამს სახსაო,
შეეპარვის უკანიდან, მოუკლავს წითელ ძმასაო.
მაიორის წყალობითა ჭიდროთ ხიდი გავაგეთაო,
ჩამოვიდენ ჭიორლები, ხიდი წყალში ჩააგდესაო.
ამ თასიმ და ბასილამ კლავი მკლავზე გადადეესაო,
ერთმანეთს ეუბნებიან:—ჭიორელთა რა გვართებსაო?!
დაიჭირეს ჭიორელი, წელში ღვლერჯი ჩაბესა,

სახლამდისი არონიეს, ურტყესა და გააგდესაო.
მოიყვანეს ნაჩალიკი, სამართალი გაწყფესა,
ამართეს ოქრო ხატები, შესახედავათ ძნელიაო,
ზედ დააფიცეს იმაზე შვიდოკი ჭიორელიაო.

126. ქალსა ვისმე ერქვა შროშანაო

ქალსა ვისმე ერქვა შროშანაო, ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედიო,
ბეჭდის თვალსა ედგა ბოსტანაო, ბოსტანასა ნალი გართულაო,
ნალთა შუა ნაძეი ასრულაო, ნაძვი წვერსა ქორბუდე იყოო,
ბუდე იყო აბრეშუმისაო, კვერცხი ქონდა იაგუნდისაო,
შეილი ყავდა მარგალიტისაო.
ღმერთო, ერთი ჩემთვინ გაზარდეო, გაზარდე და კარქა
მიმყოფეო,
სანადიროდ გზა გაუკაფეო, წყარო თავსა ინადირებსაო,
ინადირა და ისადილებდაო, ნასადილებს მოკლა ირემიო.

126.[II] ჩემო ცოლო, ხოხობ და ჭრელოო

— ჩემო ცოლო, ხოხობ და ჭრელოო,
მაგ ირემსა ბენეი წაგლიჯეო,
შენ იმისი ჩოხა შემირთვეი,
რაც გადარჩეს — წინდა-პაიჭით!
— ჩემო ქმარო, ლომო და გმიროო,
ლიბნი ხესა ქვეშა უდგახარო,
შეკარ ხელიო და შტონი მოტეხეო,
რაც გადარჩეს — წისქვილ-ბეღელიო!

127. როდეს ლომ-გმირთა ღებურთა

როდეს ლომ-გმირთა ღებურთა დიგორს დატაცეს ცხენ-ჯორი,
დაკაზმეს ბედაურები, ზე შესხდეს ლომი გმირები,
მოადგნენ ფარდაგი ხიდსა, გვარში ვერ ისხდა ჭერები,
ვინც ეაჟი იყო, გახტოდენ, შიგ ჩაციოდენ ბერები.
ახლა დიგორში დასხდენ ვეზირნი, რჩეულნი ბადელოალნი,
აირჩიეს, ვამოარჩიეს, ღები გვყავს საკონლიანი.
მთანი და მთანი აწონეს, სავალათ კირტიშოანი,
კირტიშოს რომ ჩამოვიდენ, გზა დუხედა-ყე წყლიანი,
წინ კაცი შეეყარა-ყე, მადლიანი და ღვთიანი.
რომელს გოგნია ქვიაო, ფიცხად შინიკე გაფრინდა,
ფიცხად სოფლისკენ გაფრინდა, ვით შევარდენი ფრთიანი,
ციხისა დეროს გაიპრა, მაღლა დაიწყო ხმიანი:
— არიქა, ფრთხილათ იყვენით, საქმეა ღალატუანი!
დილა გათენდა მზიანი, ლაშქარსა გახდა ხრიალი,
ღები დაწვეს და დადაგეს, აღარ გაუშვეს ფრთიანი,
ქვემოთით რაჭით მოვიდა შეკაზმულ ჯაფარიანი,
თან მოყენენ გამყრელიანი.
მაცხოვარს სიტყვა მიართვეს ჭკუიანი და სვიანი.
ღმერთო, იცოდე, გვეწყინა შენი ღებისა ზნიანი,
უკან დაწევა შეიქნა, შაშთარი, ორბი ფრთიანი,

გამყრელიძესა აქებენ, რომელს იესე ქვიაო,
რუსული ხრმალი გატეხა, სისხლი უუსა ცხიაო,
გაუბედურდენ ოსები, უკუღმა ეცემიანო.
ისე გაწყვიტეს ოსები, სამარე ეეღარ იშოვნეს,
ღორი ნათხარში ყრიანო.
მერე უთხრა იესემ: — გიჯობდა, ჯანხოფის შვილო,
არ ჩახტომოდე ღებსაო,
წუნობდი ღებურთ თოფებსაო, აბა დახედე კედრებსაო!

127.[11] პირველ საყმონი ვყოფილვართ

პირველ საყმონი ვყოფილვართ ჩვენ ორის ბატონისაო,
ორთა ძმათ არიშიძეთა თუ სწყალობს პირი ხეთისაო;
არ ნაზოგავან ქერიე-ობოლთ, ცოლებს ნართმევან ყმებსაო,
არ შინებიათ ცოდეისა, არც ნაკითხავან ღმერთსაო.
ღმერთმა ულხინოს ზეიადას, ზეიადას ლობჯანიძესო,
არ დაელევა შენდობა, სანამ მზე მიწას უმზერსო,
დიდხანს ყოფილა ზეიადა, რომ არ შეერთო ცოლიო,
ზიზღის თვალით ნაყურება, ცოლს რომ ნართაცა ყოელიო.
ზეიადას უთქვამს: „ღებურნო, მიკვირს, რატომ არ
გრცხვენიათ,
რომ ამდენი ბიაბრობა ბატონთათვის შეგარჩენიათ!
ჯვარს იწერთ, ცოლები მოგყავთ, უწინ ბატონთან მიგყავთო;
გამზდარხართ დედაკაცები, მათი ჩიქილით დახვალთო!
კაცი უნდა კაცი იყოს, არ ჰგავდეს ბებრუცუნასა,
არ იკრუნჩხოდეს შიშითა, ფეხ-ქვეშ არ ეგოს ყველასა.
დროა, პასუხი გავსცეთ მტერს, ბატონთ დავარტყათ მეხიო,
ამიერიდან მათ თესლსა ამოუწმინდოთ ფეხიო.
ხომ კარგათ იცნობთ გაგნიას, ბატონთა მოურავსაო.
დავკრთამოთ, დავასაჩუქროთ, მტრებს ის ჩაგვიგდებს ხელსაო.
სანადიროს წამოიყვანს, ჩვენ ჩავესაფრნეთ ხევსაო,
ჯიღა შვილდები ვესროლოთ, თავი ვაცნობოთ მტერსაო“.
ღებურთა ახალ ეაკათა ზეიადას დასცეს დასტური:
დაიპატიჟეს გაგნია: მიართვეს ღვინო და პური,
შეზარხოშებულ მოურავს ღებურთა უთხრეს ყოველი,
უანგარიშო აჩუქეს, ფიციც მოსთხოვეს ცხოველი.
გაგნიამ უთხრა: „ხვალ დილას წამოვალთ სანადიროსა,
ღამე იქნება, რომ მოვალთ, წინ ჭალის ხიდის ბოლოსა;
წინ ჭალის ხიდის კურტმებში მზად დაგვხვდით ჩასაფრულები.
წინეთ მე შევალ ხიდზედა, არ აგიჩქარდეთ გულები,
არვინ მესროლოთ ისარი, არ წაიწყმიდოთ სულები?
ჩემს უკან ვინც დაინახოთ, ჰკა იმათ მწვავე ისრები,
არ დაზოგოთ მოსაკლავად, ორთავ დასჭერით კისრები“.
შეიარაღდნენ ღებურნი, გასწიეს წინ ჭალისკენა,
გაგნიაც დაფიქრებული გაეშურა შინისკენა.
ღამე ყოფილა, მისული გაგნია ბატონის სახლში,
წამდგარა ბატონების წინ, უთქვამს: „წამობრძანდით მთაში,
ამბობენ თურმე ნადირი ურდოთ დადის საჯიხვეში,
არ იქნება მონადირემ რომ არ მოკლას ოთხი დღეში.
ხელი შევაკლოთ შვილდ-კაპარკეთ, წეერი ულესოთ ისრებსო,
სიზმარიც ვნახე მისთანა, რომ ბლომად დავხოცეთ ჯიხვებსო“.
ბატონთა უთხრეს მოურავს: „წავიდეთ, ჩემო გაგნია,
მაგრამ რა ვქნათ, გვეშინია, სიზმრებმა სულ გადაგვრია.

ერთმა სთქვა: სიზმარი ვნახე, მე ვსტიროდი არა ცრემლით,
ვკვნესოდი, სული მიწუხდა, გული სდუღდა მღელვარებით,
ამერია თავში ტვინი, სასიკვდილოდ მიეიწურე,
მუჯირას ვებჯინებოდი, შემაგრება მოვისურვე;
მაგრამ მესროლეს ისარი, ისარი მოშხამულიო,
სიცოცხლის დღე დამიმწარეს, გლახ დამიკოდეს გულიო.
ეს ვნახე, ჩემო გაგნია, მე წუხელ სიზმარშიდაო
და ამიტომ წასვლას ვიშიშვი, დღეს სანადირიოდ მთაშიო.
„ბატონო, ნება მიბოძეთ, ეხლავ აგიხსნათ სიზმარი,
სულ ეშმარიტს მოგახსენებ, თუ მწამს დღეის წირეის ზარი.
ბლომად დაეხოცავ ჯიხვებსა, ჯიხვებსა შავის კლდისასო,
ზურგს ავიკიდებ მძიმე ტვირთს, მოკლულსა ნადირისასო.
დაღლილნი, დაჭანცულები, მუჯირებს დავებჯინებით,
სვენებ-სვენებით წამოვალთ, შინისკენ გავეშურებით.
ეს გახლავთ თქვენი სიზმარი, ცხადი, ნამდვილი მართალი,
და თუ ეს ასე არ ახდეს, მომთხარეთ მარჯვენა თვალი“.
დაუჯერეს ბატონებმა, მიპყენენ გაგნიას რჩეასა,
თითო ფარფალა დალიეს, მთვარეში გაუდგნენ გზასა.
ხვეს ჩასაფრულნი ღებურნი ელიან არიშიძეთა;
მოკიმეული შვილდ-ისრები ყველას მზად უჭირავს ხელთა.
გათენებისას მივიდნენ არიშიძენი ხიდზედა,
ღებურნი რომ დაინახენ, ღიმი მოუთ პირზედა,
ზვიადა ეტყვისთ, ბიკებო, არ დამრთოთ ჭირი ჭირზედა,
ყველანი მარჯვეთ იყვენით, მჯავრი ვიყაროთ მტერზედა.
ჭირათ უქციოთ ბატონებს, რაც ლხინი ნახეს ჩვენზედა,
სულები დავაფრთხობინოთ, აქავე, ბოგირ-ხიდზედა“.
ეს სთქვა ზვიადამ და უცფად შეიქნა ისართ გრიალი,
ერთბაშათ დასცეს კიეინა, მოისმა ღებურთ ღრიალი:
„ჰარია არიშიძესაო, ისარი ჭარქაშს ძევსაო,
თუ ბატონობა მოისპოს, დარჩეს ლობჯანიძესაო“.
მოჰკლეს უფროსი ბატონი; უმცროსიც დასჭრეს ფერდსაო,
რიენის მორევში ჩავარდა, შველა შესთხოვა ღმერთსაო,
ცურვით წყალს აპობს, მიღარავს, თავსაც არიდებს ქვებსაო,
უკან ღებურნი მისდევენ. ისრებს ესვრიან ბეერსაო,
მაგრამ არც ერთი არ ხვდება, სანამ არ მივა ღებსაო.
სოფელს ღებს, რიონის პირად, მაღლა გორაზე სახლი სდგას,
გარს გალავანი არტყია, აქ ძვირად ნახავთ ამის ფარდს,
ამ სახლში მდგარა გულითად, გვარად გაეაშველიშვილი,
ავად ყოფილა საბრალო, საბრალო დედ-მამის შვილი.
სახლში შეუდის დიაცი და ეუბნება გულითადს:
„ნეტაი მითხრა, რა უნდათ დღეს რიონის პირს ამდენს ხალხს!
ურდოთ მოსდევენ ბიკები, თითქოს ეძებდენ რისმეს ცქალს.
გულითად, როგორც მისანი, მიხედა დიაცის სიტყვასო,
უთხრა: ამწიეთ, გამიყვათ ამ ჩელტით ბეგის პირსაო,
ხელთ შვილდ-ისარი მომეცით, ისარი მოღერილიო,
ვესროლო წუწკსა მცურავსა, გავაფრთხობინო სულიო,
მე ვიცი ღებურთ ბიკები, ვისაც მოსდევენ წყალშიო,
ამწიეთ, ჩქარა ამწიეთ, გამიყვათ მალე კარშიო“.
ასწიეს ჩელტით გულითადს, ბეგის პირს გაიტანეს,
შვილდ-ისარი და კაპარჭი მიართვეს, მიუტანეს,
უცბად მოსწია შვილდ-ისარს, გახდა რიენისკენ შხეილი,
დასჭრა მცურავი ბატონი, დააწყებინა ღმეილი.

„შენი ჭირიმე, გულითად, რომ კიდეე გერრის ღონეო,
მოგვიკალ მტერი მესისხლე, სახელი მოიფინეო“.
გამართეს ღებერთ მეჯლისი, ღვინო დალიეს ბევრიო,
გულითადიც ადღეგრძელეს, ქება შეასხეს ბევრიო!

127. III დიგორსა დასხდნენ ვეზირნი

დიგორსა დასხდნენ ვაზირნი, რჩეულნი ბადელუანი;
მთანი და მთანი ავწონოთ სავალად კირტიშუანი.
ქვაციხეს რომ ჩამოვიდნენ, გზანი დაუხვედათ წულიანი;
წინ ივანე შეეფეთათ, გამბედავი, ძალუანი;
ფიცხლავ შინისკენ გაბრუნდა, ვით შეეარდენი ფრთიანი,
ციხისა დეროს შეიკრა, მაღლა დაიწყო ხმიანი:
— ეაუებო, ფრთხილად იყვენით, საქმეა ღალატუანი!
დილა გათენდა მზიანი, ლაშქარსაც გახდა ხმიანი,
გაელაშქრნენ საომრათა, მტერს მისცეს დიდი ზიანი.
გამყრელიძესა აქებენ, რომელს ივსე ჰქვიანო,
ქართული ხმალი გასტეხა, სისხლი ყუასა სცხიანო;
ოსებსა ხოცვა დაუწყეს, ჯირკვებივითა ჰყრიანო.
სამარეც აღარ აღირსეს, ღორის ნათხარში ჰყრიანო.
— გიჯობდა, ჯანხოტის შვილო, არ ასტეხოდე ღებსაო,
გეკამოს ოსის ქარჯინა, გამოდგომოდე თხებსაო!

127.1V ჯამათა

სვანსა ჯამათას ამბობენ, ძლიერ მტერობდა ღებსაო,
კარი-კარ დაუელიდა უშგულას ხალდეშლებსაო.
— წავიდეთ გორის ბოლოს, დაუხვედეთ ღებელებსაო,
თხის ტყავები გადაჰყარეთ, ჩოხებს ვიშოვნით ბევრსაო!
გამოელაშქრენ სვანები, ი გორის ბოლოს მთასაო,
ეს ღაღაშვილი ნანიაც რა კაი ბიჭი თქვესაო,
გორის ბოლოს დანადირობს, დაჰყარაულობს წვერსაო.
ჯამათას რომ დაინახავს, გულში ჩაიკრავს ხელსაო.
მიდის და ღებელთ ახარებს: ჯამათა გდია ჩვენსაო!
ე რომ შეიტყვეს ღებურთა, ქვე შეუტევეს მტერსაო,
გორი ბოლოში მივიდენ, იქ ერთი რჩება ქნესაო.
უნცროს-უნცროსი ბიჭები მეწვერედ გაგზავნესაო,
უფროს-უფროსი ბიჭები მეძირედ დატოვესაო.
ბაიკაშვილი ოთეკა იმედსა აძლევს ბევრსაო,
— თუ დავინახოთ მტრებია, ფიცხლად მივცვიედეთ მასაო.
თამაზიკიანთ დეელეთა ვერცხლის თოფს უსვამს ხელსაო,
— თუ ჯამათა დავინახე, მე მოუსისხლამ გვერდსაო!
ე ჯაგომვილი გოგია კბილითა ჰყრიდა ცეცხლსაო,
— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, ფიცხლად მივცვივდეთ მტერსაო.
შალიკიანთი თეალია არყებს ეელება წვერსაო,
ე გამყრელიძე ედუკა ეფარებოდა ქვებსაო.
შახუნაშვილი ქეჩუკა გვერდზე უქნევს-ყე ხელსაო,
ყინწილაშვილი ტატუა გვიან მიადგამ ფეხსაო.
კამეჩიშვილი პაჩელა ოთხს ერთად დაეწვენსაო,
ქეხსურაშვილი ბარუკა ტყვეებს შეუკრავს ხელსაო.
თავგადაკაჩულ ჯამათას შიშისგან სული ძვრებაო,
შეურცხვა მოწიფულობა, ბაძგებში უკე ძვრებაო.

ჯამათა გახტა ფარშია, ფერდში ფინთხი ხვდებაო,
სისხლი გადადის ღვარითა, სვანი ჯამათა კვდებაო.
— ეს იმიტომ, ჯამათაო, არ გაგვიშვი მგზავრათაო,
წაგვართმეული ჩოხა-ნაბადს, დაგვადებდი ვალათაო.
გორის ბოლოში ჩავიდნენ, ჯირითიც გაწაფესაო,
თეერეშოს რო გამოვიდნენ, აღლუმიც აუშვესაო!

127.V მინდორში ალახ-ბულახი

— მინდორში ალახ-ბულახის სული შენ გიდის, იაო,
ამაღამ შენთან ჩამოვალ, იმედი დამიციაო!
— გადმოიარე ბანები, ღია დაგხვდება კარები;
სოფელში ისე შემოდი, ძაღლი არ გაახმიანო,
ცხრა კარი ისე გააღე, ერთი არ გაკრიალო,
ლოგინში ისე შემოსძვერ, ჩალა არ გაშრიალო!

B. ზემორაჭული

128. ხემწიფე თაგვი

მოუკვეტათ ხენწიფე თაგვებს. ამუარჩიეს სატირლათ უმცროსი თაგვი. მიუიდა და:

ცოცუნია კატაო, ეგრე რამ დაგხატაო,
კოხტა, თავმომწონეო, „მიაუ“ გამაგონეო.
ეს არი გასაკვირალი — დაგიღია პირიო,
კბილები დაგიკრეპია, დაგდგომია ჭირიო.
მეტათ არ გავმწარდეო, მე შენ არ მიყვარდეო,
თუ გულს გერჩის, წამოხტენი, აპა, ინაყარდეო!

წამოხტა და სუყველას დეერია და ტყავი გადააცალა ზეთ.

129. მელია

მელა სჭამდა თემზს. მივიდა მგელი. — ნათლია, შიმშილი მკლამსო, ცოტა მიწილადეო. — ვა, შენთვის არ დეეჭირეო? — მაშ, დაჭერა გეცოდინებაო! ქე მაინც მასწავლეო! — მაგაზე კი, ბატონი ბრძანდებიო, წამოდი, გასწავლიო! — ისეთი ყივნა არის, რო ქვასა ხეთქამს. წეიყვანა და საცა ძალიან შხივი არი, ჩააყობია კუდი. თქვი ესეო: — გაებიო დიდათ და პატარაო და გეემგებიანო. გელი იმას ეკი არ იძახის — დიდი და პატარაო, — დიდო და დიდო გეებიო, ხარბათ, მელამ გარშემო სირბილი დეიწყო და იძახის: — ერთი მაგრა გეიყინოს გლი კუდიო! — მივიდა, — აპა, ამოსწიეო! — და ფაცური არა ქნა. — იმდენი გიქნიაო, ხარბათ გიძახნიაო. გეები, გეები, მეტი არ არი, მოვიყვან ხალხსაო და ვაშველიეფო. — წევიდა სოფელში და: — თქვე ოხრებო, ერთი არა ხართ კაცი აქაო? — მელამ: — გელი არი დაბმულიო, დაბმულ გელ ვერ მოკლამთო?

მელიამ შეატყობინა სოფელს. ზოგი ცულით წამოვიდა, ზოგი კეტებით. გელ-

მა რა ეს დაინახა, გეიწივ-გამოიწივა და სუ ძირში ამოწყვიტა კუდი. — მااااპა. სა წახვედი, თენზი აქ დარჩაო! — მელამ: — დეიკარქე, შე ოხეროო, სასიკვდილოთ ხალხი მოიყვანე და ახლა მანდ გავჩერდებიო? — მორჩა.

180. ძაღლი და მამალი

წევიდენ ძაღლი და მამალი, — ავაშენოთ ქვეყანაო! — რანაირათ ავაშენოთო? — უთხრა ძაღლმა. — რანაირათაო და მე ვიყივლეფო და შენ იყეფეო, აშენდება ქვეყანაო! — წევიდენ მართლაც და ძაღლმა ყეფა დეიწყო ხი ძირში და მამალმა ყივილი დეიწყო მაღლა. ძაღლს ქე დეეძინა, დეიღალა. მამალი ისევე ყივა. მელიას მუესმა მამლი ყივილი.

— ეს კაი საქმე არიო, მივალო, ვნახამო. — რას აკეთებ მანდაო? — სოფელი უნდა ავაშენოთო. — ჩამოდი და სახლის ადგილი მამიზომეო! — მე არა ვზომაო, მამასახლისი ხის ძირში არიო! — იმას ეგონა, დედალი არი იქა. — მად არიო, აგიზომავსო! — მივიდა, წამოხტა ძაღლი და ვერ მუეწია და კუდი მუაგლიჯა.

— რაც თქვენ მაგითი სოფელი ააშენოთაო, მე ბევრი მაგინეთაო! — მამალმა დოუძახა: — მიბრძანდი, მოტყუება გინდოდა, მარა ვერ მოგატყუებაო! —მერე წევიდა მელა და მელებს უთხრათ: — ტყულა გვიშლის გაქცევაცაო! კუდები მოვიგლიჯოთაო. — უმფროსმა მელამ დოუძახა: — ტყუან, მელიას ეწიოს გაცხარებული ტყვიაო, თუ შენაო ძალიანი არ მოგჯლოდესაო, შენ მაგას არ მოიგლეჯამდიო!

180.[11] მელიას განაჩენი

ორაგულმა თებზებ ყლაპვა დოუწყო. უჩივლეს თებზებმა, გვყლაპამსო! ჩამოაბეს დიდ ხეზედ ბაწარი. არის სუდიათ დათვი, ლომი და ვეფხი. მელა მდივნათ არი. თურმე მელას ორაგული თებზებს უგზავნიდა. — რა სულელები ხართო! — სუდიებს უთხრა, — რათ გვინდა ჩამობმულიო, საცა მაღალი წყალი იყოს, იმაში გადავაგდოთო! — გადააგდეს.

181. მებადური

იყო ერთი მებადური. გამოხყვა წითელი თებზი. უთხრა, რომაო, — გამიშვიო და თუ რამე გაგიკირდესო (ფხა მისცა), ეს ფხა გამოიღეო და გამოვალ და გიშველიო.

არწივს მოზდევს წერო, კობალი გაარტყა არწივს, — ეს ჩემი შინაური წერო არისო, რას მისდევო! — რახან ეგეთი სიკეთე მიყავიო, გამოიძრო და მახსენე და გიშველიო. მოზდევენ მონადირეები ირემს. სტაცა რქებში ხელი, — სად მისდევ, ჩემი შინაური ირემი არიო. ვინ დაგანებეფს მაგაესაო! — ამოიძრო ბანალი და მისცა, — გაგიკირდეს რამე, აქ მახსენე და გიშველიო! — მოზდევს წევარ-მეძებარი მელას წივილ-კივილით. საცა არი, დეიკერენ. სტაცა ხელი

მელას,— ჩემი მოშინაურებული მელაა, სად მიზდევო! — მელამ უთხრა: — ნუ გეშინია, თუ რამე გაგიჭირდეს, მე აქა ვარო! — გამოიძრო ბანალი და მისცა.

ერთი მზეთუნახავია. სარკეში ხედამს. თუ იმას ქვეყანაზე დეემალება რამე, იმას შეერთვება და იმის ცოლი იქნება ისი. მოვიდა წყალი პირზე და ამოიღო ფხა. — რა გაგიჭირდაო, რაიო? ვერსა დამალამო? — როგორ არაო? — ჩეიყვანა ქვას ქვეშიდან (ქვაქვეშ) და თითონ დეეფარა თემზი. ადგა დილაე და წევიდა. ქალმა უთხრა: — ეგ არი შენი დამალვაო? წყალი პირზე იყავი და თემზი კეფარაო. — მივიდა ახლა და ამოიღო ფთა. — არიქა, მიშველეო, დამალუ სადმეო. — ნუ გეშინიაო! ეიყვანა მაღლა ცაში ერთ დიდ ალაგას და უკან თვითან მიეფარა. გეიხედა, გამოიხედა, შეიხედა მაღლა, დეინახა. — ეხლა ხო აღარ დამინახეო? — როგორ არ დაგინახეო, მაღლა იყავი და წერო გეფარაო. ხოლოთ, საცა თითონა ჯის, იმას ვერა ხედამს, დანარჩენს ყველაფერსა ხედამს. მივიდა, გამოიღო ბანალი ირმის, საცა დოუნიშნა. — რა გაგიჭირდაო, და წეიყვანა გამოქვაბნილი კდე ქონდა, იქ წეიყვანა. შეიყვანა და აქით მუეფარა კარეფში ირემი. ეიხედა, ჩეიხედა, შეიხედა — გამოქვაბნილ კდეში ირემი აფარია. აეხლა მივიდა და მელას უთხრა: — ეს არიო, ისევე შენაო, იმეებმა ვერაფერი. მიშველესო. — მელიამ უთხრა: — ერთი კვირის ვადა უთხარიო! — მისცა ერთი კვირის ვადა. თხარა, თხარა და, საცა ქალი არ არი? იქ მივიდა. მიიყვანა და. თითონაც მიეფარა. ეიხედა, მაღლა არ არი. ჩეიხედა, წყალში არ არი, გაიხედა, კდისკენ არ არი. ეიხედა ამოსავლეთისკენ, არ არი. — შე წყეულო, სადა ხარ, ამოდიო! — აქა ვარ, ნუ გეშინიაო. — ვა! — გაშტერდა, — ამის მეტს არავის. უქნიაო.

132. დედ-მამის გამყიდველი

იყო ერთი მცხოვრებელი, ყამდა ერთი შვილი და მთელი საცხოვრებელი. გადააგო შვილის გაზდაზედ. წევიდა იმ შვილმა და გაყიდა ის დედ-მამა. — ჩემზედ გადააგეთო ცხოვრება და გაგყიდითო ცოტა ხნითაო. — დედ-მამამ უთხრა, რო: რა ვქნათ, შვილო, ეგრე ჰქენიო!

წევიდა ეს კაცი და დედა რო გაყიდა, იმ ფულით ტანისამოსი იყიდა, მამა რო გაყიდა, იმითი ცხენი იყიდა. წევიდა და თავისი სიმდიდრე უნდა რო იშოვნოს. შემოეყარა ერთი კაცი გზაზედ. შეხვდა, რო: — რა არი შენი ამბავი? — ასე, ასეა ჩემი ამბავი. — აიღო და ქაღალდი მისცა. — ამოსავლეთის ხემწიფემ გამოუგზავნა დასავლეთის ხემწიფესაო. მიუტანე ისაო და რასაც ჩემთვის ენდომება, საჩუქარი შენ მოქცემსო! — ამ კაცმა მადლობა გოდუხადა და გამოართვა და ჯიბეში ჩეიდვა. ცხენმა გზა დაჰკარგა. წევიდა და ერთ უზარმაზარ ღელეებში გედვიდა. წყალი მოსწყურდა ამ კაცს ძალიან. მიადგა ამ წყალსა და. ეს წყალი კი არ გადმოდის, ამოსაღებია ძირიდანა, გუბათა დგას. ვერაფერი ვერ მოახერხა, ის ქაღალდი ოთხათ შეკეცა, იმითი ამოიღო წყალი, თვითონაც ამოიღო და ცხენსაც დაალევია. გაშალა, — წავიკითხავ, იქნება რა სწერია ქაღალდშიდო. წეიკითხა: — „ამ წერილის მომტანი სუ ლუკმა-ლუკმა ეიღეო, მამინდომიაო სიკვდილიო, უვარგისი კაცი არიო". — აი, მადლობა, ჩემო დედ-მამავ, რო წიგნი მასწავლეთო, ახლა თქვენი გულისთვინ თავი უნდა დავდვაო, რო ეს წიგნი არ მცოდნოდეს, მამკლავდენო!

იარა, იარა და ერთ ბებერ ქალს მიადგა სახემწიფოში. ამ ვაჟმა უთხრა ქალს, დამაყენეო! — მობძანდი, შვილო! — ღამე გამათევიეო! — გაათევინა ღამე. კითხა, რომეო: — ამ ქვეყნის ამბავი როგორ არიო? — ხემწიფესაო ერთი ქალი ყამსო. ვინც იმას სიტყვას მოუგებს, იმას გაჰყვება ცოლათაო, სახემწიფო იმას დარჩებაო. — ამ ვაჟს სიხარულით ძილი არ მოუვიდა ღამე, სანემ გათენდებოდეს, ვერ მოითმინა.

ადგა და წევიდა, მივიდა კარისკაცთან. უთხრა, რო: — მეო ქალთან შემიშვიო, ვაჟი მოსულა შენთანაო სალაპარაკოთაო! — ქალმა უთხრა: — მოსდომია იმასაო, ოთხმოცდაცხრამეტსაო თავი მოვსჭერიო, ერთი აკლია, ასი შევასრულოო, — ესე შემოგითვალაო. — ნება თქვენი ასრულდესო! — შევიდა და სამი დღე ელაპარაკა. ქალმა უთხრა, რომეო სამას სამოცდახუთმა კაჭკაჭმა ერთი კვერცხი დადვაო! — ვაჟმა მიუგო, ეგ წელიწადი არიო! ქალმა უთხრა, რომეო არც იყო სულიანი, არც იყო გულიანი და ელაპარაკებოდა კაცებსაო! — კდე ელაპარაკებოდა კაცებსაო! — ქალმა: — ის რა იყოო, რო, მინამ ცოცხალი იყოო, ქერი და ბზე ჭამაო და, როცა მოკვდა, ადამიანის ხორცაო? — ეგ ვირი ყბა არიო, მინამ ცოცხალი იყოო, ქერი, ბზე ჭამაო, როცა მოკვდაო, მისი ყბაო სამსონ ჭაბუკმა ეიღო ხელშიდაო და იმითი ათასი კაცი დახოცაო! — ქალმა: — რომელი საფლავისა იყოო, რო იძროდა და დეიარებოდაო? — იოანე იყოო წინასწარმეტყველიო, თემზმა გადაყლაპა და დეიარებოდაო. — ის ვინ იყოო, რო არცა ჭამა, არცა სვაო და, როცა მოკვდაო, სვა წყალიო? — ეგოო მოსე წინასწარმეტყველის ჯოხი იყოო. როცა ჯოხათ იყო, არა ჭამდაო და მერე ეველათ იქცაო და ჭამა მიწა და სვა წყალიო: — ის რა არიო, ღუღუნებს, მტრედიო არ არიო, ბალახს სძოვს, ძროხა არ არიო, წყალშია, თემზი არ არიო? — ბაყაყი არი ეგაო.

— აბა, ეხლა მე გეტყვიო, — სამი დღე ხო ელაპარაკა? — დიდარე იყო და გაღარიბდაო, დედა ტანთ ჩეიცვაო, მამაზედ შეჯდაო; ცხენზე რო შეჯდა, წევიდა, თავი სიდიდრე უნდა იშოვოსო; გზაე სიკვდილი წამუეწიაო, — ქაღალდი რო მისცა ი კაცმა, — ის სიკვდილი აიღოო, ცხენსაც დაალევია და თითონაც დალიაო? მარა მაინც გადარჩენას ელოდებაო? — ამის პასუხი ვერ მისცა. — წადიო და ხვალ მოდიო, მოქცემ პასუხსაო. — წევიდა ამ ქალმა და კაი ქათმები შეწვა. მიხაკდარიჩინთ, ქიშმიშით და მედალით მუცელი გოუტენა, შეახვია თხელ პურებში და გეიყოლა სხვა, ხლებული და მივიდნენ ვაჟთან. მივიდნენ თუ არა, ეს ქალი სხვაბრეა მოპრანჭული და ხმას არ იცვლის, მარა, მოვიდა თუ არა, იცნო.—მოდიო, ჩუმათაო დაეწვეთო. ი ქალსაო ხემწიფის შვილსაო ხო სიტყვა უთხარი, ის რა სიტყვა იყოო?—მაგას ნუ მეტყვიო და, რაც გინდა, მიყავიო!—იმტენი ქნა, იმტენი ქნა, რო ათქმევინა. ე ბიჭი ცოტა დაღალული იყო და ძილმა წეიღო. ქი არ გეიპარა ეს ქალი ძილშიდ? წევიდა, წამოდგა ვაჟი დაღონებული. შეხედა, შალი არ დარჩენია? — ეე, ეს კარგათ არი საქმე! — მივიდა. — მოვიდა ისევე ის ვაჟიო, უნდაო ის წყალი დავალევიო, ოთხმოცდაცხრამეტი რომელი წყალი დავალევიო? — ნება თქვენი ასრულდესო. მივიდა, უთხრა ქალმა, — ესე იყო, ესე იყო, ესე იყოო. შენა ხარო ისაო, დედა ტანთ ჩაიცვიო! — გაჰკვირდენ ხალხი ძალიან. — მოიყვანეთ ბელადი და მოსჭერით თავიო! — გაჰკვირდენ, ეგრე არ არიო, არც მე ვარ, სამი დღეა სიტყვა-პასუხი მოგეციო, და ერთსაც ვიტყვიო და მერე ნება თქვენი ასრულდესო. — თქვიო! — ორი მტრედი მოვიდენ წუხელი ჩვესასაო. გავპტკვენი, უნდა მეჭა-

მოსო, ანაზდეულათ გამიფრინდენო. თუ ჩემ სიტყვას არ დეიჯერებო, გნებავთ ბუმბული მოგიტანოთო, — ბუმბული შალი რომ აქ.

ქალმა ამისი პასუხი ვერ მისცა. — რაღა ბევრს ინაზები, შენ ჩემი ხარ, მე შენიო! — დაჰკრეს ტაში და დასწერეს ჯვარი. გამდიდრდა კაცი. თავი დედამამაც დეიბარა, გახდა ხემწიფე.

133. ლომი და თაგვი

თაგვმა გოდუარა ლომს. თაგვმა უთხრა რო: — გამიშვიო და შეგიბრალებო! — გედიხარხარა ლომა. — შენ რა უნდა შემიბრალოო? — მონადირეებ დოუჭერია ლომი და დოუბამს ჯამბარა და ჯაჭვით. მიჰპარვიან ძინარეს. ისეთი ღრიალობს, რო იქაურობასა გლეჯამს. გეიგონა თაგვმა. მივიდა და გადაღრღნა ის ბაწარიცა და ის ჯამბარაც. ოუშვა ლომი. — აი, ნახეო, რო დამცინოდი, სუსტ სუდგმულსაო შესძლებია შველაო! — მერე ძმობილები გახდენ.

134. გოჭის შეწვა

გოჭი თუ შამფურზე ვერ შეიწვის, მაშინ უნდა წამოწალო (ნახევრად მოხარშო) მარილწყალში. მერეთ უნდა შეწვათ. შიგანი რო აქ, ღვირძლია, გულია, დავშვრით წმინდათ და მერე ბრინჯი უნდა მოხარშო, უნდა ოურიო ბრინჯი და ეს მოხარშულის შიგანი, კარგათ უნდა შეკაზმო; ჩავჰყრათ გოჭის შუცელში, გავჰკერამთ ნეფსითა და ძაფით, გოუკეთებთ შამფურზე, მერე ფეხუნეებს შაკარამთ შამფურზე, რო არ იტრიალოს გოჭმა. გადმოვჰყრით, ძალიან ნაცხობი ცეცხლი იქნება, გადმოვჩხრიკამთ ძალიან, დოუდგამთ, ქოთანი იქნება, ქვა იქნება, ცალ ხელში ჩვენ გვეკავება, ვატრიალებთ და იწვის გოჭი, თან ერბოს უსვამთ, და გოჭი არი შემწვარი.

135. სიმართლის წყარო

ერთი კაცი იყო და სამი ქალიშვილი ყამდა. ცოლი მოიყვანა და გერები შეიძულა ამ დედინაცვალმა. — მამაშორე და მამაშორე! — ამ ქმარს ეუბნება, —შენი შვილები! — წევიდა ეს კაცი და ნახა ერთი აბელაური ვაშლი, წითლად მობრაწული, ბევრი აბია ძალიან. ამოიღო დიდი ორმო, როცა რომ სამი ქალი ჩატეულიყო ვაშლის ძირში. გადააფარა ხალიჩა, დაარხია იმთენი ვაშლი, რო. ჯერ ისე ჩაყარა ვაშლი, მერეთ ხალიჩა გადააფარა და გეიტყუილა ეს შვილები. — შვილებო, დაჯედით ამ ხალიჩაზე და მე ვაშლს ჩამოვრეკამ ზეიდან! — დაჯდენ ეს საცოდავი ქალიშვილები და ჩავარდენ ორმოში თავის ხალიჩით. ზეიდგან ბევრი ვაშლი ჩოუყარა მამამ, დასტოვა სამი შვილი ორმოში.

დაბრუნდა სახლში მამა. უთხრა ცოლს: — დავკარეე ჩემი სამი შვილი, — სანამ ჰქონდათ ვაშლი, ჭამეს ბევრი.

უნცროსი გოგო იყო მუყაითი ბოში. სამი ვაშლი ჰქონდა საწყალს გადარჩენილი. — დაიამ თუ დაიას ვაშლი არ აჭამოს, ყური მოჭამოს, — ეუბნებიან.

შეკამეს და დარჩენ მშივრები. ეს გოგუები რომ ტიროდენ, მოესმა ხმა ხემწიფის შვილს, დაადგათ თავზე. — რა გატირებთ, გოგუებო, რა გინდათ აქანა?— დედინაცვალი გვყავს ჩვენ და ვერ გვიგუა და მამამ მოგვიყვანა აქ და ჩამოგვყარა და გვშივა და გვწყურია.—მოვიდა ხემწიფი შვილი და ამოიყვანა სათითაოდ. სამივე. უფროს უთხრა: — შენ რასი მომქმედი ხარ? — მე, შენი ჭირიმე, რომ გამოვაცხობ, ერთი კვირე კმარა, ბარაქიანი ხელის პატრონი ვარ. — საშუალმა უთხრა: — მე რომ საწებს გავაკეთებ, ერთი კვირე კმარა, ბარაქიანი ხელის პატრონი ვარ. — უნცროს უთხრა: — შენ რას აკეთებ? — მე რომ გავთხოვდები. შვილი მეყოლება და ნახევარი ოქრო იქნება და ნახევარი ვერცხლი.

შეირთო ამ ხემწიფი შვილმა ეს უნცროსი. ესინი კი მცხობლათ და საშმლის მკეთებლათ წეიყვანა. მართლაც, დამძიმდა და ციგანი ყამდა მძიმეთ ხემწიფი შვილს სახლშიდ. რა მინუტში თავის ცოლი მორჩა, იმ მინუტში მორჩა იმ ციგნის ქალი. დებმა უღალატეს დას. მართლაც ეყოლა. წეიღეს სანეხველაზე ეს ოქრო და ვერცხლი დამარხეს იქავ. ეს ციგნის ბოში, — ვაჟი ეყოლა, — ამას მიუსვეს ვერცხლის და ოქროს მაგივრათ. . .

მოვიდა ხემწიფი შვილი და: —რა ეყოლაო? — აი, ბიჭი ეყოლაო აგერაო. ხომ შექპირდაო, ნახევარი ოქრო იქნებაო და ნახევარი ვერცხლიო. ეს უბრალო ბიჭი ეყოლაო! — ამ გულმოსულმა ეს უფროსი და შეირთო და ის გახდა ბოსლის სახვეტლად. ხვეტამს ეს საწყალი ქალი.

ეს ციგნის ბიჭი გეიზარდა იმხელა, ასწავლიან და ვერა სწავლობს, საცრის კვალებსა ქსომს, სწავლა კი არაფრათ მიაჩნია. სადაც რომ იქნება ხეები, მოაჭრევიებს და აკეთებს საცრის კვალებზე კაკაბის კვალებს, ცხრილის კვალებს და აკეთებს ამისთანებს. ამ დროს სადღაცა ნახევარი ოქრო და ნახევარი ვერცხლი დამარხეს, იქ ამოსულა ძვირფასი ხე, საქმის მამასწავებელი. ამ დროს იმ ციგნის ბიჭს ქვე არ მოუჭრია ეს ხე კვალებათ? არი ახლა ის დიდი ხე წაქცეული. არ ინდობს ხალხს, არ იკარებს ეს ხე. ისეთი წმინდანიანი ხე არის, არავის იკარებს ახლოს. ამ დროს ერთი წმინდანიანი ქალი მოდის ხემწიფის შვილთან. ბიჭი მიეგება. ვინც მოვა ამ ხემწიფისას, იმ ხეზე უნდა გადმოაბიჯოს, იმისთანა ადგილზე არი ეს ხე. ამ დროს დადგა ამ ხეზე ეს ქალი და ხემ დეიწყო ძაგძაგი. ქალმა უთხრა ხეს: — დადექ, ხე, საქმის მამასწავებელო! — უთხრა სამჯერ ხეს და დადგა ხე თავის ადგილას. ამას ბიჭი უყურებს — მეჯინიბე. ამ დროს ეს ქალი უკან ბრუნდება. ბიჭმა უთხრა ხემწიფის ცოლს: — ქალბატონო, მე რომ საქმე გეეგე. . . — რაო, შვილო, რაო? — რაი და ეს პატიოსანი ადამიანი რო ჩვესას მოვიდა, ხეზე დაბიჯა, ხემ ძიძგილი დეიწყო: ქალმა უთხრა: — დადექ, ხე, საქმის მამასწავებელო! უთხრა სამჯერ და დადგა ხე თავის ადგილას. — შვილო, ახლა წავა კიდო ეს ქალი, გამოიკითხე, რის მამსწავებელია ეს ხე. სანამ არ გითხრას, არ მოშორდე! — წევიდა ეს ქალი, გამუემშვიდობათ, გახყვა ბიჭთან. კიდე უთხრა ხეს: — დადექ, ხე, საქმის მამასწავებელო! — წევიდა ეს ქალი და ბიჭი გაჰყვა თან. — წადი, შვილო, რო მამდემ უკან! — არა ჩემო ქალბატონო, გინდ მამკალით, გინდ დამარჩინეთ, თქვენ რო წეღან სიტყვა უთხარით და ხე გააჩერეთ! — შვილო, აქნამდი, რასა სწუხდებოდი, აქნამდი გეთქვას, გეტყოდი, შვილო. ამ ხის ძირში, შვილო, ვინცხა კაი ვინმე ჩოუმარხავთ. ყოფილა ნახევარი ოქრო და ნახევარი ვერცხლი. ამოსულა ეს ხე, რომელიც რო ეწვალება ამ ხეზე ერთი ვინმე წმინდანიანი. გეეკვრება ამ ხეზე, კიდეც გაკრულიყო, ესო იესო ქრისტე გააკრეს!. . .

წევიდა წარეთ დაღონებული ხემწიფი შვილი. მოკლა კაკაბი, მოიტანა შესაწვავად. უცფათ დაამთეს ცეცხლი და უთხრა ამას: — ჩქარა, შეწვი, ჩქარა ეს კაკაბი, მოგვიტანე ჩქარა. — კი, ბატონო, ეს კაკაბი სასიამოვნო რამე არი. ჩემი სიმართლე ახლა გამოჩნდება. — გამოკუჭა, გარეცხა, წამოაცვა შამფურზედ, გადმოყარა ნაცხობი ნაკვერჩხალი და დააფიცხა ცეცხლზე. კაკაბი იწვება. ამ საწყალმა ქალმა დოუძახათ: — ჩემო ბატონებო, მობრძანდით ცოტახანი, — დადამთილ-მამათილ-ქმარს ეუნებათ, — ჩემი სიმართლის მთქმელო, ამოიღე, კაკაბო, ხმა. — ამ შუა წვას არი, — ჩემო სიმართლის წყარო. რავაც უთხარი ჩემს ქმარს — ხო მართალი გამოვედი? — კი, ჩემო მართალო ქალო! — ჯერ მამამ გვიღალატა, ჩაგვყარა ორმოშიდ! — კი, ჩემო სიმართლის წყაროვ! — მოვიდა ხემწიფის შვილი და ამოგვიყვანა სამივე. უმფროს კითხა: შენ რას შემძლებელი ხარ? საშუალოსაც. დებმა მიღალატეს. ეს წეიღეს ჩემი შვილი და სანახველაზე დამარხეს, მე კი ციგნის შვილი მომგვარეს. მოვიდა ჩემი ქმარი და ჩემა დებმა ააგულიანეს. უმფროსი ჩემი და ცოლათ შეირთო, მე ბოსლის სახვეტათ გამგზანა. ამოვიდა ეს ძვირფასი ხე, რომელიც რო უნდა იწვალოს ერთმა ვინმემ წმინდანიანმა. ხომ მართალი ვარ, კაკაბო? — კი, კი! — დადუნდა კაკაბი. ბოლოს გეხვრიტა ხემწიფი შვილის გული უდა თქვა: — მე ამ დღეს რას შეეესწარი და ეს რა ყოფილა ჩემ თავზე? მართლა ყოფილა ჩემი ცოლი სიმართლის წყარო და მე ვყოფილვარ გოუგებელი. მე იმას რატო არ ვგრძნობ, რომ ჩემი შვილი საცრის კვალებს არ მოსძებნიდა და მართლა ყოფილა ციგნის შვილი! — ბოლოს შეირთო ისევ თავისი პირვანდელი ქალი. ის უფროსი და კი მოკლა, რომელმაც რომ გააბრიყვა, უღალატა.

186. ზარმაცი დები

იყო ერთი დიდარე კაცი. ყავდა ორი ქალიშვილი. ისეთი ზარმაცი, ისეთი ოხრები, რო პირში ლუკმას ვერ ჩეიდებდენ თვითონ, სხვას უნდა ეპმიოს. პირს ვერ დიებანდენ. ამ დროს გაათხოვა დიდი ერთი და მისცა დიდარე კაცს და დედ-მამამ მისცა ნახევარი ცხოვრება მზითვათ. რახან რო თავისი შვილი არ ეგულებოდა მამაცი, გარჯილი, დარჩა მეორე ქალი გასათხუარი. არი ერთი მეწისქვილე, ძალეზე დიდარე კაცი. ნახა საცხა, მეეწონა მეორე გასათხუარი. უთხრათ ქალის დედ-მამას მეწისქვილემ: — მამეცი, რაა, შენი ქალი! — მე კი არ დაგიკავეფ, შვილო, მარა არ გამაგადგება, ზარმაცია. — შენ იმისი მჯავრი ნუ გაქ, მე გამოვაზარმაცემ. — ამ დროს უთხრა სასიმავრომ:—მოდი, შვილო, რა დროსაც გინდა, დეიწერე ჯვარი, წაიყვანე. — მოიყვანა სამფეხა ცხენი, სამფეხი ძაღლი და სამფეხი კატა. — აპა, ადე, ქალო, წამოდი. — მოიყვანეს ღვდელი. არც კი იკადრა ეკლესიაში წასვლა. სახში დაწერეს ჯვარი. — ჭამე, ქალო, რას უყურეფ, დიდი გზა გვაქ. — მე კი არა, მარა შენთვის დიდი გზა არი. აპა, ადე, ადე. — ვახ, არ შემიძლია, აღარა მცალია, წისქვილზე მორიგია, სხვისი სიმინდი მაქ დასარიგებელი. ადგა ძალაუმანდურათ. — ხელი მაინც მამკიდე და წავიდეთ ისე! — წაჩანჩალდა ნელა-ნელა. სიმავრ თვალი უყო სიძემ: — ნუ გეშინია ქალიშვილის, მე გავაცოცეფ და მადლობელი დამრჩები. — წევიდა. მიდის კატა გლახათ ძალიან, გვერძე გვერძე მიდის. უთხრა: — ალ მიდიხარ, კატავ, ხო იცი, რამდენი მამიკლავს, — და ხანჯარი ჰკიდია სი-

ქეს. უთხრა ერთხელ, ორჯერ ამ კატას. კატამ ის არ დაიჯერა და კიდე გვერდ-ზე გეიწია. იძრო ხანჯარი. მოკლა კატა. ძაღს უთხრა — გვერძე მიდის, თავის-დონეზე არ აბიჯებს (სამფეხია): — ძაღლო, მოისვენე შენს ტყავში, თვარა, რაც. კატას მოუვიდა, ისე შენ მოგივა. ძაღმა არ დაიჯერა და იძრო ხანჯარი, მოკლა. ახლა ცხენს მოახსენა: — ცხენო, გეყურებოდეს, კატა მოვკალი, ძაღლი მოვკა-ლი, ახლა შენზეა ოჩერედი. — ქალი გასაგონათ ამბობს. ცხენმა ის არ დეიჯე-რა. მეორეთ უთხრა: — არ დეიჯერეფ? ხანჯარი აგერ არი! — ცხენმა ეს არ. დეიჯერა. მეორეთ უთხრა: — არ დეიჯერეფ? ხანჯარი აგერ არი! — ცხენმა ეს. არ დეიჯერა. იძრო ხანჯარი და მოკლა ცხენი. ახლა ცოლს მოახსენა: — ქალო, შენი საყურებელი იყო ისინი: კატა, ძაღლი და ცხენი. სადაც მე დავაბიჯო, იქ. დააბიჯე ფეხი. ცოლი გაშივრებულია, მწარეთ დაქანცული ჯერ სიხარულით, მერე ქმრის ყურებით. რა მოქმედებას სჩადის? ცოლი ცდილობს, რო ქმრის ჭკუაზედ გეიაროს, მარა მეტი ძალა აღარა აქ. ქმარი გეივლის რამოდენიმე გზას. ცოლისაკენ მოიხედავს: მომდევს თუ არა უკან. ცოლს მეტი აღარ შეუძლია. და-ღალული არის და ნელ-ნელა მიდის. — ჩემი ხანჯარი ისეთია, მალე მოგაძრობს. თავს, ჩემს ჭკუაზე წამოდი. შენ ის არ გეგონოს, შენი დედ-მამა რო გითმენ და-პირში საქმელ ვერ იდებდი შენ. ჩქარა წამოდი, წისქვილზე მორიგია!—როგორც. იქნა და როგორც არა, მიატანეს წისქვილზე. — ეს არის ჩვენი სახლი? — არა, აქ უნდა დავარიგოთ ჩვენი ნამუშევარი. ეს სახლი წისქვილია. წამოდი, სახლში. დაგაგდებ დღეს, დღეს წისქვილობა არ შეგიძლია, დაღალული ხარ (ეუბნება. ცოლს). წამოდი დედაჩემთან ჩქარა! — მიიყვანა სახლშიდ. ლოგინი იყო აკეცი-ლი. უცფათ ისკუპა და შეხტა ამ ტახტზე, დაჯდა და მიაწვა ქვეშაგებელზე. მას. ეგონა, თუ საქმელ მიართმევდენ, როგორც დედოფალი. ლუკმაც არ მიაწო-დეს. — ჯერ ლუკმას არ გაქმევთ, სანამ არ გაიკეთეფ. — საწყალი ქალი დაო-სებული, მშიერ-წყურვალი არი მიწოლილი ლოგინზე. დედამთილს უთხრა: — დედა, გენაცვალე, მაქამე რამე! — რა ვქნა, შვილო, მე მეშინია შვილის, მამკ-ლავს. დედაც განზრახებული ყავს. არაფერი არ აქამა დედამთილმა. — დედა, გენაცვალე, არ მაქმევ, მარა ლოგინი მაინ დამიგე. დაწვა საწყალი ქალი, რო-გორც იყო. ლოგინი ააწყო, ტახტი გადმოფალა. სახლი გამოფალა, უცფათ ისკუპა და დაჯდა ისევე. — ჩემო დედა, ახლა მაინ მაქამე რამე, ლოგინი ავაგე, სახლი გამოვფალე. მიუტანა და აქამა ორი ლუკმა. — მეტი არ გეკუთვნის, ამ საქმეს მეტი არაფერი ეკუთვნის. პატარძალი ქამის იშტაზე მოვიდა, მარა საქ-მელი არა ქონდა, არ აქამეს. ახლა დედამთილ ეუბნება: — დედა, მოგეხმარები. გამოცხობაე, წყალსაც მოგიტან, ხოლოთ მაქამე! — მუეხმარა, წევიდა, ბოსელი. დოუხვეტა. ამ დროს სადილობამაც მოატანა. მოვიდა ქმარი მისი. მიახარა დედამ შვილს: — შვილო, აი შენმა ცოლმა რა ქნა: ადგა, ქვეშაგებელი ააწყო, წყალიც. მოიტანა, მეც მომეხმარა, ბოსელი გამოფალა, ჯერ საქმელი არ უქამია! — შვილმა უთხრა დედას: — ახლა, ჩემო დედა, სჯობია ჩვენთან დავაჯინოთ და ვაქამოთ საქმელი! — იმ დღიდგან ქალი დატრიალობს, როგორც ჯარა, სახლშიდ: ქვეც აკეთებს, ქვეცა აცხობს, ქვეცა რეცხამს. ქალი ისე გამოკეთდა, უსაქმუ-როთ ერთი საათი არა ჩერდება, ისეთი კარგად გამოზარდა ქმარმა. ორ კვირეში სულ ისწავლა ქალობა. ამ დროს და შეატყობია თავის ცოლის მშობლებს — დას, სიძეს, მოიწვია: ძვირფასი ქორწილი გედიხადა მას უკან. იმ საცოდავმა. ქვისლმა მას უკვან იყიდა ცხენი, კატა და ძაღლი და მის უკვან დაუწყო გამოზდა. ცოლს. იმასაც ხო ზარმაცი ყამდა. . . ახლა ქალი ეუბნება: — შორს, გენაცვალე,

შორს, სანამდი შენს ხასიათს გევიგებდი, მანემდი რო დაგეშინებიო და შიშს ქვეშ გესწავლებიოს, დიდი ძვირფასი იყო ჩემთვის და შენთვისაც, და ახლა სულ ვიცი შენი ხასიათი და რაც ვარ, ვარ, და დიდი მადლობა გადაუხადეს იმ მეწისქვილეს და მეწისქვილის დედას ქალიშვილის გამოზდისათვის...

137. ერთი მათხოჯის ამბავი

იყო ერთი ხემწიფე. ყავდა ერთი ქალიშვილი. ცოლი ყამდა ძალიან ლამაზი. მოუკვდა ცოლი. ეხვეწებიან ვეზირები, რო ითხოვე ქალი, უქალოთ ვერ დადგებიო. დიდხანს იყო უცოლოდ. — სად ვითხოვო ისეთი ქალი, ჩემ ქალსა გამდესო! — რამდენმა დრომ გაიარა, იმდენი მისი ქალიშვილი მის დედას დეემგვანა. გოუწყრა ღმერთი მამას და უთხრა ვეზირს: — რახანო მეო უცოლოთ ვერ დავდგებიო, უთხარითო ჩემ ქალსაო, რო ისა გავსო თავის დედასაო და გამომყვესო ცოლად! — ვეზირი ხო უარს ვერ ეტყოდა და წევიდა და უთხრა მის შვილს. უთხრა შვილს და ძალიან ბევრი იფიქრა შვილმა. იტირა და უთხრა ვეზირს: — მაცალეთო, ერთი თვის ნება მამეცითო და, რახან თქვაო მამამაო და გოუწყრა ღმერთიო, ჩევიცვამო, ვიყიდიო, კაი ტანისამოსი მექნებაო და დედოფალი ვიქნებიო. ქალი წევიდა, დათვის ტყავები იყიდა, წეიღო მოდისკასთან. — გთხომთ და გეხვეწებითო, ერთ კვირეშიდ მამისწროთო, გოგოსთვინ მინდა, ჩემი ტოლი გოგო არისო და გამეხარებაო. — მართლაც შოუკერეს, რაც ღირდა, სამი იმდენი მისცათ ფული, ხოლოთ ერთ კვირეში დამიმზადეთო. ჩეიცვა და წევიდა. წევიდა, ტყე-ტყე იარა, სპამს ბალახს, მიდის და სპამს, არის ბალახისამარა ქალი. გედვიდა სხვა სახემწიფოში. მინდვრათ არის და ხემწიფის შვილი მიდის თავის ვეზირებით სანადიროდ. ამ დროს ტყის პირს არის ეს ქალი. დათვად არი ეს ქალი გამოკაზმული. ამ დროს ხემწიფის შვილმა: — ვუიმეო, ნეტავი დავიჭერდეთ ამ დათვსო! — ვეზირებ ეუბნება. ამ ქალმა რო ეს გეიგო, ნეტავი დევიჭირამდეთო, უფრო ნელ-ნელა გაჩერდა და პუწკნის ბალახ. ამ დროს მიახლოვდენ და დეიჭირეს დათვი და მწარე გახარებულმა ხემწიფი შვილმა მიიყვანა დათვი სახლშიდ, მიუტანეს მარცვალი, არ შეჭამა, მიუტანეს. დაფქული-მოსვრილი, — არ შეჭამა. მერე ხემწიფი შვილმა თქვა: — შეიძლება ყველი შეჭამოსო! — მიუტანეს, შეჭამა. მიუტანეს შემწვარი ქათამი. — რახან ყველი შეჭამაო, უმი არ უნდა. მიუტანეს პური, კარგი ყველიანი. ეს ძალიან უხარია ა ხემწიფი შვილს. ყავთ თავის სახლშიდავე, ამ დროს აბანოში მიდიან დედ-მამა და ეს შვილი. — შვილო, წევიდეთ ახლავე, — შვილმა უთხრათ: — მე ვერ წამოვალ ისე, თუ ე ჩემი დათვი არ წამოვიყვანე. — შვილო, დათვი და აბანო ვის გოუგონია? — არა, მამა, მე მსურს და გამეხარება. უნა წამოვიყვანო. — წეიყვანეს აბანოში, წაჰყვათ. რო ჩევიდა ეს ვაჟი აბანოში და გეიხადა ამ დათვმა, ამდენი ხნის ნაწიალევი, და ჩავარდა ვანაში. შეყვირა დედ-მამას საოცრად შვილმა: — დედა, ეს ხო დათვი არა ყოფილა; ეს ოქროს ქალიაო! — წამოიყვანეს დიდი სიხარულით სახლშიც. გედიხადეს დიდი ქორწილი. დასწერეს, ჯვარი, ცოლათ შეირთო. ამ დროს დამძიმდა და ეყოლა კიდეც ვაჟი. წლის რო შეიქმა ეს ვაჟი, იმ დროს გოუგია იმ სულამოსავალ მამას. ჩოუსვამს გლახური ტანისამოსი, მათხოჯურად. გამოკაზმული. წასრულა, გასდგომია გზას, მისულა იმ ქალიშვილთან, უპოვნია, უთხოვია, — მათხოვარია, — საკმელი, ამ მათხოჯს. ამ

დროს გოდუხედია და უცვნია ქალს მამა და მამასაც უცვნია შვილი. იცვნეს მამა-შვილმა ერთმანეთი, მარა არ ამხელს შვილი. ამ მათხოჯმა თქვა: — დამაყენეთ, თქვენი ხვთისეულისთვინო, ნუ შუაკმევ მგლებს ჩემ თავსაო. ქალმა უთხრათ, რო: — რაო, მაინ და მაინ უნდა დააყენოთო? — რათა, შვილოო, მართლა ხარ და ნადირიო, როგორ თუ არ დავაყენოთ მათხოვარიო. დააყენეს მაინ. ამ დროს მოითხოვა, რო ქალის ოთახში დამაყენეთ, ბიჭუნა მიყვარსო, გამეხარება ბაღანა-ბოში რო დეიწყებს ჯაჯღანს, მიხარიაო! — ამ დროს დააყენეს, რა თქმა უნდა, ქალის ოთახშიდ. ბოშმა ტირილი იცოდა ღამე. რო იტირა, იტირა, მერე როგორც შვილმა დეიძინა. ისე დედამ დეიძინა. მათხოჯს არ დოუძინია. წევიდა, თურმე იმ შვილის ჯიბაში ჯაყვა ქონია გაპარპალებული, ამოუღია ეს დანა და ოუკრია ბოშისთვის ყელი და ისევე ეს სისხლიანი დოუკეცია და ჩოუდევს ქალის ჯიბაში. ამ დროს გათენდა და გამოვარდა დედამთილი. — ჩემო შვილიშვილუკაო ყოველ ღამეს სტიროდაო, არ აცდენს ღამესაო და წუხელი რატომ აღარ იტირა? — გამოვარდა უცფათ რძლის ოთახში და ნახა. უცფათ გადახადა აკვანი, ყელი გამოჭრილია, დასისხლიანებული. იკივლა და გავარდა გულუკუღმი. — ვინ მამიკლა შვილიშვილი? — შეიძრა თელი სოფელი, ყველას გლახა ფერი გადაადგა. ვინ ჩავარდა თქვეს ცოდვაში, ვინ მოგიკლათ შვილიშვილი? ადგა ის სულამოსავალი, მათხოჯი, და ილაპარაკა: — ვაი ჩემ პირს, რო ვიტყვი. მარა შეიძლება დედა საცოდავია, მარა ჯიბაში ხო არ ექნება ჯაკვი და უცფათ ეეშალა ნერვები, ვერ მოისაზრა და დაჰკარქა მოთმინება და გამოსჩრა ყელი, გოუგებრათ შეინახა ჯიბაში. შეიძლება ბევრსაც სწუხდეს, მარა რაღას მუეწევა? — ნახეს მართლა დანა, სისხლიანი დანა. — დათვი სიდათვეს არ მოიშლის, მართლაც ყოფილა დათვი, და მართლაც ყოფილა შვილის მკვლელი! — მოსჩრეს მარჯვენა ხელი, გოუხვიეს კალთაში ეს ყელგამოჭრილი შვილი, გადაადგეს, სადაც რო დიდზე დიდი კდე არი, ხრამი, ღელე. — ამის ღირსი ყოფილხარ და ასე იყავი შენცაო! — ტირის ახლა ეს ქალი — ცალთვალა, ცალძუძუ, ცალხელი. გამოეცხადა მიქელ გაბრიელი მთავარანგელოზი. — ნუ გეშინია, ქალო, მე ვარ გამცოცხლებელი შენი და შენი შვილისაც. ერთი ჩამოივლისო მღვრიე წყალი ძალიან. მეორეთ ჩამოივლის თლათ სისხლიანი წყალი და იმითი გეიგეო, რო, როდესაც სისხლიანი წყალი ჩამოივლის შენს კარსაო, მაშინ იცოდეთ, რო მამიშენი სახემწიფოს სუ ნიაღვრობა ექნებაო, ისე მოიტლიკება, რო ნამყოფიერება არ ექნებაო. მერეთ ჩამოივლისო ოქროსფერი წყალი. ჩააგდე ხელი და ხელი ხელათ დაგრჩებაო, ძუძუ მოისმი — ძუძუ ძუძუდ დაგრჩებაო. მერე მოუსვი ბიჭუნას და, როგორც ბიჭი გყოლიაო, უფრო გაზრდილი ბიჭი დაგრჩება ხელზედაო. მერე ინატრა კაი პრიამელ მინდორზე კაი ძვირფასი სახლი, იმასთან ერთი უღელი დათვი, ერთი უღელი ნაგაზი, ერთი უღელი ძროხა. სამი ჭიშკარი ექნება. ინატრე ბაღი, შვიდი ვაზი ექნესო, იმთენი ებას, საძრახი არ იქნეს ეს ვაზიო, რასაც კი შესთხომ ღმერთს, ყველაფერი გაგიჩდება. შენი ქმარი კიდე გნახამს შენო. — მართლაც, ჩამოიარა ჯერ მღვრიე წყალმა, მერე სისხლის წყალმა, ოქროს წყალმა. ინატრა და წევიდა პრიამელ მინდორზე. მართლაც, რაც უთხრეს, ყველაფერი ოუხდა. გაუჩნთა სახლი და შვიდი ვაზი. ამ დროს მწარედ დაღონებულმა ჩამოიარა ქმარმა და ორმა ვეზირმა, სანადიროს მიდიან. ჰკვირობს ახლა ეს ქმარი: — ბევრჯერ გამამივლია აქ და ეს სახლი არ მინახამს. ვინ დეესახლა? ძალიან გასაკვირველია, — და ინტერესი აქვ, რო გეიგოს. ამ დროს ველარ მოითმინა ქმარმა და სამი კურდღელი მოუკლავს და გამო-

უგზავნია. — თქვენი ჭირიმეო, ქირა მიიღეო და ხოლოთ კურდღელი შეგვიწ-ვიო, და თანაც გაანძრახა ბიჭი: — გეიგე, ვინ არიო მართლაც. — მოვიდა და:— ქთხოვათო ჩემა ხემწიფის შვილმაო, რო ეს კურდღლები შეგვიწვიო და რაც გეკუთვნითო, ქირა მიიღეთო! — ახლა ამ ქალმა უთხრა: — არც ქირას ვღებუ-ლობ და სხვა ზაპასიც მაქო და აქ მიირთვითო სადილიო. — დაინტერესდა ეს და დიდი უარი აღარც კი უთქვამს ხემწიფის შვილს. სულ იყვნენ სამი. მოვიდენ, მიიწვია ამ ქალმა. — ვაითუ არ გვიკბინოსო, გიბიათო ნაგაზები. — არაო, მე თუ არ უთხარ, ისე არავის უკბენსო, — შევიდენ ოჯახად. უყურებს ამ ქალს, რას ხედავს, რო თავისად ხედამს, რო საიდგან იყო, არ ახსომს. თანაც ფიქ-რობს: მე თითონ ჩემი ხელით ძუძუ მოვსჭერი, ხელი მოვსჭერი, თვალი მოესთ-ხარე, ბოში კალთაში გოუხვიე, გადავაგდე ხრამში. არცა მგონია, თუ მორჩებო-და, ან წყალი წეიღებდა ან მეწყერი. როგორ დეემგვანა ასე ან ვინ არი? ეს ახლანდელი ამბავია სულ, თან ისეთს ამოიხვნეშებს, გული თან ამოაქვს ბიჭი. დაასხდინა სადილად და გაჩნდა უცეფ სტოლი, არც მომზადება უნდა, შესთხოვს ღმერთს. კარქათ ისადილეს, კიდეც დათვრენ, ბევრი ღვინო დალიეს, საღამოაც მოატანა. ამ დროს ქალმა უთხრა: მიბრძანდით ახლა, გისავთ, გიჭამით, რაღა გინდა მეტი? — ახლა ვაემა უთხრა: — თუ შეიძლებოდეს, აღარც გვინდა არც საჭმელი, არც სასმელი, ხოლოთ გვინდა მოსვენება, დაგვაწვინეთ ბაღშიდ. — ბაღშიდ მოისვენეთ, ხოლოთ შვიდი ვაზი მაქო (შვიდი ღერი) და ის არ გამიკრი-ფოთო—თქვენ რავა გეკადრებათო, ამას როგორ შევიკადრეფო, რო ის მოვკრი-ფოო. — არა, თქვენ კი არა, ვაითუ თქვენმა ბიჭებმა დაკრიფოსო. — არა, ბატონოო, ხოლოთ მოგვასვენე! — ამ დროს დეიძინეს, დაწვნენ. რომ შეექნათ შუა ძილი, ბანგმიცემულათ შეიქნენ. მივიდა ის ქალი და ამ თავის ქმარს ქონდა შვიდი ჯიბა. მოკრიფა სულ, რაც ვაზი იყო, არ გოუშვია არც ერთი კიმპალი. სულ ჩატენა, რო ერთი კიმპალი აღარ დაიტოვა. ბიჭების ჯიბეებს არ შეხებია. დაალაგა, სადაც იყო, ისეე ისე დააწყო. ამ დროს გათენდა. გადმოიხედა ამ ქალმა, თავის ვენახს აღარ აბია ყურძენი. იკივლა ახლა ამ ქალმა: — ღმერთო ჩემო, ეს იყო ჩემი შეხვეწილიო? ეს იყოო? — ამ დროს წამოვარდენ, გედიცვეს ტანისამოსი ამ ბიჭებმა, ეს ქმარი ნელ-ნელა დგება, ოცნებობს — რა მამივიდა ესაო, ვაზები რო გოუკრიფეთო? ამ დროს ეიღო თავისი შარვალი, იცვამს, რას ჩეიცვამს, თლათ გალურთხული არი ყურძნის წვენით, გაწუნწვილი. ამ დროს ჩეიცვამს პალტოს, რას ნახავს: ისიც გალურთხვილი! ამ დროს შეუწუხდა გული და გადაბრუნდა გულუკუღმი. ჩამოვიდა თავისი ქალი, მოაბრუნა კაპლე-ბით. — რათა, რა მოგივიდა, რაზე გამიკრიფე ეს შვიდი ვაზი, ბოში მყამს და მისთვის მინდოდა. — არ გამიკრეფია! — ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. — რავა ბოლო გაკვირვებს? — დეიხედე შენს შარვალსა და პალტოზედაო, თუ არ გაკვირვებსო. — ვაიმე, დედა, არ მიქნია არაფერი და ვინ ჩაყარა ჩემს ჯიბაში ყურძენიო! — არ არის, აპა, შენი მოკრეფილი ე ყურძენიო? — არა, როგორაცა თქვენ არ მოგიკრეფიათო, მისგან უფრო ამ ჩემი შვილისთვინ მე ყელი არ გამომიჭრიაო. რომელმა დედამ გამოსჭრა შვილს ყელიო, რო მე გავბედამდი და გამოვსჭრიდი შვილს ყელსაო. ის იყო მამაჩემიო, მამას უნდოდი ცოლათაო, მას ცოლი უნდოდა, არავინ არ დეემგვანა ჩემს დედასაო. მამას რავა გავყვებოდი ცოლათაო? მოვედიო თქვენს მინდვრებშიდა და მომიყვანეს ცოლათაო. იმ დროს გოუგია ჩემს მამასაო, ჩამოვიდა ის სულუბედური და შვილს გამოსჭრა ყელიო. მე ხომ გეუბნებოდი — ჩემს ოთახში ნუ მოგყავთო, თქვენ მითხარი-

თო — ნადირი ხარაო! ნადირი თქვენ გამოხვედით და არა მეო. ნადირულად თქვენ მოიქეცითო. ჩემა სიმართლემაო (თქვენ ხო ღელეში გადამაგდეთო. ხრამშიდაო) მომცა აქ ადგილიო, სახლი, ყველაფერიო, ნატვრაც მიხდება ყველაფერიო და ღღეს თვალიც მამირჩა, ძუძუც მამირჩა და ხელიც მამირჩაო! — ამ დროს შეატყობიეს დედ-მამას, ძალიან გახარებული დარჩენ, მოვიდენ იმ დროს, ხელმეორეთ ქორწილი გედიხადეს... ჭირი იქა, ლხინი აქა.

188. ხემწიფიშვილი

იყო ერთი ხემწიფიშვილი. არ უნდოდა გათხოვება, კაი ქმარი უნდოდა. როგორც მოსაწონი, მარა მისი მოსაწონი ქმარი არ შეხვდა. მამამ მოიწვია, ქალის მამამ, ხემწიფის შვილები, ჯეელები, სამი ღღე წოულობა ხქონდა სულ. რომელიც მოეწონებოდა, იმას შერთავდა თავის ქალიშვილს. ზოგს დაარქვა შაშვიწვერა, ზოგსა—ქათამს უგამს თავიო, ზოგს—ბატსა ჰგამსო,—ყველას მიზეზი, რომელიღაცას დაარქვა შაშვიწვერა. იმას რაგორ წავყვეთო, შაშვს უგამს წვერებიო. სასიმავროს ძალიან მოეწონა. სასიმავრომ უთხრა ამ სიძეს: — თუ მოგწომს, შვილო, ჩემი შვილი, მეც ძალიან მამწომხარ და მინდა სულით და გულით ჩეიცვა მათხოვრული ტანისამოსი, შეიკადრე მათხოჯური ტანისამოსი, მოდი, და, თუ შენ იქნები, ქუდს ასწევ, მე რომ გადმოვიხედო და მითი გევიგებ, რო შენ იქნები! — ამ ქალის სიყვარულით გაბედა მათხოვრული ტანისამოსის ჩაცმა. შვილმა. ამ დროს გეიხედა სასიმავრომ, ასწია მაღლა ქუდი მათხოჯმა და დაუდგა ოქროს სკამზე, ამ დროს სწრაფად მეიყვანა ღვდელი და დიაკონი სასიმავრომ, დასწერა ჯვარი ქალიშვილზე. ქალიშვილმა ბევრი იწუხა, მარა ვერაფერი გააწამა რა. გააყოლა თან, ფეხით გეიარა რამოდენიმე მინდვრები, — ვის ეკუთვნის ეს ძვირფასი მინდვრები, — ვის ეკუთვნის და შაშვიწვერა ნეფესაო, შენ რომ გეძლეოდა და არა ჰქენი, — უთხრა ქმარმა. — ოი, დამიდგეს თვალები, რა ვქენი?! — გეიარა რამოდენი ტყეები, დიდი ტყე. — ვის ეკუთვნის ეს ძვირფასი ტყეები, დიდი ტყე, სახლები გამოვა შიგ? — შაშვიწვერა ნეფეს, შენ რო გეძლეოდა და არა ჰქენი! — ვაი, რა ღმერთი გამიწყრა? — გეიარეს რამოდენიმე კარგი, ძვირფასი ბაღი. — ვის ეკუთვნის ეს მშვენიერი ბაღი, ძვირფასი? — შაშვიწვერა ნეფეს, შენ რო გეძლეოდა და არა ჰქენი. — ვაი, ქა, რატო არ დამიდგა მაშინ თვალები, რატომ არ წავყევი? — მიატანეს შვენიერ ძვირფას სასახლესთან. — ვის ეკუთვნის ის შვენიერი ძვირფასი სახლი? — შაშვიწვერა ნეფეს, შენ რო გეძლეოდა და არა ჰქენი. — ვაი, ქა, გამიწყრა ღმერთი და ეს არი! — მივიდენ პატარა ქოხთან. — ქუხნასახლი ვის ეკუთვნის და ჩვენ გვეკუთვნისო. მოგიტან მატყლს, თითისტარს, კვირისტავს, საჩეჩელს და ტარს. გაჩეჩე, ჩამოართვი, მოქსოვე და მე წევიღებ და გავყიდი და ამითი ვიყიდით ლუკმას და ვჭამოთო. — ვუი, რა ღმერთი გამიწყრა, მე სულ არ ვიცი რთვა და ჩეჩვა. — იცი, თუ არ იცი, მე არ ვიცი, უნა ჩამორთო. ჯერ გამოაცხვე. — წევიდა ეს ნეფე და მოუტანა დაფქული, კეცები, მიაყარა თითონ ნეფემ ეს კეცები და მოზილა ცომი. კეცები გადმოიღო ნეფემ, მარა ქალმა რო ჩასვა, ხელები დეეწვა. მივიდა გულმოსული ნეფე და თითონ ჩაეწკიპინა. — შენ სულ არ ვარგებულხარ ჭამის მეტად. — ჭამეს, მერეთ საჩეჩელი და მატყლი მოუტანეს და დაჯდენ ორივე და დოუწყეს ერთათ ჩეჩვა. ხელები გადაახიე სა-

ჩეჩელს ქალმა, მივიდა ქმარი და ქმარმა გაჩეჩა. — მე ვჩეჩამ, მარა შენ ჩა-მორთი ახლა, ჩამორთის ხო არ ვიცი მე? ქმარი ეუბნება. — თითები დამისკდა, საით ჩამოვართო? — გულმოსულმა კაცმა წევიდა: — არა, რა ვქნა, მეტი რა ჯანი მაქ, უნდა ვიმათხოვრო და თითო კაპიკი იქნება მამცეს ვინმემ. წევიდა ბაზარში და მოიტანა ჭილები კაცმა. უთხრა ახლა ქალს:: — არ შეგიძლია ქსოვა-ჩეჩვა-რთვა, რათი წევიდეთ იოლაო, დიდი სირცხვილი! მოდი, წეიღე ეს ქილები ბაზარში, ეგება გაყიდო და მერე კიდო უკვეთესებს გიყიდი და კა-ფასში წაგივა, თუ ესენი გაყიდე. — ვაი, რაღა ვქნა, რო ვინმემ დამინახოს ჩვენებურმა? მერე შემრცხვება. — შეგრცხვება და ჭირი მამჭამე, თუ შეგრ-ცხვება. — წევიდა საწყალი, დაღონებული ქალი, წეიღო კალათით ქილები. დაარიგა ქალმა, რომ: ნაპირზე მიდი და შუაზე ქილები დაწყვე! ქმარი წევიდა წინ-წინ ბაზარშიდ და უთხრათ წინ-წინ ბაზარშიდ ქალს: — მე ჩემ ცოლს ვცდი, რომ ყოლიფერი გაკირება ნახოს ჩემ ცოლმა. მარა თქვენ მიტომ მასხარად ნუკი ეიგდებთ, მაინც ჩემი ცოლია, — და რაც არა ღირს, ორი იმტენი დოუ-ტოვათ ფული. წევიდა ქალი და გაყიდა — სულ თითოეული ქილა ორი შაური ღირდა, მისცეს აბაზი. გახარებული ძალიან დაბრუნდა ქალი სახშიდ და ქმარი კი იქანა უყურებს, რა ქნას! ისიც მიზდევს უკან, მართლა მასხარათ არევინ ეიგ-დოს. მოვიდა ქალი ქოხშიდ, დახვდა ქმარი ძველებში ჩოულებრივ, როგორც იყო. — აი, შენი ჭირიმე, რა კაი ფასათ გავყიდე, მე რო ორი შაური მითხარი, თითო აბაზათ გავყიდე. — რა კაი ქალი ყოფილხარ? კიდე გიყიდი. უკეთესი ინგლისის თიხები უყიდა მერე. მოუტანა და: — ამას უკეთეს ფასშიდ გაყიდი! წეიღო საწყალმა ქალმა, თან მიხყვება. და დაბრუნდა სახშიდ. დახვდა სახში ქმა-რი. — ბეჩა, კაცო, ძალიან კარქათ გავყიდე. — ო, ჭო, იქნება მიაჩვეო ვაჭრო-ბას. მე ახლა უკეთესებს გიყიდი, შენი ჭირიმე! — წევიდა, სულ კარქი შუშის პრიბოლი უყიდა, ჭიქეულობა. მოუტანა და წეიღო, დიდი სიხარულით წეი-ღო. — ამით სულ ავშენდებით, — ქალმა სთქვა. და თანაც ეს დაატანა ქმარმა:— შუა ალაგზე დაალაგე ეს და შენ კი ნაპირზე დადექი! — მართლაც, ასე ქნა, შუა გზაზედ მოაბწკორა სულ და თითონ კი ნაპირზე დადგა. ამ შაშვიწვერას კი ჩოუცვამს, დოუხურავს თეთრი ჩოხა-ახალუხი, თეთრად პირი გოულამაზე-ბია, თეთრ ცხენზე შემჯდარა, ლეკურით, ხანჯლით, მასრებით გატყეპილია შაშვიწვერა. მივიდა ამ ჭურჭელთან გაქანებული ცხენით და სულ დაამზღვ-ლია, სულ დაამტვრია. — ვაიმე, რაღა ვქნა, რა მიყო ი შაშვიწვერამ ნეფემ, ჩემი ცოდვით სამსემ, რაღა უთხრა ახლა ქმარს? ვაიმე, რაღათი ვჭამოთ საჭმე-ლი? საით მიუვიდე ი ჩემ ქმარს? — წასულა მისი ქმარი მაშინვე და ისევ თა-ვის ქოხში დოუხვდა. მივიდა მწარე აკივლებული ეს ცოლი. — ბეჩა, რაღა ვქნა, რაღა მეშველება, რა გითხრა და საით გითხრა? შენ რო მითხარი, რო და-ალაგეო, მოვიდა შაშვიწვერა ნეფე და დალეწა იქაურობა, სულ დალეწა თე-ლათ ჭურჭლები. კაცმა უთხრა: — ვაი, ვაი, დევიღუპეთ, რაღათი ვჭამოთ ლუკ-მა? — საწყალმა დაღონებულმა კაცმა თქვა: — ეჰ, რაღა ვქნა. ამისთანა უბე-ღურ ქალს მტერი შეესწრო, იმ შაშვიწვერას ამაღამ ქალი მოჰყაბს, ქორწილი აქ დიდი ამაღამ, მეტი გზა არი. — უნდა მუეხმარო ლაქიას, რო მოგვახმარეო ქალიო. მეტი რა გზა არი, უნდა წახვიდე! — მწარე დაღონებულმა ქალმა სთქვა: — რაღა მეშველება, რომ ვინმე ჩვენგანი ვნახო იქ, საცინლად ამიგდებენ. — მე რა უყო, გნახონ, შიმშილს ყოველიფერი სჯობიან. — წავალ, აპა, რა ვქნა? — წახვალ, მარა იქით-აქით ჯიბეები სით გიკერია? დაგიკერემ, აპა, ჯიბეებს! —

დოუკეთა ქმარმა ჯიბეები, ორი ჯიბა დიდი, ჩოულაგა ორი ქოთანი. — რომ წამოხვიდე საღამოე, საინები ჩაასხმევიე, ვახშამი მომიტანე. — ხომ დამექცევა, თუ სუპი იქნა, რაღა ვქნა მერე? — რას დავეძეფ, თუ დაგექცევა, ცოტას ხო მოიტან? — იქ ქმარს ნათქვამი აქ; ამეღამ ქალს მიტომ ვაწვალებ, რომ საჭიროა. ხოლოდ ახლა უნდა დავსტანჯოთ დღეს, — მერე გავანთავისუფლოთ! — პოვარმა და ლაქიამ უთხრათ: — რასა ბძანებთ, რავა გეკადრებათ, ჩვენ სუფთა ჰურჭელს მივსცემთ, რომ ტილო გოუსვას მარტო! — ამ დროს საღამო ჟამაც მოატანა. პოვარს უთხრა; რო: — თქვენი ჭირიმეთ, ჩემი ქმარი მშიერია, დღეს არა უჭამია-რა, და, თუ შეიძლებოდეს, აგერ ქოთნები მაქ ჯიბაში და ეგება გაამსოთ საჭამადით! — კი, ბატონო, თქვეს ქმარს ამნაირი საწყები უყვარს და წეიღეთ. — ამ დროს შეიქნა ზალაში დიდი ცეკვა და თამაში. ამ დროს ნელ-ნელა თვალი მიდის იქით ამ ცეკვა-თამაშში ამ ქალს, და ქოთნებით სამსე აქ (წვნით) ჯიბა. ნელ-ნელა მიცოცავს აკოშკისაკენ და უყურემს თამაშს. თან პოვარს ეუბნება, რო: — სირცხვილი ხო არ იქნება ხოლმე დევინახო ცეკვა და თამაში? — პოვარი ეუბნება: — რავა გეკადრება, აკოშკაში კი არა, კარებისკენ მიიწიოთ, რა უჭირს, უმფრო გეგეხარებათ, გეიგონებთ. შაშვიწვერა ტრიალობს, კვიწიალობს, ფეხიწვერზე დგება მეტისმეტ თამაშობით. დაცოცმანობს როგორც რწყილი, თან მისი ქალი მიჩოჩამს ნელ-ნელა, თან ოხავს ქალი: — რა ღმერთი გამიწყრა, რატომ შევხვედე, რატო არ წავყეევი შაშვიწვერა ნეფეს? — ამ დროს შაშვიწვერა ნეფე იმდენს დაცოცმანობს, მოვიდა კარებთან ცოცმანით, სტაცა თავი დატანჯულ ქალს ხელი და შეიყვანა დარბაზში და პადრუჭკით ათამაშებს. — თქვენი ჭირიმეთ, არა ვარ თქვენი საკადრისი, ხელი გამიშვით! — ათამაშა იმდენი, რო ქოთნები დეექცა და უცფათ ქალს გული შეუწუხდა და დეეპერტყა ძირს. არა, ნუ გეშინია, შენი ქმარი ვარ, შაშვიწვერა ნეფეს რო ვიძახოდი, მეც ბევრი ვიტანჯე, შენც ბევრი დაქტანჯე. ისა ვარ მე, შენ რო გეძლეოდი, წამამგვანე — შაშვს გიგამს წვერები. ნუ გეშინია. მე შენი ქმარი ვარ. — დასტანჯა, რახან შაშვიწვერა დაარქვა, დასტანჯა. მუახსენა მუახლეებს: — აპა, მუახლეებო, მოუტანეთ ხელ-პირი საბანი, მუართვით ჩქარა, საჩქაროთ. ეს ჩემი ძვირფასი ქალია. აპა, ჩქარა თეთრები, აი იქით რო ალაგია! — ჩააცვეს, თეთრათ გაპენტეს ქალი და თეთრათ გაპენტილი შაშვიწვერა ნეფე დააჯინეს იქ. მაშინ შეიქნა დიდი თამაში, დიდი ტაშისცემა, მუზიკის ცემა, თავგადასაგდები ოქრო და ვერცხლი სულ თავსაყარათ ქონდათ. დაავიწყდა საწყალ ქალს თავის უბედურება და გაახსენდა ძვირფასი ცხოვრება. ქორწილი ძვირფასი გედიხადეს, მარა საწყალ ქალუკას კიდე ელანდებოდა თავისი ქოხუნა...

189. ვირის ამბავი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი გლეხი კაცი. იმას ყვანდა ერთი ვირი; ხან იქით უკრავდა თავს, ხან აქით. საწყალს ჩლიქები სუ დოუსდა. უსაშმლოობით სული ამოზდიოდა. პატრონი არა ნაღვლობდა. აჰკიდებდა საპანეს, პატრონი ჯერ სცემდა, სცემდა, როცა წეიქცეოდა, ბოლოს კუდს ოუწემდა, გაიგდებდა წინ. ამ ვაივაგლახში გატარა თავისი დღე ვირმა. ბოლოს მოიფიქრა; ე, შე ოხერო ჩემო თავო, რაზე ვეკვლევინები ტყუილა, გასი, გავარდი მინდვრად, მოსვენებით იცხოვრე. ვირი მართლა გეიქცა, გაგარეულდა. შეხვდა ღორს. — ღორო,

აქ რა გინდა, გოჭები არ გიქნია? — ცხრა გოჭი მყავდა, ჩემა პატრონმა ყველა დაკლა და ჭამა, ბოლოს დამიწყო სუქება, მეც დაკვლას მიპირობდა, აბა, რაღა ღორი ვიყავი მის ხელში, მინდერად ცხოვრება ვარჩიე. — მოდი, დავძმობილდეთო! — დაძმობილდნენ. წევიდენ. შეხვდათ თხა. — თხა, აქ რა გინდა, თიკნები არ გიქნია? — როგორ არ მიქნია, შვიდი თიკნები დამიხოცა პატრონმა. დღეში ხუთჯელა მწველიდა, უსაქმელობით სული ამამდიოდა. პატრონი კი არ ნაღვლობდა. ავდექი და მინდერად ცხოვრება ვარჩიე. — ჩვენითანა ტაფაში დახრაკულხარო! — დაძმობილდნენ, წევიდენ. შეხვდათ მამალი. — მამალო, აქ რა გინდა, რა ამბავია ბარათა? — რაღა რა ამბავია, დამიგდო დარდმა: ქათმის სინსილა გააწყო პატრონმა და ყივილი დევიწყე. „გაჩუმდიო, თვარა შენც მიგაყოლებ მაგასაო, მაგ ბებერ კისერს მოგაცლიო!“ — ასე მითხრა პატრონმაო. — შენც ჩვენითანა ტაფაში დახრაკულხარო! — წევიდენ, საქმელი უნდა იშოვონ და ბინა. ბოლოს მამალმა ნახა, სოროში მგელებს ქორწილი აქვთ. თხას უთხრეს: — წინ წაგვიძეხიო! შეგვიყვანე მათთანაო. მეტი გზა აღარ იყო, შეიყვანა. — გოუმარჯოს ჩვენ მასპინძლებსაო! — შევიდენ. წამოდგა უმფროსი მგელი და: — გოუმარჯოს სავახშმო სტუმრებსაო! — აიღო უფროსმა მგელმა და: — ჩემი დიდუურა ერთჯერათ, კარქაფ შემარგეო! მუხასთან სანთელს აგინთებო! — დეიწყო კანკალი ვირმა, მარა სა წავა. მამალი ჯლიკვამს! — ნუ გეშინია, აქ არა ვარო? — მეორემ აიღო, ღორზე მიაშვირა ხელი (მუხასთანა). ღორსაც გასვლა უნდა. ვერ გავა. მესამე თხა, ჩვენი წვერიანი მოძღვარიო, კარგა შემერგეო. მეოთხე მამალი ჩვენი პატარა სტუმარიო. სამადლობელი მისცეს და ყველამ უარი უთხრა. მამალმა ჩამოართვა ყანწი, ლაჩრულათ არ მოიქცა. იმან კი ვაშკაცურა ჩამუართვა ყანწი. — გაუმარჯოს ჩემს უძლეველს ძმობილებსა, ჩემ დიდყურა ვირს კარქა მოახმარებიე ზარბაზანი! შენდობა მამაო, — თხას უთხრა. კინკლიკოო, დეიყვირა. ამ დროს ისეთი დეიყვირა ვირმა, რო სუ რყევა დეიწყო იქაურობამ.

140. მებადურის ამბავი

მებადურმა ბადე ისროლა. გამოჰყვა ზღვის კაცი. ჩამოატარეს ქვეყნიერობა, ხმას არ იღებს. ერთგან გეეცინა — ხალხი ჯის და მკითხავს აკითხვინებს. მეორე გეეცინა — კაცი ხნამს და საბანსა თხრის. თავისკენ დიდ ყანას იტოვებს, სხვისკენ პატარ-პატარასა სტოვებს. მერმე გეეცინა — კაცი ჯის და რკინის ფეხსაცმელს აკერიებს, დიდხანს გამიძლოსო. მეოთხე გეეცინა — ნიორსა სცვლიან ხახვში. წეიყვანეს. ხმას არ იღებს. გოუშვეს წყალში, გამობრუნდა და სთქვა: ეხლა მელაპარაკეთო. კითხეს: რათ გაგეცინაო პირველად? — რა გამეცინაო და ი ქვაქვეშ ხახვინა იყოო და თუ კაი მკითხავი იყო, რატომ ვერ გაიგოო. მეორე ის გამეცინაო, რომ, კაცი რო ხნამდაო და მიწას იპარამდა — მიწა მიწას იპარამდა, ი კაციც მიწა იყოო. მერე ის გამეცინაო, რომ რკინის ფეხსაცმელს რო აკერიებდა, სამი დღის სიცოცხლის მეტი არა ჰქონდაო. მეოთხე ის გამეცინაო, რო ჭირში ლხინსა სცვლიდენო, ნიორი ლხინია და ხახვი ჭირიო.

141. სამი ძმა

იყო სამი ძმა. აისროლეს ისრები. სადაც დავარდებოდა ისარი, იმ ქვეყნის ქალი უნდა ეთხოვათ. ერთი დავარდა ყიფიანის კარზე, ერთი ციცინოვის კარზე, ერთი ჭაში ჩავარდა უმცროსი ძმის. პირველმა ყიფიანის ქალი ითხოვა, მეორემ ციცინოვის. უმცროსმა ბაყაყი ამოიყვანა. რო წავა ე უმცროსი ბიჭი სახლიდან, მოვა და ყველაფერი დალაგებული ხვდება და კვირობს. დოუდარაჯდა. გედიძრო ა ბაყაყმა ბუდე. ისეთი ზეთუნახავი ქალი გამოვიდა, რო თვალი უკეთეს ვერა ნახამდა. მისდგა ცხობას. გამოქანდა კაცი — ივანე და შიგ შეუგდო ცეცხლში ბუდე. — ივანეო, უთხრა ქალმა, — ნუ სწვავ, თუ არა ინანებო! — ივანეს ბატონი ყამდა და მაგითანა ქალი ვინ მოგცაო და წაართვა, აღარ აძლემს. სწუხს ივანე. ბატონმა უთხრა, რომაო ეგერ რო ხოდაბუნი ყანა მაქსო, დახანი, დაფარცხე და დათესეო მერე ქვე მოგცემ ქალსაო! ქალმა უთხრა: იმ ჭაში ჩაძახე, საიდანაც მე ამომიყვანეო, რო რქადაკაული ხარები გყავს-ყეო, ის გამოგგზავნეთო! — მოიყვანეს და დახნეს. მზეს ხარები ჩასვლას არ ანებებენ, ჩაიწევს თუ არა, ამოჰკრავენ ხარები რქას და ამოაგდებენ, ასე დახნეს, დაფარცხეს და დათესეს. — ეხლაო აკრიფე ე მარცვალი და ბეღელში მოიტანეო! — უთხრა ივანეს ბატონმა, — წადი, ივანე, ჩასძახე იმავე ჭაშიო, — უთხრა ქალმა, — თქვენ რო ფრინველის კოლოფი გაყვე, ის გამოგზავნე-თქვა!— მოიტანა ფართალი, ნახნავს გედეესია პირწმინდათ. აკრიფეს, მარა, რო ჩაყარეს ბეღელში, ერთი მარცვალი დააკლდა. — ეგერ ფეხმოტეხილ ყვავს მოაქო, ეხლა მამეცი ქალიო!—არაო, წადიო, საიქიოს ჩემს დედ-მამას ოქროს ბეჭდები გაჰყვაო და ის მომიტანეო, ისევე იმ ჭაში გაგზავნა ქალმა ივანე და, — ულეველი გვრიჟა მამიტანეო! — მაიტანა, დააგორეს, ძაფი გაიშალა, მიჰყვა მას ივანე, ჩეიარა ერთგან და ხარი ება კლდეზე. ტყავში არ იტევა, ისეა გასუქებული. — აგრე რამ გაგასუქა უჭმელადაო? — კითხა ივანემ. — ჩამლელი ბევრი მინახამს და ამომვლელი არაო,—უთხრა ხარმა,—ამოიარე და გეტყვიო!—ჩეიარა მეორე ადგილას, სათიბში წევს ხარი, ძვლების მეტი არა არი რა. — რათა ხარ ეგრეო? — კითხა ივანემ. — ამოიარე და გეტყვიო! — გეიარა კიდო და ცულის ტარზე წევან ცოლ-ქმარი. — მოიწი აქეთო! — ერთმანეთს ეუნებიან. — როგორა თავსდებით მაგაზედაო? — ამოიარე და გეტყვითაო! — უთხრეს ივანეს. ახლა შეხედა, დიდ მინდორზე უშველებელ ხალიჩაზე წევან ცოლ-ქმარი და ეუბნებიან ერთმანეთს: — იქით გეიწიეო! — ნაჯახის ტარზე ეტევიან ეგერ ცოლ-ქმარიო, — უთხრათ ივანემ, — და თქვენ მადანა ვერ ეტევითაო! — იმათაც ისე უთხრეს:—ამოიარე და გეტყვითაო. ჰივიდა საიქიოს, გვრიჟა დაილია. — აჰა, წოუღე ჩვენს შვილსაო ე ბეჭდებიო და უთხარიო: შენ კურდღლად იქეცი და შენი ნაზირ-ვეზირი მწერ-მეძებრათაო, რო შენ დაგლიჯონ, შვილოო! — ივანემ წამოიღო, ამოიარა ჩავლილ ადგილებზე, დიდ ხალიჩაზე მწოლარ ცოლ-ქმარმა უპასუხა: — იქაც ასე გვძულდა ერთმანეთი და აქაც ასე ვართაო! — ცული ტარზე მწოლარეებმა უთხრეს: — იქაც ასე გვიყვარდა ერთმანეთი და აქაც ასე ვართაო!—კედზე მიბმულმა მსუქანმა ხარმა უთხრა:— ჩემი პატრონი რო ᲗᲮვის ხარს მოიხმარდა, კი არ აჭმევდა საჭმელსაო, მარტო მე მაჭმევდაო და აქაც ასე დამემართაო!—სათიბში მწოლმა ხარმა უთხრა: — ჩემი პატრონი სხვის ხარებს მეტს აჭმევდა, ვიდრე მეო და აქ ასე მამივიდაო. —

:მოვიდა ივანე შინ და მოიტანა ბეჭდები.—რა გითხრესო? — ასე მითხრეს, რომ
:შენი ბატონი კურდღლად იქცეს და ნაზირ-ვეზირი ძაღლებათაო! — ასეც მოხდა.
:ბატონი მწერ-მეძებრებმა დაგლიჯეს და ივანემ ქალი შინ წაიყვანა.

142. ავხ, დილა, დილა

ავხ, დილა, დილა, ზაფხული დილა
შვენიერი ხარ, საამური ხარ,
ამუაშუქა წყინვალე ზემა,
გამუაღვიძა ყველა სულდგმული.
ჭიკჭიკი იწყო წყერმა ყანამი,
გალობა მორთო ტოროლამ ცაში,
ლექსი შესძახა მეხრემ-გუთანმა,
ავხ, დილა, დილა, ზაფხული დილა
შვენიერი ხარ, საამური ხარ.

148. დადგა თიბათვე

დადგა თიბათვე, დამწიფდა ბალი,
მაზედ შემოსხდა ჩიტი მრავალი,
ჭიკჭიკით, ლხინით ჭამას შეუდგენ,
თითქოს სუფრაზე ხეზე ჩამწკრივდენ,
ჭიკჭიკით, ლხინით ჭამას შეუდგენ,
არ შეისმინეს ბალის ჩივილი.
თლათ გოუმკეკეს ნამყოფი ტკბილი.
როცა კი გაძღენ, წამოიშალენ,
ფიფილ-ხივილით ველს გეიშალენ.

:148.II ერთი წვეთი სისხლი ვარ, უმანკო

ერთი წვეთი სისხლი ვარ, უმანკო,
დაფარული მამის წელში მდგარი მე,
დედამ სტუმრათ მიმიწვია ნებითა,
.ცხრა თვე მასთან დაერჩი უჩინარი მე.
ერთ თვეზედა იგრძნო ჩემი წვეანი,
ქავეს ითხოეს, მოდის გულის რეანი,
.ამ მიზეზით ეიყავ მე მომგვარი მე,
მესამე თვეს ჩვილი ხორცი ევისხი,
ვით რომ მძიეი ასო-ასო ევისხი.
სრული მექნა ყველა საკუთარი მე,
მეოთხე თვეს დაშიმშვენდა ანაგები სახესა,
ვით აკვანში უცეფ შევიძარი მე.
მეშვიდე თვეს ლამის თავი ეიჩინე,
ერთთავად სუ ხტომა დევიჯინე,
.ბევრჯელ დედა ძილშიაც შეეაშინე,
მაგრამ მქონდა ჯერ ბინა მაგარი მე,
რო შესრულდა ცხრა თვე, ცხრა დღე,
.ცხრა ნიშუტი, ცხრა წამი,

რა შესრულდა და რა დადგა ეს ჟამი.
დავტრიალდი, შობელს ვატკინე გვამი,
როს ვინდომე დღი სინათლის მომდომა,
აქ ბებიამ ჩემი მოვლა ითავა,
გამბანა და შემახვია იმწამა,
რაღაცა საკვებარი შემიზავა,
ვიგემონე იგი საცოხნარი მე,
რაკამს გავხდი მე წლისა პირველისა,
სანახავათ სანატრელი შობლისა,
სანუკვარი ნამყოფი ნუკბარი მე,
რაკი ჩავდეგ მერვე წელშია,
„დედაენა“ მამცეს მე ხელშია,
ცოტა მწარეთ მეჩვენა პირველშია,
მაგრა ბოლოს მადლობა უთხარი მე,
კისრათ ვიღე საუკუნოს უღელი,
ოხრა იყო ნახვა მისი პირველი,
მეგონა, თუ სამოთხეში შეველი,
ორმოცდაათში ჩემი გული არაფერს ნაკლულობდა.
სამოცმა სუ სხვაფერ შემშალა.
ოთხმოც წელშიდ რო მივედი, შამშალა,
პირისახე დამიგონჯდა, მამშალა,
ყურს დამაკდა, გონის სახსოვარი მე,
ამ ტანჯვითა მივატანე ასამდის,
ორფეხთანა მესამეცა მარგუნა,
სუ სხვაბრე შემშალა.
წაველ, მოვრჩი გულხელი დაკრეფილი,
ის თან წამყვა, რაც დავთესე კეთილი,
სხვა სუ ფუჭათ მექცა რამ შეკრებილი,
გონიერათ გამიგონეთ, სმენელო,
კაცნაწყენი არ შეგჩება, ბიჭებო,
გივიშვილი დასტური საკმარი მე.

144. ხტუნია ლეგა ჭრიჭინა

ხტუნია ლეგა ჭრიჭინა თელი ზაფხული გალობდა;
როცა მას უსრულდებოდა ყოველ ჯაგის ძირ წადილი,
მზათ ქონდა სახლი და ბინა, ვახშამი გინდა სადილი,
უცეფ შახედა საბრალომ — ზამთარი წამუეწია,
ან ლხინი რაღას ეწევა, შიმშილით კუჭი ეწვება.
დაღონებულმა ჭრიჭინამ მიმართა ჭიანჭველასა,
და ევედრება: — დობილო, შენი შვილების ლხენასა,
გაზაფხულამდი მამყოფე, დამათფე — დამაპურეო,
გაზაფხულამდი იოლათ წამიღე, მიმსახურეო.
მისმა მსმენელმა ჭინჭველამ ჭრიჭინას ჰკითხა წყნარათა:
— რას აკეთებდი, დობილო, თელი ზაფხული ბარათა?
— რას ვაკეთებდი, ძმობილო, სა მქონდა მოცალებაო?
გრილოში დავხტი-დავრბოდი, თაებრუ მახვებდა მგოსანი,
— შრომის დროს თუკი დარბოდი, წადი და ახლა იცეკვე,
შიმშილისათვის რას სწუხარო! გამოუკეტა კარები...

145. ქალ-ვაჟიანი

ქალი: მაშინ სად იყავ, ვაჟკაცო, ქალი ვიყავ თმოსანი,
ეხლა მე ქმარი შევირთე, ლაღია მოლაროსანი,
ცხრას შეჰკრავს შენისთანასა, ტიტეული პერანგოსანი,
ბაზარში ჩამოგატარებს, ვით თიკანი შვილდოსანი.

ვაჟი: აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ, იქით გორასა ქერას უზამ,
აღელვებულსა დიდ მტკვარსა დავადგები და ყლაპს უზამ,
ცხრა ბათმან კინას დავღეჭამ, კვევითა ყლაპს უზამ,
ამისთანა ღონიერი, ქალო, შეს ქმარს რას უზამ?

ქალი: ცული გაგედვა ბეჭზედა, შეშა ვერ დაგაპობიე,
თუ ჩემი თავი გინდოდა, რატო არ შემატყობიე?

ვაჟი: გუშინ მთას ვიყავ, წყალი ესვი, ბარად ჩამოველ — მაჭარი,
მერე რატუ არ იცოდი, რო ვიყავ შენი ვაჭარი?

ქალი: ოდეს ზღვა დაშრეს, ქვეშა გამოჩდეს,
თენზი მთას წავა სიარულითა,
ჯორი შვილს შობდეს, ვირი დამღერდეს ჭიანურითა,
ოდეს ეს იქნება, ჩემო მიჯნურო,
მაშინ შეგიხვევ სიხარულითა.

ვაჟი: ზღვაში გუთანს დავაბრუნებ, ცაში ვინადირებ თენზსა,
მიმინოს ბარგს ავიკიდეფ, მწყერს მიუტევებ ჯორსა,
როცა ამას ავასრულეფ, მაშინ ვიღეფ შენზე ხელსა.
ქერქეკინა პანტისასა... არ ვიკადრებ მე შეხებას
შენისთანა პრანტისასა.

ქალი: გავალ, ხესა გაკერამ ხელსა, ქერქეკინა ფიჩვისასა,
არც მე ვიკადრეფ შეხებას შენისთანა ბიჭისასა.

ვაჟი: ხელ-პირმან ხელი დაბანა ი შუა გასატეხელმა,
სიტყვა გაკადრე, გაწყინე მე ენამოსატეხელმა.

ქალი: თხი ტყავი მოიხმარება, ქვა ცხრილითა და ცხავათაო,
სიტყვა გაკადრე, გაწყინე დავჩი ეუკაცრავათაო.

ვაჟი: შაქრიყინულათ მაქცია, ენაზე დაგადნებოდე,
პატარა ჩიტათ მაქცია, უბეში ჩაგიძვრებოდე,
მითხარ, მითხარ, სიცოცხლეო, რაზედ მოგიწყენიაო,
მაგრამ შენი სული-გული კვალად ტახტად ჩემიაო.
საყვარელი მითვინ მიყვარს, სიცოცხლეში გამახაროს,
რო მოვკდები, დამიტიროს, ცხარე ცრემლი დამაყაროს.

ქალი: ბოსტანშია გედვიხედე, ყველა წვანილი აყვავდა,
თავის შემკობილობითა, ვიცი, რო გულში გიყვარვარ,
ჩემი შეტყობილობითა.

ვაჟი: ბოსტანშია გედვიხედე, ყველა ხეხილი აყვავდა,
შე რაღას იზამ, უხანო,
შენი თავი მანაცვალე, მე ვიცი, რასაც გიხანო.

ქალი: ეის უნახამს, ვის მოსწრია, ვირთხას დეეჭიროს მგელი,
წყერს მიმინო, ხოხობს ქორი, თემს გეეგდოს მინდროს მშველი.
ეს საქმე თუ მოხერხდება, მაშინა გაქ ჩემთან ხელი.

145II. ქალ-ვაჟიანი

(ვარიანტი)

ქალი: მაშინ სად იყავ, ვაჟკაცო, ქალი ვიყავ თმოსანი,
ეხლა მე ქმარი შევირთე, ლაღია მოლაროსანი,
ცხრას შეჰკრავს შენითანასა, ტიტეული პერანგოსანი,
ბაზარში ჩამოგატარებს, ვით თიკანი შვილდოსანი.

.ვაჟი: აქეთ გორასა წიხლსა ეცრამ, იქით გორასა ძვრას ეუზამ,
აღელვებულსა დიდ მტკვარსა დაადგები და ყლაპს უზამ,
ამისთანა ლონიერი, ქალო, შეს ქმარს რას უზამ?!
.ქალი: ცული გაგედეა ბეჭზედა, შეშა ვერ დაგაპობიე,
თუ ჩემი თავი გინდოდა, რატომ არ შემატყობიე?
.ვაჟი: გუშინ მთას ვიყავ, წყალი ვსვი, ბარად ჩამოველ, მაჭარი,
მერე რატომ არ იცოდი, რო ვიყავ შენი ვაჭარი?
.ქალი: ოდეს ზღვა დაშრეს, ქვიშა გამოჩდეს, თენზი მთას წავა სიარულითა,
ჯორი შვილს შობდეს, ეირი დამღერდეს ჭიანურითა,
ოდეს ეს იქნება, ჩემო მიჯნურო,
მაშინ შეგიხვევ სიხარულითა.
.ვაჟი: ზღვაში ქვიშას დავაბრუნემ, ცაში ვინადირემ თენზსა,
მიმინოს ბარგს ავკიდეფ, მწყერს მიუტევებ ჯორსა,
როცა ამას ავასრულეფ, მაშინ ვიღეფ შენზე ხელსა.
.ქალი: ბოსტანშია გედვიხედე, ყველა წეანილი აყვავდა,
თავის შემკობილობითა, ვიცი, რო გულში გიყვარეარ
ჩემი შეტყობილობითა.
ვაჟი: ბოსტანშია გედვიხედე, ყველა ხეხილი აყვავდა,
შე რაღას იზამ, უზანო,
შენი თავი მანაცვალე, მე ვიცი, რასაც გიზანო!
.ქალი: ვის უნახამს, ვის მოსწრია, ეირთხას დეეჭიროს მგელი,
წყერს მიმინო, ხოხობს ქორი, თემზს გეეგდოს მინდორს მშველი.
ეს საქმე თუ მოხერხდება, მაშინა გაქ ჩემთან ხელი.
.ვაჟი: გავალ ხესა, გაეკრამ ხელსა ქერქეკინა პანტისასა,
არ ვიკადრეფ მე შეხებას შენისთანა პრანტისასა.
.ქალი: გავალ ხესა, გაეკრამ ხელსა ქერქეკინა ფიჩვისასა,
არც მე ვიკადრეფ შეხებას შენისთანა ბიჭისასა.
.ვაჟი: ხელ-პირმან ხელი დაბანა ი შუა გასატეხელმა,
სიტყვა გაკადრე, გაწყინე მე ენამოსატეხელმა.
.ქალი: თხი ტყაეი მოიხმარება, ქვა ცხრილად და ცხავადაო,
სიტყვა გაკადრე, გაწყინე დ:კი ეუკაცრავადაო.
.ვაჟი: შაქრიყინულათ მაქცია, ენაე დაგადნებოდე,
პატარა ჩიტათ მაქცია, უბეში ჩაგიძერებოდე!
მითხარ, მითხარ, სიცოცხლეო, რაზედ მოგიწყენიაო?
შაგრამ შენი სული-გული კვალად ტახტად ჩემიაო.
საყვარელი მითვინ მიყვარს, სიცოცხლეში გამახაროს,
რო მოეკვდები, დამიტიროს, ცხარე ცრემლი დამაყაროს.

146. ბეეანიანი

აქ სიმღერა დასაწყისი ბეეან და მანიეავისა,
ზურმუხტისა ტახტზე იჯდენ, ვარდის წყლითა ხელს იბანდენ.
თურანს ტახტი დეეკარქა, ხორციელი ყველა სცნობდა,
დეემოყვრენ ერთმანეთსა, ქაიხოსროს ყველა ყმობდა.
მუახსენეს ხემწიფეს, ჩვენის ახლო ჭალა იყო
და საზამთრო იგი ტყეო,
იგი ღორით სულ ამსილა, კბილით ჭრიან ბარბერინსა,
არვის ახსომს დანერგული, მუახსენა, ხემწიფეო,
სამსახური შემიძლია, ხმა ვერ გასცა მისმა მეტმა.
ბეეან ზე ადგა სვიანი, გიესა დიდსა გოუმძიმდა,
იმიტომ რო ყმარწვილია, უთხრა ბეეანს: თანა გაჰყეე,
შენ გზა იცი მუნებური.

ბეჟან ჭალა დეინახა, უსაზომოთ გეეხარა,
ბეჟან აჩქარდა, ჯანშანი არცა რა ღირდა,
იცოდა, თუ მისგან რა მოხდებოდა.
რა შეეიდა ჭალაშიგან, მუეგება ღორი წინა,
ბეჟან მშვილდი გადაიცვა, მათ ისარი დოუშინა.
ერთმა ტახმა კბილი ჩაკრა, ჯაჭვ-კაბანი ჩაახია.
მერე ხრმალი ამოიღო, შეაშინა გაქცია.
ტახ კბილები შამოლეწა ხემწიფისა საჩვენებლათ,
გურგენს ხო ეს გოუმძიმდა, აქ შეუდგა სატყეტლათ.
აფრასიონის ასული მზე არი ამამავალი,
შვენიერი პირამზეა ხემწიფის ჩამომაკალი.
ვინც რო იმას არა ნახამს, იმისი ყოფა რა არი.
ბეჟან უთხრა, გაგონილი ნახეისთანა რა იქნება?
გურგენისგან ქება მესმის, ნახვა მისი მენატრების.
— მოიტა, ცხენი მამგეარეთ. — მოლარესა ეუბნების.
ერთი კეირა გამოეიდა, ბეჟან აღარ შემოეიდა.
ნახა, ცხენი უუნაგრო. ლაგამს თრემდა.
გურგენ შექნა სინანული, იტყოდა და ინაღვლიდა.
უბნობდა გუნებაშიგან — რა ვქენი, რა საქნელია,
მტირალმა ცხენი შეიპყრა, შესტყორცნა საგდებელია.
ადგა და ფერნაკლულათ ერანისკენ წამოეიდა.
მუახსენეს ქაიხსროს — უბეჟანოთ რათ მოვიდა?
ჩვენ კანჯარი გამოგვიჩთა სანახავათ სანატრელი,
ბეჟანმა იმას ქამანდი სტყორცნა,
წეეიდა და თან გაყვა, ვეღარ პოვეს საყვარელი.
სხვანაირათ უნობდა გურგენ პირგაყეითლებული,
ხემწიფის შიში ავიწყდა, გავი დგას ათრთოლებული.
— დეიკარქე, შე კუდერო, შენი არ დეიჯერება!
პირს იხოკდა თაეშიშველი, მისა მოკვლასა ლამობდა,
მერე მასუკან დაფიქრდა, — მოეკლა, რას გამომადგება,
მოეკლა — ეშმაკს იამება.
მას უბძანა ქაიხოსრომ: — სუყველას თავი ანებე,
საწუთროს ჯამში ჩავხედავ, შევიყოფ საძირკვლიანათ.
წავიდა ჩვენი ბეჟანი, წავიდა და იქ წამოწვა
მანიეავის სიახლესა.
უცეფ ძიძა გოუგზანა, ეინ ანათებს თვალებითა?
არმოან ღორი დავხოცე უხმალოთ და უზაბარისა,
ქება მამესმა, ნამოველ კარქისა მუხამბალისა.
დოუძახე — აქ მოვიდეს, მოედომივარ სადაური სადაურსა.
შეიპატიჟა ბეჟანი, უსხდა სამასი მუტრიბი,
მომღერალი და მკერელია.
შეკირებული იგონეფს, ბეჟანს არა ყამს ცხენია.
ეს აფრასიონ გეიგო, ვინ არი ჩემ სასახლეში?
დეიკირეთ, აქ მამგვარეთ! მიეიდენ დასაპერათა.
ეინა ხარ და რა კაცი ხარ?
ქიშვარდიანის ბეჟან ვარ, დიდთა მებრძოლი გვარისა,
ვინცა შამოხვალ, იცოდე, სიცოცხლის გამაძღარისა,
მრავალ თურქს ღვიძს გოუხეთქ ამა ხანჯლის წყალობითა.
მუხშიდა ხქონდა ხანჯალი, ქიშვარდიანის ხელია,
აიღო, ამოიწვადა ქიშვარდიანის ხელითა,
ვერაგზით ვერ შოუვიდენ, ფული მისცეს საშინელი,
მოტყუებით ხელთ ხანჯალი გამუართვეს,
დეიკირეს უპატიოთ კუბოს თანა წაატანეს.

მალვით ქალაქს შეიტანეს, აფრასიონს წინ დოუდვეს,
გვარი მოვთხარე, რეგვენო, თავი მოვიკალ ხელითა,
გავბრიყვდი ყოველ თამაშათ ცდარი გურგენის ენითა.
თამაშის ნაცელათ მიპოვნეთ, შეკრულსა მხედავთ ხელითა,
მას უბძანა აფრასიონ: — ვერ მამჩები ტყუილითა,
აქნამდისინ რით ვერ გასძეხ თურანიის სისხლის ღვრითა?
დიაცურათ რაღას ამბობ, დამთვრალი ხარ შენ ღვინითა!
ბეჟან უთხრა: რა ქნას ლომმა, თუ კლანჭები არ ასხია,
რაღანათაც ეგრე ბძანეფ, მხარშეკრული აქა ეზიავარ.
ერთი მძიმე ლახტი მომე, ათას თურქ გამოგიცდია,
თუ ან ერთი მამირჩება, ერანელსა შევარცხენია.
თქვა აფრასიონ: ეით გავსძლო, რამტენსა ჭირსა ვთელიდია,
ერანისკენ მრაველჯერ სიკვდილსა ვინატრიდია.
ხელთა მყამს, ომსა მიქადის ეს ეშმაკი და ფლიდია,
ამართეთ ძელი მაღალი, მაზედა ჩამოკიდია!
გამოიყვანეს გლახ ბეჟან, ებნობდა შეეკვრებული,
ზენარო ქარო, შენ ნახე, ერანთ ხემწიფე შენ ნახე,
ლომთა ჭანგშუა ვაბიავარ, უომროთ ხელშეპყრობილი.
მცხვენიან მნახოთ მოყვასთა, მტერთაგან ჩამორჩობილი!
კითხეს, ხეზედ მოსარჩობი რა კაცია დაკარქული,
გარსეოს თქვა: ბეჟან არის ერევნელი ჩემი მტერი,
გვივი, ტუსი და გოდერძი ერევნის თავადებია,
თუ ბეჟან მოკალ, იცოდე, აწ სულაც აოხრდებია,
ერთხელ მოჭკალ შიოში, ჩვენ გვიქნეს სანაღვლონია,
ეგიც თუ მოჭკალ, იცოდე, აწ სულაც აოხრდებია,
მტერობის ხე გამხმარა, ნუღარ გოუნედლეფ ძირსა,
სუყველას თავი ანებე, შენ როსტომ დაგვიწყებია,
არ იცი, თუ ბეჟან რა ქნა, შემარცხვინა ჩემა ქალმა,
ათას თურქს გამოგიცდის, აქ მუქარა მთხოცა მთვრალმა.
ტახტთან წარდგა ხელჩაშვებით, ფირან მასვე ეუნება;
ეგ დაჭედე ბორკილითა, სიკვდილთანაც ჩეიგდება,
აფრასიონ მოისმინა მოხსენება ვეზირისა,
თქვა: დაჭედეთ ბორკილითა, დიდი ვორმო ამოშვერით,
შიგ ჩააგდეთ, დიდი ლოდი დაადევით,
აქვამ დევის მოტანილი, ვერ შეეძლოთ გადაგდება!
მანიჟან მივა, ჩათხარა ჩასაყოფელი ხელისა,
დადის, გლახაობს, პურს უთხოვს, ღვთისაგან შველას ელისა.

აქა ქაიხოსროსაგან ჯამში ჩახედვა და ბეჟანის ნახვა როსტომის წინაშე

ცხრასა დღესა ილოცეიდა, ღვთის წინაშე არა ჭამა,
ცათა ქვეშა ყველა ნახა იმ ჯამშიდა ჩახედვითა.
ბეჟან ნახა, ორმოშიგან რომ სიკვდილსა ინატრიდა,
გეეცინა ქაიხოსროს, წყნარა გიესა შეხედვიდა.
უთხრა, თუ ნუ ინაღვლი, ცოცხალია თქვენი შვილი,
ჭაშთანა ზის ნაღვლიანათ ბორკილიდან დაჭედილი.
მას ქალი ხყამს მოურავათ სების პირი, ალვად ზრდილი,
ორივ სიკვდილს ინატრიან, მოეფარვის მზეს აჩდილი.
გადასწყვეტონ იმედი, გლახ-ღაწვ უსველდებიან,
ვინ წავა, როსტომს უამბოფს, ერთმანეთს ეუბნებიან,
ფშვილდი გოუწყვეტს ბაწარსა, ისარი ელეწებიან.

მისწერა ქაიხოსრომ წერილი როსტომს

წეიკითხა როსტომ წიგნი, უსველებდა ცრემლი წვერსა,
როსტომს დიდათ გოუკვირდა, ხყვარებია ხემწიფესა.

წევიდა ვაჭრულათ ფირანის კარზე, საცა გმირები იყო დამალული, იმას ფეშაკაში მისცა. ფირანმა უთხრა: — ეგ სამძღვარი სულ ჩემიაო, საცა გინდა, ივაჭრეო! — მივიდა ურია, ხკრა საცალოს სადგისი, გეიმძრა შიგ ლომი გმირი.

დილით მოსულმა ვაჭარმა ნახე, საღამოს რა ქნასო,
რაცა ვაჭართან ქნასაო, იმავ ქალაქმა ცნასაო.

— ურია, მოდიო, — უთხრა როსტომა, — შაქარი მიართვიო! — რო გამოყო ენა, სტაცა ხელი და სულ ამოაგლიჯა ენა. მასუკან ვეღარ ლაპარაკობს ურია. მანიჟამს გოუგია, ერანელი მოსულა ვიღაცა, ვაჭარიო. — წადიო, — უთხრა ბეჟანმა, — წადიო, კითხეო, რას იტყვიან ჩემზეო, არაფერს ამბობენო? — მივიდა და კითხა, მოდიან თუ არაო საშველათო! იმას ეგონა, ქვე მაცდისო და უთხრა: — არ ვიცი რაო! — მერე ტირილი დეიწყო გლახაკმა: — არ შეიბრალეთ ჩემი თავიო! — მერე რომ შიატყო როსტომა, რო ძალიან ტირის, თხელ პურში შეახვია ქათამი შემწვარი და თავის ბეჟედი ჩუმათ ჩადვა ქათმი მუცელში. მივიდა. — ვაიმე. დიდათ გაგსაჯე, ქვე სად იშოვე ესაო, შორ წარსულხარო! — რო გახლიჩა ქათამი და გადმოვარდა ე ბეჟედი, გაიცინა ბეჟანმა და ქვას რახრახი დააწყებია.

ბეჟან რა იცნა ბეჟედი, იცინის ხიარულითა,
მანიჟამს უმძიმს, ეგონა საქმითა უშმაკერითა,
ერთი რამე უნდა გითხრა, ერთი სიტყვა შეინახე,
მანიჟამ თქვა, ეს რა მესმა, ვერ დავცხრები ეაისაგან.
ტახტი დავკარგე ბედკრულმან, ტახტი დავკარქე სრულია,
ნეტავ სად არი ბეჟ-ბეჟეზედ, მან გაბეკოს, ეით ორგულია,
ერთი სიტყვას არ მენდობიან? ნურვის გონია ვაჭარი,
მოსრულა ჩვენი მხსნელია, წა, კითხე მალვით ღონგინოს,
დაელიე ჩემი ღღენია,
შენა ხარ რაშის პატრონი, გმირთაგან გმირი, გმირია.

(წევიდა და კითხა)

როსტომს რა ესმა, ატირდა ბეჟანის შამოთვლილია,
უთხრა, დასტურათ იგი ვარ, ხეთისაგან აქ მოსულია,
ამას იქით რაკი გპოეთ, ნულარა ხარ მოეაგლახე,
რა დაღამდეს, ცეცხლი შექენ, შენ მრავალი შეშა ნახე!
მანიჟამ მოვა უამბა როსტომის დაეედრებული,
უცილოთ პილოტანია ლომგულის სახელდებული.
მინდა ალაგი ვნახოო, ალაგი განათლებული,
ლოდი ცათამდე შეეტკორცნო ორმოზედა დადებული,
მანიჟამ შეშა შეპყარა, მახვილსა ეეგზნებოდა,
რაშიცა კვალსა უყურებს, უკუნი განათლდებოდა.
როსტომ ჩაიცვა აბჯარი, უფალსა ეევედრებოდა:
მიშველე ამა მტყვეზედა, — იგი ღმერთს ეხვეწებოდა;
ისხვა შვიდი გმირი ეახლენ წინ თვითონ მიუძღეებოდა.

გადააგდეთ ქვაო, უთხრათ, ვინც იყო როსტომის მეტი,
ყველა ლუდს ეხილებოდა, ფჩხილები დაცვდათ, ვერ დაძრეს
ყველა სხვას უკვირდებოდა.
(გამოდით აქეთ, უთხრათ როსტომმა)
მე და გივი ბავშვობისას მაგას ბურთათა ეხმარობდით,
ეჰ! ჯეელობის ღონე მომეც, პილოტანმა ჯაკვის კაბა,
სარტყლის შიგნით ჩვიმწყვდია ვალი სთხოვა შემომქმედსა,
მერე ლუდი მან ასწია შეშჩევანის ქალაშვილან,
ვითა ბურთი განასრივა, მიწა დასძრა, ამას გამდა.
ზეცით ღამე ჩოუგდია, მერე წადგა ორმოშიგან.
როსტომ ბეჟან მოიკითხა, პილოტანო, მე რა ღირს ვარ,
შენ მოსულხარ შორეგზიდან, ცათ ქვა მაქ და ტახტათ მიწა-
ვარამითა ცხოვრებითა, როსტომ უთხრა, ნუ ინაღელი,
გული წყლულნი განიკურნე, გონიერად გამიგონე,
რაცა გინდა, ის ისურვე,
გეხვეწები, გურგენისა შეცოდება მე მაყურე.
ბეჟან ეტყვის: პილოტანო, სისხლსა რითვინ მაკარგვინებ,
თვალსა მოეკრავ, უსათუოდ ჩემსა სისხლსა ეაზღვევინებ.
ამის მეტად თუ მიბძანებთ, თავსა აქვე მოვიტირეფ.
როსტომ ეტყვის: — არ მომისმენ, აქ დაგაგდებ ბორკილითა,
შევჯდები და ისევ წავალ მე მოსულვარ რომლი გზითა.
ბეჟან იტყვის: — ტირილითა რა ღონე მაქ, დამითმია
გმირი შენის მოწმობითა.
აწ ბეჟან ამოიყვანა ტყვეობით მოჭირვებული,
თმა ჩამოსვლია კისერში, პირი აქვს გაყვითლებული,
ძლივსღა სიცოცხლე ეტყობა,
დაწყლულებია ხელ-ფეხი რკინისგან გაკანგებული.
როსტომ ნახა, შეებრალა ეინც მოსულხარ, საყვარელო;
ბორკილების დასალეწად გულუშიშრად მიყო ხელი.
ეს მანიკამს უხარია, იქნა მისი საწადელი.
წამოვიდენ სადგომისკენ, დაუპირეს ხელით ხელი.
მანიკამ და საკონელი აპკიდეს და გამოგზავნეს.
როსტომ თქვა: გნუკვი, ჩემთან არა გეშინოდეთ ,
ხვალ ისეთ საქმეს ჩავაგდებ, რო აფრასიონ ჩიოდეს.
ავიდა მაღლა დახედა, რა ზომის თურანელია.
აფხანაგთ ეუბნებოდა: ომი მიგვიჩანს ძნელია.
როსტომ შესძახა: დგავიწყდა შენ შიოში,
სიარული აქ მამისა, დღეს ცოცხალი ვერ მამრჩები.
ბეჟან ჩასვი ორმოშიგან, რკინა მიეც მას ბორკილად;
მერე ბეჟან შეუძახა: რაღას გძინავს, თურქო, ადე,
გახსოვს, ვიყან მხარშეკრული, შენ სიკვდილი დამიქადე!
ჟამი არის, თუ გამოხვალ, აშეებული გამომცადე,
არ იცოდი, შე უგნურო, ვერ დეიჭერს ლომსა ბადე.
ახლა აფრასიონ იტყვის: ტახტ-გვირგვინ დაგილეწავენ,
რათ არ შეგეხვენდებიან.
მიწისა პირსა დაფარავს, ლაშქარი შეგეყრებიან,
ზურგი მეტს ვერვინ გიპოვის, რა ომი გაფიცხდებიან.
როსტომ ეტყვის კანჯარ ჯოგს, ლომთან არა შეუძლია,
რა ბრწყინვალე მზე ამოვა, ვარსკვლავები დაბნელდება,
ათასი ცხვრის ჯოგი იყოს, ერთსა მგელსა შემოფთხება.
ჰაერში ორბი ტრიალებს, კაკაბ გული გოუსკდება.
იყო გმირი გამოცდილი, ლომგული სახელდებული,

შოუტიეს ერთმანეთსა. სადაც როსტომ შოუტია,
რაშსა ქონდა კვდართა თელეა.
აშქაშს მიუხტა და ბეჟან სახელდებული.
მარჯვენა მხარი გატეხეს, ჩდა მათგან მოფარებული.
აფრასიონმა რხმალი გააგდო, გეიქცა გაწბილებული.
ორთუნიანელს როსტომ გაჰყვა, უკან ისარს მიესრული.
მოაკელიდა, არ გოუშვებდა.
მოახსენეს ქაიხოსროს: პილოტანი მობრძანდება,
გამოუვანა ბეჟანისა, კვლავ თურქზედა გამარჯვება.
ქუდი დადეა მიწაზედა, დიდი შექნა ღეთის ვედრება,
წავიდენ მისაგებებლად ნაღარა სპილენძ-ეოგრითა.
როსტომ გამოჩნდა ლომგული, ვით ფერობს ჯანსა სრულითა.

ქაიხოსრომ რომ გაიგო ყველაფერი ამბავი, რომ ნაღალატევი იყო გურგენასაგან, ეწყინა და ნება მისცა ბეჟანს, თავგული ესრულნა. ბეჟანმა თავიგულში ალმასი შეახვია ჩუმათ და ისე ესროლა გურგენს კედლის იქით, ნასროლმა კედლის აფრაც გატეხა, კედელიც დაამგვრია და გურგენიც მოჰკლა.

147. კოლო და ლომი

კოლომ გამოითხოვა ლომი საომრათ. ლომი მასხარათ ეიგდო, ვინ ოხერია ესაო? გუნებაში გეიცინა, რო ვინ არიო.

ლომა გასცინა კოლოსა, რადგან ცირე აქუს ღონია,
კოლომ არაფრათ ჩააგდო, ან კი რა მოსაწონია?
ბუზებში ყველას ჯობია, ფეტკარიც ასე მგონია!
კოლომ იწყინა ლომისგან ამგზაფსი მედიდულობა
და დაიქადა მრისხველმა: მე თუ ვგონივარ მძრომია,
ვაჩხაველებ როგორც თაკანსა, ენახოთ, რაღაცა ლომია.
კოლო მივიდა ლომთანა, გამოეცხადა ომია.
ლომს ჩეეცინა გულში და ყურსაც არ ამძრევს ამაზე.
კოლო გარისხდა, კრავსა ყვირს და ლომ დაახტა გავაზე.
გედეირია მხეც-მეფე, მუეწო გავა ძალიან,
მაგრამ რას უზამს კოლოსა, კოლო ქარიკით მალია,
ხან ყურში ჩოეკუხუნებს, მარდათ ჩოეელის წუილით.
მირბიან მხეცები ეგზოეკელოთა, თითქო წვიმა სწვიმს ზეცებით
ტყე და თა-ბარი ზანზარობს.

ძალიან მინავათი ვარო. წამეაქცია ამ ჩვენმა კოლომაც, შოუნდო შეცოდებული. აპატივა, წავიდა გამარჯვებული, წავიდა და ობობია ქსელში გეება. ობობიამ მოვიდა და დოუწყო წუწნა.

148. ავთანდილ გადინადირა

ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი ტყიანი
ნახტომსა მშველსა ფერდსა ჰკრა ისარი ორბი ფრთიანი.
დაკიდა ცხენის ტახტსა ტყავგაუხდელი რქიანი,
ჩამოხტა მუხის ძირასა, ცეცხლი დაამთო ძრიალი.
დაუდა და თალა შამფური, წვადი ააგო მცერიანი.
სანამ წვადი შეიწვოდა, ცხენსა მისცა საძოვარი,

ლურჯამ კაცი დეინახა, შორი გზიდან მომავალი.
შეხტა ცხენი, შეეხვინა: იგი კაცი ავი არი.
მოჯინიბეს დოეძახა: ლურჯა მომგვარეთ ჩქარია!
გავაზედ ხელი გადუსვა, ზე წამუახთა მარდათა,
ვიწრონი გაარბევინა, მინდორი უმფრო ჩქარათა.
უკუიხედა, მოზდევენ ის ურჯულონი ჯარათა,
ასი კლა, ასივე მოკლა, ერთი გოდურჩა მშრალათა.
ერთი ამანაც ესროლა, სისხლი წაეიდა ღვარათა.
ჩამოხტა მუხისა ძირასა, ტოტი იწოდა ფარათა,
დაჟდა და წიგნი დასწერა, მტრედ გამუაბა მხარათა,
ესა დედაჩემ მიმირთვი, ვეღარ მოგიეალ ჩქარათა. . . .
მიყვარდა თეთრი მანდილი, ჩემზე შეღებე შავათა,
ი ჩემი ქმარ-ხანჯალი ღვდელ მიე საწირავთა,
ი ჩემი პატარა ქალი ნუ გამითხოვეფ ჩქარათა.
თუ მისცე, ისეთ კაც მიე, მე მჯობდეს თვალთ-ტანათა,
ი ჩემი ციხე-ქალაქი თან გაატანე ნზითვათა.

149. ღმერთმა მეც გადმამხედოს

ღმერთმა მეც გადმამხედოს ერთხელ წყალობა თვალითა,
თორემ ყელამდი ევივსე ცოლ-შვილი ცოდვის ბრალითა,
მოვხეცდი, დავჩანანაკდი, დამიუძლურდა ჯავარი.
ემეშაობ ცის მარატი დღე, არ მიჩამს ნამუშევარი,
წენებზე ფეხი დევიდგი, მაინც ვერ გავხდი ღონესა,
და ცოლი კიდე თაეს აკლამს:
შვილი მეღორეთ დამიდის, მინდორში დასდემს ღორებსა,
ვერც დღეობაში წასულა, ვერც ჩვენებიანთ სწორებსა.
ასე შესთხომდა ღმერთს მუშა, წამოწოლილი ჩეროში,
თლათ მოწყვეტილი სიცხისგან, როგორც ყვავილი ღეროში.
სიცხისგან მობინდარეო, შტო-ფოთოლ შეუხეველო,
ეს ვინ მოფრინამს ტყი პირსა, თითქო ჩაცმული ქალათა?
აგერაც მოუახლოვდა ი მოხუცებულს წყნარათა.
ნუ სწუხარ, ღმერთმა მამგზავნა, ერთი რამე ქცე ნუგეში,
უთხრა და ხელით ჩეიყო, ნაზათ მარცხენა უბეში.
ჰა, სამი ვაშლი, ერთი შენ, ერთი შეს შვილს და მეუღლეს,
რო შესჭამ, რასაც ინატრებ, აგისრულდება იმავ დღეს,
თვალებს იფშვნეტამს, არ სჯერა, თავი სიზმარში გონია,
ვაშლი შეჭმითა ნეტავი ნატვრა ეის გაგიგონია?
ზე თების იქით გადადის, დაწვება ალმაცერადა,
ბინდბუნდმა დაჰკრა სოფელსა, ნელ-ნელა ტრედის ფერადა,
ნახირიც მოდის, მორბიან ტუსტუს-გრუტუნით ღორები.
ბაკებს იკლებენ ბღავილით, დედისთვის ჩეილი ხბოები.
ბოხი წინა ჯის მოხუცი ჭილობზე ცოლ-შვილი
ძლივსა ლოღნიდა დამპალ პურს საბრალო წინა კბილებით
და თან უამბა, რაც ნახა, დღე როცა მკიდა ყანასა
თინია სიხარულისგან — მოხუცა საქონრის ფხანასა.
დაითითოეს ვაშლები და მიწვენ იქვე კარებზე.
ტკბილათა სძინამს შამაშვილს,
მაგრამ თინიას ძილი არ მოუდის დილამდის,
სადღაც მიუდის გონება,
ოცნებაგადაქცეულმა თავი ვერ დეიმორჩილა.
დასაძინ-დასაწოლათ შეჭამა ვაშლი
და იქცა ხენწიფის ცოლათა.

დილა გათენდა, წამოდგა ტკბილი ამედით ნინია,
ცოლს ეძებს გაფოცებული, მაგრამ სად არი თინია?
თქვა თუ: უთუოდ ამ დილას მომკლ ყანაში წვევიდა.
შვილი გაგზავნა წყაროზე, თითონ მინდორზე გევიდა.
დაბრუნდა კიდო, არა ჩამს აღარც შინ, აღარც გარეთა.
დაფიქრდენ მამა და შვილი, დადარდიანდენ წარეთა.
შვილმა თქვა: რახან ასეა, აი, რას ვიქ მე ჯინზედა,
დედაჩემს ახლაე მოვიყვან, თუ ნატვრა არი ბინაზედ,
რახან გასწირა ქმარ-შვილი, აღარ იკადრა სწორადა,
ღმერთო, ნუ გამირისხდები, დედა მიქციე ღორათა!
უცება გატყვრა იმათ წინ ღრუტუნა დინის ქნევითა.
ნინია ტირის — ამ ჯორმა მას გული უფრო დაღარა,
ცოლ-შვილის უწესობამა ბანალი გოუქალარა...
უბნობს, თუ: ერთი ეს არი საწყალის კაცის ბედიო,
თუ რო ვინატრო სიცოცხლე და უთვალავი ქონება,
რა ჭირათ მინდა, თუ ჩემ ცოლ-შვილს აღარ ასცდება მონება,
(ვაშლი უგორამს უბეში — შეკმა ვერ გოუბედნია).
ღმერთო, არა გთხოვ სიდიდრეს, რაც აქამდისი მქონა,
ცოლი მიქციე კვლაე ქალთ, მეტს არას გემუდარები!
ეს ნატვრი ვაშლი ჩაკბიჩა და ცას შეეპყრა თვალებით,
ნინია ისეე ყანას მკის, შვილი კი დადემს ღორებსა,
თინია ძენძეებს აკერამს და დასდემს სოფლი ჯორებსა.

150. ცუნცულ მელია მოტირის

ცუნცულ მელია მოტირის, რა ავი დარი დგებაო,
წაყიდა, იქ მიცუნცულდა, საცა მამალი ჯდებაო.
— მამალო, ხორცი მიბოძე, მელას გზა გეეგნებაო!
— შენ ჩემ ხორცს ვერას შეირგებ, ყელ ძვალი დაგადგებაო,
ჩემ პატრონს კაი თოფი აქ, მეხვეით გავარდებაო.
მეც ვიცნობ შენსა პატრონსა, უყვარს მუცელზე გდებაო,
თოფი კაჩას უკიდია, ჩახმახი უქაწგდებაო,
თუნდ დაადვას მუგუზალი, მაინც არ გაეარდებაო.
საწყალი მელა ჩიოდა: არ მომეიდა ძილია,
ერთსა საქათმეს მივადექ, გამოუთხარე ძირია,
იხვსა, ბატსა და ქათამსა — ყველას გაეკარი კბილია.
უკე ვიხედე, მამდევდა პატრონი გზირიმეილია,
გადმამკრა, გადმომისროლა, ცამდის ავასხი ტვინია,
მაგრამ ტვინს ეიღა ჩიოდა, ცოლ-შეილი დამრჩა წვრილია.
ცოლიც მალე გათხოვდება, ობლები დამრჩენ წვრილია,
ობლებიც დეიზდებიან, თავი დაეკარგე გმირია.

151. ანდუყაფარი

ანდუყაფარ სანადიროთ საქართველო შეჰყარაო,
ჯიხვიც მოკლა, ჯეირანი, კურდღელმა კი დასცარაო.
მამაძაღლო ყანჩიერო, ნუ ხარ ქვეყნი მასხარაო,
არ მიხარო ცხენი ცხენსა, არ მამიკლა ჯიფარაო.
ათას თუმნათ ცხენი ცხენსა, ორას თუმნათ აფშარაო,
გააქანა მაჩაბელმა, ცხენი ცხენსა ახალაო,
დედას კაცი მიევიდა — ანდუყაფარ მომკვდარაო,

ჭოყასა ხელი გეიკრა, ცხარე სისხლი დაღვარაო,
მამას კაცი მიუვიდა — ანდუაფარ მამკვდარაო!
ანდუაფარს რა მოკლავდა, თუ ღვინით არ დამთვრალაო!
მაინც ავი კაცი იყო, სიქიმან თუ მომკვდარაო!

152. სახნისმა თქვა

სახნისმა თქვა, ქვეფსკნელს დავალ, მზისა შუქი მენატრება,
საკვეთელმა გეიგონა: ჩემზე მეტი შენ რა გხდება,
მეტი-მეტი წინძღოლისგან წინაკბილი არა მჩება!
ეს ჯამბარამ გეიგონა—ჩემზე მეტი თქვენ რა გხდება,
ავდარია — მე დავლპები, დარი ცეცხლად მომედება.
ეს ხარებმა გეიგონეს — ჩვენზე მეტი თქვენ რა გხდება,
დაგვადებენ მძიმე უღელს, ზედაც მეხრე დგვიჯდება,
ჩაგვიყრიან შვინდის ტაბიკს, არ გასწიო — არ იქნება,
ის ოხერი გუთნისდედა კვალკვალ გამოიყურება,
იმას არ ეტყვის მეხრესა, უდივრობა არ იქნება.
ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი კლდეზედა,
გარს გალავანი არტყია მთა ახურია თავზედა,
ადამიანის შენახვა ვერავინ იდეა თავზედა.
ხარმა თქვა: პირმა ნათელმა მე დეევწერამ თავზედა,
მოცვინდნენ ანგელოზები, დაკოცნეს ორთავ თვალზედა,
ჩამოქნეს წყვილი სამთელი, მიაკრეს ორთავ რქაზედა.
წადი, ხარო, იმუშავე ერთგულად მთა და ბარზედა,
ექვსი დღე უღელში ები, მეშვიდეს დაწეკ მხარზედა,
ეინც კვირა-უქმეს შეგაბას, ხელი შეახმეს მხარზედა.

153. სოლომონ ბუტულაშვილი

სოლომონ ბუტულაშვილი კარგა ინახემდა ცხენსა,
დილასა და საღამოსა ნიტრობით აძლედა ქერსა.
მამამისი ეუბნება: — რათა პატიობ მაგ ცხენსა?
— შე რა იცი, მამაჩემო, მარგებს გასაპირი დღესა.
ადგა სულოლა, წავიდა დადგა სტამბოლი გზაზეა,
შვიდი დღე ღამე იარა, ჩევიდა ხვანთქარი კარზედა,
ხვანთქარი შინ არ დაუხვედა, ვეზირი დახვდა კარზედა,
შეიპატიჟა ვეზირმა გაფენილ ხალიჩაზედა,
შეიპატიჟა სულოლა, გაგიყვანთ მეედანზედა,
ჩვენცა გვყავს ერთი არაბი, გათქმული ქვეყანაზედა,
მე ჯირითობის რა ვიცი, რა დაეიქადნო თავზედა.
არ მოგეშობით, სულოლა, გაგიყვანთ მეედანზედა.
ა, თქვენი ნება, ბატონო, რა გამეწყობა თქვენზედა!
მოპქრის, მოშხეის არაბი იმ შევარდენის მთაზედა,
სამი ჯირითი უწყვია გასაშაეებელ მკლავზედა.
სამსა სულოლას უქადის, რა გადახდება თავზედა.
ერთი ჯირითი ესროლა, არ წაიკარა ტანზედა,
მეორე რო დააყოლა, მედიცილია თავზედა.
მესამე რო დააზილა, ცხენ მოუხტა ტახტაზეა,
ცალი აბეანდა შესწყვიტა, დადგა ცალ აბეანდაზეა.
გადეეხვია, აკოცა ცხენსა მარჯვენა თვალზედა,
— შენი ჭირიმე, ლურჯა-ჯან, გადამარჩინე წამზედა,
შეხტა და შემოტრიალდა, დადგა ცალ აბეანდაზედა,
შემოკიცლა შევარდნულად, ხონთქარი შეძრა ტახტზედა.

— ·აბა, მამყეეი, არაბო, სოლოღა მოგყაეს ყვალზედა.
მე ხომ ერთი მეტს არ გესერი, იმას ვთელი სამართალზედა.
ერთი ჯირითი ესროღა, დაასვა ბეკი ფრთაზედა.
არაბი ძირს გადმოვარდა, ცპენი გარბოდა წყალზედა,
ფაშას კაცი მოუეიდა: არაბი მოკლეს წამზედა.
— ჩემს არაბსა რა მოჰკლამდა, გათქმული ქეეყანაზედა,
მიჩვენეთ მისი მამკვლელი, ფაშობა მივცე წამზედა.
სოლოღა ფაშასთან მიყამთ, ფეხები მიაქ განზედა,
სოლოღას ასე ეგონა, თავს მაშორებენ ტანზედა.
— ნუ გეშინია, სოლოღა, ფაშობას მოგცემთ წამზედა,
ფაშობასაც დაგიმტკიცებთ იმ ახალციხის კარზედა.

154. სხვისა მოსამსახურობას

სხვისა მოსამსახურობას ადვილად იტყვის ენაო,
თუ კურდღელი დეიჭიროთ, ხორცი ჩვენ, ტყავი თქვენაო,
და თუ მელა დეიჭიროთ, ტყავი ჩვენ, ხორცი თქვენაო.

155. ერთი მგელი

ერთი მგელი, გლახ-ბებერი, დიდხანს იყო ის მშიერი,
აქით ეცა, იქით ეცა, ვერ ჩეიგდო ვერაფერი.
ამ დროს ნახა ერთი ვაცი, გულმა დოენყო ფაცფაცი,
მისი შეკმა დაპირა, თხამაც უთხრა: „ცოტა მაცი!"

უთხრა: — წადი, მამგვარე პატარაო! მერე ცხვარი შეხვდა მინდორში, მისი შეკმა დააპირა, ცხვარმა უთხრა: ერთს გევირბენ და მერე შემჭამეო, თხა ქე გეიქცა და დეიკარგა. ცხვარმა ისევ მოირბინა, მერე ისიც ქე მოეფარა და დეიკარგა. მერე სახედარი შეხვდა, უთხრა: მგელმა უნდა შეგჭამოო, სახედარმა უთხრა: ლურსმანი მაქ ქაჩაჩშიო, ამომიღე და უფრო მბილათ შემჭამო. მგელმა რო ლურსმნის ამოღება დოუპირა, კრა წიხლი სახედარმა და ყველა კბილები ჩოუმტვრია. მოსდგა მგელი ჩივილს: ან პატარა რათ მინდოდა, თხა ან ცხვარი, ან ნალბანდობა რათ მინდოდაო, ვერ შევჭამე მე სუნელმა ისინიო?!

156. კულა გრდანელი

გრდანელი კულაო ჩამოსხმელი სურაო,
მისი ნახი ტარება ათაბანდის ჯურაო.
რაკი რო ხელ დააკლებს, ფეხებ ზეცას უჩვენებს,
კნიაზი სწყალობს იმასა, მაგრამ კნიაზი რას უშველის!
უჯერის კლაკი ძალისა.
ამბობენ, კულა გდანელი გათქმული მოჭიდავეა,
გარშამოიკლის კრუგია, რკინის კარები ეიბა,
ზედ მიაგორა ქვანია, მუქთან არავინ შოუშვა.
ხალხი გაცვითა ბევრია. იმერლებმა რო გეიგეს,
თავში იტკვლიცეს ხელია. ა სომხებმა თუ ასე ქნეს,
რაღა ბიჭობა ჩვენია, ჩვენცა გვყამს ერთი ფალეანდი.
ნესტორო ოსებუაო!
გაიმართა ჭიდაობა „იტალიის" ბაღშიაო,
პირველი გევიდა გრდანელი, გევიდა ნაზი-ნაზითა,

ბოლოს გავარდა მეგრელი გავარდა როგორც ტურაო.
ის გრდანელი დეინახა, ლომივით მიაშურაო.
ყისერში ხელი წაავლო, სულ ერბო მოიცურაო,
გაარტყა სწრაფად ხელი, სიმარდით გადაუხტაო,
დააკლო მღლიაში ხელი, დათვივით მოიტრაო,
დააძგერა გულში ხელი, ბულთივით გააგორაო.
გრდანელი კულაო ჯერ არ გალახულაო,
როცა გეილახება, მაშინ დეიმარხება.

157. მაღლა მთას მოდგა

მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი,
თეთრი ფთიანი, ბოლოწითელი.
ეღელეს ჩამოდგა დიდი ლაშქარი,
ოსი და დვალი, სულა მდვალეთი,
სულა მდვალეთი ფაიქომელი.
ომი შეიქნა ქალაქის კარსა
ცისკრისა ქამსა, გამთენიასა,
გამთენიასა, მზის ამოსვლასა.
ფარვა ფარისა, ქნევა რხმალისა,
ძგერა შუბისა, შუბის ნალეწი
ზეცას ცვიოდა, ჩამოცვიოდა,
ჩამოცვიოდა მესამე დღესა.
რხმალი ორპირი სისხლში სცურევდა,
მუზარადარი გორსა გორევდა,
ჯაკვი უღალსა ეშუებოდა,
ეშუებოდა, ვინცა კაცია,
ვინცა კაცია, ჩოხა აცვია,
ჩოხა ჯაკვისა, ქუდი ნაბდისა.
ჯაფარ გაიქცა, სვეტი წაიქცა,
სვეტი წაიქცა, სვეტი ოქროსი,
გერგილი სძახის გაღმა ყანასა:
— ჯაფარ, ვერ მოხვალ შინა მშვიდობით,
ცოლს ვერ მოუტან ლაშქრულ ამბავსა,
მწვანე ქოშებსა, წითელ კაბასა,
დარაიასა, სათაიასა.

158. [ფრაგმენტი]

მაცხოვარსა რა მოგართვათ? რქათეთრი ქერა ხარიო.
დედახვთისას რა მივართვათ? რქადახვეული ცხვარიო.
ზემოთა კარსა მოადგა შავი სვანისა ჯარიო,
ქვემოთა კარსა გავიდა შავი სისხლისა ღვარიო.
ხელი ჰკა, რხმალი გასკერი, გულო, ნუ შემიშინდები,
სისხლისა ნატალახევსა ფეხო, ნუ მომიცურდები!

159. საზამთროში რომ შევედი

საზამთროში რომ შევედი, ვნახე სვანების სავალი,
წვერს იქით გადაეტანათ ჩემი გახდილი ყავარი,
წვერს იქით გამამეკიდა ჩიხარიშელი სვანუკა,
მე იმის იმედი მქონდა, სეფეს ეკიდა ხმალუკა.

100. ე ხუცესი დევითხოვოთ

ე ხუცესი დევითხოვოთ, ჩვესა ნუ დეიარება,
არცა გვინდა მისი წირვა, არცა მისი ზიარება.
ჩვენ რომ ტრაპეზში გვეგონოს, ქალებში დეიარება.

101. რა ვქნა, რა ვქნა, რა ვქნისაო

რა ვქნა, რა ვქნა, რა ვქნისაო, ავი დედამთილისაო,
სახშიდა ვარ — კუტს მიძახის, გარეთ გავალ — ძუნძულასა,
ვიტყვი რასმე — კახაპასა, არას ვიტყვი — მუნჯუნასა,
შეეკამ რასმე — ჭამიასა, არას შეეკამ — წუნიასა.

102. ბძანა გიორგ ერისთავმა

ბძანა გიორგ ერისთავმა, ვიყავ კაცი კაც-შამაცი,
ჯერ რომ მეფემ დამიპირა, თვალი დამწვა,
თვალდამწეარი გადავარდი, ოსეთს ქორულეფ ჩავარდი,
მივგლიჯ-მოვგლიჯე ოსები გამოვიტანე სოფლები,
ჩამოდგენ ქუმარელები, ნისლივეთ შამეეხვიენ,
ერთი თოფი რომ გავარდა, გიორგის მოხეთა გულსა,
ბერმა გელვანმა იკითხა: ტყვია ხომ არსა მოხვთა?

103. როდეს აშენდა მანგლისი

როდეს აშენდა მანგლისი, წყარო ადინეს მილითა,
შიდ დადეს სასახლეები, თეთრათ შელესეს კირითა.
შიდა ჯის ქალი ლამაზი, თითებს იღებავს ინითა,
თრიალეთიდან მეცხვარე ყველს უზიდავდა პინითა.
მეცხვარე პირად შეადგა, მეცხვარე ქალმა დასწყევლა
თავის ცოდეილი პირითა, მე მოვსწრებოდე მანგლისსა,
შენ ყიზილბაშებ მიყავდე, ქვაც ალარ იყო ძირითა,
მე გავხდე შენი სახსარი, ფული მემეცეს ქილითა.

104. მაია, სად მიხვალ

— მაია, სად მიხვალ? — რაჟას მივდივარ.
— რაჟას რა გინდა? — ქმარი მამიკვდა.
— ქმარი რათ გინდა? — შვილებისთვისა.
— შვილი რათ გინდა? — მამელისთვისა.

105. შაირი უნდა გამოვსთქვა

შაირი უნდა გამოვსთქვა, დავაწერო ქვაზე,
ურავლები, სორელები წაიკიდნენ მთაზე.
შხეფურში რო გამოხვედით, იქ გეიკეთეთ ყანაო,
ჩვენ საზამთროში მივდივართ, დროებამ მოიტანაო.
კანონიერათ მოიქცა ჩვენი სტეფანე ჩალაძე,
სორელებს ეუბნებოდა: ნუ მოიქცეეით ძალაზე.
ჭკუიანათ მოიქეცით, ძალაზე ნუკი დგახართო,
შეა საზამთროში წადით, თქვენაც იოლათ წახვალთო.

ჩვენ ქვიბინაში მივდივართ, უფროსი და საზდელიო,
სტეფანე ეუბნებოდა: მით უფრო არ გასძელიო.
ურავლებმა გამორეკეს, ერთი აღარ დააყენეს,
სორელებს გული დასწყდა-ყე. ბოიკოტი შეაყენეს.
ურაველი რომ შეგხვდება, თავში კეტი დაუშვათო,
აღარც სახლში დავაყენოთ, აღარც ონში გაუშვათო.
კახეთიდან მოვდიოდი, ტყეში მგელი ყუოდა,
ურავლები მართალია, სორელები ტყუოდა.

166. მზისა ქალი

მზისა ქალი, მზისა ქალი უჯდა მთვარესაო,
შარშან ქმარი მოჰკვდომია, დღესაც ტირისაო.
შეუკაზმეს ლურჯა ცხენი, წავიდაო,
დედ-მამასა კარს მიადგა: კარი გამიღეო!
ავმა რძალმა გამოსძახა: კარს ვერ გაგიღეფო!
ჩემო რძალო, ჩემო რძალო, კარი გამიღეო!
დედამთილი შინ არ არის, კარს ვერ გაგიღეფო,
დედაჩემსა კაბასა — გულ-კარი დამიღეო,
მამათილი შინ არ არი, კარს ვერ გაგიღეფო!
მამაჩემსა ჩორასა — გულ-კარი გამიღეო!
მაზლები შინ არ არიან, კარს ვერ გაგიღეფო!
ჩემსა ძმებსა ხმალ-ხანჯარი, კარი გამიღეო!
მულები შინ არ არიან, კარს ვერ გაგიღეფო!
შეს მულებსა მულაია, კარი გამიღეო,
შილები შინ არ არიან, კარს ვერ გაგიღეფო!
შეს შილებსა შილარია, კარი გამიღეო!
ცხენ-ჯორები აბრახუნებს, კარს ვერ გაგიღეფო!
ცხენ-ჯორებსა თიეა-ქერი, კარი გამიღეო!
კარი ჭრიჭნავს, ძაღლი ღრინავს, კარს ვერ გაგიღეფო!
კარსა ცეცხლი, ძაღსა მგელი, კარი გამიღეო!
კარსა წყალი, ძაღსა ჭადი, კარი გამიღეო!

167. დიდი ეინძრა სულთანი

დიდი ეინძრა სულთანი, სულა სვანეთის თავიო,
ეცერსა კაცი გაგზავნეს — გვახმარეთ თქვენი ძალიო!
ეს ეცერი და უშგული შეიქნა დიდი ჯარიო,
მათ რომ აბჯარი აისხეს, არ მოშორდება თვალიო.
გრილისის ჭალას ჩავიდენ, მიწას დასხეს ძალიო.
თითო მათარა ღალიეს, მით იზიარეს თავიო.
ხოლის თავსა რო მივიდენ, ახსენეს მაცხოვარიო.
ბოხჩურები ძაღლს წვეღო, მე დავრჩი ცარიელიო.

168. ვისაც ორი ცვარი ღვინო. . .

ვისაც ორი ცვარი ღვინო ქვევრაში აქ წამალივით,
ახალ-ყვირას გადაღრუშავს, დეიყივლებს მამალივით,
მაშინ ყანწს და ყურიანსა ღვინითა აქ ძირი სველი,
თიბათვეში რომ ჩახედო, ობობიასა აქ ქსელი.
გაუბერავს ბადესავითა, შიგ ბუზი დაუმწყვდეევია,
ვისაც მითი გადოუკრავს, თავ-პირი დაუმტვრევია.

169. ტანად გევხარ ალვის ხეხა

ტანად გევხარ ალვის ხესა, პირად მზესა ბრწყინვალესა,
ყელ-კისერი ბროლს მიგიგავს, ქვეყნის ფასად ასათვალესა.

170. ახალ დროს რო მოვესწერი

ახალ დროს რო მოვესწერი, გავახილე თვალი.
ნიკოლოზის დრო რომ იყო, ნახევარჯერ მარხვა იყო,
ახალი დრო მამეწონა, ძველი დრო კი გლახა იყო.
უსწავლელი ქალი კი ვარ, ჭკუა ბევრი მაქ თავშია,
დებულებაზედ დავდიეარ, არა ვჩერდები სახლშია.
ნეტავი ნასწავლი ვიყო, ქაღალდების წამკითხველი,
საქმეს კი ისე მიეხდები, როგორც კარგი გამკითხველი.
შაირებში ვერ მაჯობებს ჩემი ტოლი ასი-ათი,
დაბადებიდან გამომყვა მხიარული ხასიათი.
გლეხი ვარ და გლეხის შვილი, ილიტე ვარ ბელაშვილი.

171. ვაუიკაცი არ ვარგია

ვაუიკაცი არ ვარგია ხასიათით ქალაჩუნა,
დედამთილის მოჩხუბარი, თუ ცოლი არ გააჩუმა.
ბარებობას ჩამოვედი უხემსური დილაზე,
ქალები რო შინ დავტოვე, აღარ დამხვდენ ბინაზე.
ბოხჩერები ჩავუფიცხე იმ ქალების ჯინაზე,
უცფათ ღვინოზე წავედი, თოხს დაუწყე თვარიელი, . . .

172. ჯაფარ, რა იქნენ მოწიფულები

— ჯაფარ, რა იქნენ მოწიფულები?
— უკან მოდიან დაღალულები.
— დაღალულებსა ქვე რა მოაყვე?
— მოაქვთ ქალაქით: თავი გოდრითა,
თავი გოდრითა, ტანი ღამქრითა,
წერილი წელები ხელ-კალათითა.

173. ზემოთიდან წამოვედით

ზემოთიდან წამოვედით, გზაში ვჭრიდი ფიწალასა,
მე რომ ერთსა სიტყვას გეტყვი, შენ რას მეტყვი მისთანასა?
ქალაქისკენ რომ გაეწიე, ძაღლი წამყვა ქვეცირა,
შენ მე რა უნდა მასწავლო, შენთვის არა იცი რა.
ტყეში შაშვი დეეიპირე, ის გაეზარდე გალიაში,
არცა გაქ ბეღელში პური, არც სიმინდი ნალიაში.
წითელი ცხენი ვიყიდე, იმას დავარქვი ბოდაო,
სახლი და კარი დაგექცა, ბეღელი დაგიგორდაო.

174. ონიდანი წამოვედი

ონიდანი წამოვედი, ხიდიკარში გელი ება,
თუ მაგის მეტი არ იცი, აქ რა მოგარბენიებდა.

175. ურავლები მთის ხალხი ვართ

ურავლები მთის ხალხი ვართ, ქადა გვიყვარს რაკული,
დიდი ქემელი გქონია, ჩაგეტევა ბაკული.

176. ბოსტანაში გედვიხედე

ბოსტანაში გედვიხედე, ყაყაჩო გაპენტილაო,
ორგან ქორწილში ვიყავი, ორიეგგან მზარეული,
ძმობილო, ჭკუით იყავი, სიტყვა მოგდის არეული.

177. ონშიდ ვარია ვიყიდე

ონშიდ ვარია ვიყიდე, წავაცალე ფოცოცი,
შენისთანა მოშაირე ვერ გამყვება ოც-ოცი.

178. სიდედრი ქყავდა ეული

სიდედრი ქყავდა ეული, სიმავრი გადარეული,
ცოლი ქყავდა ხუანი, არცა შენ ხარ ჭკუიანი.

179. სამი სუდია დამჯდარა

სამი სუდია დამჯდარა, მწერალი უჯის თავსაო,
ბურჯინიანს დაინახვენ, ერთმანეთს უზმენ თვალსაო,
ემას საქმე გოუკეთოთ, კიდევ მოგვიტანს ცხვარსაო,
ცარიელი რომ მოდიხარ, ხშირა გაზომავ გზასაო.
აქ ცარიელა მოსვლასა სჯობს შეეკამი ძაღლსაო.

180. თქვე ხუცეს სნება შეექნა

თქვე ხუცეს სნება შეექნა, ჩვე ხუცეს ცოგბ-ცხელება
დიაკონი იძახოდა: ტაბლას რაღა ეშველება?
საქონლის აცრის გამგონე ვის არ გაახარებსა?
საყურეები შეაბეს ძროხებსა და ხარებსა.
საწყალი ჩვენი ვეფანა აღვრიალებს თვალებსა,
ორი წვეთი სისხლი ჰქონდა, ისიც გააცალესა.

181. შენი ჩორჯი და ღვიარა

შენი ჩორჯო და ღვიარა შენ მოქწონს, თვარა მე არა,
თავში მოედო მეწყერი, ბოლომდე ჩაბღრიალა.

182. იცი და მოგეხსენება

იცი და მოგეხსენება, რა მოდის ხემწიფესაო,
ის შამირი და თათარი სუყველა აუტყდესაო,
ქრისტეს ნაკურთხი გვირგვინი ნიკოლოზს დაადგესაო,
კარგი ხემწიფე დაგვიჯდა, ვერავინ წაახდენსაო.

ეს ყურმუსაღი თათრები საომრათ წამოდგესაო:
იმერეთი ჩვენი არის, ქუთაისსა ჩავდგამს ფეხსო.
სულ მამაჩემს გაუგზავნი, რაც რომ ის ქონება დევსო,
ეს რო ლენერალს მოხსენდა, მასუკან მართებელსაო,
დაუდეს და წიგნი დაწერეს, მიართვეს ხემწიფესაო,
ეს ყურმუსაღი თათრები ჩვენ როგორ გაგვიძლეფსაო!
გვარდიის ჯარს დოუძახეს, კაბები ჩაიცვესაო,
დრაგუნის ჯარს დოუძახეს და პლანი დაწყვესაო.
ოცდაათი წელიწადი ქედლები დეისვესაო,
ახალ თოფებს აკეთებენ, შუბები დეიგვესაო.
ნეტა ვიცოდე, თათარი ჩვენ როგორ გაგვიძლებსაო,
პირველ რომ ჩხუბი მოვიდა, ნიგოითს განსაცდელსაო.
ოძდაათი ზარბაზანი ერთბამად გავარდესაო,
„ურაო-ურას“ იძახდენ, ზედ აყენებენ ცხენსაო.
ქუთაის ლხინი მოვიდა, იამა მართებელსაო,
სამი ოქრო გოუგზავნეს, აფიცარს მიართვესაო.
ასეთი ოქროებია, აღლი არ გადაწვდესაო,
დოუჭირავს-ყე თათრები, ქუთაის გაგზავნესაო,
ზოგიერთს მოპარცეს ულაში, ზოგს კუარი წოუსვესაო.
·სე გეიქცა თათრები, თავსხლაფი დაასხესაო.

183. ერთი რამე გევიგონე

ერთი რამე გევიგონე, ერუსალემს უთხრეს ფასი,
ქრისტეს საფლავის გაყიდვას ვინ გაბედავს ამ დრო-ჟამში.
ვინც ამ სიტყვას არ იყურებს, მატლი დეესევა თმაში,
თათრის ხვანთქარსა ბატონსა ჭკუა დაბნევია თავში,
მას რომ დოუჩემებია ჩასაყურთხებელი თვალში:
რუსი უცევ გარდავდენო, მაგიერათ დაესხდე ტახტში,
ეს ხემწიფემ გეიგონა, ცოტათ გეიცინა წარბში:
აყროლებულსა თათარსა რა უქენი ამის ფასი?
გამეკიდეს და მეჩხუბოს, უთხარ, მომცეს საჩხუბარში.

184. ათი ათასი ხმალს იცემს

ათიათასი ხმალს იცემს, უფალმა გამოუსია,
რუს ხემწიფე და ხვანთქარი მაღალმა ღმერთმა წაკიდა,
უძირო ზღვა გააჩინა, შიგ ხომალდები ჩაჰხიდა,
არვის ნასროლ ზარბაზანსა ხონთქარი ტახტზედ გაჰკვირდა,
ბეგლარები იძახოდენ: ახლა კი საქმე გაჭირდა.

ვ ა რ ი ა ნ ტ ი:

რუსთ ხელმწიფე და ხონთქარი მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა,
რაც რუსთ ხემწიფემ საქმე ხქნა, თითონ ხონთქარი გაჰკვირდა.
ზღვაში ჩოუშო გემები, ზედ ხომალდები მოჰკიდა.

185. გამარჯობათ, ღვთის წყალობა

გამარჯობათ, ღვთის წყალობა თქვენს ახლადჩადგმულ კალოსა,
ეკან-უკან ვიხედები, ძაღლი არ მამეპაროსა.

საწყალმა ჩვენმა ქალებმა მოკითხვა დამაბარესა,
სულ თან გამომატანეს, ყაკუკა დამაბარესა.

მაირ სიტყვების მესტვირე ფარახელი ვარ რაკველი,
შორი გზიდან გიახელი, შემომელია საკმელი.

აქეთ ვეკი, იქით ვეკი, მოვაფარე ცეცხზე კეცი,
შენი ჭირიმე, ნუ გასტეხ, ეიღე, ეგრე მომეცი!

ჩეკისოსინო, აქ დაეჯდე, ხომ არ დამელევა ლექსი,
ამოვიარე ხეანკკარას, თქვენი სადღინძელო შევსეი.

ჩამეკიარე ფარეხეთს, მამასახლისი გალახეს,
მიკედი მისაშველებლად, ერთი ორი მეც მამარტყეს.

ჩამოვიარე სევა, დაეიწყე განზე წევა,
ძველი დროები დავმარხეთ, თან მიხყვა მტრისა რბევა.

ამოვიარე სამთისი, გოგოს მიხქონდა სამტკიცი,
დოეჩოქე და შევსთხოვე, დასამალავი სად იკი.

დედის გულის ყვავილო, მამის ციხე-ქალაქო,
ბაბუას წითელო ეაშლო, სუფრას გასაგორებელო,
მამიდას აბრეშუმის თავსაკრაო, მკერდის დასამშვენებელო.

წისქვილს პური მოურიგე, ჩამოვიდა მინდობითა,
მე მივდივარ, თქვენ დაქტოვებ, კიდევ განახამ მშვიდობითა.

ყველა სოფელს მირჩევნია მე სოველი კრიხი,
თუ ჩემს მეტი სხვა გიყვარდეს, შენ შეგექნას ტიფი.

ჩვენს ეზოში ამოსულა ერთი ძირი ფიქვი,
ჩემი შეყვარებულია შავგრიმალი ბიკი.

ვაი დედა, გული მტკივა, ვაი გულის ფიცარი,
ჩემი შეყვარებულია, დედისერთა ვინე არი.

წითელი ლობიო ვკამე, სახეზე დამაფუცუცა,
ლმაზო ბიკო, მითხარი, ეგრე რამ დაგაცუცუცა.

186. უწინ იყო ზღვა ქვეყანა

უწინ იყო ზღვა ქვეყანა, გადაშრა და დარჩა ხმელი,
მაშინ კაცი არსად იყო, ქვეყნიერათ განაჩენი.
ხკვირობდა იესო ქრისტე, თვითან ი ჩვენი გამჩენი,
ძირიდგან მიწა ეიღო, მიწა იყო ყვითლისფერი.

ამას სული ჩოუბერა, — ადამ დაგდეა კაცის ფერი,
ადამ ნათლათ შემოსილსა თან უნდოდა ტანსაცმელი.
მუშოობა არ უნდოდა, სარჩო ხქონდა ძველისძველი,
დღემუდამ ჩამოდიოდა ზეციდამ გაფცქვნილი მწყერი.
მასუკან კიდევ უხერხეს, მას ამოშვრეს გვერდის წკნელი,
ადამს უწოდეს ცოლათა, არვინ იყო მისი მდრელი.
სიტურფით და სილამაზით ღამე გაანათლოს ბნელი,
ის ადამი და ევაი ერთათ იყვნენ დასასხდენი.
ორთავე ბაღში დაბრძანდენ, ნეკრეთ მისცა ერთი გველი,
უფალი სხვაგან წაბრძანდა, ხმელეთი აქეს დასაველი.
ნეკრეთ მისცა ერთი გველი, ევას ეგრე დაბარა:
ყოველი ხილი მიირთვი, ყოვლიერათ მოსასდენი,
ლეღვა არავინ შეგტყუოს, საძაგელათ შესაქმელი,
თუ ვინმემ ლეღვა შეგტყუა, ჩვენგან აგეღება ხელი!
ღმერთმა დასწყეველს ეშმაკი, თურმე გახდა ჩვენი მტერი,
მივიდა, დახე, კარებზე! — გველო, კარები გამიღე,
მე ვარ შენი მეუფენი!
გამობრუნდა ის ეშმაკი, გამოსცვალა ტანსაცმელი,
მოორეთ რომ შოუტია, გველსა შიშით მოსწყდა წენი.
გველმა კარები გააღო, შეეიდა, დახე, ეშმაკი!
ეიარ-ჩამეიარა ედემისა ბაღი გძელი.
— ევა, ე ლეღვი მიირთვი, გემრიელი შესაქმელი!
როცა შესცდენ და შეეკამეს, ძირს ჩამოცვინდათ ნათელი,
დაღონებულან საწყლები, ტანზე დეიფარეს ხელი.
ჯაგებში იმალებოდენ, თვალზე მოზდიოდათ ცრემლი,
ისევ უფალი მობრძანდა, თვითონ ი ჩვენი გამჩენი.
— ევა, სიტყვა დაგაბარე, რაღათ ქენი მაგოდენი?
— ეგ ჩვენი ბრალი არ არი, რაც გერჩიოს, ის გეიქენი!
ეს იმისი ბრალი არი, შე რო ნეკრეთ მოგვე გველი,
ის ხო იყო ჩვენი მტერი! მაშინ დასწყია ის გველი.
აღარც შეარჩინა ფეხი, აღარც შეარჩინა ხელი,
მიწა მისცა საქმელათა, კიდე ხქონდეს საზოგველი.
გველი და ადამიანი გაეხდით ერთმანეთის მტერი.
ქალიც ხო ასე დასწყია: სულ წიოდე და კიოდე,
ძეობა ხომ მოვა შენი, ძეობაზე რომ მიდგები,
მორჩენაა შენი ძნელი. მაღლა გეკიდოს ბაწარი,
იმაზე გეკიდოს ხელი, ქალმა შვილები ინატრა
სასიკვდილოთ გასაზდელი.
ქალის ჭკუა თხამ შეეკამა, ჭკუას ვერ მოხკიდა ხელი,
თურმე წყალზე მობრძანდება მარიამი ხეთიმშობელი.
წყარო-გრილთან რო მივიდა, დაამთქნარა მარიამა:
იესო ქრისტე ჩაუძვრა, თვითან ი ჩვენი გამჩენი.
მარიამ მუცელ შეფსხვილდა, რო გვვიდა ორი თვენი,
ოდდახუთ ქრისტეშობისთვეს იესო გამოჩნდა ჩვენი.
ნათლიღებას მეინათლა იესო ნაზაროველი,
იორდანეე იქ მობძანდა, მერე ი ზურაბი ჩვენი.
დალოცვილმა ქრისტე ღმერთმა ზღვაში ჩახკრა თვითან ხელი,
ჩაკრა და ამოიღო მარმარინოს ქვა ნაკერი,
ადამ და ევას მინაცემი.
წეიკითხა, დაამტკრია აგრე, როგორცა რომ ტკერი,
ეშმაკებს შემოუტია, შიშით წოუხდინა ფერი.
პირველ მქედელი აკურთხა, შეწური და შესდგა დგელემი,
რკინი კეტები აკეთა ჯოჯოხეთის სარღვეველი.
ამი კუთხე დააქცია, მეთერთმეტეს მიყო ხელი,

მივიდა პილწმა ეშმაკმა და იცვალა ტანსაცმელი.
ქრისტეე, კუთხეს ნუ დააქცევ, აგეკურება ჩვენი ხელი,
არც ერთი აღარ გაგიტანს — აღარც ბერი, აღარც ღვდელი.
დაფიქრდა ქრისტე მეუფე:
ამ დაწყევლილმა ეშმაკმა ეს ქნა ჩემი მოსახთენი,
იქ დატოვა ცალი კუთხე, შიგ შოუშვა კუპრი ცხელი.
დედ-შამის უპატიურსა გოუხვრიტეს ენის წვერი,
ძმა ძმისა მოღალატესა ფიცხლავ მისცეს სატანჯველი.
კისერზე შემოახვიეს ოძდახუთი ჯრელი გველი,
შიგ არის წისქვილის ქერდი, პირში ჩრია სარეკელი.
ვინც ჩემი არ გეიგონო, იმან გაიკითხე ღვდელი,
წირვას უნდა ყურის სმენა, ლაპარაკი არის ძნელი,
ხომ იცით, რომ ეშმაკს მოკლავს ცისკრის ლოცვის მომსმენელი.

187. აბრამ იყო ხვთის მოსავი

აბრამ იყო ხვთის მლოცავი, მაგრამ ძენი ენატრების,
საქონელი ბევრი ხქონდა, არვინ იცის, ვის დარჩების.
— ღმერთო, ერთი შვილი მამეც, ისიც შენთვის გამეზდების,
შვიდი წლისა სამღოთოთ მითქვამს, ეს პასუხი არ გატყდების.
ორმოც დღესა არა ჭამა, წინა სტუმარსა მოელის,
რა დასრულდა ორმოცი დღე, ეწვია მასა ღვთაება.
პურის ჭამა გაათავეს, მაშინ მისცა ახსარება:
— შენ მემკვიდრე გაგიჩთება, სამამულეთ გაგეზდება.
ეს ანბავი გეიგონა, თვით სარას გეეცინება,
— დრო გარდამსვლია შვილისა, მე როგორ ეა გამიჩთება ?!
და თუ ნება უფლისა არს, მე ადვილათ მეყოლება,
ვიგონებ მალ-მალ ხვთის სახელს, ნება მისი ითავდება
სარას შვილი ჩეესახა, მეცხრე თვესა ეყოლება,
ისაკ იშვა, ძე უმანკო, იგი სამხვთოთ აღსრულდება.
იმ მოორე წელიწადსა მამასთან დეეძინება,
იმ მეხუთე წელიწადსა ხვთის მონება შეეძლება.
იმ მეექვსე წელიწადსა ისაკ ტანათ აღიზრდება,
იმ მეშვიდე წელიწადსა აბრამ ცოლსაც გაუტყდება:
ქალბატონო, შენ რა იცი, ეს ყმაწვილი რათ კეთდება?
შვიდი წლის სამხვთოთ აღმითქვამს, ეს პასუხი არ გატყდება.
წეიყვანეს, რაღას ღონობ, ხვთის პასუხი არ გატყდება,
ხვთისა წინა სამსახური არაოდეს არ წახდება.
აბრამ ისაკ წეიყვანა, ზვარაკათ ის ენებება.
აბრამს ცეცხლი ხელთ ეჭირა, ისაკ შეშას ეზიდება.
რა მივიდნენ მაღალ ნერგთან, შეშას მისცეს ცეცხლკიდება,
ცეხლი ასეთი ანთია, ზეცას ალი ავარდება.
შვილმა უთხრა: — მამაჩემო, ქვაბი დუღს და წყალი შრება,
სხვა საკლავი არსად ჩანს რა, გული რაღათ გიღონდება?
ადგა, მამას გვერც მიუჯდა, დედამიწას დეემხვება,
მაგრა შემკარ, ისე დამკალ, მამას ასე ეუბნება.
სისხლი არსად შემოგესხას, სამსახური წაგიხდება!
აბრამმა დანა გალესა, დასაკლავად ემზადება.
თვალთაგან ცრემლი ზდიოდა, კალთას ზედა ტბა დგებოდა,
ანგელოზი შეეკლინა. აბრამ მისცა გახარება,
ზეცით ვერძი დაანახვა, მის მაგიერ ეს ინება,
ეს დაკალი და შესწირე, ღმერთსა დიდათ მიაჩნდება!

შემოქმედმან გამოგცადა, მტკიცეთ გაქვს სარწმუნოება,
და შენს შვილს ისაკს ეშველა, სარას მისცა გახარება.
ამას იქით ნუ ინაღვლით, თქვენი გვარი გადიდება,
ვითა ქვიშიანი ზღვისა, უმეტესად გამრავლება.
ხართ კურთხეული უფლისგან, მავნე არსით გეცილება,
ყოველნი მართალნი სულნი შენს წიაღს შეიკრიბება.
რა ესმა ხეთისა მონება, გულმოდგინეთ ისაკ იხსნა,
ორნივ შევიდენ ხეთის წინა, შექნეს დიდი ღაღადება,
თაყვანი სცეს შემოქმედსა და უმეტსი დიდება.
ვერძი დაკლა და შესწირა, რადგან იყო ხეთისა ნება.

188. ვაი შენ, წუთისოფელო

ვაი შენ, წუთისოფელო, სანახავათა ხარ ცუდი,
გეიბეკო სული და ხორცი, რომ მიდგენ გასაყრელათა:
შენ ჩემთვის ცოდვას შობოდი ცოდვაში ჩასაგდებათა,
გამისტუმრეფ ცოდვიანსა, ვაი შენს მასპინძლობასა.
უსაყელოსა პერანგსა გვიკერვენ ჩასაცმელათა,
ამონათხარს ორმოებს გეითხრიენ ჩასაგდებათა,
ამონათხარსა დიდ ქვებსა გულზე გეაწყობენ ჭერათა,
მოდიენ ჭირისუფლები, ცრემლს დაგეაყრიენ ცხელათა.
მადლი მისი შეგეწიოს, ვინც რომ იხსენოს ღვდელათა,
თავის ფეხით ანგელოზი, ქრისტე დაგადგა მცველათა.
ვერ ვისწავლე დიაკენობა, ვერც დეეეკერთხე ბერათა,
ხორცი ვასუქე, ვალაღე, სულს შოუდეკი მტერათა.
ეს რა გვიქნა ქრისტე ღმერთმა, კუპრი ადუღა ცხელია,
ბეწვის ხიდები დაგვიგო, იმაზედ გასელა ძნელია.
ასე მიდის მადლიანი, როგორც სააქაოს ქარი,
ამოტირდა ცოდვიანი, ეაჰმე ცოდვა რათა ვქენი!
დოუძახა მოწყალესა: ღმერთო, მომიმართე ხელი!
ეს უბრძანა ქრისტე ღმერთმა: შენ ის ცოდვა რათა ქენი?
ციკანი კარზე მოგადგა, არ გაათბობიე ხელი.

189. მას შიოდა და წყუროდა

მას შიოდა და წყუროდა, რატომ არ მოკიდე ხელი?
დოუძახა ეშმაკებსა: მაგის სული არის თქვენი!
გადმოფრიდდენ ეშმაკები, ფიცხლად გადახვიეს ხელი,
ეიყვანეს და ჩაგდეს, საცა კუპრია ცხელი.
მაშინა თქვა ცოდვიანმა:
სააქაოს რა გამიწყდა სიტყვა ბძენი, ენა პტყელი,
რა ნახა კაცმა ცოდვილმა, შეეზიზღა საძაგელი,
დაწყეელილმა ეშმაკებმა უკითხავათ მიყვეს ხელი,
მიეხვიენ, მოეხვიენ, იკლაკნება ვითა გველი,
ნეტა იმის წუთისოფელს, ვინაც იყო კაის მქნელი!

190. იჯდა დედა მარიამი

იჯდა დედა მარიამი სამოთხისა კარსა,
ქსოვდა ქსელსა ძოწეულისასა, ჩამეიარა ურია ქვეთერმა,
შეთვალა, შეუბალა, შეაგრძნეულა,
სკამი დოუმტვრია ოქროსი,

ქსელი ოუშალა ძოწეულისა,
ცრემლი აყრევია მარგალიტისა.
ჩამეიარა მიქელ გაბრიელ მთავარანგელოზმა:
რასა სტირი, დედა მარიამ?
რავა რასა ვსტირი?
ჩამეიარა ურია ქეთერმა,
ქსელი დამიმტვრია ოქროსი,
ცრემლი მაყრევია მარგალიტისა.
არა მამა-ძემ სულმა წმინდამ,
არცა ჩამოარონიო ურია ქეთერი,
არცა ავაშლევიო ქსელი ძოწეულისა,
არცა ვაყრევიო ცრემლი მარგალიტისა,
არცა დავამტვრევიო სკამი ოქროსი.

191. დავწვები, დამეძინებაო

დავწვები, დამეძინებაო, პირჯვარი დამეწერებაო,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი ამ თავქვეშ დამესვენებაო,
ჯვარი მწყალობს ჯვარცმული, ვერას მაკლებს მაცდური,
წყალობს წმინდა გიორგი, ჯვარი პატიოსანი.

192. ზელოცვები

(ძროხის წყლულისა)

ანი იდგა, წყალი იდგა, იმას უკან ქალი იჯდა,
ადე, ქალო, მომიტანე კალამი და კალმისტარი,
ჩავკერავ წყლისას გაპარვისას.

(ცვალისა)

პეტრემ უთხრა პავლესა: რათ არა ჭამ პურსაო?
ცვალი მასვია გელსაო, რადენს გაარყვე ფთასაო,
იმდენს გადაყრის ცვალსაო.

(ფეხის ტკივილისა)

გათენდება, გამთელდება, დაღამდება, დაბალღამდება,
მამალი დეიწყებს ყიეილ, მოგიმატებს ტკივილ.

(სურდოსი)

სურდო მეწვია ხიფითათ, არაფერი მაქ სადილათ,
არიკალი, მარიკალი, თაგვი-ვირთხა დოუკალი
სიბრონია სტუმარსა.

(დამწვრისა)

ელი ელობდა, მელი მელობდა,
ზღვა შოშინობდა, ზღვა ფოფინობდა,
წითელ ხუცესსა ხარი გევბა,
ზღვას ხნავდა, ქვიშასა თესავდა.

(ნათვალავისა)

გადავკარი შავსა ქვასა, შავი გველი მას ამოყვა,
დავადევი შავსა ქვაზე — დნებოდა, ჭკნებოდა.
ისე შენი აეთვალის შემომხედავი
დადნა, დაკარქდა და განიორწყალდა,
რა უნდა ი კუდიანს, ი ეშმაკს,
მისი სვას, მისი ჭამოს,
შენ ჯვარი დაგწეროს.

(მონადებისა)

მონადებო, შეილიანო, ძირიანო,
შენი დედა ტირიანო,
სადაა ჩვენი შვილი,
სადაა ჩვენი ძირიო?

თავ-ფეხი შენთვის შეუნახავს-ყე,
ადრე მიხვალ, შეგინახენ,
გვიან მიხვალ, შეგიჭამენ.

ფურჩხით მოზდებოდე,
ტალახით მოზდებოდე,
წყლით მოზდებოდე.

მაინც მოდებული ხარ,
მაინც მოფურჩხული ხარ,
აქჩეხავ, დაგჩეხავ ჭრელტარიანი დანით,
ღობე-ყორეს მოგჩეხავ.

(გალახული საქონლისა)

ანი დადგა, ბანი დადგა,
უძრავი დადგა, ნაძრავი დადგა,
კდე დადგა, ღრე დადგა,
ყოველივე დამხურიელი დადგა.

ბებრების სახის დედაო,
შვილმა დედას არშიყობა შოუთვალაო,
როგორც ეს არ იქნებაო,
ისე უდროოთ დედა-შვილის გაყრა არ შეიძლებაო.

ბზე აბია, მთვარეც აბია,
მარსკლავები აბია,
დრომდი, ალომდი.

(შაკიკისა)

შაკიკი შამოსჩეევია სათიბისა ბოლოსავო,
ასე ჭამდა რკინასაო, როგორც ხარი თივასაო,
გოუწყრა წმიდა გიორგი, გეიპარა ცილასაო.

(ორსული ქალისა)

დედა-შვილი მიდიოდა ერუსალიმის ხიდზედა,
უძლურობა შეუკვეთა, ანი დადგა, ბანი დადგა,
დრომდი თქვეს მუცელში ბოში დადგა.
ჯორით მაკეა, ძეწკვით აბია.

(საქონლისა)

ეკელია, ბეკელია, ბეკსა ხატი სვენებია,
ღმერთო, ღმერთო, ჩამოყარე
ცხრაკლიტული ბეკედიო,
ნადირს კბილი შეუკარი,
მეგობარსა ხერხველიო.
ჩააგდეს ზღვაში, ნუ ამოუშვებ გზაშიო;
მიეცი ნადირს კბილი სანთლის,
მუხლი ანწლის,
სამოძდა სამ ძმანი მარსკვლაეო,
შენ გებარებოდეს ჩვენი საქონელი ნადირის კბილისაგან,
უწვავ-უბარშავი მკამელისაგან.

(თვალისა)

შეგილოცავ თვალისასა, უწინ ჩემი თვალისასა, შინაებისასა, გარეგნისასა, შავისასა, თვალშავისასა, თვალმაქციისასა, თვალმარღისასა. გულო, მოდი საგულესა, ბამბიანსა საგულესა, შიგ ჩაგიდებ ამგულასა.

(ბატონებისა)

მხიარულო ბატონებო, ვარდო ბატონოვო, თქვენი გზა დეილოცება, დეილოცება, დიდო ბატონოვო, თქვენსა გზასა ვფენდი ვარდსა, ჩემო ბატონოვო, ამ ბატონების ჩალდახში ლხიმი არის და თამაში, დიდო ბატონოვო, უდგიათ ოქროს აკვანი, ვარდო ბატონოვო, შიგ ყმაწვილი უწვენიათ ოქროს ფოჩებიანიო.

(სირსვილისა)

სირსვილი ხნამდა ყანასა, მოედანსა და ჭალასა.
მგელი ება ხარადა, მგველი აპაურადა.
გასკდა მგელი, გაწყდა მგველი და სირსველ ძირი ამოუწყტა.

C. ქვემორაჭული

192.[II] ჭიხვში გაჩენილი

იყო ერთი მოხუცი კაცი. არა ხყამდა არავინ და უნდოდა შვილი ხყოლოდეს, მერე ეხვეწებოდა ღმერთს: ღმერთო, ერთი შვილი გამიჩინეო! და გოუშთა

ჭიხვში. ხოდა, მერე ვეღარ გაიზარდა, გოგო იყო, ქალიშვილი. გადააგდო მერე გზაში. ჩამოვიდა შევარდენი, შეისო ფრთებში და შეიყვანა ნიგვზის წვეროზე. იქანა უწიკამდა საპშელს, სახმელს. გაიზარდა დიდი ქალი. ეს ქალი იყო მზეთუნახავი. მერე, ახლა, ყველას ეინტერესებოდა ძირს ჩამოსულიყო და მოუძღებელი იყო შესვლა ნიგოზზე. ვერავინ ვერ შედიოდა. უნდოდა ახლა ეს ხენწიფეს შეერთოს ქალათ. ეხვეწებოდა ყველას: — ვინც ემ ქალს ჩამამიყვანს, ნახევარ სახემწიფოს დაუბტიკიცებო! ჩამოიარა ერთმა მემცხვარემ და ჰკითხა: — თუ ემ ქალს ჩამამიყვან, ნახევარ სახენწიფოს დაგიტიკიცებო. ა მემცხვარემ უთხრა — ჩამოგიყვანო! და დაუწყო ღანთ, უჩხიკინებდა ცხვარს ნიგვზის ქვეშ. იმ ქალმა, ხმას არი იღეადა, და ამოსულებდა — ყელი გამოუსვი დანაო. მერე მაინც მეცხვარე ასე შვებოდა. — კიდე ჩამეიწიე, არა ვიცი დაკვლა ცხვრისაო და მასწავლეო! ჩამეიწია კი ძალსე, ისეე, რო ზესწვდებოდა კაცი და ჩამეიყვანეს ძირ ე ქალი. მაირთო ე ხემწიფემ ე ქალი და ხმა აღარ ამეიღო ა ქალმა. კიდო, მერე, ეს ხენწიფე ეხვეწებოდა ყველას — ვინც ამას ხმას ამოაღებინებს, ნახევარ სახენწიფოს მივც�o. წევიდა ერთი ვეზირი ტყეში. გაკეთა კუბო, ჩააწვინა შიგ გაფუფქული ღორი და ზეიყვანა ამ ქალთან. და უთხრეს იმ ქალს: — შევარდენი მოკვდაო! — მერე ამ ქალმა ტირილი დეიწყო. — ბერი კაცის ნანატროო, ჭიხვში გაჩენილოო, გზაში გადაგდებულოო, ‘ევარდენის წაყვანილო, ნიგვზის წვეროზე აყვანილო, გაზრდილო, დაქალებულო, ეხლა დაწყარებულოვო! — მერე გეეხარდა ძალიან და გადიხადეს კაბპანია.

192.III ჭენჭერა

იყო ერთი ჭენჭერა. ეს რვა ძმები არიან. ეს გამოერია. ჭენჭერიკა მოხერხებული იყო. მდევსა ხეონდა ქინება. ჭენჭერიკას ძმებს უნდოდა — მდევის ქონება გამოეტანებიოს ჭენჭერიკასთვის. ა ძმებს ჭენჭერიკას სიკვდილი უნდოდა-ყე. მერე უთხრეს: — ჭენჭერიკა, ‘ეეხო მოხერხებული ბიჭი ხარო, მდევსაო ერთი კაი ნოხი რო აქაო, ი ნოხი გამოგვიტანეო! — იმაზე ქე წევს მდევი; — საიდან გამოვიტანოო? მაინც წევიდა ჭენჭერიკა. მდევი წევს ცეცხლი პირას. წეიღო ერთი ჯირკვი, სამსე ბაჭამკულეებით, და შემეეხვია ი მდევს. რო შეაწუხა ბაჭამკულეებმა, ადგა ე მდევი და კარში გაადგო ე ნოხი. ჩამევიდა ჭენჭერიკა, დაავლო ხელი და გაარბენია სახლში. ძმებს გოუკვირდა — როგორ მეიტანე ე ნოხიო? — წადიო, ჭენჭერიკო, და მდევს რო კაი ქვაბი აქაო, მოიტანეო! — წეიღო ერთი კალათი ხვინკა და ჩოუშვა ‘ეეხარში, გადმეესხა ე წყალი მდევს. ამ მდევმა ქვაბი კარში გადმოაგდო: — ‘ედიკელ-გადმეიკელი და მოდი ისთავეო! — ჭენჭერიკა ჩამოვიდა და დაავლო ხელი და გაარბენია. მოუტანა ძმებს. გაუკვირდა ე ძმებს: — რა ‘ქნათო? — წადი და ი მდევი მოგვიყვანეო, თუ კაი ბიჭი ხარაო! — წევიდა ჭენჭერიკა ტყეში, გაკეთა არშიკები, ჩეიცვა ძველი ტანისამოსი, ჩამეიკინკა და იძახის: — არშიკები, არშიკებიო! გეიგონა ამ მდევმა და დაუძახა. იმ მდევს უნდოდა ეყიდოს ი არშიკები. მიუტანა იმ მდევს და შეევაჭრა და იყიდა კიდემაც. ჭენჭერიკამ უთხრა: — ჩაწეკი ‘ბიგნი და თუკი გეიმართებიო, მოგყიდიო! — ჩაწვა მდევი, გეინძრ-გამეინძრა და გატყდა არშიკი. — ‘ღერთო კი მამკალი, როგორ გაზარალეო! — მერე მიორე არშიკში ჩაწვა. ჭენჭერიკამ უთხრა: — ნუ სწუხარო! — ჩაწვა მიორე არშიკში და იმაში კარგად მოიმართა. მერე თავი დაასურა ჭენჭერიკამ, დაამწყვარია შიგნი, წამოიდგა ზურგზე და წეიყვანა

სახში. თითი გამოუყო და დაუწყო ჩხიკინი ჭენჭერიკას. მერე თითი ზე მოაკრა. მოუყვანა და დადო სახლში. ე ჭენჭერიკა წევიდა და ევიდა ეკლესიაზე, თავზე დაჟდა, წიწიკორაზე. მერე დოუბარა ძმებს — არ უთხრათ აქა ვარ შესულიო. ჭენჭერიკას ძმებმა გამოუშვეს ე მდევი და უთხეს — ემა და ემ კაცმა დაგიჭირაო, ანიშნეს. ე მდევი გეიქცა, ვერ შევა. ასე ეკითხებოდა: — რავა ეხვედიო, მასწავლეო, კი არ შექჭამო! ჭენჭერიკომ დოუძასა: — გავახურეო თონეო, საჩეჩელი დავადგი საჩეჩელზეო, დავკარი ფეხი და ამოვხტენიო!—მდევმაც ასე ქნა და ჩაეხვლა ა თონეში. ემ ძმებმა დეინახეს, მოსთხარეს მიწა, გადააფარეს ნოხი, მერე ჭენჭერიკა გამეიქცა, უნა მეეკლას, და დაადგა ფეხი და ჩავარდა ქვედა ქვეყანაში. დეეცა დედაბრის სახლი თავზე ქვედა ქვეყანაში. დედაბერი აცხობდა საკმელს და წყალი არა ჰქონდა. ეხვეწებოდა ქალს წყლი მოტანას. — მე მოგიტან წყალსაო! — არ უშვებდა: — გველეშაპი გვყამაო. და მაინც წავიდა და ნაინც: შეეხვეწა ჭენჭერიკა გველეშაპს: — მომეცი ერთი ჩაფი წყალი, ზედა ქვეყნიდან ჩამოსული ვარაო! — გამოატანა, მოსცა ერთი ჩაფი წყალი. გამოაცხო ქალმა და ჭამა საკმელი. კიდო წევიდა მოორე დღეს და გადაყლაპა იმან. დატრიალდა შიგ და ფილიკა-ფილიკა წეიღო გველეშაპი ხმალით. ე ჭენჭერიკა გამევიდა მუცლიდან. ა გველეშაპს თავი მოაკრა და დაასვა ხანჯლის თავი შუაგულ ქუჩაში. — ვინც ე გველეშაპი მოკლა, ნახევარ სახემწიფოს მივცემო... ნახეს ახლა, რო ჭენჭერიკას მოკლული იყო. — აპა, რა მოქცეო! — არაფერი არ მინდაო, ზედა ქვეყნიდან ჩამოსული ვარ და იქ ამიყვანეთაო! — შოუსხეს მტრედ ფრთებში, გამოატანეს ხარის ხორცი და უნა ყოფნოდას გზაში, შეეჭამოს, თუ არ ხყოფნოდეს, უნდა შეეჭამოს ჭენჭერიკა ი ფრინველს. მერე ის-ის იყო მიუახლოვდენ, აღარ ეყო ხორცი და ფეხი გული ამოიკრა. მოახწია თავის სახლში. მოდის ე ძმებთან, დეერია, თავები დასხლა და თავათ ქვე დადგა და იქორწილა.

192.IV ჭუჭყიანი

იყო ერთი ჭუჭყიანი. მოუკვდა დედა. მისმა მამამ შეირთო ცოლი სხვა, სხვა ქალი. მოიყვანა ორი გოგუნეები. ძალიან ლამაზები იყვნენ, მეტი რო არ შეიძლება. და სულ უკეთესი ის გერი იყო, რომელიც დახვდა ამათ. დედა რო მოუკვდა იმ გოგუნას, უთხრა: — ეს ერთი ძროხა დაგჩება. შვილო, და მე ვიცი, მოიყვანს შენი მამა ცოლსაო და ამ შენს ძროხას მოხვდე შენ და ბედსა გწემსო. მისცემდა პატარიკა ნატეხა ჭადს და ამხელა დიდ ბამბას: — ეს ჭადი შენც ბევრი ჭამე, სხვასაც ბევრი აჭამე და შინაც ბევრი მოიტანე. ბამბა სულ ჩამორთევიო, არ მოიტანო შინ ჩამოურთავი.

წევიდა საწყალი გოგო ტირილით: — რა უყო, არც სიმინდი (გამომცხვარი) მეყოფა და სხვასაც ვაჭამო, რა ვქნა, რა მეშველება. დახვდა საწყალს მოხუცებული ქალი ტყეშიდ. უთხრა ამ ქალმა: — კალათში ჩაიგდებ თავსაო. — შვილოო, ხო არაფერი მაწუხებსო თავშიდაო, გამომიჩხრიკე თავიო! — არა, ჩემო დედიკოო, თვალ-მარგალიტის მეტი არაფერი გაქ თავშიდაო. — გადაიხადა მადლობა. — ჭადი, შვილო, შენთვინ შეინახე და მე გაჭმევ აგერ. ბამბა ჩამოურთო ქალმა. გოგო დარჩა თავისუფალი. ძროხაც არ აწუხებდა. ბოლოს წევიდა სახში საღამოს, წეიღო ჭადი უკვან და ბამბაც ჩამორთული. მეორე დღეს ისთევე ის ჭადი გაიტანა და: — როგორც გუშინვე, ისე მოიტანე! — ბამბაც კიდო მეტი გა-

ატანა, — ჩამორთევიო! მოიტანა ისევე იმ ქალმა, ჩამოუართაო, ჭადი ისევ-ისე მოიტანა. მესამე დღეს კიდო ისევ-ისე გაიტანა: ის ცვი ჭადი და ბამბა კიდო, მეტი. უთხრა, მერეთ, ძროხამ ამოიღო ხმა: — ჩემი კეთილო პატრონო, ხვალ იმ მეორე ქალიშვილს გამომატანენ ჩემ თავს, არ მოესვენებ არაფერი გზით. და დამკლეენ. მერეთ, თვითონ შენ დაარიგებენ ჩემ ხორცს საინ-საინა და ყველას ისე უთხარ — ჩემი ძვალი არავინ გადაგდოს, არც არავინ დასწვას. მოკრიფე ისევე ჩემი ძვლები და სადაც ჩემი მარტენა ფეხი არი ბოსელში იქ ამოიღე ჭერი, ამოიღე მიწა და ჩამარხე ჩემი ძვლები, რაც არი.

ახლა ერთი ხემწიფის შვილი არი და ცოლს ეძებს სადმე, უნა იშოვოს კარგი ძვირფასი საცოლო. ნადიმი გამართა იმან და, სადაც რომ იყო ბარიშნები, ისინი მიიწვია. რომელიც მეეწონება, იმას შეირთავს. ხემწიფი შვილია, იმას ვერავინ დოუკავებს. არიან ახლა მიწვეული უღლად გოგუები, დედინაცვლის შვილები. ეს გოგომ უთხრათ, რომ: — მე რა დამიშავებია, რომ არ მიგყავართო: — შე გლახა, შე გლახა, რავა მიბედავთ მაგას, შენ ხარ ჭუჭყიანი. იმას მიუტანეს ერთი ქოთანი ჭადი (ფეტვი), ჩაყარეს ნაცარი. — შენ, სანამდი ჩვენ მოვიდოდეთ, გაწმინდე კარქა, ჭადი ჭადის ალაგს დააყენე და ნაცარი ნაცარის ალაგს. სათვითაოდ ამოსიეე. — წავიდენ სამეფე ფეფამეილი. დედაც გაჰყვათ თან ხემწიფის ოჯახშიდ. ეს ჭუჭყიანი დარჩა მტირალი და ტირის და ტირის. — ჩიტებო, გვრიტებო, მოდით, მიშველეთ გაჭირვებაში. ნაცარი ქარს მიეცით და ჭადი მე მომეცით. ქოთანში ჩაყარეთ ჭადი. მოვიდენ ჩიტები-გვრიტები. ქარს ნაცარი მისცეს და ჭადი ქოთანში ჩაყარეს. ამ დროს დეიბანა პირი, ხელი, შვენიერათ, კარქათ, მივიდა ბოსელშიდ, ბოსლის ჭერი ამოიღო, ნახა მშვენიერი კაბა, მშვენიერი ფეხსაცმელი, მშვენიერი რაში. შეჯდა და გასწია, წეიდა ხემწიფის სახლში. რომ მოეიდა ეს ქალიშვილი. ჩამოხედა ხემწიფის სახლში, რო მივიდა ეს ქალიშვილი, ჩამოხედა რაშიდგან და შეეიდა კვიწიალ-კვიწიალით სულ. შეხედა ხემწიფის შვილმა, აღარავის არ მიაქცია ყურადღება, მუეწონა ძალიან მწარეთ. სულ იმასთან თამაშობდა. სხვა აღარავინ არ უნდოდა, სულ მისი ყურება უნდოდა ხემწიფის შვილს. მუატანა წასვლის დრო, უცფათ გაქრა ქალი. შეეიდა რაშზედ და გამოსწია, აღარავის არ დაუნახავს. მოიტანა და ჩაალაგა ისთევე — ისე, როგორც ქონდა. ჩაეიდა კუხნაში ჭუჭყიანი. მოვიდენ ის დები, დედინაცვალი, კითხათ გერმა: — რატომ არ წამიყვანე,—რა ამბავი იყო, რავარი ამბავი იყო? ჩაარტყეს თავში და უთხრეს: — შენმა სიცოცხლემ, შენ არა გვანდა, იქ რო მოვიდა, რო ხემწიფის შვილმა სხვას არ მიაქცია ყურადღება, მარტვა იმას, ვინც მოვიდა რაშით.

ისთევე ისთე მორე დღეს გოუმსეს ნაცარი და ჭადი, თვითონ კი სხვადასხვა ტანისამოსი გაეიცვეს და წეეიდენ. ეეიდა უკან კიდო მარანში. — ჩიტებო, გვრიტებო, დამეხმარეთ გაჭირვებაში, ჭადი ქოთანში ჩაყარეთ და ნაცარი ქარს მიეცით. მართლაც, მოცვინდენ ჩიტები, გვრიტები, ნაცარი ქარს მისცეს და ჭადი ქოთანში ჩაყარეს. მივიდა საწყალი გოგო ბოსელში, ახადა ჭერი და ნახა სხვადასხვა ტანისამოსი, ქოშები. ჩაიცვა ესენი, შეეიდა რაშზე და წავიდა. ხემწიფი შვილი მიელოდებოდა. რომ დეინახა, მიეგება ძალიან სიხარულით. თამაშობდა, რაც შეიძლებოდა, ხემწიფი შვილი ჭუჭყიანთან. საღამოდის ითამაშა სულ, მერე საცხა გოუქრა, ეეღარ გვიგო ხემწიფი შვილმა. დაჩქარებით შეეიდა რაშზედ და წამოვიდა სახში. შეინახა თავის ადგილას, დააფარა ჯერი. დაეიდა სახში ჭუჭყიანი. მოვიდენ დები და დედინაცვალი: — დღეს არავითარი ამბავი იყო იქ? —

ური, შენ გაქრი, შე ჭუჭყიანო. გუშინდელზე კაი დრო იყო, მარა ჩვენ რაი! — მესამე დღეს ისთევე გაავსეს ქოთანი და თვითონ კაი ტანისამოსი ჩეიცვეს, რო იმ დღეს უნდა დამთავრებულიყოს იმათი სიცოცხლე და სიკვდილი.

მოვიდა თავის კარშიდ, მარანშიდ, შესთხოვათ კიდე ჩიტებს, გვრიტებს: — დღეს კიდე გასაჭირში მიშველეთ! — მოცვინდენ ჩიტები-გვრიტები, ნაცარი ქარს მისცეს და ჭადი ქოთანში ჩაყარეს. წევიდა, ბოსლის ჭერი ამოიღო, ოქროთი მოჭედილი კაბა ნახა, ოქროს ქოშები, ოქროთი მოვარაყებული ჩულქები, ოქროთი მოჭედილი სედლო, შეჟდა და წევიდა. მივიდა იქ და სასიხარულოდ დოურჩა ხემწიფი შვილს: ახლა მაინ ვერსად გამექცევიო! როდესაც მუატანა წასვლის დრომ, ბიჭებს უთხრათ: — ნაცარი დააყარეთ კარებთან და კიბეებზე და გზაზე და უკეთ გევიგებთ, სად წავა. — რომ წევიდა, უკუღმი წევიდა ამ ნაცარზე, რომ არ გამიგოსაო. რომ გაიარა, წყალი ჰქონდა გასაცელელი, წყალში მარჯვენა ქოში ჩოუვარდა ქალსა. ხემწიფი შვილმა მაინ ვერ დეიჭირა, რო საით წევიდა, მაინ ვერ გეიგო. მივიდა და შეინახა ეს თავის ადგილას, დაფარა ჭერი, თითონ კი ჭუჭყიანი ჩეიცვა ტანისამოსი. მივიდენ დები და დედინაცვალი. — რა ქენით, იყო ვინმე კარგი, მეეწონა ხემწიფი შვილს? — ეკითხებათ. ახლა მეოთხე დღეს ეძებს. დაღონებულმა ხემწიფი შვილმა ცხენი წამოიყვანა სარწყულებლად. ცხენმა იშუქა (დაფრთხა), გამოტრიალდა უცფათ. ხემწიფი შვილმა ნახა წყალი — რა მოუვიდა? ნახა, რას ნახავს საუკეთესო მისი თვალები! ნახა მარჯვენა ქოში. — ნამდვილათ მე ღმერთი მწყალობს, ვნახამ მე ჩემ საცოლეს, სახშიდ აღარ წასულა. — ამოიღო ეს ქოში და ეძებს და სადაც ლამაზი ქალები მიიწვია იმ სახლებშიდ, დადის თავის ცხენით და ქოშით. მიატანა, სადაც რო ის დები და ჭუჭყიანი არიან, იმ სახში. — ვისაც არგებს ეს ჩემი ქოში, ის იქნება ჩემი საცოლო. — საწყალი ჭუჭყიანი საბუდარქვეშ დამალეს. დედამ უთხრა უმფროს ქალიშვილს: — წეიღე უკან ოთახში და ვინაცობაა თითი ‘ზეიქნას მეტი, მოიჭერი თითები. მოუვიდა გძელი და ერთი თითი მოსჭრა დედამ. ჩააცვა და გამოვიდნენ ხემწიფი შვილთან. ხემწიფი შვილმა შეისვა ცხენზე და წეიყვანა. რო მივიდა ჭუჭყიანი დედის სასაფლაოზე, მოატანეს, უთხრა ორმა თეთრმა ჩიტმა: — ხემწიფი შვილო, არ გეკადრება, ეგ არ არი შენი საცოლო, შენი საცოლო სახშიდაა, მაგას თითი აქ მოჭრილი, ფეხის თითი. — გააბრუნა უკან ხემწიფე შვილმა: — ეს არ არი ჩემი საცოლო. აქანა სხვა ქალი გეყოლება. — კი, შვილო, მეორე ქალი მყავ აგერ. — გახადეს ამ გოგოს ქოში და მეორე დამ წეიღო მეორე ოთახშიდ. გაჰყვა დედა თან. — შვილო, ჩეიცვი და, სადაც არ გარგოს, ჩეითალე. მერე მოგარჩენს, მისი ცოლიც იქნები. — თითები კარქათ ქონდა, მარა ქუსლი ქონდა ფსხვილი. ჩათალა. ჩაიცვა და გამოვიდა ხემწიფი შვილთან. დეიჯინა ცხენზე და წეიყვანა. მივიდენ ჭუჭყიანი დედის სასაფლაოზედ. ორმა თეთრმა ტრედმა დოუძახა: — ხემწიფი შვილო, რას შვები; ქუსლები აქ დათლილი, გააბრუნე უკან, საცოლე სახშიდ არი. — გააბრუნა უკან. — ჩემი საცოლე აქა გყავთ საცხაო. ემ დროს დაჟდა საბუდარზე ხემწიფი შვილი. საბუდარი ყოფილა რიკლეო, ძირს დახელგვერდებული. გოუყარა ასე ხელი ხემწიფი შვილს ამ ჭუჭყიანმა. მოკიდა კანჭში ხელი ხემწიფი შვილს. უცფათ შეეშინია ეს ხემწიფი შვილს, წამოხტა და ეიღო საბუდარი. ნახა, გოგო დარჩა ხელში. — გოგო, შეგიძლია ჩეიცვა ე ქოში? — შენი ჭირიმე, რავა არ შემიძლია, ჩემია ეს ქოში. — აბა ჩეიცვი! — იმ წეთში ჩეიცვა, ნახა, მისი ფეხი სარგო იყო. — გეკნება ძველი კაბუნა რაღე, ჩეიცვი და წამოდი, შეგიჯენ ცხენზედ. — ძველი კაბუნა ქვე რათ მინდა, მე ბევ-

რი მაქ კარქი, შენი ჭირიმე. ჩემი რაშით მოწყობილი ვარ მე! — ხემწიფი შვილი ძალიან გახარებული დარჩა. თავის ხელით დაბანია პირი, ფეხი, წევიდა ბოსელშიდ, წეიყვანა ხემწიფი შვილი. ამუალაგეს სხვადასხვა ტანისამოსი ოქროთი მოქედილი, ოქროს ქოშები, სამი რწყვილი, სამი კაბა, ოქროს სედლო და რაში ლამაზი. შიაჯინა რაშზე, ჩააცვა ეს ტანისამოსი. თითონ თავი ცხენზე შეჯდა და ვასწია, წეიყვანა საცოლო. რო გეიარეს ამ ჭუჭყიანი დედის სასაფლაოზე, დეიხახეს ამ ორმა თეთრმა ჩიტმა. — აი, შენი ნამდვილი საცოლო ეგ არი. — წევიდა გახარებული ხემწიფი შვილი, ცოლი დები და დედ-მამა. რომ გეიარეს, მომზადებული მარცვენა-მარცხენა თვალი ამოიღეს თეთრმა ჩიტებმა,—ეს ჩვენ რაღათ დაგვემართა, თვალმოთხრილები რანაირათ მიდიოდენ? — რომ მობრუნდენ სასაფლაოდგან და ხომ იქით დარჩებოდათ მარცხენა-მარცხენა თვალი, ისინიც ამოჭეჭეს. დარჩენ უთვალებო დები. დარჩა ჭუჭყიანი ბედნიერი.

198. მეკუნძე

იყო ერთი კაცი, საცოლო კაცი. ეს მოსამსახურე კაცი არი. გადაჰკიდებიან— ვინდა თუ არა, ქალი უნდა ითხოვო, და ერთ ქალს ხყვარებია ძალიან და კაცმა არ იცის. მაშვალი ეკითხება:

— რატომ არ თხოვილობ ქალს? კაი თვალადი ხარ, კარგი ტანადი ხარ, კარგი ოჯახის პატრონი ხარ, რატო არა თხოვილობ ქალს?

— რა ექნა, შენი ჭირიმე, მე იმისთანა ქალს ვერ შევირთავ, რომელიც მე გამეხარება, და თუ იქნება, კიო.

— ვიცოდე, რო ნანდვილათ შეირთავ ქალს.

— კი შევირთამ ქალს, თუ მამეწონება და გამეხარება.

— წევიდე. ქალს უთხრა ნამდვილი სიტყვა?

— კი. უთხარი, — წევიდა და უთხრა მაშვალმა ქალს.

— შენი ჭირიმე, ხოლოთ შემირთოს და რასაც მეტყვის, ოუსრულეფ.

— კიო. — წევიდა და უთხრა საცოლოს: — თუ გული გულავს, ქადიანი ორი ხელით იმშვევა. — წასულა მაშვალი, მივიდენ იმ ქალთან. ქალი ისე მუეწონა და სალაპარაკოთ ჯერ არ იცის. შეეკითხა მერე ქალს:

— შეგიძლია, რაც ვინდა ამისრულო? — უთხრა ამ კაცმა. — ჩემი მიზეზი ეს არი, ქალს რომ შეირთავ. მე დედოფლობის მერე, მე მინდა იმისთანა ქალი, მე რომ დავსწეები, გავიდეს კარში, ჩეიცვას ჩექმები, ჩოხა-ახალუხი, ჩამოიკიდოს ხრმალი, დეიხუროს ფაფახი ქუდი, გამოვიდეს და დამადგეს თავზედ ამოღებული ხრმალით. — მოქკლა თუ დაგარჩინო? — ერთხელ, მეორეთაც, მესამეთაც ამოიღებს ხრმალს და უცყოთ დატრიალდება და თავის ოთახში, მოიხსნის ყველაფერს და დაწვება ქმართან. ეზამ ამ საქმეს?

— კი, ვენაცვალე. ხოლოთ წამიყვანე! — ამ დროს მოხდა და წეიყვანა ქორწილით. დედოფლობაზედ რა იქნებოდა? არაფერი. მეორე დღიდგან დეიწყო ქალმა. რო მოიყვანა, დაწვება ქმართან ლოგინში, ჩეიცვამს ჩოხას, ახალუხს, ჩექმებს, ხრმალს დეიკიდებს, დეიხურავს ფაფახ ქუდს თავზედ, შევარდება ბრახა-ბრუხით ქმართან ამოღებული ხრმალით. — მოქკლა თუ დაგარჩინო? — კიდე ეტყვის მეორეო, იმდენს, კაცი მოიკუტება ლოგინშიდ. მესამეთ ეტყვის — მოქკლა თუ დაგარჩინო? გაბრუნდება ქალი უკან და გეიხდის ტანისამოს, მივა და დაწვება ლოგინშიდ. ეს კაცი შობილობით იყო და გეიარა დრომ, წევიდა. ეს

კაცი ამ დროს, ერთი კაცი კუნძეფს დეეძეფს, ბეოლის, ნიგვზის კუნძეფს. დაქ ამ კაცს ჩამადნით ფული. — ვისა აქ კუნძები, მასალაო. ბინდა ვიყიდო და წევიღოო. — კიო, მე მაქ. — ყიდულობს ეს კაცი და მიეცეს. ამ დროს დეინახა ეს ლამაზი ქალი. ერთი მოხუცებული ქალი არის და ა პატარძალს დედამთილი ხავს მარტო სახში და ერთი მეზობელი ქალი მოხუცებული. მოხუცებულს უთხრა ამ მეკუნძემ: — დედაშვილობასო, ეს ქალი გამირიგეო! — შეილო, ქვე რანაირათ უთხრაო? — ათ თუმანს მოქცემო ქთამს. — რანაირათ გაგირიგო, დედამთილი ხამსო?! — დედამთილს ოც თუმანს მივცემო, დევიქთამეოთ. — პატარძალს რაღას მისცემო? — პატარძალს ერთ ჩამადანს მივცემო. — წევიდა ეს ბებერი დედამთილთან. — თუ ქალი ხარ, ერთი ღამუკა არაფერი უკირსო. მე ათ თუმანს მაძლევს, შენაო ოც თუმანს გაძლევსო, რას გეიგებს მისი ქმარიო? — დედამთილმა თქვა: — ქვე რა უკირსო! — წევიდა და უთხრა რძალს: — ჩემო რძალოო, ასეთი საქმეაო, ბეჩაო, ეგერაო ჩამადნითაო ფული აქსო სამსეო და მეო ოც თუმნიკას მაძლევსო და ერთი ღამუკა ქვე დეიწვინეო! — შენ აპიროფო მაგას, მაცთენო? — რა მოხდებაო? — კარქიო, აპაო! — დეეთანხმა. — ამოიყვანეთო! — წევიდა ეს მაშვალი და: — წამოდი, ჭიო, წამოდიო! — მოიყვანა დედამთილთან ეს მეკუნძე. ოცი თუმანი მას მისცა. — აპა, ჭიო, — დედამთილმა უთხრა.

მოიყვანა მეკუნძე. კარგი მოუმზადეს ვახშამი, კაი წითელი ღვინო, შეეწვარი ქათამი, ყველიანები, ასვეს, აეჭამეს, დაათვრეს. გოუშალეს კარგი ლოგინი, ჩააწვინეს. პატარძალმა უთხრა: — ახლავე მოვალ, ცოტა ხანი დამიცადე! — კი, გენაცვალე! — გევიდა ოთახშიდ, მოიქცა ისე, ჩეიცვა ჩექმები, ახალუხი, ჩოხა, ლეკური დეიკიდა, ფაფახი ქუდი თავზე დეიხურა, შევარდა გიჟურათ ბრახაბრუხით, ამოიღო ხრმალი, დადგა თავზე. — მოქკლა თუ დაგარჩინო? — კაცი აწარეთ მოიკუნტა ლოგინში, მეორეთაც მიაძახა. კაცი თავს იცლავს, რა უნდა ქნას, აღარ იცის. მესამეთ უთხრა: მოქკლა თუ დაგარჩინო? — კაცი, მეტათ შეშინებული, გაუბედურებული, ფეხშიშველა, ტანშიშველა, ქუდმოხდილი, გარბის კარში ყვირილით: — მიშველეთ რამე, მიშველეთ!

დასტოვა საწყალმა გაჭირვებულმა მეკუნძემ ჩამადანი, სამსე ფულით, ჩოხა-ახალუხი ძვირფასი, ქამარ-ხანჯარი თავის ლეკურით, ჩექმები ძვირფასი, ქუდი ძვირფასი, საათი ძვირფასი, დაკარქა ყველაფერი საწყალმა გაჭირვებულმა მეკუნძემ.

ქალი გავარდა ოთახშიდ, გეიხადა თავის საკაულობა, ჩამოვიდა კედელზე, დაწვა თფილათ ლოგინშიდ.

წევიდა საწყალი კაცი, ზოგს შარვალსა სთხომს, ზოგს ფეხსაცმელსა სთხომს, ზოგს ბლუზასა სთხომს, ზოგს ახალუხს, ზოგსა ჩოხას და ქამარს, ზოგსა ქუდს. ასე საცოდავი მეკუნძე დადიოდა. წევიდა და იმდენი იარა, მივიდა იმის ქმარამდი. მეკუნძემ რა იცოდა, თუ იმისი ქმარი იყო, დადგა მის ქმართან მოჯამაგირეთ, მოსდგა ლექსებს, ლაპარიკს რაცხა-რაძღას: — მე რო ერთ ლოგას საქმე მომივიდა, ღმერთმა ჩემი თვალთა ნახული დეიფაროს ღმერთმა. მე განსაცთელი გევიარე, დავდიოდი სოფლებში, ხის მასალებსა ვკრეფდი, ვყიდულობდი, დავალებული მქონდა. ერთი ჩამადანი ფული მქონდა. თუ ერთი კაცი ჩეიცვამდა ტანსა და ფეხს, მეც მეცვა. საათი მქონდა ძვირფასი. რაცხა ჩემდა უბედურათ ენახე ერთი ქალი და მამეწონა. იმის ახლოს არი ერთი მოხუცებული ქალი. შევსთხოვე იმას — დედაშვილობა თუ გწამდეს, ის ქალი გამირიგე. კი გამირიგა, ათი თუმანი მივეცი, მარა დედამთილთან ვიყავი კიდო გასარიგებელი. რავაც იქნა, მამარიგა

დედამთილთანაც. დედამთილმა რძალთან მამარიგა. მამიმზადეს ყველაფერი კეთილი გულით, რაც სტუმარს შეეფერებოდა, ძაან გადამყვენ. დამიგეს ძვირფასი ლოგინი, მითხრეს — მოისვენე! ქალმა მითხრა: გენაცვალე, ამ წუთში მოვალ! მე შავდღიანმა, თუ რამე გამაჩთა, სუყველაფერი სტოლზე დავაწყვე. შამოვარდა ერთი სულუბედური და სულაყროლებული კაცი, შამოვიდა ბრახა-ბრუხით, უშველებელი ჩექმები ეცვა, ახალუხი და ჩოხა, ქამარი და ლეკური, ფაფახი ქუდი თავზედ ეხურა. ხრმალამოღებული დამადგა თავზე. — მოქალა თუ დაგარჩინოო? რა თქმა უნდა, შემეშინდა. მეორეთ მითხრა: — მოქალა თუ დაგარჩინო? — მოვიკუტე. მესამეთ რო მითხრა, ავარდი გულდაკარგული, სად მიველეხ-მოველეხე გონდაკარგული, მგონი გავტეხე კარები. დავხეტიალობ ასე მას უკან საცოდავათ. ზოგ შარვალი ვსთხოვე, ზოგს ბლუზა ვსთხოვე, ზოგს ჩუშტი, ფეხშიშველა ვიყავი, ზოგს ჩოხა და ზოგს ახალუხი, ზოგს ქამარი, ზოგს ქუდი. მოვხეტიალობ მე საცოდავი ასე, გულგაფუჭებული, ეგება ახლა მაინ შეეჭამო ლუკმა.

ქმარს ქალისას გული ჩაუვარდა ესენი ყველაფერი. — შე გლახავო ჩემო თავო, რა გინდა, რისთვისა ხარ აქანა, ფულის გულისთვის არა ხარ? ფული ჩამადანით სამსე გქონია, შე ოხერო ჩემო თავო, ტანი და ფეხი ბევრი ძვირფასი, ქუდი და საათი კარგი, ადექი და წადი სახში! — მართლაც წევიდა სახში. მივიდა სახშიდ, მიესიყვარულა ცოლს, დედას, მუსაიფობენ, ეახშამ მოუმზადეს, სიხარულათ შესხდენ ერთმანეთს. ამ დროს ქალს უთხრა ქმარმა: — შენ გენაცვალოს ჩემი თავი, შეს კალთაში თავს ჩავდებ. დედა-დედა, საყვარელო, რა კარგი მყოლია, ვაი შვენიერო. იცი, რას მეკითხებაო? სუნელი, ტუტუცი, რა მინდოდა სხვაგანაო?! — რაო, — ცოლი ეუბნება. სისუნელებ წამოგიარა. ვინ რას გეუბნებაო? — ვიცი, ვინ მოსულა, შენ რავა მოქცეულხარაო?—ამ დროს გევიდა კარში ქმარი.

194. დედ-მამა და შვილი

მამა სწყენელის შვილს და წვერი ამინს ეუნება. დედამ რომ სწყიოს, ძუძუ ეუნება: — არა, შენი წყევა ტკბილათ შეერგოს!

ზოგიერთი ოხერი შვილი, ურჯულო შვილი, ეუნება დედას: — რა არი, ერთი ოუნგი რძე გიწოვებია, მოგიტან და ერთი კი არა, თუ გინდა ხუთ თუნგ რძეს მოვიტან.

— შვილო, ტკბილი იყოს ის ჩემი კეთილი ძუძუ შენზე, რა უყოთ, რომ ვაწოვე!

195. სამი ძმის ამბავი

სამი ძმაკაცი იყვნენ, ჩემო ბატონო. გეიყვენ, ცხვრები ხავდათ ოთხმოცდასამი. ორმოც-ორმოცი უფროს ძმებმა დეიკავეს და ამ უნცროს მარტო სამი ცხვარი მესცეს. გოუფუჭდა გული და ესენიც გადენა მთაში, — რათ მინდა, ბარემ ესენიც შეეჭამოს მგელმა! — ამ დაფეჩრებულმა კაცმა, გულშეწუხებულმა, გედიკიდა თოფი და წევიდა მთისკენ სანადიროთ. ერთ ფარა ცხვარს მოსწყვეტია რაოდენიმე ასი ცხვარი. მიდენა სახში, დაკარგული ცხვრები.

— ბიჭო, რა არი ეს ცხვრები? — ეკითხებიან ძმები.

— რა არი და ის არი, თქვე რო სამი ცხვარი მამეცით, გაედენე მთაში, რამ-ტენი მოცურცლეს, იმტენი ცხვრათ გედიქცენ და მოვიყვანე-ყე ახლა სახშიდ.

ახლა ამათ წეიყვანეს. — ემან და ემან თუ იმდენი მოიგო, ჩვენი ცხვრები მი-ლიონობით მოიგებენ, ჩვენ ერთი თვე გავაჩეროთ! — გიდენეს ოთხმოცი ცხვარი. ერთი თვე გააჩერეს მთაშიდ. წევიდენ მოსაძებნათ და ძელები ნახეს მარტვა. მო-ვიდენ და:

— რა გვიყავი, რა!

— რა ვიყავი, რა ჩემი ბრალია? ჩემა ცხვრებმა ამდენი მოიგეს და თქვენი ცხვრების ყარეული ხო არ ვიყავი? — მივიდენ და სახლი დოუწვეს. წეიღო ერ-თი მეშოკა ნახშირი მწარე დაღონებულმა, წეიღო ხაზინაში. ხქონდა ნაგულევი ჯიბაში ორ-ორშაურიანი. რომ მიატანა, რა ზომაც მიატანა და მიეიდა ხაზინამ-დის. იქანა უთხრათ, რომ: — რა ვქნაო, დამალმდაო! — და დააყენეს, საჯალაბო სახლი არი, კუხნა-სახლი. დოუნთეს კაი ცეცხლი და მიატანიეს თავისი მეშოკი და: — აქანაო, შენი ჭირიმე, მიყევითო, გარედან დაკერეთ კარები, არავინ შემო-ვიდეს, ფული არ დამეკარქოსო! — არა, აქანა არაფერი არ დაგეკარქება, შენც უდარდულათ დეიძინეო! — ის კიდო ძალიან ეხეეწებათ: — შენი ჭირიმე, ფული არ დამეკარქოს!

რომ დაწვა ყველა, დეიძინეს, არსად ღვიძარი არავინ არი, ამ დროს დააყა-რა ცეცხლზე ის ნახშირი, დარეკა კარგა, დაბღერტა ის მეშოკი, ჩაყარა მეშოკის ყურეებში ეს ორშაურიანები, დაწვა. რო ინათა და შამოვიდა ვიღაცა. ნახა — მეშოკი ცარიელია. — ვაი, ვაიმე, რაღა მეშველება? — ვინც შამოიხედა. ის ამ-ბობს: — ამას გვეხვეწებოდა? რაღა ექნათ? შევიდა ნელ-ნელა, ფეხაკრეფით, გეიტანეს მეშოკი კარში და: — რავა დევიჯერო, ისე წეიღეს, ყურეში მაინც არა-ფერი იქნეს, რო რავარიც იქნება. იმასთანე ჩავყარო! — ნახეს ორ-ორშაურიანი ტომარაშიდ. — რა გვიპირს, რას გვეტყვის, იქანაც დიღეგათ! — გაამსეს ეს ტომარა, რაზედაც ნახშირი იყო სავსე, იმდენზე მოყარეს ორ-ორშაურიანით, მოუჭირა თავი და დადგეს იმავ ალაგას. ის ბიჭი ცალი თვლით იყურება, ჭვრი-ტიმალობს ცალი თვლით საბანწაბურული და თან ხერინავს. ეითამ ძინავს... გე-ვიდენ ფეხაკრეფით კარში. შამოვიდენ მერე დიდგულათ. — ოჰ, გძინამს კიდე? — ოჰ, დიდება უფალს, რამდენი ხანი მძინებია! — — მადლობა ღმერთს, გეში-ნოდა თქვენ, მარა მეშოკა კარგათა გაქ, — ფულის შეტანი ეუნება. — კი, მად-ლობელი ვარ, საწყალ კაცს არაფერი დეეკარგვის! — ეიღო ეს მეშოკი მწარე გა-ხარებულმა, წეიღო სახში, ააკო სახლები, კარგი ძვირფასი. მისცეინდენ ძმები: — ბიჭო, საიდგანა გაქ ეს სახლები, ფული ვინ მაგცა? — წევიღე ნახშირი და უთხარი-ყე: ვის გინდათ ოქროში, ვის გინდა... მოუტეყუათ. ეს რა ამბავია, ამან ერთი მეშოკა წეიღო ერთი სახლიდგან და ჩვენ ხო ბეგეს, ა? ლასწვეს ორივემ თა-ვისი ძვირფასი სახლები და ეიკიდეს მეშოკები ვირებით, ტეტნებით და წეიღეს. იარეს და იძახეს: — ვის გინდათ ნახშირი ოქროში, ვის გინდათ? ამაყათ იძახიან. — თქვე ოჯახდაქცეულებო, მეშოკა ღირს ათი შაური და სულ გერგებათ, ძა-ლიან გავაღიდოთ, თუმანი და ეინ მოქცეს ამდენ ფულსო? — დაბრუნდენ ახლა სახში გამწარებული. სახლი რავა დავწვითო? მეეიდენ და ცოლი მოუკლეს. რა-ღა ქნას ამ კაცმა! ცხვრები გეიჩინა, სახლი გეიჩინა და ახლა ცოლს რაღა უქნას? იფიქრა და წეიღო ეს კვდარი ცოლი ღამე და იმდენი იარა, რო ერთ მეწისქვილეს-თან მივიდა და სამი ლამაზი ქალი არიან და ძალიან მღიდრები არიან. ეს ქალები ერთმანეთზე უკეთესები არიან. მიიტანა ეს კვდარი და კვაპახურს (სახლის ნაწი-

ლია) ვეტყვით, მიიყვანა და მიაყუდა. ფეხზე დააყენა (გარედან). იმ კვაპახურის ახლოს დაარია, წყალი გადის, ფქავს, და იმის ახლოს ოუყუდებია ეს კვდარი და ამ ქალებმა არ იციენ. თქვენი ხვთის გულისთვინო, დამღამდაო, ქალიშვილი მიმყავსო, ხენწიფის შვილიო. და მორცხვი ყოფილაო. ხენწიფისშვილიო, და ამისთანა მორცხვი მეორე არ მინახამსო. მცივაო და დამაწვინეთო და მერე ქვე შემოვიყვანო. ის კიდე ვითამ სულსწრაფია და სცივა. ახლა ეთხრა უფროს დას: — გაბძანდიო და შესთხოვეო, თქვეს სიტყვას უფრო შეითანიერებსო! — კიო, ვეტყვიო! — გეკიდა და უთხრა მორიდებით: — თქვენი ჭირიმე, მობძანდით, შეიძლება წისქვილში ქვე არ იკადროთ, მარა ამოღამ გეისაძლისეთ, რაც იქნეს! — ეს ქალი ხმას არ იღებს. შეკიდა და უთხრა: — რა ვქნა, სულ არ მამხედა. — ახლა საშვალმა თქვა: — მობძანდი, ბატონი, ჩვენ ქალები ვართო! — ქალი ხმას არ სცემს. — ეაი, შეს თვალეფსაო, თუ არ გვიკადრეფ, იყავი მანდაო! — ენცროსი გავარდა კარში. რას ქვია, არ წამამყვებაო, ხელს მოკიდებ თმაშიო. — წამოდი ჩქარა, რას უკადრისობო, თუ იცი, წისქვილში შენზე ნაკლები არა ვართაო! — ქალმა ხმა არ გასცა. ხელი მოკიდა მერე. გადავარდა წისქვილი ღარში, მოკვდა ქალი. იკიდა ბევრი ამ უნცროსმა ქალიშვილმა: — ვაიმე. მამიკვდა, შემამაკვდა ქალი, წისქვილი ღარში ჩამიკარდა. ვეძალებოდი და არ წამომყვა, ხელი მოვკიდე და გადამივარდა წისქვილი ღარში, მოკვდა ქალი! — შეკიდა ეს ქალიშვილი და უთხრა ამ კაცს: — რა ვქნა, გაგვიწყრა ღმერთი, შამოგვაკვდა ქალიშვილი ხელში. ეს ვინცაღასია, რამენაირათ მუახერხე, რო მოკვდა-თქო! შენ თუ საცოლო ხარ, ამოგვარჩიე, რომელიც გინდებვართ, რომელიც გაგვეხაროთ, ის წაგვიყვანე ცოლათ! — კაცი შეკიდა არჩევანში, მოკიდა უნცროს ხელი. — ეს უნფრო ყოჩაღი ქალი იქნება! — იქორწილა და წეიყვანა თავისი ქალი. მიიყვანა სახშიდ. — ბიეო, ვინ მოქცა ეს ქალი? — ყოლიფერი თქვენ გეზარებათ ჩემთვინ და მე ღმერთი მაძლევს. ვიძახე: ვის გინდა კვდარი ცოცხალში, კვდარი თვითონ დეიკავეს და ცოცხალი მამცეს!

დახოცეს ცოლები ძმებმა, მოიკიდეს ზურგზედ და წეიყვანეს კვდარი. — ვის გინდათ კვდარი ცოცხალში? — თქვე წუპაკო მამაძაღლებო, თქვენი რათ გვინდა, ჩვენი კვდარი მოგვძულებიაო! — იმტენი ურტყეს ამ კაცებს, მოკვდენ გზებშიდ.

196. მოღალატე ცოლი

ერთი ცოლ-ქმარი არიან. ხნავს ქმარი მისი. ამ ქალს საყვარელი ბოლია, ღვდელი, და ქმარმა არ იცის. ამ დროს დალამდა, ის დროა, რო ქმარიც უნდა მოვიდეს სახში და ღვდელიც უნდა მოვიდეს. ამ ქალმა რაგორ მოახერხოს, არ იცის, რო ერთიმეორეს გადაშორდეს. ქალი გახდა ავათ ვითამ. ქორქალობს ეს ქალი და მოვიდა ქმარი. — რა დაგემართა, ბეჩა, ქალო? მე ვხნამ და შენ ავათა, რა ვქნათ. — ბეჩა, კაცო, თუ მაბიტან წამალს, თვარემ მოკვდები! — მაინც რა წამალი მოგიტანო? — თევლეთურის თოდლს თუ ბომიტან, თვარემ ჩემი სიცოცხლე არ იქნება!—წეკიდა საწყალი კაცი. — ერთი ორი პური მომეციო და თუ მივაწიეო. — ეეერ არი ბეღელშიდაო ორი პურუკაო. — შეკიდა და გამოიტანს და აპიროფს წასვლას. მისი ბიძაშვილის კარზე უნდა ეიაროს. ამ ბიძაშვილმა იცის, მის ცოლზე რა ამბავია. ქმარს არ ეუბნებიან ჯერღა, თუ შენი ცოლი რას სჩადის. ეიარა მის კარზე და ბიძაშვილმა გეიგო — წამალზე მიდის საცხა; — სა

მიდიხარ. შე საცოდავ, სად? — რავა სად მივდივარ, ქალი მყამს გადადებულიო და მითხრა, წამალი მამიტანეო. — ჯერ სა მიდიხარ ამ ღამეშიდაო, მერე რა წამალი უნდა მოუტანოო? — თევლეთში მივდივარო თევლეთურის გულისთვისაო. —შე წარე გასუნელებულო, სად მიდიხარ? თუ მიაწიე, ჰო, და თოვლს რანაირათ მოიტან მა სიშორეზედაო?? ამაღამ დარჩი ჩემთანო. თუ არი სასიკვდილო, მაინ ვერ მოესწრებაო და თუ არ არი სასიკვდილო, ხვალაც მოესწრებაო. — ვერა, შენი ჭირიმე. ვერ დევისვენეფ, უნა მოუტანო ჩემ ცოლს წამალიო. — შე ყოვლათ გლახა. ღამიჯერე ეს ჩემი სიტყვა, მე შეგატყობიებ შენი ცოლის ამბავს. გავაგზანოთ ბოში ახლა. გევიგოთ, რავა არიო, ავათ არი თუ კარქა არი და მერე წადა! — გაგზავნეს ბოში და უთხრეს თან: — რომ გამოვიდეს ბიცოლაშენი, შეჰყვენ მაინ და გეიგე, ვინ არი! — ჩევიდა ბოში და დეიძახა: — ბიცოლა, ბიცოლა! — გამოიხედა ბიცოლამ და უთხრა: — ჩემო ბიცოლა, ახლავე გამოვალო! —ეს არ დეიჯერა, შეყვა თან და გეიქცა მაშინათვე ბოში მამასთან და ბიძასთან. — ბაბია, ბეჩა, რა დევინახე, მამა, დიდი უშველებელი პაპა არი იქანა, დიდ-წვერებიანი და სტოლზე დიდი ხავაპურები და ქათამი და ღვინო. ბიცოლიკა გაბეწყრა, რათ შემოსულიი სახშიდაო! — უთხრა ახლა: — გეიგე თუ არა, წადი თევლეთშიდაო! — ბიღის მაშინთვე. — უნა მოვკლა ცოლი! — არა, შე სუნელო, აკრე ნუკი იზამ, მე მოგიხერხებ ყველაფერს. მე ჩევიცვამ გლახურ ტანისამოს, გლახა ჭუდს დევიხურამ თავზე, ჩაქსვამ მეშოკაში და მოვცემ დანას! — მართლაც, ჩასვა მეშოკში, ჩეიცვა თვითან გლახა ტანისამოსი და მოიკიდა ზურგზე და უთხრა თან: — სანამდინ მე ლეკსი არა ვთქვა და არ გავჩუმდე, არ გეიღო ხელი! — წევიდა და დეიძახა: — მაინძელო! — გამოიხედა ქალმა. — ვინა ხარ, რა აქბაღია? — შენი ჭირიმე, თქვენი ქმისა და შვილის გახარებას, დამაყენე ამაღამ, გზავრი ვარო. — არ შეიძლება, ვერ დაგაყენეფ! — ღვდელმა უთხრა: — დიდ ცოდვაში ვართ მაინ და დააყენე! — არა, ვერ დაგაყენეფ, ვერა. — შე კაი ადამიანო, კუთხეში მივჯდები მხოლოთ, ბურულში (დახურულში) დამაყენე! — კაცმა დართო ნება და შეიყვანა ამ ქალმა. ეს მეშოკა მიიტანა, კუთხეში მიაყუდა, თვითან ე. ი, ეს მათხოვარი, ბუხრი წინ ჩაჯდა. ეს ღვდელი და ეს ქალი არხალალის მღერიან. წითელი ღვინო, კარგი ყველიანები, შებრაწული ქათამი და წითელი რული სტოლზე ულაგიათ. სვავენ, სჭამენ, თანაც ჩონგურს უკრავენ. ჯერ ღვდელმა დოუკრა ჩონგური, მერე ქალმა დოუკრა და ღაამღერა კიდეც: — ჩემი ქმარი თევლეთს არი, თევლეთულის გულისთვისა, ცოცხალს ნუ მოიყვან ჩემი მოყვრის გულისთვისა. - -ღვდელმა უთხრა ქალს: — ცოტა შევაკამოთ რამე, ჩეენ ვგალეთ, ვსვამთო. — მიუტანეს ღვინო, პური, რული. რომ გამოძღვა მათხოვარი, მათხოვარმა უთხრა: — ქვეყანაე ნაპანწალევი ვარ, ცოტუნიკა მეც ვიცი რაღაცა, მათხოვეთ ჩონგური! — დახეთ, დახეთ ამ გლახას, ღორი ნაპირში შეუშვი და შუაშიდ შეიწიაო! — ღვდელმა უთხრა: — ხო იციო, რამდენი ამბავი ეცოდინებაო, გაგვაცნობს ყველაფერსაო და გაგვაცინებსო. ჰააპა დოუკარიო, რაღაცა იციო! — გედიწ-გადმოიწია ულვაშები, დეიკავა ჩონგური ხელშიდ და დოუკრა: „ჩემო ლახტის ტომარა, გესმის ყურში თუ არა, მე რომ ხმალი მოგაბარე, მოიხმარე თუ არა?“ — დაჰკრა დანა მეშოკას და გამოვარდა კარში, თავის ქმარი. ახტა ღვდელი და გავარდა კარში, ფეხები მიინტვრია კარებში. დარჩა ქალი მარტო. — ქალო, რა გინდა ახლა შენ, რას მიპირობდი, რაზე მკლამდი, არ დამჯერდი ჩემს თავს? — მოჰკიდეს ქალს ხელი და კალოზე ხქონდა დიდი მუხის ბურჯები (სარები) და, უკაცრავად პასუხია, თქვეს დედაშვილობას, ჩამოაცვეს

ზედ — ეს გეკუთვნისო! შევიდენ და მიიწვიეს მეზობლის ხალხი — ქალი, კაცი — და გაატარეს დრო. კაცს სხვა ქალი მოგვარეს.

197. ხამი ძმა

ერთი ხემწიფე იყო, სამი ვაჟი ყავდა, სამივე უცოლშვილო. ცოლმა უთხრა ხემწიფეს: — კმარა ახლა, ამდენი ხანია მოვხუცდითო, შვილების ბედნიერება დევინახოთო! — კარგიო და გეტყვი ახაო! — უმფროსი წეიყვანა თავის ოთახში და ჰკითხა, რომ, შვილო ამდენი ხანია უცოლშვილოდა ხარო და თუ შეიძლებოდესო, მოგვასწარი შეს ქალსაო! — მამაჩემო, ჯერ არ მინდა ქალი და არ მემსაჭირნოება და, თუ გადმეკიდები, ამამავალის ქალს თუ მამგერი, თვარა სხვა ქალი არ მინდა! — ახლა საშვალი წეიყვანა თავის ოთახშიდ და უთხრა: — შვილო, უცოლშვილო ნუ ხარ, მოგვასწერით ბედნიერებას თქვესას! — მამა, თუ მამგვრი ამომავალის ხემწიფის ქალს, თვარა მე სხვა ქალი არ მინდა! — ახლა უნცროსი წეიყვანა. — შვილო, რატო ქალს არ თხოვილოსთ? — ეგეფროსი ძმები მყავან საცოლოები და თუ მაინ და მაინ გადამეკიდებით, ამამავალის ქალს თუ მამგვრით, თვარემ სხვა ქალი მე არ მინდა! — ერთიმეორემ არ იციან, თუ ერთი ქალი უყვარს სამივეს. ბაბა გაჩუმდა და წეევიდა, ცოლს უთხრა: — სამივეს შეეკითხე ცალ-ცალკენ და ამამავალის ქალი მოინდომა სამივემ და რომელს მივაკუთვნო? — ოც-ოცი თუმანი მიეცი სამივეს. რომელიც უკეთესი ნავაპრი მოვიღეს, იმას მივეგვაროთ ის ქალი! — მისცათ ოც-ოცი თუმანი და უთხრათ ბაბამ: — ვინ უკეთესი ნავაპრი მოხვალთ, იმას მოვგვარი ამამავალის ქალს!

წეევიდენ სამ ჯვარედინ გზაზე და უთხრენ: — დავშორდეთ ახლა და რომელიც მოვიდენ ნავაპრი უწინ, აქ დოუცადოთ და მივიდეთ ერთათ სახლშიდ.

მიდის უმფროსი, ხალიჩას ბერტყავს ვიღაც კაცი. — კაცო, კაცო, რას ბღერტამო, ეს ხალიჩა რას აკეთებსო? — რო უთხრა ამ ხალიჩას, „ხალიჩა, შესა მზესა, ვინც გამოგცა მისა მზესა, ამა და ამ ადგილას მიმიყვანეო“, და მიგიყვანსო. — რას აფასებ? — ოცი თუმანი. — ვინ ოცი თუმანი და ვინ ხალიჩა! — ასთეა საქმე ღირსო! — მისცა ოცი თუმანი. დაეჯდა და წამოვიდა სამ ჯვარედინ გზაზე. მივიდა თავის ადგილზე.

წეევიდა საშვალი. შეხვდა სარკე. სარკეს წმენდავს კაცი. — რას აკეთებს ეს სარკეო, რას აფასებო? — ოც თუმანს. — ვინ სარკე და ვინ ოცი თუმანი! რას აკეთებს სარკე? — ე, კაცო, ქვეყნიერობაზე ან ვინც დეიბადება, ან ვინც მოკვდება, ან ვინც დაქორწილდება, ან ვინც ავად გახდება, სულა ჩამს სარკეში! — მისცა ოცი თუმანი და წამოვიდა. ჩეიხედა სარკეში და ავანტყოფია ის ქალი, ამამავალის ქალი.

ახლა წეევიდა მესამე. ერთი კაცი კულას რეცხამს. — კაცო, კაცო, რა არი ეგა, გასაყიდელი არიო? რას აფასებ? — ოც თუმანს. — ვინ კულა და ვინ ოცი თუმანი? — შენ რო ამის ფასი იცოდე, ხუთჯერ მეტს მოგცეო. თუ ამასაო მიწაში ჩადებამდინ მოასწარი კვდარსაო, გამოავლეო სამი წვეთი წყალი, დაასხამ ერთ წვეთს შუბლზე, ერთ წვეთს ცხვირაზე, ერთ წეეთს გულზე, მორჩება და იმ წუთში და წამოდგება. — ნახა და რახან რო ამისთანა ამბავია, მისცა ოცი თუმანი.

სამჯვარედინ გზაზე მოიყარეს თავი ძმებმა. ჰკითხეს ერთიმეორეს. უმფროს უთხრეს — შენ რა იყიდე? — კაცო, მე ვიყიდე ხალიჩა. — რას აკეთებს ხალი-

ჩა? — ხალიჩა აკეთებს იმას, რო, საითაც ეტყვი, წაგიყვანს იქით. საშვალს უთხრეს — შენ რა? — მე, კაცო, სარკე ვიყიდე. — სარკე რას აკეთებს? — ან ვინც დეიბადება, ან ვინც დაქორწილდება, ან ვინც ავათ გახდება, იმას დევინახავთ სარკეში. — უნცროს უთხრეს: — შენ რა იყიდე? — — კულა ვიყიდე. — რას აკეთებს? — იმას აკეთებს, რო სამი წვეთი უნდა გამოავლო, სანამდი მიწაში ჩავარდებოდეს კვდარი. თუ მოასწერი, უნდა გამოავლო და დააწვეთო: ერთი წვეთი შუბლზე, მეორე ცხვირზე, მესამე გულზე, მორჩება კვდარი და ადგება კუბოდან. — ნახეს ახლა და ჩეიხედეს სარკეში. ეს ამამავალის ქალი მომკვდარა. იმ დღეს აქო დასაღლავება.

ხალიჩის პატრონს უთხრეს: — აბა, შენ იცი, მოუსწროთ, თუ მოუსწროთ, თორემ დაგვეგარეგება. — დაეკედნენ ხალიჩას და „ხალიჩა, შესა ბზესა, ვინც გამოგეცა, ბისა ბზესა“ — მივიდენ. ახლა კულას პატრონს უთხრეს: — აბა, შენ და შენმა კულამ! — გალობა დაასრულეს და ამ დროს უთხრეს ამ მოსრულმა კაცებმა: — ხომ გეკარეგებათ მაინც, მიწაში მარხავთ, სტოვებთ, დაგვანებე თქვენი კვდარი, გავაცოცხლებთ! — ხოლოთ გააცოცხლეთ და თქვენი იყოს, — მამა ეუნებათ.

ბისცეს თავისუფლობა, მისცეს კვდარი. — აბა ჩვენო უნცროსო ძმაო, ახლა არი შენი ხელი! — გამოაველო ამ კულას სამი წვეთი წყალი, დაასხა შუბზე, ერთი წვეთი, მეორე ცხვირზე, მესამე გულზე, წამოხტა ქალი, გაცოცხლდა. — უი, ეს რა ამბავია, სიზმარში ვარ? — ქალი კითხულობს. დედა-მამა კი იძახიან: — მეორეთ მოსცლა მოგვიდა, კვდარი შვილი მოგვიდა, მიდღეში არ მოგვიკვდება.

— პირობაზე რავა ხართ, დედ-მამა, უნდა წეიყვანოთ თქვენი შვილი. — შვილებო, ბიირობეთ, რახან მიწაში არ დაგვილბა შვილი, თქვენ მიირთვით!— ჩააჯდინეს ხალიჩაზე და წეიდენ დედ-მამასთან. — შვილებო, მეგორლობა (ატეხილობა) ხომ არ არი; ერთ ქალს გამოჰყოლიხართ სამი! — არა, დედ-მამავ, ჯერ ეეტყვეთ, მერე ნახეთ, ბოგვიყვებით, რა ამბავია. თქვე რო ფული გაგვატანეთ ოც-ოცი თუმანი, ეშეფროსმა ხალიჩა იყიდა, საშვალმა სარკე, უნცროსმა კულა. ხალიჩამ წამოგვიყვანა, სარკემ კი დეინახა, ქვეყნიერობაზე თუ რამე იყო, კვდარი გვაჩვენა, კულამ მუარჩინა, წამოვიყვანეთ და ახლა თქვენ იცოდეთ, ვის გვეკუთვნის, იმას მიეცით.

დედ-მამამ იფიქრა, ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, გაგზანეს სენოტში. ახლა ეძ იფიქრეს. სარკემ ეინახა, მარა სარკე რას გააკეთებდა, თუ ხალიჩას არ მიეყვანოს, — ხალიჩა რას იზამდა, თუ კულას არ მუერჩინოს! ფეხით მივიდოდენ და მიწაში დახვდებოდა. იკუთვნეთ დათ!

108. ხემწიფის ქალიშვილი

ხემწიფემ გაათხოვა ქალიშვილი და იმას დოუბარა, შვილს: მაშველები ბევრი მოგვიყეო, საცოლო რო შეეძნებიო და ცოლს რო ითხოვო, სანამდი ნიფხავი არ დაგიდვას თავ-ეზეშ, არ შეხედოო. ბევრსა თხოულობს, მარა ეს რა, ნიფხავს ვინ დოუდებს, ვინ იცის? ითხოვა, ჰო, ხემწიფის ქალიშვილი და რაი დოუბარა მამამ, არ დოუდვა ნიფხავი და ეზე რა იცოდა? მერე შაუთვალა მამამის, რომაო (ეოგომ) უნა წამიყვანოო, ვერ ნეკარეგბაო. — მემიყვანე ჩემი შვილიო. წეიყვანა. მიხავს და დახვდა ის ოხერი რაღაცა წინ. მარა ეკახა რამე იყო და დაჩეხა

სუყველა, ვერაფერი ვერ უძლებს, კაი ბიჭია. მოუყვანა. უნდა, რომე, სიმამრს, მოკვდეს სიძე და სხვას გაატნევს, მერე ა ხენწიფეს ბალი აქ დიდი და იმაში ის ქონია, კუბო ქონია. წყალი დანწროულ და ვეშაპი ყოლია ღიდი რამ ვობერთელა. ქალი სახში შეიყვანა და ბიჭ ეუნება — ბალში შედიო! შეაგზანა ვეშაპთან. გეიგო ბიჭმა — ვერაფერი ვერ უზანს. უთხრა ცოლს, რომაო გზაშიო რაც დაეკალი და დავჩეხეო, არ გაამბილოო. შეებვეწა. ვერ გაამბელს. შევიდენ და ქორწეილი იმ დღესვე ქნა. ვეშაპი სუ კუწა-კუწა წეიღო, დაჩეხა. სისხლმა შეკრა ე ბიჭი. დაღალულია და წამოწვა. შეაწუხა სისხლმა ე ბიჭი. გეიხადა ტანისამოსი და გადაყარა სისხლიანი ტანისამოსი და წამოწვა ფიცარზე. ახლა მორე სიძეს რო მიხავს ე ქალი, ვირთხა შეხვდა წინ. დაჭკრა წიხლი ა ვირთხას... უთხარ მამაშენსაო, ეი რა მოვკალიო წიხლითაო. -- ვეტყვიო! ? ქალმა თქვა: ამისთანა კაცი სა იწონე. ჩემი ქმარნა ამისანა საკუნეები ქნა და ეს მიწდა ისევ ისეო! არ გაამბილო, მითხრაო და ამანო თაგვი მოკლაო და იქადნისო. არ დეიძინა ქალმა. ვნახამო ჩემი ქმარიო ვეშაპმა რო ქნაო. გეიხედა, ქმარი შოუწუხებია სისხლსა და გოუხდია მიტო. დაღალული აქ, კაი ძილი აქ. შეეცოდა ა ქალსა. ამან თაგვი მოკლა, დეიჩემა — ეს ყოფილა ჩემი კაციო. რა დოუგოს? გეიხადა ნიფხავი და დოუგო ბალიშათ თავქვეშ, მოუწვა, არ მოშორდა, ფაპოხვა. — შენმა სიძემაო თაგვი მოკლაო და დეიჩემაო და ამან ქვეყანა მოკლაო!..

199. ნესტან-დარეჯანი და ტარიელი

ნესტან-დარეჯანი ქვიოდა, კაი ქალი იყო. ტარიელი მის ძმისწული იყო. ერთი ძმიშვილი ტარიელი იყო, მეორე ძმიშვილი ნესტანი იყო. ბიძაშვილები იყონ ორივე. ერთ ხენწიფემ გეიგო, რო ტარიელს უნდა ცოლათ თავისი ბიძაშვილი. იმასეც უნდა ქმარათ. ასთე იყო მაშინ, იყო საქმე. გეიგო ხენწიფემ და დიდი ქვაბი გაკეედა, ჩაადგო ნესტანი ი ტეკაში და დიდი მდინარე-წყალი იყო და გოდოუშვა. წეიღო ამ წყალში ღა ყინილსაშეენა ეეიტანეს, სადაც გაიჩერა ქვაბი. ე ტარიელმა ვედიკიდა ჯიდა-ეეშეიღდი და ეეკვიდა საძვბრათ. იარა, იარა და ციტა იყო თუ ბეკრი იყო. ეეიგო, რომე ეს ეამეეტანა ქაჯებს და შეიტანეს ციხეშიო. ქალი იყო, რო ანათლეტდა ტეეყანასა. ამეიღო ლეკური და ჩეხა და ჩეხა ე ქაჯები, მარა ცოცლდეეიან ისეეე. ბერე ხიძ ეანოუდეა ტარიელს, დაკარეკა ეზარეეზოდა, ფრიდონი გამოუეეა და შეეიღო ალიან, ქანადი იცოდა, ბაწარ გადაალცვამდა იმნაირათ. გეიგეს, რომე ტარიელ არის იქ ძისული. ჩეხავს, ჩეხავს და კიბე უნდოდა შეხავალი. ესროლა ქანადი ფრიდონმა, ეოზდეა, გადმოაბრუნა და გამეიყვანა ნესტანი. — თავისი ძმისწული იყო, ხომ? ალარ დოუშალა ფრიდონმა, რახან კარეკები სართ, იყავითო. იქორწინეს დიდი...

200. ნაცარქექია

ნაცარქექია იყო, ზარმაცი კაცი. ქეკავს ნაცარს და არის. არ დააყენა ცოლმა, გააგზავნა. — მემეცი ე ნაცარი, — და ეფთი ხილთა ნაცარი წეიღო. ამყეა და რიყეზე დაბნია. მერე ამ დაბნევაში დეეი ნახა და უნდა გაყლაპოს დევმა ე კაცი. — გამიყვანეო გალმაო! ნაცარქექია ეუნება. შეაყდა ჩიტი. რო შეაყდება: — რა ჩალტე ყოფილხარო? — მეო ზეით ღმერთს უკავიკარო, თორემო ქვესკნელს გავარონიეფო. — აპაო, პატარა დოუშვეო! — დაეკერა სადგისი: —

არა, არაო! ამოსწია. გეიყვანა გალმა. ასე მოატყუა დეკი. მერე მივიდენ ერთ სახლში. დეკს უნა გადაყლაპა. ა კაცმა იცის და ატყუებს. ნაცარი კიდო აქ ხალაში. — მაღე მოვალ და იყავი სახლშიო. — დეკის სახში არიან. გამეიტანა ნაცარი და დიდი ცხრილებია და შამეიკრა ფეხებზე და მოაყარა. მევიდა დეკი. — ე დიდი ფეხი რა არიო? — ეუნება დეკი! — ჩემი ფეხები არიო. — ახლაო ჭად გავაფიცხებო! — მიაყუდა ჭადი, გევიდა დეკი გარეთ და — ე ჭადი არ დეიწვასო, შეაბრუნეო! — შეაბრუნა ე ჭადი და წეიქცა, მეიძღვანა ქვეშ და დააჭირა, გულბოყვზე داააწვა კაცი. — ეიღე, ეიღე, ჭვალი მჭონდაო და მიტო დეკიდევ! — ეაბრიყვა ასე ამნაირათ. გაძღა დეკი. — შენ თუ ღონე გაქაო, აბა, რომელმა ვენათ მეტიო! — ამ კაცმა პეტრიკა داააწყიელა, სტკეცა ა დეკმა და ნაცარქექია ღარკალში გაკვეხა. როგორ გამიბედაო! წეკიდა, მეიშობა დეკი იმან. ასე იყო იმისი საქმე და გადასავალი.

201. ყარაბოღლი

იყო ერთი ხემწიფე, არა ხამდა შვილი. გასცა განკარეულება, უთხრა ვეზირებს, რო ისეთი წამალი უნა მიშოვოთო, რო შვილი გამიჩთესო. წეკიდენ ქვეყნიერობის დასაელალთ. ვერ იშონეს, ვერაფერს ვერ გახდენ. შემდეგ ნახეს ნაბანავის კვალში ერთი ტიტველი კაცი. შეეკითხენ, რო: — შენ ა სიცივეში რავა სძლებ? — მაშინ უთხრათ, რო: — მეო ვარ ქრისტიანი კაციო. — შენო, რადგანაც ბა სიცივეს უძლეფო, შეიძლება გეცოდინოს რამე, ჩვენ გვყამს ხემწიფე უძეოთო და გვასწავლე წამალიო, შვილი გოუჩთესო. — ი კაცმა უთხრა, რო თქვენი ხენწიფის ბაღშიდაო, სადაც არი ერთი ხეო, რომელსაც ორი ვაშლი აბიაო, ერთი ხენწიფემ შეჭამოს, ერთი მისმა ცოლმაო და ეყოლებათ შვილიო! მოვიდენ და უთხრეს ხენწიფეს, ხენწიფემ გასცა განკარგულება: — მოიყვანეთ ის კაცი და საპატიმროში ჩასვითო, რო ის ალბათ მასხარათ მიგდებს, ა ციე ზამთარში ახლა ვაშლ რა უნდაო? შემდეკ მებაღე გევიდა ბაღში და დაათვალიერა ხეები. მართლა დეინახა, რო ორი ვაშლი ება ერთ ხეს. მოახსენა ხენწიფეს. ხენწიფემ შეგზანა მებაღე ვაშლზე და მოსწყვიტა ერთი, მეორე კიდე — დინარე წყალში ჩოუვარდა. ხენწიფემ გასცა განკარგულება: — ის კაცი ამუეყვანათ და დეესაჩუქრებიათ. ის ვაშლი, რომელიც სხვილი იყო, ესე იგი წყალში ჩავარდა, რომელიც წვრილეკა, წამოიღო ხენწიფესთან. ხენწიფემ გასკრა, ნახევარი თვითონ შეჭამა, ნახევარი ცოლს აკამა. ის ვაშლი, რომელიც წყალში ჩავარდა, დეიჭირა მეწისქვილემ, რომელსაც არა ხყამდა შვილი. იმანაც გასკრა, ნახევარი თვითონ ჭამა, ნახევარი სხვას აკამა. წლის შემდეგ ორივეს ეყოლათ ვაჟები — ხენწიფესაც და მეწისქვილესაც. ხენწიფემ داარქვა სახელათ სიმონი, მეწისქვილემ — ყარაბოღლი. როდესაც შეიქნენ დიდი ბიჭები, რო თამაშობა შესძლო-ყე, მინდვრათ ნახეს ერთმანეთი. იმასაც გოუკვირდა, რო იმასა გამდა და იმასაც. მეწისქვილის შვილი ძალიან ძლიერი იყო და ძალიან გამსხვავდებოდა ხენწიფის შვილისაგან. ხენწიფის შვილი მოვიდა სახლში, დედ-მამას მუახსენა: — ჩემს გარდა თქვენ სხვა შვილი გყოლიათ და რას მიმალამთაო! — შეს მეტი შვილი ჩვენ არა გვყამსო. — აბა, ნება მომეცით, მოვიყვანოო! — მოორე დღეს ჩოულობრივად წეკიდა მინდვრათ. ნახა ეს ყარაბოღლი და უთხრა: — ხვალ ჩემთან მოდი, სადილათ უნა მეწვიოვო! — ყარაბოღლიმ უპასუხა: — მე ვერ მოვალო, ცუდი ტანისამოსი მაცვიაო და ვინ გამხდის ღირს, რო ხენწიფის სასახლეში მოვიდეო. —

სიმონი არ მოეშვა და ყარაბოღლიმ პირობა მისცა, რო მოვიდოდა იმი სახლში. იმ დღეს, როდესაც მოელოდა დანიშნულ დროსე, ყარაბოღლი არ გამოცხადდა. სიმონი წევიდა მერე იმი სახლში და ყარაბოღლის ბასცხვენდა და ბოდიში მოიხადა. ამოხყვა მერე შემდეგ. გზაში რო მოდიოდენ, ერთ ქალს წყალი მოხჭონდა. იმათ ქონდათ ჯიღამშვილდი. სიმონმა უთხრა ყარაბოღლის: — ემ ქალს ესროლე ჯიღა-მშვილდი და ეს ჩაფი გოუტეხეო! — ყარაბოღლიმ უთხრა: — მე, როგორც გლეხი შვილი, დამშჯიანო, შენ ესროლე, როგორც ხენწიფის შვილი, ვერ დაგშჯიანო! — ესროლა სიმონმა და გოუტეხა ჩაფი-კოკა. იმ ქალმა დასწყეველა, როშენაც ჩაგვარდნია ცხრა-ცხრა თავიანი დევების დის სიყვარულიო, — რომელ დევებსაც ვერაფერი ვერ მიზდიოდათ, ესე იგი, შიშით, დაპყრობილი ხყამდათ ქვეყანა. ყარაბოღლი და სიმონი წამოვიდენ სახ'ში, მაგრამ სიმონი ავათ გახდა. ხენწიფემ ავანტყოფობის გამო ბევრი ექიმები მოჰგვარა. ვერაფერი ვერ გეიგეს. შემდეგ მოხუცი კაცი შევიდა სასახლეში, შე'მჩივლა, რო: — ჩემი შვილი ამ დღეშია და იქნება გეცოდინოს რამე? — შენ შვილს გულის პასუხი აქვს სათქმელი, შოუგზანე თავისი ტოლი და იმას ეტყვისო, თუარა და მოკედებაო! — შეუგზანეს ყარაბოღლი. ყარაბოღლის უთხრა სიმონმა: — იმ ქალმა რო დამწყეველა, იმ ქალს თუ მომგვრის მამაჩემი, თუ არა და მოკედებიო! ყარაბოღლიმ უთხრა: — შენი ყარაბოღლი მოგიკვდეს, თუ ვერ მოგიყვანო ი ქალიო. შემდეგ გამოვიდა ყარაბოღლი და ხენწიფეს მოახსენა მდგომარეობა. ხემწიფემ არ დეიჯერა, მაგრამ მაინც გამოსაცდელათ გაგზანა ყარაბოღლი თავის ჯარით იმ ქალის გამოსახსნელათ. ყარაბოღლიმ უთხრა, ესე იგი, ჯარს. რო ესე იგი ჩემი განკარგულების ქვეშ უნდა იმყოფებოდეთო! როცა მიეიდენ დევების სახლებთან, დევები სახლებშიდ არ იყონ. ყარაბოღლიმ უთხრა სიმონს: — შედი, ი ქალი ნახე, რაკი დევები არ არიენო და მე ბაღშიდ წამოვწეებიო, რახან დაღალული ვარაო. სიმონი წევიდა და მიუახლოვდა ბალკონს. ნახა, რო დევების დედა ართამდა და ხრახნილი ქვისოდენა კვირისტავი ხქონდა. რო დეინახა, ყასიდათ გადმოაგდო ბალკონიდან კვირისტავი და: — დედა-შვილობას, შომაწოდეო, — რო გამოეცადოს სიმონის ძალა. სიმონმა ვერ მოერია კვირისტავს და მიეიდა და ყარაბოღლის შასჩივლა, რო ასეა ჩემი საქმეო. ყარაბოღლი მიეიდა, ეიღო ის კვირისტავი, ესროლა ბებერს და მოკლა. ეს ბებერი დამარხეს. საღამოზე მოვიდენ დევები. ოთხი რო დეინახეს, გაჭკვირდენ. უთხრეს: — შენ აქ ვინ მოგიყვანაო, ჩვენი შიშითაო ზეით მფრინველს ვერ გოუვლია, ქვევით ბუენწველასაო, ვინ მოგიყვანაო? — ყარაბოღლიმ უთხრა: მე რა. სანტროთ არ მოვსულვარ, არამცთუ სამოყვროთ მოვედიო! — დევებმა უთხრეს, რო, რახან მავრეაო, ჩვენაო დაღალულები ვართაო, ეს ნანადირევი გაატყავეო, გასუერიო, ხორცი მოგვიბარშე და გეაპამეო. ყარაბოღლიმ უცოცთ გაატყავა ნადირი, დასურა ხორცი, ოთხი ძმა დევი, რომელიც ცარიელ ქვაბს ძლივა დგამდენ ცეცხლზე. ყარაბოღლიმ სამსე ეიღო და დადგა მარტეა. დევები შეშინდენ და მას უკან ველარაფერს ვერა ბედამდენ, რომ ტრობა გეეწიოს ყარაბოღლისთვინ. მეორე დღეს უთხრეს, რო: — სანადიროს უნა წაგვყვეო! ყარაბოღლი — უთხრათ: — არ უნა გაყვდეს-ყე მტერიო, ჩემი ძმა მომიკლასო. — თქვეს მეტიო აქაო არავინ მოსულაო, არავინ არ გვყამს მტერიო! — რო გავიდენ სანადიროს, ყარაბოღლი იმდენსა ნადირობდა, რამდენსაც ი ოთხი ძმა დევი. ა ქალმა — სიმონის საცოლომ — სიმონი წეიყვანა და დაათვალიერეს ოთახები, რეა ოთახი აჩვენა, და მეცხრე ოთახი აღარ აჩვენა. ა ოთახი გასაღები დევებ გაჰყოლოდათ. ბოლოს ა ქალს სიმონის კალთაზე დაეძინა. სი-

მონმა ოუწია თმა, ნახა, რო თმის ძირში გასაღები იყო შებმული. ეიღო და მიხვდა, რო ი გასაღები იმ ოთახის იყო. გაიღო ოთახი, ნახა, რო პირეცეცლიანი დევი მოსულიყო ი ქალის მოსატაცებლათ და დეებას დევებს ჯაჭვით. სიმონი შეშინდა. დევმა უთხრა: ეს ხრმალი მამიწიე ახლოსაო (ეგდო იქა). ეიღო ხრმალი, დაარტყა ჯაჭვსა და გასწყვიტა და სიმონს ერთი სილა გაარტყა და გულშამოყრილი მიაგდო იქით. ქალი შეიჯინა ბეკებზე და გაქანა. ყარაბოღლი და დევები რო დაბრუნდენ, ყარაბოღლი წინ-წინ წამოვიდა, ნახა, რო ძმა აგდია გულშამოყრილი, აიყვანს და მოაბრუნებს. ნახა, რო ქალი წაყვანილია. ყარაბოღლი მიხვდა, რო ვიღაცა ბყამდათ დაბმული ოთახში, და არ გოუმხილეს ყარაბოღლის. ყარაბოღლი გაჯავრდა, დეებს უთხრა: მე თქვენ გითხარით, რო მტერი გეყოლებოდათ და უთხრათ — ორმოცი დღე და ღამე ჩემი ძმა ისთე უნა შამინახოთ, ცივი სიავი არ მიაკაროთო! და ორმოცი დღეს თუ გადავსცდე, ესე იგი კვდარი ვიყნები და რაც გინდა, ჰქენითო!

სადილი ჭამა და წევიდა ი ქალის საქებნელაკი. წეიღო თავისი ჯიღამშვილდი. ყარაბოღლი რო მიდიოდა გზაშიდ, ნახა, რო ერთი კაცი ხნამდა, რამდენი ბელტი ამოდიოდა, იმდენსა ყლაპამდა. ყარაბოღლის გოუკვირდა და: — რანაირათ ინელეფ ა ბელტებსაო? იმან უთხრა: — ეს კი არ არი გასაკვირველი, ყარაბოღლი თუ გაგიგონია, იმისი სარძლო მიხავდათ მოტაცებულიო! — ყარაბოღლმ უთხრა: — ჩემი ამხანაგი გახდიო! — დეეთანხმა და წავიდენ. შენდექ ნახეს, რო ერთი კაცი, ბორკილი ხქონდა ფეხებში, გამუეკიდებოდა კურდღელს და იპერდა. ყარაბოღლიმ იმასაც უთხრა: — საით იპერ მა კურდღელს ბორკილიანი კაციო? — ეს კი არ არი გასაკვირველი, ყარაბოღლის რძალი მუეტაცნა დევსაო და მიარბენინებდა და ის არი გასაკვირველიო. — ყარაბოღლიმ უთხრა: — შენ ჩემი ამხანაკი გახდიო! — ძალიან კარქიო! — და წავიდენ. ნახეს ერთი დახურული ბანი. დადგენ ღამე. მოორე დღეს ხყარეს წილი-კენჭი, ვისაცა ხვდებოდა იქანა დადგომა, უნა მეეპარშოს ვახშამი, ორი უნა წასულიყოს სანადიროს. ხვდა კენჭი ბელტიულაპიას. მოამზადა ყველაფერი და დეიწყო სიღერა. დევმა ამოზძახა კრმიდან: — რაც მოგიმზადებია, აქ ჩამოყარე, თორემ ამოვალ, შენც შექკამ, მაგეებსაცაო! — ეს ის დევი იყო, რომელმაც ქალი მოიტაცა. ბელტიყლაპიას შეეშინდა და ყველაფერი ჩაყარა ძირ.

საღამოზედ მოვიდენ ამხანაგები, ბელტიყლაპიამ მოიგონა: ვერც ქფილი ვიჭამე, ვერც ხორცი და ვერ გაეკეთე ვახშამიო. მოორე დღეს მოორე კაცი დაიყენეს — ბორკილიანი. იმასაც ასეთი საქმე დეემართა. მესამე დღეს დადგა ყარაბოღლი. მოამზადა ყორაფელი. დეიწყო სიღერა. იმასაც ამოზძახა დევმა: — რაც მოგიმზადებია, აქ ჩამოყარე, თუ არა და ამოვალ, შენც შექკამ, მაგეებსაცაო! — ყარაბოღლიმ უპასუხა: — მანდა ხარ და ვერ გაუურეფ, ამოდი და პასუხს გაქცემაო! — დევი ამოვარდა, ყარაბოღლიმ ესროლა ჯიღამფშვილდი და დევი ქვე მოკლა, დაჩეხა და ჩაყარა მიწაში. საღამოზედ ჩოულობრივ მივიდენ ამხანაგები, ვახშამი ჭამეს და მოორე დღეს ყარაბოღლიმ უთხრათ: ი ქალი აქ არისაო ქვეეთ მორმოშიდაო. დევი მე მოვკალიო! — მოიტანეს სოფლიდან დიდი თოკი. კენჭი ყარეს: ვისაცა ხვდებოდა ჩასვლა, ესე იგი, უნა ჩეეკიდებიოს თოკით — ორმოში. დევს ისე ხქონდა მოწყობილი თავის ბინის ჩასავალი, რო ძალიანა ხურდა, რადგან თითონაც პირეცეცლიანი იყო. კენჭით ჩასვლა ერგო ბელტიყლაპიას. ჩაუსვეს და დეიძახა: — ვიწვიო! — ამოიყვანეს. შენდექ ყარაბოღლიმ სთქვა: — მე ჩავალო და რამდენიც ვთქვა — ვიწვიო, იმდენი შიგ ჩაეიშვითაო! — ჩაუშვეს

ყარაბოღლი და იძახოდა: — ვიწვიო! — შენდეკ ქალთან ჩავიდა, როგორც იქნა და არ იქნა, ქალს ძალიან გოუკვირდა — რანაირათ მოხვეული, აქაო დევის არ გეშინიაო? — ქალმა კი არ იცოდა, თუ დევი ყარაბოღლიმ მოკლა. — დევიო მოვკალიო! — მერე უთხრა ქალმა, რომაო ამხანაგები გეყოლებაო, მარტვა არ იქნებიო! უმალ შენ ადიო და მერე მეო, თორემაო მე მოვეწონები-ყეო და თოკს აღარ ჩამოგიგდებენაო.

ყარაბოღლიმ არ დაიჯერა და გაგზანა პირველათ ქალი და მართლა ქალი მუეწონათ და აღარ ჩამოუშვეს თოკი. ყარაბოღლი დაშჩა ქვევით. ქალმა დოუძახა ყარაბოღლის: — სამი რაში ჩამოივლისაო: ერთი მრეში, ერთი თეთრი და ერთი წითელიო. იმდენი ეცადე, რო მრეშზე შეჯედიო და, ასე იგი, ამ ქვეყანაში ამოგიყვანსაო. სხვაზე არ შეედეო, თვარა დაქკარგამენაო, სხვა ქვეყანაში ჩამოგიყვანებენაო!

ყარაბოღლიმ ბევრი უცადა რაშებს, ჩამოიარა წითელმა და შეედა. სადღაც უცხო ქვეყანაში დაბკარქა რაშმა. ამ ქვეყანას უძახოდენ ქვედა ქვეყანას იმ დროისათვინ. მივიდა ერთ ბებერ ქალთან სტუმრათ. წყალი სთხოვა და პური. გველეშაპსა აქს დაკავებულიო და ხემწიფის ქალიშვილი ცოლათა ხყამსაო, მარტვა იმას აძლემსაო. შვილებიო ყველა იმას მიეეციო! ა ქალმა დეიწყო ქფილის გაცრა. ასე იგი, უნა მუექნა და მოშარდვას ეპირებოდა, წყლის მაგივრათ. ყარაბოღლიმ შოუტივა და: — ჰურჭელი მამეცი და მე მოვიტან წყალსაო. მისცა პატარუკა ჰურჭლები. — ესენი არ მინდაო, ქვევრები მამეციო! უფრო ბევრ წყალ მოვიტანთო! — ბებერმა აჩვენა ქვევრები, ყარაბოღლიმ მოთხარა ქვევრები და წეიღო წყალზე ყარაბოღლიმ. ქალმა უთხრა, რომელიც გველეშაპსა ხყამდა: — ნუ მიგაქ წყალიო, თვარაო გველეშაპი გაგაფუჭებსაო! — ყარაბოღლი წევიდა მეჭედელთან, გააკეთებია ჯიღამშვილდი, მუემზადა გველეშაპისთვინ საჩხუბრათ. საღამოზე მოვიდა და ქალს უთხრა, რო: შეს კალთაზე დამაძინეო და, როცა წამოვიდეს გველეშაპი, გამაღვინძეო და ნეკზე მიკმინეო ან ცრემლი დამაწვეთეი ლოყაზედაო, მაგარი ძიღი ვიციო! — ქალმა მერე ტირილი დაიწყო გველეშაპის მოახლოვებაზე და ყარაბოღლის დეეცა ცრემლი ლოყაზე. მოხვდა ლოყაზე და წამოდგა ყარაბოღლი. ჰოდა, ყარაბოღლიმ მომართა ჯიღამშვილდი, ესროლა გველეშაპს, მოხვდა ხახაში ისარი და მოკვდა. ქალი გახარებული წევიდა თავის მამასთან. გველეშაპი მოკლესაო! ხემწიფეს ძალიან გუეხარა ეს ამბავი. არა სჯეროდა.

მერე ქალმა უთხრა: რახან ცხენები დიდი ხნის წყლის დაულევნებელი არიანო, გაგზანე წყალზედაო. ერთი თუ წყალზე მოკვდა, ერთი შუაგზაზე და ერთი ჩვეს კარზედაო, მაშინ დეიჯერე, თუ არა და არა. ნუ დეიჯერეფაო. გაგზანა ცხენები და სწორეთ ასე დეემართათ. ერთი შუაგზაზე მოკვდა, ერთი იქა, ერთი შუაგზაზე და ერთი ხემწიფის კარზე. მერე უთხრა შვილს: — იცნობაო ი კაცსაო, რო კრება მოვიწვიოთაო? — ვიცნობაო, ქალმა უთხრა. მოიწვიეს კაცების კრება, სადაც ყარაბოღლი არ აღმოჩნდა. მერე სთქვა ერთმა მოსამსახურემ: — ა სოფლი ბოლოსაო ერთი ბებერი ქალი ცხოერობსაო, იქა სცხოვრებს ერთი ვაჟიკაცი, ის იქნება ნანდვილათ, მოვიყვანოთაო! — ყარაბოღლი ნახეს და მოიყვანეს. ყარაბოღლიმ გზაში დეიპირა კურდღლი ბოცორა. გამეეხვია ჩიხი კალთაში. ქალს უთხრა, ესე იგი, შვილს: — მიდიო და თუ იცნო ის კაციო, კალთაში ჩოუჯედიო და უთხარი — შენ ქმარი, მე ცოლიო! — ქალმა იცნო, ყარაბოღლი აპირობდა დაჯდომას და გამოაჭყეტია თვალები კურდღელს. ქალს შეეშინდა და ვე-

ღარ გაბედა ჩაჯდომა. — რა ძალა ხყამს კალთაშიდაო და ვერ გავბედე მოსვლაო, — თვალები დახუქეო, ისე მიდიო კალთაშიდაო. ქალიც ასე მოიქცა. — შე ქმარი და მე ცოლიო! — ყარაბოღლიმ უთხრა: — არა, მე ძმაო, შე დაო! — შემდეგ ხენწიფე მივიდა ყარაბოღლისთან. — რა გაჩუქვო შენაო, რო ამდენი სიკეთე გოუწიე ჩვენს ქვეყანასაო? — ყარაბოღლიმ უთხრა, რო მე არაფერი არ მინდა თქვენი, ხოლოთ ზედა ქვეყანაში ამიყვანეთაო! მერე უთხრეს:—ამა და ამ კდეშიო — კდე დოუსახელეს — იმას ქვია ფაშკუნჯი, იმას ბღარტებს უქანს მგელი და თუ იმას მოკლამო, ხარჯსა ჩვენ მივცემთაო მომკვლელსაო! — ყარაბოღლი წავიდა და მივიდა იმ კდეში, სადაც ის ბღარტები იყონ. რომ დეინახეს ბღარტებმა და შეეშინდა-ყე. მოვიდა გველეშაპი. ყარაბოღლიმ ესროლა ჯიღამშვილდი და გააყრევია წენები. ბღარტებმა—რახან მოუკლა მტერი ყარაბოღლიმ — ყარაბოღლი დამალეს თავის ფრთეებში. იმიტომ რო ჩვენი დედა რო ნოვაო, დიდ ლოდს მეათრევსაო და მტერი ვეონება შენაო და მოკკლამსაო. მივიდა დედა, მიხვდა, რომ ადამიანი იყო იქა. უთხრეს ბღარტებმა, რო, ასე იგი გამოუშვეს კაცი და უთხრეს, რო ჩვენი მტერი მოკლაო. ფაშკუნჯი გახარდა და კოცნის ნიშნათ სახე შამოუკეკა. — როგორ გადაგიხადო ეს სიკეთეო? — ყარაბოღლიმ უთხრა, რო თუ მიზამ სიკეთეს, ზედაქვეყანაში ამიყვანეო. ფაშკუნჯმა უთხრა, რომაო წადიო, ხემწიფეს მოსთხოვე ხარჯიო: ცხრა ტიკი ღვინო, ხარიო, ცხრა შეშოკა პურიო, ერთი ჯინიო (ჩვენებურათ ხვირია ჯინი). მოიტანა ყარაბოღლიმ ესენი, გაიდგა ჯინი ფაშკუნჯმა ზურგზედ და ყარაბოღლის უთხრა — ჩაყარე შიდ ეგენიო. რამდენჯელად დავტრიალდე, იმდენჯელ მამეციო თითო ხარიო, თითო ტიკი ღვინო პირშიო!—შემდეგ ცოტა კიდე უკლიათ ამოსველას, ყარაბოღლის შამოკლდა ხორცი. მოიკრა კუნთი ყარაბოღლიმ და მისცა ფაშკუნჯს პირში. ამასობაში ევიდენ მაღლა. ყარაბოღლის უთხრა:—ბოლოდროს რო ხორცი მამეცი რასი იყოვო?—მე მოვიკერი კუნთიო და ის იყოვო.—ავრე გემრიელი რო მგონებოდე, იქავე შექჭამდიო! — გამოიძრო ფაშკუნჯმა ფთა და მისცა ყარაბოღლის, რო: — მოისვიო კუნთზეო და მოგირჩებაო! ყარაბოღლიმ მოისვა კუნთზე და მოურჩა, ასე იგი. — ეს ფთა მაინახეო, სადაც ჭრილობისაგან იქნები გაჯირვებული, ყველაფერს მოუხდებაო! — გამოემშვიდობენ ერთმანეთს და წავიდენ. ყარაბოღლი მოდიოდა გზაშიდ. ერთი მეცხვარე შეხვდა, ცხენებს მიერეკებოდა და იმღეროდა. ყარაბოღლიმ უთხრა: — რა გამღერებს, მეცხვარეო? — რავა რა მამღერებსაო, ამაღამაო ბელტიყლაპია ქორწვილობსაო ყარაბოღლის ქალზედაო, ცხვრებს მისაღებენაო, ტყავებს მე მამცემენაო, ქვეც ვიქეიფებაო! — შენდეგ შეხვდა მეძროხე, ისიც მღეროდა. იმასაც უთხრა ყარაბოღლიმ: — რა გამღერებსაო? — იმაზე ვმღერიო, ქორწვილი არიო, ყარაბოღლის ცოლსა სთხოულობენაო და ძროხებს მისაღებენაო, ტყავებს მე მამცემენაო და ქვეც ვიქეიფებაო! — ყარაბოღლიმ უთხრა: — ე შენი გლახა შინელი და ქუდი მე მამეციო და ე ჩემი კაი ქუდი და შინელი შენ წაიღეო. შესცვალეს ტანისამოსი, ყარაბოღლი მივიდა ქორწილში მათხოვრათა. სთხოვათ ერთი ჯამი ღვინო. მოუტანეს ერთი ჯამი ღვინო. დალია და კიდე ითხოვა, კიდე დალია და კიდე ითხოვა. აღარ ასმევენ და მერე ბელტიყლაპიამ სთქვა: — კიდე დაალევიეთაო! მერე ჯიღამშვილდი, რომელიც ბელტიყლაპიას გახყვა დაშორების ღრის, კედელზე ეკიდა და დასეოდენ ხალხი და ვერ ამძრევდენ. ყარაბოღლი მივიდა და უთხრა-ყე: — მაჩეენეთაო, ნე თუ გავმართოვო! — ყარაბოღლის თავში წაარტყეს: — შენისთანა იქნებოდა ამისი ხმარებელიო! ყარაბოღლი გაჯავრდა და ჩამოიღო ჯიღამშვილდი,

მიუშვირა მეფე-დედოფალს. — ფურსა თუ ხარსაო! — ქალმა სთქვა: — (მიხვდა რაში იყო საქმე) ფურისა რა ბრალია, ხარსაო! — ჯიღამშვილდი გაეარდა და მოხვდა ბელტიაულაპიას და მოკლა.

ყარაბოღლიმ ბეერი იქეიფა, წამოიყვანა თავისი რძალი და წამოვიდენ. ეს ის დრო იყო, ერთი დღე აკლდა. რომელ დღესაც მოდიოდენ, იმ დღეს უნა შესრულებულიყოს ორმოცი დღე და დევებმა დანები გალესეს მისი ძმის დასაკლავად. ყარაბოღლიმ გაისროლა ჯიღამშვილდი. ერთი ეს ჯიღამშვილდი დევების ეზოში დეეცესო, ინატრა. — ჩემ ძმასაო არეფერი უქნანო! ჯიღამშვილდი დეეცა დევების ეზოში. დევები შეშინდნენ და მივიდა ყარაბოღლი, ჯამეს ვახშამი და მოორე დღეს უთხრეს, რო ჯერო ორჯერ უნა გამოქცადოთაო, რო მერე წეიყვანოო. უთხრეს, რო: — ოქროს თასითაო ავლის ხეზედაო უნა ეიტანოო რძეო წვერზე და წვეთი არ უნა დეგიექცესაო. — ქალმა უთხრა ჩუმეთ ყარაბოღლის: ჩემი ბეჭედი ჩააგდე შიგაო, ისე ახვალ და ჩამოხვალაო, წვეთი არ უნა დეგექცესაო. შიასრულა ეს, ეიტანა და ჩამოიტანა, რო წვეთი არ დაქცეულა. მერე უთხრეს, რო სამთლის კუნძითაო რკინი კუნძი უნა დაჩეხოო. ყარაბოღლი შეწუხდა და გაჰკვირდა. ქალმა უთხრა, რო ჩემი თმის ბეწვი დაახვიე ტარზე და ნაკუწ-ნაკუწ იქცევაო. ასე გააკეთა და შენდექ დაასაჩუქრეს და წამოვიდენ. ერთ თაუე დააღამდათ. დეინახეს, რო ერთ ადგილას ცეცხლი ენთო. ყარაბოღლიმ უთხრათ: თქვენ აქანა გაჩერდითაო, მეო წავალაო და ვინცალაა, გამოვართმევ ცეცხლს და მოვიტანაო. ცეცხლთან რო მიუახლოვდა, გეიგონა ლაპარაკი. ესინი იყვენ ადამიანის ბედის მწერავები. ერთი ამბობდა: ახლა რო სიმონს ქალი მიჰყავსაო, რო მივლიანო ახლოსაო, გამოაგებებენ ცხენებსაო. ი ცხენებიდან გადმოვარდენ და მოკვდესაო. ასე მოუვიდესაო. ვინც გეიგონოსო და თქვასო, ქვათ იქცესო! — ამინო, დაბარეს სუყველამ და დასწერეს. მოორემა სთქვა: თუ ამ საქმესაო გოდურჩესაო, ფეხსაცმელებს რო გამოუცვლიანო, ის ფეხსაცმელი იყოს მოშხამულიო. დოუსივდეს ფეხები და მოკვდეს მაშინავეო. ვინც გეიგონოსო და თქვასაო, ქვათ იქცესაო! და დასწერეს. მესამემა თქვა, რო, თუ ამას გოდურჩესაო, მოსასვენებელ ოთახში რომ შეიყვანებენაო, ის ოთახი დეიქცესაო და მოყვენენ და მოკვდესაო. ვინც გეიგონოს, ქვათ იქცესაო. დასწერეს. ყარაბოღლის ეს ლაპარაკი ეყურებოდა. მოვიდა და ცეცხლი სთხოვა. უთხრეს რო, ხო არაფერი გაიგონიაო? — არაო, ყარაბოღლიმ უთხრა. ცეცხლი მოსცესა და წამოვიდა. ყარაბოღლი ძალიან გულდარდიანათ შეიქნა. იმეებმა შეატყვეს — ძმამ — რომ ყარაბოღლი მოწყენილი იყო. ხკითხეს, რომაო, რაზე ხარაო მოწყენილიო? ყარაბოღლიმ უთხრა-ყე: ნუ მათქმევინებთაო, თვარა ინანებთაო. წამოვიდენ მოორე დღეს სახში. გამოაგებეს ცხენები. ყარაბოღლიმ ესროლა ჯიღამშვილდი ცხენებსა და ორივე მოკლა. სიმონი ძალიან გაჯავრდა და არაფერი არ უთქვამს. მერე ფეხსაცმელები გამოუცვალეს. — მეო ძმადი ვარაო! და გამოართვა და დაჩეხა ხანჯლით. მერე წეიყვანეს მოსასვენებელ ოთახში. ესროლა ოთახს ჯიღამშვილდი და დააქცია. ეს იმიტომა ქნა ყარაბოღლიმ, რო ბედის მწერავები რო ლაპარაკობდენ, რომ ასცდენოდეს თავი ძმასა და რძალს, მიტომა ქნა. ქორწილი გედიხადეს დიდებული.

მესამე დღეს ყარაბოღლის ხკითხეს: — ამდენი სიკეთე გაიარე, ამდენი წვალება და ეხლაო რა მოგვიდაო, ოთახი დამიქციეო, ფეხსაცმელები დამიჭერიო! — ნუ მკითხავთაო. მაინც ჩააცივდენ ორივე ცოლ-ქმარი. თქვა პირველი

მუხლი და გაქვავდა მუხლებამდინ. მოორე რო თქვა — წენამდის გაქვავდა. უთხრეს, რო ნუღა მჯით... ო მარა ახლა რაღა დროსიაო, თქვა, სულ გაქვავდა.

ეს ქვა შეინახეს სუფთა ადგილზე და სწუხდენ ამითანა ამბავს. ჯავრიანათ რო იყვენ ამ საქმეზე, როცა შვილი ეყოლათ, ამეებს, როცა ერთი წლის გახდა, ქალმაც და ქმარმაც არ მოიშალეს მჯავრი და მერე სიზმარში ეზმანა ქალს, რო ვიღაცამ უთხრა, რო, რახან აგრე სწუხარაო, გასჭერი შენი ბოვშიო და ღვიძლი გამოუღეო და წაუსვიო ი ქვასაო და გაცოცხლდებაო. ა ქალმა უამბო მეორე დღეს ქმარს. ქმარი დათანხმდა და გასჭრეს თავისი შვილი, ამოუღეს ღვიძლი, ჩასცხეს ა ქვას. ყარაბოღლი რო გეიძრა, თვალებს იფშვნეტამდა. ყარაბოღლიმ თქვა, რამდენი მძინებია? — ანგრე შეს ტერს ეძინაო, ქალმა უთხრა, რავარც შენ გეძინაო. — აპაო, როგორ გამაცოცხლეთაო? ყარაბოღლიმ უთხრა. იმეებმა უთხრეს, რო ჩვენ სიზმარში გვეზმანაო და შვილი გავსჭერითაო და გაგაცოცხლეთაო. ყარაბოღლიმ ჰკითხათ, რო სადა გყამთო ი ყმაწვილიო! წეიყვანეს ოთახში და აჩვენეს ბოში. ყარაბოღლიმ ჩოუდვა ღვიძლი თავი ალაგას და ამოიღო ფაშკუნჯის ფთა, წოუსვა ჭრილობას და ბოში გაცოცხლდა. შენდეგ წამოვიდა თავი დედ-მამასთან და ჭირი იქ დავტოვოთ და ლხინი აქ იყოს.

202. ქმარი და ცოლის საყვარლები

ერთ ქალს ხავდა სამი საყვარელი. ქმარი ხავდა მოსაგებში წასული. გეიგო, იმის ცოლს საყვარლები ხყამდა. ამოვიდა და დოუდარაჯდა ცოლს. ნახა, რო სამივე საყვარლები ცეცხლ უჯდენ და ქვაბს უჯდენ და ედგათ ტანის დასაბანათ. კაცი რო მიადგა კარებზე, ქალი შეშინდა და საყვარლები ჩასვა მიწის თაროში. ამოჭრილი მიწა იყო — ორმო. კაცი შამოვიდა სახში, რამოდენიმე ლაპარაკის შენდეგ თავის დაბანა მოითხოვა კაცმა. ქალი შეწუხდა, რო სახში წყლის დაქცევა ეზარებოდა. კაცმა უთხრა, რო თაროსთან მივიტანოთ ქვაბი და იქანა დეევიბანოთაო. ქალმა ვეღარაფერი ვერ უთხრა. რო მიიტანეს ქვაბი თაროსთან, კაცმა უთხრა: — საპონი მოიტანეო! — კაცმა იმ მოსვლაში წყალი ასწია და თაროში გოდუშვა ი დუღარე წყალი. კაცები ამოიფუფქენ, სამივე ე კაცი. ქმარი მოშორდა ცოლს. ქალი გოურიგდა ერთ მუშას, რო ქმარი მამიკვდა და დამიმარხე და ათ შაურს მოქცემაო. წევიდა მუშა, მოთხარა საფლავი, წეიღო ერთი კუბო, დამარხა. რო მოვიდა, მოორე კუბო დაახვედრა იმ ადგილზე და უთხრა, რო შენ კვდარი ვერ დაგიმარხავსო, აგერ მოვიდა ე კვდარიო. წეიღო მორე კვდარი ა მუშამ. რო მოვიდა მესამე დაახვედრა იმ ადგილზე. და გოუწყრა: აღარ მოქცემ ფულს, თუ კიდე მოვიდაო.

მუშამ წეიღო გაჯავრებით და გზაში ბუტბუტებდა-ბურტყუნებდა. ექადნებოდა — ისეთ კდეზე გადაგაგდეფო, რო შენი ძვლები არსა იქნესაო! მიიტანა დიდ კდეზე და გადააგდო. ქვევით თათარი უდგის ცხენებს. რო გეიგონა კუბოს რიხინი, ეგონა, ქვა მოდისო და გეიქცა იქით — არაფერი დამეცესო — თათარი. ამას ეგონა, თუ კუბოდან გადმოვარდა კვდარი და გარბოდა — თათარი რო გარბოდა. გამუეკიდა და ხანჯარი ეკიდა და დაჩეხა თათარი. მეოთხე კვდარი დამარხა. ჭირი იქა ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.

203. საწყალი მელა

იყო ერთი მღებავი-მალარი. ეზოში ხქონდა ბია. ქათმები ყდებოდენ ი ბიაზე. მიეჩვია მელა და ყოველ ღამეს მიხყავდა თითო ქათამი. მღებავმა ერთი ჭური კუპრი დადგა ბიის ძირში მელიას დასაჭირავათ. მელამ ჩოულებისაეფ მოიტაცა ქათამი და ჩავარდა კუპრში. გეილესა შაეათ მელა. ამოვიდა ცოცხალ-მკვდარი და მიდის ახლა, მიპარტყუნობს. გეიარა სოფელში და ერთი მამალი გადმომდგარა, იმხელასა ყვირის, იქაობას აქცევს. — რა ეაყვირებს, მამალოო? — მელამ უთხრა. — ის მაყვირებს, რო ქალბატონმა უთხრა გოგოსაო, მამალი დავკლათო და უკანასკნელი ყვირილი მაქსაო. — წამოდიო, ამდენი ცოდვების მქნელი ახლა მონასტერში მივდივარო ცოდვების მოსანანიებლათო. ხო უყურემ, შავათ მაცვიაო, შენცა მოინანიეო! — მამალი დეეთანხმა და წევიდენ. იარეს და შეხვდათ ქორი. ქორსაც ესე უთხრა მელამ — ვითამ მონასტერში მიდიოდა ცოდვების მოსანანიებლათ. ქორი დეიყოლიეს და წევიდენ. მერე შეხვდათ ოფოფი. ოფოფმაც ასე დეეთანხმა და წევიდენ. მელია რო დოუახლოვდა თავის სოროს, უთხრათ, რომაო—შედით ი სოროში. ესე იგი აღსარება უნდა აღიაროთო! შეიტყუილა სოროში სამივე და მივიდა მერე თითონ და კარებთან ღაჟდა გამოსავალში. ქორს უთხრა, რომეო — საპატიო ყმარწვილოო (ორ-ოროლი ცოდვა გეპატიება-ყეო და მესამე არაო, სუყველა ეაფთხილა). კატას რო სცინეფო, თუ კატა ხარ, კატა იყავი, თუ არა და ქორი იყავიო. — მაპატიე ბატონოვო! — და აპატია ეს ერთი. მერე უთხრა, რომეო ერთი ქვრივი ქალიო გოუშვებს კრუხსაო და შენაო ფეხებით აფუქეტ ზოგსა და ზოგი ქვე მიგყავსაო! რათა შვები მაგასაო? მაპატივეო და აპარივა. მესამე უთხრა, რომაო ხაერში რო ადიხარო და ყუნცულოფო, რა გაცუნცულებსაო? — მაპატიეო. — ვერ გაპატივებო! — მოუგრიხა თავი და დეიდვა წინ. ახლა მამალს უთხრა: — შენსაო ფეხებზედაო რო დეზები გაქსაო, რომელი კაი ცხენოსანი შენ ახარაო? — მაპატიეო! — მიპატიებიაო! — მეორეთ უთხრა — პატრონი სამ დედალს უშვებსაო და შენაო არა სჯერდები იმათაო და სხვა დედლებზე გადადიხარო, რათა შვები ამასაო? — მაპატივეო! — მესამეთაო, ი შუალამეზე რო დეიწყებ ჯღავილსაო, მეც მიშლი და მუშახალხსაცაო. რათა შვები ამასაო! — მაპატივეო! — არ აპატივა. გოდუგრიხა თავი და დეიდვა წინ. ახლა ოფოფს უთხრა: — ე სავარცხელი ვინ დაგადვა თავზედაო? — ესო სოლომონ ბრძენმა დამადგა თავზედაო თავი ხელითაო. — ვინა გყამსო მაგის მოწმეო? — კაი სუქანი ბატეო და კაი სუქანი იხვეო. — მელამა სთქვა, რო ე ოფოფი ქვე რათ მინდა, მირჩევნია კაი ბატი და კაი იხვეო. უთხრა, რომეო — მაჩვენეფო იხესა ღა ბატსაო? — კეო. წეიყვანა და ერთ ოლეში გააჩერა მელა.

ოფოფმა დეინახა მონადირე და მონადირის ძაღლები. ძაღლებმა რო ოფოფი დეინახეს, გამოეკიდენ. ოფოფი შევარდა ი ოლეში, საცა მელა იყო. გამოვარდა მელია, გამოუდგენ ძაღლები და სტაცეს ხელი. ერთი მაგრა გასწი-გამოსწიეს მელას.—ოფოფო, ეს იყო შენი მოწმეებიო? ეს იყო შენი სუქანი ბატი და იხვეო? — როგორც მოსამართლე ბრძანდებოდი, იმისთანა მოწმეები მოგვარეო!

204. ღარიბი კაცის ამბავი

იყო ერთი ღარიბი კაცი. წევიდა ქალაქში ფულის მოსაგებათ. უნდოდა ფეხზე ვაკრობა. დაშკირდა ფული. მიასწავლეს ერთ მადლიან დიდარ კაცთან. იმას

ბევრი ქონება ხქონდა. მივიდა ი კაცთან და ფული სოხოვა. ი კაცმა უთხრა: — რამდენი გინდაო, ასი გინდაო, ორასი გინდაო, სამასი გინდაო? — ერთი სამოცი თუმანი მასესხეო, — უთხრა, — ვექსილი გავაკეთოთო. — ვექსილი არ მინდაო, წამოდიო, ჯერეთ პურ-მარილი მივიღოთაო და მერე გეტყვიო! — წევიდენ, პურ-მარილი მიიღეს. დიდარმა კაცმა უთხრა: — თუ შენ ეს პურ-მარილი გწამს, მაგ ფულს მამიტანო. თუ არა გწამსაო და შენ ქქონდესო! — ე კაცი წავიდა. ამ სამ წელიწადში ეს კაცი ისე გამდიდრდა ამ ფულით, რო კაი დიდარე კაცი შეიქნა სოფელში. ფულის წაღების დროს დიდარე კაცს ყავდა შვილი, რომელიც წამოიზარდა და მამას უთხრა: — იმ კაცმა რო ფული წეიღო, მე წავალ და გამოვართმევაო. მამამ დოუშალა, მარამ არ დეიშალა. მამამ გაატანა ცხენი, გზის ხარჯი და უთხრა: — თუ არავინ იქნეს შენთან, პური არა ჭამოვო! — ა ბიჭმა იარა ბევრი და მივიდა ერთ წყალთან. პური შიოდა, მარამ ბამის ხათრით, რახან არავინ იყო იმასთან, პურს არა სჭამდა. ცხენი გოუშვა ბალახზე, ხვიარჯინები მოსხნა, თავქვეშ დეიდვა და დეიძინა. დაღამებულს ერთი მოხუცი კაცი მივიდა და გაღვიძა. — ადე, შვილო, გზავრობა ვიგვიანდებაო! — ის კაცი წამოდგა და გაშალა პურ-მარილი უცფათ და პურ-მარილი შესთავაზა მოხუც კაც. ი კაცი პურ-მარილის მიღებას არა შვებოდა, ბიჭი არ მოეშვა და ძალით მიაღებია. მორჩენ პურის ჭამას და გოუდგენ გზას. მიუახლოვდენ ერთ სოფელს. მიხუცმა კაცმა ხკითხა: — სად მიდიხარ და რა საქმეზედაო? — ბიჭმა უთხრა. რომ მე მივდივარ, ამა და ამ კაცს ფული მართებს და ის უნა გამოვართვაო. — აბა, წადი და გამოართვიო! — წევიდა ბიჭი. გაშუართვა ფული. პატიკი სცეს. მოდის. წინ შეხვდა მოხუცებული კაცი ისავე. ნყალგაღმა რო გავიდა ის ბიჭი იმ ოჯახში, საიდანაც ის ბიჭი მოდიოდა, შეიქნა ტირილი. ბიჭი მიბრუნდა და იკითხა ტირილის ამბავი. შეხვდა ისევ მოხუცებული კაცი და დაუბრუნა. — მე თქვენ იმიტომ გაგაგზანეთ იმ ოჯახშიო, რადგან ის კაცი სასიკვდილო იყოვო. მე რო წავსულიყო პირველათ, მაგ ფულს ვერ ვიღებდიო. — თქვენ რა იცით მისი სიკვდილის მიზეზიო? — მე თვითონ სულის ამღები ვარაო. — აბა, თუ შენ სულის ამღები ხარაო, — ბიჭმა უთხრა, — მე როდის მოვკვდები, გეცოდინება და მითხარიო! კაცი არა შობოდა, მარამ ბიჭი აღარ მეეშვა და როცა თქვენ ქალს მოიყვანთ და ნეფეთ რო იქნებიო, სწორეთ მაშინ მოკვდებიო. ბიჭი შეწუხდა და დაღონდა. დაშორდენ ერთმანეთს, ბიჭი მოვიდა დარდიანათ სახში, გაეიდა რამოდენიმე ხანი, ბიჭს ცოლს ეუნებოდენ, მარა არ შობოდა, რახან გაგებული ქონდა ეს ამბავი. ბოლოს შეუშთენ ხალხი კიდე და გადასწყვიტა ქალის თხოვა. მოიყვანა ქალი. ქორწილი ქონდათ გაჩაღებული და მეფეთ იდგა ხსენებული. მოხუცი კაცი მივიდა კარებზე და მიურახუნა. ბიჭი მიხვდა საქმეს და ხალხს სთხოვა, არავინ გეიხელოთო, მე გავალო. გევიდა თვითან და კაცმა უთხრა: — ხო გახსოვს ჩვენი პირობაო, ახლა შენი სული უნა ევიღოვო. — შევალ ახლა, დედ-მამას გამოვემშვიდობები ცოლსა და კიო! — შამოვიდა და მამამ ხკითხა ამბავი. შეილმა მუახსენა წასული ამბავი. მერე უთხრა მამამ: — შენ მაგისთვინ პურ-მარილი არ გიჭმევიაო? —კიო, შვილმა უთხრა. პურ-მარილი თუ მიიღო შენგანაო, უთხარი ჯერ ჩემი პურ-მარილი ფასი მამეცი და მერე ჩემი სული მიიღეო. გამოვიდა და ბიჭმა მუახსენა ა მოხუც კაცს. კაცმა უთხრა: — მე მაგის უფლება არა მაქსაო, შევეკითხები ჩემს უფროსებს და, თუ ნებას დამრთავენ, ეგრე მოვიქცე�o. — შეეკითხა უფროსებს დიდ ლოცვა-კურთხეეით, უმფროსებმა უპასუხეს: — პურ-მარილი რომ

არ მიგელოს. ძალიან კარქი იქნებოდეო, რაკი მიიღე პურ-მარილი, პურ-მარილის ფასი არა აქსო. მძიმეაო მისი ფასიო და გოუშვი, რამდენი ხანიც უნდა, იცოცხლოსო.

205. ხვთისავარი

იყო ერთი მქვრიები ქალი. არ გააჩთა არავითარი ადამიანი დამხმარე. ბოლოს სიზმარში ეზმანა, რომ უთხრა ვიღაცამ: თქვენ გეყოლებათ შვილიო! სახელათ დაარქვით ხვთისავარიო. ის იქნება გმირიო და შექმნის ცხოვრებასაო. რამოდენიმე ხნის შემდეგ ეყოლა ა ქალს შვილი. დაარქვა ხვთისავარი. ხვთისავარი იყო ძლიერი კაცი. როცა დეიწყო იმან მინდორში გასვლა, ქალმა მოინდომა ფაცხის მოწნა ისეთ ადგილას. საცა ნიაღვარი უდგებოდა. ხვთისავარმა ერთ დროს შიამჩნია ტყეში სახლი მინდორში ყოფნის დროს. წამოვიდა და დედას უთხრა: ამან და ამ ადგილას სახლი შევამჩნიეეთ. დედამ ექვი ეიღო, იცოდა, რომ იქ მდევი ცხოვრობდა. ეს ქალი დარწმუნებული იყო რო თავი შვილის ამარა ცხოვრებას ვერ განაგრძობდა. მოინდომა იმ დევის შეერთება. ერთ დროს შეუმჩნეველად, რო შვილს არ გეეგოს, ეს ფაცხა—მოუშვა წყალი-და მთლიანად წაატვლეკა წყალს. წვიმის დროს. ახლა მოვიდა ეს ბიჭი მინდვრიდან დასველებული. ნახა, რომ სახლი აღარა ხქონდათ. შენდექ დედამ უთხრა: — ჩვენ ახლა სახლი აღარა გვაქს და იმ დევთან უნა შევერთდეო. — შვილმა არ დეიჯერა. მაინ ი ღამეს გაათიეს მინდვრათ. მოორე დღეს ეს ბიჭი წევიდა მინდორში, ნახა მდევის შვილი. გეიცნო, შოუყვარდათ ერთმანეთი. მდევი ქალი და ხვთისავარი შეხეიულობით წაადგენ ერთმანეთს. მარა მდევი-ქალი უმფრო ძლიერი იყო. ხვთისავარმა რო გეიგო, რო მდევი ქალს დედა არა ხყამდა და მამა ხყამდა, უთხრა, რო: — მე დედა მყამს, იმას ქმარი არა ხყაზს, შენ დედა არა გყამს, მე მამა არა მყამს, ჩემი დედა შევოთოთ მამაშენს და ჩვენ ძმები ვიყოთო! — ამის შენდექ დათანხმდენ ერთმანეთს და ხვთისამარა წამოვიდა დედასთან. უთხრა ეს ამბავი ხვთისავარას და მდევ-ქალის შეთანხმება. ქალი დეეთანხმა და წევიდენ. მივიდენ მდევის სახშიდ. მდევ-ქალმა გამოიხედა. იცნო ხვთისავარი და შევიდა და მდევს მუახსენა მდგომარეობა. მდევი გახარდა და სიხარულად ძიიღო ხთისავარი. და დედამისი. შეერთდა ცხოვრება. ხვთისავარა და დევ-ქალმა დეიწყეს ერთათ ცხოვრება და ნადირობა. დევს და ხვთისავარის დედას დაებადათ ინტერესი, რო ხვთისავარი მოეკლათ. დევ-ქალს ძალიან უყვარდა ხვთისავარი და იყო გულთმეკარი. დევ-ქალმა იცოდა, რო ხვთისავარს სიკვდილი ელოდა. ამიტომ ცდილობდა, როგორმე გადეერჩინა. ხვთისავარი და დევ-ქალი ერთ დროს იყონ სანადიროს. მოკლეს ირემი. ხვთისავარი, რო მოუახლოვდენ სახს, გამოიქცა სამახარობლოთ. დევ-ქალმა შიაჩერა და რამოდენიმე დარიგება მისცა. ხვთისავარის მოსაკლავათ დევმა და ხთისავარის დედამ მუიმზადეს სახლი თავზე ლოდი, რომ უნა დეერტყას ხვთისავარისთვინ. დევ-ქალმა ხთისავარი გადაარჩინა, ისე რომ ზურგზე მოიკიდა ხვთისავარი. ხვთისავარმა მოიკიდა დევ-ქალი. დევი თავი შვილს ვერ გეიმეტებდა. ამიტომ ხვთისავარმა მოიკიდა და გადარჩა ხვთისავარი სიკვდილს. ის კი არ გაეკვენია, თუ მაინ და მაინ სიკვდილს გიპირვებენაო. მოორეთ წევიდენ სანადიროს. დევმა და მისმა ცოლმა, ხვთისავარას დედამ, მოთხარეს სახლი საძირკველთან შიგნი ორმო. ორმო იყო იმისთანა რო ადამიანი უნა დაღუპულიყოს. ეს იყო ხვთისავარის მოსაკლავათ მოწყობილი. ხვთისავარი ჩოულობისაეფ გამოიქცა. დევ-ქალმა შიაჩერა. — მეო, მაშინ თუ შენ მამიკიდე ზურგზეო, ახლა მე მოგი-

კიდებ ზურგზეო. დევ-ქალმა იცოდა, რო ორმო სასიკვდილოთ იყო ამოთხრილი. დევ-ქალი შევიდა ფრთხილათ, იცოდა, სადაც იყო ორმო და გადაარჩინა ხვთისავარი, ესე იგი ზურგზე მოკიდებული ჩეიყვანა. მესამეთ წევიდენ სანადიროს. დევი წევიდა ნადირი ტისაცმელში, ტყავში გამოწყობილი. ნახეს ეს დევი და მოხკლეს. იმათი ნადირი ეგონათ. ხვთისავარს ეგონა, ქალმა კი იცოდა ვინ იყო. ხვთისავარი ჩოულებისაეფ გამოიქცა სახში. წინ-წინ გამორბოდა, ენა ეხარებიის დედისთვინ. უთხრა კიდეც — ესეთი და ესეთი ნადირიო. — ქალმა იცოდა, რო იმისი ქმარი იყო წასული. ხვთისავარის დედას ეწყინა. ეს დევი გათავდა ხომ? ერთ დროს ვახშამსა სპამდენ — დევქალი, ხვთისავარი და ეს ქალი. ხვთისავარის დედას უნდოდა. რო თავისი შვილი მუეწამლოს და მეეკლას საწამლავანი ჯამით. კერძი მოუწამლავ და დოუდგა წინ. დევ-ქალმა ეს იცოდა. რო დაჟდენ ვახშამად, ყასიდათ დევ-ქალმა მოიგონა: — ჰო, დედა, ეს რა ამბავია, ირმი ჯოგი მიდის ეგერ თაზედაო! გეიხედე, დედა, — უთხრა. ქალმა რო დეიწყო იქით ხედვა, სადაც დევ-ქალი უჩვენებდა, დევ-ქალმა ჩუმეთანა ჯამი შეუცვალა. ე საწამლავიანი ჯამი დოუდგა ხვთისავარის დედას და კაი ჯამი ხვთისავარას. როცა დეიწყეს ჭამა, ხვთისავარის დედა ქვე მოკვდა. დეიწყეს ცხოვრება ერთათ, დარჩენ თავისუფლათ...

ერთ დროს ადგენ და წევიდენ სანადიროს, იმ ანგარიშით, რო სადმე ცხოვრება შეეძინოთ, ასე იგი, ან ერთათ და ან ცალ-ცალკე. ერთ ადგილას ნახეს ორი გზა—ერთი მარცხნი წასავალი, მეორე მარჯვენი წასავალი. აქ გაიყვენ. უთხრეს ერთმანეთს: — გაპირება იმითი ვიგრძნოთო, რო პირის დაბანის დროს წყალი გვეჩვენოს სისხლადაო! ხვთისავარი წევიდა მარჯვნი, დევ-ქალი წევიდა მარცხნი. ხვთისავარი მიადგა ხენწიფის სასახლეს, სადაც ის მუეწონათ. მიიღეს და მეფემ თავისი ქალიშვილი შერთო ცოლათ. დევ-ქალი კი მივიდა მჭედელთან, დოუდგა მოჯამაგირეთ და ეხმარებოდა ქურაზე მუშაობაში. მეტი სიძლიერების გამო დევ-ქალი ისე ურტყავდა უროს, რო ჭედელს ბევრჯელ გოუფუტდა რკინა. ხვთისავარამა მოინდომა ნადირობა. მარა ხენწიფემ ოუკრძალა თაში გასვლა. ის თა იყო ეშმაკების და, ასე იგი, მაგნებლებით სამსე. მაინ და მაინ ხვთისამარმა არ დეიჯერა ხენწიფის სიტყვა და წევიდა ი თაში, საცხა ხემწიფემ ოუკრძალა — თავისი ჯარით, თავისი მხლებლებით. ბევრი ინადირეს, დახოცეს ბევრი ირმები, ღამე დაანთეს ერთ ადგილას ცეცხლი, შოუდგენ ნადირების შეწვას. დეინახეს, რო მოდის ერთი ქალი, შავათ შეკაზმული, და იკუტება სიცივისაგან. მივიდა და ცეცხლთან გათბობა თხოვათ. უთხრეს — მოდიო! მოკლეთ, იმან უთხრათ, რო ეს ჩემი ბანალი წოუსვით იარაღს და მერე მოვალაო. აიღეს მისი ბანლის ბეწვი, წოუსვეს იარაღს და ქალი მივიდა ცეცხლთანა. ერთი ფეხი ერთ კერიას დაადგა, მოორე მოორეს და დეიწყო მწვადების ჭამა. როცა გაჯავრენ და უთხრეს: რას შვებიო?—ამის შენდეკ თქვენც შეეჭამთო!—ეს ქალი შეიქნა უდიდესი სანახავი მხეცი. მიმართეს იარაღს, ძაღლებსაც, არავითარი არ ამოძრავდა. ადგა და სუფველა დაჭამა. მერე დევ-ქალმა ერთ დროს ჩეევიდა წყლის პირზედ და დეიბანა პირი. რო წყალი ამ დროს ეჩვენა იმის სისხლათ, მიხვდა, რომ ხვთისავარას უჭირდა. წამოვიდა იმ გზით, საიდანაც ისინი გეიყვენ. მივიდა ხენწიფის სასახლესთან. მიიღო ხემწიფემ როგორც სიძე, ვინაიდან ხვთისავარას გამდა. ხვთისავარას ცოლი ისე მუეექცა დევ-ქალს, როგორც ხვთისავარასაკენ. დევ-ქალმა არ მიიკარა სიახლოვეს, მიხვდა რაშიდაც იყო საქმე.

მოორე დღეს, რავაც ხვთისავარამ, მოსთხოვა ხენწიფეს იარაღი და ჯარი და

ხენწიფემ არ იცის თავისი სიძის დაღუპვა, იმას ისევ სანადიროს გონია. ხმას არ იღებს, დაყრუებულაო. დევ-ქალი გულთმენი იყო და მიმხვდარი იყო, რაშ-დაც იყო საქმე. ხენწიფემ ბევრი რჩევის შენდეგ მისცა იარაღი და ჯარი. დევ-ქალი წევიდა იმ მიმართულებით, საცა ხვთისავარი წევიდა თაზე. ბევრი ინადირეს. დევ-ქალმა ნახა იმ ცეცხლის დანანთები, საცა ხვთისავარმა აანთო. დაანთო ცეცხლი, დეიწყეს ნანადირევის წვა. დაანთო და ჩოულობისაეფ გამოჩთა ის ქალი, მივიდა და იმასაც ესე მიმართა, რომ მისი ბანალი წაესვათ, მარამ დევ-ქალმა მისი ბანალი ცეცხლში ჩაწვა. ქალმა კივილი შექმნა. დევ-ქალმა მიმართა იარაღს და ქალს მოკვლას უპირებდა. ქალს შეეშინდა და უთხრა:—ნუ მომკლავ და შეს ძმას ხვთისავარას თავისი მხლებლებით ცოცხალს გოუშვეფო! — დევ-ქალმა მოკლა მაინ ქალი. ამოიყვანა თავისი ძმა ხვთისავარი და მისი ხლებლები ცოცხალი. ხვთისავარმა უთხრა დევ-ქალს: — როგორ მოხვედი აქაო? — დევ-ქალმა მოუყვა თელ საქმეს, რომ მივიდა ის ხენწიფესთან მისი ქალი, როგორ შეხვდა იმას, ხენწიფეს ეკვის დეებადა, რომ დევ-ქალს ცილი დასწამა, რო შენ ჩემ ქალთან შესცდებოდიო.

დევ-ქალმა შეპფიცა, არ დეიჯერა ხვთისავარმა. დევ-ქალმა ააგდო ტყვია და თქვა: — იმის სხეულზე დამეცეს ეს ტყვია. რომელი სხეულითაც მე შენ ქალს შეეეხეო! — დაეცა ნეკზე და მოსწყვიტა. ამის შემდეგ გადაჰკოცნეს ერთმანეთი, განაგრძეს ერთათ ცხოვრება.

266. როსტომი

იყო ძმები ერანლები — როსტომი, გივი და გურგენი, მათ ყამდათ მტრულათ ხენწიფე აფრასიონი. ერთ დროს ერანელებს ხქონდათ ერთი დიდი ტყე, რომელიც გარეულ ღორებსა ხქონდათ დაპყრობილი და ადამიანს არ უშობდენ. გივსა ყამდა შვილი — სახელათ ბეჟანი. ძალიან ძლიერი იყო. როცა შეიქნა თექვსმეტი წლის, მან სთქვა, რო იმ ღორების სამსახური და მოსპობა მე შემიძლიაო, მარა გზები არ იცოდა, გაატანეს იმას ბიძა გურგენი გზების სასწავლელათ. ბეჟანი და ღორები შეიბნენ. ბეჟანს შამოუტია ტახმა და ჯაჭვის კალთა გოუხია ბეჟანს ტახმა. შოუტია, ჯაჭვის კალთა გოუხია... ბეჟანი დაერია ღორებს, თლათ ამოსწყვიტა. გურგენმა უღალატა ბეჟანს და ტყეშლის ხეზე შავიდა. როცა ნახა, რო ბეჟანი გამარჯვებული გამოვიდა, შიაქო ბეჟანი...!

ბეჟან, რატო ცოლს არ ითხომო,
თავი რატო არ გეკებებაო,
აფრასიონის ქალიაო
ტურფა ვარდის მზგავსიაო.

ეს რო ბეჟანმა გეიგო, ადგა და ეს ღორები აკიდა ცხენს და გურგენს გამუატანა. თვითან წევიდა აფრასიონის სახში იმ ქალის სანახავათ. აფრასიონი ამაზე ძალიან გარისხდა, მარამ ქალს მუეწონა ბეჟანი და აფრასიონის უნებურათ მაინ მიიღო ოთახში, ჩუმეთანა. ახლა როცა ასე იგი, შიატყვეს ქალს, რო დაორსულდა, გეიგეს, რო ბეჟანი იქ იყო. ბეჟანს მოუნდომეს სიკვდილი და ძინარს შხირათ შეხკრავდენ ჯაჭვებით. გაღვიძებისას გაზმორვით ყველა ჯაჭვებსა გლეჯდა. შენდეგ შოუჩთენ ქალს, რო ხკითხეს: შეს ქმარს რა დააკავებს, რო ასეთი ძლიერი არიო, რო გეეგოთ, რო რათი შეიძლებოდა იმისი დაკავება. ერთ დროს ბეჟა-

ნი ძალიან დეითრო, ქალმა ისარგებლა შენთხვევით და ხკითხა: რათი შეიძლებაო, ასეთი ძლიერი რო ხარაო, შენი დაკავებაო? იმან უთხრა: ჩონვურის რალის, იმით შეიძლება ჩემი დაკავებაო. აი იმით შეკრეს ძინარი, — მართული ჩაჯდა ხორცში და ბეკანმა ველარ გაწყვიტა. შენდეგ მოინდომეს ბეკანის სიკვდილი. იმას ხყამდა ერთი ვეზირი, რეველი ვეზირი, რომელმაც ურჩია აფრასიონს, რო ბეკანი არ მუეკლათ. იმიტომ რო ერანელები მაინ ვიღებდენ სისხლს. ეიღეს და ბაკანი სართიელის დიდ ორმოში ჩააგდეს და დაადგეს დიდი ხრახნილის ქვა. თავს დაადგენს თავისი ცოლი — მირკანი. ის კიდენ მათხოვრობდა სოფელში და ისე აკმეკდა პურს თავი ქმარს.

ერთ დროს როსტომ ერანელმა, ასე იკი, ბეკანის ბიძამ ჩეიხედა წუთრის ჯამში. დეინახა. რო იმის ნათესავს ვიღაცას გაპირვება აღგა. ბინდა. წამოვიდა სოფლად, მოვიდა სახში და გეიგო, რო მისი ძმიშვილი ორმოში იყო დამწყვდეული და თავს ცოლი ადგა. მირკანმა გეიგო, რო ბეკანის ნათესავი ერანელი მოვიდა. რაკაც დიდი ეაკარი, მოწყალება სთხოვა. როსტომს არ უნდოდა, რო ხალხს გეიგოს მისი მოსვლა და ქალს შეუტია. შენდეგ ჩუმეთ მიეიდა ქალთან, მისცა ფული, ერთი ქალაში და ერთი პური, ქათამში ჩადვა თავი ბეკედი და ეწერა როსტომ ერანელი. უთხრა, ეს გადაეცი ბეკანსაო. და უთხრა: ა ჩემ მოცემული ფულით იყიდე ბევრი შეშა, ბევრი ნავთი, მე — დოუთქვა ვაღა — ამა და ამ ღამეს მოდალ გმირებით — ფალავანდი ხალხით და ა ლოდს გადავაგორემთ და ბეკანს გადათავისუფლებთო. ხოლოთ არ გაამხილოო, ქალს უთხრა. როსტომი ღამეს ნართის ქალაქში. ქალმა კი ქათამი და პური მიართვა ბეკანს. ბეკანმა რო ნახა ბეკედი, წეკითხა და, სიხარულით რო გეიკინა, ქვამ ბულთაობა დეიწყო. როსტომმა წამოიყვანა გმირები ოორმეტი აქლემებით. ნართი ქალაქში რო გამოვიდენ, ურია შეხვდა. — როსტომ, რა არი ესაო? — ბამბა არისო! ურიამ სადგისი ხკრა გმირს და გმირი გამწარდა და გეინძრა. — თუ ეს ბამბა არისო, ნართის ქალაქმა სცენსო! ურიამ უთხრა. — ურიაო, აქ მოდიო! — როსტომა უთხრა. — ენა გამოყავიო! — ურია არა შეებოდა, მარამ ძალა დაატანა როსტომმა და ძალიანა გამოყო ურიამ ენა. როსტომმა ენა ამოაგლიჯა ურიას და ბლუკუნით გოუშვა. ქალმა კი — მირკანმა — შეშითა და ნავთით დაანთო დიდი ცეცხლი და მუელოდა როსტომს. როსტომი მოვიდა თავის გმირებით. გმირები ამოიყვანა მეშოკეებიდან. გმირები მივიდენ ქალასთან, მარამ ვერ ასწიეს. როსტომა დეიჩოქა, შესთხოვა ძალი გაეჩენს, ეს ქვა ასწია და გადააგორეა. ბეკანს უთხრა: — ამოგიყვან იმ პირობით, თუ ეურგენს არაფერს აენეფო. — ერთი ეაშლის სროლის ნება მომეცი და სხვას არაფერს არ ვერჩიო! — ბეკანი ამოიყვანა. შემოხსნეს მავთული და ქალს ხკითხეს, რო მამაშენი ეხლა რაგორი ჯარით წამოვა საბრძოლველათო? ქალმა უპასუხა: — მამაჩემი შავათ შეკაზმული ჯარით წამოვაო! — როცა აფრასიონი თავის ჯარით მოვიდა საბრძოლველათ, ბეკანმა ესროლა შეილდ-ისარი. აფრასიონი ჯაკეის ტანსაცმოსით მიაკრა კედს, კედში შეტენა: ჯიდაფშვილდი იმისთანე ძალიან იყო შესული კედში, რო ბეკანმა რო ხელი მოხკიდა, მთელი კედ მოხჭონდა. მერე წიხლი ხკრა და მიატოვა კედ. მერე ქვე წამოვიდენ, მოვიდენ სახში, რისტომა გამართა საკვიდაო კალო. გურკენი და ბეკანი გეიყვანეს კალეე. ბეკანს ხჭონდა ვაშში ტყვია ჩადებული. ესროლა გურგენს და ბეკანი ექავე მოკლა. როსტომი რამდენიმე ხნის შენდეკ წავიდა ქალის სამხოვნელათ.

ერთ ადგილას ლამაზი ქალი ჯის გორაე და ორი დევი — წითელი და თეთრი — ეცილებოდენ ა ქალზე. როსტომა შიაქო ორივე დევები. აი თეთრმა დევმა

აჯობა, აი წითელმა დევმა აჯობა და შიაკედენ ერთმანეთს. მოკედენ ორივე და ქალი დარჩა როსტომს. ქალი დაორსულდა. როსტომი წამოვიდა და დოუბარა ქალს: — შვილი რო გეყოლოს, სახელათ დაარქვი ალექსიო, — და ერთი ნიშანი ქონდა როსტომს — ჯვარი ძეწკვიანი — დოუტოვა ქალს და უთხრა: — ეს გადაპკიდე ჩემ შვილს და, როცა კი შესძლებს ჩემთან წამოსვლას, წამოვიდესო. ერთი ყვავილი მისცა ნიშანი — გულზე გოუკეთეო. როსტომი წამოვიდა თავის სამშობლოში და დაიწყო ჭიდაობა. ერანელების მეტს არავის არ ახარებდა. როსტომის ცოლს ეყოლა შვილი, დაარქვა სახელათ ალექსი. როცა შესძლო იმან როსტომთან წასვლა, გადაჰკიდა როსტომის ნიშანი და ყვავილი და გაგზანა როსტომთან. აი ბიჭს შეხვდა ღვდელი გზაე და უთხრა, რო ე ყვავილი რო არა ქქონდეს, რა კაი ბიჭი ხარაო? ა ბიჭმა იუკადრისა და ყვავილი მოიგლიჯა და ვადაადგო. დაყრუვდა კიდეც.

წამოვიდა და გამოიარა ერანელების ეზო. როსტომი დგას კალოე. დოუძახა: ვინა ხარო? არ ეყურება. მოკიდა როსტომა ხელი და მოიყვანა კალოე. უთხრა: უნდა ვიჭიდავოთო. დაიჭიდენ, შვილმა წააქცია ორჯელ. მესამეთ რო წააქცია, როსტომს ფოლადები ხქონდა, ალმასები მუხლებზე მოსხმული, მუარტყა მუცელში და თავის შვილი მოხკლა. როსტომა არ იცოდა, ოუ ის მისი შვილი იყო, რახან ყვავილი არა ხქონდა გულზე.

შვილმა უთხრა: — სად წახვალო, სა დაემალებიო ი მამაჩემსაო როსტომსაო, ზღვაში წახვალ, ზღვაში გამოგყობაო, და ხმელეთზე არ დაქტოვებსაო!— მერე თქვა როსტომა: — ვაი შენი მამის წეერების გაყვითლებასაო! — როსტომ ურჩიეს, თავისი შვილი სასაფლაოში იმასთან ერთათ ხყოლოდეს კლავზე როსტომს და გაცოცხლდებოდა. როსტომიც ანგრე ფოიქცა. მარე სამი ღღე რო აკლდა წელიწადს, როსტომს უნა თავისი პირობა შეესრულებიოს, მოვიდა ურია სასაფლაოე და ე როსტომი გაახელა: — როსტომ, შე შვილი კალიაო! — როსტომი გაბრაზდა და ამოვარდა და ურია მოხკლა. ამის შემდეგ იმის შვილი სამედამოთ მოკვდა და თვითონაც მოიკლა თავი.

207. მღვდელი და ბიჭი

ღვდელს მოჯამაგირე ხავდა. რო გოუხდა ვადა, ფულს აძლევს ღვდელი. ქალიშვილი დასწამა ამ ბიჭს. უნდა რო არ შეელიოს. ცოლათ უნა ითხოვოო! ამ ქალიშვილს არ უნდა, ბიჭს არ უნდა ეს ქალიშვილი, არ მისცა ჯამაგირი და სუდში წევიდა ე ბიჭი, უჩივლა. შამოხვდა ა ბიჭს იესო ქრისტე. გამარჯობა! გაგიმარჯოსო! ასთეა ჩემი საქმეო! მაგაზეო გიშველიო, თუ დეიჯერეფო! რანაირათო? რაო და რაც უნდა იყოს გახვრეტილიო, დაგელაპარაკებაო. ასეაო, წევიდა და არი ტყე. მიდის და კოდალა იცის ფუტურო ხის გასვრეტა: მოდი, ამას ვეტყვი, რაცხა არიო, ამ ხესო, გახვრეტილს ჰკითხამსო. ხე გახვრეტილიაო, ბატონოო. რამ გახვრიტაო! კოდალამაო. კაი, მართალი ყოფილაო! და დაანება თავი. წევიდა ე ბიჭი ხაზეინთან. დედას ვუტირებო, იმანა სთქვა. ზესადანე რო აყვე, წევიდა სუდში და საქმე მეიკითხა...

208. ნაალევი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ღარიბი კაცი. წევიდა, დაუდგა მოჯამაგირეთ მდიდარ კაცს. წელიწადი რო გოუხდა, მდიდარმა ცალ ხელზე დეიდვა სამი შა-

ური, მეორეზე კი რვა თუმანი და უთხრა მოჯამაგირეს: — ეს რვა თუმანი ნაარმია და სამი შაური ნაალეკი, რომელიც გინდა, ის წეიღეო! — ღარიბმა სამი შაური ეიღო და წევიდა. მაგრამ სახში წასვლა ვერ გაბედა. სამი შაურით როგორ მივიდე შინაო! დაჰკრა ფეხი და წევიდა ქალაქში. იქიდან მისი მეზობელი მოდიოდა სახლში. იყიდა ს

ი შაურით ქათამი და გაატანა და სთხოვა, თუ კაცი ხარ, ეს მიუტანე ჩემ ცოლ-შვილსაო. იარა, იარა ამ კაცმა, გზაზე შამოაღამდა და ერთ მოსახლისას დაბინავდა. გათენდა. ადგა კაცი, დეიბანა ხელ-პირი, საუზმე ჭამა და თავის ქათამი მოითხოვა. შეწუხდა მაინძელი, რა გეეწყობოდა, უთხრეს: ქათამი კატამ შეგვიჭამა და რა ექნათო. კატა მამეცით, აპაო, უთხრათ სტუმარმა. დეიპირეს და მისცეს. ამ კაცმა წეიყვანა კატა. იარა, იარა და ერთ სახემწიფოში მივიდა. ღამის გათევა ითხოვა ხემწიფისას. ვეზირებმა მოხსენეს ხემწიფეს: გზავრია და ღამის გათევა უნდაო. ხემწიფემ დასტური მისცა. დააყენეს სასახლეში. გამართეს სუფრა ხემწიფისთვის. იქაურობა სამსე იყო თაგვებით. თაგვების მოსაგერებლათ ვეზირები დააყენეს ჯოხებით. გზავრმა რომ ეს დეინახა, ხემწიფეს უთხრა: — ბატონო. რას მამცემ, ეს თაგვები მოგაშორო და მწყემსაობა არ დაგვჭირდესო? — ხემწიფეს უზომოდ გეეხარა და უთხრა: — თუ მაგ სიკეთეს მიზამ, ექვსი ცხენის საპანე ოქროს გაჩუქვებო! — კაცმა კატა გოუშვა. მშიერი კატა დეერია თაგვებსა და უცეფ გააქრო. გახარებულმა ხემწიფემ ექვსი ცხენი დოუბარგა ოქროთი და გაატანა.

წამოვიდა კაცი. მივიღა შინ. ეს ოქრო ამხანაკის ცოლ-შვილს მიუტანა. იმათ ააშენეს დიდი სახლი, შეიძინეს ბევრი ქონება და დეიწყეს ცხოვრება. გევიდა დრო. ის კაცი წამოვიდა ქალაქიდან. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა თავი სოფელში, მარა თავის სახლი ვეღარ მიაგნო, ფაცხა ეგულავებოდა და ფაცხა აღარ დახვდა. შეხვდა ერთ კაცს და იკითხა ცოლ-შვილი. — შეს ცოლ-შვილს ქვე რა უჭირს, ეგერ რო დიდი სახლია, იმაში ცხოვრობენო! — ა კაცმა პიჯვარი გედიწერა, ეს რა მოვინახე, ეს რა ანბავიაო! უზომოთ გეეხარდა, ნახა თავის მეზობელი და ამბავი გამოკეითხა. იმან უანბო: შენ რომ ქათამი გამამატანე, მოსახლისას დავდექი და კატამ შემიჭამა. მერე მაინძელს კატა მოვსთხოვე და მომცეს. წამოვედი. ვიარე, ვიარე და ხემწიფისას დავდექი. იმ ქვეყანაში კატა არა ყოფილა. მეფეს ვეზირები აგერებდენ თაგვებს და მივეცი კატა და ხემწიფე გავახარე. დამიტოვა ექვსი ცხენი და გამამატანა. მეც სულ შეს ცოლ-შვილს მიუტანეო! ეი რა არი ნაალევი! სამა შაურმა რა საქმე ქნაო! წამოიძახა კაცმა. დეიწყო ა კაცმა ცოლ-შვილში ტკბილათ ცხოვრება და მეზობლებსაც ხელს უმართავდა.

209. კომბლე

იყო და არა იყო რა, ხვთის უკეთესი, აპა, რა იქნებოდა. იყო ერთი კაცი, კომბლე ერქვა. კომბლეს ხყავდა სამი ცხვარი. გადენიდა ცხვრებს, თვითონ წამოაყდებოდა და კომბლებს თლიდა, ცხვრებს გაუშვებდა. ერჯელ კომბლეს დეეკარქა ცხვრები: გეიდვა კომბალი მხარზე. გოუდგა გზას, შამოხვთა წინ კურდღელი. კითხა: — ჩემი ცხვრები ხო არ შეგიჭამიაო? — კურდღელმა უთხრა: — არაო, და გოუშვა ისთეკე თავი გზაზედ. შამოხვდა მერე დათვი. კითხა: — ცხვრები ხვარ შეგიჭამიაო? — არაო, უთხრა დათვმა. — ისეც გოუშვა. წინ შამოხვდა მგელი. მგელს უთხრა: — ჩემი ცხვრები ხვარ გიჭამიაო? — გელი შეშინდა და ხმა არ გასცა. კომბლე მიხვთა, რო მისი ცხვრები მგელს შოუჭამია და

დოუწყო რტყაა. — გელი შეეხვეწა: ნუ მომკლაო და ოქროს ბატკანს მოგიყვანო! — გელმა მართლაც მოუყვანა ოქროს ბატკანი და წამოიყვანა სახშიდ.

ეს რო გეიგეს კომბლეს ძმებმა, იმეებს შეეხარბა და თვითონაც გოუშვეს ცხვრები თაში — იქნება ჩვენც ვიშონოთ ოქროს ბატკანიო. ცხვრები მგელმა შოუპამათ და ვეღარც ნახეს და ოქროს ბატკანიც კერაა იშოვეს. გულმოსულები დაბრუნდენ უკან. მივიდენ კომბლესთან და სახლი დოუწვეს. კომბლემ გაანელა ცეცხლი, ჩაყარა ნახშირი მეშოკში, თაეზე დააყარა ცოტა ოქრო და გოუდგა გზას. მივიდა ერთ ვაპრის სახშიდ. იქ გაათია ღამე. როცა დილაზედ ადგა, ნახა თავის ტომარა. თავი მოხსნა და დეიწყო ტირილი: ჩემი ტომარა ოქროთი მქონდა სამსე, თქვენ ნახშირი ჩაგიყრიათო. სახლის პატრონს შეეშინა, გოუმსო ოქროთი ტომარა და გაატანა სახში. როცა სახში მოვიდა, ისევ გეიკეთა კაი სახლი. მის ძმებს შეეხარბა და თვითონაც დასწვეს სახლები. წეიღეს ნახშირი და იძახოდენ: — ოქროში ნახშირი ვინ უნდაო! — ეს რო გეიგონეს, ბევრი ურტყეს — ნახშირში ოქროს ვინ მოგცემს-ყეო! — და ისევე გაბრაზებული დაბრუნდნენ სახში. იმეებმა გადასწყვიტეს, რო კომბლე კდეზე გედეეჩეხოს-ყეო. მათმა მოწნეს გოდორი, ჩასვეს შიგ კომბლე და წეიყვანეს კდეზე. როცა კდესთან მივიდნენ. გზაში გამოხტა კურდღელი, კომბლე დააგდეს ძირს და გეეკიდენ კურდღელს. კომბლემ გეიხედა გოდრიდან. დეინახა — მეცხვარეს ცხვრები ხყავს. კომბლემ დეიწყო ტირილი... — არ ყინდა, ხენწიფობაო! ძალათ რატო მიგყავარ-ყეო? — ეს რო მეცხვარემ გეიგონა, მიეიდა გოდორთან და უთხრა: — შე ჩერჩეტო, თუ შენ არ გინდა ხემწიფობა, მე ჩავედები გოდორში და მე წამიყვანენო! — კომბლემ შოუცვალა ტანისამოსი და დააჯინა შიგ. თვითან ცხვრებთან წევიდა.

კომბლეს ძმები როცა მივიდენ, ისენი გაბრაზებული იყონ, კურდღელი რო ვერ დეიჭირეს. გულმოსულებმა გადააგდეს გოდორი კდეზე. როცა სახშიდ შევიდენ, დეინახეს, რო კომბლე მეზდენის ცხვრებს. ძმებს გოუკვირდათ: ჩვენ კდეზე გადავაგდეთ და ამას ცხვრები მოუყვანიაო! კომბლეს შეეხვეწენ: — ჩვენც გადაგვყარე კდეზეო! — კომბლემ მოწნა დიდი გოდორი და თავი ძმები გადაყარა-ყე კდეზე. ძმებს ეგონათ. რო ცხვრებს მოიყვანდენ იქირაო. ცხვრების მაგიერ მოკვდენ და კომბლემ დეიწყო ბედნიერი ცხოვრება.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.

210. კვანჩხნახევარი

იყო და არა იყო რა. იყო ვორი კაცი. ემათ ძალიან შიოდათ. დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ იშოვეს ცოტა ხორცი. ეს ხორცი ჩაადგეს და მოხარშეს. როცა ჭამა უნდა დეეწყოთ, იმეებს გაახსენდათ, რო მარილი არ ქონდათ. ერთმა ამხანაგმა უთხრა მორორეს: წადი და იქნებ იშოვო კვანჩხნახევარი მარილი! იარა, იარა და უყურემს ერთი კაცი მიწას ხნავს და იძახის — ერთი ათასი, ერთი ათასი. მივიდა მუჭა ნახევარი შესძახა, რო კვანჩხნახევარი, კვანჩხნახევარიო. ამ კაცს ძაან გული მოუვიდა. იმას უნდოდა ერთი ათასათ მოსულიყოს და ის კი კვანჩხნახევარს ეუნებოდა. გამუეკიდა და ურტყა ბევრი. როცა გალახა, გოუშვა თავი გზაზედ. კვანჩხნახევარი შეეკითხა: რატო მირტყამ, აპა რა უნა დეეიძახოვო? კაცმა უთხრა, რო შენ უნა დაგეძახნოს ერთი ათასი, ერთი ათასი. კაცმა განაგრძო

ისთვე გზა. წინ შამოხვდა-ყე ხალხი. მკვდარი მიხყავდათ. კვანჩხნახეკარი მივიდა და დეიყვირა: ერთი ათასიო! ჭირისუფლებს ძაან გული მოუვიდათ, ჩვენ ერთ კვდარს ვწუხვართ და ეს ათას გვეუნებაო. კაცი გალახეს. კაცმა ჰკითხათ რატო გვლახავთ, აპა რა უნა დევიძახოვო? ჭირისუფლებმა უთხრეს, რო შენ უნა დაგეძახნოს: მაგის მეტი არაფერი მოგიკვდაო. კვანჩხნახეკარმა განაგრძო გზა. წინ შამოხვდათ მაყრები და მოპაყავთ ქალი. კვანჩხნახეკარი როცა მივიდა, შესძახა: მაგის მეტი არაფერი მოგიკვდაო! მეფე გაჯავრდა და კვანჩხნასეკარი კარქაფ დაბეგვა. კვანჩხანახეკარმა ხკითხა: აპა რა უნა დამეძახოსო? მაყრებმა უთხრეს, რო შენ უნა მოსულიყო და ქუდი უნა მოგეხადოს და დაგეძახოს: გაუმარჯოსო! კვანჩხნახეკარმა ისთვე განაგრძო გზა. დეინახა, რო მონდირე ეპარება ტრედებს. მივიდა და დეიძახა — გოუმარჯოსო! ყვირილზე ტრედები დაფთხენ და გეიქცენ. მონადირე ამაზე გამჯავრდა და ბევრი ურტყა — რა გაყვირებდა მაგხელას? უნა დაკუტულიყო და უნა ვაპარულიყო ისე! კვანჩხნახეკარმა განაგრძო გზა. უყურემს, რომ ვაკრებს დაჰკარგვიათ ქისა და ეძებენ. კვანჩხნახეკარი რო მივიდა, დეიკუტა და ისე მიიპარებოდა ნელ-ნელა. ვაკრებმა რო დეინახეს, ეგონათ, რო ქურდი არისო. გამოუდგნენ და ბევრი სცემეს. კვანჩხნახეკარმა უკან დაბრუნება არჩია და გვერდებდაეეკილი დაბრუნდა უკან.

211. დაკარგული ვაკი

იყო, ბატონო, დედ-მამას ყავდა ვაკი დაკარგული, თვრამეტი წლის დაკარგული. თათრებმა მოსტაცეს. ეხვეწებოდეს ჯერღა რძალს: — შვილო, კმარა ამდენი ჩვენი ყურება და გათხოვდი! — რძალი კი არ შვება, — თუ თქვენი შვილი გიყვარდათ, მეც შვილივით უნდა გყავდეთ აქანე! — არა ქნეს მაინც დედამთილ-მამამთილმა.

ქალიშვილი ყავდათ გასათხოვარი თვრამეტი წლის. ძალაუმანდურათ გაათხოვეს. რძალმა უთხრა: — თუ რახან მათხუებთ და ღმერთი მიწყრება, მოდი, იმ დროს მოიყვანეთ, რო ნახვა და ჯვრისწერა ერთი იქნეს. წაიყვანა. ამ დროს მოვიდა ბიჭი. ნახა ჯვარი დეიწერა. ხორწილი არი. პატარძალი ჯის და ტირის ნეფესთან, რომ შორდებოდა იმ ოჯახს. ამ დროს მოვიდა შვილი მათი. ეუბნებოდა, რო: — თქვენი ხვთის გულისთვინ მაჭამეთ, მშივა, მეზობლისას მოსულა და გეიგო და მერე ვეღარ დაითმინა. დედამ უპასუხა შვილს: — შვილო, შეს დედას, ჩემი გიორგუნას გიგავს თვალები, საჭმელს როგორ არ გაჭმევ? — მოღრუბლულია და ტირის ცოლი. ჭამა, დალია ეს ღვინო. გადიკვლარწნა ულვაშები. დადგა ნეფე-დედოფლის წინ. — მე გიორგი ბახტურიძე დაბადებიდან მქვია. ცოლის ქორწილს მოვესწარი, ბედიც ამას ჰქვია. ადეგ, ნეფე, აქეთ გამო, დედოფალი ჩემია. დედაო, დედავ, ვერა, აგრე რამ დაგაბერა? თუ შენი შვილი არა გჯერავარ, მოდი, მარჯვენა ბეჭზე დამხედე, თუ შენი შვილი არა ვარ. (ხალით ქონდა დალიშნული). ადგა, ნეფე გადმოხტა — თქვენთვის ბედნიერი იყოს თქვენი ცოლი და ყველა.

— ჩემოვ დედ-მამავ, არა მყავს და. არ ყოლია მის წასულობაში. — კი, — შვილო. კი, თვრამეტი წლის და გყავს. — ჩემოვ დედ-მამავ, ნუ გოუშვებთ ამ სიძეს. რახან თქვენი სიყვარული იყო, მოვიყვანოთ ღვდელი, განქორწილდენ ესე-

ნი და ის ჩეხი ცოლი მე მყავდეს და ჩემ დაზე დაგსწეროთ ჯვარი. გავამხიარულოთ ჩვენი ოჯახი, დაორკეცებით, ჩვენი. მშვიდობიანა, სამხიარულოთ ჩავატაროთ. ამინ.

212. ბიჭი და მზეთუნახავი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ღარიბი კაცი. ყავდა ერთი ვაჟი და ცალი ხარი. შეიქნა ხვნა. მამამ უთხრა შვილს: — წადი და იქნებ ცალი ხარი იშოვნოო. — ჩვენ ვინ გვათხოვებსაო, — უპასუხა შვილმა. მარა მაინ წავიდა. მიადგა ერთ-ორს. არავინ ათხოვა. — წამოდი, მამა, ცალთ მე შეეებმები და ვხნათაო, — უთხრა შვილმა. მართლაც, გაება და დაიწყეს ხვნა. მოშივდა, ბიჭმა სადილი მოითხოვა. მამა წავიდა, ბიჭი ჩრდილში ჩამოწვა და დაიძინა. მამა დაბრუნდა და შვილს უთხრა: — ადე, სადილი სჭამეო! — შვილი წამოდგა და უპასუხა: — ნეტა იმ კვირეშიც არ მეჭამოსაო და შენ არ გაგეღვიძებიოო. სიზმარი ვნახე და გამაწყვეტიეო. — აბა, ეგ სიზმარი უნდა მითხრაო! — ვერ გეტყვიო! — აბა, თუ არ მეტყვი, მშიერს დაქტოვებაო. თავიც რო მამჭრა, მაინც არ გეტყვიო! — უთხრა შვილმა. მამამ გააგდო შვილი.

ადგა ბიჭი, წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ სახელმწიფოში და ხემწიფის კარზე ღამის გათევა ითხოვა. იქ დარჩა მეორე ღამესაც. ჩააცივდა მოსამსახურეებს: — მეც გაუკეთებ ვახშამს ხემწიფესაო. — იმათ უარი უთხრეს. ეხვეწათ ბევრი და შემდეგ მისცეს ერთი ქათამი გასაკეთებლათ. გააკეთა და პირველათ ის მიართვეს ხემწიფეს. ხემწიფემ იკითხა: — ეს ვისი გაკეთებული არისო? — შეშინდა მომტანი და უთხრა: — მე არ გამიკეთებია, ერთმა გლახამ გააკეთაო! — მოიყვანეს გამკეთებელი. — შენ გააკეთეო? ჰკითხა ხემწიფემ. — კი, ბატონოვო, — უთხრა ბიჭმა. — შეგიძლია ასეთი საქმელი გამიკეთოვო? — უკეთესიო!—აბა, პირველი შენ იქნებიო! — დეიწყო ბიჭმა მუშაობა. გვიან გაახსენდა ბიჭს საწყალი დედ-მამა. სთხოვა ხემწიფეს გაშვება ცოტახანს. ხემწიფემ უთხრა: — რაც გინდა, წაიღე, დედ-მამაც აქ მოიყვანე და იცხოვრეო! — მერე ჰკითხა ხემწიფემ: — რათ მიატოვე დედ-მამაო? — ბიჭი მოუყვა თავგადასავალს, რომ სიზმარი არ უთხარი და გამაგდოვო. ხემწიფემ თქვა: — აბა, მე უნდა მითხრა ეგ სიზმარიო! — არა, ვერც შენ გეტყვიო! — აბა, არ გაგიშვებ, უნდა დაგახრჩოვო.

გავარდა ხმა სახემწიფოში — საუკეთესო მზარეულს ახჩობენო! მოვიდა ის დღე. ხემწიფეს ყამდა მზეთუნახავი ქალი. გაიგო მანაც ბიჭის დახჩობის ამბავი. მოვიდა მამასთან და მიხეზი ჰკითხა. — მე მან სიზმარი არ მითხრაო! — აუხსნა ხემწიფემ. ქალმა უთხრა: — ტყვილა-უბრალოთ ნუ მოვკლამთ, ჩვენ რომ ორმობნელი გვაქ, იქ ჩავაგდოთო და ვერც ვერავინ გაიგებსო. ხემწიფე დათანხმდა და ჩააგდეს ორმობნელში და გასაღები მზეთუნახავს ჩააბარეს. ადგა ხემწიფის ქალიშვილი და შეუტანა ბიჭს ლოგინი. სანათური, ბოლოს ქალიშვილმა გასცა ბძანება: — აწი ყოველთვის ორი ზომა საჭმელი მამიტანეთო! — გაყოფდა შუა და ნახევარს ბიჭს აკმევდა. ამ ხემწიფეს ერთი ვაჟი ყამდა და უნდოდა მისთვის ცოლის შერთვა. შეუთვალეს დასავლეთის ხემწიფეს. დასავლეთის ხემწიფემ შეოუთვალა: თანახმა გაგიხდები-ყე, თუ სამ ამოცანას მიხვდებითაო! ხემწიფემ სთქვა: რა იქნება ისეთი, რომ ვერ ავხსნაო! და მოსთხოვა. დასავლეთის ხემწიფემ გამოგზავნა ორი დედლის კვერცხი. — აბა, ამეებში რომელი გამოვა დედალი და რომელი მამალიო, თუ მიხვდებითო! — ვერავინ ვერ მიხვდა. დამჯავრიანდა ხემ-

წიფე. ადგა ხემწიფის შვილი და ბიჭთან ჩავიდა მოწყენილი. — რატომ მოგიწყენიაო? — ქალმა დააფიცა. ბიჭი აღარ მოეშვა და ათქმევინა: — ერთი ძმა მყამს და ასეთი ამბავი გვემართება, ამოცანას ვერ მივხვდითო! — ბიჭმა თავის სიზმარი მოიგონა და ეს ამბავი ემცნაურა. ქალს უთხრა: — აი, ახლა გამამადგა ჩემი სიზმარიო. ნუ გეშინია, მე გასწავლი მაგას, ოღონ არ გამამხილოვო. გაათბოს წყალი ხემწიფემ და ჩაალაგოს შიგ კვერცხები. რომელიც დაბლა ჩავა, ის იქნება დედალი, ზედ კი მამალი. შეაბით ნიშანი, გაგზანეთო! — ხემწიფემ ქალიშვილს დაუმადლა მიხვდენილობა. გაგზანეს შენიშნული კვერცხები და დასავლეთის ხემწიფეს ძაან გოუკვირდა. — რანაირათ მიხვდენო? ახლა გამოუგზანა ორი შავი ფაშატები, სულ ერთნაირი ნიშნეულობის, კბილებითაც. — რომელი დედა და რომელი შვილი, თუ გამოიცნოთო! — ვერავინ ვერ გამოიცნო, ხემწიფის ქალიშვილმა ეს ამბავი ბიჭს შეატყობინა. ბიჭმა ასწავლა: — წადიო, და შედენეთ თავლაში ცხენები, მერე გამოუშვით და რომელიც უმალ გამოვა, დედა იქნება და უკანა შვილიო! ქალიშვილი იქადნის და ახარებს მამას.

დასავლეთის ხემწიფეს კიდე უფრო გოუკვირდა მათი მიხვდენილობა. — ახლა ერთი კიდე გადასჭერითო! — გამოგზანა ხუთასფუთიანი შვილდისარა. — თუ ქყავს იმისთანა ფალავანი, რომელიც ამ ისარს თქვენი სახელმწიფოდან ჩემ სახემწიფოში გადმოისვრისო, მაშინ მოქცემ ქალსაო! — დაიბარა ყველა ფალავნები, მარა ვერავინ დასძრა ალაგიდან. ჩავიდა ქალიშვილი მოწყენილი ბიჭთან და ახლა ეს ამბავიც გააგებია. ბიჭი ეუბნება: — წადი, და უთხარი ხემწიფეს — შენ ყველაფერი ეს გიქნა იმ ბიჭის ცოდვებმა, რომელიც ორმობნელში ჩააგდე-თქვა. მოდი, შეიძლება ძვლები მაინ იქნეს და დავმარხო-თქვა! გაგზანა ვეზირები, შევიდენ, რას ხედვენ? აქეთ წითელი ღვინო, იქით შავი და კაი-კაი საჭმელები. ვეღარ იცვნეს ბიჭი. უთხრეს: — თავისუფალი ხარ და გამოდიო. — არა, მე რა მინდა, რომ გამოვიდე? ჩემთან ანგელოზები მოდიან და ყველაფერი ბევრი მაქო.

მოუვიდა ხემწიფეს უარი. ქალიშვილმა უთხრა მამას:—თუკი ასეთია, შენც იკადრე, მიდი და გამოიყვანეო! — მივიდა ხემწიფე. მოითხოვა ბოდიში. გამოიყვანა გარეთ და მოუყვა თავის ამბავს და აჩვენა მშვილდ-ისარი. ბიჭმა მშვილდ-ისარი აათამაშა, დოუჭირა და შიგ დასავლეთის ხემწიფის წინკარში დაასვა. შეინძრა მთელი სახემწიფო. ხემწიფემ თქვა: — თუ ამისთანა ფალავანი ყავს, მე რაღა მეხემწიფებაო. თუ არაფერი მოვიგონე, გლახათ არი სქმეო, — და შამოსთვალა: — რასაც დავამზადეფ, იმდენი მაყარი უნდა გამოგზანოთ, რომ სულ უნდა შეეპამონ, თვარა ქალს არ გამოვატანებთო! — ხემწიფე საგონებელში ჩავარდა. დაიბარა ბიჭი. მან უთხრა: — ჯარი სულ არ მინდა, წამყვეს ვაჟი და სამი ცარიელი ცხენი წაგვატანეთო. მართლაც, წაიყვანეს ცხენები და წავიდენ. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მიადგენ გლეხს, რომელიც მიწასა ხნავდა და ბელტებსა ულაპამდა. გოუკვირდა ბიჭს და ჰკითხა: — კაცო, რანაირათ ულაპამ მაგ ხელა ბელტებსაო? — ეს რა არისო, კაცი, ის ყოფილა, ვინც შვიდასფუთიანი ისარი აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადააგდოვო. — მე გახლავარ ის ბიჭიო, — უთხრა ბიჭმა . — აბა, ან მიძმე, ან მიყმეო, — შეეხვეწა ბელტიულაპია. — არც გიძმოფ, არც გიყმოფ, გიამსანაგეფო, — უპასუხა ბიჭმა. შეაჯინა ცხენზე და გოუდგენ გზას. მიადგენ ერთ კაცს, რომელიც ზღვას დახტნობია და სვამს, თან ზღვას ეუბნება: — ზღვაო, ახლა დაგლიო, ხვალ რა მეშვეღება; არა და დავიხ-ჩობი წყურვილითა. ბიჭი შეეკითხა: — შენ რა კაცი ყოფილხარო? — მე რა კაცი ვარ, კაცი ისა ყოფილა, ვინც ცხრაასფუთიანი ისარი აღმოსავლეთიდან დასავ-

ლეთში გადააგდოვო. — მე ვარ ის ბიჭიო. — აბა, ან მიძმე და ან მიყმეო. — არც გიძმოფ, არც გიყმოფ, გიამბანაგეფო, — უთხრა ბიჭმა.

შესვა ცხენზედა და წავიდენ. იარეს და დაინახეს ერთი კაცი ზეით ფრინავს, ჩიტებს იჭერს, კუდიკუდზე აბამს და ჩიტები ვერაფერს იგებენ. ბიჭმა შესძახა: —რა კაცი ხარ, რომ მაგრე ჩადიხართ. — კაცი მე კი არა, ის არის, ვინც ათასფუთიანი ისარი დასავლეთში გადააგდოვო. — მე ვარ ის ბიჭიო! — აბა, ან მიძმე, ან მიყმეო. — არც გიძმოფ, არც გიყმოფ, გიამბანაგეფო. — ცხენები დაიტვირთენ. გეიარეს ცოტა გზა. მღვდელს მოუკიდნია სახტარი. მიდის, მიაქ, მოიხსნის, შეკა, შიგ სწირავს, მერე მოიკიდებს და წავა. — კაცი შენ ყოფილხარ, — გეიკვირვა ბიჭმა. — მე რა კაცი ვარ, კაცი ის არის, ვინც ათასფუთიანი ისარი აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადააგდოვო. — მე ვარ ის ბიჭიო! — აბა, ან მიძმე, ან მიყმეო. — არც გიძმოფ, არც გიყმოფ, გიამბანაგეფო. შენ მძიმე ტვირთს მოიკიდეფ, გეტყობაო. — ოღონ მოსაკიდებელმა გაუძღოს და რამდენიც უნდა იყოსო. — სახტარი დაატოვებია ღვდელს და ფეხით წაიყვანა. მივიდენ ხენწიფესთან. ის ბევრ ხალხს ელოდა. სულ ექვსი კაცი კი მივიდა. მივიდა ბიჭი წინ და ხენწიფეს სალამი მისცა. ხენწიფემ ვეღარაფერი მუახერხა, მათი საქმელები მოწამლა და ვახშმათ დაჯდენ. ჯერ თავისნებს მიართვეს, მერე სტუმრებს. ბიჭმა არაფერი არ იცის. მიხვდა ის, ვინც ჩიტებს აბამდა კუდით და ისე გამოსცვალა საქმელები, რომ ვერავინ ვერ გაიგო. პირველათ იმათ შეჭამეს და ყველა დაიხოცა. ხემწიფემ თქვა: — ეს რა უბედურება არისო? ბელტიყლაპიამ და ზღვიხვრეპიამ შეჭამეს ყველაფერი და კიდე ითხოვდენ საქმელს. ბიჭმა უთხრა ხემწიფეს: — მთელ სახემწიფოს პატიჟობდი და ორი კაციც ვერ გამიძღეო! — ხემწიფემ უპასუხა: — შენა ყოფილხარ ყველაფერი, წადი და ქალიც თან წაიყვანეო! — ამ დროს ღვდელს მოუკიდებია მთელი სასახლე და მიყავს. მეფემ დოუჩოქა და სთხოვა: — ნუღა შემარცხვენ მეტათ, ქალი წეიყვანე და წადი! — მართლაც, დაანება თავი, მარტეა ქალი წამეიყვანეს. ბიჭი დიდგულათ წამოვიდა აღმოსავლეთის ხემწიფესთან. გაიხარეს და დიდი ქორწილი გამართეს. შუა გზაე გამოვიდა ხემწიფის ქალიშვილი და ითხოვა სადღეძღელო, ეიღო ხელში ყანწი და მიმართა ხემწიფეს: — მამაჩემო, ეს ამბავი არ დეიქადნო შენი ხემწიფობით, არც ჩემით; ყველაფერი ამ ვაჟმა ჩეიდინა. მე უვლიდი აქამდი იმას, წმინდათ ვიყავით, ახლა კი ჩემი ქმარი უნდა იქნესო. — კარქეო, ეარა ეგ უნდა იქნეს ხემწიფე და მე მისი ვეზირი ვიქნებიო, — თქვა ხემწიფემ, ხალხი ამას სიხარულით შეხვდა. ქორწილს ქორწილი მოება; მერე ბიჭი ხემწიფეთ დასვეს და დიდხანს მის სახემწიფოში ყველა ბედნიერათ ცხოვრობდა.

218. დის გადარჩენა

ერთ დედ-მამას ყავდა ქალიშვილი, გოუთხოვარი, მძიმედ. ის გათხოვდა და არ იცოდა მისმა ქმარმა, თუ ის მძიმედ იყო. მერე, რა დროსაც რო ჯვარი უნა დეეწეროს და წეეყვანოს, უნდა მორჩენილიყოს, ძმა ხავდა, ერთი გაჭირვებული, რაც რომ დას ადგა დღე, უმწარესი იმას ადგა. — რაფერ მოვახერხოო, რო გადავარჩინო ჩემი და ქმრიდგან გამოგდებასაო! — მთა ჰქონდათ გადასავალი. დეიწერა ჯვარი, მოიყვანა მაყრები და დასხდენ ცხენებზე და წეიყვანეს. გვერდში მიყობოდა ძმა. გახდა შუა გზაე ავათ ის ქალი ძეობით. გოდუფურჩუნა ძმას:

— ახლა რა ვქნა, გავხდი ავათ. ძმამ უპასუხა: — ნუ გეშინია! — სიძეს და მაყრებს ეუბნება: — წადითო თქვენ წინ და თქვენი მაყრები და დეგეწევით. მე და ჩემი და ახლავეს. ჩამოსო ქალი ცხენიდგან და იმწუთშიდავე მოიმ'ობიარა. გასჭრა ცხრა თვის ბავშვი და ცხრა ორმო ამოიღო. ჩაყარა და მოაყარა მიწა. საცოდავი ქალი შეაჯინა ცხენზე და დეეწიათ მაყრებსა და სიძესა. მოიყვანეს სახლ'ში, დიდი ქორწილი და დიდი ამბავი, დიდი ტაშისკვრა და დიდი ამბავი იყო. მოატანა გადაწვენის დრომ. ფიქრობს ახლა ძმა: რა მოვახერხო, — და მოახერხა კიდეც. წამოდგა და გაჩერდა და თქვა ამ ძმამ: — მე ვიტყვი ერთ გამოცანას. თუ მიხვდება სიძე და სხვა არა; თუ მიხვდება, მაშინ დაწვეს ჩემ დასთან ქმარი; თუ არ მიხვდება და ერთი თვე უნდა გაანთავისუფლოს ცოლი და მე დავწვები ჩემი დის ოთახში, რომ არ მიეკაროს კაცი. წარმოდგა და სთქვა: — ასისინის მთაზე-და უშობელმა ნუკრი შობა, ერთი მკვდარი, ცხრა საფლავი, ისიც გამოცანა არი... ფიქრობს ეხლა სიძე და ვერ მოიგონა. სთქვა ახლა: — კიდე განმიმეორეო! ისთე უთხრა, ისევ-ისე. კიდე ვერ მიხვდა. — თუ შეიძლება, მესამეთ მითხარი — და ვერ მიხვდა. გაჩერდა ხელათ ხალხი, ვერ გაიგეს, სულ ვერა. დარჩა ძმა დის ოთახში. ერთი თვე გაანთავისუფლა ქმრისაგან. დარჩა როგორც თავისუფალი ქალი, ბარიშნა-ქალი... ჭირი იქა, ლხინი აქა. დას მიანამუსებია ასთე.

214. მამამთილი და რძალი

თორმეტი წლის დაკარქული ხყავდა მამას ცოლშვილიანი შვილი. მამას გოუწყრა ღმერთი, შეირთო რძალი. შვილი რო წევიდა, მაშინთვე შეირთო ის რძალი. ეყოლა ვაჟი. შეიქნა თორმეტი წელიწადი, მოვიდა ვაჟი. თანაც გეეგო, რო მის მამასა და ცოლს რა ექნა, ღმერთი გასწყრომოდათ. მოვიდა და დეიძახა: — მაინძელო! — გახედა ძმამ, რომელიც არი ცოლის შვილი და მამით ძმა. უთხრა ბიჭსა: — ჯერ რა ხარ და ძმა ხარ ჩემი, მერე ჩემი ცოლის შვილი, წადი, მამაშენს უთხარი: მოგვიდა შენი შვილი, შენი ცოლის ქმარი! — ადგა მაშინთვე მამა და გაიჭრა ყელი. ჭირი იქა, ლხინი აქა.

215. ინძისყვავილი

სახელათ თქვია ინძისყვავილი.

ერთ კაცს ყავდა სამი ქალიშვილი. ცოლი ყავდა კვდარი და შესჩერებოდა ამ სამ ქალიშვილს. აპირობდა სავაჭროთ წასვლას. უთხრათ შვილებს (უფროს ჯერ): — შენ რა გიყიდო? — ჩემო მამა, ბისთანა კაბა მიყიდე, თლათ ქვეყნიერობაზე მისთანა ფასი არა იქნეს რა! — საშუალოს უთხრა: — შენ ქვე რა გიყიდო? — მე რა მიყიდო და მიყიდე, იმისთანა კარგი არეევინ ჩეიცვას. უნცროს უთხრა: — შე რა გიყიდო? — მე არაფერი არ მინდა, ჩემო მამა, რო წახვიდე და მოხვიდე, იქიდგან მამიტანე ინძისყვავილი. — შვილო, მერე სად გიშოვო, სად არი მერე? — მერე მე რას დაეძეფ? მამიტანე კი და. — ნუ, კარგი, შვილო! — წევიდა, უყიდა უმფროს კაბა, საშუალოს ფეხსაცმელი უყიდა, როგორც უთხრეს. ამ უნცროსზე კი ძალიან ჯავრი დაადგა.

ბევრი იარა, რომ წამოეიღა და ნახა მდევის ბაღშიდ ინძისყვავილი. არ იყო

მდევი სახლში და მდევის დედას ეძინა. მდევი იყო სანადიროს წასული. უცჯოთ გადახტა, მოტეხა და წამოვიდა. მოვიდა და მოუტანა. უმფროს კაბა, საშუალოს ფეხსაცმელი და უნცროს ინძისყვავილი. შვილო, რო მოვიდეს პატრონი, მე არ გავხედავ კარში და შენ აგე პასუხი. — კი, ჩემო მამა, რანან გულის პასუხი ამისრულე, მე ვიცოდე და ჩემა ინძისყვავილმა! — დაასრულა სიტყვა და მოვიდა მდევი. დეიძახა. დაიკავა ინძისყვავილი და შეიჯინა ბეკზე გოგო და წეიყვანა თავის ინძისყვავილიანა. ბევრი იარეს, იარეს, შეხვდათ ერთი კარღია ეკლესია. არც თავი ქონდა. ამ დროს დასჭირდა რაცხა ამ მდევს და დასვა ძირს გოგო. შევიდა ეკლესიაში. — ღმერთო, ჩემო ინძისყვავილის გამჩენო ღმერთო, ამ ეკლესიას მიეცი კარი და თავსახური კი არაო. და გასაღები არ ქონდეს. ამ დროს მოვიდა მდევი. ბევრი იყეირა, ვერაფერი ღონისძიებას ვერ გახდა მდევი. კედელს სთხლიშა თავი და მოიკლა თავი მდევმა. ამ დროს ეკლესიაში დარჩა გოგო, დაღამდა და მოეკიდა საბეთელს და ამავე დროს მოორე კუთხეში ყოფილა ერთი ბიჭი. დღისი კვდება და ღამე ცოცხლდება. ამოძვრა კუბოდგან, ჯის კუთხეში და კითხულობს წიგნს. ირიან სამი დღე ასე ჩუმათ ბიჭიც და გოგოც, და მეოთხე ღამეს გაეცვნეს ერთმანეთს. — შენ რა გინდა აქანა? ღამე ცოცხლობ, დღისით კვდები, რა ამბავია? — მე, მე ასე ვარ, დღისით ვკვდები, ღამე ვცოცხლდები, მარა შენ რა მოგიყვანა ამ ეკლესიაში, კარები არ ქონდა. თავი-სახურავი არ ქონდა. — რა გინდა აქა? — ქალმა უპასუხა: — ჩემი საქმე ასე იყო, სამი დანი ვიყავით, დედა არა გვყავს, მამა მიდიოდა სავაპროთ, შეგვეკითხა სათვითაოდ. უმფროს უთხრა: რა გიყიდო, და უთხრა: — კაბა მიყიდე. საშუალმა უთხრა: — მე ფეხსაცმელი მიყიდე. მოუტანა კიდეც. მე მითხრა და უთხარი: ინძისყვავილი მომიტანე-თქვა. მომიტანა და კიდევაც მითხრა: ვინც მოვიდეს, შენ გაჰყევი, თუ გინდა, მე პასუხს ვერ გავცემ. გაათავა მამამ ეს სიტყვა. მოვიდა კიდევაც მდევი, გამოეხედე კარში, დაინისვა ბეკზედ და წამომიყვანა აქ. მართალია, არც კარები ქონდა, არც თავსახურავი ქონდა ამ ეკლესიას, ჩამომსვა, რაცხა სამშენობამ მოუარა და გევიდა კარშიდ. მე კი დამტოვა ეკლესიის წინ. შევსთხოვე ინძისყვავილის გამჩენს: ინძისყვავილის გამჩენო ღმერთო, ამ ეკლესიას მიეცი კარები და გასაღები არა. ვიყავი ეკლესიაში და მოვიდა მდევი და სთხლიშა კედელს თავი და მოიკლა თავი. ეგებ კვდარიც არი კარშიდ. ახლა თქვენი თავგადასავალი, — ბიჭს უთხრა ქალმა. ბიჭმა უთხრა: — ჩემს დედ-მამას არა ყავდა შვილი. დედ-მამამ შესთხოვა ღმერთს: — ღმერთო, ერთი ძე მოგვეცი და უშვილოდ ნუ დაგვტოვებ. ხოლოთ ერთი ძე გვეყოლოს და ოცი წელიწადი რო შეექნეთ, ისხვრეპლოს ისევე, ვინც გაჩინა, იმანა. გავხდი ოცი წლის, რო შესრულდა ოცი წელიწადი, გავხდი ავათ და მოვკვდი. მარა სულ ცივი კი არ ვიყავი! გამაჩერეს ერთ თვეს სახლშიდ კუბოთი. რო არა ვცივდებოდი, მაინც არ მოვრჩი. არც მიწაში ჩამმახრეს. დამსვეს კარღია ეკლესიაში. დღისით ვკვდები და ღამე ვცოცხლომ. გამგეფ დაასვენეს. ახლა შეთვისდენ ესენი, რო: — შენ ცოლი და მე ქმარი.

დამძიმდა ეს ქალი და იმ სოფლელი იყო ის ბიჭი. ამ დროს ჰქონდა კიდევადა, ქალს, სანამდი მოიმშობიარებდა. ამ დროს უთხრა ქმარს: — რა ვქნა, არ შეიძლება აქანა მომშობიარობა, სად წევიდე? — ქმარმა უთხრა: — შე გლახა, რა გიჭირს? ჩემი დედ-მამა შენ ვერ შეგინახავს? ბევრ მათხოვრებს ინახამს და შენ ვერ შეგინახამს? წადი, ამა და ამ ადგილას არის ჩემი მშობლები. მადიანი დედ-მამა მყავს, შეგინახავენ და მე კი ყოველ ღამე მოვალ და კრიშაზე შევდგე-

ბი და დევიძახებ იქიდანი. შენ არ შეგეშინდეს, სადაც ვიქნები, იქ მოვალ და მე დაგიძახებ სახლის თავიდგან. რა გეგება, რა გეხურება, ყორიფელი დამიძახე, რო გევიგო! — ამ დროს მივიდა დედამთილ-მამამთილთან და დედამთილ-მამამთილმა არ იცის, რო რძალია. გოუგებრობა არი ჯერ. — თუ შეიძლებოდეს, მამამშობიარეთ, თქვენი შვილის განათლებას. — კი, შვილო, მოდი, შვილო! — შეიყვანეს დიდ კუხნა-სახლში. დოუგეს ძველები. მელოგინეს ასთე უკეთებდენ. დაწვინეს ამ ძველ თივას და ძველი ბალიში დოუგეს ქვეშ. ამავე დროს მორჩა, ეყოლა ვაჟი. თავზე დააყენეს ბებია. ამ დროს დაღამდა და დეიძახა იმ კაცმა: — ინძისყვავილო! — იყურება მაღლა და: — რაო, ბატონო? — შესძახა ქალმა. ეს ბებია გაქაფრებული უყურებს. — რა გეყოლაო? და: — ვაჟი, ბატონოო! — ქვეშ რა გიგიაო? — ლიპის ქვაო, ბატონოო, — ბოში რაში გიხვევიაო? — ძველებში. — ჰუჰ, — იმწუთხა ძალიან და გაოცებული წევიდა... გათენდა კიდევაც, ინათა და გეიქცა და მოახსენა ქალბატონს ბებიამ: — მე რომ ამბავს მევესწარი, ამისთანა მოსასწრებს არ მოვსწრებივარ არასოდეს. — რაიო, რაი? — რავა რაი, ქალბატონო! ქალი მორჩა, ჩვენსას რო მოგიყვანიათ, ხომ, ვაჟი ყავს, თქვენ იცით. რომ დაღამდა, ზეით მოვიდა ვინძახა სახლის თავზე. დეიძახა: — ინძისყვავილო! — ქალმა შესძახა: — რაო, ბატონოო? — ქვეშ რა გიგიაო? — თივა და ძველი კონკები. — ზეიდან რა გახურავს? — ძველი კონკები! — თავქვეშ რა? — ლიპის ქვა. — შვილი რაშიდა გყამს? — ძველებში. ამ დროს აღელდა დედა; იმ ღამეს დადგა დედა-მამა იმ სახლში. დოუგდო ყური. დაღამდა და მოვიდა კიდემ, დეიძახა: — ინძისყვავილო! — რაო, ბატონო? — ქვეშ რა გიგია? — წუხელ არკი მოგახსენე, რა მიგია? ძველები. — თავზედ რა? — ძველი კონკები. — თავქვეშ რა? — ლიპის ქვა. — ბოვში რაში? — ძველებშიდ. კიდე წევიდა. შესწუხდა ძალიან: — ვაი, ვაი, რაღა ვქნა? — ამ დროს გაოცრებული ძალიან მისი დედ-მამა: — ჩვენ რავარცაღა ღირსეული ვართ ნამდვილათ, ღირსეული მოგვივიდა და ჩვენ ვერა ვცნობთ! — ამ დროს გამოიტანეს კრაოტი, კარგი გერმის ბუმბული, გერმის ბალიში, მატყლის მუთაქა. დოუგეს. მჩალტეა. აბრეშუმის საბანი. ჩააცვეს კარგი და კარგი საცვლები ქალს, ჩასვეს კრაოტში. ბოში სულ ჩასვეს აბრეშუმოობაში. — რა დიდი ღირსეული ვყოფილვართ და არ ვიცოდიო? — ამ დროს დეიძინეს დღისი, რო ღამე მოვიდეს, ვნახოთ, ვინძახა არი. დაღამდა კიდეც. მოვიდა ოდის თავზე კიდო. ამ დროს დეიძახა: — ინძისყვავილო! გახარებულმა ცოლმა შესძახა: — ბატონო!—ქვეშ რა გიგია?—კრაოტი, გერმის ბუმბული, გერმის ბალიში და მატყლის მურთაქა და აბრეშუმის საბანი, ბოში სულ აბრეშუმობაში წემს... ამ დროს გამხიარულებული კაცი ჩამოვიდა ძირს. ნახა დედ-მამამ, გამხიარულდენ, ცოლიც კიდო გამხიარულებული იყვნენ და თელი მეზობლობა, შამაწვეული კიდო. თენდება და აპირობს ბიჭი, არ უშვებენ ახლა ეს დედ-მამა. — რათა, შვილო, აქ მოკვდი, აქ დეიძინე, გინდ იქ ყოფილხარ, ხო ვიცით, რაშია საქმე? — არ შობა. ეიწყვიტა, რო უსათუოდ უნდა წევიდეო. შვილმა, სამი დღის ბიჭმა, ამოიღო ხმა: — მამა, წევიღეთ ორივე ერთად. მე გავაკეთებ შეს საქმეს! — წევიდენ ორივე მამა-შვილი. გააკეთეს ინძისყვავილის საშვალობით ყოველივე. იყვნენ თელი დღე იქ, გააკეთეს ყოველივე საქმე. მოვიდენ მამაშვილის სახლში. გაკეთდა ის საქმე, რო დღეც ცოცხალი იყოს და ღამეც. ყველა დარჩენ კარქათ. ამ ინძისყვავილმა გასაღები გოუკეთათ, თავსახურავი კარები, ყველაფრობა.

216. დედინაცვალი

არიან ერთი ცოლ-ქმარი და ერთი ქალიშვილი ხყავთ. ქალი მოკვდა, შვილი დარჩა იმისანა ლამაზი, უკეთესი არ შეიძლება, ხოლოთ პატარა არი. მამამ მოიყვანა ქალი. ძალიან დიდი ლამაზი ქალი არი. მოხყვა სარკე, იმისთანა, რომ წელიწადში ერთხელ უნდა ჩეიხედოს იმ სარკეშიდ. სარკე ეტყვის — ვინ არი იმაე უფრო ლამაზი, რომ სჯობდეს იმ ქალს. გოუხდა წელიწადი და ჩეიხედა სარკეში. ჯერ არა სჩამს არავინ იმაე ლამაზი, რო სჯობდეს იმასა. მოორე წელიწადი მოვიდა. ჩეიხედა სარკეშიდ, ნახამს მისი თვალები, რას ნახამს! სარკემ ამოიდგა ენა. — ჩემო ტურფა ლამაზო ქალო, ძალიან კაი ქალი ხარ, მეტი არ შეიძლება, მარა შენი გერი გჯობია! — მისი ქმარი სანადიროთ დადიოდა, იმ ქალის ქმარი. უთხრა: — ჩქარა წადი, ჩქარა წეიყვანე ეს შენი გოგო ტყეშიდ, გამოკუჭე ღა მაგის გულ-ღვიძლი მამიტანე, შევსწვა და შევჭამო! — ამ დროს საწყალმა დაღონებულმა მამამ წეიყვანა გოგო ტყეშიდ. შეხვდა მონადირე და მონადირეს უთხრა, რო: — რა ვქნა, ჩემი გოგო უნა დავკლა და გულ-ღვიძლი უნა მიუტანო ჩემს ქალს. — ეი, ბიჭო, არა გრცხვენია, რატო არა გცხვენია, შვილსა ჰკლამ? გოუშვი, წევიდეს გზაე შვილი! — წევიდა უცფათ მამა, მოკლა არწივი და მისი გულ-ღვიძლი მოუტანა ცოლს. შესწვა და შეჭამა — ცეცხლი იმას! — რა კარქია, რა კარქია!

საწყალი გოგო წევიდა ტყე-ტყე. მიდის და მიდის სულ ტყე-ტყე. აღარ ჩოუხედია სარკეში, რახან შეჭამა. ამ დროს, ბევრი იარა თუ ცოტა იარა ამ გოგომ, გედვიდა პიტაკების ოჯახშიდ. პიტაკები კი სანადიროთ წასული არიან. სამი პიტაკი ვინცხა ულაგებთ იქაობას, ამ დროს მოვიდენ სახშიდ. დახვდათ გოგო ლოგინში. თვითო ლუკმა ყველგან ამოღებული იყო, თითო წვეთი შესმული იყო ღვინო. ეძინა ლოგინში საცოდავ გოგოს. არ გამუაღვიძეს ცოდვით და უფროსის ლოგინში ჩაწვა, მიუჯდა ძმა-ძმას. არ გამოიღვიძა კიდე მეორე დღეს. წევიდენ ისევე ეს პიტაკები, თავის გზას ეწიენ. მოვიდენ კიდო, ნახეს, გოგო წევს ისევ. სვეს, ჭამეს და მოორე ძმასთან დაწვა — მესამე ძმა. წევიდენ კიდო ეს პიტაკები. მესამე საღამოს დაბრუნდენ და ადგა კიდეც ეს გოგო. — სადაური ხარ, რამ გაგაჩინა? — გოგოს ეკითხებიან. გოგოც ეუნებათ, რო: — რა თქვენი საქმეა, მე და და თქვენ ძმები! მე მყამდა ერთი დედინაცვალი, მოჰყვა სარკე და იმ ჩემი ცოდვით სამსე სარკემ უთხრა: „შენზედ უკეთესი არავინ არი, შენი გერის მეტი“. ახლა უთხრა დედინაცვალმა მამაჩემს: „წეიყვანე საჩქაროთ შენი შვილი, გაკუჭე და გულ-ღვიძლი მომიტანე, შევსწვა და შევჭამო“. წარეთ დაღონებულმა მამამ წამიყვანა ტყეშიდ და შეეხვეწე მამას: — ჩემო მამა, მე ნუ მამკლავ, არ შეგაწუხებ, სახშიდ არ მოვალ, წავალ და სულ მოქცილდები. შენ წადი, ჩემო მამა, არწივი მოკალი და მისი გულ-ღვიძლი მიუტანე! — მართლაც, მამამ დაჰკოცნა შვილი და გოუშო გზას. მოკლა არწივი, გაკუჭა და მიუტანა გულ-ღვიძლი ცოლს. — რახან აგრეა, შენ და და ჩვენ ძმები. შეიძლება მოვიდეს დედინაცვალი, აღარ გაბრიყვდე! — პიტაკები ეუნებიან. ამ სულძაღლს ქვე ჩოუხედნია სარკეში. — ჩემო ტურფავ, მშვენიერო სარკე, ვინაა ჩემზედ უკეთესი? — შენზედ უკეთესი არავინ, ხოლოთ შენი გერი გჯობია, პიტაკების ოჯახშიდ არი! — წევიდა ამ სასიკედილე, ჩეიცვა გლახა ტანისამოსი, მოწამლა ერთი გრებეშოკი, სხვა მრავალი გრებეშოკები და ჩაყარა კალათში. წევიდა და წეიღო ეს გრებეშოკები. მივიდა პირდაპირ პიტაკების ოჯახშიდ. გერს აღარ

გაახსენდა, თუ ის მისი დედინაცვალი იქნებოდა. — კაი-კაი გრებეშოკები, შვილო, არ გინდა? — გააღო ამ გოგომ კარები და დაათვალიერა და რომელიც საუკეთესო იყო, სწორეთ ის იყო მოწამლული. და თვითონ გოუკეთა ამ დედინაცვალმა თავშიდ. გადაბრუნდა და ეს გოგო ტვინამდინ ჩაატანა. — და ეგეც შენი დედინაცვალი ვარ! — თანაც ჩაატანა სიტყვა.

მოვიდენ პიტაკები და ნახეს გოგო, გულაღმა გაშხვაფული სახშიდ. გახადეს ტანისამოსი, ვერაფერი ვერ უნახეს, რო რათი მოკვდა ეგეგოს. მერე თავი დოუთვალიერეს, თავში ნახეს გრებეშოკი, რო ტვინამდი ქონდა ჩატნეული... ამოიღეს გრებეშოკი და გაცოცხლდა გოგო. — აწი აღარ გაბედო, კარები აღარ გოულო, აღარ გაგაბრიყვოს! — წევიდა ეს დედინაცვალი და ჩეიხედა სარკეშიდ.— სარკეე, ჩემო ტურფავ და შვენიერო, ვინაა ჩემზე ლამაზი? — ჩემო ტურფავ, შვენიერო, შენი გერი გჯობია, გაცოცხლდა ქალი! — ამ დროს დედინაცვალმა მოწამლა ლენტი და სხვა მრავალი ლენტი წეიღო პიტაკების ოჯახშიდ. — კაი-კაი ლენტები, შვილო, არ გინდა, შვილო? — დედინაცვალმა იმდენი ილაპარაკა, კიდო კარები გააღებია. მივიდა და დაათვალიერა ლენტები და: — მოდი, შვილო, მე გაგიკეთებ ბანტუკას! — ეოუ[illegible]ა, ეოუ[illegible]ირა, ეოუ[illegible]ირა ყელშიდ, ეეიგუდა ბოში და გადაბრუნდა გულუკუღმით. დაბრუნდა ქალი სახშიდ. მოცვინდენ პიტაკები სალამის, ნახეს გოგო, რო გაშხვაფულია გულაღმა. ბევრი ძიეს და ნახეს, ყელში ქონდა გაჭირებული ლენტი. გაწყვიტეს ლენტი და გაცოცხლდა გოგო. — ჩვენ ხო გითხარით, კარები არ გოუღო, არ გაბრიყვიდე? — წეეიდა დედინაცვალი და ჩეიხედა სარკეშიდ. — ჩემო ტურფავ, შვენიერო, ვინღა არი კიდე ჩემზე უკეთესი? — ჩემო ტურფავ, ლამაზო ქალო, შენი გერი გჯობია, პიტაკების სახშიდ არი ცოცხალი! — მოწამლა ერთი ვაშლი, გააპო შუაე და შეაერთა და სხვა მრავალი და წეიყვანა. მივიდა პიტაკების ოჯახშიდ — კარგი-კარგი ვაშლები, ძვირფასი ვაშლი! — აკოზკაშიდ გედისედა ამ გოგომ . — აი, შვილო, რა კარგი ვაშლებია! — გააპო ი მოწამლული ვაშლები და ნახევარი თითონ დეიწყო ჭამა და გოგომ იფიქრა: ეს სინამდვილეში კარგი ვაშლებია! მოკბიჩა, დაადგა ყელზე, გადავარღა და თავდაღმა დევმხო. დედინაცვალმა შანი მოუვო: — მე ვარ შენი დედინაცვალი, არ მოკვდები? — წევიდა დედინაცვალი სახშიდ. მივიდენ პიტაკები, ბევრი ათვალიერეს საწყალი გოგო, მოპარსეს თავი, ვერსად ვერაფერი ვერა ნახეს, რო რათიმე ყოფილიყოს კვდარი, ან ანამყოლ თბილი არი. ბევრი არყიეს, ერთი თვე გააჩერეს, შუშის კუბოში ჩასვეს, ბევრი იტირეს, მაინც ვერ გააცოცხლეს. ერთი თვე იგლოვეს, კუბოთი ზეზე ედგათ.

გასვენეს ბოლოს ეკლესიაში; დიდი ტირილით, დიდი ამბით. გოგოს გზაშიდ ვაშლი პირიდან გადმოუვარდა, გაცოცხლდა გოგო. დაბრუნდენ დიდი სიხარულით სახშიდ. ეს ტირილი სიხარულით გედეექცეთ. [illegible]ეიყვანეს სახშიდ გახარებული. ბოლოს მოიპატიჟეს თავის დედინაცვალი, — თუ უკაცრავათ არ ვიყოთ, ითამაშეთ, ქოში ჩეიცვით! — ჩააცვეს ხის ქოშები. იმთენი ათამაშეს, ფეხები კოპებში დაატყდა. ჰკრეს თოფი და მოჰკლეს, გულში ესროლეს. დაწყნარდენ, დედინაცვალი გადააგდეს, ძაღლებს შეაპამეს. — ელახათ იყავი და ელახათ იყო!

217. ჭკვიანი და სულელი

იყო ორი ძმა-კაცი. ერთი ჭკვიანი და ერთი სულელი. [illegible] ხავდათ. ჭკუიანი ცოლიანი იყო და სულელი უცოლო იყო. დედამ გაატანა საწინდე ნართი სულელს

რძლის თავისახლობაზე. — იქ მოგიქსოვენ წინდებსაო და ჩეიცვიო! — წეიღო ეს გვრიპა (ნართი) და ასკილის ეკალი ნახა ერთი და, რო გეედვა, მოიცილა. — ეს იქნება ნამდვილათ ჩემი ძმის ცოლოურობაო, თავი რო დამიქნიაო (ასკილის ეკალი) და ჩამოვიდა გვრიპა. — როდის მამიქსოვო, მამიქსოვო მალეო? — ჯვრიპამ დასძლია, ღეეთანხმა. წამოვიდა ახლა სახლიდ და ეს კიანეურობს (აქნევს). ბიპსა გონია, მალე მოგიქსოვო. მოვიდა და უთხრა დედამ: — რა გითხრესო? — თავი დამიქნიაო. — ბიპოო, იქნებაო ღმერთი გამიწყრა, სადმე დაჰკიდეო, ცოლოურობა გეგონაო? — რა ვიცი მეო, ჩამოვკიდეო და თავი დამიქნიაო! — ოჰ, გამწყრომია ღმერთი და სხვაგან დაჰკიდეო, წადი, ახლავე მოიტანეო! — წეეიდა, ბატონო, და ვეღარ ნახა ეს გვრიპა, ჩამოუღია ვიღაცას. წეიღო წერაქვი, ბარი და თოხი — გულმოსული. ამოიღო ეს ასკილი და რას ნახავს მისი ბეღნიერი თვალი? ერთი ტური ოქრო ნახა. მოიკიდა ზურგზედა და მოიტანა თავის ოქრო. დადვა თავისი ტურით. წეეიდა ღეღელთან, მიუტანა და: — გაგვიყავით ორათაო, ორი ძმა ვართო, ნახევარი მე მქონდეს და ნახევარი ჩემ ძმასაო! — ღედელი ჰყოფს სამთ. — კაცო, ჩვენ სამი კი არა ვართო, ორი ძმა-კაცი ვართაო და ორით გაპყავიო! — ღედელი დაეინებით სამთა ჰყოფს მაინ. — მე გეუბნები, ორათ გაპყავიო! — ღედელი თავისას არ იშლის, სამთა ჰყოფს. ზედ დაეკლა ამ ოქროს მღედელი. წეიღო და სანახეველას ქვეშ დამარხა. მოაყარა ნეხვი. ღედელსა პკაზეა სამი შვილი. — კაცო, მამაჩვენი წამოვიდაო ფულის გასაყოფათაო და აღარც ღულია, აღარც ჩვენი მამაო! — რასი ფული ქონდა მამაშენსა ჩვენთანაო? — რასი, კაცო და შე რომ ფული ეენახაო, იმასა ჰყოფთაო. ერთი წილი მამიჩემისა იქნებოდა და ერთი თქვენიო. — მამიშენის კი არ იყო ის ფული, ჩემი იყო. ინბოთვინ კი არ დამიძახნიაო, რო მესამედი შენ წეიღე. — სად არი მამაჩემი? — წადი, ეგერ არი სანახეველას ქვეშიდაო, წადი. მოძებნე! — მივიდენ, ნახეს მამა კვდარი ნეხვში, თავგადაყეფილი. ეცენ და უნდა მოეკლათ ეს ბიპი. თვითან დახოცათ სამიეე. დეიკარეა სიწყალ კაცი. — ახლა მამკლე

სო. — სად არიან? ეგერ ბოსელშიდ ქვე არ არიან შენი საქონელიო? სუყველა მოლაგებული არიენ, ერთი მეტიო! — რავა მოლაგებულიო? წამოდი და მიჩვენეო. — რაღა გიჩვენო, სუყველა სისხლშიდა სცურავენ, ეს ცხვრები. — ბიჭო, რა არი ეს, რა ამბავია? პირიქით, ბოდიში მოითხოვე, მკლებს არ შეგაპამეო! — იჩხუბეს ბევრი. ამ ხაზეინმა სთქვა: — ამასთან მე სიკვდილი მეტს ვერ გამოვრჩები. ისევე გოუშვებ, მომცილდეს თავიდან. მისცა, რაც ეკუთვნოდა მის ძმას ჯამაგირი, და მოიშორა თავიდან.

218. სამი ძმაკაცი

სამი ძმაკაცი იყვენ და მიდიოდენ ღმერთან საჩივლელათ: — ჩვენც გვინდაო ლუკმა გვაპამოსო, მოგვცეს პური, სიმდიდრე! ამ დროს შამოეყარა წინ თავარანგელოზი. — სად მიხვალთ, ძმებო, რავა არი თქვენი საქმეო? — ჩვე მივდივართ ღმერთან საჩივლელათ, გვშივა, გვწყურია, ცოლ-შვილი შიმშილით გვიკვდება. ამავე დროს — რიყის ახლოს არიან — უთხრა უმფროს:—თუ გინდა ამ რიყეს გაგიჩენ ცხვრის ფარას, თუ შენც ბევრსა სპამ და სხვასაც ბევრს აპმევ — მამსვლელს და წამსვლელს. — კი, ჭირიმე, მე თუ გავძეხი, ყველას ვაპმევ. საშვალს უთხრა: — შენ რა გინდა? — მე სუყოლიფერი გამიჩინე: ხორცი, პური, ღვინო, — გაგიჩენ იმიტომ, რომ ყველას აპამო — მამსვლელს და წამსვლელს და მათხოჯას (მათხოვარს). უნცროს უთხრა: — შე რა გინდა? — რას დავეძეფ, ბევრს რასმე, ხოლოთ გამიჩინე მეადი და ღვინო. ყველას ვაპმევ, მამსვლელს, წამსვლელს, მათხოვარს და ყველას, ხოლოთ მექნეს სამაძღრისათ! — ჩამაიარა მას უკან თავარანგელოზმა. უმფროსთან მივიდა: — თუ ძმა ხარ, მაპამე რამე, მშივა. — უკაცრავათ, ბოდიში, ახლა გიახელი სადილი და ვახშმობამდინ დრო არა მაქ, დავკლა რამე. — თუ კაცი ხარ, გულს მეყრება, ერთი ბეწო გექნება რამე, მშივა. — სწორეთ, არ შეიძლება, ვახშმობამდინ არაფერს არ გავაკეთეფ! — გოდუსახა ჯვარი და ისევლე რიყეთ გოდუქცია. — ამის ღირსი ხარაო! — საშვალთან მივიდა. — შენი ჭირიმე, მაპამე რამე, მშივა, მწყურია! — ახლა არც ღვინო მაქ და არც გამომცხვარი, არა მცალია, ახლა შენი გულისთვინ ვერ გამოვაცხოფ. — ცოტახანი მოვიცდი და გამოაცხვე, რა გიჭირს, ან ისესხე. არც ერთი არა ქნა. გოდუსახა ჯვარი და გოდუქცია იმისაც რიყეთ. დარჩა ცარიელი. წევიდა უნცროსთან. დახვდა ქალი სასხიდ. — შენი ჭირიმე, თუ და ხარ, მაპამე რამე, მშივა. — კი, გენაცვალე, თქვენი საკადრისი თუმცა არაფერი მაქ, ჭადი და ღვინო მაქ, მოგართმევ! — შეიყვანა სახში და მიუტანა ჭადი და ღვინო, მეტი არაფერი. სიხარულათ მიუტანა. ასვა, აპამა, რაც შეიძლება, სანამდი ქმარი მოუვიდა. ქმარიც მოუვიდა და ღვინოც დეელია, ამოღებული ღვინო. — ბეჩა, კაცო, ჩვენ სტუმარი მოგვივიდა, კეთილი სულითა და გულითა, ღვინო შემომელია. — ახლა შენ დაბრძანდი, მე მივართმეე. წევიდა ქალი სასწრაფოთა და ჭური მოხადა. თან დაადგენ, ორი ბიჭუნები ყავდა. ჩაჭით ღვინო ამოიღო და გადადგა იქით. შვილი ჩოუვარდა ჭურში. ამოიღო ის შვილი და გახვია ნიგვზის ნოშოში. სანამ იმას ამოიღებდა, მეორე შვილი ჩოუვარდა. ამოიღო მეორე შვილიც და მიხვია მეორე შვილთან ნიგვზის ნოშოში. რახან ღმერთან თხოვნა ქონდათ მიცემული, რომ შიოდათ და შათქმული ქონდათ, რო სტუმარს სიხარულაო უნდა მიუტანონ საქმელი, მხიარულათ წეიღო ის ჩაფი და მოიტანა სტუმართან ღვინო. იმ სტუმარმა კი იცოდა, მის გულში რა დგომარეობა იყო, მარა ვითომ

არაფერი. არ დოულევია იმ ჩაფით ღვინო, რომ იცოდა იმ ქალის დგომარეობა. სტუმარმა უთხრა მაინძელს: — მოდი, გევიარ-გამოვიაროთ და მერე დავლიოთ ღვინო! — გვიარ-გამოიარეს, სადაც ბოვშები ასვენიან, წაჰკრა-წამოჰკრა ფეხი. —რა არის ესინი, დედაკაცო, რა მოგსვლია ეს? — შენი ჭირიმე, რა უყოთ მერე, ხვთის გაჩენილია და ღმერთმა მიიღო. ღმერთმა მამასწრო სტუმარი და მე იმათ აღარ დევეძეფ. ჩამივარდენ ჭურში და მივაყარე ნიშო. ღმერთან შეთხოვნა ვერ დევივიწყე, შევასრულე. გააცოცხლა უნცროსი. უნცროსი გაცოცხლდა და უმფროსი არ გოუცოცხლებია. —თქვენი ჭირიმე, რა ანბავია, უნცროსი გაცოცხლდა და უმფროსი არა? — ამის გაცოცხლებაც შეიძლებოდა, ჩემო დაო, მარამ არათ გინდა, ქვეყნის ამომგდები იქნება და ბევრ ცოდას შეკრებავს. ეს უნცროსი კი ქვეყნის დამშვიდებელი იქნება. დამარხე, ძმაო და დაო, ეს უმფროსი შვილი და ეს უნცროსი გიცოცხლოს ღმერთმა. გედიხედე შეს ბეღელში, რა ანბავია, ან შეს ჭურებში. მოხადე. პური პურის ადგილს აღარ ეტევა, და სიმინდი სიმინდის ადგილას, ხორცი ხორცის ადგილას და მიდღემჩი დოულევრათ გექნება. მუშაობა არ დაგჭირდება, მატებიანი ჭურ-ბეღელი გექნება, რახან ღმერთი გწყალობს და ღმერთან შეთხოვნას არ ივიწყებთ. უმფროსები დარჩენ ცლახები და უნცროსები ჭკუიანები.

219. შვიდი ყორანი

ერთ ქალსა ხავდა, დედ-მამას, შვიდი ვაჟი და ღმერც ეხვეწებოდენ: — ღმერთო, ერთი გოგო მოგვეცი! — დაებადათ ერთი გოგო. ამ გოგოს ნათვლაზედ გაგზანეს უმფროსი ბიჭი წყლის მოსატანათ. არ მოვიდა და მოორე გაგზანეს, არც ის მოვიდა. მესამე გაგზანეს. გაგზანეს მეოთხე. სულ აღარ მოვიდენ. გაგზანეს კიდე მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე. ყველამ თავი მოიყარა და არც ერთი აღარ მოვიდენ. მონათლეს გოგო, და მამამ დასწყია შვიდი ვაჟი. წვერებზე მოიკიდა ხელი: — ამ წვერების მადსა ვთხომ. რო თქვენ შვიდივე ყორნებათ გადაქცეულხართ, მე თქვენ არ გიდარღო!—ეს სიტყვაც ოყო და გედიქცენ შვიდივე ყორნებათ. სამი დღე იტრიალეს თავის სახლის თავზედ. მეოთხე დღეს გაფრინდენ, წევიდენ და დეიკარგენ.

გოგო გეიზარდა, შეიქნა რვა წლის. ვევიდა კარში სათამაშოთ ბოშეფთან. ამ დროს დიდმა ქალებმა უთხრეს გოგოს: — ვაი შეს ტყავს, რო შენი გულისთვინ შვიდი ბიჭი დაჰკარგეს! — გოგომ ხმა არ ამოიღო და დაბრუნდა სახშიდ.

—დედა, ძუძუ გამოიღე! — დაეჭირა კბილი. — შვილო, ნუ მომკლავ ნუ!

— სანამდი, დედა, არ მეტყვი ნამდვილ სიტყვას, ძუძუს მოქჭამ, თუ არ მითხარი ნამდვილი სიტყვა!

— შვილო, მე მყავდა შვიდი ვაჟი, გოგო არა გეყოლია. შევსთხოვე ღმერთს, რო ერთი გოგო მოგვეცი! ჩვენი თხოვნა შეიწირა და მოქვცა გოგო. მის ნათვლაზედ გავგზანეთ უფროსი ბიჭი წყალზედ, არ მოვიტანა წყალი. გავგზანეთ მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე. არც ერთი აღარ მოვიდენ. მერე მამამ მოიკიდა წვერებზედ ხელი და წვერების გამჩენ ღმერთს ვეხვეწეთ, რომ ყველანი ყორნებათ გადაქცეულან. მამამ დასწყია შვიდი შვილი. გადიქცენ შვიდივე ყორნებათ. სამი დღე და ღამე სულ ჩვენი სახლის თავზედ ტრიალობდენ. მეოთხე დღეს დაგვეკარგენ სულ. —ამ დროს უშვა გოგომ პირი, გოგოს ხქონდა პატარა საკარცხული.

— შვიდობით, ჩემო დედ-მამავ, მე უნდა მოვძიო ჩემი ძმა, რახან ჩემი გულისთვინ დეიკარგენ. — მოიკიდა ზურგზედ თავისი პატარა საკარცხული და წევიდა. იარა. იარა და საღაც დეიღალებოდა, ნამოსღგამდა სკამს და დაჟდებოდა ცოტა იარა თუ ბევრი იარა, მიადგა ერთ კდეს, რომელიც რო კარები ხქონდა და იღებოდა და იკეტებოდა. — რა არის ეს? — კარისკაცს უთხრა. — რა არის, რო ამ კდეს კარები აქ ? — ეს არი, შვილო, იქით�არი ყოველივე ცხოველი — ყვავები, ყორნები და ყოველიე ფრინველები, დაწყეველილიც და დოუწყევარიც.

— თუ შეიძლებოდეს, მამაშვილობამ, გამიშვით!

— არა, შვილო, რა შენი საქმეა, იქ რა გინდა?

— გამიშვით, შენი ჭირიმე, ჩემი შვიდი ძმანი იქ არიან.

უცფათ გოუშვა ეოგო. მივიდა და ნახა შვიდი ძმის ოთახი. შვიდი საინი, შვიდი კობზი, შვიდი სტაქანი, შვიდი ლოგინი. მივიდა საწყალი ეოგო, ყველგან თითო ლუკმა ამოჭამა, შვიდიე სტაქანს მოაკლო ღვინო, უნცროსის ლოგინში დაწვა, დეიძინა. მოვიდენ შვიდი ყორანი, ნახეს თავ-თავისი საქმელი, რო ყველას მოკლებული ხქონდა. საქმელსაც და ღვინოსაც. კობზიც მოსვრილი იყო. მივიდენ, ნახეს, ლოგინში ეოგო წევს შეენიერი, კარქი. ჭამეს ვახშამი, ეოგო არ გაამჭრიეს, ეძინა თავისუფლათ. დაწყა ეუმორესთან უნცროსი, ი ლოგინის პატრონი. გათენდა ღილა, წევიდენ. კიდე მოვიდენ, დამზადებული იყო. არ გამოუღვიძია ეოგოს. მოვიდენ. საღამოს საქმელს არ ხქონდა მოკლებული. არც ღვინოს. ეოგოს ეოუმჭრეველათ სძინაეს ლოგინში. ლოგინის პატრონი მეორე ძმის ლოგინში დაწვა. კიდო მესამე დღეს წევიდენ. ეოგო ლოგინშია ისევ, კიდე დამზადებული დოუხვდათ, ისევ. მოვიდენ და კიდე ისე დოუხვდენ ეოგო ლოგინში. შეშვიდე ღამეს გამოიღვიძა ეოგომ.

— ეოგო, ვინა ხარ, სადაური ხარ, რა ხარ, რა სულიერი ხარ, რამ მოგიყვანა აქამდის და ვინა ხარ?

— რავა ვინა ვარ, მე დამკარგვია შვიდი ძმა ნათელაზედ! უნდა ვნახო ჩემი შვიდი ძმა.

— რა ხქვია დედ-მამას შენსას?

— ესა და ეს სახელი ხქვია დედას და მამას.

— ეოგო, ჩვენი ღა ყოფილხარ შენ, ჩვენი შენი ძმები ვყოფილვარო! — და ეედიქცენ სუყველა ბიეებათ.

საწყალი ეოგო სისარულათ დაბრუნდა სახში და მოიყვანა შვიდი ძმა სახშიდ. დახვდენ დედ-მამა დიდი გახარებული, ეედიხადეს დიდი ეოულობა. — მადლობა ღმერც, მოეესწერით ჩემი შვილის ერთათ დანახვას! — შვიდივე ბიეები დაქორწვილა.

229. უზრდელი რძალი

ზემორაკველმა ითხოვა რძალი. რძალი ითხოვა, კაი რძალი იყო ვითამ. დღეობა იციან ახალკვირე. მეიყარეს თავი და ა კაცმა წეიყვანა თავისი რძალი, მამამთილმა, ფეხისა აყვე, თამაში აყვე და დოუძახა ა კაცმა: — დედაკაცებო, ერთი ჩემი კეკლუცი ნახეთ, კეკლუცო! — უძახის რძალს, ისე უყვარს. მერე, — აბა, კეკლუცო, გადახტი, დაალექსეო! — ოჰ! დეიძახა იმან. — ახალი პატარძალი ვარ,

გადავხტები ფშველივითა, თმასაც ისე მევიპარსამ მამამთილის წვერივითაო! — გეეხარა მამამთილს, კაი ეგონა.

221. [ფრაგმენტი]

ერთ ხემწიფეს ყავდა ქალიშვილი ზეთუნახავი და ყოველ დილა-საღამოს სწონიდა, რო არევინ მოიპაროსო. იმას ყავდა მუახლე მიჩენილი. წყალს ვაშლი მიჰქონდა. უთხრა ი ზეთუნახავმა მუახლეს: — წადი და ვაშლი დეიპირე და მომიტანეო! — ის მიტო სწონიდა, ხენწიფე, რო ეცი ვერ იშოვოსო. მერე გა: თალა ვაშლი ზეთუნახავმა. შეჭამა თვითან და ნათალები სუყველა აჭამა ი მუ: ახლეს — ექვსი ნათალი იყო. დამძიმდა ორივე. აწონა ხენწიფემ, მძიმეთ არი, მეტია. — აღარ მომეკარო, აღარ მინდებხარო! — დეებადა მუახლეს ექვსი ლეკ: ვი. ამას დეებადა ბიჭი კარქი, კაი შვილი. თაში არიან, გადაყრილი არიან. ე ბი: ჭი კაი მონადირე შეიქნა. ე ლეკვები დახობა ა მონადირეს ბიჭს. თაში არიან. ა ზეთუნახავს მიჰპარვია დევი და კიდო დამძიმებულა, ა მონადირეს დედას. რომ შეიქნა დრო, მორჩა და ეყოლა კიდო ამისთანა ვაჟი. ამნაირია, რო ერთმა: ნეთში ვერ გამეიცნობ. იმანაც ნადირობა დეიწყო. იმას ქვია დევტრაკა, მოო: რეს წყაზარა. ნადირსა ჰკლავენ, ცხოვრობენ, კარქათ არიან. ერთ ხემწიფეს ოღრმე კლე აქ ჩასავალი და რომელიც მონადირე ჩავა ი კვეზე, ხემწიფეს ქა: ლიშვილი ხავს და მიათხოვებს. წევიდა და ეს წყაზარა ჩევიდა ი კვეზე. ხემწიფემ სთქვა, ასე მაქ კალონიო. უარი უთხრა. ეარა არ ვნა, ბიათხოვა. რომ იყო ერთი: ორი კვირე, მერე წევიდა ეს. — უნა წევიდეო სანადიროსო. ასე ვერ გავჩერ: დებიო! — წევიდა, დაგვიანდა ერთი კვირე. კარქა რო არ ენადიროს, არ მე: ვიდოდა. ამას ახლა დევტრაკა ეძებს, ძმა სა წამოვიდაო. როცა კვეზე ის ჩე: ვიდა, ი კვეზე ჩევიდა. — უკ, მევიდაო ჩვენი სიძეო! — გეეხარათ. ჭამეს და დევტრაკა მიხვდა, როგორც რო წყაზარა ყოფილა. უთხრათ: — რაშია საქმე? — იქეიცეს, დაწვენ. ეს ქალი მივიდა, მოუწვა. გვერძე რო დაწვა, ეს ქალი და ეი: ღო ხმალი და ჩადვა შუაში. ე ქალი ეუნება: — რამ შეგაძულა ჩემი თავიო? — დევტრაკამ უთხრა: — რაცხა გლახა გუნებაზე ვარო და ნუ გამცემ ხმასაო, ნუ მომეკარებიო! — მუაწვა ე ქალი ძალითანა და ნეკა კრა — გეიწიეო. გათენდა, წევიდა დევტრაკა, გამოუდგა.

222. [ფრაგმენტი]

უნა ჩადგეს. სარტყელი დეიმალება. მემიკიდეო ზურგზეო! მოჯამაგირეს უთხრა, ბოქლომი პატრონს. რას ამბობო, ჩემი თავი თუ გევიტანე, კაი უნდაო. ჩადექი და გამოდიო. ჩადგება ეს მოლოზანი, მარა ამ ტანისამოს რა უქნას? ამეიწიე ტანისამოსი, მე რას მეხათრეებიო? აბა შენი მორება მე რავა შემიძლი: აო! ტიტველი ჩადგა მოლოზანი წყალში. გამევიდა გამოლა და მიეხორცა ტა: ნისამოსი გარეშამო. ჩოუთქვა იმან. მერე მივიდა მოლოზანი, თლა გედირია ი ღვდელი, რა საცოდავობა ექენიო? მოუდგა გვერდში ტიტველი მოლოზანი. არიენ სუყველა ახლა, ბაზარია იქანა, არ არი ექმი. ჩაარონიეს ბაზარზე. ახლა ი მოლოზანი ძალიან სუქანია და დიდია. ახლა მიეპარა სალდათი რუსი და მიაკერა თითი. ბერო, მომშორდიო. მეეწონა ახლა იმ სომეხს და თითი მო: უტყაპუნა უკანალზე და: ლავე-ლავეო! ვეღარ მოშორდა. წამევიდენ ისევე

ღვდელთან. რა ღმერთი გამიწყრა, რა ვქენიო. მემეციო ე ქალიშვილიო და მე ვუშველიო. კიო, შვილო, გამოქცემ ყველაფერსაო. იმან უთხრა, იმ სიძემ და მოაშორა ერთმანეთს. გადააბრუნებს ბოქლომს, ეტყვის და გათავდა. ახლა რუს უთხრა: შენ სალდათი ხარო და არ გამოგართმევ ფულსაო. ი ბერს ძალიან ბევრი გადაახდევია. შეჯდა ჯორს, წევიდა ბერი. სომეხ გადაახდევია ცოტა, მოლოზანსაც მეტი გადაახდევია და წევიდა მოლოზანი. ე ბიჭი ხელახლა დასწერა ბერმა ჯვარი და მისცა ქალი და ჩეისიძა და იშონა ამით ყველაფერი ბიჭმა, მოჯამაგირემ.

223. [ფრაგმენტი]

რო დეიჭირა დათვი, ცხრა კაცი მიედემდით სამ დღე დათვს. სასროლოთ შევიხდინეთ. საიმერეთოში წაგვივიდა დათვი. კაკრაზ იქ დავსჭერით მოორეთ. ფთხილამურებით დადემდით დათვსა, აპაᲐ ზამთარი იყო დიდი. ცხრა კაცში ორმა ავასწარით სერზე, თლუღელები და ჩვენ ვიყავით. შევხედეთ, მესამეთ, რო დათვი არი წამოწოლილი წიფლი ძირში, თოვლზე და ჩვენც ეევედით. ასვლითანავე იგრიალა ჩვენმა თოფებმა. სხვაც ამოგვემატა და ესროლეს იმგენმაც. დათვი დეიკრა და დაგორდა, ფერდო იყო და წიულარი ტყე. მერე კიდე დათვი ვითომ კვდარი ეგონათ, მარა მე მაინც ტყვია მიეეცი თოფში კიდე დათვსაო თოფი აღარ უნდაო, ტყაკი გაფუჭდებაო. დათვმა მაგრა დეიღრიალა. მერე მე ეხთქვი, რო ე წაქცეულს კვდარიც რო იყოს უნა ვესროლე-თქვა, ჩემ გუნებაში ქვეცა ვთქვი და ქვეცა მივეცი ტყვია თოფში, ბერდენკა იყო. ცაცია ხელი ზატორთანა მქონდა. აღარ მაცალა თოფმა, რო წინ ხელი წამეწიოს და მესროლოს კიდო მაინც. ზატორი რო მივარტყი გადასაკეტათ, აღარ მაცალა გასროლა, თოფი ისე გავარდა. მტყვია ჰაერში წევიდა, დამიზნებული კი არა მქონდა. ზატორი უკან დამეჯახა ფერდში და წავიდა და ზატორი დეიკარქა. მარცხენა ხელში ცეცხლი გამიჩდა წამლისაგან და ცეცხლისაგან. ამასობაში დათვი წამოხტა და წავიდა. მარჯვნი და მარცხნი თოვლს ღებამდა. დეიძახეს ამხანაგებმა: აბა, ძაღლები გოუშვითო! ძაღლები ერთმანეთზე იყონ გადაბმული, ბაწრები ვეღარ შესხნეს და გოუშვეს ისე. ძაღლები გაცვინდენ და დოუხვდენ წინ დათვს. დათვმა შამოკრათ ხელი და იხრჩობიან ძაღლები. დათვები წევიდა, ძაღლები დარჩენ ჯილოზე. ჩამუეკიდენ ზეთ კისრებით ძაღლები. თავი ვეღარ ეიშვეს, სანემდი ჩვენ არ ვუშველეთ-ყე.

224. ერისთობას წამოვედი

ერისთობას წამოვედი, თან წამყვა ჩემი შტვირია,
კნეინამ შამოგიტოვა, დამიხჭიალა კბილია:
— ერისთობას რათ მიდიხარ, რათა ხარ ჭკუათხელია,
ოსმალები ჩამოსულან ჯურძაღლი გვეიშვილია,
გზაზე არ შემოგეფეთონ, არ აგაგლიჯონ შტვირია!
აᲰ ვისმინე მისი სიტყვა, წამოვედი ერისთობას,
წმიდა გიორგის კარსაო დაეაღიღინე შტვირია,
ქალები ვათამაშე-ყე, მარიამა და თინია,

ჩვენი კალატოზიშვილი უცხო თავადიშვილია,
ხუთი მაანთი მაჩუქვა, წადი, მოქედე შტვირია,
გეეედი გორი ქალაქსა, მოეაპედიე შტვირია,
ფიფანურები დაკასხი, აგრე ძეწკვები წერილია,
ახლა კი მოვეხარები, ვახარო ცოლი-შვილია,
ლიახეში ისე გამოეელ, წაღას არ უჩდა ძირია.
მოვიხედე, მომეწონა, ტურფა რომ იყო ჩდილია,
დავწეკ და იქ დავიძინე, საღამომდე კარქა მქონდა
ჩემი ტამბაჩა შტვირია.
რუბნელაში რო მოვედი, იქ დამხვდა გივიშვილია,
ფიცხლად ხმალი ამოიღო, ხომ დამანახვა პირია,
ორიეე ნებით მივეეი, ხომ ეეი, სული ტკბილია.
აწი კი გამოვრბივარ მე საწყალის შვილია,
ნალის ეკალა რო დამხვდეს, ვიეი, რომ ბუმბელი რბილია.
დავჯედ და კალოზე ეტირა;
ბიეები გამამეგებენ, მამაე, რა უყაე შტვირია.
რა იცით, თქვე უგნურებო, რაც ჩემი გასაპირია,
წავიდენ და მიახიცეს, იქ იქიდან გამოლაყლაყობს,
როგორ ულაყი ვირია (ცოლი).
მე შენ გეერც აღარ მოგიწვენ, მიიწვინე მეტრეკია.

225. ვატატეის ქათამი

ეატატეის ქათამი ღობი ძირში ჩაეკალი,
მისი კურტუმ-ბარკალი დავით ნეფეს მივართვი.
დაეით ნეფემ ცხენი მომცა, აეაკენე-დაეაკენე.
კისნარაის ბოლოსა ვირი ხნეედა ყანასა.
ვირო, ე ყანა ვისია?
ასისაა-ბასისაა, ქერთაოელი კაცისაა.
ძაღლი გამომისიანა.
უშობელას წიხლი ეკრა, გეემბერა ტიკოვთა,
ტიკი ტიკათ მეეხმარათ, გოგროკენა სახმარათა

226. ელელია-მელელია

ელელია-მელელია, დანა-სამართებელია,
შენი გოკი მე შეეკამე. სუკანი-გემრიელია.
წინ ბატონმა გადამმისწრო თაკის ქორ-მეფებრიანა,
ქორი გახტა ხესა, ლერწამისა წვერსა,
ქალი მიკნევს ხელსა· აქ ჩამოდი ჩვენსა,
პურსა გაკმეე ქადიანსა, ნახევარსა ნაცრიანსა.

227. ორი ოქრო ჩამოვარდა

ორი ოქრო ჩამოვარდა,
ერთი მე ეეიღე, ერთი ჩემა დობილმა.
დობილს თვალი დოუდგა, ისიც მე ეეიღე.
დედამ კვერი გამამიცხო,
დედამ კვერი მოსწყვიტა, მამამ თაში წეიღო.
მამამ გვრიტი მამგვარა, გვრიტმა კვერცხი დამიდო,
ამოგორდა-ჩამოგორდა, ხეეის ცოლთან ჩამოგორდა,
ხეეის ცოლი შინ არ იყო, სახლის უკანა ფლაედაო.
ზე კანაფი ამოსულა, ვარდივითა რგამდაო.

ვარდი ამიკრეფიაო, ჭურში ჩამიკრეფიაო,
ბუერი ადღღებელაო, ქალი აკიკლებულაო.
ქალსა ქალი ხყოლებია, ეაკათ გადაქცეულაო.
ვაკო. ადრე წამოდეკი, ქალას ჩამინადირეო,
ქალა ეკლიდნიაო — მუხა ძეწკვიანიაო,
იმაში რო კედერია — შაკამტყვანა შერდულიო,
მე არ მომპვდა შერდულიო, კარებს მოხვდა შერდულიო,
კარებმა ჭრიალი შექნა, დედაბერმა ხრიალიო,
ჯამ-ჭერეელმა ჟღრიალიო, წყალ-წისქვილმა ტრიალიო.

228. ეო, მეო

ეო, მეო, ბიჭო დემეტრეო,
დღეს აქანა ეიქეიფოთ, ხვალე იქინეო.
შენი დაკღეული კარები მე ვერ გავაღეო,
ურასენე. ურაბუნე. კლიტე გაეტეხეო,
მოვიხედე, კარებს უკან დიდი მგელი წეესო,
ძროხა ქვე შოეპამია, ხბო იძახის: „მეო".

229. კესარია

— კესარია, ეო, ცოცხი მათხოვეო!
— ცოცხი რათ გინდაო?
— იას დაეფალამო.
— ია რათ გინდაო?
— ცხენებს დავაბამო!
— ცხენი რათ გინდაო?
— ეფენიას კარზეო ავაკენე-დავაკენე,
მელა იჯდა ქვაზეო, ოქნნიე მათრახიო,
სულ დეიწყო თახთახიო.
ეგერ რო ციდი გლეზიაო,
ივას დეეცა მეზიაო.

230. კოღო და ლომი

კოღომ გამოითხოვა ლომი სამრათ, ლომი მასხრათ ეიგდო. ვინ ოხერია ესაო? გუნებაში გეიცინა, რო ვინ არიო!

ლომა გასცინა კოღოსა, რადგან ეირე აქს ღონია,
კოღომ არაფრათ ჩააგდო, ან კი რა მოსაწონია?
ბუზებში ყველას ჯობია, ფუტკარიც ასე მგონია!
კოღომ იწყინა ლომისგან ამგზაფსი მედიდურობა
და დაიქადა მრისხველმა: მე თუ გგონივარ მძრომია,
ვაჩხავლებ როგორც თიკანსა, ენახოთ, რაღაცა ლომია!
კოღო მივიდა ლომთანა, გამოეცხადა ომია,
ლომს ჩაეცინა გულში და ყურსაც არ ამძრეეს ამაზე.
კოღო გარისხდა, კრავსა ყვირს და ლომ დაახტა გავაზე.
გედეირია მხეც-მეფე, მეეწო გავა ძალიან,
მაგრამ რას უზამს კოღოსა, კოღო ქარივით მალია.
ხან ყურში ჩოუკეხუნებს, მარდათ ჩოუვლის წეილით.

231. დაბერდა ჩვენი გოგია

დაბერდა ჩვენი გოგია, ჩვენი ქართველის რაინდი,
შვილი მეღორეთ დამიდის, მინდორში დასდევმს ღორებსა,
ვერც დღეობაში წასულა, ვერც ჩვენებიანთ სწორებსა!
ასე წესთხომდა ღმერთს მეშა, წამოწოლილი ჩერიში,
თლათ მოწყვეტილი სიცხისგან, როგორც ყვავილი ღეროში.
ეს ვინ მოფრინამს ტყი პირსა, თითქო ჩაქმელი ქალათა?
აგერაც მოეახლოვდა ი მოხეცებულს ყანარითა.
ნუ სწეხარ, ღმერთმა მამგზავნა, ერთი რამე ქ
 ნუგეში,
უთხრა და ხელით ჩეიწყო ნაზათ მარცხენა უბეში.
ჰა, სამი ვაშლი, ერთი შენ, ერთი შეს შვილს და მეუღლეს,
რო შეეამ, რასაც ინატრებ, აგისრულდება იმავ დღეს,
თეალებს იფშვენტაშს, არ სჯერა, თავი სიზმარში გონია,
ვაშლი შეგვითა ნეტავი ნატვრა ვის გაგგონია?
ზე თვეის იქით გადადის, დაწვება აქმცერადა,
ბინდ-ბუნდნა დაკარა სოფელსა, ნელ-ნელა ტრედის ფერადა,
ნახირიც მოდის, ბორბიან ტუსტეს-გრეტენით ღორები.
ბაკებს იკლებენ ბღაღილით, ედიასთვის ჩვილი ხბოები.
ქოხი წინა ჯის მოხეცი, ბილობზე — ცოლ-შვილი,
ძლიესა ლოდნიდა დამპალ პურს საპრალო წინა ბილებით
და თან უამბა, რაც ნახა, დღე როცა მკიდა ყანასა,
თინია სიხარულისგან მოხსენა საჭირი ფუანასა.
დაითითოეს ვაშლები და მიწვენ იქვე კარებზე,
ტკბილათა სიინაპთ მაშა-შვილს,
მაგრამ თინიას ძილი არ მოუდის ღილამდის.
სადღაც მიუდის გონება,
ოცნებაგადაქცეულმა თავი ვერ დაიმორჩილა.
დასაძინ-დასაწოლათ ზეფაში ვაშლია
და იქცა ხენწიფის ცოლათა.
დილა გათენდა, წამოდგა ტკბილი ბიდეთ ნინია,
ცოლს ეუბნა გაფრაცხენელი, ბეგრმა სად არი თინია?
თქვა, თქ: ეთაკოდ ამ დილას ბოსკალ ყანაში წვენიდა,
შვილი გაგზავნა წყარიზე. თითონ ბინდორზე გვენიდა.
დაბრუნდა ალიო, არა ჩამს ადარც შინ, ადარც გარეთა.
დაფიქრდენ მაშა და შვილი, დადარდიანდენ წარეთა,
შვილმა თქვა: რახან ასეა, აი, რას ვიქ მე ჯინზედა,
დედაჩემს ახლავე მოვიყვან, თე ნაცერა არი ბინაზედ,
რახან გასწირა ქმარ-შვილი, ადარ იყადრა სწორადა,
ღმერთო, ნუ ეამირისხდები, დედა მიქმეე ღორათა!
უცებ გაუცერა იმათ წინ ლრეტენა დინის ქნევითა,
ნინია ტირის — ამ პორმა ვს გული უფრო დაღარა,
ცოლ-შვილის უწესობამა ბანალი გოუქაღარა.....
უპბნოს, თქ: ერთი ეს არი საწყალის კაცის ბედიო,
თე რო ვინატრო სიცოცხლე, დოუთალაი ქოშება,
რა პირათ მინდა, თე ჩემს ცოლ-შვილს არ ასცდება მონება.
ღმერთო. არა გთხომ სიდიდრეს,
(ვაშლი უგორაშს უბეში — შეეშა ვერ გოუბედნია).
ღმერთო, არა გთხომ სიდიდრეს, რაც აქამდისი მქონია,
ცოლი მიქმეე ძლივ ქალათ, მეტს არა გემუდარები!
ეს ნატვრი ვაშლი ჩაკმიმა და ცას შეეპყრა თვალებით,
ნინია ისევ ყანას მკის, შვილი კი დადევმს ღორებსა,
თინია ძენიკებს აკერემს და დასდევმს სოფელი ჭორებსა.

232. დადგა თიბათვე

დადგა თიბათვე, დაწიფთა ბალი,
მაზედ შემოსხდა ჩიტი მრავალი,
ჭიკჭიკით ლხინით ჭამას შეუდგნენ,
თითქოს სუფრაზე ხეზე ჩამწკრიედენ.
ჭიკჭიკით ლხინით შეუდგენ,
არ შეისმინეს ბალის ჩივილი,
თლათ გოუმკეკეს ნამყოფი ტკბილი.
როცა კი გაძღენ, წამოიშალენ!

233. ქვედრულა მოდიდებულა

ქვედრულა მოდიდებულა, თლათ მოაქ თა და ბარია,
მელაშვილ დაუქადნია: მე მამდის ბევრი ქერია,
შენი ქვედრულა მოგიკვდეს, თუ ვერ გიცვალო ფერია.
მოსტაცა კალო-სამძელი, სამასი კოდი ქერია.
დიასახლისი სტიროდა: ამას რა მოვესწერია;
წისქვილის უკვან გაკიდა: წადი და იქა ფქვევა!
კაცებიც უქვან გაჰკიდა: წადი და იქა ცხეევა!

234. მიხამ რო ცხენი გაყიდა

მიხამ რო ცხენი გაყიდა. ცხენი იყიდა უხვიაო,
სტუმრები არ ეზარება, პურ-ღვინო აქ უხვიაო.
ტყიბული გზაკრები შეხედა — კოლია და ლავრენტიო,
სეითა ცხენზე მოახტა, სხარტლი ბიდორს დაეწიაო.
თლეული ჯალას რო გევიდენ, გააჭენეს ცხენებიო,
სეითამ ცხენი დაგრიხა როგორც არყის წანელებიო,
გულაბშარა არა ჰქონდა, თავი ჰქონდა მაგარიო.
სეითა გვერძე ისროლა, როგორც ბველი ყაკარიო.
ქუდი წყალმა წაართვა, მას მიჰქონდა სისინითა,
კოლია და ლავრენტია აკვდებიან სიცინითა.

235. იოსებამ ცხენი დაკლა

იოსებამ ცხენი დაკლა, წოულობას იხდისაო,
ზარეულათ მევიყვანოთ, ვინ რო კარგათ იცისაო,
ი ნიკო გადმევიყვანოთ, აფხაზური იცისაო,
ზაქარიას ნუ მოვიყვანთ, ბევრი ჭამა იცისაო,
იმას მაინც ვერ გააძღებ, გინდ უზიდვა ტეირთითთაო.
იოსებამ მოიწვია ქალიშვილი ძმისწული,
მიხელას ბიკებმა იციან კაი წმინდა რუსული.
რუსები რო შამევიდენ, იძახის ტიში-ტიშიო,
ჩიბუხი მაგრა გატენე, მაშინ ჩეიდე პირშიო!

236. იოვანემ ხარი დაკლა

იოვანემ ხარი დაკლა ჯუშიანზე ჯრელიო,
სტუმრები დეიპატიჟა, დიაკონი, ღვდელიო.
უნდა წირვა გედეიხადო! მოიწვია ერიო,
შხივანელი ბიკები ყველა კარქა მღერისო,

აბა, ბიჭებო, მიშველე, არ შოუშვა ხელიო,
თედორეს და ბაგრატიას ვაკრავენ ყელიო,
ჩემთან ეღარ გახდებიან, ფული მე მაქ ბრეკლიო,
სავაკროთ უნდა წევიდე საჩხერეთ-ჩიხაშიო.

237. გამარჯობათ, ღვთის წყალობა

გამარჯობათ, ღვთის წყალობა თქვეს ახალ ჩადგმულ კალოსა,
ეკან-უკან ვიხედები, ძაღლი არ მაშეპაროსა.
საწყალმა ჩვენმა ქალებმა მოკითხვა დამაბარესა,
სული თან გამამატანეს, ყაშეკა დამაბარესა.
შაირ-სიტყვების მეტეირე ფარახელი ვარ რაკველი,
შორი გზიდან გიახელი, შამამელია საკშელი.

238. ჩევიხოხინდე, აქ დავჯდე

ჩევიხოხინდე. აქ დავჯდე, ხომ არ დამელევა ლექსი,
ამოვიარე ხვანკარას, თქვენი სადღეგრძელო შევსვი.
ჩამოვიარე ფარახეთს, მამასახლისი გალახეს,
მივედი მისაშველებლად, ერთი-ორი მამარტყეს.
ჩამოვიარე სევა, დავიწყე განზე გაწევა,
ძველი დროები დავიარხეთ, თან მიპყვა ხალხის რბევა.
ამოვიარე სამთისი, გოჯოს მოხჭონდა სამტკიცი,
დაეჩოქე და შეესთხოვე, დასამალავი სად იცი!
ჩემთან წამოდი, გენაცვა, დასამალავი რა ვიცი!

239. სიბიტოს ცხენმა ბძანაო

სიბიტოს ცხენმა ბძანაო, ახლა დამიდგა ძალაო,
კეხ-უნაგერი დამადგა, ტყიბელში გამაქანაო,
ყველერის დაურწყვებას გამაკირავა წესშიო,
მძიმე საპალნე ამკიდა, იმან გამწყვეტა წენშიო,
ერთი ჯამი სიმინდი ჩამიყარა ბზეშიო,
ცოვება დამაწყებია, მარბენია გზებჩიო,
ერთი კაცი შამოისვა კრიხულაში წულებშიო,
სჯოგეებს აქებენ გლოლასა და ღებშიო,
უსათუოდ გაგაპარეს, თე ამიყვან ჩვენშიო.
ჩემი ვაკრობა რო გქონდა გოცირაძის ტბებშიო,
სოლომანა ეუნება: ნე ჩოეგდებ ხელშიო,
მაგის ცოდეა ავაკროლებს, გადამაგდებს კდემიო.
სილიბისტრამ საჩქაროზედ ფული მისცა ხელშიო,
სახტართან რო გამიყვანა, ხელს მაპირებს ფერდშიო.
ცალი თეძო რო არა მაქ, ვერ გეგო ხელშიო,
მიმიყვანა სახლშიო, დამაბა კარშიო,
ეოტა თივა მამიტანა, გამაზმორა ტანშიო.
დონაურმა შამამხედა, შამოიკრა ყბაშიო,
ვასილა ზურგზე შემაჯდა, ჩამიყვანა კლასშიო.
პეტრე მესხი ეუნება: — ქვე ვისია რაშიო?
— მამაჩემა მოიყვანა, გადასცვალა ხარშიო,
გაკენება მამინდომა, დამიშინა თავშიო,
ქვაზე ფეხი წამოკარი, წევიქეცი გზაშიო,
გიგოს მერა მოსულიყო, გამამწყია ტყავშიო,
კოლტად გამოგვადგება, ქვეც გაგვიეა ფასშიო,
ცხრილის კაბა გადაბან და შამოკრან ტაშიო.

240. კოლიამ ტაკკა გამართა

კოლიამ ტაკკა გამართა, უღლათ მისი ცხენებიო,
ტყიბულიდან მოიტანა სათიბავი ცელებიო,
უნა თივა მოვიტანო, დავასუქო ცხენებიო,
შაშუალო გოუგზანა გირგოლას და მის რძლებს,
ქალიშვილი მოგეათხოვე, არ მოუკიდებთ გიდელს,
ფუტა შხიანას წუვიდა სანახავათ დასთანა,
სიძე მეპურე ბიკი ხყავს, ტოლზე პური დათალა.
სანდროსაც ბევრი ფული აქ, ჩოთქსე ფული დათვალა,
აი, ძმაო ორასტი, ეს ფულია ორასი,
ერთი სახლი გავაკეთოთ, გინდ დაგვიჯდეს ოთხასი.
ერთი ქალი მეეწონა შხიანაში ფუტას,
უკანიდან მიზდევდა, უპირებდა ჩქმეტვას.

241. კოლია კაი ბიკია

კოლია კაი ბიკია, ჭკუიანი და ბძენია,
ახალუხიც კაი აცვია, როგორც კაკკაკი ჭრელია.
ძირაგეულ ცუცქიძის ქალს მაგრა მოხვია ხელია,
ჭორწილობა გედიხადა, რაგორც რომ მაჩაბელია,
გასწყვიტა ხარი და ძროხა, ტახი ხო ძველისძველია,
ბიძაშვილმა იორდანემ სუფრა გაშალა გძელია,
სტეფანეს ეუნებოდა: ღვინო მოიტა ძველია!

242. ივანე კვიტიშვილი

ათასრვაას ოცდა ცხრაში ხოლმანდია შუა ზღვაში,
ეს ივანე კვიტიშვილი რათ გოუჩთა დედას გვამში,
ჯერ საწალიკე მოგვისპო, ახლა დეპოს მიხყო ხელი,
ასტეხა ბუნტი ბოროტი, აგვირია მუშაობა,
გალავინსკზე რო გევიდა, იქ ოუშეა ბაირაღი;
კაზაკები დაგვაკვიეს თოფითა და ხრმალითა,
ივანემ რო თოფს შეხედა, ვაი ჩემსა შავს დღესა!
იქ მერჩია მომკედარიყო, საწალიკის შავ ტყესა,
ეს თებერვალი მარტიაო და აპრილში წავალ სახშიაო.

243. გლახუა გელბახიანო

გლახუა გელბაქიანო, გედიარე რაკის გორა,
ამისთანა საქმეები რა ეშმაკმა მოგაგონა.
ყორანაშვილი გიჩივა, რად დამიმოკლე მუხები,
მუჯების დამოკლებისთვინ შავათაც დეიხურები.
შეს გაკეთებულ ფანჯარას ვერ მოუხერხეთ შუშები,
წაასხი შენი მუშები — ეგნატელა და მუშები,
სამახსოვრათ მოამზადე, თავს დახურე თუშის ქუდები.

244. ლიახვმა თქვა, მოვდიჯდები

ლიახვმა თქვა, მოვდიდდები, არა წყალ დეკედარები,
თაპარა, შენ გადმადექი, მას დაეკვეშე თვალები.
იქიდგან წამეკედი, წამეკიღე ქინძი-ქონდარი-ყამები,
კახ-იმერელას შვილ მიქებენ, ღვინო უდგია ლალები.

მარანში შესელა მინდოდა, მაგრათ დაკეტა კარები.
აწ კობიაშვილს მიქებენ, კოშკი უდგია მყარები.
ძირაო რო გამოეთხარეო, მას დაესვი მექარებიო,
სამი ყმარწყილი წავართვიო.
წაეკარ ხელი, წავეკიცეო, წავაყრვიე თვალებიო,
დედ-მამა იმას მოსტირის; ვაი მაგათი ბრალები!
შენ, ლიახვო, რა გიძლიაო, რა ჩონჩქორი შეგიძლიაო,
მალე ვნახამო — დამშრალიყოო, დაგხვეოდეს კოღუებიო,
შიდ ბიკები ბანაობდეს და უნიფხო გოგუებიო.

245. როდეს აშენდა მანგლისი

როდეს აშენდა მანგლისი, წყარო ადინეს მილითა,
შიდ დადეს სასახლეები, თეთრათ შელესეს კირითა,
შიდა ჯის ქალი ლამაზი, თითებს იღებავს ინითა,
თრიალეთიდან შეეხვარე ყველა უზიდადა პინითა,
მეეხვარე პირად შეადგა, მეეხვარე ქალმა დასწყევლა,
ახლა მეეხვარემ დასწყევლა თავის ცოდეილის პირითა:
მე მოვსწრებოდე მანგლისსა, შენ ყიზილბაშებ მიყავდე,
ქვაც აღარ იყოს ძირითა,
მე გავხდე შენი სახსარი, ფული შემეცეს ქილითა!

246. ელელია, მელელია

ელელია, მელელია, დანა სამართებელია,
შენი გოკი მე შეეკამე, სექანი გემრიელია,
— ვაი, ჩემო დანა, საით დამეკარკე?
— სიმონიას კარზე.
სიმონია შინ არ იყო, წასულიყო დასთან.
ჩაეკარ ხელი კარებსა, ჩაფწკარულან ქალები,
ზოგსა ქუდი ახურია, ზოგსა ქუდი-ფამფალა.
დოქით ღვინო მოუდგამს-ყე, ისიც მე დოუქციე,
ვარდი ამიკრეფია, ჭურში ჩამიკრეფია,
ჭური აღეღებულა, ქალი აკელებულა.
ქალსა ქალი ჰყოლებია, ვაჟად გადაქცევია,
ვაჟო, ადრე ამიდექი, ჭალას ჩამინადირე,
ჭალა ეკლიანია, მუხა ძეწკვიანია,
გადადექი მაღალსა, დოუძახე თამარსა.
თამარ კარგი ქალია, მიქელაძის ცოლია,
მიქელაძის ნაცოლეო, ცოცხი მათხოვეო,
ცოცხი რათ გინდაო? დარბაზს დავფალამო.
დარბაზ რათ გინდაო? ცხენებს დავბამო,
ცხენი რათ გინდაო? ავაკენეფ დავაკენეფ!
სიმონიას კარზე მელა იჯდა ქვაზე,
აუქნიე მათრახი, სულ დეიწყო ცახცახი.

247. გიგოლია, მეო, რად დავიბადეო

გიგოლია, მეო, რად დავიბადეო,
რომ დავიბადეო, რათ გავიზარდეო.
ოცი წლის რო შეეიქენი, სალდათს წავე მეო,
სალდათიდან რომ მოვედი, ძმები ვეკითხეო,
ერთმა მომცა ხუთი პატრონ, ჯიბეს ულაგეო.

გენაცვალე, ხუთი მოვკალ, უკეთესი მეო.
წადი, დედაჩემს უთხარი, დასაფლავეო,
ჩემი სახელი და გვარი ზედ დააწერეო,
ძმაკაცები გაიელიან, წაიკითხავენო.

248. ია, ვარდო და სოსანო

— ია, ვარდო და სოსანო და პირო ენამრავალო,
ამ კურტუმელა ღამეშიო, ქალო, მე შენთან მოვალო.
— შენ ჩემთან ნურას მოხვალო, კარს მიდევს მაგარი კეტიო,
წაი და სხვაგან ეცადე, ახსენე მაღალი ღმერთიო.
— ქალო, შეს დაწუნებულსაო, რაც ღმერთს არ გეეცინებაო,
თავი ასპიტ გველს მიგიგავსო, მიწაში მძრომელასაო.

249. საყვარელო, მართალს მოგწერ

საყვარელო, მართალს მოგწერ, წერილია მელნითაო,
უშენობა მე მაწუხებს, სავსე ვარ მე სენითაო.
თუ ნება-ნებას დამყვები, სულ აგავსეფ ძღენითაო,
შენთან დროს გატარებაო მირჩევნია ჩემსა თავსაო,
შენი სიყვარული მკლავს, ცეცხლი მარტყია გარსაო,
და ნება თქვენი დამერთოს, მე გაგიღებდი კარსაო,
ღმერთი იყოს მისი მტერიო, ვინც ჩვეზე იტყვის ავსაო.

250. საყვარელო, ნეტა რა ხარო

— საყვარელო, ნეტა რა ხარო, რანაირი ვარდიო,
ჩემი თხოვნა ყურათ იღე, გადავიყაროთ დარდიო!
— ვაჲო, შემცთარხარო, შენი აზრი ტყუილიაო,
მე შენი ხომ არ გავხდები, რაც უნდა მამცე ფულიო,
და გული ისე გაიმაგრე, რაეაც ფოლადის გულიო.

251. ოსტატი კაცი ვიყავიო

— ოსტატი კაცი ვიყავიო, ხერხი დამქონდა გაბმულიო,
თქვენ მე ვერაფერს ვერ გეტყვით, ენა შეგექნათ დაბმულიო.
— ოსტატი კაცი ვიყავიო, გავთალე კარგი ორმოო,
თვითო ვერაფერს დამაკლებთ, თუ არ გამოხვალთ ოროლიო.

252. შელოცვები

(მოფეთებულისა)

მოდებულო დედიანო, მოდებულო მამიანო, მოდებულო შვილიანო, დილას მოედევით, მაინც მოდებული ხართ, შუადღეზე მოდებული ხართ, საღამოზე მოედევით, მაინც მოდებული ხართ. რა გინდათ აქ? აქ მამლები დაგეყივლებენ, აქ ცხენები დაგწიხლავენ, აქ ღორები დაგქილავენ, აქ ძაღლები დაგეყეფავენ, წადით, წაბძანდით, თქვენი გზა დაილოცება, მოძებნეთ თქვენი დედანი, მოძებნეთ თქვენი მამანი, ამას გაეყარე, იმას შეეყარე.

(დამწვრისა)

ელი ელავდა, მელი მელავდა, ზღვა შოშინობდა, ზღვა ფოფინობდა. წითელი ხუცესი წითელი ხარები ზღვას ხვნიდა, ქვიშას თესვიდა. ვინ გეიგონა, წითელი ხუცესი წითელი ხარებით ზღვა ხნული, ქვიშა თესული, სამ დღეს აქით დამწვარი, გაძნელებული?

(ბუცლის)

ძაღლი მყავდა თაყრში, მაღლა გორას გაუშვი,
შე ანელო მუცლს ტკივილო, ამ ბოშს ხელი გაუშვი.

(შაკიკის)

შაკიკი შამოსჩვეოდა სათიბისა ბოლოსაო,
ისთე სკამდა კინასაო, როგორც ხარი თივასაო.
გაუწყრა წმიდა გიორგი, გეიპარა დილასაო.

(სირსვილის, ეგზემისებური)

სირსვილი ხნამდა ყანასა, მოედასა დაჭაღასა, — მგელი ება ხარადა, მგველი აპაურადა, გასკდა მგელი, გაწყდა მგველი და სირსვილ ძირი ამაუწყდა.

(შეშინებულისა)

სახელითა ხვთისათა, მამისათა, ძისათა, სულისათა, წმიდისათა... რასი შეშინებული ხარ? რამ შეგაშინა? საქონელმა შეგაშინა, ადამიანმა შეგაშინა, რა სურიელმა შეგაშინა? ჯვარი გწყალობს ჯვარცმული, ვერას გაწყენს მაცდური. გწყალობდეს გიორგი, ჯვარი პატიოსანი.

(დამწვრისა)

სახელითა ხვთისათა, მამისათა, ძისათა, სულისათა, წმიდისათა... ზღვა ფოფინობდა, ქვიშა თესევდა, ვინ გეიგონა ზღვა ხნული, ქვიშა თესული? ვინ გეიგონა დაწვარი, მესამე დღეს იქით გაძნელებული?

(ნაავთვალისა)

სახელითა ხვთისათა, მამისათა, ძისათა, სულისათა, წმიდისათა... ვისი თვალი გეცა, ვისი მარცხის თვალი იყო? ჭრელთვალიანი იყო, შავთვალიანი იყო, შავკაბიანი იყო, თეთრკაბიანი იყო, შავბლუზიანი იყო, თეთრბლუზიანი იყო? ვისი მარცხის თვალი გეცა? სამი მუჭი ნაცარი, სამი მუჭი ნეფსები, ეცეს გულზე, მისი სღას, მისი ჭამოს, შეს თავს ჯვარი დაგვიწეროს. ამინ.

(სიყვითლისა)

მოდიოდა ყვითელი წყალი, მასშიდ იდგა ყვითელი ხე. მასზე შეჯდა ყვითელი ჩიტი, გეიკეთა ყვითელი ბუდე, ჩადვა ყვითელი კვერცხები, გამოჩეკა

ყვითელი ბარტყები. ყვითელო ხატო და ჯვარო, შენ დეიფარე სიყვითლისაგან ჩვენი ავადმყოფი. ამინ.

(საწერელისა)

საწერელი მიდიოდა ქამსა შუაღამისასა. შემოეყარა წინ მიქელგაბრიელ მთავარანგელოზი. — სად მიხვალ, შე საწერელო? — მე მივალ შენი გაჩენილი ადამიანის ტანში ხორცის საჭმელად, ძვლის სახრავად, სისხლის სასმელად, ტვინის სახვრეტად. — არა, სულმა წმიდამ, არ გაგიშვეფ ჩემი გაჩენილი ადამიანის ტანში ხორცის საჭმელად, ძვლის სახრავად, სისხლის სასმელად, ტვინის სახვრეტად! რა არის მაგის წამალი? ელანი, მელანი, ჩემი ხელით მწერალი, ქათმის შვილი, ქერის კბილი, ვაი, რა ვსთქვი, ჩემი თავის ჭირი, ჩემი თავის გამაჭირებელი. ამინ.

ᲘᲛᲔᲠᲣᲚᲘ

A. ᲗᲔᲠᲯᲘᲝᲚᲣᲠᲘ

1. ძველი ამბები

აქანე იყო ერთი ნაჩალიკი ტაროსელეკი. აგრონომი იყო. იმან ააშენა ზეით სახეშწიფო ბაღი, ზესტაფონის ბოლოზე, თავარი ბაღი და დაგვიბარა ოელი ხალხი, ვისაც შეეძლო კარქათ მუშობა. მეევიდა და მეიტანა ნერგები, წარე ლერწი (სადეღე ლერწი), რომელზედაც ცხოვრობს ყველანაირი ვენახი; ძირს მიწაში ის არი, მიწას ზევით გეშბრიელი ვენახი გვაქ. უთხრა-კე: აბა, იმუშაეთ, ისტავლეთ ხელობა, წადით და გააშენეთ ვენახებიო. ერთ თვეს ასტავლა ყველას ვენახის ღამყნა, გადაბრუნება მიწის ორი ბარის პირზე — სამ ჩარეკზე. დატრიალდა თელი ხალხი ღა, როგორც უყურებთ ჩვენს ნამყოფებს, ფილაქსარასაგან იყო მანამდი მოსპობილი. იმას ყავდა პამოშნიკი — გარეკი, ცოლი ყავდა იმას უმაღლესი ცოდნის. იყო ცოციალისტი, ჩუმი. მერკვილაძე იყო ერთი საქარელი. აფრასიონი, რომელიც დევნილი იყო და დახვრიტეს ისი სვირში. ტუნელებში ინახავდა თავს, კაზაკები დადევდენ. ამ აფრასიონ მერკვილაძეს ქონდა სვიაში იმ გარეკის ცოლთან. იმას საბეკდველი ქონდა პაკლამაციის, ღამე ბეკდავდა. აფრასიონს გამოქონდა იმიდან პაკლამაციები და ფანტავდა ხალხში, აბნევდა ღამე. ღამე ქადაგობდენ და სულ იღლიით დაქონდათ, ნიკოლოზის ჩამოგდება უნდოდათ, მარსელიეს სიმღერასაც ვიმღეროდით. მერე, ჩემო, ბატონო, შემდეგში ეს პირველიდან ჩუმათ იყო ქადაგობა; გურულები დადიოდენ, როსტომ დოლიძე იყო, ერთი კვირე მყავდა შენახული თავის რაზმელებით. ათას ცხრაას ხუთში გამევიდა. მერე თელი მუშები გაფიცეს, მუშებს შიაგნებიეს, ჭიათურიდან ჩამოვიღენ გაჯანგული მუშები, მობლაგუნობდენ. გეიმართა მიტინგი საღეუთთან. თომა ჩიქვილაძე — ღვდელი ბაირახით ჩამოუძღვა რაზმელებს, ჩამოვაეღოთ ნიკოლოზიო. იმაზე მივიდა საქმეი, რომე ჩამოგდება უნდოდათ ნიკოლოზის. მეევიდა დეპეშა — რა გინდათო! — არაფერი არ გვინდა შენიო! — მოქადაგელებმა. რაღაი არ მიიღეს, წიფის ტუნელი დახერგეს რაზმელებმა, მატარებელს წაუსდინეს გზაი რაზმელებმა. ეს ტაროსელეკი გუბერნატორად გადიყვანეს ხუთეიში იმ დროს აქიდან. ბაგრატიონს ბოიკოტი გამოუცხადეს და მევიდა აქანე გუბერნატორი. აფრასიონი რო ქადაგობდა კრებაზე, ესროლეს, გეიქცა, წევიდა. იმან მერე დიდხანს იარა დევნილის დროს, ხუთ წელიწადს იმანაც ბევრი მოკლა კაზაკები, იცოცხლ! მიცა თბილისიდან გუბერნატორს. მოცეს დეპეშა — ვაენი გუბერნატორი გეძახის ალიხანოვი — მიდის ბათომზე და გოუშვი, დალიხული არ იყო წიფა? გამოცა ბძანება, გასწმინდეთ წიფის ტუნელიო. ის ქე მოტყუუდა. უარს ეტყოდენ ვაენი გუბერნატორის გასვლაზე? გამოუშვა, რომ ჩევიდა ქუთეიში ისი (ალიხანოვი), შამბრუნდა ჯარი, ზასტავი ზასტავზე ყავდა სულ კაზაკი, ქუთეის ცეცხლი მოუკიდა,

რომ ააშვირეს ყველამ ხალხმა და მერე პაჟარი კამანდას დოუძახა და თვითონ ჩააქრო, ზესტაფონი დასწვა თელათ, მუხლზე ეყარა დამწვარი სიმინდი. მეფართლეები დეიწვა თავის დუქნებში. დეიკავა ისთევე თავის სახლეწიფო და მერკვილაძე გადავარდა მერე და დევნილი შეიქნა. ერთ ღამეს ჩევიდენ ჩემსას ბიჭები. ლამფას ვერ გაამთებდი. ეასვი ღვინო და (ცენტათ იყვენ მოსახლეები), ბევრგან სროლა მოუხდა, ოუხოვდა ბომბით კაზაკებს კვალს და გევიდოდა. მერე, ჩემო ბატონო, მაშინ დასახვრეტი ხალხი ქე დახვრიტა ნიკოლოზმა. ზოგებს არ მოუდგა დახვრეტის მუხლი, გაასახლა სამძღვარს გარეთ, მერე მოუწყეს, ცხრაას თოთხმეტში, ომი სერბიას, მოკლეს ბევრი სამძღვარზე; ხემწიფის შვილი იყო და შვილი ყავდა და მოუკლეს და დეიწყეს მერე მუშაობა ცოციალისტებმა (თოთხმეტ კვირვობისთვეს გამოცხადდა ომი, გერმანია, თათარი და ავსტრიაც გვეჩხუბებოდა). ჯარს ეუმბებოდენ: ძირს ომიო. ჩამოაგდეს ნიკოლოზი. გააქციეს. ნიკოლოზის ადგილზე კერენკი დაჟდა. მინისტარი იყო. მერე, ბატონო, კიდო იმუშავეს და კერენკი, იგივე ნიკოლოზი, ისთევე ჩამოაგდეს. მერე დამყარდა ჩვენი თავრობა. ასთე იყო ძველი ამბავი.

ზესტაფონში უნდა მეეკლათ პრისტავი. კოლია ნეფსაძე იყო. გადიკიდა ერთმა ტეროლისტმა ლივერი, — ღვედი არ ერტყათ. ამ წესით ადგა და წამევიდა. შეხვდა კენუი. უნა მოკლას. ამეევიდა სამტრედიაში და არი ხომ, გეცოდინებათ თქვენე, დაქსოილი კინიგზები. მოკლა პრისტავის პომოშნიკი იქ. ეს ბიჭი კვალითელია. წამევიდა და მევიდა ქუთეიში. ბალახოვნის ქუჩის ამა და ამ ნომრის აკოლოჩნიკი უნა ისსვერპლოს. გააგორა მაშთავე. ამევიდა ზესტაფონში ეს პრისტავი — ნეფსაძე. ეს ნეფსაძე დადევს რაზმელებს დასაპირავათ. ადგა და მევიდა ჩემ სამეპურო დუქანში. ჩემ პირდაპირ პადვალია. ჩევიყვანე და პურს, კერძს ჩამოგიყვან-თქვა. გაჩენია პრისტავს ვინცხა, რომე ესა და ეს კაცი წამევიდა ბათუმიდან შენ მოსაკლავათ და დაარტყი ობისკი თელ ზესტაფონს, ამოაჩინე, თვარა მოგკლავსო. გამოსულა საობისკოთ გამოღმა ბაზარში და მე გაღმა ბაზარში მქონდა დუქანი. გადუბრუნებია თელათ მეფართლე პადვლები, ყველა ეძებს ამ ბიჭს. მოუსტრო იმ დროს, რომე პადვალშია და იარაღი აქს. ხიდიკურში მე დუქანი მაქვს და ყელია და რეხვავს და დააგდეფს. მოვიდა ობისკი, ამოაჩინა ეს ბიჭი. ამან უთხრა, რომეო რა გინდაო. წეიყვანა ციხეში, დიდ ციხეში. გააგზავნა მაშინათვე იატაპით ბათუმის ციხეში. ქვეც გადუწყვიტეს. მერე მოვაწყეთ საქმე. ის ნეფსაძეი მაინც მოკლეს რაზმელებმა მესამე დღეს. აღარ დაფარეს იმათმა, მისი მოსამსახურეები მოკლეს, ამათ მიეხუტა ეს პრისტავი, ერთი პოვარი და ერთი ხელზე მოსაფსახურე. ნეფსაზე ყვარობდა ჭილაის ქალს, უკეთესი ქალი არ გამოდიოდა. ამ ქალის ინტერესობა ყველას ქონდა. ნასტავლი იყო ის ქალი. ის რო ტანცავიო ვეჩერში ითამაშებდა, მისი გამსტორებელი არავინ იყო. სტავლაც ქონდა, შეხედულებაც ქონდა. ყოველ ღამის პირველ საათზე გეივლიდა ჩემ დუქანთან, — და იქინე უნდა მომკვტარიყო, კაკრაზ მაინც იქანა ჩეესაფოეს იმას.

2. ხემწიფის სამი ვაიშვილი

იყო ერთი ხემწიფე. ყავდა სამი ვაიშვილი. სამი ვაიშვილში ერთი გამორჩეული ყავდა. ერეკ უძახოდა: ბეითამალი ხარ, გლახა ხარო, ეს ორი შვილი

კარგია ჩემიო. ადგენ ეს სამივე ძმები და წევიდენ სანადიროთ, სამივე ძმები. ძმებიც ქე ბრაკავს ამას, მარა წამევიდეს, იყოსო. იარეს კაი ძალი გზა და შევიდენ ერთ თაში. ინადირეს, ცეცხლი დაამთეს, შველი მოკლეს. შეწვეს, ჭამეს, ზოგი აკაპეს და შამეიკიდეს ცხენზე და წევიდენ. გევიდენ ამ თაში და გასალიერი ნახეს თაში. გევიდენ. ერთი ქვა დევს აქანა. ამ ქვასთან სამი გზა მიდის. ამ გზაზე აწერია — ქვაზე: „ამ გზაზე ვინც წევიდოს, კარჭათ იაროს", „ამ გზაზე ვინც წევიდოს, ვეღარ მევიდოს".

ადგენ და ძმებმა უთხრეს: — ჩვენ უნა გავნაწილდეთ და გზები უნა დავპროშოთ, სამი ძმა ვართ, უნა წევიდეთ ცალ-ცალკე! — ადგენ და წევიდენ. — ამ ქვასთან რო მევიდოთო, მოუცადოთ ერთმანეთსო. წევიდენ. ამ გზაზე გაგზავნეს ის, ნაკლები, რომ ვერ მევიდოსო. ამათმა კაი გზები ეირჩიეს. იარეს, იარეს და ესენი რაში გევიდენ, ვინ იცის, და ეს გლახა შევიდა ღამეში, უდაბურ ღამეში. რა ქნას ახლა. ადგა და ერთი ირემი მოდის ამ ღამეში და მხეცივით მეეჩვენა ამას, ქვები, ნაწნავი გადაკრული აქ ამ ირემს. ამ ირემა ახლა ხეცივით ეს კაცი რო ნახა, შესაშველათ მეინდომა. ეს ბიჭი ეხვეწება:

— ასეა ჩემი საქმეო, მე ნუ შემჭამ შენო; თუ მიპატრონეფ, კაი იქნებაო.

— გიპატრონეფო, — უთხრა.

— ამა და ამ სახენწიფოში უნა გამიყვანოო. — დაძმობილდენ ახლა ეს ირემი და ეს.

— შამაჯექი ზურგზეო, — ამ ირემა სულ დაადო ტყე-ველი, გასტრიალდა და წევიდა. გეიყვანა ერთ სახენწიფოში. ამ ხემწიფეს ყავს ფრინველები და მესამე სახენწიფოს ოქროს ხე უდგია იმას იქით. ეს ხენწიფე გამოუშვებს საღამოს ამ ფრინველებს. წავა ეს ფრინველები, დაკრეფავს ოქროს ამ ხეზე და მოუტანს ამ ხენწიფეს. აპა გადევიდა ახლა და უთხრა ამ ირემა:

— მე ყოველდღე გამოვალ აქანაო, წადი, მეისაქმეო და, როცა გნახაო, მაშინ წაგიყვან იმ ქვასანაო. სადაც შენ ხარ შამოსულიო. — გადევიდა ეს ბიჭი და წევიდა. მიადგა ამ სახენწიფოს და ამ ხენწიფეს კოშკში ყავს ზეთუნახავი ქალიშვილი. აქედან ამ კოშკს ძირს წყალი გოუდის. გადაცურა ამ წყალში და გევიდა. ნახა იმისი გადია. ამ კოშკში რომ ხენწიფის შვილს პატრონოფს.

— მეო ამა და ამ ხენწიფის შვილი ვარო და ამაშიო რა არიო?

— ამაშიო ხენწიფის ქალი არიო.

— აპპაო, მამიხერხე მაშოვიო საცოლოოო.

— გაშონიეფო, — უთხრა, — მოციქულობას მოგიტანო და მოგიტანო.

წევიდა, ასეა, ასეაო, უთხრა, დღეს-ხვალ, ღღეს-ხვალ და ამას ჩუმათ ინახავს. გააკეთა საქმეი, უნდა წამოყვეს ცოლათ.

— დავალებული მაქსო, ქე რო ოქროს ხეს უკრიფავსო, ის ფრინველი უნა მიშოვოო.

— ადვილია, გიშოვიო, — დედალ-მამალი ფრინველი დოუჭირა, მუალაპარაკა, ფიცი დადვეს ცოლქმრობის, წამევიდენ, წამეიყვანა ახლა მოტაცებით. მევიდა იმ ტყისპირზე, სადაც ირემა გამეიყვანა. ირემი ყოველდღე გამოდის ამ ძმობილის სანახავათ. წამეიყვანა ირემი ისე, გამოარონია იმ ბნელში და მეიყვანა იმ ქვასთან. ამ ბიჭს მამიდგან წაყოლილი ძაღლი ახლავს. — ყველა ძმებს ყავდა ძაღლი, — ეს ძაღლი ქე ახლავს, და დასვა ამ ქვასან.

— დაქსვამ ამ ქვაზე და გულთმეცარი ვარ და ნურავის დოუცდი, წადი, გიღალატებენ შენი ძმებიო, — ეს ირემი ეუმბება.

— არა, ჩემი ძმები რავა მიღალატებენო. — ქე მეიცადა. გამეიარა ორმასაბა დღემ და გამევიდენ ძმები. ეამარჯობა — გაგიმარჯოს. არცარა ზეთუნახავი უშოვია, არცარა ქონება. კაფშირი გააბეს. მერე წერილს მოქწერო, გადიამ დოუბარა. ესენი გულდაწყვეტილია, ამას ბზეთუნახავი მიყავს, ეს ფრინველიც მიყავს, ქონება — რამდენიც გინდა. იმდენი აქ. მოკიდეს ხელი ამ ძმებმა, გეეიღენ, მეილაპარაკეს და: — ეს ქალიო შენ გაყვდესო, — უთხრა უმფროს საშვალმა. ეს მიბრიეეს-მობრიგეს, გალახეს. ეს ქალი რას იზამდა, დატოვეს ამ თის ძირში ეს ოქრო-ვერცხლი, ქალი წამეიყვანეს და წამეეიდენ. დატოვეს ეს გალახული. არ მოკვდა სიგრილით ეს ბიჭი! მოუწვა ე ძაღლი გვერდით ტყი პირში ამ ქვასთან და არ შორდება. დაღამდა, გამევიდა გელი, ხელები არაფრის დადებით არ მოუშვა, რომ ეს შეეჭამაო. აპა, ეს ბიჭი მოსურსუმალდა თანდათანობით, მობრუნებული. ეს ძაღლი უდგია, ორ-სამ დღეს იქით ფეხზე დადგა. წამეეიდა. დაახლოვებულია მამის სასახლეს, მევიდა. იმ დროს მევიდა, რომე ამ ბიჭმა ჯვარი ულვა დეიწეროს ამ ზეთუნახავზე ამ ორ დღეში. ამ ბიჭებმა მიიტანეს ამის ნაშოვარი, ეს ფრინველები გაფრინდებიან (დიდი ნიქვთიანია ეს ფრინველი) და ოქროს ეაშლებს მეიტანენ. — აპა, ეე მამაჩემს გოუმარჯოსო,— მიესალმა მამას ეს ბიჭი. გარიკნერია, არაფერი არა აქ.

— წაღი, წადი, ვისი შვილი ხარ, ჩემი შვილები აი ესენი არიენო, ღირსი ხალხი არიენო.

— აპაო, მამაო, თუ მე შენი შვილი არა ვარო, კითხეთ მაგ ქალს, რაც მაგენნა ეეში მეიბანეს, ვისიაო, და თუ ის არ იტყვის. მომკალიო. — იმდენი იმარჯვა ამ ბიჭმა, იმ ზეთუნახავს დაანახვა თავი, გადმოვარდა ეს ზეთუნახავი და მეეხვია საკმრის კისერზე. დედაც ყუროფს და მამაც. ეს ბიჭები გაშტერდენ (ტყუანი კაცი ფთხალია). წაკიდა ხელი მამამ იმ შვილებს, უბრძანა კარისკაცებს — აპა, დაატუსაღეთო. დაატუსაღეს იმინუჩი. გადუწყვიტა ჩამოხჩობა ამ სიცრუის გულისთვინ. გეიყვანა, დაახჩო ორივე, მეიწვია დიდი ხალხი, აკურთხა თავის ტახტზე ის შვილი. მოუდგა იმის მოყვრობის კავშირს — მამამის დეპეშა მისცეს, და ცხოვრობდენ მერე ისთე.

8. ჰაიდერი

იყო ერთი კაცი და ყავდა ერთი შვილი. იყო ღარიბათ. უთხრა ცოლს: — გამიკეთე საგძალიო! — ეოუკეთა ქალმა საგძალი. წეიყვანა ეს ერთი შვილი და თქვა, რომეო ან გაგაბარეფ ან რამეს გავხდები მისი გულისთვინაო. მივიდა ერთ წყლი პირას და დაედა საჭმელათ. რო გაათავა ჭამა, ადგა ზეზე და უთხრა შვილს: — ჰაიდერო! ამ დროს ამევიდა წყლიდან, ჰაიდერი ერქვა თურმე წყალში და შეეკითხა, რა გინდაო? კაცმა უთხრა: — მე უთხარი ამ ბოვშს ჰაიდერი, წასვლა მინდოდა, თუ არა შენ კი არ გიძახოდიო! — სამი გყავს ეგ ბოვშიო? — კითხა ჰაიდერმა, — მე გამატანე და მე გამოგიზდიო. მოდი ხვალმე აქანა შენთან და დეიძახე დათქმულ დროს „ჰაიდერი!" და ენ გამოგიყვან ხვალმე შენ შვილსაო.— რამოდენიმე ჯორკიდებული ფული ქე მიცა ბოვშის მამას.

მერე რო გამევიდა ხანი, მამა მივიდა წყლისპირას და დეიძახა — ჰაიდერო! მევიდა ჰაიდერი თავის შვილიანა. მამამ უთხრა: — უნა წეეიყვანო ე ჩემი შვილიო! — ჰაიდერი არ ანებებს ახლა შვილს, მარა არ დატოვა, წამეიყვანა.

ეს ბიჭი ჰაიდერზე უკეთ ნასწავლი შექნილა. წამევიდა ახლა ჰაიდერი და დეედევნა მამა-შვილს. ბიჭი ადგა და მიმინოთ გედიქცა და გაფრინდა ზეით. ჰაიდერი გედიქცა შევარდნათ და გამეეკიდა. მერე ეს ბიჭი გედიქცა კურდღლათ და წევიდა ტყეში. ჰაიდერი გედიქცა მწევრათ და გამეენთო. ბიჭი გედიქცა ვაშლათ, ჩოუვარდა ხემწიფის ქალიშვილს, მზეთუნახავს, კალთაში. ჰაიდერი ჰედიქცა ჯაყვათ და მოუდგა გვერდში.

ატრიალეფს ახლა მზეთუნახავი ხელში, ჯაყვაც კაი და ვაშლიც კაია; რო უნდა გაჭრას, გედიქცა ნეფსათ ვაშლი, ახლა ჯაყვაც გედიქცა ძაფათ, გეეყარა ნეფსში, გეიქცა ნეფსი, შევარდა ცეცხლში, დაწვა ძაფი და დეიწვა ჰაიდერი.

ასთე აჯობა მის მასწავლებელს შაგირდმა. იქ ჭირი, აქ ლხინი და ჩვენ კარქა ვიყოთ.

4. უქმის შენახვის ძალა

იყო ერთი კაცი, წევიდა, მეისმინა ნირვა და დაწვა ჩეროში. მისი ბოვში ბურჭალობდა გარეთ. ჩამეიარა გელმა, დაავლო პირი და წეიყვანა. მიაძახა ქალმა: — რა შობი, კაცო, ბოვშს რატო არ მიხვედი! — ამ კაცმა ხმა არ გეიღო,— თუ ჩემია არ დეიკარქებაო, — ჩეილაპარაკა.

გათენდა მოორე დღე, დეიბანა პირი, გედიწერა პირჯვარი და წევიდა ცხენით ბოვშის საძებრათ. იმ უქმეში არ დოუძახა გელს, არ მიატანა. იარა, იარა და დადგა ერთი მოსახლისას. უთხრა იმ კაცმა, მაიჭელმა, რომეო, სა მიხვალ, რავა არი შენი საქმეო! — ბოვში წამართვა გუშინ გელმა და მივალ საძებნათო. — რა მოცლილი ყოფილხარო, დღეს რაღათი ნახავა, მაშვინ ვერ დაატოვებიე, ბეჩაო! — უქმე იყო და არ მივაძახეო, — უთხრა. — უიო, — უთხრა, — ეს ოდა-სარაია მე უქმი დღეს ავაშენე და ბოვშს გართუმდენ და ხმა არ გეეციო! — თუ ჩემია, არ დეიკარქებაო, — უთხრა კაცმა.

გათენდა დილა და შეჯდა ცხენზე და წევიდა. მათრახი ქე დარჩა აფრაზე დაკიდებული ამ სახლში. წევიდა, წევიდა ეს კაცი და ერთ ტყეში ნახა, მგლის ლეკვებში თამაშოფს მისი ბოვში. შამეიკინა ცხენზე და წამეიყვანა, ჩამეიარა ამ კაცისას მათრახზე, მიეიდა და ნახა, მარტვანა ის აფრაა დარჩენილი, თუ არა სხვა ქე დამწვარა ეს სახლი. ჩამეიღო მისი მათრახი და მერე ქე წეიქცა ის აფრაც.

ასე ყოფილა უქმის შენახვის ძალა უწინ დროში თურმე.

5. შავიცხენიშვილი

იყო ერთი კაცი შავიცხენიშვილი, უთხრეს ერთსაო, რომეო: — სიდან ვაჩდი თუ იციო! იმ ცხენის შვილი ხარო შენეო, გეიზარდე და ახლა კაცი ხარაო.— მერე სულ ქე უვლიდა ისი ამ ცხენს.

ადგა ეს კაცი და წევიდა სოფლებში. რომ გეიარა ერთი მანძილი გზა და ნახა ერთი კაცი ხნავს ყანას. უძახიან ილას ბელტიყლაპიას. — ვაჩარჯობაო! — უთხრა ამ შავიცხენიშვილმა ბელტიყლაპიას. ეს ბელტიყლაპია ხნავდა და თან ბელტებს ყლაპავდა. — რა კაცი ხარ შენეო? — უთხრა შავიცხენიშვილმა, — ამ მიწას რო ხნავო და საღამოს ქე ჭამო! — კაცი მე კი არა ვარ, — უთხრა,— კაცი ის არი, შავიცხენიშვილს რო ეტყვიანო, ქე რო აქებენო. — ის არ იცის,

თუ ეს არის. — აპა, შავიცხენიშვილი მე ვარო, — უთხრა ამან. — აპა, მიძმე და ერთხელა ვიაროთ ორივემო! — იძმო და წევიდენ.

გეიარეს ახლა და მივიდენ ერთ სოფელში, ნახეს, ღვდელს ეკლესია კიდია ზეერგზე და დაღის მისი ეკლესიანა. — კა

ქალმა: — დღეს, ბატონო, ჩვენი ღვდელი რატომ არ იყო ეკლესიაზეო? — ღვდელს ნათქვამი ქონდა ცოლისთვინ, რომოო დღეს მიტომ ვერ ვწირამ, ყვავი გამამიხტა უკან ტანშიო! — წყარობე ახლა ცოლი ეუნება მეზობლის ქალს, რომეო ყვავი დაბადა ჩემა ქმარმაო! — მერე სულ გააგდეს ეს ღვდელი იმ სოფლიდანი.

8. აცაბაცა

იყო ერთი აცაბაცა. იხდიდა ქორწილს და წევიდა, იარა, იარა და შეხვდა კატა. — გამარჯობა! — გაგიმარჯოს! — საით მიდიხარო? — უთხრა კატამ. — შენსა მოვდიოდი, კვირას წირვა მაქ, ქორწილი მაქ და მეწვიეო! — გეწვევი და წველა ყველს მოგიტანო!

წევიდა კიდო, იარა, იარა და შეხვდა ძაღლი წინ. — გამარჯობა! — გაგიმარჯოს! — სა მიხვალო? — უთხრა ძაღმა. — მე შენსა მოვდიოდიო, კვირეს ქორწილი მაქ და მეწვიეო! — გეწოვიო და შემოგწირავ ერთ ქათამ-მამალსო!

წევიდა აცაბაცა და შეხვდა მელია წინ. მელასაც ასთე უთხრა. — გეწოვი სწორეთ და ინდოურს მოგართმევო! — წევიდა აცაბაცა, იარა, იარა და შეხვდა ტურა წინ. იმასაც ისთე უთხრა. — გეწოვიო, — უთხრა ტურამ, — და მოგიყვან ცხვარსაო! წევიდა, იარა, იარა და შეხვდა დათვი წინ. დაპატიჟა დათვიც, ქორწილი მაქაო! დათვმა უთხრა:—კი გეწოვი და ერთ მოზეერს შამოგწირავო!

წამევიდა აცაბაცა, დაჟდა სახში და სვამს ყალიონს. მევიდა კატამ და დეიძახა: — აცაბაცაო, აპა ყველი და შეინახე ბუჯერშიო. — მევიდა მერე ძაღლი და დეიძახა: — აცაბაცა, აცაბაცაო, — მეიტანა მამალი, — დააბი ეგერ მამალი! — დაბა აცაბაცამ. — ეს ვინ არი, ვინ მოსულაო? — კითხა ძაღმა კატაზე. — რა ვიცი, ქე მოთრეულა ე კატაო! — უთხრა აცაბაცამ. დეეღრინა ძაღმა და ქე გადენა კატა. დაჟდა თითვან ძაღლი ცეცხთან, მევიდა მერე მელიაი, მეიყვანა ინდოური, — დააბი ინდოურიო! — უთხრა აცაბაცამ. დაბა და მევიდა მელა ცეცხლი პირა. — ეს ვინ არიო? — იკითხა ძაღლის.—რა ვიცი, ქე კი მოთრეულაო! — უთხრა აცაბაცამ. წამოაგდო ზეზე ძაღლი და გააგდო მელამ. მერე მევიდა ტურა. დეიძახა. — მობძანდიო! — მევიდა და მეიყვანა ცხვარი. — ეს ვინ არიო? — იკითხა მელასი. — რა ვიცი, ქე კი მოთრეულაო! — ეცა მერე ტურა და გააგდო მელა. მერე მევიდა დათვი, მეიყვანა მოზეერი. დაბა და იკითხა: — ვინ არიო, — ტურის. — რა ვიცი, ქე კი მოთრეულაო! — დაკრა ტორი და გააგდო გარეთ.

დაჟდა აცაბაცა და დათვი ერთათ. ახლა უთხრა აცაბაცამ: — ერთი დიდი ცაცხვი მაქ ეზოში და მამიჭერიო! — უთხრა დათვს. დოუწყო ჭრა. მერე უთხრა: — ხელი შეაშველეო! — დათვმა მიადო ხელი, მეიჭრა ცაცხვი და დეეცა დათვს. მოკვდა დათვი და დარჩა აცაბაცას ყოლიფერი ძღვენი. აქ ლბინი, იქ ანაქვეტი, აქ ქფილი.

9. ქოსატყუულეები

იყო ორი ქოსატყუილა. ჩაყარა გიდორში ჩეჩქი, თავზე დააყარა მატყული და წევიდა საშოვარში. მორემ ჩაყარა გოდორში ბზე, თავზე დააყარა ბამბა და წევიდა საშოვარში. ესენი გზაში შეხვდენ ერთმანეთს. გამარჯობა — გაგიმარ-

ჯოსო. უთხრეს ერთმანეთს. მერე რო დამმობილდენ, უთხრეს ერთმანეთს, რომეო გავცვალოთ გოდრებიო. გაცვალეს. გეიარეს რამოდენიმეთ გზა და ორივემ ნახა, ერთს ამოუჩნდა ჩეჩქი და მოორეს ბზე. წევიდენ, იარეს, იარეს და ისევე შეხვდენ ერთმანეთს და: —ეჰეეა მომატყუე, შე კაცო! — ერთმანეთს ეუნებიენ. წევიდენ მერე და დოუდგენ მოჯამაგირეთ ერთ დიდარ სომეხს. იმ სომეხს ძროხა ყადდა ერთი. იმ ძროხას უნდა მოდგომოდა ერთ დღეს ერთი ეს მოჯამაგირე და მოორე დღეს — მოორე. წადენა ახლა ერთმა ქოსატყულმა ძროხა. დეიწყო სირბილი ამ ძროხამ. დადევს ეს მწყემსი. მევიდა საღამოს სახში ძროხიანა. უთხრა ამ მოორე აფხანიკს: — დღეს რო წამეღო კრავატი, დავწვებოდი და ვიძინებდი სულეო, მისთვინ რომეო ძროხა არსა არ მიდიოდაო. ამ მოორემ უთხრა, რომეო სანაკელე დაეხვეტე და ხემწიფის ბაღში გადავყარე და ვეზირებმა სულ ღვინო მასვესო. თურმე ქე ურტყეს.

მოორე დღეს ამ ერთმა მეიკიდა კრავატი ზურგზე და წეიყვანა ძროხა სამწყესავად. დარბის ძროხა და დადევს უკან კრავატაკიდებული ქოსატყულა. ამ მოორემ დახვეტა კიდო სანაკელეი და გოდოუშვა ხემწიფის ბაღში. ბევრი ურტყეს. მევიდენ ორივე სახში. თქვა ერთმა, რომეო ბარე მამკალით, კრავატიანა მარბენია ძროხამ, ისთე დარბოდაო. ამ მოორემ უთხრა: — რისთვის დამღუპეო, დღეს ნაკელი ხემწიფის ბაღში გადავყარე და რტყმევით მამკლესო!

ახლა ღამე ეს ძროხა პატრონს რო ყავს დაკეტილში, იფიქრეს ამ ქოსატყულებმა. დავკლათ ეს ძროხაო: ახადეს სახურავი ძროხის სამბულს, ჩააბეს გოდრის ბაწარი, ჩაჯდა შიდა ერთი და ჩოუშვეს ბაწარი ზეიდან. ჩეკვიდა, დაკლა ძროხა, გაატყავა და ხორცი ამეიტანა გოდრით ზეით, ტყავში გამოხვეული. თითვან ჩარჩა შიდ. ზეით მყოფმა დოუძახა: — ხო დაგტოვე შიდაო, სომეხი ხაზეინი მოგკლავს ახლა შენაო! — ხორციანი გოდორი ქე მეიკიდა ამ ზეითმყოფმა და წამეიღო. რაოდენი გზა რო გეიარა ამ ხორციანმა, გოდორში თურმე ხორცი კი არ იყო, თვითან იყო მეორე ტყავში გამოხვეული. მიაძახა გოდრიდან: — მეიცადე, შე კაცო, აღარ დეიღალე, დეისვენეო! — გაშრა წამღები გოდრის და ჩაედა აქვე გულშამოყრილი.

10. შვიდი ბიჭი

იყო ერთი ცოლ-ქმარი. ამ ცოლ-ქმარს ყავდა შვიდი ბიჭი, შვილები. უნდოდათ, რომე გადეეკარქათ ეს შვილები. უმცროს ერქვა ოენზისა. მეილაპარაკეს ცოლ-ქმარმა, რომეო ტყეში დავკარქოთ ეს შვილებიო. ეს ლაპარაკი ეყურება თენგისას. წეიყვანეს ეს შვილი ტყეში. გზაში ეს თენგისა კენკებს აბნემდა, რომეო იქნება გზა გამევიგნო მერეო. რო წამეკვიდენ დედ-მამა ტყიდან, ამ უმცროსმა ბიჭმა წამეიყვანა ძმები და მევიდენ დაღამებულს სახში. დედ-მამამ უთხრა-ყე შვილებს: — სა იყავითო ამდენი ხანიო? — შვილებმა არაფელი არ უთხრეს. მერე პატ-პატარა მიცა. მერე კიდო მეილაპარაკეს, დავკარქოთ შვილებიო. წეიყვანეს მერე და უმცროსმა პურის ნამცეცები იქონია და მოაბნია გზაში. რო დატუოს დედ-მამამ, წამოსვლა უნდოდათ ისევე. მარა პურის ნამცეცები ჩიტებს ეეკენკათ და ქე დარჩენ ტყეში. დაცხო წუმამ; შევიდა უმცროსი ბიჭი ხეზე, დეინახა სინათლე, ჩამევიდა ხიდან, წეიყვანა ძმები სინათლესთან და მიეიდენ მოსახლისას. დეიძახა, გამევიდა დევის ცოლი, შეიყვანა ყველა ამ დევის

ცოლმა და დაუყენა სახში. დევი სანადიროთ იყო წასული. მერე მევიდა დევი, შამევიდა სახში თუ არა, —რაცხა სულია კაცის აქანაო! — აქანა ცხვარი შევწვი და მისი სული იცნობაო! — ეიღო დევმა და ეე გადაყლაპა ცხვარი. დაწვა ყველა. ადგა ზეზე დევი და დოუწყო დანას ლესვაი, უნდა დაკლას შვიდივე ბიჭები. თითვან შვიდი ქალიშვილი ყავდა. დევის დანის ლესვა რო გეიგონა უმცროსმა ბიჭმა, ადგა და ქალიშვილების სახურავი საბნები ბიჭებს დაახურა და დაწვა. ადგა დევი და თავის ქალიშვილებს გამოჭრა კისრები.

გათენდა თუ არა, ეს ბიჭები გეიპარენ. გევიდა დევის ცოლი და ნახა, თავის გოგოებს გამოჭრილი ქონდა კისერი და შეენა კიკილი. მერე დევმა უთხრა: — მამეცი ცხრა ვერსიანი წუღები და ბიჭებს მოვძებნინო! — წევიდა და უფროსი ბიჭი გამოქვაბულში რო იყო დამალული, იმ გამოქვაბულზე ჩამეეძინა. ადგა ეს პატარა ბიჭი და გახადა ცხრავერსიანი წუღები და მოკლა დევი. ჩეიცვა წუღები და გოუდგა გზას. იქ ჭირი, აქ ლხინი, იქ ქატო და აქ ქფილი.

11. ჭინკის ამბავი

ერთ მოსახლისას ყიფიანი ყოფილა თუ ვინცახა, ოჯახის კაცს ჭინკა მოუყვანია სახში. თურმე ცხენით მონავალა მოყვრებიდან. დაღამებული ყოფილა და შამოხტომია უკან ჭინკა. ამ კაცს ორივე ხელში წოუღლია ხელი და წენზე შამოუკრია ჭინკის ხელები. ასე წამოუყვანია. სოფელში რო შამოსულან, ჭინკას გადახტომა მოუნდომებია, მარა ამ კაცს მაგრათ მოუკრია ხელებში ხელი და მოუყვანია სახში.

ამ კაცს ქონდა გაგონილი, რომ ჭინკას თუ ფჩხილებს დაჭრიდი და დოუმალავდი, საუკეთესოთ გემსახურებოდა სახში. დაჭრა ფჩხილები ამ კაცმა, დამალა და იყო მისი წუთისოფელი ეს ჭინკა მოსამსახურეთ ამ კაცთან. გამევიდა ხანი და ერთ კვირე დღეს ეს კაცი თავისი ცოლით წირვაზე წევიდა. დოუბარა ჭინკას, რომეო: — შამოკიდე ქვაბი, ხორცი მოხარშე და გაკეთე სადილიო! — დატოვეს ბოვშიც ამ ჭინკასთან. ჭინკამ რო გეისტუმრა ისინი, დეიწყო თავის ფჩხილების ძებნა და ბოვშს ნეეხვეწა — მაშიძებნეო. ქი არ ნახა ბოვშმა და მიცა! რო მიცა ახლა და მიჭრა ბოვშს თავი და ჩაადგა ქვაბში და შამოკიდა ცეცხზე, თითვან ქეიქცა იმ ეკლესიაზე, საცა ისინი იყვენ წირვაზე. შევიდა ხეზე და დოუძახა თავის პატრონს: — სადილი მზათ არი და სახში წამობძანდიო! — თითვან ქე ჩამევიდა ხიდან და გაჭრა, წევიდა.

ჩეევიდენ ესენი სახში და დახვდათ ქვაბში ჩადგმული შვილი. ირტყა თავში ხელი დედ-მამამ, — რატომ ცეცხში არ დავწეით მისი ფჩხილები! — მარა რას უშველიდენ.

21. ბროლისახარი

ერთხელ ჭინკა მივიდა ოჯახში ერთი მოსახლისას, დეიძახა ქალის სახელი:— ბროლისახარ, ბროლისახარო! — გახედა ბროლისახარმა. ბროლისახარი იყო ბეგია ქალი (აკუშერკა). ჭინკას თურმე ცოლი ყავდა მოსარჩენი. მაშვინ ჭინკობა იყო და აქანა ახლოს იყვენ თურმე ჭინკები. რომ გახედა ბროლისახარმა, წამეიკიდა ჭინკამ, არც ის კითხა, მომყობი თუ არაო და წეიყვანა, მიიყვანა, საცა თვითან ცხოვრობდა გამოქვაბულში. მივიდა, რასაკვირველია, და მეეხმარა ავათ-

მყოფს, რავარც რიგი იყო, ბროლისახარი. მერე პატივი კაი ცეს, აჭამეს, დაასაჩუქრეს, ორი ხალთა გაამსეს ნახშირით და აჩუქეს. წამეიყიდა ისევე ჭინკამ ბროლისახარი თავის ნახშირიანა და მეიყვანა სახში და უთხრა, რომეო ეს ნახშირი შენი საჩუქარია და შეინახეო. ბროლისახარმა იუკადრისა ნახშირი, გეიტანა ეზოს პირზე. გამოყარა ნახშირი, დაყარა ერთსალაგა და ხალათები ქე წამეიღო სახში. მოორე დღეს კიდო გამორეკა ხალთები და საცხა ყურეებში რომ ნახშირის ფიჩხები ჩარჩენილიყო, ოქროთ გადაქცეულა და გამოვარდა შიგნიდან, გეიქცა მერე ბროლისახარი ისევე იქა, საცა ერსალაგა ნახშირი ეგულებოდა და ერთი ფინჩხა აღარ დახვდენია, ისე წოუღიათ ჭინკებს ისევე.

13. მელია და მგელი

იყო ერთი კაცი სახნავათ და ხნავს. მოდეეს მელიას მგელი. გეიქცა მელიაი, გაძვრა ორკაპალა ხეში, მგელიც გაყვა და გეეკვეხა. მიუბრუნდა მელიაი და კბინა. დოუძახა ხვნელ კაცს მგელმა: — მოდი, ერთი, ხე მოაჭერიო! — მივიდა ნაჯახით კაცი და მიაჭრა ხე. გამოუშვა მგელი. უთხრა კაცს მგელმა: — არ თქვა არსა, მე თუ ეს ამბავი მომივიდაო! — წევიდა საღამოს კაცი სახში და მოუყვა ცოლ-შვილს, რომოო მგელს ეს საქმე უქენიო, მელია მეერია მგელსაო. წამივიდა, იმ ადგილას მგელი დახვდა. მგელმა უთხრა: — გვიან გამოხნავ, გვიან გამოგზრავ, ადრე გამოხნავ, ადრე გამოგზრავო, მიტომო, — რომ გათქვა მისი ამბავი. ამ დროს მელია ფშტვენს, უძახის ძაღლებს. მგელი ქე უწევს სახნავში ამ კაცს. მელიამ მიაძახა კაცს, რომოო მაით ძაღლები ეტეევებიენ, მგელი ხო არსა არისო? — არ არისაო, უთხრა, რადგან მგელი არ გათქვა. — აპა, რატომ მოდიენ ძაღლები მაითკენაო? — ეგ შავი რო არი, მადანა, აპა, რა არისო? — ჯირკიაო, — უთხრა კაცმა. — ჯირკი თუ არი, ურემზე დადევიო, — დოუძახა მელიამ. ეიღო კაცმა მგელი, დაადვა ურემზე და გადაკონა ჯაკვით. — ეიღე ახლა და ნაჯახი დაკარიო, — უთხრა მელიამ. დაკრა კაცმა ნაჯახი და გააპო შვაზე მგელი და მელიამ ამით გადაარჩინა მგლის შეპმას. იქ ჭირი და აქ ლხინი.

14. დედინაცვალი და გერი

იყო დედინაცვალი და გერი. ყაედა ერთი ძროხა. ამ ძროხას გაატანდა ამ გერს საბალახოთ, გაატანდა ერთ კოკორს და ერთ გინმარქა ბამბას. უნდა დეერთა ბამბა, ეს კოკორი თვითანაც უნდა ეჭამა, გამვლელ-გამომვლელისთვინაც უნდა ეჭმია და სახშიც უნდა მეეტანა. ეს ძროხა ერთი ბებრის ეზოში გადევიდა ერთხელ. იქანა კაი სათიბი ქოსდა. მივიდა ქალიშვილი გამოსადენათ და მიაძახა ბებერმა: — მოდი აქანაო, შვილო! — მივიდა ქალიშვილი და უთხრა ბებერმა: — ჭამოს სათიბი ძროხამ და ბამბაც მოუტანე ძროხას დასართავათ რქებზე. ნახეს, რომ თან რთავს ძროხა ბამბას და თან ჭამს ბალახს. მერე ამ ბებერმა უთხრა ქალიშვილს: — შვილო, სახლი მამიჩეჩქეო (დამილაგეო)! — მივიდა ქალიშვილი, დაალაგა, დაასუფთავა სახლი და ყოლიფერი. მერე უთხრა ბებერმა, რომეო, მოდი და თავში მამიჩაჩქუნეო! — მივიდა ქალიშვილი, დაბანა ბებერი, დარეცხა. დალოცა ბებერმა ქალიშვილი, — წადი, შვილო, და დიდი მდინარე წყალი რო მიდის, მიდი იქა და ოქროს ფერმა წყალმა თუ ჩამეიაროს, ჩოუყავი თმა შიდო, ვირის ფერმა თუ ჩამეიაროს, არ ჩოუყო თმა

შიდაო! — მართლაც, წევიდა ქალიშვილი და ვირის ფერმა წყალმა რო ჩამეიარა, თმა არ ჩოუყო, ოქროს ფერმა რო ჩამეიარა, ქე ჩოუყო და ამოყვა ოქროს ნაწნავები.

ყოველდღე დეიარებოდა ეს ქალიშვილი ამ ბებერთან. დედინაცვალიც ატანდა ერთ კოკორს და ბამბას. თანდათან უკვეთესი ხთებოდა ქალიშვილი. თითვან ყავდა დედინაცვალს თავისი შვილი სახში და არასფერს არ აკეთებიებდა, მაინც გლახა იყო. ერთ დროს თავის ქალიშვილსაც გაატანა ძროხა და ყოლიფერი ისე, რავარც ატანდა, რომეო ეს სამწყესურში დადის და კეთდება და იქნებ ჩემიც გაკეთდესო. წევიდა ძროხა და დაჩოული რო იყო, ბებრის სათიბში შევიდა. ეს გოგო რო მივიდა გამოსადენათ, ბებერმა უთხრა: — მოდი აქანა შენ, მა ძროხამ ჭამოს ბალახიო! — მივიდა გოგო და უთხრა: — სახლი მამიჩეჩქეო! — წევიდეს ეს გოგო და, რაც ნაგავი ნახა, შეიტანა სახში და მოაოხრა იქაობა. მერე უთხრა: — თავში მამიჩაჩქუნეო! — მიიტანა გოგომ ქვები და მორთო თავში ბებერს. დაწყეველა ბებერმა, უთხრა: — წადიო, მდინარე წყალი რო არის, ოქროს ფერმა ჩამეიაროს, არ ჩოუყო თმა შიდაო, ვირის ფერმა ჩამეიაროს, ჩოუყავიო! — მივიდა გოგო და ოქროს ფერმა წყალმა რო ჩამეიარა, არ ჩოუყო, ვირის ფერმა რო ჩამეირა, ჩოუყო და ამოყვა ვირის ასო, თმების მაგიერათ.

წამევიდა გოგო და მივიდა დედასთან საღამოს და შეხედა ქალიშვილს დედამ და გადირია, რო ასთე საშინლათ იყო. — რა ამბავია ეგეო? — კითხა ქალიშვილს. უთხრა ქალიშვილმა, რომეო ბებერმა ასთე დამწყეველა და მისთვინ მაქ ასეო! დედამისმა დაკლა ძროხა და ამ გერმა იტირა ამაზე და წევიდა იმ ბებერთან. უთხრა ბებერმა: — ნუ გეშინია. ხორცს ნუ ჭამ მისასო და ძვლებს თავი მოუყარეო! — ამ ქალიშვილმა ჩეიცვა შავები და ძვლებს თავი მოუყარა და, საანაც ება ძროხა, იქანა ჩაყარა ჭერქვეშ. მერე ერთ დროს წირვა რომ იყო, წევიდა დედინაცვალი და მისი ქალიშვილი წირვაზე და გერს დოუბარა, ეზოში რო დამგვრეული (დაყრილი) ფეტვია, ის მობოქე და სადილიც დაგვახვედრეო. წევიდა წირვაზე თვითან. ამ ქალიშვილმა, რავარც ისინი გედევიდენ ღობეს გადაღმით, მაშინათვე დატრიალდა, ფეტვიც მობოქა და სადილიც გაამზადა. დეიბანა ხელპირი, ჩევიდა თავის ძროხის სამბულში, ახადა ჭერს თავი და მოალაგა ტანსაცმლები და თანაც ერთი რაში ამეიყვანა. ჩეიცვა ყოლიფერი და შეედა რაშზე. იმისთანა ჩაცმული და იმისთანა ლამაზი არავინ არ ყოფილა ეკლესიაზე. ყველა იმას შეჩერებოდა. მეიყურა წირვა და გამოტრიალდა, მოასწრო დედინაცვალს სახში. ისევე ნაცარში ჩამჯდარი დახვდა. მევიდენ თუ არა წირვიდან დედინაცვალი და მისი ქალიშვილი, ჩაარტყეს თავში, — შენ კი გავხარ იმას, წირვაზე რო ქალიშვილი იყო რაშითაო!

წირვიდან რო მოდიოდა გერი, ქოში გზაში დეეკარქა ერთი ფეხის. მერე ეს ქოში ხემწიფის შვილმა ნახა და ეს ქოში დაარონია ყველგან და თქვა, რომეო, ვისაც ეს ქოში მეერგება, ჩემი ცოლი ის იქნებაო! იარა, ბევრი იარა ამ ხემწიფის შვილმა, არავის ფეხზე არ მეერგო ეს ქოში. როცა იქნა, მიატანა იმ ადგილზე, საცა გერი ცხოვრობდა. მივიდა იმ ოჯახთან და უთხრა, რომეო, ეს ქოში თუ მეერგო, თქვენ ქალიშვილს ცოლათ ვითხოვო. დედინაცვალმა გერს გოდორი გადაამხო და თავის ქალიშვილს ქე დოუწყო ქოშის გაშინჯება, მარა ფეხი არ ჩოუვიდა შიდ. გერმა შეხედა გოდრიდან და თავის ქოში იცნო. აფხაკურდა გოდორში და ამ დროს შეხედა ხემწიფის შვილმა და იკითხა: — ვინ

არი მადანა დამწყვდეულიო, გამეიყვანეთ ჩქარაო! — გამეიყვანეს გერი, ჩეიცვა ქოში და საათივით მეერგო ფეხზე. მერე მოკიდა ხემწიფის შვილმა კლავში ხელი გერს და უთხრა: — შენ ცოლი და მე ქმარიო! — წევიდა ეს ქალიშვილი ძროხის სამბულში, ამოალაგა თავისი ტანისამოსი, ამეიყვანა რაში, ჩეიცვადეიხურა, შეჯდა რაშზე და გაუვა ხემწიფის შვილს. დედინაცვალმა და მისმა ქალიშვილმა რო ეს დეინახეს, ტირილით მოკვდენ, დეეფსოთ თვალები. ჭირი იქა, ლხინი აქა.

15. თებზ-ეშმაკი

თურმე იყო ერთი კაცი, დეეძებდა ქალს იმისთანას, რომ არ უნდა ყოფილიყო დედის ნაშობი. წევიდა და ეძება, მივიდა ერთ ბებერთან და დადგა. უთხრა თავის ვინაობა ამ ბებერს. უთხრა იმ ბებერმა: — მე დედა, შენ შვილიო. თუ არ შეგეშინდებაო, ერთი ხემწიფის ეზოში სამი ლერწამია ამოსული, მიდი და მოჭერი. შუანა მოგაყვირებს, ყოლიფერი ცხოველი, ბუნჭველაც კი მოგაყვირებს, მარა არ შეგეშინდესო! — წევიდა, მოჭრა, წამეიღო. მოაყვირა ყოლიფერმა, მარა უკან არ მეიხედა. მეიტანა ლერწამი. გადაჭრა ამ ლერწამზე ბებერმა, შოუდვა ამ კაცის საბანში. გასკდა ლერწამი და გამევიდა შიდ ქალი, რომ თვალით უკუთესი არ შეიძლებოდა გენახა, ტიტველი. მოფოთნა ამ ბებერმა თავის ტანისამოსი და გაატანა ამ კაცს. ის კაცი ხემწიფის შვილი იყო ღა: — ეს ქალი არ დატოვო არსად, მიიყვანე ასე სახშიო, — დოუბარა. რო მივიდა სახლის ახლოს, ირცხვინა ამ კაცმა, ხემწიფის შვილი ვარ და ეს ქალი ასე უბრალოთ რავა შევიყვანოო, და წყალი პირზე დააჟინა და წევიდა სახში. თვითან ქალმა უთხრა, ნუ დამტოვეფო! მაინ დატოვა და უთხრა, ტანისამოს მევიტან და ჩაგაცმევო, მერე წაგიყვანო. მერე ამოხტა წყლიდან ეშმაკი, უწიანა ხელი ამ ქალს, გადააგდო წყალში, თვითან მისი ტანისამოსი ჩეიცვა და დაჟდა წყლიპირს. მევიდა ის კაცი და უნდა დიდებულათ წეიყვანოს ციდან გადმოვარდნილი ქალი და დაავლო ხელი, მიიყვანა სახში, გადიხადა ქორწილი. მერე ეს ქალი გადიქცა თებზათ და თოთმანობს წყალში, გაატანს ამა დროს ხემწიფე ცხენებს კაცებს წყლის დასალევნებლათ და ცხენები არ სვამენ წყალს, ეს თებზი აშინებს. დახმა ცხენები უწყლობით.

უთხრეს ხემწიფეს. გაგზანა მეთებზეები ხემწიფემ და დეიჭირეს ეს თებზი. გოუკეთეს ვანა და ჩასვეს შიგ, დასაკლავათ რო ვერ გეიმეტეს, მეიგონა ამ ეშმაკმა ავანტყოფობა. მოაქთ წამალი და ყოლიფერი, ხემწიფეს რა შამეელეოდა! იძახის ეშმაკი: — არ მამიხდა, არ მამიხდაო! ამ თებზს თუ დაკლამთ და შემაჭამევთ მარტვანა მე, მოვრჩები მაშვინო.

ძალიან შეენანა ხემწიფეს თებზი, მარა რას იქდა, დაუკლეს და შეაჭამეს. მბილს ჭამს და ძვალს ცეცხლში ყრის თურმე. გადავარდა ერთი ორკუოპალა ძვალი და გაუვა ვეზირს ჩექმაზე და დარჩა ეზოში. ამევიდა თურმე ხე და ელვარობს ეს უშველებელი ხე. მიხვდა ისევე ეშმაკი, საცხა ძვალი გადამივარდაო, და მეიგონა ისევე ავათმყოფობა. აბა, რაი და: — თუ მოჭრით იმ ხეს, დაწვავთ თავის ძირზე, შეწვავთ ერთ ქათამს ზედ, შემაჭმევთ, მაშვინ მოვრჩებიო! — ხემწიფეს ძალიან დეენანა იმ ხის მოჭრა. თურმე მის საბრძანებელში მისთანა არაფელი იყო, მარა მაინც დოუჭრეს ჭრა. გეიარა ვეზირმა, სახში მიდის და თქვა თურმე ვეზირმა: — ეხო, რა კაის ჭრიან ამ ხესო? — ავარდა ნაფოტი და ჩოუვარდა

ამ ვეზირს ქუდის ნაკეცში, წევიდა და ქუდი რო გარეკა, გამოვარდა ნაფოტი შიგა, მეეწონა მისი ელვარობა. წეიღო და მისგან საბარცხალი გააკეთა. დეიბარცხნის თავს ყოველ დილას და წავა სამუშაოზე. სახში არავინ ყავს. გამოხტნება ეს საბარცხალი ქალათ, დაალაგებს ყოლიფერს, სადილს გაამზადებს და დაახვედრებს. მერე ჩაძვრება ბაყაყის ხოხოპინაში. კვირობს ეს ვეზირი — ვინ მიკეთებს ამასაო?!

გოუდარაჯდა ერთხელ და დეიპირა. უთხრა ამ ქალმა: — შენ მამა და მე შვილიო! — და მერეთ იყო ისთე. მერე უთხრა ამ ქალმა ვეზირს, რომეო, მეიწვიე შენი ხემწიფე თავის რძლითო! — მე რა მაქ, შვილო, მისი სამაინძლო და რაფერ შევხვთეო! — ნუ გეშინია, შენ მე აბიდას არ გაჭმევ, ოღონდ მეიყვანეო! — გადასახავს ეს ქალი ჯვარს იქაობას და გაჩთება ყოლიფერი, რასაც ადამიანი მეისურვილებს. მეიპატიჟა ვეზირმა ხემწიფე, დასხა ხალხი. რო გეიწყო სტოლი და ნახა, ხემწიფემ კითხა ვეზირს — ვინ აკეთებს ამ ყოლიფერს, შენსას რო არავინ გყამსო! — წევიდა ვეზირი და უთხრა ქალს: — გამოდი, შვილო!— ხოხობსა ვწვავ და გეახლებიო.

მერე გამეიტანა ხოხობი და მიართვა ხემწიფეს. — აპა, ახლა ვთქვათ რამე გარმოცანა ან ზღაპარიო! — და მოყვა ეს ქალი ყოლიფერი თავიდან, ლერწმის ჯოხიდან მოყოლებული. ეშმაკი, ამის გამგონე, მიხვდა და ეიბღუზა. სხვებმა უთხრეს, ეგ მართალი არ იქნებაო. — თუ ეს მართალი არ არისო, ხოხობოო! — მიუბრუნდა შემწვარ ხოხობს ქალი და უთხრა: — მადანა იყავიო, თუ მართალია, გაფრინდიო! — ხოხობმა შემოკრა ფთა და გაფრინდა. მერმე ეშმაკი ქალი გამოაბეს ცხენის კუდზე და დაგლიჯეს. ეს კაი ქალი ქე წეიყვანა ხემწიფემ რძლათ. იქ ჭირი, აქ ლხინი.

16. ვირი, თხა, ღორი და მამალი

თურმე იყო ერთი ვირი, ხედნიდენ და გოუშობდენ ხოხორიკზე. წევიდა, გახდა იძულებული, და დაძმობილდა თხასთან და იარეს ერთათ. თხამ უთხრა: — მე შვილებს მიკლავენ და შენთან ერთათ გედევიკარქებიო! — წევიდენ. დეინახეს ღორი. ჩუჩუნით კითხა-ყე: — სა მიდიხართ, ძმობილებოო?— მივდივართო, უთხრეს, — მე შვილებს მიკლამენო, — თხამ უთხრა, — მე მხედნიან, არაფერს მაშმევენო! — ღორმა უთხრა: — მეც თქვენი აფხანიკი ვყოფილვარ და მეც თქვენთან წამოვალო.

გეიარეს და ნახეს მამალი. მამალმა უთხრათ: — საით მიხვალთო? — მოუყვენ სამივე თავის გაჭირვებას. — მეც თქვენი აფხანიკი ვყოფილვარო, გარეშემო ყველა ქათამი დაკლეს და აწი მეც ქე დამკლავენ და წამოვალ თქვენთანო. — წევიდენ.

იარეს, იარეს და მივიდენ ერთ თაში, ნახეს ერთი ნაბინავები და დადგენ შიდ. თქვეს მერე, რომეო აქანა გონია მგლის ბინა არი, მოვა და შექვეამსო. მოდი, რავა ვქნათ ახლაო? შევიდენ ზესხვენზე. მამალი ხო იოლათ შეფრინდა, თხა იოლათ შეხტა, ახლა ღორი შეიყვანეს და დარჩა ვირი. ჩაავლო ღორმა ყურებში კბილი და ეიყვანა. დაწვენ მაღლა. მევიდენ მგლები და მიეფარცხენ ცეცხს. ვირმა უთხრა-ყე, რომეო მეშარდება და რავა ვქნაო? — მეიკუკე, მეიკუკე და ყურში ჩეიშარდეო! — მეიკუკა ვირი და რო უნდა ასთე ქნას და გადმოვარდა და ჩავარდა ღადარში. დაფთხა გლები და გადაცვინდენ.

გათენდა დილა, გამევიდა ვირი ბინის წინკარში და ყლოყინობს, ღორი ჩუ-ჩქნის მიწას, მამალი ყივა, თხა ბუჩქებში დადის. გამოგზანა გლეხმა გზირი: — რა იყო წუხელი ჩვენსაო? — გზირმა მოუტანა ამბავი, რომაო ერთი მიწას ჩუჩქნისო, მოორე ყვირის — მაანა არი, მაანა არიო! მესამე ბუჩქებში გვეძეფ-სო, მეოთხე გულს იბჯიხნის, გვეჩემებაო. გლები ამისთვინ ბინას ვერ მიეკარენ და დარჩათ ამათ.

17. ჩემი ცოლი

ქალის თხოვა მინდა გამწარებული. ახლა მაშვალი მომიდის. ეს მაშვალი მეუნება: არი ქალი, ფული — ქონება ზანტუკებით უდგია. თურმე კაპეიკის ბქონე არ არი. ვენდე მაშვალს და წევედი ქალის სანახავათ. თურმე ამ სო-ფელში გასათხოვარი სხვა ყოფილა და სხვა მაჩვენეს. რძალი მაჩვენეს. მული გასათხოვარი ყავს-ყე. კაია რძალი, მული თურმე არ ვარგა. წევედი, დავნიშნე ქალი. წევედი მაყრებით, ცხენებით, ქალს სედლოიანი ცხენი წამოუყვანე. მივე-დით. ახლა, რავარც იცი, მაყრები, სიძე ოჯახში, გამოყავს-ყე ქალი, მარა ფუთ-ნიენ, ხოვენ ამ ქალს, ჯვარი უნა დევიწეროთ. გამეიტანეს და დაადვეს ცხენზე ეს შეფუთნული ქალი. წევედით ეკლესიაზე. წავდექით ჯვარის დასაწერათ. რა-ვარც იცი, სიძის ამბავი, ვმორცხომ ახლა, არ ვიხედები ქალისკე. დაქვწერა ჯვარი ღვდელმა და შეგვატრიალა ჯვარის სამთხვევათ. შევხედე ქალს, რაღას შეხედავ: კუზიანი, ბრუციანი, იტყვი — წითელ პარასკეების ქვაბში გადავარდ-ნილაო, რაღა ვქნა ახლა? წამევიყვანე, ვიქეიფეთ მოყვარეში, წამეიყვანე სახში. გული მოყვა ამ საძაგელს მისანა, რომე — სად მულები მისტყეპა, სად დედამ-თილს კეტი დრუზა წელზე. დღე ერთია და დაჩოქება ასი ჩემი! — რამაც ღმერთმა მამაბარე, ისთე ჩეიბარე! — მისმინა ღმერთმა ვედრება ჩემი, მამიკვდა ქალი. ახლა მაშვალს ვენდობი? დამახჩვე მაშინ. კლავი კლავში და სახტარში, ქალს ისე აღარ ვითხოვ.

18. ალექსანდრე და ლუდიკი

იყო ერთი ხემწიფე. ყავდა ერთი ვაიშვილი. ამ ვაჟს ქვიოდა ალექსანდრე. ეს ალექსანდრე ადგა და წევიდა რაოდენიმე დღის ხარჯით სანადიროთ. მოორე ხემწიფის შვილი შეხვთა ტყეში. შიამხანაგდენ, ძმობა უთხრეს და წევიდენ. ია-რეს რაოდენიმე გზა, ქეც ბევრი ინადირეს, გადევიდენ მესამე სახემწიფოში. ამ ხემწიფეს კოშკში ყავს ზუთუნახავი ქალიშვილი. ამ ზეთუნახავს ათხოვებს იმ-ისთანა კაცზე, რო ეს კაცი უნა შეეპიდოს ამის ვეზირს. თუ მეერევა, მაშინ ატანს, თვარა და გაკრავს ლეკურს და გაადებიებს თავს. შევიდენ ესენი. ალექ-სანდრემ უთხრა: — მე ქალს არ ვთხოულოფო, საცოლე მყავსო, შენ უნა ით-ხოვო ეგო. — ეს ლუდიკი და ალექსანდრე ისე გავდენ ერთმანეთს, რომე ვერ გამეიცნობდი ვერაფელი კაცი. ზეთუნახავმა შამოუთვალათ, ეს ლუდიკი მო-წონს ამ ზეთუნახავს, — გადიის პირით შამოუთვალა. მამას კი არ აგებიებს.—ეს ასე იქნება, მარამო მოკლავსო ისო ლუდიკსო ჩემ საქმაროსო! — მარა ამ ქალ-მა შეწამა, რომე ეს არის უმფო ვაშკაცი — ალექსანდრე. ალექსანდრემ უთხრა ლუდიკს და ამ დროს ახლა მოუწია ვადამ. ალექსანდრე ამ ხანში უნა დაბრუ-ნებულიყო და ამ ქალს ვადა გოუდის, რომ უნა ეთხოვა. ალექსანდრემ უთხრა

ლუდიკს: — წადი შენო, რომელი ხემწიფეც მე ქალს მაძლევს და ვადა გამიდისო, წადი და იმ ჩემ ცოლზე დეიწერე ჯვარი და ქეც ეკურთხე ხემწიფეთო, დაჯედიო, მარამ არ მიღალატოო, — უთხრა. ამ შენ საქმესო მე გავალო, თუ მოკკვდები, მოკკვდები, თუ არა და მე ვიციო, ხოლოთ არ მიღალატოო, — დაბარა.

კრა ლუდიკმა ხელი და მევიდა იმ დაპირებულ პირობაზე და ქალსაც ატანს ეს ხემწიფე და ხემწიფობასაც აძლევს. მივიდა და ქალი რას შიატყობდა, — ისე გავდენ ერთმანეთს, ცნობა არ შეიძლებოდა. გეიყვანეს სამთიობოში დასაწოლათ, დაწვენ. ქალს უთხრა: — დაწვეიო, მერე მე დავწვებიო. — დაწვა ქალი. ამეიღო ლეკური და მიუდვა ქალს გვერდში და დაწვა მერე ტიტველი, ლეკური ჩადვა. შიასრულა. ნეფეთაც დაედა. ასე ასრულებდა ქალთან. ქალი ეუბნებოდა, — რატო შობიო, და: — მეო ფიცი მაქ მიცემულიო, ცოტა ხანსო.

ამას სახემწიფო ტანისამოსი ჩააცვეს და აკურთხეს ხემწიფეთ. გამოთხოვა მერე, რომე მეო ერთი კვირის ვადა მამეციო, უნა წევიდეო, და წამევიდა ალექსანდრესთან. ალექსანდრეს ეს საქმე მოუსაქმებია, გასულა დვერში, შამოუკრავს ლეკური და ათი ყაედა კვტარი ამ ქალის გულისთვინ. მევიდა აქ და შეიყვანა ალექსანდრემ ოთახში, ჩეიცვა ის სახემწიფო ტანისამოსი, შეიცვალენ ახლა, ქალმა ვერ გეიგოს. გამევიდა და წამევეიდა. ლუდიკს ვერ ესწრება, სიმამრმა ჯვარიც დასწერა თავის ქალიშვილზე და ნეფობაც გადაცა ლუდიკს. ალექსანდრე წამევიდა და მევიდა სიმამრთან. მის ცოლთან ეს არი ჯვარდაწერილი. დაწვა ქალთან. შეეხო ქალს, რავარც იცი, ისთე და მოკიდა ხელი ქალმა. — შენაო მაგნაირათ რო წვები ჩემთანო, აქნამდის რა იყოო? — რა ვქენიო? — ქალმა უთხრა, — ლეკური რო იდოო ჩვენ შორიოს! — ოტ, ლუდიკს ვენაცვალეო, მეო კაი უქენიო და არ გამწირაო! — ქალს უთხრა: — გამოქცადეო, შე ქალოო, რა იყო მერეო! — იუკადრისა გაკოცთა. — შენი ბოვში ვიყავიო? — შიაპარა საწამლავი, იმდენათ იწყინა. საცოლოებს ბეჭდები აქთ შეცვლილი და ამ ბეჭდებს იცნობენ ერთმანეთში. ამ საწამლავმა ალექსანდრეს ის დღე მისცა. რომეო გაატყავა თლათ, მატლებიც დაასია და ძალუმი ბიჭია, თვარა ვერ გადაიტანდა, მარა დაგლახაეფა. გამოაგდებია მერე კარისკაცებს. რაღას დაწვენს, როგორც მუნიანი ძაღლი, ისთეა, წვერიც გაცვინდა, სულ ჩამოოხრდა იმ საწამლავით.

წამევიდა ახლა, გამეაგდეს სასახლიდან და წამევიდა. იარა ახლა და უნა მევიდეს ახლა ლუდიკთან ეს დაგლახავებული კაცი. ეს კი ვერ იცნოფს, მარა ამ ბეჭედის იმედი აქ. მევიდა ამ იმაში — სასახლეში რაოდენიმე ხნის შემდეკ. ახლა აქანა რომ გეივლის ლუდიკის ცოლი და თითვან ეს მათხოვრები ჩეიწკაპებიენ, ეკლესიაზე რო იციენ, და საჩუქრებს აჩუქებენ. მივიდა და დაედა ეს ერთი გლახაც. გლახებიც აღარ კარობენ ამას, ისეა დაგლახავებული. ჩამეიარა ახლა ნეფის ცოლმა და ლუდიკმაც. გეიმართა სადილი, დაასაჩუქრეს მათხოვრები, ყველა წევიდა-წამოვიდა. ალექსანდრე დარჩა. კარისკაცები ეუმბება — წადიო! — ალექსანდრე ეუმბება-ყე: — ერთი თხოვნა მაქ თქვენზედო, უნა მცეთ პატივიო და ეს ჩემი თხოვნა უნა უთხრათ ნეფეს. მიდით და ჩემი სიტყვა უთხარითო! — კაიო! — დაბარა, რომეო, თუ გიყვარს-ყეო თქვენი ალექსანდრეო, აგერ ერთი მათხოვარია და გაფიცებს-ყე ალექსანდრესო, თქვენი სასამოთიო ღუნო დამალევეეთო, ალექსანდრე თქვენი თუ გიყვარს-ყეო! — დააფიცა და გამოცქვიტეს ყურები. ალექსანდრეს აფიცებს. წამეიძრო ბეჭედი

და ჩააგდო ღუნოში, უთხრა-ყე, — ეს ღუნო და ეს ბეჭედი მიეცით დედოფალს და ნეფეს. მუუტანა და უთხრა: — ამაში ბეჭედი ჩააგდო იმ მათხოვარმა, ქთხოვთო, რომეო გაშინჯოთო ე ბეჭედიო! — გაშინჯეს ბეჭედი იმ მინუჩი, ნახა ბეჭედი მისი ქალის, ალექსანდრეზე მისაჩუქრებული.

დედოფალიც და ეს ლუდიკიც წამოცვინდენ და გამეკიდენ კარში. მოვარდენ ამასთან, ამ მათხოვართან. — რაშია საქმე, ეს ბეჭედი ვინ მოქცაო? ის ჩეენი ძმა მოკლეს თუ საიდანო? — თუ ალექსანდრეა, რათი იცნობენ, წამხთარია. ეკითხებიენ: — ეს ვინ მოქცათ, სული და გზა ეყრება-ყე. ეს ბეჭედი სა იშოვნა ამ გლახამ! — მე ვარო, — უთხრა, ალექსანდრე ეუმბეება. აბა, დაავლეს ხელი ამ გლახას, გამოუძახეს აქიმებს, აბანოში გაგზანეს, დაასიეს აქიმები, რაოდენიმე ხნის განმავლობაში მუარჩინეს, კაი საჭმელი, კაი სასმელი; ამოუჩინეს კაი წამლები და ალექსანდრე შეიქნა ისეთი, რო იყო. ადგა და მერე ლუდიკს თავის და ყავდა იქ მიყვანილი, თავის ცოლთან, გასათხოვარი. მიათხოვა ისი, თავისი და. წამეიყვანა და იმ სანეფოში, რომელმაც მიწამლა, ცოლმა, მიადგენ, ეიღეს სისხლი და დააჯინეს ალექსანდრე ნეფეთ. თავისი და ქე მიათხოვა. ქონდათ კაი განწყობილობა.

19. მეცნიერები გამოჩდენ

მეცნიერები გამოჩდენ, ანგარიშს კრეფენ ცისასა,
სოფელი მეტათ შეშინდა, დეემხო დედას მიწასა.
ქვეყნიერებას მოგვირწყამს, საზდოს გავვიჩენს მისასა,
ყოველი წლის საზდოს გაგვიჩენს, თავისასა და ბრისასა.
სოფელში გამოაცხადეს, დაღამდეს შუა დღისასა,
სოფელი ძაან შეშინდა, დეემხო დედას მიწასა.
ზოგ-ზოგიერთი გარბიენ, წიგნს კითხულობენ ხვთისასა,
იქნებ ხუცებმა გვიშველონ, ეკითხებიენ ცისასა.
ხუცები უარესი არი დასუქებულან ტაბლებით,
სათბილოს ჭამენ ცხვრისასა,
ბოწაფეს რო არ ზოგამენ, ჩვენ რას ვირწმუნებთ მისასა.
ახალ ახოებს იღებენ იმ თაქარ დედოფლისასა.
ქვეყნიერებას მოგვირთამს, საზდოს გვეიჩენთ ხვთისასა,
ხოლოთ გაწყრა ანგელოზთა კრებული,
წავა, ამბავს მოახსენებს, ვინც არი განათლებული:
ჩვენ მაგ ქვეყანას ვერ შეეშლით, ღმერთმა ბძანა ანგელოზმა,
კარჭა ხართ დარიგებული,
წირვა-ლოცვას არ ვაღირსებთ, ხეთისაგან შეჩვენებული,
თუ იმითი ვერ გავსტეხეთ, მეხი მაქ გამზადებული.

(ამას ხუცური ეთქმის)

20. შელოცვები

(თვალისა)

სახელითა და სახელითა მამისათა და ძისათა, ხეირი მოხდენილი, წყლით მოხდომილი ხარ, ჰაერით მოხდომილი ხარ თუ რით ხარ, ჯვარი გწერია ყოველი ავი თვალისაგან და ავი სულისაგან.

(სისხლისა: საქონლის)

სისხლი ბაბასილი, სამი მამა-შვილი, სამი ურია, სამი სომეხი, ივლიან ქალაქში, ეძებენ წამალს, წამალი წამალსა, სისხლი ბაბასილისა, სისხლო, ნუ ხარ გაბერილი, ჩადექი და ოუშვი თვალისაგან.

(შიშისა)

ნუ გეშინია, გულო, ნუ გეშინია, სულო, ნუ გეშინია, ხორცო, ნუ გეშინია ძვალო, სულო და გულო, ნუ გეშინია, დაბძანდი შენ საგულესა, ხორცო და ძვალო, ჩადექ შენ კალაპოტსა.

(შეყოლილისა)

სახელი სახელითა, მამითა, ძითა, სულითა წმიდითა, მოხდომილო დედიანო, მამიანო, სულიანო, ძირიანო. ორშაფათს მოფურჩხული იყო, სამშაფათს მოფურჩხული იყო, ოთხშაფათს მოფურჩხული იყო, ხუჩაფათს მოფურჩხული იყო, პარასკევს მოფურჩხული იყო, შაფათს მოფურჩხული იყო, კვირეს აღდგომა არი. ეამოით, გამობძანდით, ეამოით, გამოქარდით, ძვალში იყო, მბილში ეამოდი, მბილში იყო, კარში გამოით, გამოით და გამობძანდით, თქვენ დედასიან წაით, თქვენ დედასთან წაით. რაპის მთა გადმეეიარე. თქვენი დედა ტირიდა, თქვენი მამა ტირიდა, ეატირიენ, ეაკივიენ: ერთი შვილი გეყავდა, ის დაგვეკარგა, წითელ ხარს კლაენ, სისხს სვამენ, მბილს ჭამენ, თავ-ფეხს თქვენ გინახავენ, გვიან მიხვალ, შეეგიეამენ, ჩქარა მიხვალ, შეგინახავენ. თქვენ დედასთან წაით, თქვენ მამასთან წაით, აქ რა გინდა-ყე, იქ არი თქვენი დედაი, იქ არი თქვენი მამაი, იქ წაით, იქ იქეკეთ, იქ იჩბრიკეთ, იქ სვით, იქ ჭამეთ, აქ რა გინდა-ყე. ფარაოზი, მირაოზი, კორნოსტინე, იარეთ და წაით. აქ არი შავი ძაღლები, აქ არი შავი კაცები, ეაგრეხვენ, დაგკეპენ, ცეცხში შეგაგდებენ, კარში გაგაგდებენ. ტიტე, მოსე, მომლაპარაკე, საით თქვენ დადიხართ, წაით თქვენ მამასთან. მამირთმეეია ცხრა თაეი, ოესლი, კაკალი, იმას გაყეეით, არსით თქვენი გზა და კვალი არ არი. საით მოსულხართ, იქ წაით.

(თვალისა)

სახელი, სახელითა, მამითა, ძითა გილოცავ ალვისასა, მალვირს, თვალღმისას, პირველად ჩემი თვალისას, მერე სხვისი თვალისას, შინაურებისას, გარეულებისას, დედაკაცისას, მამაკაცისას, ქალიშვილისას, პატარძლისას, თვალჩიჩხირას, თვალმანჩხისას, თვალშავისას, ვულშრელისას, თვალთათვალათ, თვალთაარამ, ბულთაარამ, წმიდე გიორგის ლახვრის ლაჩკარი, ასკილის ზეკარი, ჯოხის ისარი, ერდოს ცეცხლი, კარის მეხი, მუცელში სამართებელი. გადეიარე ეზო, ამეიგდე თეძო, შენმა აეი სულითა და გულით შემხედავმა. წეიქცევა მწარე ბალი, წაეარდება წარე წყალი, წამოვარდა წარე თვალი შენსა აეი სულითა და გულით შემხეღავს. მისი თვალი ქვას, მისი არჩიეი ძაღს, მისი სვას და მისი ჭამოს, ჩემსა ჯვარი დამიწეროს. არული, არული კუდიანებსა, ჯვარი აქაურობასა.

დასწერე ჯვარი შენი, გადაავლე მწყალობელი თვალი შენი. არგე და მოუხდინე ლოცვა ჩემი წამლათ.

(სისხლისა)

სამი სოსული, სამი სოფელი, სამი ურია, სამი სომეხი, დამა და მოკლა, ძმამა ძმა მოკლა, კერმა აბელი, სისხლით, გოუშვი, კმარა ამდენი. სისხლო, ნუ ხარ გაბერილი, გოუშვი და უფუ მგელსა, გველ-ბაყაყი გამიშვია, მუდო კბილით დამიხჩვია.

(ნაცოხრისა)

ზეითიდან მოდიოდა კუდმოკლე მერცხალი,
წინ დათვი შამეეყარა, თვალში მოდივა ცინცხალი,
იპი გელსა, ვარდი ანსა, ამეიღე ნაცოხარი.

(შაკიკისა)

შაკიკი შამოჩოულია სათიბისა ბოლოსა, ისე ჭამდა თივასაო, რავარც ხარი თივასაო. გოუწყრა წმინდა გიორგი, გეიპაროს ამ საათსა, დილას იქით არ გააწევ. წადი, ბურთან მიდი, ბურდმა უთხრა: — მემარილესთან მიდი, მემარილემ უთხრა: — გადახტენი ბოსტანში, მოგლიჯე სამყურა ბალახი, ისვი ყბაზე, თავზე, ის არი მაგის წამალი. გოუწყრა წმინდა გიორგი, გეიპაროს დილას.

(ხოკისა: ღორის დაავადებაა)

აბუჩანჩალ-მაჩანჩალა, მეღორისა კარსა მარიამი გადამდგარა, ნარგავსა და ნარგავს შუა ხობუკილმა შოუთვალა, ხარი და ძროხა დოუკლავსო, მე რატო არ მეწვეიო. შე მით არ გეწვიე. შეხვალ ღორის თავყბაში, კბილსა დოუწყებ კრიჭინსა, ტვინსა დოუწყებ ლიწინსა. არა, მამაძემ და სულმა წმინდამ არცა დოუწყო კბილსა კრიჭინი, არცა დოუწყო ტვინსა ლიწინი. თუმცა შევიდე ღორის თავყბაში, შევიდე ქერის ფხასავით, ჩამევიდე ქერის ქატოსავით ტყვიახორასა. ამ მოლოცვას მოგილოცავ დიდსა ღვთისა კარსა. პაპუჩელა მოტიროდა მეღორისა კარსა. მეღორემ ჯოხი გადაკრა, წადი მეზობლისასა. ვაი, წელებო, წელკავო, თეძოს თაო და ბარკალო!

(ნაფუძვებისა)

უცხო მიდორზე უცხო ხე იდგა. უცხო ფრინველი ბუდეს იდგამდა. შევედი უხელოთ, ჩამევედი უფეხო, დავკალი უდანოთ, შევწვი უცეცხლოთ, შევჭამე უპიროთ, გადავყლაპე სვავივით, მევინელე ყვავივით. გორელაი ბრუნდებოდეს, ნაღვდელები შეცდებოდეს. ძვალმა ირეკელა, რბილმა ირთუნა, რა არი მისი წამალი, თიკან-თიკან კუპრიელი. . . .

(წყლისა)

ანი იყო, ბანი იყო, წყალთა შუა ნაეი იყო, შიდ არ იყო დედაკაცი, დედაკაცო, მამიტანე კალამი და კალმისტარი, ავალ, ზეცას ვკითხავ დედას, ჩამევიტან ჯორიტერფას. საბარცხალო ბზისა, გაჩენილო ღვთისა, თუ ხარ წყლისა გაპარვისა. . . .

21. სამი ძმანები

იყო და არა იყო რა, ხვთის უკეთესი რა იქნებოდა, ჩემო ბიძიე. ერ სახენ-წიფოში ნაცხოვრებლარიენ სამი ძმანები. კაი-კაი შესახედავი ყოფილარიენ, რავარც უნობდენ. ერთქმანეთს ნაჯობლარან. ხოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, იგენს ედგენ თურმე თავის ეზოში (ძაან ეზო ქონებიენ) ბრეელი ხეები, მარა ქლათ სასტაული ყოფილა ერი ვაშლის ხე (ნეტეი მე მედგეს იმისანე ხე ჩემ ეზო-კარში. არ ავშენდებოდი, ჩემო ბიძიე, კაკალი კაცი?). ხოდა, იმფერი ხე ყოფილა, შენ ჩემი ბატონი, რომე მის უკეთეს ვერ ნახავდა ვერა კაცი. ეს ხე, ბატონო, ნაბამა მარტო სამ ცალს, იმისთანა შეჩვენებული ყოფილა, მარა რანეირი სამი? თელ ქოყანაზე, რომ შემოგევლო თელი დუნია, უფრო კარქი შესახედობის ვაშლს ვერ შეხვთებოდი. ეს კაი დეგემართოს, მარა არ იკითხავ, რა ბედი ეწვეოდა, როცხა წიფობაში შევიდოდა, ე ვაშლეფს? შენს ტერს იმისთანა: ვინცხა შემეი-ძუძგებოდა ამ ეზოში თვალუხილავათ და ქე მეიპარავდა ამ ვაშლეფს. იფიქრენ, იფიქრენ ამ ძმანებმა, ეს რა ეშმაკი შამოგვეჩვია, ვინ ოხერი დაძუძგუროფს აქანეო! რაცხა თვარ მეეისაზრეთ, გლახა დღეს დაგვაყენეფს ის ვინცხაა, ვარესი არ გვიქნასო.

გარაწყვიტენ, რომე დოუდარაჯდენ. ადგა უმფროსი ძმა და ეიღო შვილდ-ისარი და რო დაღამდა, ვაშლის ძირში დაქდა. გადის დროი, მარა არ ჩანს ის ვინცხა დასაღუპავი. ჩამეეყვინტილა ახლა ამ ბიჭს, ძილი მეერია, შვაღამეზე გადაცილებული იყო. კარქა მაგრა რო გამეიძინა და ქე გამეღვინძა დილაზე. გამეღვინძებოდა, აპა რავა იქნებოდა. შეხედა, მარა რას შეხედა: სადანეა შენ-ვაშლი, — ერთი ვაშლი აკლტა. ეს რავა მოშივიდაო, ბარეღამ დილამდი ვყოფი-ლიყავი ფხიზლათაო! რა დროს ნანორბაა აწი. კაცი საქმეს რო მოუდგები, უნდა მიაძიძგინდე ბოლომდი, ასე არ ვარგა. წამოვედი სახში და ჩაბარა ანვარიში თავის ძმეფს (კაი მაგას მოუვიდა, კაი ამბავი იმგენს).

მეორე ღამეს მაზე უნცროსმა დოუდარაჯა. ვნახოთ ახლა, რავა მეიქცევა ე მოორე ძმა. წარმეიდგინე, ამასაც დეეყვინტილა და შვაღამე რო შეიქნა, კაი მაგარ ძილში შევიდა. რა ძილქუში აწვება ამ მამაცხონებულიშვილეფს, არ ვიცი! კვტრები არიენ, თვარა რა მოხდა; კაცო, გაჭირვეის დროზე თუ გინდა. ცხრა დღე და ღამეს არ მევიკარეფ ძილს! მაგისანეები გამომიცთია? ხოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ქე დაბრუნდა ეს ბედოვლათიც დილაზენ თავი სახში. ასე და ასე იყოვო, კაი ხანს უდარაჯე, მაგრამ მეტი მოთბენა არ შემეძლო და ქე წაეთ-ლიმეო (წათვლიმა კი არა, თავში კეტი რომ დეგეკრა, ვერ გააღვინძებდი, ისოე უბედურათ ეძინა!). აგ.ასაც მოპარა ერი ვაშლი ი უჩინარმა.

თელი ოჯახი დაღვრემილია ახლა და იმაზე აქთ კამათი, რა გზას დავადგე-თო! ახლა უნცროსი ძმის ოჩერედია. ახლა მე მიყურეთ, რას ვიზამო, დეიწყო ტრაბახი ა უნცროსმა.

რა ხიტრობა იხმარა ახლა ამ ბიჭმა. რავარც მივიდა ხი ძირას და მიეგდო ძილათ და ამოუშვა ხვრინვა იმისანე, რომე პარავოზის ქშენა გეგონებოდა. მარა, რავა გონია, რას იზამს? შვაღამე რო გადევიდა და გამეიღვინძა, ე შვილდ-ისა-რი გვერძენ აქ. ძილი მაგასაც ქე ნაყვარება, მარა იცის, რა დროს დეიძინოს. გეეიზედოთ და ე ქურდი ქე მონავალიყო ძუძგი-ძუძგით, ფეხაკრეფით ამ ვაშ-

ლიწყენ. გათავდა საქმე! მოუღერა შვილდ-ისარი და ესროლა ამ ბიჭმა ვინცხას. ე შვილდ-ისარი უბრალო რამე არ იყო: კღეს რო ესროდი, იქიდგინ წყალს გამუაჩენდი. ესროლა, მარა ქე გამძვრალიყო საცხა ე პატრონძაღლი! სამივე ძმანებმა გამეეკიდა სისხლის ნაკვალებზე ამ ქურდს. ზდიენ, ზდიენ, წყიწყენ ბილის გზაი, მერე მთიწყენ, ბრევლი იარენ. არ შეეშვენ. სისხლს მიზდევენ სანია ე პატრონძაღლიო, უბნობენ, სა ეშმაკში გადეიკარქა, რამდენი უნდა გვა-რონიოსო!

ბრევლი იარენ თუ ცოტა იარენ, ქე მიადგენ, ერ სალაგინე დიდი რკინის პალოა ჩარჭობილი მიწაში. შამოუარენ გვრილიაშემო და შეიატყვენ, რომე ეს პალო ქე ძერებოდა. ამოუაძვრენ და დეინახეს, სისხლის კვალი შით ჩადიოდა. მარა ჩასვლა არ გინდა ამ ამონაძრობში? საცხა იყო, საცხა არა, იშონენ სხვილი ბაწრები და უნდა ჩეეკიდონ და ისთე უნდა ჩევიდენ. რაცხა ფარცაკი საქმეა! ჯერე უმფროსი ძმა ჩაყვა ბაწარს. ჩევიდა, ჩევიდა და იმისანე ყვირილი და დავიდარაბა მორთო, რომე იფიქრებდი — დეიქცა ცაი და მიწაო. შუა ალაგას არ იყო ჩასული, რომე ენით ოუწერელი სიცხე იღრძნო. მწვავს, მიშველეო რა-ცხანეირათ, ვიღუპები კაკალი კაციო! იყვირა და იყვირა ქვევიდგინ. ამუათრიეს, რავარც იქნა, ე დამსეებული, აპა რა უნდა ექნაწყენ. ახლა ოჩერედი შაშვალო-ზენაა. იმან ვარესი ქნა. ბოლოს უნცროსი ძმა უნდა ჩევიდეს, სხვა რა გზაა. მარა ამან დეიბარა: რავარც მოვრთავ ყვირილს, სტორეთ მაშვინ ჩამწიეთ და ჩამ-წიეთ, დოუშვით ბაწარი, არ შეგეშინოწყენო. . . ქნენ ასთე. დევიდა ძროზე ე ბიჭი. იქით გეიხედა, აქით გეიხედა, დაბადებული კაცი არაა გრულიაშემო. ერთი ოთახი შიამჩნია (შვილდ-ისარი ქე აქ წაღებული). მეიმარჯვა შვილდ-ისარი და მიადგა კარებზენ, დოუკაკუნა, მარა არ შექვამოს ჭირმა, არევინ არ აღეფს კარეფს. არც აცია, არც აცხელა და კრა ფეხი და ქი არ შიამტვრია?!

სასტაული ახლაა: იმისანე ლამაზი ქალია შითე, იმისანე მოხატული, ამომა-ვალ ვარსკვლავს გავს. ე ქვესკნელის ქალები სულ ლესტან-დარეჯანს გავლარი-ენ, იმისანეებია, რო იცოდე. ამ ქალმა მოუტრიალდა ამ ბიჭს და ნელითე უთხრა, რომე მოორე ოთახში, არ გაგიწყრეს ღმერთი, არ გახვიდე, თვარა მამა-ჩემია იქინე და რავარც მოქკრავს თვალს, იმინუჩი გაგათავეფსო. რავა გინდა ახლა? მარა ე ბიჭი დიდი უდოუჯერებელი კაცი იყო, რას მიქვია შიში, რაის შიშიო და ქე შიაღო ა მეორე ოთახის კარები. ხედავს — იმისანე ქალია აქანე, რომე ი პირველი ქალი ძონაგონი არაა. გაბდღვიალებული ქალი იდგა იმფერათ, რომე კაი ვაშკაცს დაგანელებდა. ახლა ე ქალი ეუნება ამ ბიჭს: მესამე ოთახში არ შეხვიდე, თვარა იქინე მამაჩემია და გაგაქრობს, რავაც დაგინახავსო. არც აცია, არც აცხელა, დოუპირდაპირა და გეეშურა ამ ოთახიწყენ, კრა ფეხი კარეფს და ქე შესრიალდა შითე. აქანე ქლა შვენება იყო, ალმასივით გოგო დო-უხვთა. ალვის ხეს მოუგავდა ტანი. სახე ბადრივით გადაშლოდა; შავი დაპწნუ-ლი თმაი კოშებაამდი ცემდა. თლა შეიშალა ე ბიჭი, იმისანა ქალი რო დეინახა. ამ ქალსაც შოუყვარდა ე ბიჭი და გაიფრთხილა, რომე მოოთხე ოთახში არ შეგიცდეს ფეხი, განსაცდელი გელისო. იქინე მამაჩემია წარეთ დაკრილი და შენ კი არა, ჩვენ ვერ შევსულვართ შიშითო. მეიმარჯვა ამან შვილდ-ისარი, დოუ-პირდაპირა და შევიდა ოთახში. დეინახა, უშველებელი დევი გაშტვილიყო კრაოტზენ და ფშინავდა გეძინზე. წამოხტა მაშინათვე, მარა ბიჭმა ესროლა შვილდ-ისარი, წააქცია, მერე სატევარით დაკრა სამი თავი. ახლა ეს სამი ქალი-შვილები წამეიყვანა ბაწართან. უმფროს ქალიშვილს უთხრა — მოკიდე ხელი

ამ ბაწარს, მანგრათ ჩეეპორჭყინეო. ჩეეპორჭყინა, რაც ძალი და ღონე ქონდა. მერე დოუძახა, მაღლა ეიყვანეთო. ეიყვანენ. კიდომ ჩოუშვეს ბაწარი. ახლა მოორე ააპორწიალენ. ახლა ვეჩერედი მესაშეზენაა. ე უნცროსი ეუნება ბიჭს: ჯერამ შენ ადიო მაღლაო და მერე შეო. არ დოუჯერა იმან და ე თავის საცოლო ააყვანია პირველათ. რო დეინახენ ე ზეთუნახავი, ელდა ეცენ, ისთე მეეწონენ. ბაწარი არ ჩოუშვენ. ზევიდგან ჩამეიძახა საცოლემ: ხო გითხარი, უწინ ადიო, ახლა კარქათ არ წავა შენი დგომიარობაო. ახლა ხსნა ერთშია; გაბრუნდი ოთახში, შიაღე კარები და საში ვერძი დაქხვთებაო — თეთრი, შავი და წითელიო. თეთრს ვერძს იმისთანა განმავლობა აქ, რომე თუ შიაქდები, მაღლა-მაღლა წაგიყვანსო, თუ შავს და წითელსო, იგენი ქვეით და ქვეით წაგამსეეეფსო. ხელათ გამობრუნდა. გარაცვინდენ ე ვერძები ეზოში, გამეეკიდა ბიჭი თეთრს. მარა გარეიკარგა საცხა, შავი ვერძი შერჩა ხელში. შიაქდა და ქვეით და ქვეით ჩეიყვანა. იმდენი იარენ, ქვედა ქოყანაში მოხვთენ. სიმშილით მომსეებულია ე ბიჭი, კბილები ოუკაწკაწდა, სიცივეც კაი გვარიან იყო. შევიდა ერთ კაცის სახში. შენ დედა და მე შვილიო, უთხრა იმ ქალს, იქინე რო ესახლა. ჭადის ნატეხი გექნება და მიშველე, სიმშილით ვკვტებიო. ამ დედაკაცმა გამეიტანა გობით ფქვილი. რით მოზილოს, სანეა წყალი? შარდით უნდა მოზილოს. აქანე წყალი არ იმოებაო. ერთ ალაგზე კია. მარა გველოშაპია ღეპატრონებული და თხოულოფს — ვინმე მომიყვანეთ, გადავსანსლავ და წყალს გამოუშობო.

ამ ბიჭმა გადაწყვიტა, აჩეხოს ი გველოშაპი. გეემართა. მივიდა და რა დეინახა. ხენწიფეს ქონია დიდი ქორწეილი, მარა უწყლოო რანაირი ქორწილი მეეწყობოდა, თქვენ თითონ გაშინჯეთ ახლა. ქალი წამოუყვანიენ და მოუყვანიენ გველოშაპიზა. ამ ბიჭმა იმედი მიცა ამ ქალიშვილს, ნუ გეშინია, მე აეჩეხავ მა წყეულსო. გველოშაპს ჯერე არ გამოუღვინქებია. ახლა ამ ბიჭს დეეყვინტალება. მიწვა გოგოს კალთაზენ.

გეიღვინძა, რავაც იყო, ამ გველოშაპმა. გოგოს წასქდა ცხარე ცრემლი. იმისთანა ცხელი, რომე ჩამოუღვარღვალდა ლოყაზე და ქე დეეცა ბიჭს სახეზენ. წამოვარდა, რავარც ელდა. და აკაფა ე ბოროტი გველოშაპი. ამ გოგომ სისხლში დეისველა ხელი და ბეკზენ დაკრა ბიჭს, ლიშანი დაადო. გამობრუნდა ე ქალი და წამეევიდა ხენწიფესთან. ბიჭმა შეიბრუნა ძილი, ძაან დაღალული იყო.

სანეც ამ ბიჭს ეძინა, იქინე, ხეზე არწივის ბუდე ყოფილა. არწივმა რო დეინახა ე კაცი, მივარდა შესაკმელათ. ის იყო უნდა შეეჭამა და ზეიდგინ ბარტყები შეეხვერწენ დედამის, არა, დედა არ მოკლა მა კაცი, მაგან არ იყო, გველოშაპი რო მოკლაო, ჩვენი ტერიიო? არწივმა მიხვთა ყოლიფერს, მეიაზრა და ფთა დოუჩითლა ამ კაცს. მზე ადგა ზეთე. რო გემეეღვინძა, მეელაპარაკა არწივს, რომე ზედა ქოყანაში ამიყვანე, მეტი არაფერი მინდა შენიო, თუ სიკეთეს მიზამო. არწივმა შოუკვეთა დიდი ხარი, თორმეტი უღელი კამეჩი, დაკალიო და ზრუგზე დამადევიო.

ამასობაში ხენწიფე გამწარებული ნაძებარა ამ ბიჭს, უძებნიენ ყველას ლიშანს, მარა ვერ ნახულობენ. რავარცხა იყო, მოძებნენ ე ბიჭი და მოუყვანეს ხენწიფეს. რა გინდა, რას მთხოვო, უთხრა და, რაც არწივმა შოუკვეთა, იგი თხოვა. შოუსრულა ხენწიფემ ყოლიფერი, ისე ყოლიფერი შენ შეგისრულდეს, ჩემო ბიძიე.

გასწიენ ზედა ქოყანაში. რამდენჯერ პირს გააღებს ეს არწივი და იმდენჯერ

ხორცის ნაჭერს აწვტის ე ბიჭი. ქი არ დააკტა ამ ბიჭს ხორცი? არადა ერცახე უკლია ასვლას. შეიჭრა თავის ტანზე და მიაწოდა. ქი არ ესიამოვნა ამ არწივს? რო ევიდენ, ქე ოუხსნა ამ ბიჭმა, ჩემი ხორცი იყოვო. მოუსვა ფთა და გოუმთელა იმინუჩი.

ბიჭს თან ქონდა ცოლის მუზიკა და კურდღელი, ქალის ოთახში რო ეიღო. რა ქნას ამ ბიჭმა და დოუდგა ერთ ჭედელს მოჯამაგირეთ. ცოლმა გუმანი ეიღო, ჭედელთან რო იყო, და მევიდა, თხოვა, რომეო იმისანე მუზიკა-კურდღელი გამიკეთე, მუზიკის ხმაზე კურდღელი ლეკურ-ბუქნას უვლიდესო. რა ქნას ახლა ჭედელმა, ჩავარდა საგონებელში. რა გაწუხეფსო, უთხრა მოჯამაგირემ, გამიბზადე ერთი ტომარი თხილი, ერთი მალატოკი და ჩამკეტე ცალკე ოთახშიო, შენ ნუ ჯავროფო! ამტვრევს ე ბიჭი მალატოკით თხილს და ქე შეექცევა გემოზე. დილას გამოუტანა, რაც შეპირდა და მჭედელმა ქე გოუგზავნა ი ქალს. ამ ქალმა ნანდვილათ დაადასტურა, ჩემი ქმარი ყოფილავო და ქე დეიბარა და შეერთდენ ისევლე.

22. ობლები

იყო ორი ობლები. ცხოვრობდენ ერთქმანეთს გვერდზენ. ერც ქვიოდა პეტრიე, მორრეს გოგიე. პეტრიას უფრო ადრე მოუკვტა მამამისი. გოგიი უფრო საწყალი ბაღანე იყო, პეტრიი კი ქლათ ეშმაკის ფეხი.

სამ-სამი ცხვარი ყავდა თითოს... თქვენ: მოდი, გავყიდოთო!

იარენ, იარენ, იარენ და კაი ძალი გზაი გეიარენ. ამ დროს შემოხვთა წინ ერი კაცი.

— ჩემო ბიძიი, ცხვრებს თუ იყიდიო, — უთხრენ.

— რა ღირსო! — პეტრიმ, რომელიცახე ოხერი ადამიანი იყო, თლა სასტაული დოუფასა. — უიმეო — იყვირა ი კაცმა: კაპიკის მოცემის ღირსი არც ხარო... პეტრიამ დოუწია, დოუწია და, რავაც იქნა, შეწორდენ. ამეიღო ფარა ი კაცმა და ჩოუჩხრიალა ბოქშებს. გამუართვენ ე ფული აგენმა და გოუდგენ გზას. ფშვენიერი დღეი იყო, მარა უცფათ შეიცვალა ამიდი და კუპრივით შავი ღურბელი გარმეირეკა. მალე შენ ტერს, იმისანა წუმა წამევიდა. ახლა რას იქუმენ ბოქშები? არცერც არ ახურიენ ქუდი თავზენ. გოგიამ უთხრა პეტრიას: — ვიბრინოთო! — კაიო, — და გაცხენ, მარა რა გაცხენ...

რაღა ბევრი გავაგრძელოთუ და მიაწიენ მორრე სოფელს. რო შეგეხედა მაგენზე, თლა გაზუნზული მევიდოდენ. ვაი ამისანას ახლა! დეინახენ ერთი ნადუქნარი და შეძვრენ იქინეი. პეტრიამ თქვა: — მოდი და რომელიც მეტ ტყუილს იტყვის, იმას ღოულოცოთ ე ფულიო, — კაიო!.. დეიწყო პეტრიემ:— უკუღმართია მამაჩემიო, დიდი და შეძლებული ყაზახი იყოო. ამ გზას რო დაადგებოდი და ტყიწყენ მიცემდი პირსო, იმის იქით დიდი მთაი გამოშთებოდაო. იქინეი, წვერზენ, დიდი ველიაო. იქინეი თხები ყავდა მამაჩემს ხუთასი ათასიო. ყოველ საღამოობით წველიდა ქალები თხებს, მარა რძის ჩამოტანა არ გინდაო?! ბოლოს გოუკეთა მამაჩემა დიდი ღარი და რაც რძეი იყო, ყველე მითინ ჩამოდიოდა ქვეითო! ერ დღეს გელი გარმოვარდნილიყო ზეთენ (ღარზენ) და პრიკი-პრიკიმალით ჩამოსოსიალებულიყო და უშველებელ მიყუდებულ ქვაბში ჩავარდნილიყოვო. ეგი ვინ იცოდა ჯერამ. მამაჩემს ტილიფონით დოუძახებია ზეიდან: ყველი ამეიყვანოწყენო!.. დოუწყიენ ქალებს ყველის ამოყვანა. გაკეთ-

და ყველი მარა — ე ნადუქნარი როა, ამხელა ქე იქნებოდაო (ყოველ საღამოს ამხელა იყოვო). . .

მოორე დღეს, ჭამას რო შეუდგენო, გარმოვარდნილიყო ე გელი და ყველე გადეეყლაპაო! . . აი ეგია ჩემი ტყუილიო, — დაამთავრა პეტრიამ.

ახლა გოგიამ დეიწყო.

— მაგი რაია, — თქვა ამ ბაღანამ. — მამაჩემს ყავდა ათასი ბუკი სკაი. ყველ საღამოს, შამოფრენის დროს მამაჩემი ითვლიდა — აპა, ხვარ მაკლიაო. ერ საღამოს ორი ფუტკარი დააკლტა სათვალავში. ადგა და საძებნელათ წამევიდა მამაჩემი. ქე შამუათენდა ამ ძებნაში. დეინახა: ერ კაცს გოუბამს უღელში ფუტკრები და ახნევიებს. მამაჩემი მივარდა და გამოსხნა უღლიდან იგენი და წამეიყვანა. . მარა რას შეხედავს თვალები: ერთს კისერი აქ ამოღლეტილი ნაუღლარზე. წამალი გოუკითხავს მამაჩემს. უთქვამენ: ნიგოზი მოხრაკე ზეთში და ამოჭმულში ჩოუდევიო. ასე უქნია; მარა ორ დღეში კისრიდგან უზარმაზარი ნიგოზი ამოსულა (ხეი). დაღოღიალობს ფუტკარი აქი-იქით და დაარონიეფს ამ შტოებიან ნიგვზის ხეს. მარა ხეიზა რო ათ კაცს შამოგერტყა კლავები, ვერ შამოაწდენდიო. . .

ერ დღეს ყვავი ჩამოჟდა შტოზენ. გოუქნია მამაჩემა ბელტი და უცფათ დიდი სახნავ-სათესი მიდორი გაშთა ზეთენ. ეეედით ყველე ზეით და დევიწყეთ ხნაი და თესვა. ამ დროს ერი კურდღელი გამოვარდა ამ მიდვრიდან და მამაჩემა თოხი მოუქნია. მოხვთა მუცელზენ და გეეკრა. იქიდან გარმუარდა ქახალდი. რაცხა საინტერესო ეწერაო. — რა ეწერა მერე შითო? — დაინტერესთა პეტრიი. რა ეწერა და „გოგიას მოგება და ფული, პეტრიას ტყული და. . .“

მთიულურ-გუდამაყრული

1. თორღა მონადირე

ერთი მონადირე იყო, თორღა ერქო, კახეთში ძველ დროებაზე თოფს დამარხავდენ, როცა ას მოკლავდი, და მერე ამოიღებდენ. სამჯერ დამარხა, სამასი ყვანდა მოკლული. მეოთხეს ერთი უკლდა, მოხუცებულია. მაინც თქო:

— ჩემ ყირიმს კიდევ ავამუშავებო! — წავიდა და მეოთხეც შეასრულა. როგორც მონადირე, გაოსტატებული იყო და იცოდა, ნადირ როგორ მიეპარებოდა. ყვირულობას (ღვინობისთვეში) წავიდა. ირემი მაშინ იყვირებს. დეემალა და შეშა გატყდა. ფიჩხი და ირემი არი და ხან ჩაიმალება. ამ ირემს გონია ფურირემი და გამეექანა და მივარდა, დაჰკრა შუბშია. წაიქცა ეს ირემი. უნდა ბიდიდეს და ამ მეორე მხრიდან ხმა მეესმა:

— თორღაო, ხო მოკალო ე ზვერიო? — თეთრწვერა იყო და თეთრი ჯოხი ედო, — შენი ცოლ-შვილი მაგის ბეჭში სწერიაო! — ეხვეწა და:

— წლის თავზე კურატი (ზვარაკი) მოგართოა! — შაეხვეწა. წლამდის შვილები, შვილიშვილები სუ დეეკოცა იმის მიზეზითა.

— მე რა ვიცოდი, თუ მაგის იყოო? ამას იქით არ დავინდობ, სუ უნდა დავკოცო, რაც ნადირი არისო!

2. თათარი მონადირე

ერთი მონადირე იყო კახეთში, თათარი იყო. დასჭრა იმან ქურციკი ისრითა. ვერ დაიტანია. გახყვა ჭრილობა და მისდევს. მიხყვა და გავიდა ერთ მდინარესთან და ველია და შველსა ქალი დაპატრონებია. ის ჭრილობა ამოუბანია და მანდილით უხოვს. ეს მონადირე მიეპარა, დაიჭირა ეს ქალი. ისე ემორჩილება ი შველი იმ ქალსა, როგორც დედას დაემორჩილოს. ეუბნება ეს მონადირე:

— მე მამა, შენ შვილი. მითხარ: რა სურიელი ხარო? — არ გასცა კმა. — მითხარ, მაინც, ვისი ხარ, ბინაზე მიგიყვანოო! — დასავლეთისკენ გამაუღირა ველი, ანიშნა ვითომ, იქ უნდა შაიყვანოს. აიყვანა ეს ქალი ველში და შველი წინ მოუძღვება. იარა და მიადგა ერთ დიდ შენობას ტყეში. დიდი ციხეა. გალავანი აქ შემორტყმული. მოვიდა და დაწვა ის შველი იმ ციხის წინა. დასო ქალი და:

— მოდი, იმ ციხეს კარები ეკნება საიდანმე? — დასო ეს ქალი და შამოუარა კრუგომ ამ ციხეს. ვიდრე იქიდან კრუგს დაარტყამს, მოვიდა, არავინ არი! გაეპარნენ.

— ახლა კი მოვსტყუვდიო! — და ინანა. ვეღარც შაეხვედა, ვერაფერი მის დღეში.

8. კემწიფე და ფილასაფოსი

ერთი კემწიფე იყო. იმან ცოლი უნდა შაირთოს. ფილასაფოს ეტყოდენ, შეცნიერ კაცებს. იმათ ხკითხა, რო:

— ვისი ქალი უნდა შევირთო, რო ბოლო კარგი იყოს! — წასულიყო იმისი ერთი დევის ქალი, უთხრა:

— თუ იმას შაირთვი, ვაი კარგი გეყოლება! — ის ქალი ჯადოსა ხყავს დაპერილი. გასტაცა, რაღა, დევებსა.

—ერთი ქაღალდი არისო. თუ იმას იშოვნი, ციხეშია დამწყვდეული. იმ ქაღალდებს ჰქვია ისმოადინი და იმის საშუალობით გამოვიყვანთ იმ ქალსაო! — ისაც დაარიგა, რო საიდან უნდა ეშოვნა ის ქაღალდი. გამოიტანეს და წახყვა ფილასაფოსი, ვეზირი და თითონ ნეფე გამოსაყვანად იმ ჯადოს კელიდან. მოვიდნენ, დარბაზში შევიდნენ. დაიწყო ლოცვა ამ ფილასაფოსმა, რამტელიმე გაათავა. ერთ გალიაში გვრიტი ზის. თქვეს:

— მოდი, ეს მაინც დავიკსნათ ტუსაღობიდან! — გაკსნეს და ეს გვრიტი ჯერ მიწას ემთხვია და მერე თაყვანი სცა. წავიღა. თურმე ეს ის ქალია. ამ დედამამათ შავი აქვთ სახეზე გადახერული. როცა ჩავიდა საკომში, ქალათ იქცა ისინიც. გახარდენ, ილხინეს. ეუბნებიან:

— ვინ დაგიკსნა, გოჩინე! — სამნი ვინმე მოვიდენ. იმათაც გაკირება ადგათ ალბათ. ეს ფილასაფოსი გაუდგა თავის საქმეს. კითხულობს და ჩამოიშალა ერთი კუთხე, მეორე, მესამე და ცეცხლი შამეერტყა ამ ციხეს. გამოვიდა მოხუცებული. თურმე ჯადოა. ყავარჯნით დადის და:

— ცეცხლიდან დამიკსენითო! — კემწიფე ეუბნება:

— გადაგიყვან! — ფილასაფოსი ეუბნება:

— არ გადაიყვანო, ჯადო არისო! — არ მოუთმინა, ჩასჭიდა ხელი მოხუცებულმა ნეფეს. გადავიდა ვეზირი. ვეზირსაც შაბოჭა; ეხლა ფილასაფოსი დარჩა. ესეც მიითოლა. შაუბერა. კემწიფა აქცია მკლად, ვეზირი — ტურად, ფილასაფოსი — მელად. წავიდნენ. ნადირებია. გონება აქ ადამიანის, მარა სხეულობა ნადირისა აქთ. წავლენ დღე. ვერ გამოდიან ველზე. ისევ ტყეში იძინებდა. წავიდა და დიდი ტყე არი გაჩეხილი. ერთ ღრუბელში შაძვრენ. დაიძინეს. თურმე იმ ქოყანაში ერთი მფრინველი არი და, საიდანაც მოვა, მზეს აბნელებს, ისეთი ძრიელი არის ის მფრინველი. ერთ მაღალ მთაზე ბუდეს აშენებს და აქიდან ზიდავს. მოუსვა ამ ხესა და წაიღო იქ ბუდის ასაშენებლად. როდესაც გამეეღვიძა, გადმოხედეს, მთაზე არიან. აღვილი ეუცხოვა. წამოვიდენ და იარეს, ერთ წყაროზე დაისვენეს. მოიდა ორი მფრინველი. ერთმანეთი დაკოდეს, დაასისხლიანეს. ამ წყაროში ჩაფრინდნენ. ამათ ხლინავს და მელა ყურობს. იბანავეს და მჭრილობა გაუმთელდათ. ფილასაფოსი ანბობს:

—ადამის წყარო ეს იქნება. ადამიანი რო იყოს სხეული, რო იყოს რაითმე დანაკლებული, ამ წყაროში გამთელდებაო! — გააღვიძა ისინიცა და კი ვერ ლაპარაკობენ, ანიშნა:

— მოდი აქ, ვინანავოთო! — ჩავიდა და გამოვიდენ. ისევ კემწიფე. დარჩენ ადამიანები. რა მოვიდა ის ქალი (გვრიტი), მამამ უთხრა:

— წადი, შვილო, ეძებე, ის კაცები მამირეკე, რო დიდი პატივისცემა გადაუხადო, რო შენ იმ ჯადოს კელიდან დაგიკსენ. — წამოვიდა ეს ქალი და წამაასხა დევები. ბევრი ეძება აქეთ-იქით და დეეძინათ. თურმე, რო დეეძინება,

როგორც ზრდილობა ქონია ადამისა, ერთი თვე ეძინება. ნახა დაძინებულები იპოვა ამ ქალმა. უთხრა:

— ესენია, ამათ დამიკსნესო! — აიღეს ეს დაძინებული ხალხი დააწვინეს. ძაღლის ტყავები აქეთ და მიიტანეს ქალის სამშობლო სახში. შაჰზედეს — გაწეევიძათ სასახლეში. ჰკვირობენ თავიანთ გადასავალს. ეს დევსაც გაუხარდა. მადლობა გადაუხადა.

— რა უნდა გაჩუქოთო?

— შენი ქალი გვინდა შავირთოთო! — ეს ფილასაფოსმა შაჰზედა, დაუთვალა ყველაფერი. გაუხარდა მეფეს. ფილასაფოსი ეუბნება:

— წერა ასეთიაო! — დააქორწილეს.

სამ დღეს ქორწილი გადაუხადა იქა. გამაისტუმრა თავიანთი დევებითა, ხალიჩებზე დასვა, თავის გრანიცაზე გადააცილა. წლის შემდეგ ეყოლა ვაჟი. კიდამ მეორედ ფილასაფოსმა შაჰყარა:

— ახლა ამ ჩემი შვილის ბოლო ბედი როგორააო? — აუხსნეს:

— ჩვიდმეტ წლამდი არაფერი დაუშავდება და ჩვიდმეტი წლის შემდეგ ერთი რამ შეემთხვევა და, თუ იმას გადაურჩა, ასოთხმოცი წელი იცოცხლებს, თუ არა და გადიტანსო! სახელი უნდა დაარქვა მირიაო! — ჩვიდმეტ წლამდე მართლაც უდარდელად იყო მამა. მერე აკრძალა იმ საკემწიფოში კარტიჩკა ღაწვა. ადგა და:

— მე ნადირობა უნდა ვისწავლოო! — გაატანა ჯარი თავისა, წავიდა, ნადირობს. დასჭრა ერთი შველი. დიდი ირბოლა, დიდი ავლია და შორს წაყვა მირი. ერთი ზღვის პირზე მიატანა იმ ნადირმა და ერთი კაცი იპოვა, ამ ზღვიდან გადმოგდებული. თურმე ეს კაცი დადის ჩინეთში სავაჭროდ. ამოუვარდა ერთ დროებას ქარი და იმ ფიცარზე შარჩა და გამორიყა. ტირის, ცარიელიდაა. სად წავიდეს, არ იცის. გაანება ამ ნადირ თავი და კითხავს:

— რა გატირებს, რა ამბავია? — ისიც უამბობს.

— კარგი! იმტონი ნავაჭრი გაქ და არაფერი გადმოგყვაო? — ძვირფას საქონელზე ეკითხება. ამ ბიჭმა უთხრა:

— არაფერი შამრჩაო. ერთი ქალიაო, იმის კარტიშკა მომაქვსო. ნახევარ ხაზინას მპირდება კემწიფეო.

— მოდი და მე ერთ ნახვაში მოქცეო? — ნახა და მართლაც აღარ მეეშვა იმ სურათს! მერე შაურიგდა ამ ვაჭარს, რო ის ხოყანა აჩვენოს, ის ქალი აპოვნინოს.

— რამტელი ხანი მოუნდებით, რო წავიდეთო? — მირი ეკითხება ამ ვაჭარს.

— თუ ზღვით წავალთო, ოთხი წელიწადიო, თუ ფეკით წავალთო, ღმერთმა იცის, მივალთ თუ არაო სიბერემდეო! — წამოვიდა ეს ვეზირითავი მამას ატყუებს:

— ზღვით უნდა ვინადიროთო! — მამასაც გაუხარდა, — ზღვაში სურათს ვერ იპოვისო. კელს უწყობს. გეიმართნენ სამივენი: გააყოლა ჯარი ბევრი. იარეს, დაიღალნენ და გავიდნენ ერთ კუნძულს. დახვრეტილი მთა არი. თურმე არის დევის ხოყანა. ამ დევებს უდგას ერთი მოხუცებული ყარეულად. ადამიანებს არ ავნონ, არ გააფუჭონ. მიესალმენ მოხუცებულს. დაისვენებს იმათან. გაუხარდა ამ მოხუცებულსა, რო ნახა ჯორციალი, ადამიანი.

— დღე დევებიო ვერ გამოდიანო. რო დაღამდა, გამოვლენო. თქვენ

თუ გოგირდი გექნებათო, აქ მოქუჩდებიან და მაგათიო პირველი საქმელი გოგირდი არისო და ისინიც კარგა მიგიღებენო. — მართლაც, დაღამდა, მოქუჩდენ, გოგირდი მიართვა ამ მირიმ. იმათაც ძალიან მეეწონათ. ქალი ეუბნება თავის მამასა:

— მირი უნდა მოვკლა! — გაუჯავრდა მშობლებმა.

— ეგ არ იქნება! — მაინც გეეპარა და:

— შენ ცოლად უნდა შაგირთოო!

— ვერ შეგირთევ, სული გიდისო. — რაღაც წამალი აქ.

— ამაში გაიბანეო და მერეო! — გაიბანა და დაიწვა ქალი. ეძებენ დევები და დამწვარია.

— განა, — თქვეს, — მირის ბრალია? ღმერთმა დაწვაო! — ეს მოხუცებული თან გაჰყვა და:

— თქვენ უნდა გამაცილოთო! მამეწყინა ამათი ყარეულობა! — აჰსწავლა ამან. ეს გემი დაასვენეს მეორე კუნძულზე და შახვდენ ზღვარს, ვეშაპს და დახვდა. მეორე მოხუცებული — თურმე ეს თილისმაა! გავიდა ერთ ალაგას, მამა აბრამის სასაფლაოზე, და:

— მე აქ მოვკვდებიო! — და მართლაც გადიცვალა და ისინიც წავიდნენ. როგორც იმან დარიგება მისცა. ხილისთვის შაგზანა. შიგ ორმოებია და მირიმ სთქვა:

— აქ მამაძაღლობა არისო! — დაკოცეს ეს მოხუცებული თილისმა. ამორეკა თავისი ხალხი. ესენი ბაბაყულები (თილისმა) იქნებიან. მოხუცებული ეუბნება:

— წაიღეთ ეს ძვალი და გამოგადგებიანო! — გაიყოლეს ეს ძვალები მართლა თან. გაუდგენ კიდევ ერთ გზას. იარეს და ახლა ამათ ამოუვარდა ქარი და გაუფუჭა გემი, დაუზიანდა. ერთი ერთ ფიცარზე შერჩა, მეორე მეორეზე და მესამე მესამეზე. ეს ჯარი დაიღუპა, სუ დაიკარგა. როგორც იმან არ იპოვა? ახლა ერთმა ჭემწიფის შვილმა იპოვა მტირალი. იმ მირმა ამის ენა არ იცის. წაიყვანა. თურმე ნადირია გავრცელებული, ვეფხი, ლომი. შაიბნენ და მოკლა ვეფხმა, მოკლა ჭემწიფის შვილი. გადმოხტა მირმა, ვეფხი მოკლა. დამარხა. ზის, იმას დაჰსტირის. მოიდნენ. ამას მოუკლავს. დაბრალდა მირსა. ეს ნადირი ხო დაფლულია. წესი ქონიათ ასეთი: ნადირ რო მოჰკლავ, უნდა დამარხო. დაიჭირეს, წაიყვანეს და უნდა იმაც მოკლან. ამ ვაჭარმა ნახა სიზმარი: მირი სისხლის ტბაშია ჩაგდებული. ე ვაჭარი რო მოვიდა სიზმრითა, გამეეღვიძა. ირბოლა და იპოვა ის ქოყანა. უნდა დაკლან. აღსასრულია. დაუძახა:

— მირი უბრალო არისო, მომითმინეთო! — მირს გამოჰკითხეს (ამან ამათი ნება იცის) იმანაც დაუთვალა. გაგზავნეს მართლა და ვეფხი ამოიყვანეს დაფლული. გაანთავისუფლა ეს მირი სიკვდილიდან. ახლა ჭემწიფე ეუბნება:

— ჩემო შვილო, მომავალში შენ ჩემი შვილი უნდა იყო. გადმოგცე ჩემი ჭემწიფობა! ჭემწიფობა ბარემ არ უნდა, მარა გასაქანი არ არი და დაეთანხმდა. მიიღო ჭემწიფობა. ეხლა ადგა და დასვეს ჭემწიფედ. ვეზირი-ღა აკლია. დაჯდა ჭემწიფე და თავის კარტიჩკა და ამა ვაჭრისა გადააღებინა და ყველა კუთხეში დააყენა კაცები ამ სახისა და:

— თუ ვინმე დეეცქიროს, მოგვიყვანეთ! — მართლაც, ვეზირი მივარდა რამტოლიმე ხნის შემდეგ. იცნო კარტიჩკა. დაიჭირეს, მიიყვანეს ამ მირთან. მიესალმენ. გაუხარდათ. შაიყარნეს სამივენი. დაიწყეს ისევ ჭელმეორედ მუშაობა. ამ

ქალის ძებნა. გეემგზავრნენ იმ ქალის საძებნელად. მიაღწიეს იმ ქალთან, მივიდენ ქალის შობელთან, არ მისცა ქალი. იმ ქალის მოსამსახურე ერთმა დევმა მოსტაცა. იმ დევებს უნდა მეეტაცნა ის ქალი და ვერ მოიტაცა და მოსამსახურე გაიტაცა. ის ქალი გონია. მშობელი ეუბნება:

— ჯერ ის ქალი გამომიკსენი და მერე მოქცემ ჩემ ქალსაო!—წავიდა, მიუხტა თავი ჯარით იმ დევს. იომეს, იჩხუბეს, რამე ქნეს და დაამარცხა. დევის შვილი მირმა. წამოვიდა ხან სეტყვით და იმ ლოცვას იტყოდის და განელდებოდა. ეს ჩხუბი რო გადაიყარეს, დარჩა მარტო მამა და იმ დევის ქალი. კიდევ დაისვენეს, მეორე დღეს კიდე უნდა იჩხუბოს. ბაბაყულის ძვლები აისხა. ამას ხედვენ ისინი. ქალი ეუბნება:

— მამი, შენც მოგკვლენო!

— მე, შვილო, ვერ მომკლავენ. ჩემი სული ამა და ამ ტბაში წითელი თევზია და იმის გვამში არისო! — მირი იქ უყურებს. ბაბაყულის ძვალი ხელზე აქვს! წამოვიდა. ის ტბა დააშრო. დასწურა, დაიჭირა ის წითელი თევზი. მეორე დღეს გავიდა ის დევი საომრადა. ეს მირიც წამოვიდა. გადააგდო თევზი და დევი. თვითონ წაიქცა. სული ხო აქაა? შავარდა ეს მირი. ის მოსამსახურე იპოვა, გამაიყვანა, წამაიყვანა! წამოვიდა ეს დევი ქალი. კარავი გაუკეთა. შეესალმა (ვითომ ის ქალია!), იცნო, გაიგო. ჩამოვიდა, კვლავ არ აძლევს ეს მშობელი. სხვაზე ჰყავს გათხოვილი თურმე, უცდის, მოვიდნენ, წაიყვანონ. განრისხდა ეს მირი. წაართო ეს ქალი. ქორწილი გადაიკადა. მოიდა, ერთი ბასილი იყო. იმას ჰყვანდა დანიშნული ეს ქალი. ეს ბასილა თავის ჯარით მიდის. შაიყარნენ გზაში. იჩხუბეს, დაღამდა. ადგა და ბაბაყულის ძვალითა შავიდა ბასილთან იმ მირის ვეზირი.

— ამაღამო იმ ქალს მე მოგიყვანო! — ვაჭარი ეუბნება იმ ბასილს. იმათ თავიანთი კარისკაცი გონიათ. თურმე არის მირის ვაჭარი. გააყოლეს და თურმე ამ მირსა ჰყავს დამშეული გველები. რო ამოუშო იაშიკებიდან, კაცს ჩაყლაპავენ. აიღო ერთი იაშიკი და მიიტანა ბასილთან და:

— აბა, ახლა ამოუშვითო! — ის ვაჭარი გარედ გამოვარდა და დაუწყო ყლაპვა გველებმა. დააღვიძეს ჯარი და ერთმანეთს კოცს ეს ჯარი. გონიათ, მირის ჯარი დაგვეცაო! გათენდა და სადღა ყავს ბასილის ჯარი! გათაულია სავსემ. წამოვიდნენ. რამტოლიმე გზას იარეს. კიდამ დასვენება მოინდომეს. დაისვენეს ერთ ალაგას, სიდედრი თანა ყავს. მოადევს, აღარ ეშვება, სიძეს. ნათესაობაც ყავს.

— თქვენ აქ დაისვენეთ, ჩვენ უნდა გავინადიროთ! — წავლენ და სანადიროდ, მაასწრობს ქარიშხალი, წვიმა. ერთ დიდ გამოქვაბულში შეეფარებიან. იმ საკემწიფოშია თურმე ერთი ძლავრი გმირი არის. წაადგა ამ კლდეზე და ესენიც აქ არიან:

—რა ხალხი ხართ, ვინ ხართ? — შაჰჰხედეს, — შაშინდენ, დაახლოებით საკემწიფო უთხრეს:

— ამა და ამ საკემწიფოს ხალხი ვართო! — დაიჭირა ეს სამივენი და წაასხა თავისთან ამ გმირთან. თურმე ის საკემწიფო, რომელიც უთხრეს, მოსისხლენია!

— იმ საკემწიფოსი არა ვართო! — იტყუებენ ახლა, მარა რა დროისა. წაასხა და ერთ კლდეს გადასწივა და ერთ ქვის ქვეშ დასტოვა. ამაში ბასილის მამამ შაჰყარა და გამეეკიდა მირის ჯარსა. იპოვეს. მირი ორმოში არის, ვეზირი,

ცოლ-შვილი და ჯარები აქ იცდიან და დაამარცხეს. ეს ქალი ცხენის ძუაზე გამოაბეს. ეს მირი არის, ლოცულობს:

— მიკსენი ამ დუხჭირობისგანო! — მერე შაუძრახა რამე. — მირი, შაისმინეო! — და გამეეღვიძა და მერე აღარ ვიცი, რა მოკდა.

4. ამირანი

სამ დღეს ქეიფობდა, სამსაც ნადიმობდა და ნადირობდა. გაგზავნა მონანი და:

— ნადირი მოიმხვენითო! — მოიმხვნეს. ეხლა წავიდოდენ დიდი პირები. უნდა ინადირონ. მოვიდა მონა და ეუბნება:

— ნადირი მოვიმხვენითო! — ერთი ქურციკი არის იმ ნადირშია.

— რქანი და ქიჩნი (ძვლები) ოქროსანი უდგასო! — ახლა შეკაზმეს ცხენები და გეეჩქაროდენ. მეფე ეუბნება:

— იქ ნადირი უნდა გავიპყროთ ცოცხლათაო! — ყველა ნადირი დაინახეს ეს ქურციკი ნახეს თავი თვალით. ის ნადირია. ბეწვი აქ საუცხოო.

— აბა, ესო! — ცხენები დეესივნენ. იარეს და შვიდნი გაჰყვნენ. ირბინეს. გადაჰლახეს რამტოლიმე მთა და ვერ დასწვდენ. მოადგა ერთ კლდეს და აღარა აქვს გასავალი იქით. უჩინარი გახდა, გაქრა, ვეღარ იხილეს ვერაფერი. მერე დაბრუნდნენ და შვიდი დღე იარეს. გამოიარა ამ ნეფემ და ამირანის ციხე, სასაფლაო ნახა. დასაფლავებული იყო. წამოვიდნენ და უნდა ნახოს ამირანის მახსოვარი კაცი. იპოვა ერთი ასსამოცი წლის მოხუცებული. გამოიკითხა, როგორი ომი იცოდა, ჩხუბი იცოდა, ამ მოხუცებულს.

— ამირანი შაუთვლიდა. თუ არ აასრულებდა, მერე მიუხვდებოდა. ერთმა ნეფემ თხოვა ქალიო. მერმე მეფესა და მერე ამირანთან მივიდა ზღვენითა:— დაკმარება გამიწიეო! ადგა, დაუწერა ნეფესთან ამირანმა: მომგვარი ამდაამ ქალს, თორემ მოვალ და დაგაყენებ ცუდ დღესაო! ადგა და მისცა ქალი. აიღო ხელი ნადირობაზე იმ მეფემ, რადგან ასე იყო.

5. ამირანი

(ვარიანტი)

ამირანის მამა არ იცოდნენ. ქალი იყო ერთ გამოქვაბულში, უდაბნო ალაგას. ვიღაც ქალი იყო უკორციელო, ერთი მონადირე იყო და დაიკრა ის ქალი და მოუკდა იმ ქალს მუცლის გერემა, უდროო დროს. არ იყო დრო. იმაზე ტირის ის ქალი და შორს მიდის კმა. ბადრისა და უსუპის მამამ იპოვა მტირალი. იშოვა იმისთანა მანქანები, ავიდა იმ ქალთან. ავიდა, ქალი ტირის. იქ შასჩივლა ამ ქალმა:

— მე ეკვდები და შვილი მიმდევსო! — ვერ მატამს მოსაკლავად. — შენ კაცი არ უნდა მიმეღო ჩემს ტანზეო! მეტისმეტი შააწუხა ხვეწნითა და გასკრა. სამი თვე აკლია კიდამ ჩემს შვილს დასრულება და შაახვია.

— ეს რომ გომში რო გაზრდილიყო, ღმერთს შეეშიდებოდაო. ეგრეცა ქნა და როცა ხნისა გაკდა, გაზარდა შვილათ და გაუკადა უსიპ და ბადრის. მათ გაიზარდნენ ერთად. ეს ბადრი და უსუპ ერთმანეთს მისდევდნენ ომში, ჩხუბ-

ში, ყველა საქმეში. მერე წავიდნენ დევები საჩხუბნელად. ამირანი სომს წყალსა და ვერ ძღება წყლით. მოვიდა დიდი წვიმა, დაღარა. წამოვიდა ტყეები. ამ წყლის სმაში წამოიღო წყალმა ამირანი. მოდევს, ხან კლდეებს შაკავლა. მოადევენ ალქაჯნი, რო მკვდარი ამირანი იხილონ. ავლია ბევრი აქეთ, იქითა, არ აუსრულა იმ ალქაჯებს მისი სიკვდილი. გავიდა ერთ ალაგას, ნახა ცეცხლი და მოუსხდენ ესენი და ელიან, რომ შაწონ ცეცხლზე. სთხოვეს დამბადებელს:

— მაჩვენეო, ან ჩემი ძმა მამეც, ან ჩემი რვალი მამეციო! — არც ერთი არ უსრულდება. მერე მისცა საყვედური:

— შე დალოცვილო, მართალ არა შველიო! — იქნა მოჩვენება, გამეეცხადა მოხუცებული:

— ეგ საყვედური რა არისო? არ გეთქო! — იმის მოსვლაზე ის დევები დაიხაშნენ, დაიკარგნენ. უთხრა ამირანმა:

— რატო ეგრე ქენიო? — სულ ხალხის განთავისუფლებაზე იბრძოდა. მოიტანა ჯაკვი და გადაბა და დასტოვა ღმერთობა.

— შენ ღირსი ხარო! — ნახა, ეხლა წავიდა, ერთი პატარა გოშია უზის და ლოკავს ჯაკვს.

— რას აკეთებ აქ, მოჩვენება ხარ, რა ხარო? — შაფიქრდა.

— მეც შენთანა ვარ დაწესებულიო, უნდა შენთან მოვკვდე, უნდა ჩემის ენითა ვლიო ეს ჯაკვიო!

6. მ ე თ ე ვ ზ ე

ერთი მეთევზე იყო, თევზით ცხოვრობდა. სხვა შამოსავალი არა ჰქონდა. რამტოლიმე ხნის შემდეგ შეეკრა ქელი და ვერ იჭირავს, არაფერი საშვალება არა აქვს. შაკვდენ მიმავლები, ხელოვნები, სხვა ქოყანაში მიდიან.

— სად მიდიხართ?

— აქ და აქ მივდივართ! — შეეხვეწა:

— მეც გამიყოლეთ; მეც თევზითა ვცხოვრობდი! — უთხრეს:

— წამოდი, ამხანაგი რას შეგვიშლის!

წავიდა, გავიდა იმ ხოყანაშია. წავა ეს ისევ თევზის დასაჭერად. არ არის საშველი.

— იყავ, კაცო! — წამოვა, თევზაობას დაიწყებს. ბოლოს გადასწყვიტა წასვლა. წამოვიდა, შეეხვეწა დამბადებელს:

— ერთი თევზი მაკამეო, ვიხილო დაჭერა თევზისაო! — დაიჭირა. გამოვარდა თევზი და გამოვარდა მისი თასი შიგნით. გარეცხა და დალივა და თასმა დააყოლა ალავერდი. სომს და თეთრი ფული გადმოსდის. გაივსო ჯიბეები.

— თევზი თქვენ გააკეთეთ! — წავიდა, მაიტანა ღვინო.

დაიწყეს სმა. თურმე ღვინოს რო დალევ იმ თასითა, ოქროთი ივსება. ესენი აღარ მუშაობენ. აკეთებენ ეშიკებსა და გზავნიან სახში. ეს რამტველიმე ხანი იქეიფეს ეგრე. გამეესალმა, წავიდა თავი გზაზედა ეს მეთევზე. წავიდა ხოყანაში და იქა ერთი ქემწიფის წყაროა. იმ წყაროზე მივიდა. იმ წყაროზე დალივა წყალი და თასმა კვლავ „ალავერდი"! ერთი გოგია და უყურა და ქემწიფის ქალს უთხრა:

— ესე ვიხილე, ესეო! — გამაუგზავნა გამდელი ქალმა და მიიპატიჟა სახლში. დასხდნენ და თასიც გააცნო, შაგროვდა, ეხლა ეს ქალი სთხოვს:

— ეს თასი მამყიდე შენო! მამიჩემის ნახევარ ხაზინას მაგცემო!

— მამიშენის ნახევარ ხაზინას ახლავ შავიძენო!

— მა რა გინდა, მაგცეო?

— ჩემთან მოისვენე ამაღამაო და მაგცემო! — უარი უთხრა ქალმა. მერე გამდელი ებრძვის:

— რა დაგიშავდებაო! — იმ ღამეს იმ ქალთან განისვენა და თასი შიგ დარჩა. წავიდა თავი გზაზე. ქალი დარჩა ოჯახში. თურმე თავისი მამა ამ ქალსა სამ თვეში ერთხელა სწონს: რა მოიმატა! სამი თვე გავიდა. მეემატა. მეორე სამი თვე, კიდე მეემატა. გაუგო ამ ქალსა და:

— ამან შამარცხვინა, სახელი დამიკარგა? — მისცა ისეთ ადგილას: — მაკალითო! — ვერ გაიმეტეს მოსაკლავათა. წავიდა ეს ქალი. იარა, იარა და მივიდა ერთ ქოყანაში. ერთი მოხუცებული ადამიანი ნახა. თხოვა შანახვა. უარი უთხრა. მაგრამ არა აქს არც ლოგინი. თასი ჯიბეში უდგას. მაშინათვე გაგზავნა, მაატანინა, შაამზადა ყველაფერი, მაუყენა ოსტატები და ხელათ სახლები ააშენა. ჰკვირობს მთელი ქალაქი. ეყოლა ვაჟიშვილი. გაიზარდა, ორი-სამი წლისა გახდა. ჩააბარა მოხუცებულს და წავიდა იმ ბიჭის საძებნელად. იცის, რო გაუთავდება. წავიდა ერთ ქალაქში. დადგა მოჯამაგირედ (გადაცმულია). ერთი ვაჭარია, ღარიბია. რო წავა, დახლი სავსეა ფულითა, ხაზეინი ჰკვირობს. ცოლშვილს ეუბნება:

— რა შამხვდა, ფული სავსეაო! — რამტოლიმე ხნის უკან მოვიდა შიშველი მეთევეზე. იცნო ქალი. მოატანინა ფული, საპმელი, სასმელი.

— რათა ხარ ეგრე უბედური? — იმანაც უამბო.

— ეხლა რო გნახო, იცნობო?

— აბა, ვინ მამიშვებსო? — ეხლა ადგა, უყიდა ტანისამოსი, წამაიყვანა სახში. ვაჟი დასო კარებზე, გადაიცვა ქალურად და დაუჯდა. ჩაღუნა ამ ვაჟმა თავი.

— მე ვინა ვარო, არ ვიციო!

— აი, შენი შვილი ეს არი. მე ესა და ეს ქალი ვარ! — შვილი იმტელა გაზრდილა, შკოლაში დადის. წაუვიდა გული, გაბარებაზე.

— აი კაპლები!... — იყვნენ კარგა ხანს. დაისვენეს ოჯახში. ამ ქალს თავი მამაზე აქ ფიქრი. ისივ შვილი შინ დასტოვა და წავიდნენ იმ ქალაქში. თავი მამა სახლის გარეშემო ყიდულობენ შენობებს. დააყენა მუშა, დაამგროვა, დაიწყო ახალი სახლები. გაიმართა კარგი სახლები, ისრე რო იმი მამის სახლი არაფერი აღარა ღირს. დაასრულა, მამა-დედაც აქ მოიყვანა. დაადგა ეს ქალი თასით და, რაც მოგროვდება, ყველამ თავთავის პლატოკზე დაიყარა. მერე მააყოლა საყოლაწმინდო და:

— ყველამ თავ-თავის ფული წაიღეთო, მაიკმარეთო! — კემწიფის ცოლი წამოდგა და არ კადრულობს აიღოს. იმანაც გაახვია. მამას უთხრა:

— შენ მოიცადე ცოტაო! — სუყველა დაითხოვა და მარტო მამა დაიგდო იქა. ევაჭრება კემწიფე:

— ეგ თასი მომეო! ჩემ ხაზინას მოგცემო!

— არაფერი არ მინდა, ისე მიირთვეო!

6. სამნი ძმანი

სამნი ძმანი დაიბადნენ, ერთი საღამოს, მეორე შუაღამესა, მესამე ცისკრისას. ივანე გაჩნდა პირველ ღამეს. სანამ გაჩთებოდა, გომიდან ამოიძრახა:

— ღვდელი მამიყვანეთ, ივანე ვჩთებიო! — ღვდელიც იქვეა და:

— ღვდელს ნუ გაუშვებთო! — რომელიც შუაღამეზე უნდა გაჩნდეს, იმანაც ამოიძრახა. ისაც მონათლეს. ახლა ცისკარზე გაჩნდა. გაფრინდა ივანე, მეორეც და მესამეც. ჩამოვლენ, თითოობით ნახავენ დედას. თვეში მოვლენ, მოსწოვენ ძუძუს. დედამ უთხრა უფროსსა:

— მოისვენე! — დაარჩინა სამნივე. წამოდგა და სხვები წვანან. ერთმანეთს ეს ძმები ვერა სცნობენ და აქ გაიცვნეს. იმათ კემწიფეს თურმე სამი ქალი ყვანდა. ერთი ბაღჩა აქ და ვერავინ დაინახავს, ვერც მზეს დაინახავენ და ეგრე თურმე ერთხელ მოფრინდა ერთი წყეული დევი. მოსტაცა კემწიფეს სამივე და წაასხა. დადის, დეეძებს იმათი მნახავი, არის დიდ დავიდარობაში, დიდ თავის ხეთქაში და ვერ გაიგო — სად არიან. ერთი მოხუცებული შაუჩნდა, იცოდა იმან.

— სამ ძმას ეცოდინებაო! — იმათზე ეუბნება. მერე გააკეთა პატიჟობა, რო ვინ იქნება რო უპოვის?... ეს სამნი ძმანიც, ისენიც, დაიპატიჟნა. უთხრა ამ ძმებს და ივანეს ცისკარმა თურმე იხილა, უამბო ამ კემწიფეს:

— წამოწოლილი ვიყავ და მაშინ გადიარა. მინდოდა მესროლა, მაგრამ ის ქალები დაიკოცებოდნენო.

— თუ იმ ქალებს გამორეკავო. თქვენ მოგცემთო, სამთა ძმათაო! — წავიდა ეს ივანე ცისკარი, სამნი ძმანი. იციან იმის მისამართი, საით მხარეს არის. მიმართეს, მიადგენ. კლდვს ვეღარ აუვიდენ. ერთი რკინის კაცი დგას. ამ რკინის კაცმა უთხრა, რო:

— ჯაჭვი უნდა გავაკეთოთო! — თავი თავი გრდემლად მისცა. — კლდეს მეემბით და ისე ავალთო! — გააკეთა ჯაჭვი, გამოკვერა მართლა, შაჴსროლა ეს ჯაჭვი უფროსმა ძმამა, ნახევარზე ვერ მიწია. მერე რკინი კაცმა. მერე ივანე ცისკრის მეერგო და გადაავლო ჯაჭვი. გადავიდა კლდეს, მივიდა იმ შვიდთავა დევთანა ის უფროსი და იმისთვინ მოუცია იმ დევს. ქალმა უთხრა:

— ეხლა შეგჭამსო! — შაიბნენ. ივანე დაეჭარბა, მოკლა ის დევი. სამნი ძმანია ეს დევები. ერთი ცხრათავაა, მეორე—შვიდთავა, მესამე — თორმეტთავა. იმ თორმეტთავასა ყავს უნცროსი ქალი. ეგენი გამორეკა სამნივენი. ბოლოს მაინც უღალატა, ამ რკინისკაცმა გაიტაცა და ივანე ზედ დასტოვა, ბოლოს ეცადა, საიდანმე ჩამოვიდა ივანე და ჯორს იწერენ. წავიდა ერთ მჭედელთან და გააკეთა ბეჭედი და გაუგზავნა ქალს. ეს რო ნახა ქალმა, აღარ იწერს რკინი კაცზე ჯორს.

8. ციფო

ოსი ციფო დაიბადა,
დედ-მამათა გაზარდესა,
ცოცხლები ვართ, შაგვინახავს,
მოვკვდები და დაგვმარხავსა.

როცა რუსი გადმოვიდა, იმათ ამბავზეა. ღუდაში ცხოვრობდა ციფო. ადგა და ერთ კლდეში შეესაფრეს, უნდა დაიპირონ, დაადევს მდევარი, ჯარი მოკლა,

წინ დაიდვა, ის აისაფრა და იქიდან ესვრის. ქართველები დაიყენეს წინ (ქართველებს არ ესვროდა); ესროდა სალდათებს. ქართველები წინ მიისაფრეს. ამხანაგი ჰყვანდა, შულარაჲ ერქვა:

ციფომ უთხრა შეღარასა,
თოფი მაგრა დაიჭირე,
დაღეკილი ტყვია ჩადე,
ზუმპა მაგრად დააჭირე!

9. პაპაჩემის მამა

პაპაჩემის მამა იყო მღვდელი და ერთი ზოტიკაშვილი იყო ბლაღოჩინი. რო გაიგონებდა ბლაღოჩინი, კაცი მოკვდებოდა, იმას გადააქცევინებდა ჯარიმას, ძროხას, ფურს თუ ჯარს... გაიყოლებდა ღვდლებსა და ჩვენი ღვდელი გაიყოლა ყაზიბეკამდის.

წითლიანთ კარის ბოლოსა
ცხენი იღერებს ყელსაო.
— ბიბილაშვილს შამიძრახეთ,
აგრეე წამამყვეს ქევსაო.
— წამოვალ, არ დაგზარდები.
როგორც არა ვგმობ ღმერთსაო,
არ გადმოგიშობ ღმერთსაო,
არ გადმოგიშობ მთელსაო.
ეერძნელის კლდეზე გავკიდებ
მაგ შენ თმასა და წვერსაო!

მოკევეთა ღვდელიც გამაიყოლეს და სამნი მოდიან.

ცხენი სთხოვა და არ მისცა,

— როგორ თუ ცხენს არ მომცემო, ცოლსაც ვერ დამიჭერო!

ბიბილაშვილმა უთხრა:

— ვერც ცხენს მოგცემ და ვერც ცოლსაო!

სპორი გამოუვიდათ და შაიბნენ. პაპაჩემის მამა ძალიან ძრიელი ყოფილა, ღვდელი. გადააგდო კლდეზე. წავიდა და ხადაში დაიმალა და ციხეში იყო ბლაღოჩინი სამ თვესა.

10. ალაჯარის ქალი

ერთი ქალი გაიტაცეს ქისტებმა ჰევსურისა. სიდან არ გამოუდგნენ იმას მდევარი, ვერ მივლენ, რო წააწყდენ. დრო უპოვეს ამ ქევსურებმა. ქისტები ქალს შინ დასტოვებენ. მოუელენ ნათესავები, ქალი უკან უნდა წამაიყვანონ. ქალი მეეგება წინა, მიესალმება, გაუხარდება, მიიღებს თავის ნათესავებს, დაიპატიჟებს ოჯახში, შარეკავს, დააბინავებს, დააძინებს, იარაღს ჩამოართმევს. ამაში ღალატს გაუწევს თავის ნათესავებს. გაგზავნის კაცსა და შაატყობინებს:

— მოვიდნენ ჩემი ნათესავები! — გათენებამდის მოვა, შამეერტყმება რვეთა.

მიწროს ალაგს ჩაცვივდნენ
მონადირენი რვანია,
საჩქაროდ გამოეგება
ეგ ალაჯარის ქალია,
შარეკა გალავანშია,
გადმოურაზა კარია,
საგათენებლოს აიესო
ციხე და ციხის კარია.
ბატარამ ნანაიძემა
მოკლედ გაბანდა ჯღანია,
ციხიდან გადმოფრენილმა
შუაზე გაპყო ჯარია.
ვერც მიპყვნენ სათოფ-საკმლეზე,
ვერც მოუკვლიეს კვალია.

10.II დ ღ ე ო ბ ა

ლუხუმის თავს ყოფილა დღეობა; ხატობა იციან და ქალ-ვაჟი მოუდის იმ დღეზე დევს. აარჩევს და წავა. ერთმა ბიჭმა იფიქრა: „ჩემზე ლამაზი იქ ვერ მივა და ჩემ ქალზე და წაგვასხამსო“. იმ ღამეს სიზმარი ქონდა ნანახი. კმალი ლესა. გაიმართა პური ჭამა. ამოდის დევი. ადამიანს ჩასვლა გაუჭირდება იმ ფერდალზე.

— რო მოხდეს რამე, კმა არავინ ამაიღოთ! — ფიქრი აქ, მოკლავს, ან მეეკლევინება — კმა არავინ ამაიძრახოთ! — დევი ეუბნება:

— ჩამიძეხო და მოგყვებიო! — ჩაუძღვა და გაგორდა და თავი გაუსკდა. მოხუცებულმა დაიძახა:

— ადრე გასახეთქი იყავო! — იმაზე მოვიდა და ის ხალხი სუ დაკოცა. იქ არი აკლდამეები და იქ მარხია. დაკოცა ალბათა.

11. ტარიალი

ბიძაშვილს თხოულობდა ტარიალი. როდესაც მოიდა შინა, უთხრა თავის მამიდამა:

— ესა კაცნი ვინ არიან,
ვაი შენსა მამიდასა,
ბიძაშენსა ქალსა სთხოვენ!
— თუ ბიძაჩემს ქალსა სთხოვენ,
ჩემსა რაღას ამბობენო?

ადგენ და ი ქალის მაგიერად ბებერი დასვეს პატარძლადა. ბებერი დაუსვეს ცოლად ნეფეს. შავიდა ტარიალი და მოსტაცა ბებერი. ბებერმა უთხრა:

ატან ბერი ვარ, ბებერი,
მზე იქა დაგრჩა ტარიალ!

ტარიალ:

ბერი მამყვანდა, ბებერი,
გამიხაროდა ქალადა,
დაკჯე და კბილი უშინჯე,
ერთი არ ედგა წამლადა!

ტირის და ეძიებს ასატან-დარეჯანსა ტარიალ. მივიდა ერთსა წყლისა პირსა. ტირის, ნახა ჯემწიფის ვეზირმა.

ერთი რამე წყლისა პირსა
დამტირალი გვანდა გმირსა,
დიდი ველი მეერთვილა
იმის ცრემლი მონადენსა.
არეინ იცის, ბატონებო,
საყვარელსა რასმე ტირსა.

— მამიყვანეთო! — ბძანა ჯემწიფემა.

ბრძანება იყოს, ბატონო,
ბაგე კბილითა და ბროლთაგან,
ადვილი სამსახურია
ერთის მოყვანა ორთაგან.

როიცა წავიდა ის ვეზირი, უთხრა:

— ჩვენი ჯემწიფე გიბარებსო, აქ უნდა მოხვიდეო! — ტარიალ გაცეცხლდა და შეუტია:

— გასწი, მამეცალე, შენი დღე არა მაქვსო!

რო უნდა გაავლოს ჯელი და დაჰკრა მათრაკი და ბოლომდე გაჴხივა კაცი. მამრე გაიგეს ჯემწიფის ხალხმა. აბა. ჯარები გამოუყენეს — ისიც რაშზე ზის. სადღა ნახვენ? იმ ქალს ეძებს. უნდა იპოვოს. გაიგო ტარიალმა, რო ქაჯების ციხეში არის. წავიდა და მივიდა ავთანდილთან, — ძმადფიცულია. ახლა ფრიდონთან მივიდნენ. სამი ძმანი გაკდენ. ორთავ უთხრა ტარიალმა.

— ასეა ჩემი საქმეო, უნდა წავიდეთო! — წაასხეს თითო კაცმა სამოცსამოცი ვმირები. როდესაც მივიდნენ, თქვეს:

— აბა, როგორ შავიდეთო? — ავთანდილი ამბობს:

— მე ჯამბაზობით გადავალ ალავანშიო! — ფრიდონი კიდე ამბობს:

— მე სავაჭროთ უნდა გადავიდეო! — ტარიალმა:

— ეგრე არ შაიძლებაო, თქვენ შახვიდეთ და მე გარედანაო! არაო, სამი კარები აქვან ციხესა, გავტეხოთ და შავიდეთო! — მაუარეს და გატეხეს. აბა ერთი ჟლეტა არი შიგა... ტარიალი მოდის, საცა ის ქალია. მივიდა ტარიალი და ნახა ქალი. გადაეკვივნეს ერთურცა და ერთი ამბავია. წამაიყვანეს.

12. რ ო ს ტ ო მ ი

საკურდღლე ერთსა მდორსა
მას ღორი შამოსჩვევია,
კბილი აქვს ქმლის სიგძეო,
თვითო ეგეთ მუხას მოსჭრის,
არვის აქსოვს დანარგეო.
ჯარზე თასმა გაიარა,
თელს ერევანს გაკრეს ჩქამი,
— აბა, ჩემო დიდებულო,
ვინ ხართ ჩემი მეომარი?
ჩემი ქალი ცოლად მოგცა,
ცხენებ-ჯარი საომრადა!
ბეეან წამოდგა სეიანი,

დაბადებითვე ჭკვიანი!
— ერთი მე წავალ, ბატონო,
თუ გურგენ გამამყვებაო,
ღორი დოლი მაგან იცის.
ბეჟან და გურგენ ჩადიან
თალათინის ჭალაში,
— ღორო, არეში-მარეში,
გამოდი, გამეთარეში,
შუბლნი ეკრათ, ფარნი ეაღერნეთ,
ერთმანერთს შეეეთამაშოთ!
ბეჟანმა რეშხსა შამოკრა,
წვეთ-წვეთი სისხლი სწყდებოდა,
ბეჟანის რეშხსა ყურთეთრსა
შიშით მუხლს ემატებოდა.
დაგლიჯა ძუა-ფაფარი.
მუზარადს ეზიდებოდა,
ღორი დაიძრა დოლისკე,
შესკვლეეი გათხოვდებოდა,
ბეჟანმა შეილსა მოსწივა,
ვოზა-ვოზაზე დგებაო,
შვილს, მაშის გაუგონარსა,
ესებთ დღე დაადგებაო!
შუქსა ჰკრა, გულსა აძგერა,
წვერი ალაგსა სწვდებაო,
ღორი შავიდა დოლშია,
ფიცხლავ სულ გაეყრებაო.
ბეჟანი დადის კარებზე,
გუნებას ეკითხებაო:
— შავიდე, ეადთუ შამკამოს,
თუ არა, ნაცად მეკარგებაო!
ერთიც კიდე რო ვესროლო,
აუგად დამედებაო.
— გურგენ, ელი ხარ, მელი ხარ,
ხეზე ამსვლელი მელი ხარ,
ე ხე რო ამოგისერია,
საიდან ჩამომსვლელი ხარ?

ბიძამ ულექსა:

— მოდი, გალალებული მოვდივარ, ერთი შავნაყრდეთო!
აფრასინთა ეხლებივარ,
ლხინი მინახავს მრავალი,
აფრასინთა მარიჯანი
მზე არი ამომავალი!

ბეჟანმა უთხრა:

—ცოტა რამ ჭალას ჩაგვიდის,
სადილამდი სავალი,
არცა რა საჯილდაო მაქვს.
არც ქალი მინდა თმიანი.
ეადთუ გაწყრეს მარიჯანი,
ჩემკენ არი ბულნოს პირი,
შენ შენთვინ და ის თავითვინ,
მე სამარე, მიწა გრილი.

წავიდა მას უკან და წაიღო კურდღელი, ზურნა, მივიდა წყაროზე დაუკრა:

შენმა მზემა, მარიჯანო,
შენს წყაროსა რამა ძისა,
აუგია ხის კურდღელი,
ათამაშებს ნიავ-ქართა,
ტურფად უკრავს ზურნაიას
მარგალიტის თითებითა.

მაშინ მარიჯანმა გადმოხედა:

— ბეჟან იდგა, კოშკსა გვანდა
თუ ადგება, რა იქნება?
წადი და აქ მაიყვანე,
თუკი სიძე შაიქნება.

ახლა ბეჟანმა:

— ქალო, მანდ რას იტვრიტები,
გადმოგიგდია კისერი,
მჭრებზე გაყრია ნაკაპნი,
შიგ ურევია გიშერი!
მე მანდ საით ამოვიდე,
თუკი შენ არას მიშველი?

მერე დაეკიდა თმებზე და აიყვანა.

გადმოუგდო ნაწნავი თმა,
თავი გვერდით აიყვანა,
შვიდი დღე და შვიდი ღამე
იქვეფეს ერთურთანა.
ყარაულმა გაუგონა:
— მარიჯანთან ლამაზ ზისა,
აფრასინას მაკსენა:
— შვიდი დღე და შვიდი ღამე
იქვეფეს ერთურთანა,
ტურფათ უკრავენ ზურნაიას,
დასძახიან წვრილი ხმითა.

აფრასინი მოვიდა:
— რა გინდა, ვინა ხარო?

— სალოდინ-საძილედ ვიწვე,
მე კანჩალმა მამიყვანა,
ვერ ვიცნობდი, არ მიცნობდა,
მარიჯანთან მიმიყვანა.

აფრასინი ეუბნევა: — მამაშენსა სისხლი ემართაო!
ბეჟანმა უთხრა ახლა ამაზედა:

— ხე გამქმარა ტერობისა,
შენ ნუღა უნედლებ ძირსა,
თორიო ნედლისა ძირისა
წარე გამოვა სანელი.

ეს ზღვანი აოკრდებიან,
რტონი შენ გელეწებიან,
ერემოელთ გადამკიდენი
ეელარც შენ იძინებ ძილსა.

გმირი ხყვანდა იმას და შაუკვეთა — მოჰკალიო!

— ბეეანი ქაროს ჩააგდეთ
ქაროსა და ორმოს ბნელსა,
თავსა ლოდი დააფარეთ
ლაქამ დევის მოტანილი;
თავს მარიჯანი დააყენეთ,
ეგეც იყოს ცრემლის მღვრელ!
ხვალ ახალ წელი თენდება,
ჩვენიც რამ გაიგებავო,
გივი ჩახედავს ჯამშია,
ბეეანი გამოჩნდებაო.

გაიცინა გივმა. ცოლმა უთხრა: — ცოცხალია ბეეანიო. წადიო და ფირანს. შაატყობინეთო! შაატყობინეს.

ფირან ცხენი გააკენა,
კვიცი ახლად გაკედნილი,
მივიდა და იქ ჩამოხტა,
საცა ხეა ამართული,
ესა კაცი ვინ ირჩევა,
ვინ კაცია დაკარგული?
ბეეანია ერევნელი,
საყორელი გივის შვილი.

ახლა როსტომთან გაგზავნა. გივმა უთხრა:

— ბეეანი ისევ ცოცხალი ყოფილაო! — გივის სახლთან ერთი მუხა დგას.. მოსწივა როსტომა და მააძრიო, გააფუჩფუჩა, შამააყრევინა მიწა და გასტყორცნა. გივს უთხრა ცოლმა:

— გაჯავრებულა როსტომი,
მუხა მოგლიჯა ძირითად,
გასხვიპა, მკარზე გაიდვა,
მინდორი გაიჯირითა.

მივიდა როსტომი.

მაგ როსტომა ჯაკვის კალთა
სარტყელშია ჩაიყარა,
სამჯერ ღმერთსა თაყვანი სცა,
ის ქვა ისრე აიტანა.
ახლა იქვე ცხორეს შაბვდა,
— ამ ქვამ აქ რა მაიტანა?
აკრა ქელი,
ცხრა მთას იქით აიტანა.
ცხრა კომლი კაცი
ხელ იმ ქვამ ძირს დაიტანა.

— აბა, აფრასიონო, გამოდიო! — დაუძახა საყმისა. მარიჯანი დასვეს. გაუნახევრა ამ სამა საკემწიფომ.

— ოღონ თავი დაგვანებეო, თუ გინდა ჩვენი ქალებიც შენ წაასხიო!

18. როსტომი

(ვარიანტი)

სამთოდ ერთი ქალა გქონდა,
სანადიროდ ერთი ტყეო,
მას ღორი შამოსდგეია,
კბილი უდგას კრმლის სიგრძეო,
ასეთ-ასეთ მუხას აქცევს,
არვის აკსოვს დანარგეო!
— ვინც იმის მოკლვას შაიძლებს,
ჩემი ქალი ცოლად მიეცა,
ცხენ-აბჯარი საომრადა!
ბეჟან წამოდგა სვიანი
სიყმაწვილით სიტყომცდარი,
მას გივი გაუჯავრდება:
— ჯერ ბეჟან უმაწვილი არი!

უთხრა შვილმა:

— მამა, მამე შენი ცხენი,
შენი ჯაჭვი ჩამაცვია,
თუ მე იმ ღორს გამოვეკეც,
სუ ერეკნელს შავარცხვნია!
— შვილი ჩემო, რად რა გინდა,
შენი ყველა ტანთ გაცვია,
თუ ღმერთსა არ გაუციხარ,
აბჯართაგან ნუ გაქვ შიში!
— მამავ, შენი ცხენი
ომში დიდად ნაცადია,
მიტომ მინდა ჯაჭვი შენი,
გული უფრო მამაცია!
— შვილო ჩემო, რათ არ გინდა,
შენი ყველა ტანთ გაცვია,
თუ ღმერთსა არ გაუციხარ
აბჯართაგან ნუ გაქვ შიში!

ადგა და წავიდა ღორთან საომრად. გააყოლეს ბიძა გურგენი. მივიდა ღორთან და:

— ღორო, არეში-მარეში,
გამოდი, გამეთარეში,
შუბი ვკრათ, ფარი ვიფაროთ,
ერთმანერთსა გაეთამაშნეთ!
— შენ ბეჟან, ბეჟან უმაწვილო,
რა სირეგვენე მოგრეეია?

თორმეტი შენი გორისა
მე სისხლში გამირევია.
შენ წადი და ის მოვიდეს,
ვინ თავი ერევნელია!

— არ შაიძლება ჩემი უკან გაბრუნებაო, — ბეჟან ეუბნევა.
— ვიომოთო! — მამრე უთხრა:
— ხვთით ვიომოთ თუ უხვთოთო? — ბაჟანი უპასუხებს:
— თუნდაც ხვთით, თუნდ უხვთოთაო! — დაჯდა ღორი და ილესავს.

ღორი ილესავს ეშვებსა,
საომრად ემზადებაო,
ბეჟან რო იმას შაპხედავს,
წოდ-წოდი ჯორცი დნებაო,
დედ-მამას გაუგონარსა
ესეთი დღე ადგებაო!

— შენ გამექცევი, თუ მეო? — წრე შემოავლო ღორმა კბილით და:
— ვინც გადასცდეს, უჯეროაო! — ბეჟან გაიქცა უწინ.

ბეჟანის ცხენი გაიქცა,
შიშით მუქლს ემატებაო,
ჯაკვი დაგლიჯა ბექთარი,
მუზარადს ეპიდებაო.

— ღორო, ღორო, ფიცი გასტეხეო, წრეს გადასცდიო!...

ბეჟანამ შვილდსა მოსწივა,
გოზა-გოზაზე დგებაო.
დაუპირა და სუკსა ჰკრა,
წვერი მიწასა სწვდებაო.

წავიდა ღორი კვნესით დოლში. შავიდა და კვნესის. ფიცი აქვს ბეჟანს—ერთი დაკვრით მოკლას.

ვაი, მეორედ ეესროლო,
აუგად დამედებაო,
თუ არა, დოლში შავიდე,
ნაცადი მეკარგებაო!

წამააყენა შვილდისარი და არ უნდა შავიდეს.

ასეთ დროს შავა ბეჟანი,
ღორს სული გეეყრებაო!

ის როცა მივიდა, გამოათრივა და გაწილა, ამოიღო გული, ღვიძლი, და ნიმუშად უნდა წაიღოს თავის ქოყანაში. ბეჟანმა აიყვანა და ხეზე მიაკრა თავი ბიძა გურგენი — შაშინდებაო! როცა გაათავა და უნდა ჩამაიყვანოს ხიდან, შაშინებულია ეს გურგენი და ხე შამოუთხუპავს.

გურგანელი ხარ, მელი ხარ,
მაღლა ხეზე ასრული ხარ,
ეს ხე რო ჩამოგისერია,
ჩამამსვლელი საიდან ხარ?

— ჩამოდიო! — ჩამოიდა.

— წადი, გაიბანე წყალზედაო! — როცა სმა-ჭამა არია და ბეჟანს ბანგს ასმევს გურგენი:

აფრასინში ვყოფილვარ
ლხინი მინახავს მრავალი,
აფრასინთა მანიჯან
მზე არი ამომავალი.
ვინც იმას ერთხელ არ ნახავს,
იმის საწუთრო რა არი?

დაბრანგულია და დეეძინა ბეჟანს და ღორის ნაწლავები გახვეული აქვს. გაპარულია ე კაცი და წაუღია. გამეღვიძა ბეჟანს. წავიდა აფრასინში. როდესაც მივიდა, მანიჯანის წყაროზე მივიდა. მოცუნცულდა მოახლე მანიჯანისა:

— მინდვრიდან მოვესესები
წენდავარდნილი, საწყალი,
გოგო, მათხოვე ეგ სურა,
ამოვიღო და ვსვა წყალი.

წავიდა ქალი და მოუტანა ეს კოკა.

— მანიჯანო, შენსა მზესა,
შენსა წყაროს რამა ზისა,
ხელს უპირავს სალამური
მარგალიტის თითებითა.
მანიჯანმა ფანჯრი კარი
ქელეუკუღმა გააღისა,
ბეჟან მჯდარი კოშკსა გვანდა,
ზედ ადგება — რა იქნესა?
— წადი აქად მაიყვანე,
თუკი სიძედ შაიქნესა!

მოახლე მივიდა ისევ წყაროზედა. გაიძრო ბეჟედი ბეჟანმა და ჩააგდო კოკაში.

— შენს ქალბატონს ასე მიუტანეო! — მუუტანა და დალია. და პირში მიადგა ბეჟედი. გახედა, ერევნელია, იცნო! თოლით გადახედა და:

— ქალ, მანდით რას იკვრიტები,
გადმაგიგდია კისერი?
ყელ-ყური მჭიეით სავსე გაქ,
შიგ გირევია გიშველი!
მე შენთან როგორ ამოვალ,
თუკი შენ არას მიშველი?!

მუახლეს მისცა მანიჯანმა შალი და:

— მაისხას და ისე ამოვიდესო! — ჩაუტანა. გადეხვივნეს მანიჯანი და ბეჟანი, დარჩეს ერთად და მაუვიდა მაცნე:

— მანიჯანთან ვინმე არის
გაპარული ვინ კაცია!

უნდა გავიყოთო, წამოვიდნენ და ბებერი გამოუდგა;

— თქვენ იმ ბეჟანს ვერ გამაიყვანთო, გაგაფუჭებთო!

— მა როგორ ვქნათო?

— თქვენ უკან გაბრუნდით და მენაო წავალ და შავაბრალებ თავსა, იმათთან დავრჩები მუახლეთაო. შენაო გავიგებ თქვენ საქმესაო, დავათრობო! — მივიდა ე ბებერი, მაიკუნჯა კარებთან.

— რა გინდა აქაო?

— მუახლეთ დაგიდგებითაო! საწყალი ვარო! — არიან დღეს ხვალ და ქეიფს ეწევიან ერთ დღესა. ბანგი აქ იმ ბებერს. მანიჯას ასმევს ღვინოსა, ბეჟანს ბანგს ასმევს. დაათრო. როცა დაათრო, გადიქცა ხესავით ბეჟანი. გაქანდა ბებერი.

— ახლა მოდითო, ახლაა თქვენი დღეო! — მთვრალი კაცი სამი კამეჩის ტყავში გახვიეს და დაგიზეს ლურსმნებითა. ისე უნდა დაიკირონ! როცა გამეღვიძა, გაიწივ-გამოიწივა და დაგლიჯა.

— ქელშაკრელს ნუ მკლავ,
ბატონო,
ქელი გამიხსენ, გამამცადეო!
ათას კაცს შამაბი თქვენსაო,
თუ ერთი წამოვიდეს ერეკნელი
შავარცხვინეო!
—ქელთა მყოფ ომსა გეიქადებს
ესა ფლიდია,
აკიდეთ ძელი მაღალი,
ზედ ბეჟან ჩამოკიდია!

როდესაც გადაუწყვიტეს დახჩობა;

ფირან ცხენი გააკენა,
კეიცი ახლად გაკედნილი,
ფირან ძელი დაინახა,
ძელი — მაღლა ამართული,
მაგაზედა ვინ დაკიდებთ,
ვინა კაცი დაკარგული?
— ბეჟანია ერეკნელი
გივიშვილის საყვარელი,
როსტომისა ბიძაშვილი
და გურგენისა ძმისწული.

— ბეჟანის სიკვდილი არ იქნება ეგრეო. გივისა რო ეგ მოუკვდესო, ზღვიანი ხო აოხრდებიანო და რტონი ჩვენც გველეწებიანო.

— ბეჟანს კარო გაუთხარეთ
მამა-პაპის მოგონილი,
თავ დიდი ქვა დაადევით,
ქამან დევის მოტანილი.
ზედ მანიჯან დააყენეთ,
ეშმაკებით გატენილი.

დადის და პურს თხოულობს მანიჯან და ტუსაღს აკმევს. ახალწელ დილა გათენდა, ცოლს უთხრა გივმა:

— ეგ თავი ოქროსი, ღვინო ჩაასხიო და მამიტანეო! — მუუტანა და ჩახედა და:

— რა გაცინებს, შე უბედურო, შენი ბეჟანის დამკარგავსაო?

— ჩვენი ბეჟანი სატანჯველში არისო, ცოცხალიაო. გივი რო ჯამში ჩახედავს, კმლები გამოჩნდებაო! — გაიგეს ამა და ამ ადგილასაო, ერევნელთა გაიგეს და უნდა წავიდენ თავის ძალითა. როსტომა უთხრა:

—ეგრე ძალით არ შაიძლებაო წასვლაო! — ის როსტომი ვაჭარი ყოფილა და:

— მე საქონელს წავიღებ და ავჰკიდებ სავაჭროსაო და გავიგებო! — აჰკიდა და წავიდა, საცა ის ქოყანა არის, მივიდა აფრასინში, ჩამოხადა და მუქთად აძლევს ტუსაღის პატრონს, ბესპლატნათ. მანიჯანს ეუბნება:

— ვინა გყავს ტუსაღი?

— ბეჟანი არისო აქაო და მე ცოლი ვარო.

პატარა ხან მოითმინა და გააკეთა ყველაყაში გახვეული და:

— მუუტანეო, ჩააწოდეო! — მოვიდა და ჩააწოდა და თავის ბეჟედი შიგ ჩასდო ფუტაში, გახსნა და რა გინდა — გაიცინა. ეს ცოლი ეუბნება:

— რა ეხლა იცინიო?

— რა ვიციო! მაინდა როგორი კაცი კბილი აკლია, ის ჩემი ბიძაშვილი არისო და ის დაგარიგებსო! — როსტომ ეუბნება:

—კიდენ მოდიო! — როცა მაიხილა ბეჟანმა ისა:

— კიდენ მოდიო! — და მივიდა.

— რას გვამოწყალებო? — და:

— შეშა დასდგიო! — ერთმა ბებერმა გაიგო მანიჯისა და როსტომის ამბავი. რაც ამ საღამოს ჰქნას, ხვალ დილამდე სცნობს.

— აბა, ბებერო, აქ მოდიო, შაქარი ენაზე დაგაყაროვო, — მააძრო ენა და გადააგდო.

— ამა და ამ ღამეს მოვალთ და ცეცხლი წაუკიდე და იმაზე მოვატნევთო,— დაანთო, ერევნელნი იმაზე ატანენ. მივიდნენ და ქვა ძევს იმისანე, ვინ გადააბრუნებს! მამრე მივიდა როსტომი:

> როსტომ გმირმა ჯაჭვის ჯალთა
> სარტყელშია ჩაიყარა,
> სამჯერ ღმერთს ძალა შესთხოვა,
> ასწია და აიტანა.
> თალათინის ჭალაშია
> ბურთებელად გაისროლა;
> ვინცა ნახა, იმას უკვირს:
> ეს ქვა აქ ვინ მაიტანა?!

როდესაც გააცილა როსტომა ის ქვა და ბეჟანი ამბობდა:

— არ ამოვალო! ერთიო გურგენისათვის ცხელი ტყვია მასროლინეთო და მაშინ ამოვალო!

— არაო!

— ერთი ბამბის ქულა მაინც მასროლინეთო! — ამოვიდა და ისე მოკუმა და:

— ღმერთო, თუ მე ვტყუოდე, ის ბამბა ბამბურად ჩამოაგდეო, თუ ეგაო, ეს ბამბა ტყვიად იქცესო!—მართლა იქცა და მოკლა. გამოსწიეს და წამოვიდნენ.

14. ორი ბერი ერთად იყო

ორი ბერი ერთად იყო,
ერთად პური გატეხეს,
ერთმანერთსა შასჩიელეს:
— ლამის ქვეყანა გაფუჭდეს,
არ სწამობენ ერთმანერთსა,
მაგისთანა საქმეები
წინ-წინ იმ ადგილ იქნესა,
ღმერთი ხვერეელას გააჩენს
დამდგომს იმ მკათათვის თვესა,
რასაც შამოკედა სომეხსა,
თხასავით აკიკინებსა.
გეუქ-აღამ დაიკვეხა:
— მე რას მიზამს ხვერველაი,
პადვალში ჩავიპარები,
თან ჩავიტან წლის საზდოსა,
ჩაისა და ნუღლივ რძესა;
ჩაით ეგრე გავსუქდები,
დავეპიდებოდე დევსა.
შიგნიდან ჩავკეტ აკოშკებს,
კარებსაც მივადებ ძელსა.
ეგ რომ ხვერველამ გაიგო,
იცინოდა ნელა-ნელა.
ორშაფათ დილა გათენდა,
ხვერველა დაცუნცულებსა,
შაუკვდა გეურქ-აღასა
სუ თხასავით აჩხაელებსა;
— დაუძახეთ მედროგეებს,
ესეც აქ არ ჩაყროლდესა,
ეგ რომ სომხებმა გაიგეს,
ერთურც მუჯლუგუნი ჰკრესა;
— ლუხუმ ფაშეც ფახაწელა,
ჩვენ აქიდან გადვიკარქოთ,
თორე სუ გაგვწყვეტავს ესა.
დღესაც ეძებს იმის შვილი
თავი მამი დამარხველსა,
იქნებ მიწას მიაბარეს,
იქნებ მტკორში გადაგდესა?
იქ ერთი კინტო წამოხტა,
— მე ვიცნობდი მამაშენსა,
საფლავსაც კარგს გასწავლით,
მარმარილოს ქვა აძევსა,
მარჯვენაით ოქროს აძლევს,
მარცხენაით მანათებსა, —
კინტო ოთახს მეეფარა,
— წადი შენი დედაც,
ვინ იცნობდა მამაშენსა?
მე რო მტკორში გადავფრინდე,
სუ დავაფრთხობ კალმახებსა.

15. ცამ დაიქუხა უცეფა

ცამ დაიქუხა უცეფა,
დაიძრა მთა და ბარია,
ვაინი გამოგვიცხადეს,
ცუდი მოვიდა ქამია.
რისთვინ მოვიდა მკათათვე,
ეგ ჩვენი დამღუპაეია?
იცლება ჩვენი სოფელი
რჩება ქალი და რძალია.
მოკერეკეს თფილის ქალაქში,
სა დიდი სამართალია,
მზათა დგას პარაოზები
გზას მოარული ჩქარია,
სუ ყარსში დავიბადენით
თლათ კაეკასიის ჯარია,
დატყვრება ყუმბარაები,
ინგრევა მთა და ბარია,
იმას რა უკირს კიდავა,
ვისაც სახში ყაეს ძმანია?
იმათ რაღა ქნან, ბეჩავთა,
ვინც რო დაკეტა კარია,
წავიდა ბრძოლის ველზედა,
ველზე დაპყარა ძვალია?
არცა ეღირსა საფლაეი,
არც მიწა მისაყარია!
ახლა მოვიდა ზამთარი,
დაიწყო ცივი ქარია,
ვისღა მაუვა ზაფხელი,
მშვიდობის მთიბა-მკანია?
ვინ შაესწრობა იმ დროსა?
სამშობლოს დაპკრეს თვალია,
წამოწოლილა ველზედა,
ცხელი ტყვიისგან მთერალია,
იწეეს და ვეღარ წამოდგა
მუხლში არა აქვს ძალია,
ეგრე უთხარით დედასა:
არა იტკივოს თავია,
ტაბლები გამაცხობეს
აღდგომას გასატანია,
სუყველგან გაღებულია
საფლავ-სამარის კარია.
მე ეს შაირი გავთარგმნე
ოსმალის გრანიცაზედა,
ჯელში გამარტყეს ტყვიაი,
სისხლი ჩამამდის მკლავზედა-
ე მაგის გამომლექსავი
გვარად კვირტაძე არისა.

16. ვაინის თაობაზედა

ვაინის თაობაზედა
ბევრი რამ შამიდგენია,

თლად მამილია კმელეთი,
არცად რა გადამრჩენია.
კარზე მოგიდგეს ჩაფარი,
ეგ რა ვაკაცის ფერია,
გიბარებს ჩვენი პრისტავი:
— არა ვარ შენი მტერია.
ჩავედი, გამოვეცხადე:
— უნდა წახეიდე ჯარშია!
მაშინვე ფეკზე წამოდგა
ქელი დამარტყა მკარშია,
ვაენცეკი ნაჩალიკთანა
პირდაპირ შაველ სახშია,
რუსულად მითხრა: — სუქინსილ,
რად გაიპარე სახშია?

17. ნეფის ტირილი

გლახამ თქო: — დღენი კრულია
დაბადებისა ჩემისა,
რამტვენიც დილა გათენდა,
ომტვენი უფრო წყენისა.
ნეფის ტირილი ეიხილე
ცოდვისა მეტის მეტისა.
დაკრილი ნეფე ტიროდა,
სიტყოს ამბობდა კვნესითა,
მამა მიმზადებს ქორწილსა,
რაც რო წესია ქვეყნისა.
მაყრები ემზადებიან,
ცხენებსა კაზმვენ ეგზითა,
ნათლიად ვემზადებოდი
ცხენს ვასუქებდი ქერითა.
ნათლიად წამოსული ვარ,
დუშმანიც გავხდი მტერია.
ქორკისკენ გავემართენით,
ნათელი გოდგა ზეცითა,
ფერად-ფერადი ყოილი
იყო წითელი, თეთრულა.
გვიმუხთლა ბედისწერამა,
მახე დაგვიგო ფეკისა,
სუ გაგვიმწარა ტკბილი რძე,
ნაწოვნი ჩვენი დედისა.
უკუღმა შამოტრიალდა
მესკვლევი ჩვენი ბედისა,
ეგ ვისღა გაუგონია,
უქუხრად სროლა მეხისა,
ეკლესიათან დაცემა
კარზე მოსულის ნეფისა.
მღვდელი გაჩერდა კარზედა
რა მოგვეელინა ზეცითა,
ეს რაღა საქმე დაგვერთო,
ერთი მეორეს ეტყვისა,
დაგვეცა შავი ღრუბელი
ქუხილითა და სეტყვითა.

რაკ ქენით, ჩემო მაყრებო,
საქმე გასწიეთ ცეტისა,
ნაწილი ნეღარ შაგერგოთ
ნაქნავი ფარის ქედისა.
ქალ იყო სეეტაკ გაკდილი,
დაბლა დაეცა კენესითა,
თავი აღარ აქვს ნეფესა,
გადაბიჯება ფეკისა.
შორიდან მოდის ტირილი
ნეფის სიმამრი დედისა.
არ მეგონა და მამერგო
თავში შამოკერა კეტისა.
ცოლიძმას მაიკითხავდა,
სიტყოს ეტყოდა კენესითა.
ვინც ჩემი ლექსი გამოთქო,
ოქროც აჩუქეთ, ვერცხლიცა.
აჩუქეთ ტანისამოსი,
მაგრა შაკერეთ ნემსითა.
ზედ შამაარტყეთ სარტყელი,
ქამარ-ხანჯარი ვერცხლისა,
ეს ჩემი ლექსი გამოთქვით,
როცა დააბათ ფერკისა!
ჯორკიდან კაცი გაგზავნეს:
— თა გადიარე ჩქარაო,
ეგრე უამბე გიგოლას,
რაც ნეფემ დაგაბარაო.
— მაგას ვინ შასვამს გიგოლას,
ვინ არის მაგისთანაო?!
გადეიდა დოლას ქედზედა,
ამბავი გადიტანაო,
დაეცა შავი ღრუბელი,
სოფელს რო მიეტანაო,
სიტყვა ვერავინ დასწონა,
სუყველამ დაიზარაო,
თავის ნათლიამ გლახამა
კარებზე ჩააყარაო,
— გიგოლავ, კარჩი გამოდი
ეჯიფმა დაგიბარაო.
სამჯერ გააღეს კარები
სამჯერვე მიიჯარაო.
— თუ ჩემი შვილი მოკალი,
ქალი ვინ მაიყვანაო?
მეჯორეს თოფი გავარდა,
ნეფე თან გაიტანაო.
აგრე გადმოჩნდეს მცხესანი,
დავიღუპენით განაო,
აღმართში შამეემართა
მუკლში აღარ აქვთ ძალაო.
დახედა დაპრილს ნეფესა,
ცრემლები ჩამოშალაო,
მეც თავი უნდა მოიკლა,
მომეცით ერთი დანაო.
— კარგია, დადექ, გიგოლავ,
ეგ ცოდვა-ბრალიც კმარაო,

ქვა იწვის შენის ცოდვითა,
კლდეები დაიშალაო,
ოთხნი ატირდნენ სიძენი,
დები სუ შაიშალაო,
ახლა მამიდა ატირდა
სიცოცხლე გაიმწარაო,
მომზადებული ქორწილი
უკუღმა დაიცალაო.
ეგ იყო ჩემი სიცოცხლე,
წავიდა, გაიპარაო.
დაიძრა მთელი სოფელი,
მოიდა როგორც ფარაო.
ცრემლის ტბა დადგა გულზედა,
ნაპრები გაიბანაო,
ქალმა აიხსნა გვირგვინი
გულისპირს შააყარაო.
რეა-რეა ნაწნავი გადიღო,
ვარდიეით გადიშალაო,
წააწყო გულისპირზედა
ბაღდადი წაფარაო.
ვერ მოგეშვები, ლამაზო,
უნდა ჩამოგყვე თანაო,
ცოცხალმა როგორ დაელაკო
მაღლა მთა, დაბლა ჭალაო,
ივანეს ვიღა მოკლავდა,
მიწა ვინ მიაყარაო?!
გული იკმაროს რკინისა,
ბარი ხისა და ქვისაო,
შვიდი დღე იყო ტირილი,
გრიალი ზარებისაო,
ბერი კაცია გლახაი,
ენა-ქმა აღარ სჭრისაო,
ეგრე ძნელია ლექსობა,
როგორ გარბენა გზისაო.

18. ნეფის ტირილი

(ვარიანტი)

გლახამ სთქვა: — დღენი კრულია
დაბადებისა ჩემისა,
რამტეელიც დილა გათენდა,
უფრო და უფრო წყენისა.
ნეფის ტირილი ვიხილე
ცოდვისა მეტის მეტისა;
ამათ ამბავი კაცისთვის
თავზედ დამსხმელი რეტისა.
დაპრილი ნეფე სტიროდა,
სიტყოს ამბობდა კენესითა:
— რაღა მე ვკვდები ჭირითა
ყველაზედ უარესითა,
უკუღმა შამიტრიაღდა
მესკვლევი ჩემის ბედისა,

სულ გამიმწარა ნაწოვნი
ტკბილი რძე ჩემის დედისა.
ტანისამოსი მიყიდეს,
ქამარ-ხანჯარი ვეცხლისა,
ემზადებიან მაყრები,
ეხენებს ჰკაზმავენ კეხითა,
ჯორკისკენ გავემგზავრენით,
ნათელი გოდგა ზეცისა,
ყვავილი ფერად-ფერადი,
წითელიცა და თეთრიცა.
გვიმეხთლა ბედის წერამა,
მახე დაგვიგო ფერკისა,
არავის გაეგონია
უქუხრად სროლა მეხისა,
ეკლესიაში დაცემა
კარზედ მისული ნეფისა,
ქალი აზიზად გაზრდილი
დაბლა დაეცა კვნესითა:
მღდელი საყდარში გაჩერდა,
იწოდა ნეფის მაყრები,
როგორც აბედი ცეცხლითა.
— როგორი საქმე დაგვეცა? —
ერთი მეორეს ეტყვეისა.
დაგვეცა შავი ღრუბელი
ქუხილითა და სეტყვითა,
დაჭრილი ლაპარაკობდა,
სიტყოს ამბობდა კვნესითა:
— რა ჰქენით, ჩემო მაყრებო,
საქმე გასწივეთ ცეტისა,
არ შაგერგებათ ნაწილი
მოკნული ჯარის ქედისა!
ცოლიძმას მოიკითხამდა,
სიტყოს ეტყოდა ხვეწნითა:
— ეს ჩემი საქმე გაკდება
სალაპარაკოთ ქვეყნისა,
ლექსი გამოთქეით, იმღერეთ,
როცა დაბათ ფერკისა.
ვინც ჩემი ლექსი გამოთქვას,
ოქროც აჩუქეთ, ვერცხლიცა,
ტანისამოსი აჩუქეთ,
მაგრათ შეჰკარით ნემსითა!
შორიდამ მოდის ტირილი
ნეფის სიმამრის დედისა:
— რაისთვის გაეხდი მზიდველი
ჯაფისა მეტის მეტისა?
დახედე, კიდე მამერგო
თავზედ დაცემა კეტისა.
სულ გამიმწარა ნაწოვნი
ტკბილი რძე ჩემის დედისა!
ტირილით მოდის სიდედრი:
— შვილო, დამღუპე, განხაეო,
მეც თავი უნდა მოვიკლა,
გულში დავიცო დანაეო!
ჯიბე აუვსო ფულითა,

მამასთან გაატანაო,
მაყრებმა ცხენდარს ასწიევს,
ქალი მისდევდა თანაო,
მამასთან კაცი გაგზავნეს:
— მთა გადიარე ჩქარავო,
ამბავი გადაიტანე,
რაც ნეფემ დაგაბარავო!
გადვიდა დილას ქედზედა,
ამბავი გადიტანაო,
შავი ღრუბელი მისდევდა,
სოფელს რომ მიატანაო,
— მაგას ვინ ეტყვის გოგოლას,
ვინ არის მაგისთანავო?
სიტყო ვერავინ გაბედა,
სუყველამ დაიზარაო,
თავის ნათლიამ გლახამა
კარებზე ჩაიარაო,
— გიგოლავ, კარზედ გამოდი,
ეჯიფმა დაგიბარავო,
ქორქიდამ კაცი მოვიდა
ამბავი მიატანაო,
ნათლიის თოფი გავარდა
ნეფე თან გიატანაო.
ეგ რომ გიგოლამ გაიგო,
სუ ჭკუიდან შეიშალაო,
— თუ ჩემი სიძე მოჰკალით,
ქალი ვინ წაიყვანაო.
ქალმა დაგლიჯა გვირგვინი,
ზედ გულზედ დააყარაო.
არ მოგეშვებით, ლამაზო,
უნდა ჩამოყვე თანაო.

18.11 ნეფის ტირილი

(ვარიანტი)

შკოლიდან გამომისტუმრეს,
შინ მოვეელ ჩემი ფეკითა,
მამა მიმზადებს ქორწილსა,
სუყველას თავის წესითა.
ტანისამოსი მიყიდა,
ქამარ-ხანჯალი ვერცხლისა,
სანეფოთ ვემზადებოდი,
ცხენებს ეკაზმავდი კეხითა,
ქორქისკენ გავემართენით,
ნათელი მოდგა ზეცითა,
ბედი უკუღმა მობრუნდა
დოლასქედურის ნეფისა,
დაკრილი ნეფე ტიროდა,
ეგ ვისღა გაუგონია
უქუხრად სროლა მეხისა!
დაკრილი ნეფე ტიროდა,
სიტყვას ამბობდა კვნესითა,

— რაჲ ჰქენით, ჩემო მაყრებო,
საქმე რაჲ ჰქენით ცეტისა,
ნუმც შაგერგებათ ნაწილი,
ნაქნავი ქარის ქედისა.
დაპყურებს თავის ნათლია
გაყვითლებულის ფერითა,
—ნათლიად ვემზადებოდი
ცხენს ეასუქებდი ქერითა,
სანათლიავოდ მოსული,
დუშმანიც გავხდი, მტერიცა!
მახარობელი გაგზავნეს
ქორქში გადვიდა ცხენითა.
თავის ნათლიამ გლახამა
კარებზე გაუარაო,
— კარზედ გამოდი, გიგოლავ,
ეჯიუმა დაგიბარაო,
სამჯერ გააღო კარები,
სამჯერავ მაიჯარაო,
ნათლიას თოფი გავარდა
ნეფე თან გაიტანაო,
თმა-წვერზედ ხელი გადისო,
სულ დაბლა გადიფარაო,
— თუ ჩემი შვილი მოჰკალით,
ქალი ვინ მოიყვანაო?
მაყრებმა ცხედარს ასწივეს,
ქალი მისდევდა თანაო,
აგრე გადმოჩნდა ცხედარი,
— დავიღუპენით თანაო!
მეც უნდა თავი მოვიკლა,
მოშეკით ერთი დანაო!
— დაიცა, კაცო, გიგოლი,
ეს ცოდვა-ბრალი კმარაო!

19. იყრება ოსის ლაშქარი

იყრება ოსის ლაშქარი
ქალ მიუდგება წინაო,
— გადვიდეთ მთიულეთშია,
ნაღორევს დავდგათ ბინაო,
ვარჩიოთ ქალი და რძალი
ქალიმც მივართვათ წინაო!
გაიგეს მთიულთ ვაჟებმა,
წელზე შაიბეს რკინაო,
შვიდი ათასი კაცისა
შვიდი გაგზავნეს შინაო!

20. გაგაძე

სულსა სწყეულიდენ, კრულვიდენ
ამ ბერის გაგაძისასა,
ჩაგვიძღვა უალაგოსა
ებრიაულის გზისასა,

წამოგეწივნენ მთიულნი,
რისხვასა ჰგვანდა ხვთისასა,
წამოგოყარეს ისარი,
სეტყვასა ჰგვანდა ცისასა.

21. ქემწიფემ ჯარში გადწივა

ქემწიფემ ჯარში გადწივა,
რუსეთში ჩადგა კარავი,
ითმა პორტატრუშია,
ჯარი დაკოცა მრავალი.
ქემწიფემ წინ დათხოვა,
გზა დაულოცა სავალი,
შინამც მიუხვალ დედასა,
კიდევ ქალ გაკუვე მაყარი!
მაგრა ტიალი სიკვდილი!
გზაში რომ შაკვდა ტიალი,
შეიდი დღე-ღამე მებრძოდა,
სუ დამაშტვრია საწყალი.
ჩქარ კი არ დავმორჩილდებით,
ქელი გაეიელე ქმალზედა,
ვეც და ვერ გავაპრეკინე,
ჯაკვი აცვია ტანზედა.
დუმაცხოს კაცი მოვიდა
შამასახლისი-ჩაფარი.
ფიქრობს, რო გამოუცხადოს
დაღონებული საწყალი.
თქვენი პაელია მოგიკვდათ
წითელის ღვინით დამთვრალი.
ისე დაგიჯდენ ბიკები,
სუ დაგიმტვრიეს მთა-ბარი.
ან მთა რა გვინდა, ან ბარი,
ან ნაკნავი და სათესი.
პაელიამ შამოუთვალა:
გურავინ მოხვალთ გულზედა,
ჩემსა დანიშნულს უთხარით:
სხვას ნუ უგორავს კლავზედა,
მე მაგას შავეხვეწები,
ბატკანი დაკლას კვდარზედა.

22. ჯიმშერ ქადას ემზადება

ჯიმშერ ქადას ემზადება,
ქალბატონი უშლის ქელსა.
— რასა ბრძანებ, ქალბატონო,
მე რო ქადაში მივიდე.
ჩემი შიში ქვას გახეთქსო,
ქარსა და ძროხას მოგირეკ,
ქაბასაც მოგიტან ჭრელსა.
ფიცავს, ფიცავს ხუცესაი
თავისი ლომისისასა:

—მოვკლავ და მოვკლავ ჯიმშერსა,
ძირს გაუწითებ ქვიშასა,
ერთად ვატირებ დედასა
ჩემსა და ჯიმშერისასა.

23. გუდამაყრელი ლეგა

გუდამაყრელი ლეგაო,
დაადიხარ ნელა-ნელაო.
ანანურში რო ჩამოხვალ,
ივანე დაგიკვდებაო.
ორი აბაზი ეძლია:
— წადი, არაყი დალიე!
არ დაიშალა ივანემ,
გადაიწვდა იმის ცოლსაო!
ლეგამაც ქელი მაისვრა.
ნაჩუქარს ცოლის ძმისასა,
გულშია დაასცა ხანჯარი,
ვირივით დაიღრიალა!
დუშეთს ატირდა ბებერი:
— ვაიმე, ჩემო ივანეს!
— რა გაწუწუნებს, ბებერო,
ივანე მოგიკვეიანე.
სხვისა უყორდა წაწალი,
თავისიც გაუტიალდა!..

24. დუმაცხო, თქვენ მარტიანო

დუმაცხო, თქვენ მარტიანო,
ღმერთმა გამყოფოთ მრავალი,
გონავ გაიზარდეთ პოელია,
ვაქაციი არი მძლეარი.

25. თუ მკითხავ, ამბავს გიამბობ

თუ მკითხავ, ამბავს გიამბობ
ჩემსა და ფირჩლაძისასა,
სამძღორსა შავიყარენით,
სამძღორსა მუხნარისასა.
პური მთხოვა და ვაკმიე,
ვურჩევდი თათუხისასა,
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ვურჩევდი ბადაგისასა.
ქორეი მთხოვა და ვაკმიე,
ვურჩევდი კოკობისასა,
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც,
მიმყვანდა სიდედრისასა.
არ დაიშალა, გადმოსწვდა,
აკოცა გიშლის თმისასა,
გადმამკრა, გადმამიქნია,
რისხვასა ჰგვანდა ღვთისასა.

ახლა მე გადაუქნიე,
ელვასა ჰგვანდა ცისასა,
ცხენი და კაცი გაკაფა,
წყერი უწია ქვიშასა.
ჩვენ ერთმანეთი გავსწყვიტეთ,
ქალი წავიდა ძმისასა.

26. მთიულეთს გახდა ჩქონჩქორი

მთიულეთს გახდა ჩქონჩქორი,
მტერი დაგვეცა თავზედა.
გიორგი მიდელაური
ლომისისა ზის ჯარზედა.
ავსებულ თავი გასტყორცნა
ი ხატის მეედანზედა,
ებრაელიძე წავიდა,
პური არ სჭამოს ჯარზედა;
ქალები დაუტაცნია
იმ ქვეშეთისა გზაზედა;
გაეარდა გიორგის თოფი,
პირ ცეცხლი გაიყოლაო,
მკრებში ააჩნდა კუნელი,
ნისლიანით აიყარაო,
ბურთივით დაატრიალა,
ყირაზე გადიარაო.
— დედა გენაცვალოს, გიორგი,
არ მახეელ ცარიალაო!
სიმღერით ჩამაავლივე
ფშავ-ქევსურეთის ჭალაო,
დედამ იშრომოს ეგეთზე,
გაზარდოს შენისთანაო.
ხადელსა მიდელაურსა
ქოხი აუგავს ქმლისაო,
წინ დერეფანი დაუდგამს
სამკლავე საბურასაო!

27. სიბერე

რო გითხრათ, ჩემი სიბერე
მგორაე ქვას დაედარება,
ჯერ ძლივ დაეჯდები სკამზედა,
ადგომა დამეზარება,
რაც უნდა კარგი სიტყო ეთქო,
არავის მეეწონება,
შამძულდა ჩემი სიცოცხლე,
კაცი არ დაიგმოება.

28. მით მამეკიდა სიბერე

მით მამეკიდა სიბერე,
ბატარა გავედ ეელადა,
ადრე მამსხლიტა ძუძუსა,
ალარ მაწოვა დედამ,

ძირს მიწა მქონდა ლოგინად,
ზევიდან ნამი მხურავდა,
შავი ნისლები მთაზედა
გადადივ-გადმოდიოდა,
შიმშილითა და სიცივით
მე სული ამომქდებოდა,
კაცს თოლით ეერა ეხედავდი,
კაცის კმა მენატრებოდა,
გუდაში ქალი მეყარა,
ისაც ჩქარ მითავდებოდა,
არწივნი მთაზე ბუდობდენ,
იმათ კმა მეოცებოდა;
სხოს ეეღარაეინ ეხედავდი,
კაცის კმა მენატრებოდა.
დღეს საწუთრომა ლახორსა
მიმცა, დანასა მახესა,
დღეს გული ცეცხლსა მიშრეტავს,
დამაბა დამბით მახია,
აწ გავეე საქმე სოფლისა,
ზღაპარია და ჩმახია.
ძნელი არის დამძრალისა
ბერვით წყალი გათბისა,
ძნელი არის სიყორული,
ქვეეით კოცნა, მზისა წვერვა.

29. ფშაური ლექსი

სამ ძმათა ხარანეულთა
საომრად ეტყვის მკარია,
ორშაფათ დილა გათენდა,
ადგეს, დაკმაზეს ცხენები
შირაქს ჩავაღლოთ თოლია.

იოსებს უთხრა უმცროსმა ძმამ:

— მოდი, ნუ წავალთ, ტინიკო,
წუხელ ეითრიეე კედარია,
ნეტა, ტინიკო, დედაშენს
დაბადებიყავ ქალია!
ივრისა პირზე ჩამოდგა
თათრის ურჯულო ჯარია.
იოსებ გადაუძრახა:
— გეძებდით, შაგეყარენით!
შური გვაქს საძებარია,
ჯოგში ცხენები დავტაცეთ,
ვართ მისი მაძებარია.
დატყვრა თოფები, დახალდა,
დაბრუნდა კუპრის ალია,
დაბლა წვიმს, მაღლა დარია.
წინ-წინ დაგეირტყეს, გიორგის
მოჰასტყდა მარჯვენა მკარია.
თათარმა თოფი დაღრიჭა,
იოსებ მასწრო თოლია,

დაკრილმა ისევ მაასწრო,
დააგლეჯინა ყბანია.
გარბის ნაომარ თათრები,
თან გასდევს სისხლის კვალია,
ტინიკას გადაუძრახა:
— სად არი ჩვენი ძალია!
გავარდა ტინკოს მაკარი,
ყურბანას დასხნა რქანია.
საჩქაროს ხანჯლით აკაფა,
— ჩემ ძმას უზიდეთ წყალია,
თუ იმის ღირსი არა ხარ,
ხვეტე ფარეხის კარია,
ძაღლებს სალაფა უდუღე,
მწყემსებს უბრუნე ცხვარია!
— გიორგი, შენი სიკვდილი
ცი დანარეკი ზარია,
გაიგეს შავეთელებმა,
გაკსნეს სამოთხის კარია.
გიორგის ნეღარ გაუშობთ,
ერთ-ერთს უკირავს მკარია,
ღელეს ატირდა თამარი,
ლაშარ-ლაშარი ჯვარია,
ქისტეთით ვეღარ მოვასწარ,
დამიზარალდა ყმანია.
ვესროლე ჯაკვის კალთანი,
მაგრამ ვერ მოაფარია,
ხელში მეტანა თეთრაი,
ფეკთ ეკრა ოქროს ნალია,
წინ მიშლის ოქროს ნაწნავნი,
გადავიყარე თმანია!
— გიორგი, შენი სიკვდილი
ცი დანარეკი ზარია.
ხელთ მისცეს კელაპტარები:
— ჩაინთლოდე გზანია!

80. ბერაჲს ლექსი

ჩოხს დაიბადა არწივი,
ამბობენ ცოტა ხნისასა,
ამზადებს ტყვია-წამალსა,
ხანს ეხლა მოვალს ცდისასა.
არ დაადევს საქმეს საგვანსა,
ძალს ჩივის ქისტებისასა.
ბევრი აქვს ტყვია-წამალი
სალაღოს სწურავს ქვიშასა,
წამალს წამალზე გადასწყავს,
ტყვიას მაგ ყალიბისასა,
ადგა და გამეემართა,
ბედს აკსენებდა ხვთისასა
ქვეენა ფთა გადიარა,
კოლს გადიდევნებს მგლისასა.
გამამყევ წმინდა გიორგის,
ჭმალსა ნუ მამრევ მტრისასა..

მიუქვა თამარის ძესა[1].
კილოსა ჰკითხავს მტრისასა,
ისინი გამეემართნენ
ორანი თენებისასა.
არხოტი ჭალას ჩადიან
ეაენი ჩაღარვენ ქვიშასა,
ტყეში სხედს ქისტი შვილები,
საათსა სთვლიან დღისასა.
შამაესროლა ბერამა,
წითლადა ღებავს ქვიშასა.
ეგ არის ქისტი ბერაი,
შურს ძეობს ბიძაშვილთასა.
— ქისტო, რამ გაგადიდგულა,
საჲსტუმროს იყავ დისასა,
წინ გიზის ჩოხელ ბერაი,
ხანს აღარ გაცდის ცდისასა,
გავარდა ბერაის თოფი,
შუბლს მოხვდა, გადის კისერსა.
— ყარგი, დაგვეკსენ, ბერაო,
ამას გვაკმაე ხვთის მადლსა!
აიესო აკდამეები
შენის ნაკოცნის მკვდრითაო,
თუნდა დავიდებთ ბეგარსა,
ყარისასა და ცხვრისასა,
გადმოგირეკავთ ქალ-ეაეთა,
ქალ-ეაესა ჩეენის მკრისასა!
ლიშოზე ჩამოიარე,
სახს ვაშენებდი ბისასა,
ზედ ბანი წამოვახურე
სუ ირმისასა და შვლისასა.
გახე, რა მოდის, ბიკებო,
სეტყვა მოსულა ქვისაო,
ჩოხში უშლია ქეითკირი,
ნაგები ბასრის ქვისაო.
ბერაი ვისმე მოუკლავს,
რისხვაც აქვ მაღლა ხვთისაო.
ყარგა გაზარდეთ ობოლი,
ნუ გამიჯაერებთ ქვრივსაო.
თოფი მიეცით, ხანჯარი,
ნაცორეი ქისტებისაო,
ე მაგის გამომლექსებსა
დიხჩოს ამბობენ გივსაო.

31. შირაქული

— იტირეთ, შირაქელებო,
თქვენი ძეირფასი მკედარია,.
ეგ იყო თქვენი იმედი,
ეხლა დაგიდგათ თვალია.
სოფელ დაგიდგათ საყდარი,
ზედ ჩამოკიდეთ ზარია,

[1] „არხოტში ჰყოლია ნაცნობი“.

:გიყიდათ მაშინეები,
სათიბი სამკალავია,
.ქადეენთ პატაშურასა
მანდ ხო არ მიყავს ცაკია,
'შავად გადექცა წალმართი,
რო გაისტუმრა ქალია,
ყვირე საღამოს პეტრემ
'სიზმარი ნახა მკრთალია;
გამოიღვიძა, იფიქრა,
.ვითომ არ ვიყავ მთვრალია,
ადგა, ქორწილში მობრძანდა,
.მაგრა გულ ქონდა მკრთალია,
·ნეფეონთ გადაულოცა,
რაც რომ დედ-მამის ვალია,
გაბროამ[1] შამოუბღვირა,
'ზის ეგრე, როგორც ქამია,
— გაბრუავ, ჩემთან რა გინდა,
.ჭკუით რატო ხარ მცდარია?
მენ მამა ვარ და შენ შვილი,
რა მართებს შენი ვალია?!
'შენ რო მე დამკრა შამასა,
.მე ხო არა ვარ ქალია,
.პეტრეს ჩხუბი არ უნდოდა,
.არც მაიკმარა ძალია.
.ადგა, წავიდა სახშია.
'წელზე შაიბა კმალია,
:გაბროა დილით მიუკვდა,
ძალით შააღო კარია,
იმას შაურცხვეს ქეიფი,
!სუ კამკანიას ბრალია,
პეტრემ ვერ გამაიმეტა,
'სტაცა ორივე მკარია.
შვილმა კი გამაიმეტა,
'შეიქნა ცოდეა-ბრალია,
:გულში დაარტყა ხანჯარი
სისხლმა წაიღო ღვარია.
.დეეცნენ შირაქელები
.ატირდა ქალი, რძალია,
.— ვიტიროთ, ჩვენი ძმა იყო,
.ჭკვიანი; გემრიელია.
ჩვე პეტრე აღარ მოგვივა
'შავშეთში მიდის მგზავრია,
.ავიწევ, ვეღარ ავდგები,
.გულ-ქელ შამების ქვანია;
.ჯარგად დამარხეთ, სწორებო,
.არ დამედინოს წყალია,
ცოლს უთხრა: პურმარილზედა
.მალიმალ შამიწყალია!
ცოლმა შაჰსტირა:
— რას ამბობ,
.მეც შენთან წამიყვანია,
.აღარც მე მინდა სიცოცხლე,
აღარც დღე, აღარც ღამეა,
'ნატრობდა, სულ ამამართეი,

[1] „შვილი იყო".

ღმერთო, შენ ჩაიბარეო!
დახარჯეთ ჩემი ამაგი,
შვიდ პირად დასხით ჯარია,
ქორეი დაწყვეთ სუფრაზე,
ძროხა დაკალით, ცხვარია,
ჩამაარიგეთ კერასი,
ორ პირად კელაპტარია,
ყველამ მიტარეთ საბრალოდ,
ვინცა ხართ ჩემი ძმანია;
მე ხო წავე და მოვშორდი,
შავ მიწას ჩავეფალია,
ეგ ჩემი დავენისტობა,
გაბრო, შენ ჩაიბარია,
იქნება თავი დაიკსნა,
თუ ჭკვა რამ მოიხმარია;
მაგრამ დაეტანჯვენ, საწყალო,
სულსწრაფი იყავ, ჩქარია.
— მამა ვიყავ, შე ღმერთო,
ჩემზე რად მაიცალია,
მეჯვარე კამპანიაზე,
ავდეგ და დაგეცალია,
ქართლი იმიტომ დავაგდე,
მე ვიყავ შენი ფარია.
მენ არც იქ მაკლდა ცხოერება,
არცვის მემართა ვალია,
მენც ვიყავ გამოსადეგი,
არც მე ვარ საზიზღარია,
მე ამ შენობით ეცხოვრობდი,
მე, პეტრე ბექაურია.

32. ქალაქსა ყვირის დუდუკი

ქალაქსა ყვირის დუდუკი,
სხვავი მოიდა დილისა,
ადგომა გმართებთ, მეშვებო,
დაბანა გინდათ პირისა,
ზოგს გინდა დედის შანახვა,
ზოგს ცოლისა და შვილისა,
მე კი, ტუსაღი, ციხეში
გემო არ ვიცი ღვინისა.
გუბერსკი ციხეში ვზივარ,
თავბედი ჩამამტირისა,
ავანტყოფი ვარ საწყალი,
ჩემთან კაცს აღარ უშობენ,
სიტყო რო მითხრას პირითა.
მაშინ მე, გაჯავრებულმა,
ქორეი ვიგლიჯე კბილითა.
რად მეჩვენები შავადა,
სახლო, ნალესო კარითა
ვაი, შე ჩემო სიცოცხლეე,
შავად მორთულო ძვალითა,
მე კი არ მოკვდე ბეჩავი,
მიწას მიეექეე ძირითა,

არ გაძღეს მიწის ჭიანი
ჩემი სისხლით და ტკინითა.
დაიცა, შავო მიწაო,
ჯერ შენ არ ჩაგებარები,
არ მეგჩერება შენთვინა
ეგ ჩემი ნორჩი ძვალები,
გულ-მკერდი, ლეშით გაეხილი
და უმიზეზო თვალები.
ჩემ სიკვდილს რაღა თქმა უნდა,
დაენანებიან ქალები,
მთები ჩაიცმენ შავებსა,
ტირილ დაიწყებს ჭალები,
უკაცისკენლოდ ციხისა
დაიკეტება კარები.
სამდურავს გეტყვის საშობლო,
ჩვენი ქვეყნების არეო,
ზოგითვი თაფლიეთ ტკბილო,
ზოგითვი ძაან მწარეო,
შორს გადმოკარგულს ტუსაღსა
მოდი, მამხედე მალეო,
ეგებ გამიღე კარები,
როგორც რო მამიჯარეო,
კიდევ მაჩვენე თოლითა
აღმომაეალი მთორეო,
ზედ გადმოშლილი ცხვრის ფარა,
მწყემსი ნადირზე მდგარეო,
გამოფოთლილი ხეები,
მიწა, ბალახი მწვანეო;
ტიალო ჩვენო ლეთხუფო;
ფასანაურის მხარეო,
შორს გადაკარგულს ტუსაღსა
მოდი, მამხედე მალეო;
ხუთი წლის ობოლი დავრჩი,
დედა მამიკვდა მალეო,
ხან ვიყავ მშიერ-მტიტველი
ხან ცომი პური ვქამეო.

33. კევსურული

[1]

წამოე სანადიროდა,
კლდეებ დაუწყებ ზვერვასა,
დევების ქორწილ შავესწარ,
იმათ ლხინსა და მღერასა.
პატარძალ მოუყვანია,
აქორწილებენ ბერასა.
ეს კაეი საით მოსულა,
ეს ხომ ჩვენ ფერა ვერასა[1],
მასპინძელ გაუკავრდება,
თოლებ დაუწყებ ბღვერვასა.
ჩამოდგეს საღვინეები,
იქ სათოლავი ვერასა,

[1] „დევების სახლი“ (მოქმ.).

საწვე

ხელი გაივლო კმალზედა,
სამი კი გადმაიტანა,
თავი არ დაზრა ტანზედა;
ვეფხიამ ამაიგმინა,
დან�ა დაიცა გულზედა,
ძმანი მაიკლო წამზედა;
ძმაჲ აქ მამგვარე თორელი,
ვაისდეგას ვიცნობ ტანზედ.
ორი იქ მოკლა ჯევსური,
დაკაფა ყორის წყალზედა,
ერთი თან წამაყვანა,
დაბეს დარბაზს კარზედა.
იცნო, გაუშო მჭედელი:
— გადაირბოლე მთაზედა,
გადადი, ეგრე უამბე
ლიქოქ-ლიქოქის ჯარზედა.
გულია წამაეგება,
ქვას შამაიკრავს თავზედა:
— შვილო, დაჯე და მიამბე,
ჩვენი ვინ მოკედა მთაზედა.
ვეფხიამ შამაგითვალა,
ვეღარ ჩავიელი კარზედა,
სარბილო გამომიგზავნე,
სარტყელს ვერ ეიხდებ წელზედა.
ეგაც აქ გამამიგზავნე,
მანდ რო გავზარდე მკლავზედა.
ლიტრიაჲ გამააყოლე,
მალ-მალ ვარბინო წყალზედა.
ლიტრიაჲ გამააყოლე,
მალ-მალ ვარბინო წყალზედა!

85. აღმდგომელო საზანდარო

აღმდგომელო საზანდარო,
მადლი ახსენე ღვთისაო,
საქმეები გაარჩევე.
ცოცხალისა და მკვდრისაო.
ერაგვზე ღორი იყრება,
არ გაერიეა სხვისაო,
არავინ იცის, არავინ,
ვის სითქენ უზმენ პირსაო!
მანგლისში საქმოს აქებენ
ქოხები ჩადგეს ხისაო,
გელანა ნათელაშვილი,
სარქალი მწყემსებისაო
ასწავლის მოჯამაგირებს,
როგორც რო გაბაშვილსაო.
გუშინ რო დორებში ვიყავ,
ნავალი ენახე მტრისაო.
— გიორგი, ე შენი თოფი,
დავარტყი ძუძუ ძირსაო!
გიორგი გამოტრიალდა,
როგორც ბორბალის ხისაო,

— შენ მყრალო, ვერ გისროლია,
ვაი შენ გიორგისაო.
ვიცი მაგ თოფის ამბავი,
რასაც გაავლებ პირსაო,
ფეკზედაც არ დააყენეს,
მაშინვე დასცენ ძირსაო.
ველანას არვინ უჯერებს,
სხო და სხო სპეცი ზისაო;
გელანამ ღორი აპურა,
სხვა მთას მიუდგა ძირსაო.
მე ლეკი როგორ დამიჭერს
ურჯულო დაღესტნისაო!
სამ ხო იქავე დაკაფა,
დაჭრილებს ვიღა სთვლისაო;
გადავაშველნეთ დიღმელებს,
დაეხვივლოთ ძაღლი ხმითაო,
აგვვი გადავარჩინოთ,
ვინც არი არაგვისაო:
დიღმის ბინაში გაუდეს,
სამი ბელადი ზისაო,
სამთაე უჭირავს თოფები
ყონდახი ლეკი ხისაო,
დაუტყუპტყეპეს გიორგის,
გიორგი დარჩა ძირსაო,
მაშინ ის წამოიძახა:
— მზე მიბნელდება ცისაო!
ნუმც მამეშლება იმედი
იმ ერთი კარეი ძმისაო,
არ შამიყენებ გზაზედა
ის ობოლსა და ქერივსაო,
ასრე გონია ჩვენ ძმასა,
გიორგი გრიღში ზისაო,
შაბათ-კვირია შეზიდაე
გამამცხეარსა და ფქვილსაო.

ფშაური

1. მგელიაშვილები

ჩვენ, შვილო, მგელიაშვილები ვართ. ჩვენ ერთ პაპაჲ გვყოლია. ქურსიკი ექვივნა. ისეთ გულიან კაცი ყოფილა, რომ ზეტი არ შაიძლება. კმლის ბოლოს დაბლა დაათრევდისო, — იტყოდენ ჩემ ბალღობაში, ისეთ დაბალ კაცი ყოფილა. ის ცხვარში დადენილა შირაქ-შირვანშია. საკუთრივაც ბევრ ცხვარი ჰყოლია და ზამთრობით სუმუდამ იქ დადენილა.

იმას თათრებ აჰშურებიან ძალიანა. იმეებ: სუყველა უშინებავ, ის კი — ვერა. თუ ის იქნებოდა ჩასული ცხვარშია, მაშინის თათრებ ვერცრას ვერ მაჰპარავდენ აქაურ მწყემსებსა. ამაზე ლექსიც იყვის ნათქომი:

„ჩავიდეთ, ჩემო ქურსიკო,
ჩემთას დავავლოთ თვალია...
ჩვენ ეაცებს გაუქეჩებენ,
ზარებს მიჰქონდეს ჩქამია“.

ეს ლექს დიდ ლექს იყო და აღარ მაკსონ.

ი თათრებს ცხვარი უსხლტავ მწყემსებისთვინა, ზოგისად ძალად ურთომ, ზოგი კიდეც უჰოცავ. საზამთროდ ცხვარი რო ჩავიდოდაო, თათრებმა წინ-წინ ის იკითხიან: ქურსიკი ხუარ ჩამოიდაო. არც წყალძე უშვიან მწყემსები. ცხვარს წყალი რო მასწყურდებოდა, მოიდიან მწყემსები და დაუწყიან ხტეწნა ქურსიკსა: გვიშველე, ცხვარ გვეღუპება მწყურიელათო, ისიც გაჰყვებოდა. იქ თათარ ვეღარ გაიხარებდა, საცა ის იქნებოდა. აღარც მეეკარებოდენ იქაურობასა, იმას რო იქა ნახავდენ. აშინებდა ძაან. იმას თავად კი შიშ არა სცოდნია, როგორც ქვამ არ იცის შიში. უბრალოდ კმალს არც ამაიღებდა, რო თათარ არ მეეკლა. თათრებ რო დაეცემოდენ, მაშინავ კმალ გაიძვრის და იმით დაზდევდისო. ცხენი ჰყოლია ისე გაწურთნილი, რო ზედშამჯდარს უკრავ თათრებისად თავები. ის ცხენ არ მეერიდებოდა, რაც უნდა ყოფილიყო, მაინც ზედ გაილიდა, მაინცა.

ჰოდა, ი კმალს რო ამაიღებდა, ჯერ დაუტუნტურებდა თათრებსა: — თქვე რჯულძაღლნო, რას გვერჩით, რატო თქვენ კერაჩი არა ჰყრიხართ, რაად გტეკოცინებითო! — და მერე ერთბაშად, ცის დაელნებასაეით დაერეოდა. ერთის კმლის მოქნევით თათრის თავ ცალკ გაგორდებოდა და ტანი ცალკეა. ამახე იმისთვინ გაუქვნებავ თიკუნად „ტუნტური“ და იმის ჩამამავლობაც ტუნტურიშვილებად ვიწერებით. ესრეა, შვილო.

ერთხელის კმად დავარდნილა: მავან ადგილს სამ ლეკ, ბუდობსო და სუყველასა სტარცევნო, ბევრ თავმამწონე ჯეილი ჩამააკდინეს საფერკე ცხენზეი-

თაო. შიშით ვეღარავინ დადენილა იმ გზითა. ვეღარც წყალ უზიდნავ მწყემსებსა.

ჟინჟლიანი დღე ყოფილა. ი ქურსიკი ცხვარშია ყოფილა და დაბრუნებულა ბინაში. მწყემსებს დაუხვედრებავ ამბავი, რო, ღმერთმანი, მავან ადგილას ესეთ-ესეთ ხალხიაო. ძოღანაც დაუკოცავიო მწყემსებიო. ფრთხილად იყავ, მტრიან კაცი ხარ, არავინ დაგისიოსო. ქურსიკს მაშინავ ალმურ აზდენია სახეზე. პურის საჭმელადაც კი არ დამჯდარა და მწყემსებისთვინ უთქომ, ჩქარა ცხენ მამიყვანეთო! მწყემსებს ელდა სცემია და ხვეწნა დაუწყავ: ნუ წახვალ, ხათაბალაში არ ჩაჰვარდეო! აბა ის კი ნიადაგ არ დადგებოდა წაუალი და წასულა კიდეცა, მისულა იმ ალაგასა, საცა ი ლეკებ იყვნენ. — დადგეგო! — დაუჭყოვლებავ ლეკებსა, — ჩამოჯე ცხენზეითაო. — რადაო, — უთქომ ქურსიკსა, მეც თქვენთან მუალო. თქვენც ჰო მაზდიხართ, მეც მუალ, რაღა ბედენად მე დაედგეო. თუ თქვენ ჩემკე მაზდიხართ, მეც თქვენკე მუალო! და მივიდა პირდაპირ იმეებთანა. ისეებ სუ დაკერებულან. ვეღარა გაეგავ. — გამარჯვებათო,— უთქომ ქურსიკსა და ზედაოდ მისულა, კმლის მანძილზედა. და მანამ ისეებიც ეტყოდნენ „გამარჯვებას", აუწედავ კმალი და თვალს დაჰამჰამეჩის ხანს დაუკრავ თავები. და წასულა ისევ ბინაშია ცხენის ქეფქეფითა.

ერთ ლეკს ისევ ზედმამბულ თავ დაპრჩომია, მემრე მამრჩალა და ნელობამდე შირაქის მკარეზე მეწისქვილედა ყოფილა და დიდხანაც უცოცხლებავ. მეცხვარეებმა თქვიან, რო ი ლეკმ ყოველდღიე მაიგონის და თქვისო: აი ღმერთმა აცხონოს ი ქურსიკო, ვაკაც ისი გეკანდით და ქედიც იმას ეხურაო. ვეფხვივით დაგეერია, ჩემ ამხანაგებ დაკოცნა და მეც ესრე გამკადაო!

ის კი არ გაიგონავა, შვილო, საკედრებ რო გაუკაცებავ თათრებსა და ი ქურსიკს მარტუას მაულალავ? მაშ, მაგასაც გიამბობ.

ეჰ, საწყალი მწყემსები, რა ცოდვა-ჭირობაში იყვნენ: ესრე თავისუფლად სად შაეძლო ხალხს სიარული წინავა. უიარაღო ჰო, ნიადაგ ვერ გაილიდა კაცი, თუ თავ არაად ეკნებოდა მოძულებული.

ერთხელის თათრებს (იმათ ბეგს) გაუტაცებავ საკედრების ჯოგი. დაღონებულან მწყემსები, სუყველაისიოთ იყო (საკედრები). საღამოზე ქურსიკიც მისულა ბინაზე. ჯერ კი არ უთქომ იმისად ის ამბავი, მერე კი უთქომ; ღმერთმანი, ესე-ესე მაჰკდაო! ამდგარა ქურსიკი, შამჯდარა ცხენზე და ცხენდაცხენაოდ მისულა ი თავრის ბეგის კარძე. არ ჩამამჭდარიყო ცხენზეით კია. იმის ყარაულებისთვინ ეთქვა, სად არი თქვენი ბეგი, კარჩი გამოჩნდეს, საქმე მაქო, დაუძახეთო! იმეებსაც ეთქვა, რო ესეთ-ესეთ კაც მოიდაო! ი ბეგს აზრად მასვლიყო: უთუოდ ი ფშავლების ლომ იქნება, თორო სხვა აქ ვინ მოიდოდაო. გამოსულა და სიცილით მიჰგებებია ქურსიკსა, თან თავის ბიეებისთვინ ეთქვა: — ეხლავე ჭედილეებ დაკოცეთო! — და დაუწყავ ხვეწნა ქურსიკისთვი: ჩამოკე ცხენზეითაო და შაუპატიჟებავ სახშია. ქურსიკს უთქომ: — ბეგო, მასხარაობას თავ გაანებე, ის საკედრებ რო წამაასხი, ეხლავე ჩამაბარე, თორო, ქრისტეს რჯულსა ვფიცავ, ხათაბალას დავატრიალებო. არც ცხენზეით ჩამოკდები და სისხსაც დავღვრიო! — ბეგსაც უფიქრებავ, ეს მართლა არა ხუმრობსო! მაულალავ საკედრები უკლებადა და წამაუსხმეინებავ. თან ბიეებიც დაუბარებავ წამოსხმაში. მაულალავ მარტვა კაცს ბინაზე ის საკედრები და უთქომ მწყემსებისადა, რო კარგა მაუარეთ, აღარ დაჰკარგოთო. იმას თათრულ ლაპარაკიც კარგა სცოდნია.

2. კოპალა

მენა ვარ სამოცდაცხრა წლისა. გადაინჩებული კაციღა ვარ მენა. მენ ვეღარა ვიცი.

კოპალა ყოფილა ჭორციელადა. ყოფილა მეომარი კაცი და უკოცავ ქაჯები, დევები, ჰოჰო! ისენ ძაან ულევავ. იმას აჟმტრებია მოსაკლავად ავთანდილ-დევი, წასულა ციხეგორსა და კოპალაისად ქვა მაუპარავ. მემრე გაუგავ კოპალასა, შაუტყობინებავ თავის მომკრეებისთვინა. უფიქრებავ, რო იმას ავთანდილ მაიპარავდაო, სხვა არვინაო. წამოსულა კოპალაი და გამაჟყოლიან იაკსარი და ლაშარის ჯვარიცა. ავთანდილს მეეწივნენ იმ ადგილას, საცა ასლა კოპალაის ხატია. რო გაივო ავთანდილმა, მე მამდეკენო, დაუკდავის ქვა და დაუწირავ იქა და თავად კი გაქცეულა.

ავთანდილსა ჟჟყოლია ერთ ბებერ დედა. კოპალის ხატის ზემოთ ციხიაჩი ცხოვრებულან ი ღევები. კოპალასა. იაკსარსა და ლაშარის ჯვარს უკითხავ ბებრისადა: სად არი შენ შვილიო. ბებერს უოქმ, ტყეში არი, ნადირობად წავიდაო. კელით უჩუენებიე ის ადგილი, საცა ავთანდილ იყო. მემრე უნახავ იმათ ის ავთანდილი, უსროლავ ისარი კოპალასა და დაუგორებავ მთის წვერზეითა, გამოქანულა იქითა და ჩავარდნილა ჭალაში და ქვადა ქცეულა. ეხლაც არაგვშია ძე გაძაბული.

3. ქორწილი

წინავ სხვანაირ წეს იყვის ქორწილისი. ეხლა აღარავინ რას დაზდევს. პირველად რო ბიჭის სახში მიიყვანდნენ ბატარძალსა, შუა კარებში დადგებოდა ნეფის დედა და ორივეთ (შვილ-რძალთა) თაფლს შააჭმევდა და სიტკბოს დაულოცავდა. მემრე მაყრები შავიდოდენ სახშია და დაიძახებდენ „ჯვარიწინასა“ და გამაულიდენ ჭერჩი ჩამოკიდებულ საკიდელს მურგვალთა:

„ჯვარი წინასაო
დადგა მჭარესაო
შენ, ქრისტე-ღმერთო,
დასწერე ჯვარიო,
დაზდევ ბეკედიო
ახალ ყოილთაო,
ერთად შაყრილთაო“.

ეგრე იყვის, — გაიმეორებდენ სამჯერა. მემერე სუფრას გაჟშლიდენ, ოჯახი ამაირჩევდა ერთ უფროს კაცსა. სუ პირველად ის დაილოცებოდა;

„დიდება და გამარჯვება მაჭსენდეს
ნაღიდებ-ნაკსენებ ღთიშვილთა.
იმათიმც დავლათ დეელოცება
წალმართ-წალმართის პატრონსა,
რანიც ერთკან შაუყრიან, —
ახალყოფილნი.
წალმართი წალმართ შამაუაბრუნოს
წალმართ-წალმართის პატრონსა.
ჭენეს ეტლიან-ბეტლიანნი,
წულიან-აკავნიანი,

ბედიან-დაელათიანნი,
სამჯერ ვაჟიანი, ორჯერ ქალიანი,
ეჯიბო, შენ ნეფეს გაუმარჯოს!
მდადო, დედუფალ გაგიხაროს!...

კარგაოთ იყო კიდევა და აღარ მაკსონ...

ერთხელ ჩემის შვილისად ქალსა ვთხოობდით უძილაურთითა. ქევსურა ვაგეგონება, იიმის ქალსა. აბა მაშინ ისით წეს იყვის, რო ქალის მთხოვარი ხუთიექვსჯერ მაინც უნდა მისულიყო, მემრე სადამ თუ ეტყოდენ „ჰოსა“, თუ არა და კიდევაც ბევრჯელ მაუნდებოდა სიარული. ქალის მამისნაცვალი დიდ უარზე დადგა. დედას კი ეწადა, მეეცა ქალი. დავიწყე ქალის დედასთან სიარული და მუელაპარაკე იმასა. ე კაც რო უარზე არი, შენ თუ თანაკმა იქნები, მავან დროს დავგზავნი ბიჭებსა ქალისადა და გაუგო ნუ გექნებაო. მართლაც, დავგზავნენ და მამიყვანეს რძალი. გეეგო ქევსურასა. გაქცეულიყო ბარისაკოსა და ეჩივლა. მოიდენ მილიციელები ცხენებითა. გადმოკდეს ცხენებზეითა და მითხრეს, რო ქალი მაიყვანე ჩქარაო. მე უთხარ: — მაღაროსკარში წავიდენ ქელის მოსაწერლადაო. — რად გუატყუებ, ჩვენ იქით არ მოვდივართო, — შამამიქციეს. მე კიდევ ლევანს უთხარ დაქუზათასა, თოხლი და ქათმებ დაკოცეო. დატრიალდა ი ბალღიცა. იმათაც რო გაიგეს, ქალი თანაკმა ყოფილაო, დამარიგეს: ეხლა ქალის დედ-მამან მოდიან და მეერიდეო. მეც ავდეგ და იქავ ღობესთან დავიმალე. ჩემ მაგიერ პასუხს იმათ თავად გასცეს. მერე შამოლალნეს სახშია და შავრიგდ- მოვრიგდით ყველეები.

4. ჩავალის, ჩაეუბნება

ჩავალის, ჩაეუბნება ტინკოო ვაჟაი საღარსა;
—ცხენავ, გეტყობის, კეშინის გულს მე ჩაგიდებ მაგარსა,
ჩაგავლევ თერეთეგოსა, ჩაგატანინებ ნაღარსა,
შენაც იქ მოგკლავ, ცხენაო, თავსაც იქ დავდებ ჭაღარსა.

5. დავდეგით ხარჭიშოშეა

დავდექით ხარჭიშოშია ზემოთ-ქვემოთით გერები,
სუართ მალბაზას მოვრიგდით, ქალიეთ მეეფერები,
მიყიდა რუსულ ჩექმები, მეკლენ მადგება ყელები,
ორნივ ღორებში დავდივართ, ბალღებ არმოსაზდელები.
თიანთისაკ დაგვიდის, დავაღუპენეთ ქერები,
გაგეიგო აღაის ცოლმა, დაგვიცხეა ქადის კვერები.

6. ახლა კი დედას გიტირებ

ახლა კი დედას გიტირებ ქელ-დადგმულად, ხადულაო,
კაწალქევს რო გადმოილი, იმ დედაშენს რა ჰგულაო,
მე ის რაიმ გავიგონე, დედა მთაში წასულაო.
მეც უკვენ ტბას შავლა მინდა, საკმ საკერკად მასულაო.

7. ე მაგით გითხარ

ე მაგით გითხარ, ძმობილო, მალე და გაგტეხს თათარი,
ნიადაგ გამტეხ კაცი ეარ, ჯერ ქეა გასტეხე საყდარი,

ქელშაკრულ გამოგაელეს, უკვენ მოგდევდა ჩაფარი,
ბუსნის ჭალამდი არ ჩაგუვა დედის ჩადებელ საგძალი.

8. დაგიწვი, კარატიელო

დაგიწვი, კარატიელო, დუხაბურავით ქუდია,
ჩემ ქუდასავით საპძელი ლახატს წამაყუდია,
ყარტი არ გიკრავ, საწყალო, დასწვიმს, დადგება გუბია,
სამ კავზე მაინც ჩააკარ, მერცხალ მიაკრას ბუდია.

9. წოწოც კარატიელი ვარო

წოწოც კარატიელი ვარო, ჩარგალს დაეალ ლამფაითა,
ვაითუ ყროლ რძალ გამამადგეს, ბოზიც იქნას, კახპაიცა,
იქავ ჯალაფთ გაუგზავნი, თუ ჩემ ჭკეაზე არ მიქცა.

10. გადმოკე, ვიკაფიაოთ

გადმოკე, ვიკაფიაოთ, ძმისწულ ენაცვლოს ბიძასა,
რას მემუკრები ბებერსა, ეაშკაცო, დედამტრისასა,
გაჯავრდეს ბუჯირიშვილი, მოვაქაქვინებს ქვიშასა.

11. ჩიოდა მუშტათ ჭრელაი

ჩიოდა მუშტათ ჭრელაი: დამიკოხტავდა შვილები,
ქელში თითო ცხენ უპერავ, ოთხითავ დაპედილები,
ლასტიკის ახალუბები, გარეთ მოსკოვის ღილები,
გუშინაც გამოვიტანე ფიცრები ჩამოყრილები.

12. დაგვშორდი, მუშტათ ჭრელაო

დაგვშორდი, მუშტათ ჭრელაო, ჩვენთან არა გაქვ წილიო,
ჩემ ორმოც თუმან მამეცითო, დავსწვი თქვენ ნამყენ ხილიო,
ისიც მეზობელთ წაიღეს, რომენიც უფრო ტკბილიო,
მამუკა წვერში შამკდარა, არჩევს, რომენიც სხვილიო,
დილას რო გამოიარე, ძირშიაც მოკრეფილიო.

13. ე ბებერკაც მამეწონა

— ე ბებერკაც მამეწონა, ენდა უთხრა ბიძაობა,
— მაშ დედასთან წამიყვანე, მიმიყვანე იქაოდა,
— შენ მამაჩემს ვერ თუ იცნობ, კახურ იცის ჭიდაობა,
— ისითა კი არა მინდა, დავამტვრიოთ იქაობა.

14. დავჯე და წერა დავიწყე

დავჯე და წერა დავიწყე, წინ გუბე მიდგას ცრემლისა,
გელითა ვარმიანითა ვარ ჩამამრთმელი ქელისა,
ძმაო, თუ ახლა ჭირში ვართ, იქნებ დღე გვექნას ლხენისა,
არ გადასწყვიტო იმედი, იმედი კაცთა მცველისა,
არის ქელმწიფე პატრონი მთელი ზღვისა და ხმელისა.

15. დუქანში ჩამოგვივლავის

დუქანში ჩამოგიელავის, ჩვენო ახალო სიძეო,
ჩაგიცომ დარიაი, ჯიბეში არა გიძეო,
დამშორდი, კარატიელო, ძმაო, შენ შენთვის იყეო,
როდის მოგვიელ კარზედა, ცხენებს პერ ამიკიდეო.

16. ფშავით მამწერეთ წერილი

ფშავით მამწერეთ წერილი, გადმააყოლეთ ცისკარსა,
ახლა რუსეთით მე მოგწერთ ცხოვრებას საღდათისასა,
ორ მანეთ ნახევარს ვიღებთ ჯამაგირს მთელის წლისასა,
ლეგას ტოლომანს გვაძლევენ ჩექმასა კამბეჩისასა,
მინდერად ვართ გამწკრიეებელნი, ვასწორებთ თოფის
ლიშანსა,
ერთის ნასროლით ოცს მოეკლავთ, ვაშკაცსა ოცის წლისასა,
დაეცემიან ერთადა, გაწოთებენ მიწასა.
გაკვის კაცის თავ-ფეკი ტყვიასა ზარბაზნისასა,
დაბლა გამაჰფენს პალტოსა ლაშაზის აფიცრისასა.
დაიძახებენ რუსები — სელი ღმერთს, ლეში მიწასა,
დაიცათ, იაპონლებო, არე კი ჩვენ ვაცდენთ ლიშანსა.
მოკრიფეს პარახოდები, წამოგვიყიდეს ზღვისასა.

17. ცხრა სუ მთლიანად წავართვით

ცხრა სუ მთლიანად წავართვეთ, ამბავს იკითხვენ ტკვისასა,
დიდი დახვედრა სცოდნია მტერს ჩვენი კელმწიფისადა,
გულში მამარტყეს ტკვიაი, ნამტერკვეს გაიტანს ძელისასა,
ოთხი კი კარგა ვესროლე, ეპერდი გულის ფიცარსა,
მეხუთე დამრჩა ესროლი, ბნელადღა ვხედავ ლიშანსა,
სახეს არ ვიყავ ცნობილი მე ჩემის პაპაისასა,
მოიდა, ქელი მამხვია, ძალს მაკვდრებდა ხვთისასა,
ქელჩი ეპირა მაკარი, შექს აკენებდა მზისასა,
მკარ-იღლივ კმალი ეკიდა, წეერ უწკდებოდა მიწასა,
კარგად ვერ გამოიტანე, ვიტყოდი სიმართლისასა.

18. შატილს მოიდა კოკობი

შატილს მოიდა კოკობი, დიდგულად დადა ჯარზედა,
მოზარდნა შვიდნი წიწილნი არწივის ნაბუდარზედა,
შვიდთავ უყიდა თოფები კმლებ გადაჰკიდა ტანზედა,
საფშაოდ გამისტუმრნა, შვილო, მშვიდობით გზაზედა,
მთიურაისას ჩაილით, მოკლედ გაჰკდებით წყალზედა,
პატარას ნოქვას აილით, შაჰკდებით მეედანზედა,
აკადს გოდერძათ ციხე დგა. ბიდით, შაასკეიდით ბანზედა,
აკადს გოდერძათ ციხეო, ქვამც ნუ ზდებელხარ ქვაზედა,
აკადს გოდერძათ ციხეო. ჯაკეი გადიცეი ტანზედა.
მოდიან ქისტის შვილები, მოვიკდებიან კარზედა,
მანდით ქალ გამაიყვანეს, მაატირებენ გზაზედა,
შამაჰკდეს დალალებულნი მაკ საქარაენოს მთაზედა,
წინ თადიაურ შამაჰკვდა საკელ-შაერილი მკლაზედა,
ე ქალა საით მოგყავართ, ცრემლს რო იგორვებს თვალზედა,

ისიად ისია ჟაკითხავს, ბაწარს იმაგრებს ჯღანზედა,
ე ქალ აკადით მოგყავის, შატილს უნდ დავსვათ ჯარზედა,
ეაპი, რა ონავრ გიქნავისთ ლაშარის ჯვარის ყმაზედა,
თუ მე ეგ წამაყვანინოთ, წეერიმც ნუ მსხავის ყბაზედა,
შვიდ ქისტმა, ერთმა ფშაველმა ქელი გაიკრეს კმალზედა,
შვიდ მურგვალ შამაუარა, შვიდთავ თავ გაშერა წამზედა,
ადკუარა იარაღები, ქალს გადაჟკიდა მკარზედა,
ჩემდა სხვა არა იფიქროო, ვიყნოდეთ და-ძმობაზედა,
შაბათსა ჰქნოდეთ ქორწილი, კვირას დაჟსხდოდეთ ჯარზედა,
ორშაბათს მენაც მოგავალთ, ორშაბათს დილიანზედა,
ლუდი ადუღე, ქოკობო, მოვიელენ პირობაზედა,
ისევე ვეღარ მოგიელენ, დარჩეს საფშაოს გზაზედა,
ჯირისგან შაწუხებული დაებჯინოდი ქეაზედა.

19. ჩემთან წამოდი, ფრუშკაო

— ჩემთან წამოდი, ფრუშკაო, ქალ მოგცა როგორც ეთერი,
— მე ეთერივით არ მინდა, ბეჩავა მინდა ჩემფერი.
— შენ საჩეჩლების მკეთო ხარ, ჩემ ქალ გექნება მჩეჩელი,
— შენ ქალ რად უნდა ფრუშკასა, ათასკან კვერცხის
მდებელი.
— მაინც გწუნობენ, ფრუშკაო, ბეჩავაი ხარ, ბებერი,
— ხილი დამწიფულ სჯობავის, რადა ხარ გაუგებელი.

20. ქუჯეგათ კინტოს უყურეთ

ქუჯეგათ კინტოს უყურეთ, რა კოხტად არბენს ცხენასა,
პირდაპირა ჰყავ ნადობიო, ცხენ-მკედართ მაბდის წერასა.
უყურეთ ბაცუცასა, პატარა ჭიჩუელასო,
დაწეება დარეჯანთანა, უბეში ჩაჰყოფს ქელასა.
ბიძას ბიძიას არა ჟრცხვნის, ძუძუს უპირობს კბენასა,
მეოთხე კუტაველაი ნალაკთ რო ვერა ქელავსა.

21. წვეროშვილი

იყო ერთი ფრუშკა წვეროშვილი — მოლექსე. იმანა თქვა:

— ჩვენს კოლექტივს მაუტანეს სანიავებ მაშინაო,
ჩვენ სუყველა გავარჩიეთ, გასაკიდიც-საშინაო,
დაროს ძაან მეეწონა, უკენ ურბენს, ხან უკანაო.
ვინც ცხრილ-ტაბაკნ ‹ეაიგონა, ერთ დღე-ღამეს აგინაო.

ახლა კევსურმა შაუმღერნა:
ძროხებ რად დამიჭოცა, გუდანის ჯვარს ვენდურები, — ამაზე:

გუდანის ჯვარ არას გიშლის, ძაღლებ ნუ ხართ კევსურები.

ახლა კევსურმა:

ფრუშკავ, რად არ ლამფა გინთავ, რადა ზიხარ ბნელაშია,
დარო, ე ჩეკ მამაწვადე, ე მანდა ადგავ კერაჩია.
ციცარაამ შამოვარდა, ლაშთ ჩაგვიცემს ყველაშია,
სამ-სამ მანათ გამამართვეს თითო ხაკოს კეერაშია.

22. მიგრიაული

ერთი მიგრიაული იყო, სახელა ექვივნა. ჩემი ძმა პაპა იყო, ის ჯიელი იყო, ჟანის მუშაში არიან მიგრიაულთაში. დასხდენ ერთად, როგორც მოჭიდავე მელექსეები.

იმ ჩემ ძმას შაუმღერნა სახელამ:

— ჩემთან გადმოქე, პაპაო, ენა რამა გაქ მწარია,
— შენთან რა მიძე, ძმობილო, ბალღი ვარ უმეცარია,
— შენ ჩემთან არა გაგივა, დიდ-დიდნი მქონან რქანია.
— კიდეც ე მაგით დასჩხვერე ე გოგოლაის ქალია.
რა გამწარება მაკლიყო, ახლა შენ გამამწარია,
მაშ პირ რამ დაგწვა, ძმობილო, თუ ნიორ არა სჭამია.

23. მწარია და ბეინი

ქართლში შეიყარა ორი მელექსე ქორწილში. ბეინი იყო ქართლელი და მწარია ბეყოშვილი, მაღაროში ცხოვრობდა და იქ გადასახლდა.

— ეგ არიაა, მწარია, მაგას თუ აქებს ქვეყანა,
თუ ვერ იცნობდი, ძმობილო, ეხლა ხო შემოგეყარა!
— თქვენსამც ქალებში გამრია, იმათ ჯავრ ამომეყარა.
— შავსამც გაქცია ღორადაო, ეწმინდურ ადგილ გეთხარა.

დაჰკრეს კიდეც ერთმანეთს.

გომეწრელი ვაჩეთ თიქუა იყო. იმ მამაჩემსა ი თიქუა დაუჭერია და ერთი ცხენი ჰაყვანდა, თულა ერქვა.

— შენი პირიმე, თულაო, შენი მოპარვა მგულაო,
მე შენ დამთმობი არა ვარ, მინაც წაგიყვან, თულაო,
შენი ბადალი, ოქერო, ცას მასკვლავ არა მგულაო.
(არ დაბ-დულაო).
— თიქუას არ წაგაყვანინებ, თუნდა რო გასწყდეთ სულაო.
სანამდი ლეგვა იყო, სარჩო რამ ქონდა პატარაო,
ეხლა პაპ წამაიზარდა, სახლი ჩანს, სარჩო აღარაო.
შენ ცოლ-შვილთ აედარი წყალ დაპკოც, ჩემსასა კრამიტი
ჰფეარაო.

24. ბორჩალოს თათრებ გაცვივდენ

ბორჩალოს თათრებ გაცვივდენ,
ბორნით გამოქდენ წყალსაო,
შაუდგა ყარარამაზი
ალგეთის ქეობასაო,
ქითხულობს ფშაელის ჩობნებსა,
შირაქში მიმდინარსაო.
ერთი თათარი ურჩევდა
გოხნაში ჩამამდგარსაო:
ნუ მიხვალ, ყარარამაზო,
ერთი ვეუხვი წვეს გზასაო,
დაგაგვიანებს დიდხანა,

შაგიშლის კბილის ფხასაო.
არ დაიშალა ვაშკაცმა,
გულზე რად მადებ ბრალსაო.
მორბოდა ყარარამაზი,
იტრიალებდა ქმალსაო,
მაატოტავებს ლურჯასა,
მაანთებდა ნალსაო.
წინ გადმაუდგა ყაყიჩსა,
შამაუბრუნებს ცხვარსაო.
ამხანავს თოფი დაუკრა
წითლადა ღებავს გზასაო.
რა დახვალ, რა იარები,
რაად მიბრუნებ ცხვარსაო?
რად მიტრიალებ ქეჩებსა,
რად მიბოეირებ ცხვარსაო?
ან ე ბალღ რაად მამიკალ,
რად მადებ ცოდვა-ბრალსაო?
თოფი გადმამეც, ფშაველო,
ნუ მაგვიანებ მგზავრსაო,
დედას არ დაუბარებავ
ნათთრალაის ქალსაო
აიყაროდი აბჯარი,
მიაწვადოდი სხვასაო.
დაჩვეული ხარ, რჯულაღლო,
გზაზედ მგზავრების ცარცვასაო,
ჯიბეში ქელის ჩაყოფას,
ქელზე ფულების თვლასაო,
აინალ შამაიბრუნა,
შამააყოლებს თვალსაო.
გულში ჰკრა ყარარამაზსა.
სისხლ ორკნივ იქამს ჩქამსაო.
ყარარამაზი, ქურდებო,
გერჩივნოთ თავის ძმასაო,
სისხლს აბნევს ყარარამაზი
რო ფთე-ბორბალი წყალსაო.
ყარარამაზის მამკლავსა
რად არ გაძლევენ ჯვარსაო?
ეგ რო მეეკლა ყროლასა,
გაჰკდიდნენ აფიცარსაო.

აჭარული

1. არაბეთის ქოყანა

კაჲ სანახველია არაბეთი, მაქიდუნია, მესოპოტანია, ათინა... არაბეთში ვჲარებოდით პარახოთით, აქლემით და ჰეჯინით. აქდენიზი-დარდანელიდან დეჲწყება თეთრი ზჲღტა, მემრე შობის ზჲღტა... არაბეთის ველიები რუმ იწყებაა, სილაჲს მეტს ვერაფელს დეჲნახავ, მარა სილა ცხელია. დაგწუავს, ხიები სადაა? შევაჯედით აქლემს და ჰეჯინაზე. წინ არაბი წიგვიძღტა. აქლემები ულაპ-ვიდენ ხურმის ბურკებს და მემრე იცოხნიდა... არაბმა სულ მღერობით წიგვიყ-ტანა. არაბებმა ნემეტარი კაჲ მღერობა იცჲან. დადნები კაცი! სკრიპკაჲს დაკ-რა კიდომ იცჲან. რუმ გააქცევს გამყოლი ჰეჯინს, უცეფ შემოგიხტება უკინი-დან. ძალუმ შიმეშინაა. მამაჩემა უთხრა, რუმ—ქალი არ შიმიშინოთო!.. გეჲ-ხედავ და სილაჲდან ამოძტრებიან არაბები; თხოვნილობენ საკმელს, გაქცარ-ცვავენ, თუარა და მოკკლენ გზატრს... ჩქარა-ჩქარა გამოშთებოდა „ჯემელ“ — ქვის მთიები (თათრულა ასე ეტყვჲან); ღმერთიდანაა გაჩენილი: ქარი ვერ ეჲტანდა ხუმ ქვებს... დღეჲ ვერ წახვალ. გვქონდა დიდუანი ზონტიკები („სემ-სიები“), პალატკაები. ღამეჲ ვჲარებოდით, თვარე რომ ამუ(ვ)ა. შუაღამეხან სილაჲდან გამოძტრენ არაბები და რუმ დიგვინახეენ, შამიეხვია კრუგომ ჯარი ჰეჯინებს (იგინაები დაურს უკრავენ და ამით შაატყობიებენ სხვებს). წემიხთა ქეიფი! ჰელბეთ დიგვიპირვენ და მოქკვლენ-მეთქინ. კიღამ შიმიწუხთა გული! ისენ ვინც მოგვეყობოდაა, იგინსაც შიეშინა. მარა ერთი კაცი — თავარი — გვე-რია და დეჲნახეს თუ არა — შიეშინენ. იმან ჩამეტდა ჰეჯინიდან, რაცხა ჩიე-ფურჩულა. — შენზა ძირიდან ცამდე კედელიაო! — არაბულა დეჲლაპარაკენ და ყველაჲ გაქრა. რაიზა ვკითხვიდი ახლა — რა ჩიეფურჩულე-თქვა! მარა დი-ღი ღირსებაები ქონდა ი კაცს, ეტყობოდა. იმედი მიეცა გულს, დიდტანი კვბი-ლები კიდუმ თვალში მიბზიალობდა...

გლახაა გზატრობა! ბრეტლი შიშიები ვნახეთ... რუმ ჩეევედით, ძალუან მოგვეწონა გოროდები. ბაღდათი დიდარია. იქინაჲ რუმ დიდრობაა, სად ნახავ კაცი! გოროდში გათლილი ქტების სახლები ორი-სამი ატაჟაზეა აყვანილი. ზოგი სახლი რვასი — ათასი წლისაა, მარჯვე გაკეთებული, მაგარი; ულიცაები ვიწრო — ამხელა გოროდში.

დიდი გოროდაა ჲემენი. მარჯანი იქანაჲ მოდის. მარა წყალაა გლახა-ჲამბუკში და ჯიდდეში წყალი სულ არაა... ხუთი-ექსი წლის წყლებაა წვიმის ჰაუზებში და ინახტენ. შიგნით დასრიალობს გრძელი ჭიები ..

სული მეტთქვით მედინაში. იქანაჲა ბრეტლაა ბრეწეული, ხიები, ბალახი... ტაიფ — სადაჩო ალაგაა.

ჭაჲები ბრეტლია და სმენ წყალს. იქ რუმ არა წასულიყავიით, მოუკტდე-

ბოდით. ჩირიები ბრეტლაა აქ, მანდარინა და სხტა (მუჰამედი დაჩობის დროზენ აქ ჩამოდიოდა).

მექქეში რუმ სიცხეაა, არაფელ ქოყანაშია, ამდონ სიცხენებს ვერ გუძლო გულმა! შვაგულაა, ხუმ იცი?!.. იქინაა — სალოცველი ალაგია. ლოცვილობს ყუველ წელს რამდონი ათასი კაცი!.. ვინც ბეგიებია, იგინი უმფრო მოდიან. მექქეს რუმ უახლოვდებოდით, აქლემზე შვილი მომიკტა—რვა წლის. გული დიმეწუტა, მარა რას იზმიდი?! მექქეში ჩევედით და იქინა დიდი წმინდა სასაფლავია გეკეთებული, ჩატმარხეთ იმავე მინუტში. მიორე თვეზე რომ მიუხუალ, კტარი არ დაგხთება. კურანი ჩივა — მაგ კაგაო, ღმერთმა იცისო! ჰელბეთ დაჯნება სიცხენებისგან ადამიანი. აგი რუმ ვიცოდი, რუმ სილა დაადნობდაა, იმ სილაზე უფრო ცეხელი გახთა ჩემი გული, ღმერც ვიფიცავ, წამოღება არ შეგძლება კტარის. იქანაგ ტევენ ყველაგ და მეც დავტიე. იმ ადგილში დასაფლავება კაგა, რავაც ურგებმა იცგან — ჯერუსალიმის საფლავში წეგღებენ კტარს.

უნდა დეუწყოთ ახლა ლოცვილობა. ჯერამ ახალი ჩადობილი მაქ ბაღანაგ და უნდა გამოტბრუნდე, ჩემ გულში რომ ჩაგეხედაა, შიგეცოდებოდი...

ლოცველებს მოქსოვნული ჭილოფები ახურგან თავზე (იგი ძირ არ უნდა დადვა).

დეგწყება ლოცვა, სამი დიდტანი ეშმაკგა გაკეთებული სალოცავთან. უნდა მგაყაროს ყუელამ კენჭები. მაშინათვე ქრება კენჭები. რამდონმა ათას კაცს მუუყრგა, მარა არ ჩანა, ღმერთი შუბა ამას...

არაბეთის ქალები თამამი არგან, ხერხი აქვან. ქალები მოწონან კაცებს, რუმ მღერობენ. სასახლეში რუმ შეხვალ და — არაბი დგანს კარებში, შიგიძღვება და საკდომებს დაანახვიებს მომსვლელს. აგი არაბებიი, — დაყვერული არიან... ექსას ლირათ ვიყიდვიდი, თუ გინდოდა! უმფო გაფი იყო თეთრი არაბი. რამდონი დიდი კაცი იქანაგ მივაა, თხოვნილობენ ქალებს — მოგვეციოთ... მარა არ შეგძლება: არაბი არაბს მიყობა... თუ ქალს უნდაა (დიდარი თუა), კაცს ყიდულობს და კაციც იყიდვის, თუ უნდა. აგი არ მომწონს (მომწონდება). გარყვნილობა რომ იქანაგა, არაფერი ქოყანაშია. კურანი ასე ჩივაო, ცოდვა არააო!

დიდუანი ილი (ქართულა სპილო ქვია, ხუმ!) — ყველა სახშია. სიცხეს ვერ უძლებენ და ბრუნვენ. ერ სახში დიდი ილი ბრუნვიდა და თუთხმეტი ყაძაპი ასხმიდა წყალს....

ფაგთონში რუმ ეის მუჰამედის გუარიი, მას მიზდევენ ფეხით არაბები — ფაითონის უკინიდან. ვერვინ გოუბედვიდა ბატონს ხმას! შერიების გვარი დღეგ არ გამოდის. ღამე მივლგან ერთქამეთში. მარტო ემუთალის ქალი გამოიდოდა; ყველაგ ცერემონგას გუკეთებდა. თელი არაბეთი შერიების ყმაა.

რამდონი უნდა გითხრა. ბრეტლი რამიები ვნახე, მარა ახლა საღა მახსოვს თლა... იქიდან მესოპოტამია ვნახეთ. ეგიპტე — ნილოსი რუმაა — დიდი მდინარე და სხტა ქოყანები. ეტროფა არ მინახავს და ძალტან მწყინდება. ჩემი მამაგ წეტდა. ზიაგ (ჩემი ძმა) იყო საფრანგეთში და გერმანიაში. ტატიშვილი რუმაა, თქვენთან რუმ სტავლულობთ ფრაფესორაათ, იმასაც იცნობს, სტამბულიდან იცნობს. ბრეტლ კაგ კაცებს კიდომ...

2. სულთანის გათხოვება თურქიაში

სულთანს თქვენ ხემწიფეს ეტყვით; თურქიები ხემწიფის ქალს უძახდან. იგი რუმ თხუვდებაა, დიდი ამბიები შაეკნება. დედუფალი ჯდის თახთზე — ფარდიებით მორთულ ზალაში. პოლზე ხალიჩაებდა მოფენული. დიდრობა — ხუმ გაგიგონდა, აქვან, კარზე დაყვერილი არაბი ყავან გაჩერებული. აგინდებს, რომ გელაპარაკე გუშღამ, არაბეთიდგან მაყვანებენ. სტუმარს რუმ იგი დინახავს, დეკუზება და ხელს გუფენს; შამოუშობს სასახლეში, ამისანაები რა იცის პირველხან, მარა სტავლულობს მემრე ცერემონდაები.

სიძე წამაღლებს სახლიდან ოქრო რუმ იყო თათრული, იგი ოთხა რუმ გაყო, გავსილი. სასახლესთან მუაწევს თუ არა, არაბი შამაყვანს კარებში და უნდა დეკუზოს სიძემ და კარის დვირეზე აკუცოს და ცერემონდას გუკეთებს. დედუფალი ჯდის და არ ადგება. თავზე მორთულია ბრულდანტის ქვებით გვირგვინი. სიძე წამაღწევს შეაგულში და დეგჩოქება. სულთან კადარ ადგება! სიძემ კიდუმ უნდა აკუცოს სადედუფლო კაბაზე (სულთანებს დიდუანი კაბაები აქ). გაჩერდეს უნდა ბრეტლი ხან გაჩერებს სულთანი. მემრე ადგება, გუყრის კლავში ხელს და მიორე ოთახში შაყვანს. სიძე შააბრუნებს ზურგს და ოქროს ყრის აქით-იქიდამ. დასაწოლა რუმ წავლდაან, კიდუმ სულთანი აძლევს ნებას. უცთის და უცთის სიძე. სულთანი კი წევს. სიძე ჯდანს და ძილი მუვა. გამთენდას, რავაც იქნება, დუძახებს ქალი...

ამფერა იქცევდან სულთანები. არც წასლიხან, არც მოსლიხან არ წიეგებება!

თავდგირიძის გოგომ წაყვა ხემწიფის შვილს. ხემწიფის შვილი რუმ ბარებოდა ბაღში, გულობდაა, დეგნახა აგი ლამაზი და მიეწონა. უნა ვითხოვო და მეუდეს მაგის მამა და მეტლაპარაკოთო! ხემწიფის ვაჟიების სიტყვა თუარ შასრულდაა, ვერ გადურჩები! წუტდა თავდგირიძე და მიელაპარაკა. კაკ თვალზე შეხედავსო, — უბნობდენ. მარა დიგიფაროს ღმერთმა გლახიები. ზოგი ქამიანი ქმარები იქნებიან და შიშიებში ყავან ცოლები...

ხემწიფის ცოლი რომ შიქნება გოგოო, ჩიეკეტება სასახლეში. თვალი ვერ დეგნახავს ულიცაებში იგენდებს. ციხეებში ედომა ჯობია, ბატონო! გიგისკდება გული, აბა რაფრა იქნება?! მარა შიეჩოვა გული. კაცი რას არ მიეჩოვა?...

ერთი ცოლი თავისუფლობდა უმფრო ჩემ დროს იქინა, მარა ლანძღვიდა ცაკ და ქოყანა. აბდალს და ბოზს დიგიძახებენ და თავი მაკლა გირჩონია სახელის გატეხას... ამფერ დროშიი, ვინც სტავლულობს, იგინი ჰელბეთ არ იზმენ ამნაირ გლახობას. გლახობა, სიტყვაზე, ახლა; მე მუსლიმანი ვარ, მარა აგი ხასიათები და წესაები არც ქი მომწონდება! მარა მე კიდომ იმიზდა, რუმენ ბრეტლი ქოყანა მინახავს... საწყალი შიშინებული ქალები — სახშია დეგდებული. აგი რავა იქნება?!

3. დადგან-ოღლის ამბავები

დადგან-ოღლის ხატდა დანაიშნული ერი ქალი რვაკ წელიწადს. იმან შაყვარა მეგრელიძე. აგი ქალიზა რუმ შეგეხედაა, მაშინათვე იტყოდი — საადან ჩამოტდგა აგი კადო! დადგან-ოღლი კაკ ვაჟიკაცი იყო. ორი ტყვია მუარტყეს ერთხელ და მაინც ერთი კაცი მოკლა და სამი დასჭრა. ერს რუმ ხელი გახკ-

რაა, ძირ კტარ-ცოცხალი დიეცა! არავინ არ შამოაჩრიგა, მონდურებული ხაკდა... ვერვინ გუბედვიდა გლახობის. ტკკგბილი სიტყვა უნდა ეთქტა ყველას. ყუმბარაები რუმ მოგეტანაა, ვერ მოხკვლიდი. ერი გვარი გადიემტერა, — დეტხოცებით და გავანადგურებთო, მარა ტყვილა დურჩან ფიქრი. გლეხებმა უთხრენ — პაწაა დუკელი ამფერობასო, მარა გუგონა თუ?!

მამუდი-ოღლის გუარი გადიემტერა. ბენელი ყანაში თოხნიდა დადიან-ოღლი და შემუარტყეს ალყა. დუშინეს თოფები. იმდონი ახერხაა, გაიპარა ღელეიდან. მიორე დღეს ნახეს ყანაში ბომბი და თოხზე პაწაა მოცხებული სისხლი უბნობდენ ფეხზე გუკაწრეს ტყვიითო, მემრე იგი თხელარაში უნახავენ. ერიზე დაებარებია—მოსისხლე გვარელებს წედი და უთხარი—აქანა ვარ-თქვა. აგინმა თხილაიშვილი გამოგზავნეს რუმ შუაფხანაგდი და ღალატით მოხკალაო! მოტდა აი ჩუმთაა და დუწყო ლაპარაკი. ბრეტლი ელაპარაკა. ელაპარაკა. შაწუხა ამდონი ლაპარაკობით და ქი მიხთა აი შეჩვენებული—რაცხას გამიკეთებსო! გული მოტდა და დუყვირა — ერთს, რუმ მოგიქნევ ხელს, ციხისძირში დიეცემი და იქინაა გიგიწყტება ხვანჯარაო! ფერი გადაეკრა რიზალას (თხილაიშვილის სახელია). — რატუმ გიმიჯატრდიო?! შენ შენი მოსისხლე ხუმ არ ვარ, რუმ გეაფიქრო რამიებიო?! აგი რუმ თქვა და წითლობა დიეტყო სახეზენ. — შეუცხელდა გული დადიან-ოღლის. — შაჯექი ვირზე და უკან არ მაიხედოო! ბეჩი ხარ და გაგაბეჩეს მამულ-ოღლებმაო? შარცხვინა ღმერთმა შენისანა ვაჟიკაცი. სხვანებმა რუმ დაგინახვოს, ხუმ მეგეპრა თავიო! წედი ახლა და გადიეცი მაგენებს — დადიან-ოღლის ვერ დეაჭირავ-მეთქინ. თუ შარაში მაგინის გვარმა გეიარა — იმვე მინუტში მოვკლავ-მეთქინ...

რიზალაის კტრის ფერი ედტა თურმე, წამოსულა უკინითე და იგი ამბავი კი უთქტამს აგინიზა.

ამისანა ამბვები ბრეტლია.

ხოდა, ამფერ ვაჟიკაცს წაართუა გოგო რიფათა მეგრელიძემ.

დადიან-ოღლიმ შუთვალა: — დატიე მაი გოგო, თუარა ვეღარ გადამირჩებიო!—რიფათამ ყური არ მისცა.

ბრეტლი ახერხა რიფათამ. ხოჯიებიმ მეიმფხრო და მაიტაცა. მარა გევხედოთ და ბეკი-ოღლიმ წაართუა რაცხანეარა. დადიან-ოღლი წეტდა ბეკიოღლისას. თავს იკლიდა აგი დაფეთებული.

შუა ბწკალზე რუმ მიტდაა, დუძახა: — უსუფაი სადაო! — ერაა სახლჩიო. — მოი ერი მინუტსო! — გოგო ჩამეტდა ძირ და გადიეხვია, — ჩემო რიფათა, ჩემო რიფათაო! — აგი რუმ გეიგონა რიზალაამ, გული გუსკტა: ამ ბოზს რიფათა დუბარებია და ბნელაში ვერ მიცნაო!

— შე ბოზო, აბდალო! — შუყვირა დადიან-ოღლიმ.

შეხკივლა ქალმა, რუმ იცნა დადიან-ოღლი.

— რა პირმა გათქმევია რიფათაის სახელიო?

— შამიპირია ნაძვის ძირში და მიეედიო!

მან არ ჩარებოდა, მარა დღეს დამიძახაო...

სისხლი მუტდა დადიან-ოღლის ყელში; კიღამ შაასკდა გოგოს, მარა ვერ იზმიდა: დიაცთან რა საქმე აქს? — „ალლახ, ალლახო“ — დეიძახა და გამობრუნდა ამ ღამეში.

მეგრელიძემ აგი რუმ შიიტყოო, გეიფიქრა — აშიკარა(თ) მტერიაააო და

ულნდა ვერიდოვრ! გოგრმ წიეჩხუბა ბეეი-ოღლის. მე მეგრელიძე მინდაო, მან ჩემი ქმარი აღარაარ. მეგრელიძეზე უმფო კას ვერ ვიშოვიო.

დადგან-ოღლი იძახთა — მეგრელიძეს და ბეეი-ოღლის ნაწილ-ნაწილა დავსჭრიო. თელი გვარს შვილებიანა დავსწვაე — მასხრა რუმ იმიგდესო. მემრე კატორგაში რუმ წიმიყვანოონ, წარბს არ შეიხრიო! — ბრეტლი ვაქიები მიიმხრო.

— ან ვიმარჯვეფ, ან მოვიკლავ თავსო! — დერდიანი ჯარებოდა ჩუმათაჯ. ჩასტაღი გუკეთა ბრეტლი ყაზახებს, მარა ბრეტლი გადარჩა.

ერთ დღეს იგი ქორწილში დაუპატიეებიათ და თრალი მოდიოდა თურმე შინისკენ, რუმ მუაწია სახთან (ღამე ყოფილა), გავარდა თოფი და იქვე გუგორებიან. აგი მოუკლავს მეგრელიძეს — ღობენებთან გუკეთებია ჩასტაღი და ვერ შემჩნევია ბნელაში დადგან-ოღლის...

ასე რუ არ მიეკლაა, ვინ იცის რამდონ სისხლს დააქცევდა იგი წყეული...

4. ასლანი და შაქარ-ოღლი

მამაჩემს ხატდა ძმაჯ — ასლან. ბათომს რუმ სასტავლებელი დაათავაა, გრანიცაში წეტდა. იქიდან ჩამოტდა და ყველას ნემეტარი გუხარდა! მისმა აფხანაკებმა ვეჩერი მუაწყვეს.. მიზდა... ასლანი გოგუებში იყდა და ლაპარაკობდა. შაქარ-ოღლი იყო ერი ვაჟი(ი)კაცი კაცი; დათრა და მიტდა ასლანსთან; შუძახა: — ბეჩო! ქალებში რუმ ჩამჟდარხარ, რა ყაზახი ხარო?

ასლანმა უთხრა: — ჩემ დანებსთან ვყივარ; თუ შენ გეკუჭება, შენც შეგიძლიაო!—დუქნია ხელი, სტკეცა ყმაში... ასლანმა ხმა არ გუცია. — მერმე შეგხთები! შენისანა გლახიებს — კარქა გუსწორდებიო! — ასლანმა იფიქრა: ჩემზან მაუწყვეს ქეიფობა და იხარულეს, ახლა მე გლახობას არ ჩივდენო, არ შიტცხელეფ გულსო!

ხმა.არ გუცია!

მიორე დღეს ასლანმა მეჯხმო ხუსეტნ დუმბაძე და ჩიუფურჩულა: „წედი, შაქარ-ოღლის შეხდები და ჩუმათაჯ—რუმ არ შიგიტყოს — გეჯგე — რუმელი ჯარაღი აქს ჯიბეშიო!“.

წეტდა ხუსეინა. შვადღეხამ შეხთა შაქარ-ოღლის და დუქახა. — ერი მინუტში მოჯაო.

მოტდა.

— რა საქმეები ქქონჯ და რაი გაქო?

— რატუმ სწყრებჯო, შაქარ-ოღლივო, ჩემთან ტკეკბილი ფცლავი ხუმ ;გიქამჯაო?!

— შე ბეჩო და აბდალო, ჩემი მოკეთე როსღა ყოფილხარ — ახლა რუმ შეფარშჯებჯო!

— შე მართლა ბეჩო, ვაჩეზაძის კეზენჯა ხუმ არ ხარ, მოგეხარულოვო, — და აგი რუმ თქტა და — გამიეკანა შაქარ-ოღლი და უნდა მეეკლა — გაშპა ხუსეინა ხელიდან. კორტოხზენ მუექცა აგი და იქიდან დუქახა: — შენ რუმ ვაჟიკაცი იყო, ჯარაღი გექნება ჯიბეშიო!

— რა იცი, არ მაქო?! შაქარ-ოღლი უჯარაღო სა ნახეო? — აგი რუმ თქვა და — ამეჯღო პაწაჯ ლივერი.

სროლით არ უსროლჯა.

ხუსეინამ შაატყობია ასლანს — პაწაა ლივერი აქო!

ასლანმა გეიფიქრა — დუდარაჯდები და გავაგორეფო! ამანაც ჩეიდვა თათრის ლივერი ხუთი ნუმერი.

ერ დღეს სამეჯდურში შესულა შაქარ-ოღლი. იგი უნახავს ასლანს. აგიცა შეუდა.

შაქარ-ოღლის თურმე დანაას ლესვა დუწყია.

— გამოა აქით, დანა გაგდე და, თუ ყაზახი ხარ — ახლა შევიტყობო! — შუძახა ასლანამ. უთხრა რა დახკრა ხელი და გაგდებია დანაა. შიებენ თურმე. რუმელი რუმელს აჯობებს... ბიძაჩემა მეაქცია ქკეათ შაქარ-ოღლი და სულს გაცხებიებდა და — ბაღანა იყო დუქანში — სამეჯდურში და დეეპოტინა ასლანას ჩოხაზე უკინიდან თურმე. ამხან ადგა თურმე შაქარ-ოღლი და თავი დუჭირა ასლანს. ხელი ჯიბეზენ წუსვა თურმე შაქარ-ოღლიზდა — ლივერი ამევიღოო! მარა სადაა? — არ ხონდაო, — გეიფიქრა; გამოაცხლიტა თავი და უთხრა: — მენ რუმ აბდალი ვიყო, ლივერს გესროდი; შენ ხუმ არ გაქო?! მარა ისე დაგარჩოფო. ამეიღო ლივერი და გადეასროლა რკინებში. უკარაღო მოდო! აგი რუმ შაქარ-ოღლიმ დეანახაა, ამეიღო გულიდან ლივერი (პაწა ლივერი გულში ჩაეტევა!) და დაბალა ვოთხი ერთათ. მუარდენ კაცები და ასლანმა აგი მუასწრა; — შაქარ-ოღლის სისხლი არ ეიღოთ. მამაჩემს უთხარით, მისი გოგო ჯაამეზე... მამაჩემა აგი არ ქნა და შაქარ-ოღლიზე იძია შური — სიმინდებში შაასწრა.

5. რიფათაას ამბავი

მეავანაძე ნემეტარი ღვინის სმელი იყო. დღეა არ გეტდოდა, თრალი რუმ არ დეგენახა.

ერ დღეს სკენდერ დუმბაძე და მისი შვილი რიფათაა და უსუფ თხილაა-შვილი ქეაფობდენ. მეტდა მეავანაძე — თრალი და დუწყო გინება აგენაებს— თქვენი პურმარილი... დუმბაძემ, სკენდერამ — მიეფერა, ნუ განჯუარდები, მოდ და იქეიფეო! — ეა არ შეასმინა. დიდუანი თვალები გარმოკაკა და კიდომ დეაწყო გინება. აგინმა რუმ ხმა არ გასცეენ, გაკუჭდა და დარტყა სკენდერას, სკენდერამ ჩტფურჩულა რიფათს — ესროლე მა ძაღსო, არ გუშვაო! — რიფათამ ესროლა და გეაქცა დაჭრილმა. გამიეკიდა რიფათამ. შეზდია ბაღში, კიდომ ერი ესროლა. მოტდა ხალხი და წეაყვანეს. რუმ მიყვანეს სახში და რიფათა გახელებული მირბოდა. — კიდომ ცოცხალაა? — დეაყვირა და შვაში რუმ მიყავდან ცოცხალ-კტარი კაცი, კიდუმ მუარტყა. ამაზე გაღეარია ხალხი— არ აკმარაო?!

დეაჭირა თავრობამ რიფათა. შით რუმ, ნაპავარაანი რუმაა ფრაპესორი, იგი მაკყვანეს.

იმან ჩეაქნია ხელი — არ მორჩებაო. მაინც შუკრეს გაჭრილი. წამეაძახა —ნუ გეშინაათ, არ მოტკდები დუმბაძნების ჯინიზაო!

ახლა ცოცხალაა აი კაცი. მაპავარაანმა ვერ მიხთა. სასტაული ამბებია. ღმერცს გეფიცები!

მეავანაძნებმა რუმ შეატყვეს აგი ამბავი, თელი სოფლიდან დეაძრა, იცნობდა თუ არა (ჩვენში ასე იცაან). ვერ მონახეს სკენდერა დუმბაძე. რიფათა ახლა დეპირულია. ორი წელიწადი აქ მისარჯული. სკენდერა ექსი თვეა, სახ—

ში ჯის — შვა ოთახში. ცაჲ არ დუნახავს და ზღუა ჯერე. ასე იქნება ჩეკილტუ-
ლი მიზდღეში... ერი კაცი თორმეტი წელიწადია სახში ჯის....

6. ქ ო რ წ ვ ი ლ ი

ბიკიზა გოგოს ამეარჩევს დედაჲ — თუ მოსწონდება. ბიკმა არც ქი იცის. ნიშანს მუტანებენ. დატევს ნიშანს დედაჲ და წამუა უკან... ამ დღეადან დე-
წყებული — ბიკი არჩენს ქალს: ყველაფერს მან უგზავნის...

ქორწვილი რუმ დეანიშნებაა, დახპაჲჯებენ ხალხს, რავაც თქტენ იცით. ულოცვენ მომსლელები ფულს... ჯერხან ქეაფია ქალისას და მემრე ადყვანებენ ქალს სიძისას. სიძე სახშია; მუყვანებენ. ეზოში ჩამწკრიებულაა ორათ ქალის და ბიკის ნათესავები, მომყოლები. გოგო ჯის ცხენზე — შავათ ჩაცმული, არა-
ფელი უჩანს. ბიკის ნათესავები იტყვაან: „რა ბიკი მივეცით, არც კოკლია, არც ბრუცაანი, არც აბდალი", ქალის: „რა ქალი მეტყვანეთ, არც კოკლია" — და მიყობა ასთე.

საქეაფოთ რუმ დაედებაან, ქალები — ცალკენ, ვაჟიები ცალკენ.

ღვინოს არ მაჲტანებენ.

მოხუცები ცალკენ ლაპარაკობენ მაგინის ამბავებზე. ქალის კედაროაჲდან სამი კაცი გამუა და ბიკის კედაროაჲდან კიდომ სამი კაცი. დეაწყება ვაკრობა.— დუკელი პაწა, — ეკიდებაან და როცა მოწყვებაან — მეშრე „აღდს", „იქ ურე-
თი" დასწერენ. ექსვე მუაწერს ხელს.

ბიკს ეტყვაან: „შენ თუ ტყულაჲ დატუამ, ჯარიმას გადაგახთიებთ. თუ. ბოზაჲ, აბდალი, ქურდი, მაშვინ გაგდე! თუ შენ სხვა მოგწონს, მაშვინ ვაჲ. შენ!" ქალმა თუ დატია, გზითს ვერ წეაღებს.

ასე იყო წინა დრუებაში. აწ გამაჲცვალა წესიები, ჩტენ დრუებაში.

ინდექსები

მეხხური

(ჩაწერილია 1932 წ.)

1—6 მთქმ. ოსიკო აფრიამშვილი (50 წლ., წ.-კ. მც.), არალი. 7—8. მთქმ. პეტრე ბათმანაშვილი (35 წლ., წ.-კ. მც.) მარალი. 9—13. მთქმ. გიგო აფრიამაშვილი (50 წლ., წ.-კ. მც.), უდე. 14—18. მთქმ. სიმონ ობოლაშვილი (30 წლ., წ.-კ. მც.) უდე. 19. ანტონ მათაშვილი (25 წლ., წ.-კ. მც.) უდე. 20—32. მთქმ. ოსიკო აფრიამაშვილი (50 წლ., წ.-კ. მც.), არალი.

რაჭული

(ჩაწერილია: 1930 წ. — მთარაჭული, 1944 წ. — ზემორაჭული, 1945 წ.—ქვეშორაჭული)

1.—2. მთქმ. დარისპან ბაღაშვილი (12 წლ, წ.-კ. მც.), გლოლა, 3. მთქმ. გიორგი ბერიაშვილი 8 წლ., წ.-კ. უცოდ.), გლოლა 4. მთქმ. ქიტო ჩოჩხაშვილი (90 წლ., წ.-კ. უცოდ.). გლოლა. 5. მთქმ. ლადო ბიძიშვილი. (35 წლ., წ.-კ. მც.), გლოლა. 6. მთქმ. გაბრიელ გრიგოლაშვილი (35 წლ., წ.-კ. მც.), გლოლა, 7—10. მთქმ. მიხო აზანიშვილი (40 წლ., წ.-კ. მც.), გლოლა, 11—14. მთქმ. ქიტო ჩოჩხაშვილი (90 წლ., წ.-კ. უცოდ), გლოლა. 15—17, მთქმ. იასონ გიორგაშვილი (10 წლ., წ.-კ. მც.), გლოლა, 18—21. მთქმ. ქიტო ჩოჩხაშვილი (90 წლ., წ.-კ. უცოდ), გლოლა. 22—26. მთქმ, ბასილა სულტანიშვილი (120 წლ., წ.-კ. უცოდ.), გლოლა. 27—37. მთქმ. ქიტო ჩოჩხაშვილი (90 წლ., წ.-კ. უცოდ.), გლოლა. 28. იგივე. 34. მთქმ. დარისპან ბაღაშვილი (12 წლ., წ.-კ. მც.), გლოლა. 35. მთქმ. პეტრე გიორგაშვილი (15 წლ., წ.-კ. მც.), გლოლა, 41—43. მთქმ. თაზი სულტანიშვილი (67 წლ., წ.-კ. მც.); კოსტა გრიგოლიშვილი 5. წლ., წ.-კ. მც.); იეანე ბერიშვილი (98 წლ., წ.-კ. უცოდ.); მიხა სულტანიშვილი (60 წლ., .-კ. უცოდ.); ოაკიმე გიორგაშვილი (50 წლ, წ.-კ. უცოდ.); გიო გრიგოლაშვილი (35 წლ., .-კ. მც.); შიო გუტუშვილი (100 წლ., წ.-კ. უცოდ.), გლოლა. 44—53. მთქმ. შიო გუტუშ-ილი (100, წლ., წ.-კ. უცოდ.), გლოლა. 54—66. მთქმ. ივანე ბერიშვილი (98 წლ., წ.-კ. ცოდ.); გლოლა. 67—80 მთქმ. ქიტო ჩოჩხაშვილი (90 წლ., წ.-კ. უცოდ.). გლოლა 81—88. თქმ. მარკოზ გობეჯიშვილი (90 წლ. წ.-კ. უცოდ.), ღები. 89—90. მთქმ. მამუკა ლობჯანიძე 5 წლ., წ.-კ. მც.), ღები. 91—101. მთქმ. მარკოზ გობეჯიშეილი (90 წლ., წ.-კ. უცოდ.), ღები. 02—119. მთქმ. ოსმან გოგრიჭიანი (100 წლ., წ.-კ. უცოდ.), ღები. 120—127. მთქმ. შიო გუტუ-ვილი (100 წლ., წ.-კ. უცოდ.), ღები. 128—161. მთქმ. იოსებ ჩლაიძე, ბარი. 162—166 სამთი-ი. 167—172 მუხლი. 173—181 სევა-ფარახეთი. 182—191 ონი. 192—204. წკადისი. 205—06 ველევი. 207—208 ხოტევი. 209—211 ბეთლევი. 212—213. ლიხეთ-აბარი. 217—220 ბუ-ბეული. 221—252 წკადისი.

ი მ ე რ უ ლ ი

(ჩაწერილია: თერჯოლური — 1947 წ., წულუკიძური — 1929 წ.)

—2. სიქთავრა. 3—8. მთქმ. ეფროსინე ლილუაშვილი (63 წლ., წ.-კ. უც.), ჩხარი. 9—12. თქმ. ბაბილინა ფოჩხიძე)55 წლ. წ.-კ. უცოდ.), ჩხარი. 13—15. მთქმ. ნადეედა მაკარიძე 8 წლ., წ.-კ. უცოდ.), 16—20. მთქმ. ტერეზია ფოჩხიძე (96 წლ., წ.-კ. უცოდ.), 21. მთქმ. ეანე ბობოხიძე (80 წლ., წ.-კ. უცოდ.), ნახახულევი. 22, მთქმ. ბარნაბ მელაძე (68 წლ., წ.—კ. უცოდ.), მათხოჯი.

მთიულურ-გუდამაყრული

(ჩაწერილია 1934 წ.)

—7. მთქმ. გიორგი ბუჩუკური (70 წლ., წ.-კ. უცოდ.), ბიბლიანი. 8—9. მთქმ. პეტრე ბექიშვილი (60 წლ., წ.-კ. უცოდ.), ქავთარაანი. 8—9 მთქმ. ივანე ჩოხელი (35 წლ., წ.-კ. მც.), ოხი. 10—10 11-11; მთქმ. პაელე ჩოხელი 40 წლ., წ.-კ. მც.), ჩოხი 12. მთქმ. გიორგი ბეჩიური (70 წლ., წ.-კ. უცოდ.), ბიბლიანი. 13—15. მთქმ. პეტრე ბექიშვილი (60 წლ., წ.-კ. ცოდ.), ქავთარაანი. 16. მთქმ. ივანე ჩოხელი (35 წლ. წ.-კ. მც.), ჩოხი. 17—28. მთქმ. პეტრე ბექიშვილი (60 წლ., წ.-კ. უც). ქავთარაანი. 29. მთქმ. პაელე ჩოხელი (40 წლ., წ.-კ. ;ც.), ჩოხი. 30—33. მთქმ. გიორგი ბეჩუკური (70 წლ., წ.-კ. უც.), ბიბლიანი.

ფშაური

(ჩაწერილია 1956 წ.)

1. მთქმ. იოსებ ტუნტურიშვილი (ჩაწერა მასწ. ირ. ტუნტურაშვილმა), კოდი. 2—3. მთქმ. ·მზექალა მაჩურიშვილი, აფშო. 4—8. მთქმ. ივანე გორზამაული, მაღაროსკარი. 19—23. მთქმ. ხვთისო ცქიფაშვილი, მაღაროსკარი. 24. მთქმ. ეახტანგ რაზიკაშვილი, ჩარგალი.

აჭარული

(ჩაწერილია 1929 წ.)

—2. მთქმ. ლუთფიე აბაშიძე-თავდგირიძე (80 წლ., წ.-კ. მც.), ქობულეთი. 3. მთქმ. დერსუნ ხილაიშვილი (23 წლ., წ.-კ. მც.), ქობულეთი. 4. მთქმ. მემედ წულუკიძე (34 წლ., წ.-კ. ;ც.), ქობულეთი. 5—6. მთქმ. ხასან დუმბაძე (35 წლ., წ.-კ. მც.), ქობულეთი.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

მესხური

1. მებადერე 11
2. ხემწიფე არტავსა 17
3. ჩემი გადასავალი 19
4. ხემწიფის შვილები 20
5. ხემწიფის შვილი და დევი 21
6. აბესალომ და ეთერი 23
7. როსტომი 27
8. ხემწიფის გოგო 28
9. ანთანდილი 31
10. მაჰმუდი 35
10.II ყჯრბანი 39
11. მებადურის შვილი 43
12. და და ძმა 50
13. კაი ვაჟიკაცი 55
14. ნაცარქექია 57
15. ორმოცი და-ძმა 58
16. შაისმიელი 61
17. შაისმაილი 72
18. ორი ძმა 84
19 სამი ძმა 89
20. ძღნაბი 96
21. კოლას ამბავი 98
22. ძველი ამბები 103
23. ლექსები 106

რაჭული

მთარაჭული

I. გლოლური

1. ვაჟაჟ და ლეკვაები 109
2. სამი ძმა 110
3. თედორეს გმირობა 111
4. როსტომი 112
5. მონადირე ბიჭი 114
6. მაირ-ბათიყოლი 117
7. მელიას ხერხიანობა 118
8. ორი ძმა 120
9. ჩხუბი 120
10. დათვი და მელია 121
11. აბესალი და ეთერი 121
12. მეკურდღლე 124
13. გულთმეცარა და ხვთისავარა 125
14. ბეჟანის ამბავი 127
15. ყორაღი ვაჟაჟ 130
16. რვა ძმაკაცი 131
17. მამაშვილნი 132
18. მთრახი 133
19. ტარიელისა და ავთანდილის ამბავი 133
20. სომეხი კაცი 134
21—24. ავთანდილი 135
25. ამირანი და დევის გატყუება 135
26. ამირანი 136
27. სამი სიტყვა 138
28. პატარა ვაჟაჟ 139
29. როსტომი 140
30. ტარიელი და ავთანდილი 141
31. შეგირდი 142
32. ღარიბი კაცი 142
33. ზარმაცი კაცი 143
34. სამი დევი 144
35. წიქარაჟ 145
36. წიქარაჟ (ვარიანტი) 146
37. კვიცი და ვაჟაჟ 147
38. მოჯამაგირე 148
39—40. როსტომის ამბავი 149
41. ასფურცელა 151
42. იღბლიანი 152
43. ჩვენი ისტორიაები 152
44. ცხრანი ძმანი ეიყვენით 162
45. მაღლა მთას მოდგა 162
46. ო, ლეე, ლეედა 163
47. ტატუკს რას უნდა ქებანი 163
48. ქვედრულა მოდიდებულა 163
49. ზვიდეკა ისმაილაშა 164
50. ავაჟ, ვაჟ, ვასა 164
51. შვაუბნელმა წაიყვანა 164
52. ელი მელი 164
53. მთას თივა დაგვითიბნია 165
54. მთაში რომ მტრედი ერია 165
55. ხუთნი ბუბასა 165
56. ივანე ქვაციხისასა 165
57. დიგორს ჩამოსხდეს ვეზირნი 166
58. ჯამათა 166
59. ხუთი ხურაზნი 166
60. ზედა უწერიან წამოველ 166
61. ღესქესა... 166

62. სახლი დავდგი ვერხისაო 166
63. ნეტარცა ნატრა მანატრა 167
64. დიგორს ჩამოსხდეს ვეზირნი (ვარიანტი) 167
65. ზეით ქორი მოფრინავდა 167
66. ქორი აფრინდა . 167
67. ალბიეთნის ცხრანი ძმანი 167
68. ალალეთს ქალი დავმარხე 168
69. ამირანი . . . 168
70. ერთხელ წისქვილს წასელასკენა 168
71. ლანდაგიშვილმა გიორგიმ 169
72. გელმა თქვა 169
73. მიხო, მიკვირს 169
74. სოლომონ ბუტულაშვილი 169
75. დალიე, ჩვენო ბატონო 170
76. დედამ კაბა შემიკერა . . 170
77. დედამ კაბა შემიკერა (ვარიანტი) 170
78. ქვემოყოს ვაკესაო . 171
79. ქალსა ვისმე ერქვა შუშანა 171
80. შელოცვა 171

II. ღებურ-ჭიორული

81. ალაუგანი 171
82. ჯუჯები, თემირბიი, შიბიი 173
83. აბაზალები და ჩერქეზები 176
84. სვანები და ღებელები 177
85. ჯამათა 178
86. ცხენის შვილი 178
87. სამი ძმა და სამი და 182
88. მეკალმახე 184
89. როსტომი 186
90. ბათრიბეგი 186
91. გოლიათი კაცი 189
92. ჯიფარა 190
93. თაზი 191
94. დიაკონი 191
95. საზრიანი სიტყვა 192
96. როსტომის ამბავი 192
97. ნაცარქექია . 195
98. ხემწიფის შვილის ამბავი 196
99. ბაილუ-ბათოყო . 198
100. აღრჯევანი, ლომკაცი და არაკაცი 199
100II. ალავგანი 201
101. თათარ-შაუ 202
102. თვალიკი 203
103. ბატონყმობა რო გაიყარა 203
104. ვარსილოვი 204
105. ქეედრული მოდიდებული 204
106. საბუნეე თინაო 204
107. ამოვიარე თვალზეო 204
108. წუხელი რამე სიზმარსა 205
109. შეიდურმა წაიყვანა 205
110. გოგო, ე შენი სიკეთე . 205
111. ურავს და ლიხეთს შაირსა 205
112. მამაც ერეკლე ნეფესა 206
113. ამბავს თუ ქითხავ 206
114. ამ გორმა გამომთხოვა 207
115. ციცუანი ქებას გეტყვი 207
116. ბძანა ნეფე სოლომონმა 208
117—118. წერეთელმა დაიბარა 208
119. აირიენენ ქიორლები . 208
119II. სახლი არ მიყვარს მითანა 209
120. წყალსა ნაფოტი მოქონდა 209
121. საყვარელო, შენ და მეო 209
122. ზეცას ვიყავ 209
123. მამასა კითხა შვილმა . 209
123II. წაიყვანეს თამარ ქალი 210
124. მე ქვემოთიდან გიახელ . 210
125. გელოლას რომ ოსი მოსულა 210
126. ქალსა ვისმე ერქვა შროშანაო 211
126II. ჩემო ცოლო, ხიხიბ და ჭრელოო . 211
127. როდეს ლომ-გმირთა ღებურთა 211
127II. პირველ საყმონი ეყოფილვართ 212
127III. დიგორსა დასხდნენ ვეზირნი 214
127IV. ჯამათა 214
127V. მინდორში ალახ-ბელახი 215

ზემორაკული

128. ხემწიფე თაგვი 215
129. მელია 215
130. ძაღლი და მამალი 216
130II. მელიას განაჩენი 216
131. მებადური 216
132. დედ-მამის გამყიდველი 217
133. ლომი და თაგვი . 219
134. გოჯის შეწვა 219
135. სიმართლის წყარო 219
136. ზარმაცი ლები 221
137. ერთი მათხოჯის ამბავი 223
138. ხემწიფიშვილი 226
139. ეირის ამბავი 228
140. მებადურის ამბავი 229
141. სამი ძმა 230
142. აეს, ლილა, ლილა 231
143. დადგა თიბათვე . 231
143II. ერთი წვეთი სისხლი ვარ, უმანკო 231
144. ხტუნია ლეგა ჭრიჭინა 232
145. ქალ-ეაჟიანი . 233
145II. ქალ-ეაჟიანი (ვარიანტი) 233
146. ბეეანიანი . 234
147. კოღო და ლომი 239
148. ავთანდილ გადინადირა . 239
149. ღმერთმა მეც გადმამახედოს 240
150. ცუნცულ მელია მოტირის 241
151. ანდუყაფარი 241
152. სახნისმა თქვა . 242
153. სოლომონ ბუტულაშვილი 242
154. სხვისა მოსამსახურობას 243

155. ერთი მგელი 243
156. კულა გრდანელი 243
157. მაღლა მთას მოდგა 244
158. [ფრაგმენტი] 244
159. საზამთროში რომ შეეედი 244
160. ე ხუცესი დევითხოოთ 245
161. რა ვქნა, რა ვქნა, რა ექნისაო 245
162. ბძანა გიორგ ერისთავმა 245
163. როდეს აშენდა მანგლისი 245
164. მაია, სად მიხვალ 245
165. შაირი უნდა გამოვსთქვა 245
166. მზისა ქალი 246
167. დიდი ეინძრა სულთანი 246
168. ვისაც ორი ცვარი ღვინო... 246
169. ტანდა გეეხარ ალვის ხესა 247
170. ახალ დროს რო მოვესწერი 247
171. ვაჟიკაცი არ ვარგია 247
172. ჯაფარ, რა იქნენ მოწიფულები 247
173. ზემოთიდან წამოვედით 247
174. ონიდანი წამოვედი 247
175. ურავლები მთის ხალხი ეართ 248
176. ბოსტანაში გედვიხედე 248
177. ონშიდ ვარია ვიყიდე 248
178. სიდედრი ქაყადა ეული 248
179. სამი სუდია დამჯდარა 248
180. თქვე ხუცეს სნება შეექნა 248
181. შენი ჩორჯი და ღვიარა 248
182. იცი და მოგეხსენება 248
183. ერთი რამე გევიგონე 249
184. ათი ათასი ხმალს იცემს 249
185. გამარჯობათ, ღვთის წყალობა 250
186. უწინ იყო ზღვა ქვეყანა 250
187. აბრამ იყო ხვთის მოსავი 252
188. ვაი შენ, წუთისოფელო 253
189. მას შიოდა და წყუროდა 253
190. იჯდა დედა მარიამი 253
191. დავწვები, დამეძინებაო 254
192. შელოცვები 254

ქვემორაკული

192II. ჭიხეში გაჩენილი 256
192III. ჭენკერა 257
192IV. ჭუკუიანი 258
193. მეკუნძე 261
194. დედ-მამა და შვილი 263
195. სამი ძმის ამბავი 263
196. მოღალატე ცოლი 265
197. სამი ძმა . . 267
198. ხემწიფის ქალიშვილი . 268
199. ნესტან-დარეჯანი და ტარიელი 269
200. ნაცარქექია 269
201. ყარაბოღლი 269
202. ქმარი და ცოლის საყვარლები 276
203. საწყალი მელა 277
204. ღარიბი კაცის ამბავი 277
205. ხვთისაკარი 279
206. როსტომი 281
207. მღედელი და ბიკი 283
208. ნაალევი 283
209. კომბლე 284
210. კვანჩხნახეკარი 285
211. დაკარგული ვაჟი 286
212. ბიკი და მზეთუნახავი 287
213. დის გადარჩენა 289
214. მამამთილი და რძალი 290
215. ინძისყვავილი 290
216. დედინაცვალი 293
217. ქვეიანი და სულელი 294
218. სამი ძმაკაცი 296
219. შვიდი ყორანი 296
220. უზრდელი რძალი 298
221. [ფრაგმენტი] 299
222. [ფრაგმენტი] 299
223. [ფრაგმენტი] 300
224. ერისთობას წამოვედი 300
225. ვატატეის ქათამი 301
226. ელელია — მელელია 301
227. ორი ოქრო ჩამოვარდა 301
228. ეო, მეო 302
229. კესარია . 302
230. კოღო და ლომი 302
231. დაბერდა ჩვენი გოგია 303
232. დადგა თიბათვე 304
233. ქვედრულა მოდიდებულა 304
234. მიხამ რო ცხენი გაყიდა 304
235. იოსებამ ცხენი დაკლა 304
236. იოვანემ ხარი დაკლა 304
237. გამარჯობათ, ღვთის წყალობა 305
238. ჩევიხოხინდე, აქ დავჯდე 305
239. სიბიტოს ცხენმა ბძანაო 305
240. კოლიამ ტაკკა გამართა 306
241. კოლია კაი ბიჭია 306
242. ივანე კვიტაშვილი 306
243. გლახუა გელბახიანო 306
244. ლიახვმა თქვა, მოვდიდდები 306
245. როდეს აშენდება მანგლისი 307
246. ელელია, მელელია 307
247. გოგოლია, მეო, რათ დაგიბადეო 307
248. ია, ვარდო და სოსანო 308
249. საყვარელო, მართალს მოგწერ 308
250. საყვარელო, ნეტა რა ხარო 308
251. ოსტატი კაცი ვიყავიო 308
252. შელოცვები 308

იმერული

თ ერ ჯ ო ლ უ რ ი

1. ძველი ამბები . 311
2. ხემწიფის სამი ვაიშვილი 312
3. ჰაიდერი . 314
4. უქმის შენახვის ძალა 315
5. შავიცხენიშვილი 315
6. ქერიკი ქალი მარიამა 316
7. მატყუარა ღედელი 316
8. აცამაცა 317
9. ქოსატყულეები 317
10. შვიდი ბიჭი 318
11. ჭინკის ამბავი 319
12. ბროლისახარი 319
13. მელია და მგელი 320
14. დედინაცვალი და გერი 320
15. თებზ-ეშმაკი 322
16. ვირი, თხა, ღორი და მამალი 323
17. ჩემი ცოლი 324
18. ალექსანდრე და ღუდიკი 324
19. მეცნიერები გამოჩდენ 326
20. შელოცვები 326

წ ე ლ უ კ ი ძ ი ს ი

21. სამი ძმანები 329
22. ობლები 331

მთიულურ-გუდამაყრული

1. თორღა მონადირე 334
2. თათარი მონადირე 334
3. ქემწიფე და ფილასაფოსი 335
4. ამირანი . 339
5. ამირანი (ვარიანტი) 339
6. მეთევზე 340
7. სამნი ძმანი 342
8. ციფო . 342
9. პაპაჩემის მამა 343
10. ალაჯარის ქალი 343
11. დღეობა 344
11. ტარიელი 344
12. როსტომი 345
13. როსტომი (ვარიანტი) 349
14. ორი ბერი ერთად იყო 354
15. ცამ დაქუხა უცეფა 355
16. ვაინის თაობაზედა 355
17. ნეფის ტირილი . 356
18. ნეფის ტირილი (ვარიანტი) . 358
18. ნეფის ტირილი (ვარიანტი) 360
19. იყრება ოსის ლაშქარი 361
20. გაგაძე 361
21. ქემწიფემ ჯარში გაიწია 362
22. ჯიმშერ ქადას ემზადება 362
23. გუდამაყრელი ლეგა 362
24. დუმაცხო, თქვენ ვარტიანო 363
25. თუ მკითხავ, ამბავს გიამბობ 363
26. მთიულეთს გახდა ჩქონჩქორი 364
27. სიბერე 364
28. მით მამეკიდა სიბერე 364
29. ფშაური ლექსი 365
30. ბერიას ლექსი 366
31. შირაქელი 367
32. ქალაქსა ყვირის დედეკი 359
33. ქეესერული 370
34. ქეესერთ იყრება ლაშქარი 371
35. აღმდგომელო საზანდარო 372

ფშაური

1. მგელიაშვილები 374
2. კოპალა 376
3. ქორწილი 376
4. ჩაკალის, ჩაეუბნება 377
5. დაედგით ხარკიშოშია 377
6. ახლა კი დედას გიტირებ 377
7. ე მაგით-გითხარ 377
8. დაგიწვი, კარატიელო 378
9. წოწოლ კარატიელო ვარო 378
10. გადმოქეა, ვიკაფიაოთ 378
11. ჩიოდა მუშტათ ჭრელაი 378
12. დაგეშორდი, მუშტათ ჭრელაო 378
13. ე ბებერკაც მამეწონა 378
14. დაკეკე და წერა დაეიწყე 378
15. დუქანში ჩამოგვევლაეს 379
16. ფშაეთ მამწერეთ წერილი 379
17. ცხრა სუ მოლიანად წაკართვეთ 379
18. შატილს მოიდა კოკობი 379
19. ჩემთან წამოდი, ფრუშკაო 380
20. ქეჯეგათ კინტოს უყურეთ 380
21. წვეროშვილი 380
22. მიგრიაული 381
23. მწარია და ბეინი . 381
24. ბორჩალოს თათრებ გაცვივდენ 381

აკვარული

1. არაბეთის ქოყანა 383
2. სულთანის გათხოვება თურქიაში 385
3. დადგან-ოღლის ამბავები 385
4 .ასლანი და შაქარ-ოღლი 387
5. რიფათაგს ამბავი 388
6. ქორწილი 389
ინდექსები .. 389

Шота Варламович Дзидзигури

МАТЕРИАЛЫ ГРУЗИНСКОЙ
ДИАЛЕКТОЛОГИИ

(на грузинском языке)

რედაქტორი დ. ჯიბლაძე
მხატვრული რედაქტორი მ. ასათიანი
ტექრედაქტორი თ. მანჯგალაძე
კორექტორი ნ. ახობაძე
გამომშვები მ. ნადირაძე

გადაეცა წარმოებას 21/XI-73 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VI-74 წ.; საბეჭდი ქაღალდი № 2; ქაღალდის ზომა 70X108¹/₁₆; პირ. ნაბეჭდი თაბახი 34,65.; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 28,6. უე 00383 ტირაჟი 2000 შეკვ. № 1459

ფასი 1 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Издательство «Ганатлеба»,
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.
1974

შეკ. 1459 ტირ. 2000

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета, Тбилиси, просп. И. Чавчавадзе, 1